

ღარიბების მხარდამხარ

ტრანსფორმაციული განვითარების პრინციპები და მათი პრაქტიკაში გამოყენება

გადასინჯული გამოცემა

ბრაიან ლ. მაიერსი

ღარიბეების მხარდამხარ

ღარიბების მხარდამხარ

ტრანსფორმაციული განვითარების პრინციპები
და მათი პრაქტიკაში გამოყენება

გადასინჯული გამოცემა

ბრაიან ლ. მაიერსი

World Vision

გამომცემლობა “Orbis Books” 1970 წელს დაარსდა, ის მიზნად ისახავს ისეთი ნაშრომების გამოცემას, რომლებიც ადამიანს სულიერ საზრდოს აწვდის და, ამავე დროს, გამოწვევას წარმოადგენს მისი ცნობიერებისა და მრწამსისათვის. “Maryknoll Fathers and Brothers” (*მერიკნოლის მოძღვართა და საძმოს*) გამომცემლობის ეს განყოფილება ქრისტიანული რწმენისა და მისიის გლობალური განზომილებისა და ზეგავლენის კვლევას და სხვადასხვა კულტურისა და რელიგიური ტრადიციების მატარებლებს შორის დიალოგის ხელშეწყობას, შერიგებასა და მშვიდობის გამყარებას ისახავს მიზნად. წინამდებარე პუბლიკაცია მისი ავტორების მოსაზრებებს ასახავს და არ წარმოადგენს მერიკნოლის საზოგადოების ოფიციალური პოზიციის გამოხატულებას. მერიკნოლის და ორბის პუბლიკაციების თაობაზე ინფორმაციის მოსაძიებლად ეწვიეთ ვებგვერდს www.maryknollsociety.org.

საავტორო უფლებები დაცულია და ბრაიან ლ. მაერსს ეკუთვნის (© 2011)

წინამდებარე გამოცემა 1999 წელს გამოქვეყნებული ნაშრომის გადასინჯული ვერსიაა. მასზე საავტორო უფლებები © World Vision International-ს ეკუთვნის

გამოქვეყნებულია “Orbis Books”-ის მიერ. საფოსტო მისამართი:
P.O. Box 302, Maryknoll, NY 10545–0302. საავტორო უფლებები დაცულია.
ამონარიდები წმინდა წერილებიდან მოყვანილია ბიბლიის ახალი საერთაშორისო გამოცემიდან; საავტორო უფლება დაცულია © 1973, 1978, 1984 და ბიბლიის საერთაშორისო საზოგადოებას ეკუთვნის.

წინამდებარე პუბლიკაციის ტექსტი ან მისი ნაწილი არ შეიძლება დაიბეჭდოს ან რაიმე ფორმით იყოს გადაცემული და გამოქვეყნებული, მათ შორის ელექტრონული ან მექანიკური საშუალებების, ქსეროასლების დამამზადებელი ტექნიკის ან აუდიოტექნიკის გამოყენებით, ასევე, ინფორმაციის დაცვისა და მიღების რაიმე სხვა სისტემის მეშვეობით გამომცემლისგან წინასწარი წერილობითი თანხმობის მიღების გარეშე.

საავტორო უფლებებთან დაკავშირებული შეკითხვებით მიმართეთ შემდეგ მისამართზე: Orbis Books, P.O. Box 302, Maryknoll, NY 10545–0302.

გამოცემულია ამერიკის შეერთებულ შტატებში. ტექსტის რედაქტირება და ფორმატირება შესრულებულია ჯონ ვებერ ლაფლამის მიერ.

მაიერსი, ბრაიან ლ.
ღარიბების მხარდამხარ: ტრანსფორმაციული განვითარების პრინციპები და პრაქტიკა/ ბრაიან ლ. მაიერსი; გადასინჯული გამოცემა, შეიცავს ბიბლიოგრაფიულ ცნობებსა და ინდექსებს ISBN 978–1–57075–939–0

წიგნის ქართული ვერსია დაბეჭდილია შ.პ.ს. „სოლეის“ მიერ.
ISBN 978–9941–0–5130–2

მთარგმნელი: რუსუდან აფაქიძე-კრავეიშვილი
რედაქტორი: ნუგზარ პაპუაშვილი
სტილისტი: ქეთევან გოჩიტაშვილი

ამ ნაშრომს ვუძღვნი სამპიროვან ღმერთს,
რომელმაც შთამაგონა და რომელიც ამ
წიგნის შექმნაში დამეხმარა,

და ჩემს მეუღლეს, ლისას, რომელიც
მთელი ჩემი ცხოვრების სიყვარული,
თანამგზავრი და მასწავლებელია და
რომელიც მიძლიერებდა რწმენას, რომ ამის
ქმნას ღმერთი შემაძლებინებდა.

სარჩევი

დიაგრამები **XIX**

წინასიტყვაობა **XXIII**

მადლიერების ნიშნად **XXV**

წინაპირობები **XXV**

იდეების წარმოქმნა **XXVI**

აბრევიატურები და აკრონიმები **XXIX**

1. კურსის დასახვა **1**

დასაბამი **1**

წარმომავლობა 1

დეფინიციები 3

თანამედროვე მსოფლმხედველობასთან დაკავშირებული პრობლემები **5**

სულიერი და მატერიალური სფეროების გამიჯვნა 6

თანამედროვე მსოფლმხედველობის დიქოტომია 7

ქრისტიანობის მქადაგებლობისა და სოციალური მოქმედებების გამიჯვნა *7*

სიტყვის, საქმისა და ნიშნების გაცალკევება *8*

ცოდვის საზღვრების დადგენა და სახარება *12*

გამოცხადება და დაკვირვება *12*

წიგნის შექმნის ისტორია **13**

განვითარების იდეის წარმოშობა 13

ბიბლიური ამბავი 15

რა არის სიღარიბე? 16

განვითარების პერსპექტივები 18

ტრანსფორმაციული განვითარების ქრისტიანული აღქმა 19

პრინციპები და პრაქტიკა 20

ტრანსფორმაციული განვითარების პროგრამების შემუშავება 22

მოძღვრება ტრანსფორმაციის მიღწევის თაობაზე 23

ქრისტიანობის მიმდევრები 24

2. განვითარება — იდეის წარმოშობა 27

წარსულის გახსენება 27

ისტორიის შეცვლილი ტრაექტორია 27

განვითარების იდეის წარმოშობა და დახვეწა 31

ამარტია სენი — განვითარება, როგორც თავისუფლება 34

ღარიბთა ხმა 37

რეფლექსია განვითარების თაობაზე ზემოთ მოყვანილი მოსაზრებების შესახებ 38

თანამედროვე აზრი განვითარების თაობაზე 41

ჯეფრი საში — დიდი ბიძგი 41

უილიამ ისტერლი — ქვემოდან ზემოთ განვითარების თეორია 42

პოლ კულიე — უკიდურეს სიღარიბეში მცხოვრები მილიარდელები 44

ბანერჯი და დიუფლო — ღარიბთა ეკონომიკა 45

ლოურენს ჰარისონი — კულტურა მნიშვნელოვანია 48

ერნანდო დე სოტო — ღარიბები, როგორც მეწარმეები 50

მუჰამედ იუნუსი — კრედიტების მისაწვდომობის უფლება 51

შეჯამება 53

3. თეოლოგია, სიღარიბე და განვითარება 55

რატომ გვჭირდება თეოლოგია? 55

წარსულის მიმოხილვა 56

ევანგელური თეოლოგია 56

კათოლიკური სოციოლოგია 58

ნარატივი ტრანსფორმაციული თეოლოგიის თაობაზე 64

ურთიერთსაწინააღმდეგო ისტორიები 65

ისტორიის მთხრობელი 68

ისტორიის დასაბამი 70

სამყაროს შექმნის ისტორია 70

ღვთის ხატება *70*
სამყაროს შექმნის თაობაზე მონათხრობის მნიშვნელობა *71*
სამყაროს შექმნა და სოციალური ინსტიტუტები *72*
დაცემა 74
ხსნის ისტორია 79
წინასწარმეტყველები 80
ადამიანთა სიბრძნე 82
ისტორიის ცენტრალური ღერძი **82**
პერიფერიული ქრისტე 83
იესოს მისია 84
იესოს თავისი მისია მარტოს არ შეუსრულებია 85
უმთავრესი მცნება 85
იესო მარტო ეწამა ჯვარზე 85
ქრისტე აღდგა 86
ისტორია, რომელიც მარად გრძელდება **87**
ეკლესია 87
სულიწმინდა 90
ბიბლია 90
ისტორიის დასასული **91**
ისტორიის არსი **92**
თეოლოგიური შეჯამება **93**
ვინ ვართ ჩვენ? 93
ვინ უნდა ვიყოთ და რა უნდა ვაკეთოთ? 94
მნიშვნელოვანი თეოლოგიური თემები 96
სამყაროს შექმნის თეოლოგია *96*
ინკარნაცია *96*
ხსნა *97*
ღვთის სასუფეველი *98*
ძალაუფლება *101*
ბიბლიური ისტორია და ტრანსფორმაციული განვითარება 107
სახარების მიზანი *107*
ურთიერთობის აღდგენა *107*

ჰოლისტიკური ისტორია *109*

ტექნოლოგიისა და მეცნიერების როლი ისტორიაში *111*

ბიბლიური ისტორია ყველასთვისაა განკუთვნილი *112*

სასარგებლო რესურსები **114**

4. სიღარიბე და ღარიბები **115**

საიდან უნდა დავიწყოთ საუბარი? **115**

ვინ არიან ისინი? 116

ვინ ხართ თქვენ? 117

ქრისტიანული ხედვა ღარიბების შესახებ **118**

ვინ არიან ღარიბები? **120**

ოჯახი 120

ღარიბები შეძლებულთა შორის 122

ვინ არ არიან ღარიბები 123

რომელი ღარიბები? 123

რა არის სიღარიბე? **124**

სიღარიბე როგორც დეფიციტი 125

რობერტ ჩემბერსი — სიღარიბე როგორც ხაფანგი 126

ჯონ ფრიდმანი — სიღარიბე როგორც სოციალური უფლებების უქონლობა 130

აიზეკ პრილელტენსკი — სიღარიბე როგორც შეზღუდული ურთიერთობები და პირადი კეთილდღეობა 133

ჯაიაკუმარ ქრისტიანი — სიღარიბე როგორც უფლებამოსილების შეზღუდვის სისტემა 135

შეძლებულთა "ღმერთის კომპლექსის" ტყვეობაში ყოფნა — სოციალურ-ეკონომიკურ-პოლიტიკური სისტემები *136*

ძალაუფლების მფლობელთა მიერ შექმნილი სიცრუის ქსელი - სულიერების სისტემა *139*

მსოფლმხედველობის არაადეკვატურობა — კულტურული სისტემა *139*

სულისა და სხეულის სისუსტე — ბიოფიზიკური სისტემა *140*

ღარიბების შელახული იდენტობა — პირადი სისტემა *140*

სიცრუის ხლართი *142*

რავი ჯაიაკარანი — სიღარიბე როგორც თავისუფლებისა და ზრდის შესაძლებლობების შეზღუდვა 145

შეჯამება 147

სიღარიბის მიზეზები 147

სიღარიბის ფიზიკური მიზეზები 149

სიღარიბის სოციალური მიზეზები 150

სიღარიბის მენტალიტეტით განპირობებული მიზეზები 154

სიღარიბის სულიერი მიზეზები 157

სიღარიბის ჰოლისტიკური ინტერპრეტაცია 158

სიღარიბის არსი ურთიერთობებითაა განპირობებული 158

სიღარიბის მიზეზი თავისი არსით სულიერია 160

შეძლებულთა სიღარიბე 161

5. განვითარების პერსპექტივები 165

ვინ გვიხსნის? 165

ტრანსფორმაციის თაობაზე ჩვენი მიდგომების ფორმირება 167

ტრანსფორმაცია: საიდან, საითკენ? 168

პრობლემის მასშტაბურობა 168

რა არის განვითარება? 169

უეინ ბრეგი — განვითარება როგორც ტრანსფორმაცია 169

დეივიდ კორტენი — ადამიანზე ორიენტირებული განვითარება 171

ჯონ ფრიდმანი — განვითარება როგორც სოციალური უფლებამოსილების გაზრდის მექანიზმი 175

აიზეკ პრილელტენსკი და ჯეფრი ნელსონი — განვითარება როგორც პირადი და კოლექტიური ურთიერთობების შენების ხელშემწყობი მექანიზმი 180

რობერტ ჩემბერსი — განვითარება როგორც პასუხისმგებლობისა და კეთილდღეობის წინაპირობა 182

ამარტია სენი — განვითარება როგორც თავისუფლება და უფლებების დაცვაზე დაფუძნებული განვითარება 185

ჯაიაკუმარ ქრისტიანი — განვითარება როგორც პასუხი უფლებამოსილების უქონლობაზე 187

6. ტრანსფორმაციული განვითარების ქრისტიანული გააზრება 193

ვის შესახებაა ეს ისტორია? 193

როგორ უკეთეს მომავალს გულისხმობს ეს? 195

ტრანსფორმაციის მიზნები 198

ტრანსფორმირებული ადამიანები: თვითმყოფადობის აღდგენა და უნარების შეძენა 198

სამართლიანი და ჰარმონიული ურთიერთობები 202

რას გულისხმობს ცვლილებების პროცესი? 205

ღვთის როლის განმტკიცება 205

ადამიანის როლისა და შესაძლებლობების დადასტურება 206

ყურადღების გამახვილება ურთიერთობებზე 206

საბოლოო მიზნის გათვალისწინება 207

ყოვლისმომცველი მანკიერების არსებობის გათვალისწინება 207

სიმართლისა და სამართლიანობის ძიება 208

სილამაზის, ბედნიერებისა და შემოქმედებითობის ძიება 209

მიზეზების აღმოფხვრა 210

მშვიდობისაკენ სწრაფვა 212

ეკლესიის როლის გამყარება 213

მდგრადობა 215

ფიზიკური მდგრადობა 216

მენტალური მდგრადობა 217

სოციალური მდგრადობა 218

სულიერი მდგრადობა 221

ჰოლისტიკური მიდგომა 224

მთლიანი ისტორია 224

სახარების ძირითადი გზავნილი 224

ადამიანის არსისადმი ჰოლისტიკური მიდგომა 225

დროის აღქმისადმი ჰოლისტიკური მიდგომა 225

ადამიანის სულიერი მდგომარეობა და გონების განწყობილება 225

ტრანსფორმაციული განვითარების ჩარჩო 225

სასარგებლო რესურსები 227

გარანტირებული საარსებო წყაროები 227

მდგრადი სოფლის მეურნეობა 227

მიკროსაწარმოების განვითარება 227

თემებზე დაფუძნებული ჯანდაცვა 228

7. განვითარების პრაქტიკა: პრინციპები და პრაქტიკოსები 229

პრინციპები 229

თემის ისტორიის პატივისცემა 229

თემის ისტორია 230

თემის მთლიანი ისტორიის სათანადოდ მოსმენა 232

მათ იციან გადარჩენის პრინციპები 233

მკვიდრი მოსახლეობის გამოცდილებისა და ცოდნის პატივისცემა 237

მონაწილეობიდან უფლებამოსილების გაზრდამდე 239

მონაწილეობის ხარისხი 239

ადამიანების ტრანსფორმაცია ისტორიის ტრანსფორმაციას იწვევს 243

თემის გაძლიერება 244

განვითარების სფეროს პრაქტიკოსები 245

პრაქტიკოსი ჰოლისტიკოსის დამოკიდებულება და განწყობა 245

პრაქტიკოსი ჰოლისტიკოსის დახასიათება 247

იყო ქრისტიანი 248

გქონდეს ქრისტიანული ხასიათი 249

იყო პროფესიონალი 250

უწყვეტი განათლება 253

პრაქტიკოს ჰოლისტიკოსად ფორმირება 253

საკუთარი იდენტობის გაცნობიერება 254

გახდე ჰოლიზმის მიმდევარი 255

იმოქმედო თეოლოგიურად 257

ინკარნაციული სულიერება (ლისა მაიერსი) 259

სულიერება, რომელიც გვასაზრდოებს 261

საკუთარი მეობის დაცვა 262

პრაქტიკოს ჰოლისტიკოსზე ზრუნვა 264

სასარგებლო რესურსები 265

მკვიდრი მოსახლეობის ცოდნა 265

სულიერება 265

ტრავმა და პირველი ფსიქოლოგიური დახმარება 266

8. ტრანსფორმაციული პროგრამების შემუშავება 267

განვითარების პროგრამების შემუშავება 267

ღონისძიებების დაგეგმვა უკეთესი მომავლის უზრუნველსაყოფად 267

ლოგიკური ჩარჩო 268

სოციალური ცვლილებები არც სწორხაზოვანია და არც ლოგიკური 272

მოძღვრება უკეთესი მომავლის მიღწევის გზების მოსაძიებლად 273

სულიერება და პროგრამების შემუშავება (დაწერილია ლისა მეიერის მონაწილეობით) 276

თემის დახმარება საკუთარი ისტორიის გააზრებასა და ჩამოყალიბებაში 278

საჭიროებების ანალიზიდან სოციალურ ანალიზამდე 278

შესაძლებლობებისა და სუსტი მხარეების ანალიზისათვის 281

მდგრადი საარსებო წყაროების უზრუნველყოფისათვის 282

თემის ორგანიზება 284

თანამონაწილეობითი სწავლება და მოქმედება 286

შემეცნებითი კვლევა 290

პოზიტიური გადახრა (დევიაცია) 296

პროგრამის დასრულების შემდგომ 301

ადვოკატირება, მოქალაქეობა და ეფექტური მართვა 304

პროგრამების შემუშავებასთან დაკავშირებული სხვა მნიშვნელოვანი საკითხები 308

რა არის “თემი”? 309

ქალების მოსმენა 310

ბავშვების მოსმენა 311

სწორი ტემპის დასახვა 313

სულიერების გამოვლინების ხელშეწყობა 314

სასარგებლო რესურსები 319

რთული სოციალური სისტემები და განვითარება 319

სწავლა მონაწილეობის გზით და ღონისძიებების დაგეგმვა 319

შემეცნებითი კვლევა 320

პოზიტიური გადახრა 320

გენდერი და განვითარება 320

ადამიანთა შესაძლებლობების განვითარების დინამიკა 321

ადვოკატირება, მოქალაქეობა და ეფექტური მართვა 321

9. მოძღვრება ტრანსფორმაციის მისაღწევად 323

მონიტორინგი, შეფასება და რეფლექსია 323

პრაქტიკული გამოცდილების შეძენა უკეთესი მომავლის ასაშენებლად 323

მონიტორინგის, შეფასებისა და რეფლექსიის განსაზღვრა 325

რისთვისაა მონიტორინგი და შეფასება? 326

ვისთვისაა საჭირო მონიტორინგი და შეფასება? 328

რა შეიცვალა? 330

გრძელვადიანი ზეგავლენა 330

იდენტობის აღდგენა და დანიშნულების გაა ზრება 333

სამართლიანი და მშვიდობიანი ურთიერთობები 333

სოციალური ინსტიტუტები 336

ვინ შეიცვალა? 336

რას ვაკვირდებით და ვაფასებთ? 337

რამდენად მდგრადი იქნება ცვლილებები? 341

მენტალიტეტის მდგრადობა 341

სოციალური მდგრადობა 341

სულიერი მდგრადობა 341

არსის ერთობლივი ძიება 344

სულიერება და პროგრამების შეფასება 345

სასარგებლო რესურსები 346

მოქალაქეობა და ეფექტური მართვა 346

მონიტორინგი და შეფასება 346

10. ქრისტიანობის მქადაგებლები და ტრანსფორმაციული განვითარება 347

ქრისტიანობის ქადაგების აუცილებლობა და არსებული გამოწვევები 347

რატომ უნდა ვიყოთ ქრისტიანობის მქადაგებლები? 347

ევანგელიზაციის გაგება 348

ჩვენ მაინც გამოვდივართ იესოს მქადაგებლების როლში 350

ორმაგი გამოწვევა 351

პროვოკაციული შეკითხვა: ქრისტიანობის ქადაგება როგორც ჩვენი მეორე დანიშნულება? 353

ტრანსფორმაციის მოქადაგე 355

ქრისტიანობის მოქადაგეების მიზანი 355

სახარება როგორც ცხოვრების წესი, სიტყვა, მოქმედება და ნიშანი 356

ევანგელიზაცია და ქადაგება 358

მთლიანი ისტორიის გადმოცემა 359

როგორ უნდა გავხდეთ ქრისტიანობის მოქადაგეები 360

იცხოვრო მრავლისმთქმელი ცხოვრებით 360

ჯვარცმული გონება 360

ღვთის კვალის დანახვა 361

ადამიანების სიყვარულით ქრისტიანობის აღიარების ხელშეწყობა 362

ღმერთის როლის აღიარება ისტორიის განვითარებაში 362

ღმერთის როლის აღიარება სამყაროს შექმნაში 363

პროგრამის გადასინჯვა 363

არსის ერთობლივი ძიება 364

ტექნოლოგიის ინტერპრეტაცია მასში ღვთის წვლილის გათვალისწინებით 366

ისაუბრო იმაზე, რისიც გწამს 369

ბიბლია და ტრანსფორმაციული განვითარება 370

რატომ არის ბიბლია მნიშვნელოვანი?	370
როგორ ვისარგებლოთ ბიბლიით?	371
ბიბლია და ტრანსფორმაციული განვითარება	374
საღმრთო წერილების შესწავლა	*375*
შვიდი ნაბიჯი	*378*
სახარების ისტორიის სახით გადმოცემა	*380*
ქრისტიანობის მოქადაგეების შეფასება	**382**
იდენტობისა და დანიშნულების გააზრება	382
სამართლიანი და მშვიდობიანი ურთიერთობები	384
მსოფლმხედველობის ტრანსფორმაცია	385
ვინ უნდა შეიცვალოს?	390
ყველა	*390*
მთავრობები	*391*
შეჯამება	**392**

დანართი 1:
ბიბლიური რეფერენციები ტრანსფორმაციული რეფლექსიისა და ლიტურგიისთვის **395**

დანართი 2:
ქრისტიანობის მოქადაგის სტანდარტები და ინდიკატორები **397**

დიაგრამები

დიაგრამა 1-1:	თანამედროვე მსოფლმხედველობის დიქოტომია	7
დიაგრამა 1-2:	თანამედროვე და ტრადიციული მსოფლმხედველობა	9
დიაგრამა 1-3:	თანამედროვე და ბიბლიური მსოფლმხედველობების შედარება	10
დიაგრამა 2-1:	გლობალური მშპ-ს გათვლები	28
დიაგრამა 2-2:	მოდერნიზაციის თეორია	32
დიაგრამა 2-3:	განვითარება როგორც თავისუფლება	36
დიაგრამა 3-1:	ისტორიების თანავარსკვლავედი	66
დიაგრამა 3-2:	ცოდვის ზეგავლენა ურთიერთობებზე	74
დიაგრამა 3-3:	ცენტრი და პერიფერია როგორც ტრანსფორმაციის მიღწევის ადგილი	84
დიაგრამა 3-4:	სამპიროვანი ღმერთი და ეკლესია	88
დიაგრამა 3-5:	ადამიანისა და სოციალური წყობის განუყოფლობა	100
დიაგრამა 3-6:	ღვთის სასუფევლის სახარება: ყოფნა, ქადაგება, განკურნება და გათავისუფლება	111
დიაგრამა 4-1:	ქრისტიანების მიერ ღარიბების მოაზრება	119
დიაგრამა 4-2:	ოჯახები სიღარიბის ხაფანგში	127
დიაგრამა 4-3:	ოჯახის სასიცოცხლო სივრცე და სოციალური პრაქტიკის ოთხი სფერო	131
დიაგრამა 4-4:	სოციალური უფლებამოსილების ოთხი ასპექტი და ღარიბი ოჯახები	132
დიაგრამა 4-5:	სიღარიბე როგორც პირადი კეთილდღეობისა და ურთიერთობების ხელშემშლელი ფაქტორი	135
დიაგრამა 4-6:	სიღარიბე როგორც უფლებამოსილების დაკარგვა	136
დიაგრამა 4-7:	“ღმერთის კომპლექსი,” რომელიც ღარიბების უფლებამოსილებას ზღუდავს	138

დიაგრამა 4-8:	უფლებამოსილების დაკარგვის თემა ინდუსთა რელიგიურ სისტემებში	142
დიაგრამა 4-9:	სიცრუის ყოვლისმომცველი ქსელი	144
დიაგრამა 4-10:	სიღარიბე როგორც თავისუფლებისა და ზრდის შესაძლებლობების შეზღუდვა	145
დიაგრამა 4-11:	რანაირად ახდენს სიღარიბის მიზეზები საპასუხო ზომების ფორმირებაზე ზეგავლენას	147
დიაგრამა 4-12:	საჭიროებებიდან მიზეზებამდე	148
დიაგრამა 4-13:	უარყოფითი სტერეოტიპების შექმნის დინამიკა	151
დიაგრამა 4-14:	ჩაგვრისა და შელახული იდენტობის დინამიკა	153
დიაგრამა 4-15:	თემის წევრებისა და ექსპერტების თვალსაზრისში არსებული სხვაობა	155
დიაგრამა 4-16:	სიღარიბის, როგორც არაეფექტური ურთერთობების, ინტერპრეტაცია	159
დიაგრამა 4-17:	შეძლებულთა სიცრუის ქსელი	163
დიაგრამა 5-1:	ტრანსფორმაცია: საიდან, საითკენ?	168
დიაგრამა 5-2:	განვითარების ორი კონცეფცია	171
დიაგრამა 5-3:	განვითარების ზომების კორტენისეული ტიპოლოგია	173
დიაგრამა 5-4:	ტრანსფორმაცია როგორც სოციალური უფლებამოსილების საზღვრების გაფართოება	176
დიაგრამა 5-5:	ტრანსფორმაცია როგორც ოჯახების სოციალური და პოლიტიკური უფლებამოსილების გაფართოება	177
დიაგრამა 5-6:	ტრანსფორმაცია როგორც ადამიანების შესაძლებლობების განვითარება	181
დიაგრამა 5-7:	ტრანსფორმაცია როგორც კეთილდღეობის საწინდარი	183
დიაგრამა 5-8:	საბაზისო თავისუფლებები და ადამიანთა კეთილდღეობა	186
დიაგრამა 6-1:	განვითარება ბიბლიური ისტორიის კონტექსტში	194
დიაგრამა 6-2:	ღარიბებისა და შეძლებულების იდენტობა და დანიშნულება	199
დიაგრამა 6-3:	ტრანსფორმირებული ურთიერთობები	202
დიაგრამა 6-4:	განვითარების ზომების მიკრო და მაკრო დონეები	211
დიაგრამა 6-5:	ეკლესია მეტია, ვიდრე, უბრალოდ, შენობა	222
დიაგრამა 6-6:	ტრანსფორმაციული განვითარების ჩარჩო	226
დიაგრამა 7-1:	ისტორიების კონვერგენცია	230

დიაგრამა 7-2:	თემის განვითარების სამსაფეხურიანი ისტორია	232
დიაგრამა 7-3:	საზოგადოების გადარჩენის სტრატეგია	235
დიაგრამა 7-4:	კენიური გადარჩენის სისტემის ელემენტები	237
დიაგრამა 7-5:	მიმართულების შეცვლის ძიებაში	253
დიაგრამა 7-6:	ტრანსფორმაციის შინაგანი საზღვრები	257
დიაგრამა 8-1:	სწავლა შეფასების, ანგარიშგებისა და დაგეგმვის მეშვეობით (LEAP) (World Vision International)	268
დიაგრამა 8-2:	ლოგიკური ჩარჩო	269
დიაგრამა 8-3:	ჯერ ადამიანები, შემდეგ პროგრამის შემუშავება	271
დიაგრამა 8-4:	ჯერ ვალდებულებები, შემდეგ პროგრამა	272
დიაგრამა 8-5:	აქცენტის გადანაცვლება მატერიალური ასპექტებიდან ადამიანებისაკენ	275
დიაგრამა 8-6:	ანალიზის დონე გავლენას ახდენს საპასუხო ზომებზე	278
დიაგრამა 8-7:	კავშირი პრობლემებს, მიზეზებსა და საპასუხო ზომებს შორის	281
დიაგრამა 8-8:	საზოგადოების კაპიტალის ექვსი ფორმა	283
დიაგრამა 8-9:	საარსებო წყაროების მდგრადობის უზრუნველყოფა	284
დიაგრამა 8-10:	RRA და PLA მიდგომების შედარება	287
დიაგრამა 8-11:	PLA ინსტრუმენტების პაკეტი	289
დიაგრამა 8-12:	პრობლემების გადაჭრის მიდგომების შედარება შემეცნებითი კვლევის მეთოდთან	292
დიაგრამა 8-13:	შემეცნებითი კვლევის მეშვეობით კონცეპტუალური მიდგომების შემუშავება	293
დიაგრამა 8-14:	სიახლეების თემებში დანერგვა	297
დიაგრამა 8-15:	განვითარების პროგრამის შეფასება	301
დიაგრამა 8-16:	პროგრამაზე პასუხიმსგებლობის თემისათვის გადაცემის სტრატეგიული ელემენტები	304
დიაგრამა 8-17:	პროგრამაზე პასუხიმსგებლობის თემისათვის გადაცემის სტრატეგიული ელემენტები	307
დიაგრამა 8-18:	ადვოკატირება და საარსებო წყაროების დაცულობის უზრუნველყოფა	308
დიაგრამა 8-19:	ვინ აკონტროლებს სიტუაციას?	316
დიაგრამა 8-20:	რა ახდენს ზეგავლენას ბედისწერაზე? მატერიალური და სულიერი მიზეზები	317

დიაგრამა 9-1:	მექანიკური სისტემების დაგეგმვასა და კომპლექსური სოციალური სისტემების დაგეგმვას შორის არსებული განსხვავებები	324
დიაგრამა 9-2:	ორი მიდგომის შედარება წარმატებულობის თვალსაზრისით	328
დიაგრამა 9-3:	ტრადიციული შეფასებისა და მონაწილეობითი შეფასების შედარება	329
დიაგრამა 9-4:	აქცენტის გადატანა გრძლევადიანი შედეგების შეფასებაზე	331
დიაგრამა 9-5:	ღირებულებები, რომლებსაც უფლის სასუფევლისაკენ მივყავართ	334
დიაგრამა 9-6:	ურთიერთობებში მომხდარი ცვლილებების შეფასება	335
დიაგრამა 9-7:	ერთგვაროვანი მიდგომა ჰოლისტიკური შეფასებისადმი	339
დიაგრამა 9-8:	ტრანსფორმაციული განვითარების ინდიკატორები	340
დიაგრამა 9-9:	სახარებისადმი დამოკიდებულება და მისი არსის შეცნობა	342
დიაგრამა 9-10:	დამოკიდებულება ქრისტიანებისა და ეკლესიისადმი	343
დიაგრამა 9-11:	ვისი დამსახურებაა პოზიტიური ცვლილებები?	345
დიაგრამა 10-1:	პასტორალური წრე	375
დიაგრამა 10-2:	ბიბლიის შესწავლა	376
დიაგრამა 10-3:	შვიდი ნაბიჯი	379
დიაგრამა 10-4:	ერთმანეთის დახმარება მსოფლმხედველობის ტრანსფორმაციის მისაღწევად	386
დიაგრამა 10-5:	მსოფლმხედველობის სრული კონვერსია	388

წინასიტყვაობა

პოლ გ. ჰიბერტი

წინამდებარე ნაშრომი არის საუკეთესო ნიმუში ქრისტიანობასთან დაკავშირებული მოსაზრებების ინტეგრაციისა და მათი პრაქტიკაში გატარების მეთოდების შემოთავაზების თვალსაზრისით. ავტორი თავის ნაშრომზე მუშაობისას ემყარებოდა აღიარებულ და მეცნიერულად დასაბუთებულ სანდო წყაროებს, რომლებიც საზოგადოებაში ცვლილებების დანერგვის საკითხს ეძღვნება. წიგნზე მუშაობის პროცესში გათვალისწინებულია მსოფლიო მასშტაბით არსებული განვითარებისაკენ მიმართული პრაქტიკული გამოცდილება და დასკვნები. ავტორის მიერ შემოთავაზებული ფუნდამენტური თეორიული სტრუქტურა მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს დასავლურ მსოფლმხედველობაში ფართოდ გავრცელებულ ბუნებრივ სულიერ დუალიზმზე და მის ნაცვლად გვთავაზობს თანმიმდევრულ ბიბლიურ მსოფლმხედველობას. ავტორი გვანახებს, თუ როგორ შეიძლება ქრისტიანული აზრის გავრცელება ტრანსფორმაციული განვითარების დანერგვის გზით, რომელიც ღრმა და მდგრად ტრანსფორმაციას უწყობს ხელს.

მაიერსი აქცენტს აკეთებს ურთიერთობებსა და ისტორიებზე, რომლებიც რეალურად გვეხმარება ჰოლისტიკური* მიდგომების ჩამოყალიბებაში ქრისტიანობის ქადაგებასთან დაკავშირებით. მოცემული მიდგომა აერთიანებს ადამიანებს და კომუნიკაციისა და ურთიერთგაგების დამყარებაში გვეხმარება, მაშინ როდესაც აბსტრაქტული ანალიტიკური კატეგორიები ხშირად ადამიანთა დაშორიშორებას იწვევს. მაიერსი შეგვახსენებს, რომ ქრისტიანთა ცხოვრება და ურთიერთობები ღვთის ძალისა და ყოვლისშემძლეობის ყველაზე უფრო ურყევი დასაბუთებაა. ამით მაიერსი კიდევ ერთხელ დაგვანახებს, რომ ისინი, ვინც ემსახურებიან და ისინი, ვისაც ემსახურებიან, ქრისტიანული ქადაგებისადმი ასეთი მიდგომების გაცნობის შედეგად სულიერად იზრდებიან.

წიგნი განკუთვნილია იმ ადამიანებისთვის, რომლებიც ქრისტესმიერი განვითარების პროგრამების განხორციელებაში მონაწილეობენ. იგი დაეხმარება მათ, ახლებურად გაიაზრონ ჰოლისტიკური მიდგომა. წიგნი, გარკვეულწილად, სახელმძღვანელო დირექტივების ფუნქციას ასრულებს განვითარების ახლებური გზით განხორციელებისათვის. მისი მნიშვნელობა ყველა იმ ადამიანისთვის, რომელიც ღვთის საქმეს ემსხურება, უაღრესად დიდია. ქადაგებისა

* მთლიანური, კომპლექსური (რედაქტ.)

და ახალი მრევლის მოზიდვის პროცესში ჩვენ ღვთის ტრანსფორმაციულ ძალას მხოლოდ სულიერი რეალობის ჭრილში განვიხილავთ ხოლმე და მიწიერ ასპექტებს მეცნიერებისა და ტექნოლოგიების სფეროს მივაკუთვნებთ. შედეგად ვიღებთ „შიზოფრენიულ“ ქრისტიანობას, რომელიც ადამიანთა ცხოვრების ყოველდღიურ ასპექტებს მხოლოდ საერო სფეროს მიაკუთვნებს, ხოლო ღმერთს მხოლოდ მარადიულ ასპექტებთან აკავშირებს.

იმედს გამოვთქვამ, რომ მკითხველისთვის ყველაზე საინტერესო ის იქნება, თუ რა გამოწვევას აყალიბებს ავტორი ჩვენი გარდატეხილი (შეცვლილი) მსოფლმხედველობისა და მწრამსის საპირისპიროდ, რომელმაც დაგვაბრმავა და რის გამოც დავკარგეთ ნათელი წარმოდგენა იმის თაობაზე, თუ რას ნიშნავს იცხოვრო, როგორც ქრისტეს მიმდევარმა და მსახურმა, როდესაც სამყარო ასეთ გასაჭირშია. ასეთი გამოწვევა უაღრესად ღირებულია, რადგანაც იგი გვეხმარება განვიცადოთ რადიკალური ტრანსფორმაცია, ახლებურად ვიცხოვროთ და ვიქადაგოთ.

მადლიერების ნიშნად

წინამდებარე გამოცემა წარმოადგენს ჩემი ნაშრომის მეორე გამოცემას, რასთან დაკავშირებითაც მადლობა მინდა გადავუხადო ჩემს მკითხველს. როდესაც წიგნის პირველ გამოცემაზე ვმუშაობდი, დარწმუნებული ვიყავი, რომ ჩემი მეუღლე და დედაჩემი წაიკითხავდნენ ჩემს წიგნს, თუმცა არ ვიცოდი, თუ რამდენად მისაღები იქნებოდა იგი ფართო აუდიტორიისათვის. სასიამოვნოდ გაოცებული დავრჩი მკითხველების წერილებითა და მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში რელიგიურ სფეროში მოღვაწე ადამიანების გამოხმაურებებით, რომელთა აზრით, ჩემი წიგნი უაღრესად სასარგებლო აღმოჩნდა მათთვის. ასევე, მადლობელი ვარ იმ ადამიანებისა, რომლებმაც თავიანთი დრო და ენერგია დაუთმეს ჩემი ნაშრომის კორეულ, ტაივანურ, ესპანურ, პორტუგალიურ და არაბულ ენებზე თარგმნას. ფილიპინებზე წიგნის უფრო იაფი გამოცემა მომზადდა, რათა მისი სამხრეთში გავრცელება გამხდარიყო შესაძლებელი. დიდი მადლიერებით მინდა მოვიხსენიო საეკლესიო თუ საერო უნივერსიტეტების პროფესორები, სემინარიები და ქრისტიანული სკოლები, რომლებმაც სასწავლო პროცესში ჩემი წიგნი ჩართეს. ასეთი მხარდაჭერისა და წახალისების გარეშე წიგნის მეორე გამოცემაზე მუშაობა არ იქნებოდა საინტერესო.

წინაპირობები

წინამდებარე ნაშრომის მსგავსი წიგნები არასოდეს არ არის მხოლოდ ერთი ავტორის მუშაობის შედეგი. ისინი ცხოვრების განმავლობაში არსებული ურთიერთობების ზეგავლენითა და სხვა ავტორების მასალების შესწავლის შედეგად იქმნება. სწორედ ისეთ ინფორმაციებზე დაყრდნობით ცდილობს ესა თუ ის ავტორი, თავი მოუყაროს და ჩამოაყალიბოს თავისი მოსაზრებები, რათა მისი ნაშრომი მკითხველისათვის ღირებული იყოს. ჩემს შემთხვევაშიც ასეა. ჩემი ნაშრომი შეიქმნა სინთეზის, სხვადასხვა ასპექტის გაერთიანებისა და ამ ასპექტების ფართო ჩარჩოში მოქცევის გზით. მე ვსწავლობ საზოგადოებისაგან, ვუსმენ სხვებს, ვკითხულობ ბევრს, ხალისით ვახორციელებ იდეების შეჯერებას, რადგან ვიცი, რომ დადგება მომენტი, როდესაც დანაწევრებული და თითქოს შეუთავსებელი კონცეფციები ერთ მწყობრ ჩარჩოში მოექცევა. მიუხედავდ ამისა, აღსანიშნავია, რომ კონცეფციების მხოლოდ მცირე ნაწილი არის ჩემეული, ხოლო უმეტესობა სხვა ადამიანების ფასდაუდებელი მუშაობის შედეგია. მე, შესაძლოა, დავხვეწო ან განვავრცო მათი იდეები, თუმცა ყოველთვის ვიწყებ ანალიზს სხვა ადამიანების ნააზრევზე დაყდნობით. სწორედ ამიტომ მიმაჩნია, რომ მნიშვნელოვანია, ჩემი ნაშრომი სხვა ადამიანების ღვაწლის დაფასებითა და მადლობის გამოხატვით დავიწყო.

იდეების წარმოქმნა

წინამდებარე წიგნი იდეების ორ წყებას ეყრდნობა: პოლ ჰიბერტის დასავლური მსოფლმხედველობის აღწერას და მის შუალედური ალბათობის გამორიცხვის პრინციპს (მესამე გზა ანუ შუალედური ალბათობა შეუძლებელია) და ჯაიაკუმარ ქრისტიანის სიღარიბის ინტერპრეტაციას. მათი მიზანი არ არის კეთილდღეობის მიღწევა და არ იზიარებენ თვალსაზრისს, რომ სიღარიბის გამომწვევი მიზეზები, ძირითადად, სულიერი ხასიათისაა. მადლობას ვუხდი ამ ორ ადამიანს იმ დახმარებისა და რჩევებისთვის, რომლებსაც ისინი წლების განმავლობაში მაწვდიდნენ.

პოლ ჰიბერტი ინდოეთში მიღებულ გმოცდილებაზე დაყრდნობით ორ მნიშვნელოვან იდეამდე მივიდა, რომლებიც ჩემთვისაც და ქრისტიანული მისიონერობის სფეროში მოღვაწე სხვა ადამიანებისთვისაც უაღრესად სასარგებლოა. პირველი მდგომარეობს დასავლური მსოფლმხედველობის ფორმულირებაში. მისეული ინტერპრეტაციით, ეს მსოფლმხედველობა ორ სფეროს მოიცავს — მატერიალურსა და სულიერს, ხოლო ამ ორ სფეროს შორის სიცარიელეა, ანუ "შუალედური ალბათობა" დაუშვებელია. ამ იდეების შერწყმა ლესლი ნიუბიგინის იდეებთან მთელი რიგი დიქოტომიების ახსნის საშუალებას იძლევა, რომელთა გაგება საკმაოდ უჭირთ დასავლელ ქრისტიანებს. ესენია: რწმენა და მისი დასაბუთება, ევანგელიზაცია და განვითარება, ეკლესია და სახელმწიფო, ფასეულობები და ფაქტები. მოცემული დიქოტომიები სერიოზულ დაბრკოლებას წარმოადგენს ადამიანთა ტრანსფორმაციასთან დაკავშირებით ნამდვილი ჰოლისტიკური ქრისტიანული მიდგომების შესამუშავებლად.

ჰიბერტის მეორე მნიშვნელოვანი იდეა ისაა, რომ დასავლური მსოფლმხედველობა დაყოფილია სულიერ და მატერიალურ სფეროებად და მას კონკრეტული ზეგავლენა აქვს ტრადიციული კულტურების ჰოლისტიკურ და სულიერ მსოფლმხედველობაზე. ისინი, მათ შორის მეც, ვინც დასავლური მსოფლმხედველობის მატარებელია, მიიჩნევენ, რომ მიზეზ-შედეგობრივი კავშირები მატერიალურ სფეროს მიეკუთვნება. ჩვენგან განსხვავებით, ტრადიციული კულტურების წარმომადგენლების აზრით, მიზეზი ღმერთისა და სულების უხილავ სამყაროში უნდა ვეძებოთ. "დასავლურ მსოფლმხედველობაში შუალედის" არარსებობა ნიშნავს, რომ ჩვენ არ შეგვწევს უნარი, გავლენა მოვახდინოთ ტრადიციული კულტურების ამ უაღრესად მნიშვნელოვან "შუალედურ" ასპექტზე. ამ ჩარჩოს ბევრი რამის ახსნა შეუძლია განვითარების სფეროში დასაქმებული ადამიანების მუშაობაზე, მათ ხელთ არსებულ ინსტრუმენტებსა და ტექნოლოგიურ ინტერვენციებზე, ან ქრისტიანობის მოქადაგეების წვლილზე განვითარებაში.

ჯაიაკუმარ ქრისტიანი World Vision-ის წარმომადგენელია. ჩვენ 20 წლის მეგობრობა გვაკავშირებს. ჯაიაკუმარმა სიღარიბის არსსა და გამომწვევი მიზეზების თაობაზე მთელი რიგი იდეები განავითარა და შემოგვთავაზა დეფინიციები, რომლებიც არსებითად განსხვავდება იმ ტრადიციული მოსაზრებებისა და დეფინიციებისაგან, რომლებიც სიღარიბის თაობაზე დისკუსიების პროცესში დომინირებს. თავის სადოქტორო ნაშრომში ჯაიაკუმარმა წამოაყენა იდეა, რომლის შესაბამისად სიღარიბე ადამიანთა თვითშეფასებას აკნინებს, რაც განპირობებულია როგორც სიდუხჭირით, ასევე შეძლებულთა მათდამი დამოკიდებულებით და აგრეთვე არაღარიბთა ღმერთ-კომპლექსების

ტყვეობაში ყოფნით. მიმაჩნია, რომ მისი იდეები უაღრესად საინტერესოა და მთელი რიგი ახალი იდეების წარმოქმნას უწყობს ხელს. ეს იდეები წარმოადგენს პლატფორმას, რომელზე დაყრდნობითაც ქრისტიანების მიერ ქმნილი ტრანსფორმაციული განვითარების ჩემეული გაგება ჩამოვაყალიბე.

ჩემს ნაშრომში ჯაიაკუმარის იდეებს საკმაოდ ხშირად ვიყენებ. საბოლოოდ მივდივარ იმ იდეამდე, რომ ვინმეს მიერ ღმერთის როლის შესრულება ღარიბთა ცხოვრებაში ამახინჯებს ღარიბის იდენტობასა და თვითშეფასებას. დავუმატებდი, რომ ეს შეძლებულ იდენტობასაც ამახინჯებს. არ შეიძლება, რომ მათ ღმერთის როლი შეასრულონ და თან შეინარჩუნონ მეობა ღვთის წინაშე. ჯაიაკუმარის აზრით, ტრანსფორმაცია გულისხმობს, დაეხმარო გასაჭირში მყოფს, რომ მან თავისი იდენტობა დაიბრუნოს. ამ იდეას დავამატებდი, რომ, ჩემი აზრით, პროფესია ან მოწოდებაც ამ იდენტობის, ანუ მეობის, ნაწილია. ბიბლიური გაგებით, ჩვენი იდენტობა აერთიანებს იმას, რაც ვართ და იმას, რასაც ვაკეთებთ. ღარიბებსაც და შეძლებულებსაც სჭირდებათ ღვთის მიმტევებელობა და დახმარება, რათა, როგორც ღვთის შვილებმა, თავიანთი იდენტობა დაიბრუნონ და თავიანთი ნაყოფიერი საქმიანობით წვლილი შეიტანონ საზოგადოების კეთილდღეობაში.

აბრევიატურები და აკრონიმები

ADP	ტერიტორიის განვითარების პროგრამა (World Vision)
AI	გაცნობიერებული კვლევა
ARVIN	რესურსები, ხმა, ინფორმაცია და მოლაპარაკებები
CA	*Centesimus annus*
CBPM	თემებზე დაფუძნებული შესრულების მონიტორინგი
CV	*Caritas in veritate*
DEEDS	განათლების პროგრამები განვითარებისთვის (ინდოეთი)
DFID	საერთაშორისო განვითარების დეპარტამენტი (გაერთიანებული სამეფო)
DME	დიზაინი, მონიტორინგი, შეფასება
EFICOR	ინდოეთის ხსნის კომიტეტის ევანგელური საგანმანათლებლო საზოგადოება
EN	*Evangelii nuntiandi*
GDP	მთლიანი შიდა პროდუქტი
HDI	ადამიანური განვითარების ინდექსი
IDS	საერთაშორისო განვითარების ასოციაცია (გაერთიანებული სამეფო)
IMF	საერთაშორისო სავალუტო ფონდი
INTRAC	საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაცია “სასწავლო და საგანმანათლებლო ცენტრი” (გაერთიანებული სამეფო)
J-PAL	ჯამელის სიღარიბის შემცირების ლაბორატორია (MIT)
LEAP	სწავლა შეფასების, ანგარიშგებისა და დაგეგმვის მეშვეობით (World Vision)
MDG	ათასწლეულის განვითარების მიზნები (UNDP)
MSC	ყველაზე არსებითი ცვლილება

NGO	არასამთავრობო ორგანიზაცია
PD	პოზიტიური გადახრა
PLA	მონაწილეობითი სწავლება და ზომების გატარება
PP	*Populorum progressio*
PRA	რეგიონების მონაწილეობითი შეფასება
PRSP	სიღარიბის შემცირების სტრატეგიული დოკუმენტი (მსოფლიო ბანკი)
QA	*Quadragesimo anno*
RN	*Rerum novarum*
SRS	*Sollicitudo rei socialis*
TDI	ტრანსფორმაციული განვითარების ინდიკატორები
UNDP	გაეროს განვითარების პროგრამა
USAID US	საერთაშორისო განვითარების სააგენტო
WTO	მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია

1

კურსის დასახვა

დასაბამი

წინამდებარე წიგნის მიზანია ტრანსფორმაციული განვითარების პრინციპებისა და პრაქტიკის ჩამოყალიბება და განმარტება (პოზიტიური მასალა, სოციალური და სულიერი ცვლილებები) ქრისტიანული პერსპექტივიდან. ჩემი მიზანი იყო აზრისა და გამოცდილების სამი ძირითადი მიმართულების დაახლოება და შეჯერება. საერთაშორისო განვითარების სფეროში მოღვაწე ორგანიზაციების მოწინავე პრინციპები და პრაქტიკა უნდა ინტეგრირდეს იმ არასამთავრობო ორგანიზაციების გამოცდილებასა და პრაქტიკასთან, რომლებიც ქრისტიანული დახმარებისა და განვითარების საკითხებზე მუშაობენ. შემდეგ გამოცდილების ეს ორი მიმართულება ტრანსფორმაციული განვითარების თეოლოგიურ ჩარჩოსთან უნდა მიესადაგოს.

წიგნის მთელ მანძილზე ვეცდები, თვალი დავუსწორო იმ გამოწვევებს, რომლებიც დასავლური მსოფლმხედველობის შედეგად წარმოიშვა და, რომლის შესაბამისად, სულიერი და ფიზიკური სამყარო მკვეთრადაა გამიჯნული ერთმანეთისაგან. მოცემულმა ვარაუდმა ინტელექტუალური კვლევების თითქმის ყველა სფერო მოიცვა, მათ შორის განვითარების თეორია და პრაქტიკა და კიდევ, ქრისტიანული თეოლოგია. შევეცდები, მოვიძიო და წარმოვაჩინო განვითარების არსი, როგორც ფიზიკური, სულიერი და სოციალური ასპექტების ერთობლიობის კავშირი.

წარმომავლობა

მიმართულება, რომელიც მოცემულ წიგნშია აღწერილი, 1975 წლიდან იღებს დასაბამს, როდესაც World Vision-მა განვითარების პროგრამის გრანტი მიიღო აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოსაგან (USAID) World Vision-ის დახმარებისა და განვითარების მისიის ჩამოყალიბების მიზნით. პირველ ეტაპზე მეც ამ მიზნით შექმნილი გუნდის წევრი ვიყავი. ჩვენ ვაშინგტონში ჩავედით და სამდღიანი კურსი გავიარეთ განვითარების დაგეგმვის საკითხებზე, ხოლო შემდეგ აზიაში გავემგზავრეთ, რომ World Vision-ის შვიდ ოფისს დავხმარებოდით განვითარების პირველადი პროგრამების დაგეგმვისა და განხორციელების სფეროში. ღმერთმა მოგვიტევოს ჩვენი ცოდვები.

1970-იანი წლები და 1980-იანი წლების დასაწყისი უაღრესად საინტერესო იყო ქრისტიანული დახმარებისა და განვითარების სააგენტოებისათვის. ეს იყო დრო, როცა ევანგელისტებს შორის გაცხოველებული დებატები და ურთიერთსაწინააღმდგო აზრების ჭიდილი მიმდინარეობდა, რამდენად უნდა იყვნენ ჩართულები ბიბლიის მოქადაგე ქრისტიანები განვითარების პროცესებში. ზოგი იმ აზრს ემხრობოდა, რომ სოციალური მოტივების ჩართვა ქრისტიანული საქმიანობის დღის წესრიგში უარყოფითად აისახებოდა ეკლესიისათვის მინდობილი ევანგელური ვალდებულებების შესრულებაზე. მათი ძირითადი არგუმენტი ის იყო, რომ [ეკლესიაში] ევანგელიზაცია არის უპირველესი და უმთავრესი. თანამედროვე პოზიციამ, რომლის თანახმად სულიერი და მატერიალური ერთმანეთისაგან გამიჯნულია, ღრმად მოიკიდა ფეხი ქრისტიანულ მისიონერობაში.

მთელი ამ პერიოდის განმავლობაში World Vision-ის ყველა თანამშრომელსა და წარმომადგენელს კარგად ჰქონდა გაცნობიერებული, რომ ჭეშმარიტად ქრისტიანული ორგანიზაციის განვითარების პროგრამები ჰოლისტიკური უნდა იყოს, რაშიც იგულისხმება, რომ განვითარება და ქრისტიანული წესით ცხოვრება და მოღვაწეობა ერთად უნდა მოიაზრებოდეს, მიუხედავად მათი გარკვეული ურთიერთწინააღმდეგობისა. ჩვენი მოღვაწეობის ადრეულ პერიოდში განვითარების პროგრამებისა და ქრისტიანული მოღვაწეობის სინერგიის არსი ზედაპირულად და არასწორად გვესმოდა – ქრისტიანულ მიდგომებს უნდა შეევსო და დაეხვეწა განვითარების პროგრამები.

დროთა განმავლობაში ამ კონცეფციის ნაკლოვანებები გავაცნობიერეთ. ასეთი მიდგომა გულისხმობდა, რომ განვითარების ყველა სხვა სექტორს არაფერი ჰქონდა საერთო სულიერ ასპექტებთან და ჩვენც სულიერ სფეროში მოღვაწეობას ცხოვრების ცალკე სექტორად განვიხილავდით. ეს ნიშნავდა, რომ ყველა თემში, რომლებშიც ვცდილობდით, რომ ქრისტიანული რწმენის სამაგალითო მიმდევრები ვყოფილიყავით, ჩვენ, ფაქტობრივად, თავად ვადასტურებდით მოსაზრებას, რომ მატერიალური და სულიერი სამყაროები გამიჯნულია და ერთმანეთთან კავშირში არ არის. ჩვენმა სურვილმა, გავცდენოდით ამ თანამედროვე ვარაუდს, მიგვიყვანა თეოლოგიისა და განვითარების მსოფლმხედველობის შესწავლამდე და მათ ახლებურად გააზრებამდე.

1990-იანი წლები პროფესიონალიზმის ძიების ათწლეული იყო. მხოლოდ კეთილი განზრახვა აღარ იყო საკმარისი. ღარიბები უფრო მეტს იმსახურებდნენ, ვიდრე მათთვის შეეძლოთ შეეთავაზებინათ ნიჭიერ არაპროფესიონალებს, რომლებსაც კეთილი გული და დახმარების დიდი სურვილი ჰქონდათ. მსოფლიომ იმ პერიოდისათვის უკვე მეტი იცოდა განვითარების თაობაზე და ქრისტიანულ ორგანიზაციებს ეს გამოცდილება უნდა გაეთვალისწინებინათ. ჩვენ დავიწყეთ სოციალური მეცნიერებების სწავლება და ჩვენი პერსონალი ინგლისში, კანადასა და აშშ-ში მივავლინეთ განვითარების ცენტრებში სასწავლებლად.

წიგნის “ღარიბების მხარდამხარ” პირველი ვერსია 1998 წელს დაიწერა. მას შემდეგ 3 წელი გავიდა. ბევრი რამ შეიცვალა იმ პერიოდთან შედარებით, როდესაც პირველად წამოვიწყეთ მუშაობა “განვითარების” ხელშეწყობის მიმართულებით. მას შემდეგ ბევრი რამ ვისწავლეთ. ჩვენ უკვე დიდი ხნის მეგობრები ვიყავით და წარმატებასაც და წარუმატებლობასაც ერთმანეთს ვუზიარებდით. ასობით სემინარი ჩატარდა, ბევრი ნაშრომი დაიწერა. მტვრიან

გზებზე ათასობით საათის მოგზაურობისა თუ უსახური სასტუმროების სასადილოების მაგიდებთან ჯდომისას ხანგრძლივი და გაცხარებული დისკუსიები იმართებოდა და აღმოჩენებიც კეთდებოდა. ეს ნააზრევი სრულად აისახა წიგნის პირველ გამოცემაში.

ახლა 2011 წელია. 5 წლის წინ დავტოვე World Vision-ი და ფულერის თეოლოგიური სემინარიის კულტურათაშორისი კვლევების სკოლის პროფესორი გავხდი საერთაშორისო განვითარების სფეროში, თუმცა დღესაც ვინარჩუნებ კავშირებს ჩემს მეგობრებთან და კოლეგებთან World Vision-იდან და განვაგრძობ მრავალრიცხოვანი ანგარიშის, ნაშრომისა და შეფასების თვალყურის დევნებას. დროდადრო საკონსულტაციო საქმიანობასაც ვეწევი. მიუხედავად ამისა, უნდა აღინიშნოს, რომ ჩემთვის ახალი იდეებისა და მასალების წყაროს განვითარების სფეროს კვლევები წარმოადგენს, რაც საერთაშორისო განვითარების სფეროში მომუშავე ორგანიზაციების პროფესიონალიზმის ზრდით არის განპირობებული, რომელიც განსაკუთრებით გაძლიერდა 1990-იანი წლებიდან. დღეს მისაწვდომია ათასობით აკადემიური გამოცემა, არსებობს განვითარების სფეროს კვლევის სკოლები, მრავალი სამეცნიერო კვლევა, შეფასება, განვითარების სააგენტოების ვებგვერდებზე გამოქვეყნებული ემპირიული კვლევები; ევროპასა და ამერიკაში განვითარების კვლევის ცენტრები დაარსდა. ასეთი ცენტრები იქმნება, ასევე, მსოფლიო ბანკის მხარდაჭერით. იმის წყალობით, რომ უარი ვთქვი, სააგენტოს აღმასრულებელ პოსტზე დავრჩენილიყავი, და აკადემიურ სფეროში გავაგრძელე საქმიანობა, ახლა უკვე საკმარისი დრო შემიძლია დავუთმო წიგნების კითხვას. ამ ახალი მასალებისა და იდეების უდიდესი ნაწილი ამ წიგნის წინამდებარე გამოცემაში აისახა.

დეფინიციები

წიგნში მრავალჯერ იქნება გამოყენებული ტერმინი *"ტრანსფორმაციული განვითარება" და "ქრისტიანობის მიმდევარი."* მკითხველებს ალბათ მეტ სარგებელს მივუტანთ, თუკი ამთავითვე წარმოვადგენთ ამ ტერმინების დეფინიციას.

ტერმინს *"ტრანსფორმაციული განვითარება"* ტრადიციული ტერმინის, "განვითარების," ჩასანაცვლებლად ვიყენებთ. ეს ორი მიზეზითაა განპირობებული. პირველი ისაა, რომ ტერმინი *განვითარება* უაღრესად დატვირთულია მისი მოძველებული მნიშვნელობით, რომელიც ყოველთვის პოზიტიური არაა. ადამიანთა უმეტესი ნაწილი ტერმინ *განვითარებას* მოიაზრებს, როგორც მატერიალურ ან სოციალურ ცვლილებას, რომელიც მატერიალურ სამყაროში ხდება. მეორე მიზეზი ისაა, რომ ტერმინი *განვითარება* ბევრისათვის ვესტერნიზაციის ან მოდერნიზაციის სინონიმია (ესკობარი, 1995). ზოგი განვითარებას მოიაზრებს, როგორც უფრო მეტი ნივთის ქონას. განვითარების სფეროში მოღვაწე მრავალი ადამიანი, მათ შორის დასავლეთშიც, არ არის დარწმუნებული, რომ ასეთი სახის განვითარება სასიკეთოა ადამიანებისათვის ან ჩვენი პლანეტისათვის.

ტერმინს *"ტრანსფორმაციული განვითარება"* ადამიანის არსებობის ყველა სფეროში, ანუ მატერიალურ, სოციალურ, ფსიქოლოგიურ და სულიერ სფეროში პოზიტიური ცვლილებების ხელშეწყობის მნიშვნელობით ვიყენებ. ზედსართავი *"ტრანსფორმაციული"* შეგვახსენებს, რომ ადამიანთა პროგრესი არ არის გარდაუვალი მოვლენა. მის მიღწევას ძალისხმევა სჭირდება. ჩვენ

გვყავს მოწინააღმდეგე, რომელიც ცდილობს, წინ აღუდგეს ჩვენს ძალისხმევას, რომელიც ადამიანთა ცხოვრების გაუმჯობესებისკენაა მიმართული. განვითარება ყოველთვის გულისხმობს არჩევანის გაკეთებას, იმაზე უარის თქმას, რაც არ არის სასიკეთო ჩვენთვის ან ჩვენი საზოგადოებისთვის, და იმ გზის აქტიურ ძიებას, რომელიც სასიკეთოა ადამიანებისათვის. ეს ნიშნავს, რომ ჩვენ გარკვეულ რაღაცებზე უარი უნდა ვთქვათ, რათა ნამდვილად მნიშვნელოვანი და ღირებული საქმე ვაკეთოთ. ტრანსფორმაცია ჩვენი არჩევანის გადასინჯვასაც გულისხმობს.

ტრანსფორმაციული განვითარება გრძელი გზაა, პროცესი არასოდეს თავდება. ყოველთვის არის რაღაც გასაკეთებელი და დასახვეწი. ეს გზა ყველა ადამიანმა უნდა გაიაროს: ღარიბებმა, შეძლებულებმა და განვითარების სააგენტოების პერსონალმა. ტრანსფორმაციული გზით სიარული ცხოვრების შენეული გზისა და ბედნიერების ძიებას გულისხმობს. წიგნში გამოვთქვამ მოსაზრებას, რომ ტრანსფორმაციული გზით სიარული ჩვენს ნამდვილ იდენტობას დაგვანახებს, ანუ ჩვენ გავაცნობიერებთ, რომ ღვთის შვილები ვართ და მივხვდებით, რომ ჩვენი ნამდვილი მისია ადამიანებისა და მსოფლიოს სასიკეთოდ და კეთილდღეობის მისაღწევად მოღვაწეობაა.

"ქრისტიანობის მიმდევარი" - ამ ტერმინს საკმაოდ ხშირად ვიყენებ. იმისთვის, რომ უკეთესი წარმოდგენა იქონიოთ, თუ რა მნიშვნელობას ვდებ ამ ტერმინში, მინდა მოკლე მიმოხილვა შემოგთავაზოთ. ყველას სწამს რაღაცის. ჩვენი რწმენა გავლენას ახდენს იმაზე, თუ რას და როგორ ვაკეთებთ. იგივე შეეხება იმ ადამიანებს, რომლებიც ღარიბებზე ზრუნავენ და მათ დახმარებას ცდილობენ. ეს იდეოლოგიური კონცეფცია რწმენასთანაა მიბმული, მიუხედავად იმისა, ეს რწმენა ქრისტიანულია, მუსლიმური, ბუდისტური, აგნოსტიკური თუ ათეისტური. ეს ძირითადი ფასეულობები და მრწამსი გვეხმარება გავაცნობიეროთ, ვინ ვართ და რისთვის ვართ ქვეყნიერებაზე მოვლენილი. სწორედ ეს საბაზისო პრინციპები ახდენს ჩვენი აზროვნების ფორმირებას და გვაჩვენებს, თუ როგორია უკეთესი მომავალი და რა უნდა გავაკეთოთ, რომ ამ მიზანს მივაღწიოთ.

მე ქრისტიანი ვარ და 30 წელზე მეტია, რაც განვითარების სფეროში ვმოღვაწეობ სხვა ქრისტიანებთან ერთად. ჩემი ქრისტიანული იდენტობა და რწმენის ჩემეული გაგება ახდენს ზეგავლენას ჩემს თვალსაზრისზე განვითარების შესახებ, - მისი მიღწევის საშუალებების შესახებ. ამ საშუალებების გაცნობიერებაში მეხმარება რწმენა, რომ ჩემი ყველაზე დიდი მიღწევა იმის გაცნობიერებაა, რომ ღმერთმა თავისი ძის მეშვეობით ყველა ადამიანს ღმერთთან ზიარების საშუალება მისცა. ჩვენ, უბრალოდ, ღვთის მიერ ბოძებული ეს შესაძლებლობა უნდა გამოვიყენოთ. მინდა, რომ ეს აზრი სხვებსაც გავუზიარო, რათა მათაც გაიაზრონ ჭეშმარიტება, რომელთანაც ღმერთმა მიმიყვანა. ტერმინს *"ქრისტიანობის ქადაგება"* ვიყენებ, რათა დავადასტურო: სიყვარულის გამო გადავწყვიტე, სხვაც ვაზიარო ამ ჭეშმარიტებას.

ტერმინი *"ქრისტიანობის ქადაგება"* შეგნებულად ავირჩიე ევანგელიზაციის ნაცვლად, რაც რამდენიმე მიზეზით არის განპირობებული. პირველ რიგში, ტერმინ *"განვითარების"* მსგავსად, ტერმინი *"ევანგელიზმიც"* ძველი მნიშვნელობითაა დატვირთული. ადამიანს მაშინვე თვალწინ წარმოუდგებიან ქუჩაში მეგაფონებით ხმამაღლა მოქადაგე ევანგელისტები, ან სტადიონებზე ათასობით ადამიანის წინაშე იმავე ადამიანების შეგონების იდეით შეპყრობილი მოქადაგე ევანგელისტები. არც ერთი მათგანი არ შეესაბამება ტრანსფორმაცი-

ული განვითარების ფარგლებში მოაზრებულ მოქადაგეებს. მეორე მიზეზი ისაა, რომ *ევანგელიზმი* უფრო შეზღუდული მნიშვნელობით გამოიყენება და იგი იესო ქრისტეს სახარების სიტყვიერ გადმოცემასა და პოპულარიზაციას გულისხმობს. მე მჭირდებოდა ტერმინი, რომელიც გულისხმობს ქადაგებას, მაგრამ არ შემოიფარგლება მხოლოდ ამით.

ქრისტიანობის მქადაგებელში მე მოვიაზრებ, ასევე, იესოს მიმდევრის მიერ მაგალითის მიცემას თავისი ცხოვრებით, სიტყვითა და საქმით. როდესაც ვსაუბრობ *ცხოვრებით* მაგალითის მიცემაზე, ვგულისხმობ, რომ ქრისტიან ადამიანს თავისი ცხოვრების წესით სხვისთვის გარკვეული გზავნილის მიწოდება სურს. ჩვენ ბიბლიის 67-ე წიგნი ვართ. ადამიანები კითხულობენ ჩვენი ცხოვრებისა და საქმეების შესახებ და უსმენენ ჩვენს სიტყვას, რაც ეხმარება მათ, გაიაზრონ, თუ რას ნიშნავს, იყო ქრისტიანი. როდესაც ვამბობ, რომ ჩვენ *სიტყვით* ვაძლევთ მაგალითს, ვგულისხმობ, რომ ადამიანებს სურვილი აქვთ განუმარტონ სხვას, თუ რას გვეუბნება სახარება და მოუწოდონ სხვა ადამიანებს, რომ სახარება მათაც მოიტანონ გულთან. როდესაც *საქმით* მაგალითის მიცემაზე ვსაუბრობ, ვგულისხმობ, რომ ქრისტიანული რწმენის საუკეთესო გამოვლინება ცოცხალი სარწმუნოიბაა. ეს სარწმუნოება ჩართულია სამყაროს ცხოვრებაში და მიისწრაფის, რომ დაეხმაროს ადამიანებს ცხოვრების გაუმჯობესებასა და ცხოვრებით ტკბობაში.

აქ ერთ მნიშვნელოვან ნიუანსზე უნდა გავამახვილოთ ყურადღება. არ არსებობს სიტუაცია, როდესაც ქრისტიანობა არ უნდა იქადაგო. ქრისტიანული განვითარების მხარდამჭერები მუდმივად ქადაგებენ და ღვთის მოწმეებად გამოდიან. ერთადერთი კითხვა, რომელიც ამ შემთხვევაში იბადება, არის შემდეგი: ვის წინაშე ქადაგებენ ან რას ქადაგებენ ისინი? მათი საქმეები (ის, რასაც ისინი აკეთებენ და ის, თუ როგორ აკეთებენ) ნათელი დასტურია იმისა, თუ რისი ან ვისი სწამთ მათ და რომ ქრისტეს მიმდევრები მორალურ თანხმობაში არიან თავიანთ რწმენასთან; რომ მათი ცხოვრების წესი იმის დემონსტრაციაა, თუ ვინ უყვართ და ვისზე არიან დამოკიდებულნი. თუ ისინი ნამდვილად ისეთი ცხოვრებით ცხოვრობენ, რომელიც ადასტურებს, რომ მათ ღმერთი და მოყვასი უყვართ, მაშინ ჩვენც ადვილად შევძლებთ, რომ სახარებაში პასუხი ნებისმიერ კითხვაზე ვიპოვოთ. ამ ადამიანების ქადაგება პასუხს გასცემს დასმულ შეკითხვებს.

თანამედროვე მსოფლმხედველობასთან დაკავშირებული პრობლემები

ზემოთ უკვე ვახსენე, რომ დროის გარკვეულ ისტორიულ მონაკვეთში დასავლეთში გავრცელებული იყო აზრი, რომ სულიერი და მატერიალური სფეროები ერთმანეთისგან სრულიად გამიჯნულია. ეს დომინანტური იდეა ინტელექტუალური კვლევებისა და განვითარების თეორიისა და პრაქტიკის ყველა სფეროში იყო გაბატონებული, რის შედეგადაც ორივე სფეროს ერთობ ვიწრო ინტერპრეტაცია მივიღეთ. კერძოდ, სიღარიბის ინტერპრეტაცია დაყვანილია ისეთი მატერიალური საგნების უქონლობამდე, როგორებიცაა: ფულის, წყლის, საკვების, საცხოვრებლისა და სამართლიანი სოციალური სისტემის უქონლობა, ხოლო განვითარება დაყვანილია ამ საჭიროებების დაკმაყოფილებასა და გამოწვევების დაძლევისაკენ მიმართულ ზომებამდე.

რადგანაც წინამდებარე წიგნის მიზანია სიღარიბისა და ტრანსფორმაციული განვითარების ჭეშმარიტად ბიბლიური და ჰოლისტიკური წვდომა, მიმაჩნია, რომ სასარგებლო იქნება ამ არასაკმარისად გაშუქებული თუ გააზრებული სფეროების დეტალურად გაანალიზება, სანამ წიგნის შემდეგ ნაწილზე გადავალთ. პირველ რიგში დასაზუსტებელია, რატომ მივმართავთ სიტყვას *ჰოლისტიკური?* რა არის იმ პრობლემის არსი, რომლის გადაჭრასაც ამ ტერმინის მოშველიებით ვცდილობთ? მაშასადამე, არსებობს რაღაც, რაც არ არის ჰოლისტიკური.

სულიერი და მატერიალური სფეროების გამიჯვნა

დავიწყოთ იქიდან, თუ როგორად მოვიაზრებთ სამყაროს, რომელშიც ჩვენ ვცხოვრობთ და რომლის გააზრებას ზოგი ანთროპოლოგი ჩვენს მსოფლმხედველობას უწოდებს. თანამედროვე მსოფლმხედველობა სათვალეს ჰგავს, რომლითაც ჩვენ სამყაროს ვხედავთ და ვაფასებთ. მაგრამ, სათვალეებისგან განსხვავებით, ჩვენი მსოფლმხედველობა, ასევე, შედგება ჩვენივე მოსაზრებებისგან იმის თაობაზე, თუ როგორ ფუნქციონირებს ჩვენი სამყარო. ჩვენ მიერ ჰოლიზმის გამოყენების აუცილებლობა თავად თანამედროვე მსოფლმხედველობითაა განპირობებული.

დასავლურ კულტურაში აღორძინების პარადიგმის გადანაცვლების შედეგად მყარად დამკვიდრდა აზრი, რომ სულიერი და მატერიალური სამყაროები ერთმანეთისაგან გამიჯნულია. ანუ: ერთი მხრივ, არსებობს სულიერი, ე.ი. ზებუნებრივი სამყარო, სადაც ღმერთი არსებობს და მოქმედებს სხვა ისეთ კოსმიურ ღმერთებთან ერთად, როგორიცაა ალაჰი. ეს არის რელიგიის სამყარო. ხოლო, მეორე მხრივ, არსებობს რეალური, ანუ მატერიალური სამყარო, რომელშიც ჩვენ გვესმის, ვხედავთ, ვგრძნობთ, ვეხებით და ვყნოსავთ. ეს არის მეცნიერების, ტექნოლოგიისა და განვითარების სამყარო.

სამწუხაროდ, უნდა აღინიშნოს, რომ ეს მხოლოდ დასავლური საზოგადოებების პრობლემა არაა. ეს დიქოტომია, ანუ სულიერი და ფიზიკური სამყაროების აბსოლუტური გამიჯვნა, მოდერნიზმის ცენტრალური პრინციპია. მოდერნიზმი მსოფლიოს სხვადასხვა კულტურაში სწრაფად აღწევს და დომინანტური ზედნადები ხდება. მოდერნიზმი და ინოვაციები ძირითადი მახასიათებელია თანამედროვე ეკონომიკური სისტემებისა და საინფორმაციო ტექნოლოგიებისათვის. აღსანიშნავია, რომ ყველგან, სადაც კი "კოკა-კოლა" იყიდება, ორივე ზემოხსენებული თვალსაზრისი კარგადაა წარმოდგენილი. იგივე დიქოტომიები ისწავლება ყველა საკლასო ოთახში, სადაც სასწავლო პროგრამა დასავლურ საგანმანათლებლო მოდელს ეყრდნობა. შესაბამისად, ყველა არადასავლელმა პროფესიონალმა გაითავისა ეს მსოფლმხედველობა, რადგანაც ის მისი პროფესიული განათლების განუყოფელი ნაწილი იყო.

ცხოვრების მოცემული სფეროების ასეთი დაცალკევება ღრმადაა ფესვგადგმული ქრისტიანული ეკლესიის დასავლურ ნაწილშიც. ეს ნათლად ჩანს როგორც მის თეოლოგიაში, ასევე მის მიმდევართა ყოველდღიურ ცხოვრებაში. კვირა დილას, როდესაც ვლოცულობთ, ჩვენ სულიერ სამყაროში გადავინაცვლებთ ხოლმე, კვირის დანარჩენ დღეებსა და ჩვენი პროფესიული საქმიანობისას კი ფიზიკურ სამყაროში ვრჩებით და, შესაბამისად, ჩვენდა უნებურად, ათეისტებივით ვიქცევით. ის გარემოება, რომ ქრისტიანები ვართ, ვერ გვეხმარება სამყაროს თაობაზე ჩვენი დიქოტომიური წარმოდგენის დაძლევაში.

თანამედროვე მსოფლმხედველობის დიქოტომია

ლესლი ნიუბიგინმა (1989) ახსნა, თუ რა ზეგავლენას ახდენს ფიზიკური და სულიერი სფეროების გამიჯვნა მთელ რიგ თანამედროვე დიქოტომიებზე, რაც დამახასიათებელია დღევანდელი მსოფლმხედველობისათვის. მაგალითად, სულიერი სამყარო წმინდა გამოცხადებისა და ზეშთაგონების სამყაროა, რომლის არსებობისაც გვჯერა ჩვენი რწმენის გამო. რეალური სამყარო, სადაც ჩვენ გვესმის, ვხედავთ, ვგრძნობთ, ვეხებით – ეს ის სამყაროა, სადაც სამეცნიერო კვლევები და დაკვირვებები საშუალებას გვაძლევს, ზუსტად დავადგინოთ რაღაცის არსებობა თუ არარსებობა. რწმენა და რელიგია - ორივე სულიერ სამყაროს განეკუთვნება, მაშინ როდესაც მეცნიერება და დაკვირვება რეალური სამყაროს ახსნაში გვეხმარება. სულიერი სამყარო შინაგანი, პირადი სამყაროა, რეალური სამყარო კი საჯაროა. ეს ნიშნავს, რომ ფასეულობები პირადი არჩევანის შედეგია, ხოლო საჯარო სფეროში პოლიტიკა და ეკონომიკა მართავს ყოველივეს. საჯარო სფეროში ჩვენ მხოლოდ ფაქტებზე უნდა შევთანხმდეთ. სამწუხაროდ, ეკლესიაც დაემორჩილა თანამედროვე თვალსაზრისს, რომ იგი სულიერ სამყაროს ეკუთვნის და რომ სახელმწიფო და სხვა საერო ინსტიტუტები პასუხისმგებელი არიან იმაზე, რაც ყოველდღიურ ცხოვრებაში ხდება.

სულიერი	**მატერიალური**
რწმენა და აპოკალიფსი	დაკვირვება და შესწავლა
სარწმუნოება	მსჯელობა
რელიგია	მეცნიერება
კერძო და პირადი	საჯარო
ფასეულობები	ფაქტები
ეკლესია	სახელმწიფო

დიაგრამა 1-1: თანამედროვე მსოფლმხედველობის დიქოტომია

ქრისტიანობის მქადაგებლობისა და სოციალური მოქმედებების გამიჯვნა

ფიზიკური და სულიერი სფეროების გამიჯვნა, რომელიც თანამედროვეობისთვისაა დამახასიათებელი, ნაწილობრივ განაპირობებს ქრისტიანობის ქადაგებისა და ევანგელიზაციის თანამედროვე ინტერპრეტაციას. ესაა სფერო, რომელიც დაკავშირებული არ არის თემების განვითარებასთან. ღვთის სიყვარული სულიერი საქმეა, ხოლო მოყვასის სიყვარული მხოლოდ მატერიალურ სამყაროს მოიცავს. შესაბამისად, ევანგელიზაცია (ადამიანების ურთიერთობების აღდგენა ღმერთთან) სულიერი საქმიანობაა, ხოლო სოციალური ღონისძიებები (ადამიანებს შორის სოციალური, ეკონომიკური და პოლიტიკური ურთიერთობების აღდგენა) – სულიერების სფეროს არ განეკუთვნება. ამ ყალბი დიქოტომიის ზეგავლენით ქრისტიანებს სჯერათ, რომ ღმერთი მხოლოდ სულიერ სამყაროში იღვწის, ხოლო რეალური სამყარო ეშმაკის ანაბარად არის დარჩენილი.

სამყაროს ასეთი, ორგანზომილებიანი გაგება კიდევ ერთი სხვა საინტერესო ფენომენის ახსნის საშუალებას გვაძლევს. მთავრობები და განვითარების

საერო ინსტიტუტები, როგორც თანამედროვეობის მამოძრავებელი ძალა, რელიგიასა და განვითარებას ერთმანეთისაგან მიჯნავენ. ისინი ეთანხმებიან თანამედროვე აზრს, რომ ეკლესია და სახელმწიფო ერთმანეთისაგან განცალკევებული უნდა იყოს, რადგანაც ისინი სხვადასხვა სფეროს მიეკუთვნებიან. რადგანაც ეკლესია ევანგელიზაციას აღიქვამს როგორც სულიერი სამყაროსათვის დამახასიათებელ და შესაფერის საქმიანობას და რადგან სოციალური მოქმედებები მის მიერ მიჩნეულია როგორც საპასუხო ზომები, რომლებსაც ფიზიკურ სამყაროში ვახორციელებთ, გამოდის, რომ ეკლესიაც ეთანხმება სულიერი და ფიზიკური სფეროების ცალცალკე არსებობას, თუმცა აღიარებს, სახარების მიხედვით, მათ ერთმანეთისგან განუყოფლობას.

ზოგჯერ ეს თვალსაზრისი ქრისტიანული განვითარების სააგენტოებშიც აღწევს. ჩვენ, პრაქტიკულად, ამ თანამედროვე მსოფლმხედველობის მხარდამჭერებად გამოვდივართ, როდესაც ვამბობთ, რომ ჰოლისტიკური მისიონერობა გულისხმობს ევანგელიზმის (სულიერი საჭიროებების დაკმაყოფილების) და დახმარებისა და განვითარების (ფიზიკური საჭიროებების დაკმაყოფილების) კომბინირებასისე, თითქოს ეს ორი სფერო ერთმანეთისგან განცალკევებული იყოს. ჩვენ კიდევ უფრო ვამყარებთ ამ აზრს, როდესაც ვამტკიცებთ, რომ ეკლესია ანუ ევანგელიზმი მხოლოდ პირველ (სულიერ) სფეროში მოღვაწეობს, მაშინ როდესაც განვითარების ორგანიზაციები მხოლოდ ფიზიკურ სფეროში ახორციელებენ ღონისძიებებს. აღსანიშნავია, რომ რამდენიმე საკმაოდ სერიოზული ქრისტიანული ორგანიზაცია სწორედ ასეთი სტრუქტურითაა წარმოდგენილი. ასეთი პოზიციის გამყარებით ჩვენ, პრაქტიკულად, ვაცხადებთ, რომ განვითარება რელიგიისაგან დამოუკიდებელია, მაშინ როდესაც უმეტესობა ჩვენგანს რეალურად არ გვჯერა ამისა.

სიტყვის, საქმისა და ნიშნების გაცალკევება

პოლ ჰიბერტმა საინტერესოდ წარმოადგინა თანამედროვე და ტრადიციული კულტურების მსოფლმხედველობების შედარება. იგი თანამედროვე მსოფლმხედველობას აღწერს როგორც ორგანზომილებიან სისტემას, რომელშიც ფიზიკური და სულიერი სამყაროები სრულიად გამიჯნულია ერთმანეთისაგან. ტრადიციული მსოფლმხედველობა ჰოლისტიკურია და იგი სულიერ და მატერიალურ სამყაროებს ურთიერთკავშირში განიხილავს. ღმერთები რელიგიის სამყაროში არიან და ისინი არ უნდა შევაწუხოთ. უხილავ და ხილულ სამყაროებს შორის ურთიერთობებს შამანები, წმინდა წერილები, სულები და ის ადამიანები არეგულირებენ, რომლებსაც ორივე სამყაროს წვდომა შეუძლიათ. უხილავ სამყაროსთან კავშირს ამულეტების, შელოცვებისა და თილისმების სამყარო ამყარებს.

თანამედროვე სამყაროს თავისი თვალსაზრისი აქვს რელიგიასა და ფიზიკურ სამყაროზე და ამ პოზიციის გამოხატვის საშუალებაც აქვს, მაშინ როდესაც ჩვენ ბევრი არაფრის თქმა შეგვიძლია ეთნიკური რელიგიების თაობაზე. ჩვენ იმით ვართ შეზღუდული, რასაც ჰიბერტი "შუალედური პოზიციის დაუშვებლობის პრინციპს" უწოდებს.



დიაგრამა 1-2: თანამედროვე და ტრადიციული მსოფლმხედველობა (ჰიბერტის ვერსიის ადაპტაცია, 1982)

დასავლეთში აღარ გვჯერა წინაპრების, სულების, დემონებისა და უხილავი ძალების არსებობა. საბოლოო ჯამში, ყოველივე ეს ცრურწმენა და უმეცრებაა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ტრადიციული კულტურების უმეტესობა მაინც საკმაო დროს უთმობს ამ უხილავი სამყაროს თაობაზე მსჯელობასა და მიზეზ-შედეგობრივი კავშირების გამოვლენას. განვითარების პერსპექტივაში შუალედური პოზიციის შესაძლებლობის გამორიცხვის შედეგად მივიღეთ სიცარიელე, რომელიც შეუვსებელია. ჩვენ არ ვუგდებთ ყურს თემების ისტორიას უხილავი სამყაროს თაობაზე და, შესაბამისად, ვერ ვპოულობთ ისეთ პასუხებს, რომლებიც, ამ თემების აზრით, სათანადოდ ითვალისწინებს ამ უხილავ სამყაროს.

ქრისტიანებისათვის სასიამოვნო იქნება გაიგონ შემდეგი: იმის მიუხედავად, რომ ბიბლია ასეთივე სახით არ მოიაზრებს ამ სამყაროს, მისი მიდგომა უფრო ახლოსაა ტრადიციული კულტურების მსოფლმხედველობასთან, ვიდრე თანამედროვე პოზიცია და მსოფლმხედველობა. ბიბლიური მსოფლმხედველობა ჰოლისტიკურია იმ თვალსაზრისით, რომ ფიზიკური სამყარო არ განიხილება მოწყვეტილად ან განცალკევებულად სულიერი სამყაროსა და ღვთის ნებისგან, რომელმაც იგი შექმნა. უფრო მეტიც, ქრისტე — შემქმნელი და მხსნელი, ჩვენშია და ჩვენი ქომაგია მამა ღმერთის წინაშე. ის ფაქტი, რომ სიტყვამ ხორცი შეისხა, აბათილებს მტკიცებას, რომ სულიერი და ხორციელი შეიძლება ერთმანეთისაგან გამიჯნული იყოს.



დიაგრამა 1-3: თანამედროვე და ბიბლიური მსოფლმხედველობების შედარება

აქ გარკვეული განმარტებაა საჭირო. იმის მტკიცება, რომ ჰოლიზმი ბიბლიური მსოფლმხედველობისთვისაა დამახასიათებელი და ის ფაქტი, რომ ტრადიციული კულტურების უმეტესობის მსოფლმხედველობა ჰოლისტიკურია, არ ნიშნავს, რომ ბიბლიური მსოფლმხედველობა ანიმისტურია. ბიბლიური და ანიმისტური მსოფლმხედველობები სრულიად განსხვავდება ერთმანეთისგან (იხ. 1-2 და 1-3 დიაგრამები). ბიბლიური მსოფლმხედველობა მხოლოდ ერთ ღმერთს აღიარებს. სულიერი სამყაროს ყველა დანარჩენი ქმნილება შექმნილი სამყაროს ნაწილია და ისევე არიან პირველცოდვის შედეგად დაცემულები, როგორიც ადამიანები.

მსოფლმხედველობების ასეთი შედარება მიგვანიშნებს, რომ არსებითი მნიშვნელობის მქონე საკითხები იმისდა მიხდვით იცვლება, თუ რომელ დონეზე განვიხილავთ საკითხს. სახარება ჭეშმარიტების საკითხს მოიაზრებს, როგორც ღვთის შესახებ სიტყვის ჭეშმარიტებას. სახარება ძლევამოსილების საკითხს მოიაზრებს სახარებასთან ერთობლიობაში, როგორც ნიშანს – ანუ სულიწმინდას, ძლევამოსილებას. პასუხს კითხვაზე – "თუ რა მუშაობს კარგად?" – ემპირიზმის მატერიალურ დონეზე ბიბლიური მსოფლმხედველობა ხედავს კეთილ საქმეებში, რომლებიც ღვთის სიყვარულის გამოხატვას წარმოადგენს.

ეს იმ პრობლემის კიდევ ერთ ასპექტს წარმოაჩენს, რომლებსაც თანამედროვეობა უქმნის ქრისტიან მისიონერებს. სულიერის ფიზიკურისგან გამიჯვნით არა მხოლოდ ევანგელიზაციასა და განვითარებას ვმიჯნავთ ერთმანეთისგან, არამედ, ასევე, ვაცალკევებთ სახარებას, როგორც სიტყვას და

სახარებას, როგორც საქმეს და, გარდა ამისა, არ ვაღიარებთ სახარებას, როგორც ნიშანს. სულიერი სფეროს თვალსაზრისით, არსებითი მნიშვნელობისაა კითხვა: "ვისი ღმერთია ჭეშმარიტი?" ამ კითხვაზე პასუხი ის არის, რომ სახარების გზავნილი ჭეშმარიტებაზე უნდა მოვიაზროთ, როგორც "სულიერი კანონების" ნაკრები. ასეთ შემთხვევაში ქრისტიანობის ქადაგება მხოლოდ სიტყვის გამოყენებასა და დარწმუნებას გულისხმობს.

ფიზიკური სამყაროს დონეზე ძირითადი შეკითხვა არის შემდეგი: "რა მუშაობს კარგად?" ამ კითხვაზე პასუხი ასეთია: ეფექტური მეთოდები და ტექნოლოგიები. მათი მოქმედების შედეგი რეალურია. ამ შემთხვევაში სახარების გზავნილსა და ევანგელიზაციას მოვიაზრებთ, როგორც სამართლიანობისა და ღვთის მიერ შექმნილი სამყაროს გადარჩენის საშუალებას.

სახარების, როგორც სიტყვის, სახარების, როგორც საქმისა და სახარების, როგორც ნიშნის გამიჯვნას უარყოფითი შედეგები მოჰყვება. იმ კულტურებში, რომლებშიც სიტყვამ თავისი მნიშვნელობა დაკარგა (რაც განსაკუთრებით დამახასიათებელია დასავლური კულტურებისთვის), საქმე აუცილებელია იმის დასადასტურებლად, თუ რას ნიშნავს სიტყვა. იმის განცხადება, რომ ჩვენ ქრისტიანები ვართ, არ არის საკმარისი, რადგანაც დასავლეთში, პრაქტიკულად, ყველა აცხადებს, რომ ქრისტიანია. თუ გვინდა ზუსტად გავიგოთ, რას გულისხმობენ ადამიანები, როდესაც ისინი აცხადებენ, რომ ქრისტიანები არიან, მათი ცხოვრების წესი უნდა გავაანალიზოთ. ის, თუ როგორ ცხოვრობს და მოქმედებს ადამიანი, უფრო მრავლისმთქმელია, ვიდრე მშრალი განცხადება: ქრისტიანი ვარ!

სხვა კულტურებში ქმედებები შეიძლება არაერთგვაროვანი იყოს. იმის მიუხედავად, ჩვენ ვილაპარაკებთ თუ არა, ადამიანები მაინც მიიღებენ ჩვენს გზავნილს. უდაბნოში წყლის აღმოჩენა სასწაულია და ანიმისტური კულტურები ხშირად იმ ტექნოლოგიებს, რომლებიც წყლის პოვნაში გამოიყენება, მაგიად მიიჩნევენ. ამის თაობაზე არაერთგზის აღინიშნა ბრიუს ბრედშოუს კვლევაში (1993) World Vision-ის განვითარების პროგრამებთან მიმართებით. ადგილობრივი მოსახლეობის აზრით, World Vision-ის პერსონალს შორის საოცარი შამანები და სასწაულმოქმედი ძალის მქონე ადამიანები იყვნენ. როდესაც განვითარების ტექნოლოგიას თან არ სდევს განმარტება, წარმატება შეიძლება "მაგიურ" ნიადაგთმცოდნეებსა და ჰიდროლოგებს მიეწეროს.

ასევე: უნდა აღინიშნოს, თუ რამდენად არასათანადოდ ითვალიწინებს თანამედროვე მსოფლმხედველობა ნიშნებს. რადგანაც ფიზიკურ სამყაროში არ არის ადგილი ზებუნებრივისათვის, მასში არ არის ადგილი არც ნიშნებისა და სასწაულებისათვის. ანიმისტების უმეტესობისათვის ეგზისტენციურ შეკითხვას არაფერი აქვს საერთო ჭეშმარიტებასთან. იგი ძლევამოსილებასთანაა დაკავშირებული. რადგანაც მიზეზი უხილავ და ზებუნებრივ სამყაროშია, ასეთ შემთხვევაში არსებითი მნიშვნელობის შეკითხვაა, თუ "ვისი ღმერთია ჭეშმარიტი?" სწორედ ის ფაქტი, რომ ქარიზმატული ორმოცდაათიანელები ამ შეკითხვაზე მკაფიოდ და პირდაპირ იძლევიან პასუხს, განაპირობებს მათი ეკლესიის ასეთ სწრაფ ზრდას. თანამედროვე მსოფლმხედველობის უუნარობა, გაითვალისწინოს ნიშნებისა და სასწაულების არსებობა, უაღრესად ართულებს თანამედროვე მრწამსის მატარებლებისათვის, ანუ განვითარების სფეროში მოღვაწე ადამიანებისათვის, გააზრებული და ღრმა დიალოგის წარმართვას იმ ადამიანებთან, რომლებიც ტრადიციული ან ანიმისტური მრწამსის მიმ-

დევრები არიან. განვითარების სფეროში მყოფი ადამიანები მიიჩნევენ, რომ თემში ადამიანებს დაავადებები მიკრობებისა და ცუდი სასმელი წყლის გამო ემართებათ, მაშინ როდესაც თავად [ტრადიციული] თემის წარმომადგენლებს ჰგონიათ, რომ ისინი ავად წყევლისა და ჯადოქრობის გამო ხდებიან.

შესაბამისად, როდესაც სახარების გზავნილზე ვსაუბრობთ, არ უნდა გავაცალკევოთ სიტყვა, საქმე და ნიშანი. წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენ სახარების გზავნილის არსს დავაკნინებთ. სიტყვები საქმეების მნიშვნელობას ჰფენს შუქს. საქმეები სიტყვის მნიშვნელობას ადასტურებს. და, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ნიშნები მიუთითებენ ღვთის არსებობასა და ძლევამოსილებას. უფალი ყველა კეთილი საქმის სულისჩამდგმელია, მას ეკუთვნის ჭეშმარიტი სიტყვა, რომელიც სიცოცხლის არსს სრულად ასახავს.

ცოდვის საზღვრების დადგენა და სახარება

რადგანაც ჩვენ ვაღიარებთ დიქოტომიას სულიერსა და ფიზიკურს შორის, ზოგჯერ, ჩვენდაუნებურად, როგორც ცოდვის, ასევე სახარების მნიშვნელობას შეზღუდულად აღვიქვამთ. გვგონია: თუ ღმერთი მხოლოდ სულზე ზრუნავს, ცოდვა და მისი მოქმედების ველი დაიყვანება რაღაც პირადამდე. ეს, თავის მხრივ, გულისხმობს, რომ მონანიება პირადი სფეროთი შემოიფარგლება. ამის გამო ძნელი გასააზრებელი ხდება ცოდვის ზეგავლენა ეკონომიკაზე, პოლიტიკაზე, კულტურასა და თავად ეკლესიაზე, როგორც ინსტიტუციაზე. კიდევ უფრო რთული ხდება იმის გაგება, თუ რატომ მიმართავს უფალი ძალისხმევას, იხსნას ჩვენი ცოდვილი სამყარო. კითხვა ასეც დაისმის: რატომ აფუძნებს უფალი ამ სამყაროში თავის საელჩოებს ამავე სამყაროს განვითარებისათვის?

ცოდვის პირად სულიერ პრობლემამდე დაყვანით ჩვენ, ჩვენდანებურად, სახარების მნიშვნელობასაც ვაკნინებთ. ჩვენ სწორედ აზროვნების ტრანსფორმაციას უნდა მივაღწიოთ. ღვთის ნება და ძლევამოსილება ვრცელდება როგორც სულიერზე, ასევე მატერიალურზე. იესო ქრისტეს მხსნელი ძალა ყველგანაა საჭირო, სადაც კი ცოდვამ შეაღწია. ეს ნიშნავს, რომ ჩვენ ახლებურად უნდა მოვიაზროთ ხსნა და მისი ინტერპრეტაცია უფრო ინკლუზიური და ჰოლისტიკური უნდა იყოს, რათა არ დაიკარგოს მისი ძირითადი მნიშვნელობა – ღმერთთან ურთიერთობების აღდგენა და მასთან მიახლოება.

გამოცხადება და დაკვირვება

თანამედროვე მსოფლმხედველობის ტერმინოლოგია, გარკვეულწილად, პრობლემებს გვიქმნის სიტყვებისა და ტერმინების მნიშვნელობის სწორად გაგების თვალსაზრისით. გამოცხადება არის გზა, რომლის მეშვეობითაც შევიმეცნებთ სულიერ სამყაროსთან დაკავშირებულ ასპექტებს, ხოლო დაკვირვება და მსჯელობა ფიზიკური სამყაროს ასპექტების შემეცნების გზაა. გამოცხადებისა და დაკვირვების თანამედროვე დიქოტომია გარკვეულ საინტერესო ასპექტებს ნიღბავს.

ჭეშმარიტი ცოდნის პირველი წყარო ზემატერიალურია. გამოცხადება ღმერთის მიერ გვებოძება, დაკვირვება და დასკვნების გამოტანა ჩვენი პრეროგატივაა და ამას ღვთის დახმარების გარეშე ვაკეთებთ. ქრისტიანები, რომლებიც ფიზიკურ და სულიერ სამყაროებს ერთმანეთისგან მიჯნავენ თავიანთ

სულიერ ცხოვრებაში, უმეტესწილად, ღმერთს მოიაზრებენ ცენტრად, მაშინ როდესაც ფიზიკურ სამყაროში მათი ფიქრები ორიენტირებულია ადამიანებზე და ამის შესაბამისად იქცევიან. სულიერ საკითხებთან დაკავშირებით ჩვენ ეკლესიასა და ბიბლიას მივმართავთ, ხოლო განვითარების სფეროში მოღვაწეობისას სოციალურ მეცნიერებებს ვეყრდნობით. ასევე, უაღრესად საინტერესოა, რომ ამის გამო ქრისტიანული განვითარების სააგენტოები ხშირად თავიანთ საქმიანობას უფრო "საერო" საქმიანობად აღიქვამენ.

ლოცვა, მედიტაცია, მარხვა და სულიერების სფეროს სხვა მოქმედებები წარმოადგენს სულიერი სამყაროს შემეცნებასთან დაკავშირებულ ქმედებებს. ასეთ შემთხვევაში ჩვენ სათანადოდ ვერ ვაცნობიერებთ, რომ სულიერება შეიძლება რეალურ სამყაროში მუშაობის ინსტრუმენტად გამოვიყენოთ. ქრისტიანული განვითარების სფეროში მოღვაწე ადამიანების მხოლოდ მცირე რაოდენობას ესმის, რომ სულიერების წვდომა პროგრამების დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების საკვანძო ელემენტია. ასევე, ძალიან ცოტას თუ ესმის, რომ ლოცვა და მარხვა ადამიანთა ტრანსფორმაციის ან სამართლიანობისათვის ბრძოლის ინსტრუმენტებია. საუკეთესო შემთხვევაში ლოცვა მოიაზრება, როგორც პირადი, შინაგანი ურთიერთობა ღმერთთან ან ღმერთისადმი მიმართული თხოვნა, რათა მან რეალურ სამყაროში რაღაც შეცვალოს. მეორე მხრივ, ითვლება, რომ ღმერთი და ღმერთის გამოცხადება არ არის დაკავშირებული ჩვენს სოციალურ ანალიზთან და ჩვენი სამყარო თავად უნდა გავაცნობიეროთ და შევიმეცნოთ.

იმ პრობლემების გაანალიზების შემდეგ, რომლებსაც თანამედროვეობა უქმნის ქრისტიანული განვითარების სფეროში მოღვაწე ადამიანებს, რომლებიც ტრანსფორმაციული განვითარების მიღწევისაკენ მიმათავენ თავიანთ ძალისხმევას, უფრო ადვილია იმის გაგება, თუ რატომ ავირჩიეთ მოცემულ წიგნში კონკრეტულ საკითხებზე მსჯელობა. წიგნის ყოველ თავში, დაწყებული სამყაროს შექმნის თაობაზე ბიბლიური ისტორიიდან, დამთავრებული პრინციპებისა და პრაქტიკის შესახებ ნაწილში, ვეცადე შემევსო და ამეხსნა ის ასპექტები, რომლებიც არ არის სათანადოდ გაშუქებული თუ გააზრებული. გარდა ამისა, ვცდილობდი პასუხი მომეძებნა გარკვეულ შეკითხვებზე, ან მიმეთითებინა, თუ რა მიმართულებითაა საჭირო დამატებითი კვლევები და მუშაობა.

წიგნის შექმნის ისტორია

განვითარების იდეის წარმოშობა

წიგნის მე-2 თავი ეძღვნება იმ იდეის წარმოშობის საკითხებს, რომელთა თანახმად ადამიანებს სამყაროს გაუმჯობესება ძალუძთ. მე-19 საუკუნის დასაწყისამდე მსოფლიოში მდგომარეობა არსებითად არ შეცვლილა მოსახლეობის რაოდენობის, ჯანმრთელობის მდგომარეობისა და მატერიალური კეთილდღეობის თვალსაზრისით. ადამიანების ცხოვრება საკმაოდ მძიმე იყო. მსოფლიო არ იყო უსაფრთხო ადგილი და ადამიანებს ყოველდღიურად უხდებოდათ ბრძოლა გადარჩენისათვის. მსოფლიოს მოსახლეობის უმეტესი

ნაწილი ისეთივე ღარიბი იყო, როგორიც ამჟამად სამხრეთის ყველაზე ღარიბ რეგიონებში მცხოვრები ადამიანები არიან. იმხანად ადამიანების მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესების იდეა არ არსებობდა.

1800-იანი წლებისთვის, ეკონომიკის ისტორიის ტრაექტორიის ცვლილებასთან ერთად, წარმოიშვა იდეების მთელი წყება, რომლებიც დაკავშირებული იყო ადამიანთა კეთილდღეობის გაუმჯობესებასთან, ბაზრების განვითარებასთან, მოცემულ პროცესებში ადამიანების მიერ წვლილის შეტანასთან. ამ იდეების თანახმად, ადამიანის შემოქმედებითმა ძალისხმევამ შეიძლება ღმერთის მიერ შექმნილი სამყარო გააუმჯობესოს. მეცნიერება და ტექნიკა ვითარდებოდა და იგი მიმართული იყო ადამიანთა კეთილდღეობისა და სიმდიდრის მიღწევისაკენ. დასავლეთში ადამიანების ცხოვრების დონე სწრაფად უმჯობესდებოდა. ბოლო პერიოდში ეს პროცესები სწრაფად მიმდინარეობს ჩინეთში, ინდოეთში, ბრაზილიასა და ინდონეზიაში. სამწუხაროდ, ვითარება სხვაგვარია აფრიკასა და ცენტრალურ აზიაში, სადაც განვითარების პროცესი არ იყო თანამიმდევრული და უწყვეტი, რის შედეგადაც ზოგმა ბევრად უფრო მეტი სარგებელი მიიღო, ვიდრე დანარჩენებმა. მე-19 საუკუნის დასაწყისში განხორციელებული ფუნდამენტური ისტორიული ცვლილების შედეგად წარმოიშვა იდეა, რომელსაც ახლა განვითარების ან სიღარიბის დაძლევის სახელით მოვიხსენიებთ.

განვითარებისა და სიღარიბის დაძლევის იდეა მეორე მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ წარმოიქმნა და იგი, უმეტესწილად, წარმოადგენს დასავლური ქვეყნების პროდუქტს, რომელთა წინაშე სერიოზული გამოწვევა არსებობდა ცივი ომის საფრთხის სახით. ათწლეულების განმავლობაში "განვითარება" გულისხმობა ეკონომიური ცხოვრების ისე "გათანამედროვებას", როგორც ეს თანამედროვე დასავლეთისთვისა დამახასიათებელი. 1990-იან წლებში განვითარების მოცემული ეკონომიკური მოდელის გაგება გაფართოვდა და მან სოციალური განვითარებაც მოიცვა.

მე-2 თავში შეჯამებულია გაეროსა და საერთაშორისო განვითარების სფეროში მოქმედი არასამთავრობო ორგანიზაციების თვალსაზრისი განვითარების საკითხებთან დაკავშირებით. ამჟამად საკმაოდ პოპულარულია ჯეფრი საშის მიერ შემოთავაზებული პრედომინანტურად თანამედროვე განვითარების მოდელი, რომელიც მან წარმოადგინა თავის ნაშრომში *"სიღარიბის დასასრული" (*2005). ასევეა უილიამ ისტერლის უფრო პოსტმოდერნისტული მოდელი, რომელიც მან განიხილა თავის ნაშრომში *"თეთრკანიანი ადამიანის ტვირთი"* (2006), და კიდევ უფრო ეკლექტიკური და პრაგმატული მოდელი, რომელიც პოლ კულიემ შემოგვთავაზა ნაშრომში "*უკიდურეს სიღარიბეში მცხოვრები მილიარდები".* აქვე წარმოგიდგენთ სამ საინტერესო ნაშრომს, რომლებიც სამხრეთელ ავტორებს ეკუთვნით. მათ შორისაა ამარატია სენი, ნობელის პრემიის ლაურეატი, ეკონომიკის განვითარების სფეროს სპეციალისტი, რომელმაც ნაშრომში "*განვითარება, როგორც თავისუფლება"* (1999) არსებითად ახლებურად მოიაზრა გლობალური განვითარება და ძირეულად შეცვალა გლობალური დიალოგის ვექტორი განვითარების საკითხების შესახებ. მან დაამკვიდრა აზრი, რომ განვითარება არ გულისხმობს მხოლოდ ეკონომიკურ განვითარებას. შემდეგი ავტორია ერნანდო დე სოტო, აღიარებული პერუელი ეკონომისტი, რომელმაც ორი ფუნდამენტური ნაშრომი დაწერა: *"სხვა გზა"* (1989) და *"კაპიტალის საიდუმლოება"* (2000). კიდევ ერთი ავტო-

რია მუჰამედ იუნუსი, ნობელის პრემიის ლაურეატი მიკროდაკრედიტების სფეროში შეტანილი წვლილისათვის. იგი ავტორია ნაშრომისა *"სამყარო სიღარიბის გარეშე"* (2009). ზემოხსენებული ავტორები სიღარიბის აღმოფხვრის საინტერესო მიდგომებს გვთავაზობენ, რომლებიც თავიანთი ხასიათით საერო და მატერიალისტურია. მათი მიდგომა ეყრდნობა მტკიცებას, რომ ადამიანებს თვითგადარჩენის უნარი აქვთ. ზემოხსენებულმა ავტორებმა მნიშვნელოვანი გავლენა იქონიეს განვითარების დისკურსსა და დონორი ორგანიზაციების პრიორიტეტებზე, შესაბამისად, საჭიროდ ვთვლი, უფრო ღრმად გავეცნოთ მათ ნაშრომებს.

ბიბლიური ამბავი

სანამ სიღარიბესა და განვითარებაზე საუბარს დავიწყებთ, მიზანშეწონილად მივიჩნიე ტექნოლოგიებზე გვესაუბრა. თუ გვინდა, რომ ტრანსფორმაციული განვითარება ბიბლიას ეყრდნობოდეს, განვითარების თეორიისა და პრაქტიკისადმი შესაბამისი ბიბლიური მიდგომა უნდა ჩამოვაყალიბოთ.

მე-3 თავი იწყება ორ ტრადიციულ ქრისტიანულ მიმართულებაში, - ევანგელურ და რომაულ კათოლიკურ აღმსარებლობებში, სიღარიბის, განვითარებისა და სოციალური სამართლიანობის ინტერპრეტაციის მიმოხილვით. საინტერესოა, რომ ევანგელისტები, კერძოდ კი ამერიკელი ევანგელისტები, სოციალური სამართლიანობისა და სიღარიბის თაობაზე, პრაქტიკულად, 50 წლის განმავლობაში, 1920-იანი წლებიდან 1970-იან წლებამდე, დუმდნენ, ანუ, მანამ, სანამ ხელახლა არ დაიწყო ევანგელისტური დისკურსი ღარიბების თემაზე. მეორე მხრივ, რომაულ კათოლიკურ ეკლესიაში სოციალური მიმართულებით სწავლება და მოღვაწეობა 1891 წლიდან დაიწყო, როდესაც რომის პაპმა ლუი XIII-მ დაწერა ენციკლიკა *Rerum novarum.* საინტერესოა, რომ მას შემდეგ, ანუ ბოლო 120 წლის განმავლობაში, დაახლოებით 20 დოკუმენტი შემუშავდა ამ თემაზე, - ძირითადად რომის პაპების ენციკლიკები. ეს იმის კვალდაკვალ ხდებოდა, რომ კათოლიკე თეოლოგებმა სწრაფად ცვალებადი სამყაროს პირობებში არსებითად გადასინჯეს თავიანთი მიდგომები. ზემოთ ხსენებული მასალები და მათში ასახული აზრი და გამოცდილება უაღრესად საინტერესოა ჩვენთვის, ანუ ევანგელიზმის მიმდევრებისთვისაც, რაც ასახული უნდა იყოს კიდეც ჩვენს პოზიციებში.

ამის შემდეგ, მე-3 თავში, განხილული იქნება სიღარიბისა და განვითარების თაობაზე ევანგელისტური თეორიის შემუშავებასთან დაკავშირებული საკითხები. განვითარების თეოლოგიისადმი ტრადიციული მიდგომები პროპოზიციური მიდგომით ხასიათდება. როდესაც ჩაგვრისა და გათავისუფლების ინტერპრეტაციას ვაყალიბებთ, ძირითადად, ვეყრდნობით ბიბლიურ თხრობას ეგვიპტიდან, მონობის ქვეყნიდან, გამოსვლის თაობაზე. ხოლო როდესაც საქმე შეეხება იმის დადასტურებას, რომ უფალი ღარიბებზე ზრუნავს და რომ იგი ეხმარება მიუსაფართ და წვრთნის თავის შვილებს, ვეყრდნობით წმინდა წერილებს - ფსალმუნებსა და წინასწარმეტყველებს, რადგან ეს ყველაფერი დღესაც უაღრესად მნიშვნელოვანი და აქტუალურია.

ამასთან ერთად, უნდა აღინიშნოს, რომ მოცემული წიგნის ფარგლებში ვცდილობდი ბიბლიური ისტორიის აღწერაზე გადამეტანა ყურადღება, რადგანაც მიმაჩნია, რომ ეს ძალიან დაგვეხმარება იმ კონტექსტის განსაზღვრაში,

რომელშიც განვითარება მიმდინარეობს, კერძოდ კი, მინდოდა განმეხილა ისტორიების კონვერგენცია, ანუ გადაკვეთის წერტილები.

ღარიბებს აქვთ საკუთარი ისტორია, რომელიც მანამდე არსებობდა, სანამ განვითარების სააგენტო მათთან მუშაობას დაიწყებდა. ეს მათი პირადი და მათი ხალხის ისტორიაა. უნდა გავითვალისწინოთ, რომ ღმერთი ისედაც აქტიურადაა ასახული მათ ისტორიაში დასაბამიდანვე, მიუხედავად იმისა, ეს ადამიანები აღიარებენ მის მონაწილეობას ამ ისტორიაში თუ არა. როდესაც განვითარების სფეროში მოღვაწე ადამიანები ჩადიან სადმე, მათ თავიანთი ისტორია მიაქვთ თან, როგორც პირადი, ასევე თავიანთი განვითარების სააგენტოს ისტორია. შემდეგ, პროგრამის განხორციელების ფარგლებში, ადგილობრივი თემი და განვითარების სპეციალისტები საერთო ისტორიას ქმნიან.

როდესაც ტრანსფორმაციული განვითარების ისტორიას განვიხილავთ როგორც საერთო ისტორიის ნაწილს. იბადება კითხვა, თუ რისთვის არსებობს ჩვენი ისტორიები, საით მივყავართ მათ და ვისი ისტორიაა ჭეშმარიტი. ბიბლიური ისტორია უაღრესად კარგ საფუძველს წარმოადგენს ამ შეკითხვებზე პასუხის მოსაძიებლად. ბიბლიური ისტორია გვიხსნის, თუ როგორ დაიწყო ყოველი საზოგადოების ისტორია და რატომ არის მათი ისტორიები სავსე ტკივილით, უსამართლობითა და ბრძოლით. იმავდროულად, ეს ისტორიები აღსავსეა სიხარულით, სიყვარულით, ურთიერთობებითა და იმედით. ბიბლიური ისტორია გვაძლევს პასუხს იმაზე, თუ როგორ უნდა წარიმართოს სხვადასხვა თემატიკისა და განვითარების სფეროებში მოღვაწე ადამიანების ისტორია უფლის მიერ ნაგულისხმევი გზით. ბიბლია მეტაფორულად აღწერს ღვთის სასუფეველს და იმას, თუ როგორია ადამიანთა განვითარების საუკეთესო გზა. ბიბლიური ისტორია, აგრეთვე, გვაჩვენებს, თუ როგორ დასრულდება ყველა ჩვენგანის ისტორია და, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ჩვენ შეგვიძლია გავაცნობიეროთ, თუ რისთვის არსებობს ჩვენი ისტორია – იმისთვის, რომ თაყვანი ვცეთ ერთ ჭეშმარიტ ღმერთს.

რა არის სიღარიბე?

სიღარიბის არსისა და მისი გამომწვევი მიზეზების გააზრება უაღრესად მნიშვნელოვანია. საბოლოო ჯამში, სწორედ ეს განაპირობებს, თუ რა გზებს ავირჩევთ სიღარიბის დასაძლევად. იმის ნათლად ჩამოყალიბება, თუ რა არის სიღარიბე და რა იწვევს მას, დაგვეხმარება საფუძვლიანად გავიაზროთ, თუ რა არის ტრანსფორმაციული განვითარება და როგორ უნდა განხორციელდეს ის რეალურ სამყაროში. მე-4 თავის მიზანია სიღარიბის არსისა და გამომწვევი მიზეზების თაობაზე ადამიანთა საუკეთესო ნააზრევისა და გამოცდილების ინტეგრირება.

ჩვენ საკუთარი თავიდან უნდა დავიწყოთ. დიდი ძალისხმევაა საჭირო იმის გამოსააშკარავებლად, თუ რას ვფიქრობთ სიღარიბესა და ღარიბებზე. განსაკუთრებული ძალისხმევა იქნება საჭირო ქრისტიანებთან მიმართებით, რადგანაც სიღარიბესთან დაკავშირებით აზრთა დიდი სხვადასხვაობა არსებობს, ქრისტიანობის სხვადასხვა ტრადიციიდან გამომდინარე.

მე-4 თავი განიხილავს სიღარიბის თაობაზე თვალსაზრისის ცვლილებას, კერძოდ, პოსტულატს, რომ სიღარიბის შესწავლა არის უწყვეტი პროცესი. განვითარების თეორიის შემუშავების ადრეულ ეტაპზე ბევრი ვარაუდობდა,

რომ სიღარიბე მატერიალურის უქონლობას წარმოადგენს. ასეთი მიდგომა მოგვიანებით გაფართოვდა და სიღარიბის დეფინიციას იდეების ან ცოდნის ნაკლებობა დაემატა. როდესაც ნათელი გახდა, რომ სიღარიბე თავისი ხასიათით სისტემურია, მისი დეფინიცია კვლავ გაფართოვდა და იგი მოიაზრებოდა, როგორც ძალაუფლების, რესურსებისა და არჩევანის უქონლობა. 1980-იან წლებში რობერტ ჩემბერსმა ჩამოაყალიბა თეორია, რომ სიღარიბე სხვადასხვა პრობლემის სისტემური ერთიანობაა. მაგრამ ასევე 1990-იანი წლების დასაწყისში ჯონ ფრიდმანმა სიღარიბე აღწერა, როგორც სოციალური უფლებამოსილების უქონლობა. მოგვიანებით, მაგრამ ასევე 1990-იან წლებში, ამარტია სენმა გამოთქვა მოსაზრება, რომ სიღარიბე უფრო თავისუფლების უქონლობაა, ვიდრე ფულისა. უფრო მოგვიანებით თემების ფსიქოლოგებმა, აიზეკ პრილელტინსკიმ და ჯეფრი ნელსონმა, გამოთქვეს მოსაზრება, რომ სიღარიბე ჩაგვრის შედეგია და იგი ადამიანის პირად კეთილდღეობასა და ურთიერთობებზე უარყოფითად აისახება.

ჯაიაკუმარ ქრისტიანმა ფრიდმანისა და ჩემბერსის იდეები განავრცო და სიღარიბე აღწერა, როგორც უფლებამოსილების წართმევის სისტემა, რომელიც მჩაგვრელური ურთიერთობების ჩამოყალიბებას უწყობს ხელს და რომლის ფუნდამენტური მიზეზები სულიერია. ბოლოს კი განხილული იქნება რავი ჯაიაკარანის ჰოლისტიკური მიდგომა სიღარიბისადმი, როგორც ზრდისა და განვითარების შესაძლებლობის უქონლობისადმი.

შემდეგ ნაწილში განხილულია სიღარიბის მიზეზები, სიღარიბის ფიზიკური და სოციალური მიზეზების ურთიერთკავშირი. ზოგადად, ეს მიზეზები, ძირითადად, გარეშე, ანუ ღარიბების კონტროლს მიღმა არსებული, მიზეზებია. შემდეგ გავაანალიზებთ სიღარიბის შიდა, ანუ პირად, მიზეზებს, რაც, ძირითადად, სულიერი მდგომარეობით ან მენტალიტეტით არის განპირობებული. ჯაიაკუმარ ქრისტიანის მიდგომაზე დაყრდნობით განვავრცობ მოსაზრებას, რომ სიღარიბის არსი ფუნდამენტურად რაციონალურია და რომ მისი მიზეზი ფუნდამენტურად სულიერია.

ღარიბები იმიტომ არიან ღარიბები, რომ ისინი ურთიერთობების ისეთ ქსელში არსებობენ, რომელიც არ ეხმარება მათ მდგომარეობის გაუმჯობესებასა და კეთილდღეობის მიღწევაში. ღარიბების სხვა ადამიანებთან ურთიერთობები ხშირად მჩაგვრელისა და ჩაგრულის ურთიერთობებია და ღარიბი ადამიანის უფლებამოსილების დაკარგვას უწყობს ხელს იმის გამო, რომ შეძლებული ადამიანი ღმერთის როლს თამაშობს ღარიბი ადამიანის ცხოვრებაში. მათ შორის ურთიერთობები, ასევე, არასრულფასოვანია სიღარიბის ტვირთისა და უძლურების მუდმივი განცდის გამო, ხოლო ღარიბების ურთიერთობები იმათთან, ვისაც ისინი "სხვებს" უწოდებენ, მათგან გარიყვის შეგრძნებას კიდევ უფრო ამძაფრებს. მათი დამოკიდებულება გარემოსადმი არ არის პროდუქტიული, რადგანაც უკიდურესი სიღარიბე არ აძლევს მათ საშუალებას, რომ გარემოსდაცვით ასპექტებზე იზრუნონ. ღარიბების წარმოდგენა ღმერთზე, რომელმაც ისინი შექმნა, არასწორია იმის გამო, რომ მათ არა აქვთ საკმარისი ცოდნა იმის თაობაზე, თუ ვინ არის ღმერთი და რა უნდა მას კაცობრიობისათვის. სიღარიბე ყველა ზემოხსენებული ურთიერთობებისა და დამოკიდებულების ერთობლიობის შედეგია. ეს ურთიერთობები შეიძლება ბევრად გაუმჯობესდეს.

ღარიბების ურთიერთობები ხელს არ უწყობს მათი მდგომარეობის გაუმჯობესებას, რადგანაც სხვა ადამიანებისა და თავად ღარიბების სულიერი

ფასეულობები არ არის მიმართული საერთო კეთილდღეობის გაუმჯობესებისაკენ. ეგოიზმი, ძალაუფლების სიყვარული, განცდა, რომ მათ, მდიდრებს, ეკუთვნით პრივილეგირებული მდგომარეობა თავიანთი დამსახურებების გამო, საბოლოოდ შეძლებულ ადამიანებში "ღმერთის კომპლექსს" აყალიბებს. უიმედობა და შესაძლებლობების უქონლობის განცდა კი ღარიბების ხვედრია. რასიზმი, ეთნოცენტრიზმი და გარიყვა აბრკოლებს მრავალკულტურული საზოგადოების განვითარებას. სულების შიში და იმ ღმერთების რწმენა, რომლებიც ვერ დაეხმარებიან ადამიანებს ხსნაში, ხელს უშლის ღარიბებს გაიაზრონ, თუ რა სიკეთე სურს მათთვის ჭეშმარიტ ღმერთს. დასკვნის სახით შეგვიძლია ვთქვათ, რომ სიღარიბის მიზეზები სულიერია.

მე-4 თავის ბოლო ნაწილში შეძლებულთა სიღარიბეზეა საუბარი. მათი იდენტობაც, ისევე როგორც ღარიბებისა, შელახულია, მაგრამ უფრო სხვაგვარად და სხვა მიზეზების გამო.

განვითარების პერსპექტივები

სიღარიბის თაობაზე მოსაზრებების ჰოლისტიკური ჩარჩოს ჩამოყალიბების შემდეგ, მე-5 თავში, საუბარი იქნება იმაზე, თუ რა მიდგომები არსებობს განვითარებისადმი და როგორ უნდა განხორციელდეს ეს მიდგომები. საუბარს დაიწყებ განვითარების იდეის ჩამოყალიბების მიმოხილვიდან. ფუნდამენტური შეკითხვაა: "ვინ დაგვეხმარება ჩვენ?". ეს არსებითი მნიშვნელობისაა, რადგანაც ჩვენს საუკუნეში ამასთან დაკავშირებით ურთიერთსაწინააღმდეგო მოსაზრებები არსებობს და ყველა მიმართულების მიმდევრები საბოლოოდ ხსნას გვპირდებიან. ზოგს სჯერა, რომ მეცნიერება და ტექნოლოგია გადაგვარჩენს, სხვები თავისუფალ ბაზრებსა და გლობალიზაციაზე ამყარებენ იმედებს, მაშინ როდესაც ზოგს სჯერა, რომ ადამიანთა გამჭრიახობა და გარდაუვალი პროგრესი დაგვეხმარება ხსნაში. ქრისტიანების მიდგომა გადარჩენისადმი ეფუძნება აზრს, რომ ღვთის სიტყვა არის ერთადერთი გზა, რომელიც ტაძრამდე მიგვიყვანს.

შევეცდები გავაანალიზო განვითარებასთან დაკავშირებული მთელი რიგი მოსაზრებები. ევანგელისტებმა ამ მიმართულებით დიალოგი ლოზანაში დაიწყეს, სადაც თეოლოგებმა და მოცემული სფეროს პრაქტიკოსებმა ეს დიალოგი გააფართოვეს და გასცდნენ იმ დებატების ჩარჩოს, რომლის ძირითადი თემა იყო ევანგელიზაციისა და სოციალური ღონისძიებების თავსებადობა. მათ დაიწყეს ფიქრი განვითარების პროცესების შემუშავებაზე ბიბლიურ საფუძვლებთან კავშირში. განსაკუთრებით საინტერესო იყო ვიტონ ჰანგერის ცენტრის წარმომადგენლის, უეინ ბრაგის, მოხსენება, რომელშიც მან პირველმა შემოგვთავაზა ტერმინი *ტრანსფორმაციული განვითარება,* როგორც ჰოლისტიკური ბიბლიური ალტერნატივა დასავლეთის მოდერნიზაციის საპირისპიროდ.

ასევე, განვიხილავ განვითარების იმ გაგებას, რომელიც დეივიდ კორტენის მიერაა შემოთავაზებული და რომელიც *ადამიანთა თავისებურ ურთიერთობებზეა ორიენტირებულ.* კორტენი ეჭვის ქვეშ აყენებს ეკონომიკური ზრდის წვლილს მდგრად განვითარებაში. ის ამტკიცებს, რომ გარემოსდაცვითი ასპექტები და რესურსების მოწყვლადობის საკითხი, რომელიც "დედამიწის კოსმოსურ ხომალდთან შედარების" თეორიიდან გამომდინარეობს, უფრო არსებითია და აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ, როდესაც განვითარებაზეა საუბარი. ასევე, გავაანალიზებთ ჯონ ფრიდმანის მოსაზრებას "ალტერნატიუ-

ლი განვითარების” თაობაზე, რომელშიც იგი ღარიბი ოჯახების პოლიტიკური და სოციალური უფლებამოსილების გაფართოებაზე საუბრობს და რომლის თანახმად ყოველივე ეს მასებიდან წამოსული დემოკრატიული პრაქტიკის მხარდაჭერთა და სამოქალაქო საზოგადოების შენების გზით მიიღწევა. შემდეგ აღწერილია აიზეკ პრილელტენსკისა და ჯეფრი ნელსონის მიდგომა, რომლის შესაბამისად განვითარება პირადი და კოლექტიური ურთიერთობების გაძლიერებად და უფლებამოსილების გაფართოებად უნდა მოიაზრებოდეს. მოცემულ თავში, ასევე, შეჯამებულია რობერტ ჩემბერსის თვალსაზრისი, რომ განვითარება არის კეთილდღეობა, რომელიც აგებულია სამართლიანი გადანაწილებისა და ღარიბების საარსებო საშუალებების, უსაფრთხოებისა და შესაძლებლობების განვითარების პრინციპებზე. ბოლოს განხილული იქნება ამარტია სენის მოსაზრება, რომ ადამიანთა თავისუფლება არის განვითარების მიზანიც და მისი მიღწევის საშუალებაცაც. შემდეგ საკმაოდ დიდი ნაწილი დაეთმობა ჯაიაკუმარ ქრისტიანის ნაშრომს და მის იდეას, რომ განვითარება არის ღარიბთა უძლურებასა და მათ იდენტობაზე წარმოდგენების, ასევე - შეძლებულთა “ღმერთის კომპლექსის” აღმოფხვრისაკენ მიმართული საპასუხო ზომები.

ტრანსფორმაციული განვითარების ქრისტიანული აღქმა

სიღარიბის უკეთ გააზრების მიზნით ბიბლიური და ჰოლისტიკური საფუძვლების შემუშავებისა და განვითარების თაობაზე სხვადასხვა მოსაზრების გაანალიზების შემდეგ, მე-6 თავში, წარმოდგენილია ტრანსფორმაციული განვითარების სხვადასხვა იდეის სინთეზის მცდელობა. დავიწყებ იმით, რაც ისედაც აშკარაა: ტრანსფორმაციული განვითარება ღვთის მიერ დასახული გზაა. ის, ასევე, იმათი გზაა, ვინც მას მიჰყვება – ექსპერტების, დონორი სააგენტოებისა და განვითარების სფეროში მოღვაწე ადამიანებისა. იმის მიუხედავად, თუ რა მიდგომასა და მეთოდებს მივანიჭებთ უპირატესობას, ღარიბებს საშუალება უნდა მივცეთ, თავად აირჩიონ საკუთარი გზა, ისევე როგორც ჩვენ გავაკეთეთ ეს თავის დროზე.

პირველი შეკითხვა, რომელზეც განვითარების პროგრამამ უნდა მოძებნოს პასუხი, შემდეგია: *როგორია უკეთესი მომავალი, რომელსაც გვინდა მოვაღწიოთ?* ეს გულისხმობს, რომ ჩვენ უკვე მოვძებნეთ პასუხი უფრო ფუნდამენტურ შეკითხვაზე: რას ნიშნავს ადამიანთა კეთილდღეობა? ბიბლია და ჩვენი თეოლოგია იძლევა ამ კითხვაზე პასუხს. ადამიანის საუკეთესო თვისებები ღვთის სასუფეველზე ფიქრისას და იესოს ჭეშმარიტების ძიების დროს ვლინდება, რადგანაც ეს ძიება გასწავლის გზას ამ სასუფევლისაკენ. რადგანაც სიღარიბე თავისი არსით რაციონალურია, მიმაჩნია, რომ ტრანსფორმაციულ განვითარებას ორი ძირითადი მიზანი უნდა ჰქონდეს: გარდაქმნილი ადამიანები და მშვიდობიანი ურთიერთობები. “გარდაქმნილ ადამიანებში” მე ვგულისხმობ ადამიანებს, რომლებმაც აღმოაჩინეს საკუთარი იდენტობა, რომლებიც საკუთარ თავს ღვთის შვილებად მიიჩნევენ, რომლებმაც თავიანთი მოწოდება იპოვეს და პროდუქტიულად მოღვაწეობენ, ან აყოფიერებენ ღვთისგან ბოძებულ უნარებს და საყოველთაო კეთილდღეობის მიღწევაში შეაქვთ წვლილი.

ტრანსფორმაციული განვითარების ეს ორი მიზანი ძალაშია, როდესაც საქმე ეხება ღარიბებს, შეძლებულებსა და განვითარების სფეროში მოღვაწე

ადამიანებსაც. ადამიანის მიერ ჭეშმარიტებისა და საკუთარი დანიშნულების ძიება უწყვეტი და უნივერსალური პროცესია. მხოლოდ ბრძოლის გზებია განსხვავებული. ღარიბებს არ შეუძლიათ საკუთარი იდენტობის სწორად შემეცნება. ისინი იტანჯებიან იმ განცდისაგან, რომ მათი ერთადერთი დანიშნულებაა შეძლებულებისა და ძალაუფლების მქონე ადამიანების მომსახურება. ხშირად შეძლებულები, და ზოგჯერ განვითარების სფეროში მომუშავე ადამიანებიც კი, წინ ვერ აღუდგებიან ცდუნებას და ღმერთის როლს ასრულებენ ღარიბების ცხოვრებაში. მათ სჯერათ, რომ ყველაფერი, რაც აქვთ, - ანუ ფული, ცოდნა და თანამდებობა, - მათი პირადი დამსახურება, ანდა მათი ფენის პრეროგატივაა. როგორც ღარიბებს, ასევე შეძლებულებს სჭირდებათ თავიანთი ნამდვილი იდენტობისა და დანიშნულების პოვნა. ღვთის სამყაროში ყველა ღარიბია და ყველას სჭირდება ტრანსფორმაცია.

შემდეგ ნაწილში განვიხილავთ აღნიშნული ორი მიზნის ზეგავლენას ტრანსფორმაციულ განვითარებასა და შესაბამისი ცვლილებების გამოწვევაზე. რევოლუცია, ევოლუცია ან სტატუსკვო არ არის მისაღები. მოცემულ ნაწილში აღვწერთ ცვლილებების პროცესს, რომელიც ადასტურებს ღვთისა და ადამიანების ერთობლივ წვლილს ტრანსფორმაციაში, ვისაუბრებთ ურთიერთობების გაუმჯობესების აუცილებლობაზე ყველა სფეროში, საბოლოო მიზნის გათვალისწინების საჭიროებაზე და, ასევე, იმაზე, რომ მუდამ უნდა გვახსოვდეს: არსებობს მოწინააღმდეგე, რომელიც აქტიურად იღვწის, რათა დაამარცხოს ნებისმიერი რეალური ტრანსფორმაცია. ვისაუბრებ, აგრეთვე, სიმართლის, სამართლიანობის, სილამაზის, ხელოვნებისა და ბედნიერების ძიების მნიშვნელობაზე. ამ თავის ბოლო ნაწილში ვისაუბრებ სიღარიბის მიზეზების აღმოფხვრის აუცილებლობაზე, მშვიდობის მიღწევისაკენ მიმართული ძალისხმევის მნიშვნელობასა და ადგილობრივი ეკლესიების როლზე მდგრადი განვითარების მიღწევაში.

მოცემული თავი სრულდება მდგრადობის ოთხი ასპექტის მოკლე მიმოხილვით. ესენია: ფიზიკური, მენტალური, სოციალური და სულიერი. ასევე, ამავე თავში ნაჩვენებია ტრანსფორმაციული განვითარებისადმი ჰოლისტიკური მიდგომების შემუშავების აუცილებლობა. კერძოდ, იქ, სადაც ლაპარაკია სოციალური მდგრადობის შესახებ, განვიხილავთ ჩაგვრის დინამიკასა და უფლებამოსილების შემზღუდველ სისტემებს, აქვე შემოთავაზებთ ქრისტიანული იდეების ახლებურ სინთეზს და გავაანალიზებთ ანა კუდის მოსაზრებებს ჩაგვრის დინამიკის შესახებ.

პრინციპები და პრაქტიკა

მე-7 თავში განხილულია ტრანსფორმაციული განვითარების სფეროში არსებული პრაქტიკა, ყურადღება გამახვილებულია არსებულ პრინციპებსა და იმ ადამიანების თვისებებზე, რომლებიც ტრანსფორმაციული განვითარების ქრისტიანული ინტერპრეტაციის შესაბამისად მოქმედებენ.

მოცემულ ნაწილში განვიხილავ მოსაზრებას, რომლის თანახმად ტრანსფორმაციული განვითარების პროცესის მამოძრავებელი ძალა თვითონ ადამიანები არიან. ადამიანებს აქვთ იტორია, რომელიც უნდა მოვისმინოთ და რომელსაც პატივი უნდა ვცეთ. იმავდროულად, უნდა გვესმოდეს, რომ საჭიროა, ამ ადამიანებს განვუმარტოთ: ღმერთმა გვიბოძა ნიჭი და ძალა იმისა-

თვის, რომ ჩვენი პიროვნებანი უკეთესები გავხადოთ. ჩვენ უნდა შევავსოთ ის სიცარიელე, რომელიც სულიერ სამყაროსთან მიმართებით არსებობს. მოკლედ: უკეთ უნდა გავიგოთ თითოეული მათგანის ისტორია, გავაცნობიეროთ ის ფაქტი, რომლის თანახმად ამ ადამიანებს სჯერათ: მათი ამჟამინდელი მდგომარეობა (და მათი მომავალიც) სულების, ღმერთებისა და წინაპრების უხილავი სამყაროს ზეგავლენას განიცდის და მათ მდგომარეობას ეს განცდა განაპირობებს. მკითხველს იმასაც შევახსენებ, რომ ამ ადამიანებმა უკვე ჩვენს გარეშეც ბევრი რამ იციან. მკვიდრი მოსახლეობის ეს ცოდნა უნდა გავითვალისწინოთ და მას პატივი უნდა ვცეთ. ღარიბებმა თავისებურად ისიც იციან, თუ როგორ უნდა გადარჩნენ. ტრანსფორმაციული განვითარების გზით სიარული თავად ამ მნიშვნელოვანი ფაქტის გააზრებიდან უნდა დაიწყოს.

შემდეგ თავში განხილულია ის მექანიზმი, თუ როგორ უნდა გადაიზარდოს მონაწილეობა უფლებამოსილებაში. მონაწილეობა არ არის საბოლოო მიზანი. ამ პროცესში გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება მონაწილეობის ხარისხს. როდესაც ადამიანები გარდაიქმნებიან და ნაკლებად პასიურები ხდებიან, ისინი ამ დროს თავიანთი განვითარების ძირითად მამოძრავებელ ძალად გადაიქცევიან. ასეთი ადამიანები თვითონვე მონაწილეობენ თავიანთი უფლებამოსილების გაზრდაში. სწორედ შეცვლილი ადამიანები იწვევენ ცვლილებებს სხვა ადამიანებში. დაბოლოს, მინდა აღვნიშნო, რომ თუ მონაწილეობრივი პროცესის შედეგად ამა თუ იმ თემის ერთიანობის შეგრძნება არ გაიზარდა, ეს პროცესი არ არის ეფექტური და გამართული.

ამ თავის შემდეგ ნაწილში ყურადღებას პრინციპებიდან ტრანსფორმაციული განვითარების სფეროში მოღვაწე ადამიანების შეფასებაზე (დახასიათებაზე) გადავიტანთ. განვითარება ადამიანებსა და ურთიერთობებს ეყრდნობა. რეალური ტრანსფორმაციის მისაღწევად პრაქტიკოსი ჰოლისტიკოსის დამოკიდებულება, ცოდნა და ქცევა უაღრესად მნიშვნელოვანია. პრაქტიკოსი სპეციალისტების აზროვნება და დამოკიდებულება ჰოლისტიკური უნდა იყოს, რათა, საბოლოო ჯამში, თავად პროგრამაც ჰოლისტიკური იყოს. თუ პრაქტიკოსი ჰოლისტიკოსი ისე ექცევა ადამიანებს, როგორც ღვთის შვილებს, ადამიანები დაიჯერებენ, რომ ისინი მართლაც უფლის შვილები არიან და მისგან მიტოვებულები არ არიან. თუ პრაქტიკოს ჰოლისტიკოსს სჯერა, რომ ადამიანებს თავიანთი წვლილის შეტანა შეუძლიათ მოცემულ პროცესში, მაშინ თავად ადამიანებიც აღმოაჩენენ საკუთარ თავში ამ ნიჭს.

მოცემულ თავში განვიხილავთ პრაქტიკოსი ჰოლისტიკოსის პორტრეტს. პრაქტიკოსი ჰოლისტიკოსი ქრისტიანია და ჭეშმარიტად ბიბლიური მსოფლმხედველობა აქვს. მას ქრისტიანული ხასიათი უნდა ჰქონდეს, ანუ იგი უნდა იქცეოდეს, ფიქრობდეს და მუშაობდეს, როგორც ჰოლიზმის მიმდევარი. პრაქტიკოსი ჰოლისტიკოსი უნდა იყოს პროფესიონალი განვითარების სფეროში და ეფექტურად უნდა გამოიყენოს თავისი ცოდნა. პრაქტიკოსი ჰოლისტიკოსი კარგად უნდა იცნობდეს ბიბლიასა და თეოლოგიას, რათა ზუსტად ესმოდეს განვითარებასა და თეოლოგიას შორის არსებული განსხვავებების ნიუანსები. დაბოლოს, პრაქტიკოსი ჰოლისტიკოსი თავად უნდა იყოს პროფესიული განვითარებისა და სულიერი ფორმირების უწყვეტი პროცესის მონაწილე.

ტრანსფორმაციული განვითარების პროგრამების შემუშავება

მე-8 თავი განვითარების პროგრამების შემუშავების განხილვით იწყება. იქ აღწერილია პროგრამის ჩარჩოს, მონიტორინგისა და შეფასების ინსტრუმენტების როლი და მნიშვნელობა ლოგიკური და თანმიმდევრული პროგრამის პაკეტის მომზადებაში. შემდეგ ვეცდებით ავხსნათ, თუ რატომ არ არის ეფექტური მართვის იმ ტრადიციული მექანიზმის გამოყენება, რომელიც დაფუძნებულია სოციალური სისტემების ტრანსფორმაციასა და განვითარების პროგრამებით დაგეგმილ მიზნებზე. სოციალური სისტემები პარადოქსული და დინამიკურია (ტექნიკური ტერმინი, რომელიც ნიშნავს არასწორხაზოვანს ან არაერთგვაროვანს). სოციალურ სისტემებს თვითორგანიზება ახასიათებთ, ისინი ბოლომდე არ ექვემდებარებიან მართვასა და კონტროლს. მოცემული თავის ამ ნაწილში ვაყალიბებ დასკვნას, რომ ნაცვლად "ტრანსფორმაციისკენ ჩვენი გზის დაგეგმვისა," ჩვენთვისაც და იმ ადამიანებისთვისაც, ვისი ინტერესების გათვალისწინებითაც ვმუშაობთ, უმჯობესი იქნება, თუ "ტრანსფორმაციისკენ გზას სწავლის გზით გავიკვლევთ." შესაბამისად, აქცენტი, მიზნებისა და ეტაპების ნაცვლად (გარდა მოკლევადიანი მიზნებისა), უფრო ხედვაზე, ფასეულობებზე, მონიტორინგსა და შეფასებაზე უნდა გაკეთდეს. შემდეგ განხილულია სულიერი დისციპლინების როლი მოცემულ პროცესებში. ამ ნაწილში თავისი წვლილი ჩემმა მეუღლემ, ლისამ, შეიტანა, რომელიც ჯგუფების სულიერი ორიენტირების სფეროში 25 წელზე მეტია მოღვაწეობს.

მოცემული თავის შემდეგ ნაწილში განხილულია, თუ რა ხდება განვითარების ზომების დაგეგმვის თვალსაზრისით, როდესაც საჭიროებების ანალიზიდან სოციალურ ანალიზზე გადავდივართ. იქ აღწერილია ღონისძიებების დაგეგმვის გზები მერი ანდერსონისა და პიტერ ვუდროუს სუსტი მხარეებისა და შესაძლებლობების ანალიზის მეთოდის გამოყენებით. შემდეგ განხილული იქნება საარსებო წყაროების უსაფრთხოება, როგორც პროგრამების დაგეგმვის ნაწილი და თემთა ორგანიზების მოკლე მიმოხილვა. შემდეგ ნაწილში ვისაუბრებთ განვითარების კვლევებისა და დაგეგმვის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან, მონაწილეობითი სწავლებისა და მოქმედების (PLA) ინსტრუმენტზე, რომელიც 1980-1990-იან წლებში შემუშავდა. შემდეგ განხილული იქნება PLA-ს ფარგლებში არსებული ერთ-ერთი ინსტრუმენტი, რომელიც თემის მონაწილეობასა და სწავლებას გულისხმობს და, შესაბამისად, ანალიზის, კვლევისა და დაგეგმვის მეთოდი თავად ტრანსფორმაციული ხდება. ასევე, აღწერილია შემეცნებითი კვლევის მეთოდი. მოცემული მეთოდი შედარებით ახალია და იგი მონაწილეობითი კვლევისა და დაგეგმვის ფარგლებში გამოიყენება. მეთოდი ქეის უესტერნ რეზერვის უნივერსიტეტის მკვლევრის, დეივიდ კუპერრაიდერის, ნაშრომზე დაყრდნობითაა გაანალიზებული. ყველაზე ღარიბ თემებშიც კი ჯანდაცვის, საარსებო საშუალებებისა და სოციალური ორგანიზების გაცნობიერებული კვლევა საინტერესო შედეგებს იძლევა და ეხმარება ამ ადამიანებს თავიანთი იდენტობისა და ჭეშმარიტი დანიშნულების აღმოჩენაში.

შემდეგ ასახულია სამეცნიერო კვლევების შედეგები განვითარების პროგრამების დასრულებისა და მათი მდგრადობის უზრუნველყოფის თაობაზე. იქვე აღწერილია მდგრადობაზე გადასვლის ეტაპი და მისი წარმატებით განხორციელების განმაპირობებელი ფაქტორები. პროგრამების განხორციელების კვალდაკვალ თემებისათვის ცენტრალურ მნიშვნელობას იძენს ისეთი

საკითხები, როგორებიცაა: ადვოკატირება, პოლიტიკა, ადამიანების უფლებამოსილების გაფართოება და ეფექტური მართვა. ზემოხსენებულ საკითხებს მოკლედ მიმოვიხილავთ.

მოცემული თავი სრულდება პროგრამების შემუშავებასთან დაკავშირებული სხვა პრობლემების განხილვით. დაისმის კითხვები: ვგულისხმობთ თემში და ვინ არიან თემის წევრები? როგორ გავითვალისწინოთ ქალებისა და ბავშვების პრობლემები? რა ტემპით უნდა ხორციელდებოდეს პროგრამა და ვინ იღებს გადაწყვეტილებას? როგორ წარმოვაჩინოთ და გავიაზროთ ღარიბი ადამიანების სულიერი მრწამსი და მსოფლმხედველობა?

მოძღვრება ტრანსფორმაციის მიღწევის თაობაზე

მოცემული თავი დაიწერა დოქტორ ფრენკ კუკინჰემის დახმარებით, რომელიც World Vision International-ის უფროსი სპეციალისტია. წიგნის მოცემული თავი იწყება მონიტორინგის, შეფასებისა და რეფლექსიის დეფინიციით. დღეს-დღეობით განვითარების სფეროში მონიტორინგის მნიშვნელობა სათანადოდ არ ესმით და, შესაბამისად, იგი სათანადოდ არ ხორციელდება. შეფასების მნიშვნელობა კი, პირიქით, გაზვიადებულია და იგი ზედმეტი მოცულობითაც კი ხორციელდება, ხოლო რეფლექსიის მნიშვნელობა იგნორირებულია.

საუბარს დავიწყებთ იმ ფაქტიდან, რომ თუ განვითარების პროგრამების ფარგლებში დასახულია ღარიბთა სოციალური სისტემების გარდაქმნა და, იმავდროულად, ასეთი პროგრამები არ ექვემდებარება ლოგიკურ და სწორხაზოვან დაგეგმარებას, მაშინ პროგრამებიდან მოულოდნელი გადახვევები უფრო ნორმად უნდა აღვიქვათ, ვიდრე გადაცდომად. თემები, რომლებიც მოცემულ პროგრამებს ახორციელებენ, ასევე მოულოდნელი გზით ვითარდებიან და ამ პროცესში მათი დამოკიდებულება და მოქმედებებიც შეიძლება მოულოდნელი იყოს. მაგალითად, კოღოების საწინააღმდეგო ბადეები, რომლებიც ლოგინზე უნდა მიმაგრდეს მალარიის პრევენციის მიზნით, მოსახლეობამ შეიძლება ფანჯრებზე დაამაგროს; წყალმომარაგების ახალი სისტემა შეიძლება სულაც არ გამოიყენონ ძველი წყალმომარაგების სისტემაში არსებული “სულების” შიშით. ამგვარად, მონიტორინგმა და შეფასებამ, რომლებიც მიმართულია პროგრამის ლოგიკური ჩარჩოს ფარგლებში დასახული მიზნების განხორციელების შეფასებისაკენ, შესაძლოა მხოლოდ მნიშვნელოვანი ფულადი სახსრების დანახარჯი გამოიწვიოს და ყველაზე მნიშვნელოვანი ასპექტები შეფასებისას მხედველობის მიღმა დარჩეს. თუ ჩვენ განვითარების პროგრამის განხორციელების კვალდაკვალ ვისწავლით, მაშინ მიღწეული შედეგებისა და ზეგალენის შეფასება ნაკლებად მნიშვნელოვანი გახდება. ამასთანავე: სოციალური სისტემების გარდაქმნისა და სწავლების პროცესში მოსალოდნელი და მოულოდნელი შედეგების თანმიმდევრული მონიტორინგისა და რეფლექსიის მნიშვნელობა გაიზრდება.

მე-9 თავში გაანალიზებულია მონიტორინგსა და შეფასებასთან დაკავშირებული საკვანძო ასპექტები. კერძოდ: რისთვის არის ეს საჭირო? ვისთვის კეთდება? ვინ შეიცვალა? რას ვაკვირდებით და ვაფასებთ? როდესაც ვსვამთ კითხვას, თუ რამდენად მდგრადი იქნება ცვლილებები, ვგულისხმობთ, რომ ამ ცვლილებების მდგრადობა გრძელვადიან პერსპექტივაში გვაინტერესებს. მოცემულ თავში, ასევე, მოკლედ განვიხილავთ მენტალური და სოციალური

მდგრადობის გარკვეულ ასპექტებს. რადგანც წინამდებარე ნაშრომი სიღარიბესა და განვითარებაზე ქრისტიანული თვალსაზრისის გაანალიზებასა და ფორმირებას ეძღვნება, უფრო მეტ დროს დავუთმობთ სულიერი მდგრადობის საკითხის განხილვას. ასევე, გავაანალიზებთ, თუ რას უნდა დავაკვირდეთ და რა უნდა შევაფასოთ, როდესაც გვინდა გავნსაზღვროთ, თუ რამდენად ნაყოფიერია ჩვენი, როგორც ქრისტიანი ექსპერტების, საქმიანობა.

ამ თავში კვლავ ვიყენებ ჩემი მეუღლის, ლისა მაიერის, დახმარებას. მოცემულ თავს ვასრულებთ საუბრით სულიერებისა და შესაბამისი დისციპლინების როლზე განვითარების პროგრამების შეფასების პროცესში.

ქრისტიანობის მიმდევრები

წიგნის ბოლო თავი ეხება ქრისტიანობის მიმდევრების მოღვაწეობას ტრანსფორმაციული განვითარების სფეროში. ჩვენ გავაანალიზებთ ქრისტიანობის მიმდევრების როლს ქრისტიანული განვითარების სააგენტოების საქმიანობაში და მოცემულ სფეროში არსებულ პრობლემებზეც ვისაუბრებთ. ჩვენ ქრისტიანობის მიმდევრები და გამავრცელებლები ვართ, რადგანაც ეს საქმიანობა ჩვენი რწმენის ცენტრალური ასპექტია. მაგრამ ის, თუ როგორ ვაკეთებთ ამას, გარკვეულ სიძნელეებსა და გამოწვევებს ქმნის. სიძნელე ისაა, რომ ყველა ადამიანი, ქრისტიანი თუ არაქრისტიანი, განუწყვეტლივ მოღვაწეობს თავისი მრწამსის შესაბამისად და ასეთი გზით გამოხატავს თავის რწმენას. შეკითხვა შემდეგია – რას ვქადაგებთ ან ვის წინაშე ვქადაგებთ? არ არსებობენ განვითარების სფეროს “მიუკერძოებელი” მოღვაწეები. გამოწვევა კი ისაა, რომ ჩვენ ქრისტიანული მოღვაწეობისა და მიმდევრობის ისეთი პრაქტიკა და ჩარჩო უნდა დავნერგოთ, რომელიც ტრანსფორმაციული განვითარების პრინციპებთან იქნება შესაბამისობაში.

მოცემულ თავში შევეცდებით შემოგთავაზოთ ისეთი კონცეფცია, რომელიც ლესლი ნიუბიგინის ნაშრომზე დაყრდნობით შევიმუშავეთ. განვითარების სფეროში მოღვაწეობისა და ქრისტიანული წესით ცხოვრებისას ჩვენ ვურთიერთობთ თემებთან და ადამიანებთან, რომლებიც გვისვამენ შეკითხვებს. ამ შეკითხვებზე პასუხი სახარებაშია და კიდევ ერთხელ ვრწმუნდებით, რომ სახარება უნდა აღიქმებოდეს როგორც მაგალითი ცხოვრების, საქმისა და სიტყვისა. შესაბამისად, თავად ადამიანებს ეკისრებათ ქადაგებისა და მაგალითის მიცემის ტვირთი. ჩვენ ჩვენი ცხოვრებით და ჩვენი რწმენით ვაძლევთ მაგალითს და ვამყარებთ აზრს, რომ პასუხი დასმულ შეკითხვებზე ქრისტიანულ რწმენის პერველწყაროებშია.

მოცემულ თავში დასმულია მრავალი შეკითხვა და ისინი განხილულია ქრისტიანულ მოღვაწეობასთან დაკავშირებული საკითხების მიხედვით. აღნიშნულია ბიბლიური ისტორიის სრულად მოყოლისა და განმარტების საჭიროება, ცხოვრების სხვადასხვა ასპექტის ურთიერთკავშირი; ხაზგასმულია, რომ სახარება და ქრისტიანობა არსობრივად ერთი და იგივეა და მათ შორის დიქოტომია არ არსებობს. მოცემული თავის შემდეგ ნაწილში განვიხილავთ ქრისტიანული ქადაგებისა და მოღვაწეობის შესაბამისობის უზრუნველყოფის საჭიროებას ტრანსფორმაციული განვითარებისათვის. დავიწყებთ საუბარს იქიდან, რომ ქრისტიანობის მქადაგებლის მიზნები იგივეა, რაც ტრანსფორმაციული განვითარების მიზნები. კერძოდ: გარდაქმნილი ადამიანები და ურ-

თიერთობები. ერთადერთი განსხვავება ისაა, რომ ქრისტიანობის მოქადაგე ადამიანები ღმერთთან ურთიერთობების სფეროში მოღვაწეობენ. მიზნების ასეთი კონვერგენცია იმის დამადასტურებელია, რომ ჩვენ უნდა დავძლიოთ ფიზიკურსა და სულიერს შორის არსებული დიქოტომია.

მოცემული თავის შემდეგ ნაწილში ვისაუბრებთ სახარების ორგანულ და ინტეგრირებულ გააზრებაზე, როგორც იესოსთან მიახლოების საშუალებაზე. ეს დაგვეხმარება იმის გაგებაში, თუ როგორ უნდა ვიქადაგოთ საქმით, სიტყვითა და სასწაულების ინტერპრეტაციით. ქრისტიანული გზავნილი მატერიალიზებულია და ქრისტეს ეკლესიის მიერ ვრცელდება. ამ გზავნილის სიცხადე და მიმზიდველობა დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად ჰარმონიულია ჩვენი ცხვორების გზა და მოქმედებები იესოს გზავნილთან და, ასევე, იმაზე, თუ რამნდენად დაინტერესებულები ვართ სიტყვით, საქმითა და ნიშნით გამოვხატოთ ჩვენი რწმენა. უნდა გვახსოვდეს, რომ არ უნდა გავმიჯნოთ ევანგელიზმი და ქრისტიანობის ქადაგება. ეს არასწორი დიქოტომიაა და მისი დაძლევა უაღრესად მნიშვნელოვანია, რათა ჩვენი ქადაგებისა და სწავლების შედეგად ჭეშმარიტი ქრისტიანების ფორმირებას მივაღწიოთ. მოცემული ნაწილი სრულდება მოწოდებით, რომ ქრისტიანობის გავრცელების სფეროში მოღვაწეობისას, ადრე თუ გვიან, ბიბლიური ისტორია სრულად უნდა გავუზიაროთ ადამიანებს. სწორედ სრული სახით წარმოჩენილი ბიბლიური ისტორია გვაჩვენებს, თუ ვინ ვართ, რისთვის ვართ და უკეთ გავაცნობიერებთ, რომ ქრისტეა ყოვლისშემქმნელი, ის განაგებს ჩვენს ურთიერთობებს.

შემდეგ განხილული იქნება, თუ რა გზით უნდა ვიქადაგოთ. საუბრის დასაწყისიდანვე მოვუწოდებთ ყველა ქრისტიანს, იცხოვრონ ქრისტიანული წესით და პასუხებს თავიანთ შეკითხვებზე სახარებაში იპოვიან. შემდეგ ჩვენ შევახსენებთ ქრისტიანებს, რომ ისინი მზად უნდა იყვნენ თავგანწირვისათვის და არა ჯვაროსნული ლაშქრობისათვის. ჩვენ უნდა დავეხმაროთ საზოგადოებას და ჩვენს თავსაც, რომ ჩვენს ისტორიაში, სამყაროს დასაბამში და განვითარებისაკენ მიმართულ ძალისხმევაში დავინახოთ ღვთის კვალი და მისი მხარდაჭერა. ღარიბების მსოფლმხედველობის გარდაქმნა და მათი საკუთარი თავისადმი, საკუთარი მომავალისადმი დამოკიდებულების შეცვლა შესაძლებელია, თუ ადამიანის მნიშვნელობისა და დანიშნულების თაობაზე შეკითხვებს დავსვამთ და სათანადო პასუხებს გავცემთ. აქვე განვიხილავთ, თუ როგორ შეიძლება ტექნოლოგიის ინტერპრეტაცია ისე, რომ გასაგები გახდეს არა მხოლოდ მისი ტექნიკური ეფექტურობა, არამედ, ასევე, ღვთის განგება ამ პროცესში, რადგანაც მან გახადა ეს შესაძლებელი. ასევე, კიდევ ერთხელ შევახსენებთ მკითხველს, რომ არ უნდა გვქონდეს უხერხულობის განცდა იმის გამო, რომ ქრისტიანები ვართ და ღიად უნდა შეგვეძლოს თქმა, თუ რისი გვწამს.

ამავე თავის შემდეგ ნაწილში ვისაუბრებთ ბიბლიის მნიშვნელობაზე ტრანსფორმაციული განვითარების პროცესში. წარმოდგენილი იქნება მოსაზრება, რომ ბიბლია, როგორც ღვთის მიერ დანატოვარი სიტყვა, უფრო აქტიურად უნდა იყოს გამოყენებული განვითარების პროცესებში და მხოლოდ კვირა დღეს და ლოცვის დროს არ უნდა მივმართავდეთ მას. მოცემული თავი მოგვიწოდებს, თავად მოვძებნოთ ის გზები, რომლებითაც შესაძლებელი გახდება, რომ ბიბლიამ თავად დაამკვიდროს თავისი თავი. ვისაუბრებთ, აგრეთვე, რომაული კათოლიკური ეკლესიის პასტორალური წრის იდეაზე. შემდეგ წარმოგიდგენთ საღმრთო წერილების შესწავლის მეთოდსა და ე. წ. იმ

შვიდი ნაბიჯის რაობას, რომელთა ფარგლებში ბიბლია მოაზრებულია, როგორც განვითარების პროგრამების ქმედითი კომპონენტი. შემდეგ მოკლედაა აღწერილი ახალი ტომების მისიის ახლებური ხედვა და ბიბლიის ისტორიის სახით გადაცემის ინიციატივა, რათა ამ გზით ბიბლია უფრო ეფექტურად იყოს გამოყენებული განვითარების პროცესებში. ქრისტიანობის მიმდევრების შესახებ თავი სრულდება შეხსენებით, თუ რას უნდა ჰქონდეს ცენტრალური მნიშვნელობა ქრისტიანებისათვის ტრანსფორმაცია ორი კომპონენტისაგან შედგება: გარდაქმნილი ადამიანები და ურთიერთობები. ღარიბები, შეძლებულები და განვითარების სფეროში მოღვაწე ადამიანები (და ორგანიზაციები) ერთად უნდა მუშაობდნენ სამართლიანი და მშვიდობიანი ურთიერთობების მისაღწევად, რათა თავიანთი ჭეშმარიტი იდენტობა და მოწოდება გამოავლინონ. შემდეგ ვისაუბრებთ, თუ როგორ შეიძლება ამის მიღწევა, ე.ი. როგორ გარდაიქმნებიან ქრისტიანები საქმით და მსოფლმხედველობით. თავი სრულდება შეკითხვით: *ვინ შეიცვლება?* ამ კითხვაზე პასუხი შემდეგია: ყველა უნდა შეიცვალოს. ტრანსფორმაციული განვითარება არის გზა, რომელსაც ყველა უნდა მისდევდეს და რომელიც ყველამ უნდა მოძებნოს.

2

განვითარება — იდეის წარმოშობა

განვითარების იდეა, კერძოდ, სხვადასხვა ერისათვის სიღარიბის დაძლევაში დახმარების აღმოჩენა, დასაბამს მეორე მსოფლიო ომის შემდეგ იღებს. იდეა, რომ საზოგადოებები შეიძლება შეიცვალოს და ცხოვრების პირობები გაუმჯობესდეს, პირველად მე-17 საუკუნეში წარმოიშვა და ძალიან ნელა იკიდებდა ფეხს. აღსანიშნავია, რომ მოცემული იდეა დასავლეთში უფრო მე-18 საუკუნის ბოლოდან ხდება პოპულარული. ადამიანებისა და ერების განვითარების იდეის წარმოშობის ისტორიის ცოდნა დაგვეხმარება უკეთ გავაცნობიეროთ, თუ რა მდგომარეობაა დღეს სიღარიბისა და განვითარების თვალსაზრისით. მოკლე ისტორიული მიმოხილვის შემდეგ წარმოდგენილ თავში განვიხილავთ თანამედროვე ნაშრომებს სიღარიბის დაძლევის თემაზე, რომლებმაც მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს გლობალურ დიალოგში მოცემულ საკითხებზე. განხილული ნაშრომები თავიანთი ხასიათით უფრო გლობალურნი არიან და შესაძლებელია, განვითარების სფეროს პრაქტიკოსებისათვის ისინი დიდად სასარგებლონი არ აღმოჩნდნენ, თუმცა ამ ნაშრომებში ასახულმა იდეებმა ღრმა კვალი დატოვეს და ზეგავლენა იქონიეს განვითარების სფეროს თანამედროვე კვლევებზე, დონორ სააგენტოებსა და განვითარების სფეროში მომუშავე ადამიანებზე.

წარსულის გახსენება

ისტორიის შეცვლილი ტრაექტორია

ანგუს მადისონის ფუნდამენტურმა ნაშრომმა (2003) იმით მიიპყრო ჩვენი ყურადღება, რომ იგი ნათლად ასახავს, თუ რამდენად შეიცვალა სამყარო მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისში. აღსანიშნავია, რომ ქრისტიანობის დასაბამიდან 1800-იანი წლების დასაწყისამდე კაცობრიობის მდგომარეობა არსებითად არ შეცვლილა. მსოფლიოში კეთილდღეობის თვალსაზრისით არსებული ვითარება არ გაუმჯობესებულა, ხოლო სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა 40 წელს არ აღემატებოდა. სამყაროს შექმნის დროიდან მოყოლებული, პრაქტიკულად, ყველა სიღარიბეში ცხოვრობდა და დაუცველი იყო.

მთელ მსოფლიოში ქრისტიანობის დასაბამიდან ათასი წლის შემდეგაც კი ადამიანების დღიური შემოსავალი 1.25 დოლარის ეკვივალენტი იყო. 1000—1020 წლებში დღიური შემოსავალი დაახლოებით 1.80 დოლარამდე გაიზარდა (მადისონი, 2003). პრაქტიკულად, ყველა ცხოვრობდა და მუშაობდა სახლში. სამუშაო იმხანად ხელფასისათვის კი არ სრულდებოდა, არამედ ოჯახის საარსებო საშუალებების მოსაპოვებლად. ყოველთვის არსებობდა შედარებით შეძლებულ ადამიანთა მცირე ჯგუფი, მაგრამ უმეტესობა სიღარიბეში ცხოვრობდა, ანუ დაახლოებით ისეთივე გასაჭირში, როგორშიც დღეს სამხრეთის მოსახლეობა ცხოვრობს. მატერიალური დოვლათის შექმნის, საბაზრო სისტემების განვითარების, საკუთარი სამუშაო ძალის გაყიდვის, ან მიწის, როგორც კაპიტალის, იდეა იმხანად არ არსებობდა (ჰეილბრონერი, 1999, 18-19). შემდეგ, მე-19 საუკუნის გარიჟრაჟზე, ისტორიის ვექტორის გასაოცარი ცვლილების შედეგად გლობალური დოვლათისა და ადამიანთა კეთილდღეობის რადიკალურად ახალი ტრაექტორია წარმოიშვა (დიაგრამა 2-1).



დიაგრამა 2-1: გლობალური მშპ-ს გათვლები
(მადისონის დიაგრამის ადაპტირებული ვერსია)

ბოლო ორასი წლის განმავლობაში მსოფლიო დოვლათი დაახლოებით 50-ჯერ, ხოლო მსოფლიო მოსახლეობა 6-ჯერ გაიზარდა. ერთ სულ მოსახლეზე შემოსავალი გლობალურ დონეზე 9-ჯერ გაიზარდა, რაც გასაოცარი მიღწევაა 200-წლიანი პერიოდისთვის (მადისონი, 2003, 256, 259). ევროპაში იმავე პერიოდში სიცოცხლის ხანგრძლივობა, პრაქტიკულად, გაორმაგდა (მადისონი, 2001, 29), ანუ დედამიწის მოსახლეობა გაიზარდა. ასევე გაიზარდა შემოსავალი ერთ სულ მოსახლეზე და გაუმჯობესდა მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობა. იბადება შეკითხვა: რა მოხდა?

შეიცვალა ძალიან ბევრი რამ და ამ ცვლილებების უმეტესობა რადიკალური იყო. როდესაც ევროპაში სეკულარული ნაციონალური სახელმწიფოს იდეა რეალობა გახდა, ადამ სმიტმა დაწერა ნაშრომი "*მორალური სენტი-*

მენტების თეორია" (1759), ხოლო შემდეგ – *"ერების კეთილდღეობა"* (1776). მან შემოგვთავაზა ახალი იდეების წყება, რომლებსაც დღეს პოლიტიკური ეკონომიკის სახელით ვიცნობთ. სმიტი ცდილობდა აეხსნა, თუ რა მოხდა ბრიტანეთში ინდუსტრიული რევოლუციის შედეგად. იგი, ასევე, ცდილობდა, განევითარებინა თეორია საერთო დოვლათის დაცვის მექანიზმების თაობაზე. ამასთან დაკავშირებით სმიტმა ორი მნიშვნელოვანი იდეა შემოგვთავაზა (ჰეილბრონერი, 1999, 20). პირველი იდეის თანახმად, მატერიალური დოვლათი, ანუ მიწის წლიური პროდუქტიულობა და შრომის ნაყოფიერება, შეიძლება გაიზარდოს (წარმოებული იყოს) საბაზრო სისტემებში ინვესტიციებისა და ინოვაციების დანერგვის შედეგად; ქვეყნების ეკონიმიკა არ უნდა იყოს იმ მდგომარეობაში, როდესაც ერთნი წაგებაში არიან, ხოლო სხვები მოგებაში, რის გამოც, საბოლოოდ, ეგრეთ წოდებული "განულებული" მდგომარეობა იქმნება. მეორე იდეის თანახმად კი, ეკონომიკურ ცხოვრებას აღარ სჭირდებოდა კულტურული ტრადიციების ან ავტორიტარული ბრძანებების გარშემო ორგანიზება. "საზოგადოების ეტლი, რომელიც ამდენი ხნის განმავლობაში ნელა მიტაატობდა ტრადიციების დამრეც ფერდობებზე, ახლა მთელი სიჩქარით მიქრის შიდა წვის სისტემის დახმარებით." შიდა წვის ეს სისტემა კი არის საბაზრო ეკონომიკის სისტემა და მისი "უხილავი ხელი" (ჰეილბრონერი, 1999, 33). ეკონომიკის შესახებ მოსაზრებების ასეთი პარადიგმული გადანაცვლების გარეშე განვითარების, ანუ ადამიანთა მდგომარეობის გაუმჯობესების, იდეა არ იქნება თანამიმდევრული და სრული.

როგორც ყველამ ვიცით, ამ ცვლილებებს თან სდევდა ინდუსტრიული რევოლუცია, რომელიც თავად საზრდოობდა ტექნოლოგიური გამოგონებებით. ასეთმა გამოგონებებმა არსებითად გაზარდეს ადამიანის ფიზიკური შესაძლებლობები. პირველად კაცობრიობის ისტორიაში იმ სამუშაოს მოცულობა, რომლის გაკეთებაც ადამიანს შეეძლო, აღარ იყო დამოკიდებული მის ფიზიკურ ძალაზე. მე-17 საუკუნის დასაწყისში ფრენსის ბეკონმა თავისი დროის სქოლასტიკოს აკადემიკოსებს მოუწოდა, რომ აპოკალიფსის ნაცვლად ღვთის მეორე ქმნილებას, ბუნებას, გაცნობოდნენ. ბეკონის მოტივაცია, გამოეწვია ასეთი გარდატეხა მეცნიერულ კვლევებსა და დედუქციაში, გამოწვეული იყო მისი სურვილით, გაეუმჯობესებინა უბრალო ადამიანების ცხოვრება (ანდერსონი, 1960, 23, 78). მე-18 საუკუნის დასაწყისისთვის აზროვნების ამ გარდატეხამ დასავლეთს შედეგად მოუტანა უამრავი ახალი გამოგონება, რამაც ხელი შეუწყო ახალი მეცნიერებების ჩამოყალიბებას. განვითარდა თანამედროვე მედიცინა და სოფლის მეურნეობა. ტრანსპორტისა და კომუნიკაციის სფერომ ტრანსფორმაცია განიცადა. ყოველივე ამან თავისი წლილი შეიტანა ეკონომიკის ახლებურად გააზრებაში.

მიუხედავად ამისა, უნდა აღინიშნოს, რომ ყველაზე ფუნდამენტური ცვლილება იყო ადამიანების მიერ თავიანთი სამყაროს ახლებურად გააზრება და მისი გარდაქმნის უნარის განვითარება. ადამიანებმა დაძლიეს სამყაროს წინაშე მორჩილების განცდა და ახალი შესაძლებლობები და იდეები აღმოაჩინეს, რომლებზე დაყრდნობითაც თავიანთი ძალისხმევა წარმართეს საკუთარი მდგომარეობის გაუმჯობესებისაკენ. დეერდრი მაკლოსკიმ, ეკონომიკის, ისტორიისა და ინგლისური ლიტერატურის პროფესორმა, უაღრესად დამაჯერებლად განავითარა თავისი მოსაზრება, რომ მე-19 საუკუნის დასაწყისში ინოვაციებისა და ეკონომიკის სწრაფი განვითარება

გამოწვეული იყო მნიშვნელოვანი გარდატეხით ადამიანთა ცნობიერებასა და თვითშეფასებაში. ღარიბი მსახურებიდან და მონებიდან, რომლებიც თავიანთ ხვედრს შეგუებულნი იყვნენ, დაიწყო საშუალო ფენის ფორმირება. ეს უკანასკნელი სულ უფრო მეტ პატივისცემას იმსახურებდა და თავის ადგილს იმკვიდრებდა, რადგანაც ამ ფენას უფლება მიეცა განეხორციელებინა თავისი ნოვატორული იდეები და დამსახურებული საზღაური მიეღო თავისი ძალისხმევის გამო (მაკლოსკი, 2010, 11-12). თავისუფლებამ და ადამიანთა ახალი შესაძლებლობების გამოვლენამ გასაქანი მისცა ადამიანთა შემოქმედებით მხარეს და გაჩნდა უკეთესი მომავლის იმედი. ეს იდეა ბევრჯერ გამეორდება წიგნში, როდესაც ღარიბი ადამიანების ჭეშმარიტი იდენტობის აღმოჩენაზე ვისაუბრებთ. მოცემული იდეა რადიკალურად ახალი იყო.

> პლატონის ხანიდან მოყოლებული სამყარო ითვლებოდა მარადიულ და უცვლელ გარემოდ. ცვლილება ყოველთვის ითვლებოდა უარყოფითად, დეგენერაციად. თუ ცვლილება თავისთავად არ არის დეგენერაცია, მაშინ იგი შეიძლება პოზიტიურიც იყოს. ცვლილება, რომელსაც განათლებული საზოგადოება ახორციელებს, მეტი ალბათობით პოზიტიური უნდა იყოს. პროგრესი ადამიანის შესაძლებლობების გამოვლენას უწყობს ხელს (ჯილესპი, 2008, 36).

ადამიანთა შემოქმედებითი უნარის გამოვლინების გასაოცარმა ტალღამ ახალ გამოგონებებს მისცა დასაბამი და, რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, მოხდა ახალი იდეებისა და კონცეფციების ჩამოყალიბება. ამას თან სდევდა საყოველთაო განათლების იდეის დანერგვა, რადგანაც ყველას ჰქონდა იმის პოტენციალი, რომ თავისი კვალი დაეტოვებინა ისტორიაში.

ყოველივე ზემოხსენებულის ერთობლიობამ, ანუ აზრმა, რომ ადამიანი რაციონალური არსებაა, რომელსაც თავისი წვლილი შეაქვს ისტორიულ განვითარებაში, საბაზრო სისტემების დანერგვის შედეგად ეკონომიკური ზრდის ტემპმა და მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევებმა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს მსოფლიოს განვითარების ტრაექტორიაში. სამყარომ, რომელიც უკიდურესი სიდუხჭირით ხასიათდებოდა, ტრანსფორმაცია განიცადა და იგი ჭარბი დოვლათის მქონე სამყაროდ გადაიქცა, რაც განსაკუთრებით დამახასიათებელია დასავლური სამყაროსათვის. საბოლოო ჯამში, იგი ჭარბი მოხმარებისა და საკუთარი სურვილების დაკმაყოფილების ტენდენციამ მოიცვა.

საზოგადოებისა და ადამიანების ცვლილების კვალდაკვალ შეიცვალა შეხედულებებიც. ქველმოქმედების, გასაჭირში მყოფ ადამიანებზე ზრუნვისა და მათი თანაგრძნობის იდეა ისეთივე ძველია, როგორიც მსოფლიოს რელიგიების უმრავლესობა, მაგრამ მხოლოდ მე-19 საუკუნის შუა პერიოდში, თანაგრძნობისა და ქველმოქმედების იდეასთან ერთად, დამკვიდრება დაიწყო აზრმა, რომ ადამიანების ტანჯვა და სიღარიბე დაუშვებელია და საჭიროა მისი პრევენცია და, თუ ეს შესაძლებელია, მისი საბოლოოდ აღმოფხვრა (შნაიდერი, 1998, 122). სწორედ ამ პერიოდში მიეცა დასაბამი ინსტიტუტების მეშვეობით ადამიანთა ორგანიზებული დახმარების იდეას.

თანამედროვე ჰუმანიტარული მოძრაობა მე-18 საუკუნის ბოლოდან და მე-19 საუკუნის დასაწყისიდან ვითარდება მონების, პატიმრების, ცხველებისა და ბავშვების მიმართ სისასტიკის აღმოფხვრის მიზნით. იმ პერიოდში საფუძველი

ჩაეყარა საწარმოების, სანიტარული სფეროებსა და პენიტენციალური დაწესებულებების რეფორმირებას, რაც დღესაც გრძელდება (შნაიდერი, 1998, 120).*

იმავე პერიოდში ევროპაში პირველი ჰუმანიტარული სააგენტოები გაჩნდა, კერძოდ, წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტი (1863) და გერმანიის კარიტასი (1867).

მატერიალური დოვლათისა და კეთილდღეობის მიმართულებით ფუნდამენტური ძვრები პირველად ევროპაში მოხდა, რის შემდეგაც ეს პროცესი მსოფლიოს სხვა ქვეყნებშიც გავრცელდა დასავლური კოლონიალიზმის გავრცელებასთან ერთად. მიუხედავად იმისა, რომ ჩინეთში, ინდოეთსა და ბრაზილიაში ისტორიის ამ ტრაექტორიით სვლა უკვე დაიწყო, ეს ცვლილებები ღარიბებს მაინცდამაინც არ შეხებია და, შეიძლება პირიქითაც ითქვას, ღარიბები ხშირად ამ პროცესების მსხვერპლნიც კი ხდებიან. ამავე პერიოდში ჩამოყალიბდა საპირისპირო ეკონომიკური კონცეფცია, ანუ მარქსიზმი, რომელიც, მისი მიმდევრების მტკიცების თანახმად, ადამიანთა ყველა პრობლემის გადაჭრის გზებს გვაჩვენებს. მიუხედავად განვითარების პროცესების არაჰომოგენური მიმდინარეობისა და მუდმივი დებატებისა, თუ როგორ უნდა იმუშაოს შემოთავაზებულმა მიდგომებმა რეალურ სამყაროში, იდეა, რომ ღარიბ ერებსა და თემებსაც შეუძლიათ განვითარება, საყოველთაოდ აღიარებული გახდა. ტრანსფორმაციული განვითარება სწორედ ისტორიის განვითარებაში მომხდარი ამ რადიკალური ცვლილებების შედეგია.

განვითარების იდეის წარმოშობა და დახვეწა

ტერმინი "განვითარება" ღარიბების მდგომარეობის გაუმჯობესებისა და მათი კეთილდღეობის მიღწევის მნიშვნელობით პირველად 1950-იანი წლების დასაწყისში გამოიყენეს დასავლეთში. მეორე მსოფლიო ომის გამანადგურებელი შედეგების შემდეგ ევროპა თანდათან აღდგა და ეკონომიკური აღმავლობის გზას დაადგა. ომის შემდგომ პერიოდში დაიწყო ყოფილი კოლონიებისათვის დამოუკიდებლობის მინიჭების პროცესებიც.

იმავე პერიოდში ჯარისკაცები და ომის კორესპონდენტები, რომლებიც მთელ მსოფლიოში იყვნენ მიმოფანტულნი, თანდათან სახლებში ბრუნდებოდნენ და ყვებოდნენ ისტორიებს შორეულ ეგზოტიკურ ქვეყნებზე, რომლებსაც დასავლური კულტურისგან განსხვავებული კულტურა ჰქონდათ. დასავლეთში რადიომ და ტელევიზიამ ყველაზე ღარიბების სახლებშიც შეაღწია და მათი ცხოვრება ახალი სიტყვებითა და გამოსახულებებით შეავსო. უფსკრული მდიდრებსა და ღარიბებს შორის, დასავლეთსა და მსოფლიოს დანარჩენ ქვეყნებს შორის კიდევ უფრო ღრმავდებოდა და ეს სხვაობა სულ უფრო თვალში საცემი ხდებოდა.

განვითარებისა და სიღარიბის დაძლევის იდეა დასავლეთში ცხოვრების ნორმად იქცა და "ხშირად ასე საუბრობენ ამ მიმართულებაზე, როგორც კვა-

* შნაიდერი კარგად იცნობდა შუა საუკუნეების რელიგიური ორდენების საქველმოქმედო საქმიანობას, მაგრამ იგი აღნიშნავს, რომ ისინი არ იყვნენ განვითარებული იმ დონემდე, რომ ორგანიზებული დახმარების გაწევა შეძლებოდათ. სოციალური ინსტიტუტები, რომლებიც მხოლოდ საქველმოქმედო დახმარების გაწევაზე არიან ორიენტირებულნი, მხოლოდ მე-19 საუკუნეში ჩამოყალიბდა.

ზი-რელიგიურ მისიაზე. დასავლეთის ინდუსტრიული ქვეყნები თავიანთ მორალურ მოვალეობად მიიჩნევენ, აქტიური ზომები გაატარონ იმ ქვეყნების დასახმარებლად, რომლებიც ტექნიკურად (ან კულტურულად) უფრო ჩამორჩენილები არიან" (ტინდეილი, 2006, 156).

რას გულისხმობენ დასავლელი ალტრუისტები ტერმინში "განვითარება?" ჩვენ ზოგჯერ გვავიწყდება, რომ როდესაც დასავლეთი თავის თავს განვითარებულად მიიჩნევდა, ბოლომდე ნათელი არ იყო, თუ როგორ მიაღწიეს ამ განვითარებას. გარდა ამისა, დასავლეთი ჯერ კიდევ შერყეული იყო იმ ორი მსოფლიო ომის შედეგად, რომლებიც მისი განვითარების პროცესების განმავლობაში მოხდა. იგი, ასევე, გლობალური ეკონომიკური დეპრესიისა და ჰოლოკოსტის უარყოფითი ზეგავლენის ქვეშ იმყოფებოდა. ამასთანავე დასავლეთი მიიჩნევდა, რომ განვითარებადი ქვეყნები მისთვის ნიშანდობლივი მოდელით უნდა განვითარებულიყვნენ. 1960-იან წლებში უოლტ როსტოუს "არაკომუნისტური მანიფესტი" და მის მიერ შემოთავაზებული ეკონომიკური განვითარების 5 ეტაპი იმხანად არსებულ განვითარების სტრატეგიებს დაედო საფუძვლად (1960). განვითარების მიზნად მოიაზრებოდა მოდერნიზაცია (ვესტერნიზაცია), ხოლო განვითარების საზომი ქვეყნის ეკონომიკის მასშტაბი იყო. განვითარების მეთოდად ეკონომიკური ზრდა მიიჩნეოდა, როსტოუს 5 ეტაპის შესაბამისად. მოდერნიზაციის თეორიის (დიაგრამა 2-2) ძირითადი დაშვება ის იყო, რომ ღარიბი საზოგადოებების ტრადიციული კულტურა და ფასეულობები უნდა გარდაქმნილიყო და გარდაიქმნებოდა კიდევაც მოდერნიზაციასთან, ურბანიზაციასთან, განათლების ახალ სისტემებთან შეხებისას და დასავლეთის საბაზრო სისტემებთან ინტეგრაციისას.



დიაგრამა 2-2: მოდერნიზაციის თეორია

ითვლებოდა, რომ ტრადიციული ფასეულობები ხელს უშლის ეკონომიკურ განვითარებას და ისინი "თანამედროვე" ფასეულობებით უნდა ჩანაცვლდეს. ფასეულობების ასეთი ჩანაცვლება "თანამედროვე" ეკონომიკის განვითარებას შეუწყობდა ხელს. უნდა გვახსოვდეს, რომ როსტოუს განვითარების გზა დასავლეთის ცივი ომის სტრატეგიის ნაწილიც იყო. ხანდახან ეს სტრატეგია ნიშნავდა ზესახელმწიფოების მიერ არაპირდაპირი გზით წარმოებულ ომებს, ანუ მათ მიერ ინიცირებულ ომებს მათი მონაწილეობის გარეშე. ხანდახან ეს სტრატეგია განვითარების სფეროში დახმარების ფორმით გამოიხატებოდა. სამხრეთის ღარიბი ერების დახმარება მათი საბჭოთა გავლენისგან გამო-

ყვანის გზად მოიაზრებოდა. 1960-იან წლებში განვითარების იდეა ყოველთვის ალტრუისტული არ იყო. განვითარებისა და დახმარების პროგრამების განხორციელებას შესაბამისი სისტემა და ინსტრუმენტები სჭირდებოდა.

დასავლეთის მთავრობებმა შესაბამისი ინსტიტუტები შექმნეს, ანუ 1961 წელს შეიქმნა USAID, ხოლო 1964 წელს ბრიტანეთის საერთაშორისო განვითარების სამინისტრო (ამჟამად საერთაშორისო განვითარების დეპარტამენტი - DFID) ჩამოყალიბდა. 1965 წელს გაერთიანებულმა ერებმა გაეროს განვითარების პროგრამა დააარსეს (UNDP). ლათინურ ამერიკაში (1959), აფრიკასა (1964) და აზიაში (1966) რეგიონული განვითარების ბანკები ჩამოყალიბდა.

იმავე პერიოდში საერო და ქრისტიანულმა ორგანიზაციებმა, რომლებიც თავდაპირველად ჰუმანიტარული დახმარების მიზნით იყო შექმნილი, თავიანთი პროექტების პორტფელს განვითარებისაკენ მიმართული პროგრამებიც დაამატეს. ასეთებს შორის იყო Oxfam, CARE, Catholic Relief Services, Caritas, Church World Service, ხოლო 1970-იან წლებში ასეთივე მიმართულება გამოიკვეთა Action Aid, World Vision, და Tear Fund-ში.

მოდერნიზაციის თეორია საკმაოდ ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში იყო პოპულარული, მაგრამ მოგვიანებით მან დაკარგა თავისი მიმზიდველობა კულტურისა და ეკონომიკისადმი არაშორმსჭვრეტელი დამოკიდებულების გამო. დაიწყო განვითარების სხვა თეორიების შემუშავება. ასე მაგალითად, ქვეყნების ურთიერთდამოკიდებულების თეორიის შესაბამისად, რომელსაც ნეომარქსისტული და ლათინურ-ამერიკული ფესვები ჰქონდა, დასავლეთი იყო მიზეზი, რის გამოც სამხრეთი არ ვითარდებოდა და რომ მოდერნიზაციის თეორია და განვითარების პროგრამების ფარგლებში მიწოდებული დახმარება უცვლელ, ნეოკოლონიურ და კაპიტალისტურ რეალობას ნიღბავდა. ორივე თეორიის შესაბამისად, განვითარების მიზანი ეკონომიკური ზრდა იყო, მაგრამ განვითარების მეთოდების ნაკრები მარქსისტული ან კაპიტალისტური ეკონომიკის აშენებას ემსახურებოდა. ზოგმა მესამე გზის ძიებაც კი დაიწყო, მაგალითად, გზა, რომელიც ი. ფ. შუმახერის ნაშრომში იყო ასახული სახელწოდებით *"პატარა ლამაზია"* (1973). ეს იყო შემახერის მცდელობა, ჩამოეყალიბებინა თეორია ეგრეთ წოდებული ბუდისტური ეკონომიკის თაობაზე.

1980-იან წლებში განვითარების სფეროში მოღვაწე პრაქტიკოსებმა, რომლებიც დაიღალნენ დებატების მოსმენით გლობალური ეკონომიკის ისტორიისა და თეორიის შესახებ, თავად დაიწყეს მიდგომის შემუშავება, რომელსაც ადამიანებზე ორიენტირებული განვითარება უწოდეს და რომელიც მათი ღარიბებთან მრავალწლიანი მუშაობის პრაქტიკული გამოცდილების შედეგი იყო. გარდა ამისა, გაჩნდა ალტერნატიული "მცირე" თეორიები, რომლებიც თავიანთი შინაარსით, ადგილითა და დროით იყვნენ შემოფარგლულნი და რომელთა მიერ მხოლოდ ეკონომიკის განვითარებაზე ორიენტირებული იდეების ეფექტურობა კითხვის ნიშნის ქვეშ დადგა.

სასექსის უნივერსიტეტის განვითარების კვლევების ინსტიტუტის მკვლევარმა რობერტ ჩემბერსმა, რომელსაც ინდოეთისა და აფრიკის რეგიონებში პრაქტიკული მუშაობის ხანგრძლივი გამოცდილება ჰქონდა, წამოაყენა მოსაზრება, რომ სიღარიბე არის მთელი რიგი ურთიერთდაკავშირებული ასპექტების ერთობლიობა, რომელიც სხვადასხვა სისტემის შედეგია. შესაბამისად, სიღარიბესთან ბრძოლის მიმართ სისტემური მიდგომები უნდა შემუშავდეს, რომლებიც ორიენტირებული იქნება ადამიანების "პასუხისმგებელ მოქმედებებსა

და კეთილდღეობის უზრუნველყოფაზე" (ჩემბერსი, 1983, 37; 1997, 10). ურბანული დაგეგმარების საკითხების პროფესორმა ჯონ ფრიდმანმა, რომელსაც ლათინურ ამერიკაში ხანგრძლივი მუშაობის გამოცდილება ჰქონდა, ასეთი მოსაზრება გამოთქვა: მიუხედავად იმისა, რომ ჩემბერსისეული განვითარების დაგეგმვის პროგრამები, დამყარებული ადამიანების ინიციატივებზე, საჭიროა, მხოლოდ ასეთი პროგრამები საკმარისი არ არის (1992). ფრიდმანის აზრით, სიღარიბე იმით არის განპირობებული, რომ ღარიბ ოჯახებს არ აქვთ საკმარისი სოციალური და პოლიტიკური უფლებამოსილება, რომ საკუთარი მდგომარეობა გაიუმჯობესონ და სახელმწიფოსაგან ისეთი მომსახურებების ხელმისაწვდომობა მითხოვონ, რომლებსაც ისინი იმსახურებენ. მისი აზრით, საჭიროა ღარიბების ასოციაციებსა და ქსელებში გაერთიანება, რის შედეგადაც შეუძლებელი გახდება მათი იგნორირება და ისინი კუთვნილ ადგილს დაიკავებენ სამოქალაქო საზოგადოებაში. მხოლოდ მაშინ შეძლებენ ღარიბები იმ ეკონომიკური და პოლიტიკური სისტემებისთვის წინააღმდეგობის გაწევას, რომლებიც მათ ინიციატივებს ზღუდავს. მიუხედავად იმისა, რომ განვითარების შესახებ დისკურსში შესაბამისი სახელმწიფო მომსახურების ხელმისაწვდომობისა და სოციალური უფლებამოსილების გაზრდის საკითხი ცენტრალურ ადგილს იკავებდა, განვითარების მთავარ საზომად კვლავაც ეკონომიკის ზომა რჩებოდა. ჩემბერსისა და ფრიდმანის თეორიებს უფრო დეტალურად მე-4 და მე-5 თავში განვიხილავთ.

ამარტია სენი — განვითარება, როგორც თავისუფლება

1990-იან წლებში განვითარების საზომის გააზრებაში ცვლილებები მოხდა. ინდოელმა განვითარების ეკონომისტმა, ამარტია სენმა, გაეროს განვითარების პროგრამის პაკისტანელ ეკონომისტთან, მაჰმუდ ულ ჰაკთან, ერთად დაიწყო მუშაობა განვითარების შეფასების ახალ ინდექსზე. ამ ინდექსის ძირითადი მიზანი იყო განვითარების ეკონომიკის შეფასებისას ყურადღების გადატანა მთლიანი შიდა პროდუქტიდან ადამიანებზე ორიენტირებულ მიდგომებზე. შედეგად შემუშავდა ადამიანური განვითარების ინდექსი (HDI), რომელშიც შევიდა: სიცოცხლის ხანგრძლივობა, როგორც ჯანმრთელობის მდგომარეობის ინდიკატორი, წერა-კითხვის უნარი, როგორც განათლების ინდიკატორი, და მშპ, როგორც ცხოვრების დონის ინდიკატორი. დროთა განმავლობაში განვითარების შეფასების საზომებში ასეთი ცვლილების შედეგად თავად განვითარების პროგრამების დიზაინიც შეიცვალა. განვითარება აღარ იყო მიბმული მხოლოდ ეკონომიკურ განვითარებასთან.

მან, ასევე, შეისწავლა შიმშილსა და დემოკრატიას შორის კორელაცია. აღსანიშნავია, რომ დემოკრატიულ ქვეყნებში შიმშილობის თვალსაზრისით სერიოზული პრობლემები არასოდეს ყოფილა (სენი, 1999, 16). ამ აღმოჩენის ზეგავლენით მან დაწერა ნაშრომი "*განვითარება, როგორც თავისუფლება,*" რომლის ძირითადი გზავნილი ასეთია: სიღარიბის ძირითადი მიზანი ადამიანთა თავისუფლების შეზღუდვაა! დაბალი შემოსავალი, განათლების უქონლობა, ცუდი ჯანმრთელობა, მომსახურებების მიუწვდომლობა ადამიანებს ნაკლებად თავისუფალს ხდის, ისევე როგორც პოლიტიკური და სამოქალაქო უფლებებისა და მონაწილეობის შეზღუდვა (სენი, 1999, 4). "ადამიანების პოზიტიურ მიღწევებს ეკონომიკური შესაძლებლობები, პოლიტიკური თავისუფლებები, სოციალური

უფლებამოსილება და ინიციატივების წახალისება განაპირობებს (1999, 5).

სენის მიხედვით, ადამიანთა კეთილდღეობა გაიგება და იზომება არა იმის მიხედვით, თუ რას მოიხმარენ ისინი (ეკონომიკა), არამედ იმის გათვალისწინებით, თუ ვინ არიან და რას აკეთებენ. ეს ნიშნავს: გათვალისწინებული უნდა იყოს ისეთი ასპექტები, როგორებიცაა: წერა-კითხვის ცოდნა, ჯანმრთელობა, ეკონომიკური აქტივობა, საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობა. სენი ამას "ფუნქციონალურ საჭიროებებს" უწოდებს. ეს ადამიანთა ცხოვრების ისეთივე საბაზისო საჭიროებებია, როგორებიცაა ჭამა, სათანადო საცხოვრებელი პირობები, სუფთა ჰაერი, სუფთა სასმელი წყალი, მაღალი იდეალები, საკუთარი თავის პატივისცემა, ღირსება, საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობა, უსაფრთხოების შეგრძნება. ადამიანთა უფლებების ტრადიციებიდან გამომდინარე, ყველა ადამიანს აქვს ამის უფლება. ამავე აზრს ამკვიდრებს ბიბლია. მოციქულებისათვის საზოგადოების ყოფითი წარმატების საზომი იყო ქვრივებისა და ობლების კეთილდღეობა. თუ ღარიბებს შეუძლიათ საზოგადოებაში ნორმალურად ცხოვრება, მაშინ თავად საზოგადოებაც ფუნქციონირებს. ღმერთს უფრო მეტი სურდა კაცობრიობისათვის, ვიდრე, უბრალოდ, მისი ფიზიკური გადარჩენა.

სენი გვიმტკიცებს, რომ უნდა გავცდეთ მხოლოდ ფუნქციონალური საჭიროებების იდეას და განვითარების კონტექსტში ადამიანთა *შესაძლებლობებიც* განვიხილოთ. იგი შესაძლებლობებს განმარტავს, როგორც ადამიანის უნარს ან მის არჩევანს, გააკეთოს რაღაც. მისი აზრით, იმისთვის, რომ კეთილდღეობას მივაღწიოთ, თავისუფალი უნდა ვიყოთ ჩვენს არჩევანში, თუ რა გვსურს, ვინ გვინდა, რომ ვიყოთ. ადამიანის დანიშნულებაა განვითარდეს და არა მხოლოდ გადარჩეს. სენი შესაძლებლობებს განმარტავს, როგორც "ადამიანის უნარს, შექმნას რაღაც ღირებული ან იმოქმედოს ღირსეულად" (1999, 30). სენი, ასევე, ამტკიცებს, რომ ადამიანთა კეთილდღეობა უნდა მოიაზრებოდეს როგორც უნარი, მოიძიოს ისეთი ფუნქციები, რომლებიც, თავად ადამიანთა შეფასების მიხედვით, ღირებულია. ეს შეესაბამება ღმერთის მოწოდებას ადამიანებისადმი, რომ ისინი უნდა გადარჩნენ და იმოქმედონ, როგორც სამყაროს თანაშემოქმედებმა.

თავისუფლება ადამიანთა განვითარების მიზანიცაა და საშუალებაც. განვითარების მიზანია ისეთი გარემოსა და პირობების შექმნა, რომელშიც ყველა ადამიანს ექნება უკეთესი მომავლის შექმნის შესაძლებლობა, თუ ისინი ამას მოისურვებენ. თავისუფლება ორი გზით უწყობს ხელს განვითარებას. პირველი – ღარიბები თავად უნდა იყვნენ განვითარების პროცესის მონაწილეები, თუ მათი შესაძლებლობები გაფართოვდება. მეორე – ჩვენ უნდა დავეხმაროთ ღარიბებს იმ ბარიერების გადალახვაში, რომლებიც ხელს უშლის მათ საკუთარი არჩევანის გაკეთებასა და, შესაბამისად, მოქმედებაში. პირველად ისტორიაში, განვითარების თეორიისა და პრაქტიკის შეფასების პროცესში, ეთიკური სტანდარტი მიჩნეული იქნა ყველაზე მნიშვნელოვნად. თუ ადამიანები უფრო თავისუფლები იქნებიან, ისინი პოზიტიურ ცვლილებებს მიაღწევენ. თუ ისინი ნაკლებად თავისუფალები იქნებიან, განვითარების პროცესი არ იქნება წარმატებული. განვითარების პროცესის ძირითადი ამოცანა ადამიანთა თავისუფლების გაფართოება გახდა, ხოლო ეკონომიკის ზრდა ამ პროცესის მხოლოდ ერთ-ერთ შემადგენელ ნაწილად მოიაზრებოდა. ამ ნაშრომისთვის სენმა ნობელის პრემია მიიღო ეკონომიკის განვითარების სფეროში.



დიაგრამა 2-3: განვითარება როგორც თავისუფლება (სენის მიდგომაზე დაყრდნობით, 1999)

განვითარების, როგორც თავისუფლების, შეფასება კონცეპტუალურად მარტივია. შეფასების ლოგიკა შემდეგია: "თავისუფლებების გაფართოების მიზანი მიღწეული იქნა?" ეფექტურობის ლოგიკა შემდეგია: "ადამიანები უფრო თავისუფლები არიან, რომ იმოქმედონ?" სენის თვალსაზრისი, რომ ადამიანთა თავისუფლება და შესაძლებლობები მნიშვნელოვანია, ძირითადად ემთხვევა ქრისტიანული ანთროპოლოგიის პოზიციას, თუმცა გარკვეული განსხვავებები მაინც არსებობს. სენი არ აშუქებს ამ საკითხებს ქრისტიანული თვალსაწიერიდან, რომლის თანახმად ღვთის სახიერების ბიბლიური იდეა ისაა, რომ იგი ადამიანების შესაძლებლობებს, ანუ მათ თავისუფლებასა და შემოქმედებითობას, უმთავრეს მნიშვნელობას ანიჭებს. სენის თვალსაზრისი და ქრისტიანული თვალსაზრისი ერთმანეთისაგან იმით განსხვავდება, რომ ქრისტიანული პოზიციით თავისუფლება, რომელსაც ღმერთი ანიჭებს ადამიანებს (მათ შორის უფლება, არ სწამდეთ ღმერთისა), შეუზღუდავია. ჩვენ გვაქვს თავისუფალი არჩევანი, უარი ვთქვათ ჩვენი თავისუფლების რაღაც ნაწილზე, თუკი უკეთ შევძლებთ ღვთისა და მოყვასის სიყვარულს. ადამიანის თავისუფლებისა და შესაძლებლობების ასეთი ინტერპრეტაციის შემოთავაზება და სწავლება ქრისტიანული განვითარების ორგანიზაციებსა და მკვლევრებს შესაძლებლობას ანიჭებს, რათა ხელი გაუმართონ განვითარების სფეროში მოღვაწე ორგანიზაციებსა და პიროვნებებს. ამ საკითზე უფრო დეტალურად წიგნის სხვა ნაწილშიც გვექნება საუბარი.

1990-იან წლებში სენის მიდგომა ფართოდ იქნა აღიარებული და ქვეყნის ეკონომიკის მოცულობა სავსებით მართებულად იქნა მიჩნეული საშუალებად და არა საბოლოო მიზნად. ეკონომიკამ კუთვნილი, ანუ თანმხლები, ადგილი დაიკავა განვითარების ამ ახლებურ და მრავალწახნაგოვან ინტერპრეტაციაში, რომელიც უკვე ეთიკურ ფასეულობების, ადამიანთა შესაძლებლობებისა და უფლებამოსილების გაფართოებასაც მოიცავდა. დოვლათის შექმნა არ არის თვითმიზანი, არამედ იგი ადამიანის შესაძლებლობების განვითარების საშუ-

ალებაა (სენი, 1999, 14). განვითარების იდეალი აღარ იყო დასავლური მოდერნიზაცია. დამკვიდრდა აზრი, რომ ღარიბთა მდგომარეობა თავად ღარიბების ინიციატივითა და მონაწილეობით უნდა გაუმჯობესდეს.

სენის იდეების ასეთი ფართო აღიარების ზეგავლენით განვითარების თაობაზე დიალოგი არსებითად გარდაიქმნა. მოდელი, რომელიც დასავლური განვითარების გზის არჩევასა და ქვეყნის ეკონომიკის ზომის შეფასებას ითვალისწინებდა, 21-ე საუკუნეში ჩანაცვლებული იქნა ადამიანთა კეთილდღეობასა და შესაძლებლობების განვითარებაზე ორიენტირებული მოდელით. ამჟამად ძირითადი ამოცანაა განვსაზღვროთ, თუ რას ნიშნავს რეალურად ადამიანის კეთილდღეობა და როგორ უნდა გავზარდოთ იგი. ახლა უკვე შესაძლებელია, რომ განვითარების თაობაზე დისკურსი შეერწყას ადამიანის კეთილდღეობის თაობაზე არსებულ სხვა დისკურსებს, მათ შორის რელიგიურსაც.

ღარიბთა ხმა

"კეთილდღეობა არის სავსე მუცელი, თავისუფალი დრო, რომ ილოცო, და ბამბუკისაგან დაწნული ლოგინი."

ღარიბი ქალი ბანგლადეშიდან

(ნარაიან-პარკერი და ავტორთა ჯგუფი, 2000, 234)

მეორე მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ დებატები ევოლუციისა და განვითარების იდეის ახლებურად გააზრების თაობაზე, ძირითადად, ჩრდილოეთის აკადემიურ წრეებში მიმდინარეობდა, შემდეგ კი ამ დებატებს სამხრეთის აკადემიური წრეების წარმომადგენლები და პრაქტიკოსებიც შეუერთდნენ. 1990-იანი წლების ბოლოსკენ ზოგმა მათგანმა დაიწყო ფიქრი, რომ შესაძლოა, თავად ღარიბების აზრის მოსმენა სიღარიბის მიზეზებზე ბევრად უფრო სასარგებლო ყოფილიყო.

არასამთავრობო ორგანიზაციებსა და აკადემიური წრეების წარმომადგენლებს დაახლოებით ათი წელი დასჭირდათ მსოფლიო ბანკის დასარწმუნებლად, რომ ის აღნიშნული პრობლემით დაინტერესებულიყო. მისი ეკონომისტები, რომლებიც მსოფლიოს ყველაზე მდიდარი ქვეყნების სახსრებით ფინანსდებოდნენ, ღარიბთა რეალურ სამყაროს საკმაოდ შორიდან უყურებდნენ და კარგად არ იცნობდნენ ღარიბების პრობლემებს. ამ ორგანიზაციიდან, რობერტ ჩემბერსის რეკომენდაციით, მკვლევართა ჯგუფი მიავლინეს მსოფლიოს 60 ათასზე მეტი ღარიბის აზრის მოსასმენად. მკვლევართა ამ ჯგუფის დასკვნებზე დაყრდნობით, 2000-იანი წლების დასაწყისში პროექტის "ღარიბთა ხმა" ფარგლებში გამოქვეყნდა სამი ნაშრომი (ნარაიან-პარკერი და ავტორთა ჯგუფი, 2000).

ამ კვლევის მეშვეობით ცნობილი გახდა ღარიბების მოსაზრება სიღარიბეზე. მათი უმეტესობა აღწერდა, რამდენად უარყოფითად აისახება მათ ცხოვრებაზე სიღარიბე, ჩაგვრა და უსამართლობა. კვლევის ფარგლებში ღარიბებს იმასაც ეკითხებოდნენ, თუ როგორ ესმოდათ მათ ადამანების კეთილდღეობა. როგორც მოსალოდნელი იყო, ყველაზე მნიშვნელოვან პრიორიტეტებად მეტი საკვები, უკეთესი ჯანმრთელობა და განათლების მისაწვდომობა დასახელდა. ადამიანთა კეთილდღეობა საბაზისო საარსებო საშუალებების მისაწვდომობის გარეშე ნამდვილად წარმოუდგენელია, მაგრამ უფრო საინტერესო ის იყო,

რომ როდესაც ეს ადამიანები მატერიალურ კეთილდღეობაზე საუბრობდნენ, საკმაოდ მოკრძალებულები იყვნენ თავიანთი საჭიროებების ჩამოთვლაში. ამბობენ: "ბავშვს ლოგინი, ფეხსაცმელი, ორი ზეწარი მაინც უნდა ჰქონდეს, რომ მიწაზე არ ეძინოს, როგორც ახლა" (ნარაიან-პარკერი და ავტორთა ჯგუფი, 2000, 25).

აღსანიშნავია, რომ საუბარი მალე გასცდა მხოლოდ მატერიალური სურვილების ფარგლებს. კეთილდღეობის თაობაზე მოსაზრებების უმეტესობა ადასტურებს, რომ ღარიბებისათვის კეთილდღეობის საწინდარი წარმატებულ სოციალურ ურთიერთობებშია (ნარაიან-პარკერი და ავტორთა ჯგუფი, 2000, 26). ინტერვიუებში ხშირი იყო ისეთი პასუხები, როგორებიცაა: ოჯახზე უკეთ ზრუნვის შესაძლებლობა, ჰარმონიული ურთიერთობები ოჯახსა და თემში, მეგობრების ყოლა, სხვების დახმარება.

მკვლევრები ნაკლებად მოელოდნენ, რომ კეთილდღეობის ზოგი ნიშნის დახასიათება ფსიქოლოგიურ ასპექტებს შეეხებოდა (ნარაიან-პარკერი და ავტორთა ჯგუფი, 2000, 26-27). ხშირი იყო ისეთი პასუხები, როგორებიცაა: თვითშეფასების ამაღლების სურვილი, საკუთარი ღირსების შეგრძნება და სხვა. ადამიანთა კეთილდღეობის ელემენტებს შორის დასახელდა, აგრეთვე, სულიერი სიმშვიდე, ბედნიერება, ცხოვრებით კმაყოფილება, ნაკლები სადარდებელი. მკვლევრების დასკვნის შესაბამისად, "კეთილდღეობაზე საუბრისას ასახელებდნენ სულიერ ცხოვრებასა და რელიგიური ადათების შესრულების შესაძლებლობასაც (ნარაიან-პარკერი და ავტორთა ჯგუფი, 2000, 38).

რეფლექსია განვითარების თაობაზე ზემოთ მოყვანილი მოსაზრებების შესახებ

ნათელია, რომ დასავლური დიალოგი განვითარების თაობაზე და თანამედროვე მოსაზრებები ადამიანთა კეთილდღეობასთან დაკავშირებით თანამედროვეობის პროდუქტია. მიუხედავად სამყაროში არსებული ძალადობისა და სიღარიბისა, ადამიანთა პროგრესის გარდაუვალობის რწმენა კვლავაც ძლიერია. შესაბამისად, იქმნება შთაბეჭდილება, რომ განსხვავებული მიდგომა არც არის საჭირო. ჩვენ, გონიერმა ადამიანებმა, უბრალოდ, საღი აზრი და ჩვენი მეცნიერული დასკვნები უნდა გავავრცოთ სიღარიბის პრობლემაზე და მისი გადაწყვეტის გზაც ადვილად გამოიკვეთება. სამწუხაროდ, დასავლურ მიდგომაში, თუ არ ჩავთვლით თავად ღარიბების დამოკიდებულებას ამ საკითხის მიმართ, ღმერთის ნება საერთოდ არ არის გათვალისწინებული. ღმერთი არ არის დასავლური კონცეფციის ნაწილი. პრობლემები, რომლებიც I თავში იყო წამოწეული, კვლავ ძალაშია და ყურადღებას საჭიროებს. გარდა ამისა, მინდა აღვნიშნო: სრულიად ნათელია, რომ განვითარების თაობაზე დიალოგი არ არის დასრულებული და რომ ქრისტიანებს ჯერ კიდევ ბევრი აქვთ გასაკეთებელი მოცემულ სფეროში. ის გრძელი გზა, რომელიც განვითარების შესახებ დიალოგმა გაიარა ბოლო სამოცი წლის განმავლობაში, და ახალი იდეებისა და მიდგომების მუდმივი ევოლუცია იმაზე მიგვითითებს, რომ უფრო მეტი უნდა შევიცნოთ განვითარების როგორც მიზნების, ასევე საშუალებების შესახებ. განვითარების დიალოგი უკანასკნელ პერიოდამდე თითქმის არ მოიცავდა ისეთ სფეროებს, როგორებიცაა ფსიქოლოგია და რელიგიური სულიერება. ხშირად რელიგია სიღარიბის პრობლემის ნაწილად

მოიაზრებოდა და, შესაბამისად, არ აღიქმებოდა როგორც პრობლემის გადაწყვეტის საშუალებების ნაწილი. ამჟამად ასეთი დამოკიდებულება იცვლება და შესაძლებელი ხდება, რომ ადამიანებმა რელიგიური პერსპექტივიდანაც შეძლონ საუბარი ამ პრობლემაზე. ამასთან დაკავშირებით მინდა რამდენიმე მაგალითი მოვიყვანო.

საერთაშორისო განვითარების სფეროში მოღვაწე ორგანიზაციები, რომლებიც, ძირითადად, ეჭვით განიხილავდნენ რელიგიას, ამჟამად უფრო გახსნილები არიან იმავე სფეროში დასაქმებულ რელიგიურ ინსტიტუტებთან თანამშრომლობისთვის. პირველი ნაბიჯი ამ მიმართულებით მაშინ გადაიდგა, როდესაც 1980 წელს საერთაშორისო განვითარების საზოგადოების მიერ გამოცემულ ჟურნალში *"მსოფლიოს განვითარება"* საგანგებო სტატია დაეთმო რელიგიასა და განვითარებას შორის კავშირებს, ხოლო მოგვიანებით ამ საკითხის უფრო ფართო კვლევის იდეა იქნა წამოყენებული (კლარკი, 2006). დაახლოებით ოცი წლის შემდეგ მსოფლიო ბანკის პრეზიდენტის, ჯეიმს ვულფენსონის, ინიციატივით და კენტერბერიის არქიეპისკოპოსის, ჯორჯ კარეის, აქტიური მონაწილეობით 1998 წელს მსოფლიო რელიგიათა დიალოგის განვითარების ინიციატივა წამოიწყეს. ამ გზით საფუძველი ჩაეყარა მრავალწლიან დიალოგს ამ სფეროთა წარმომადგენელებს შორის (მარშალი, 2001; მარშალი და ვან საანენი, 2007). შემდგომი კვლევების შედეგად ყურადღება გამახვილდა იმ ფაქტზე, რომ რელიგიური და სამოქალაქო ორგანიზაციების წვლილი სამხრეთში სოციალური განვითარების ხელშეწყობაში უაღრესად დიდი იყო (კლარკი, 2006, 837, 841).

2005 წელს ბირმინგემის, ბასის და ბრიტანეთის კიდევ ხუთი უნივერსიტეტისა და სამხრეთის საუნივერსიტეტო წრეების პარტნიორობით, რელიგიური და განვითარების სფეროებში სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოების ჩატარების მიზნით, ხუთწლიანი პროგრამა დაიწყო. პროგრამა გაერთიანებული სამეფოს საერთაშორისო განვითარების დეპარტამენტის მიერ დაფინანსდა. აღსანიშნავია, რომ პროგრამის ფარგლებში უკვე დასრულდა რამდენიმე კვლევა რელიგიასა და განვითარების კავშირებზე სოციოლოგიური, ანთროპოლოგიური და ეკონომიკური თვალსაზრისით (გამოქვეყნდა ვებგვერდზე rad.bham.ac.uk).

ბოლო პერიოდში განვითარების კვლევებზე მომუშავე ორგანიზაციები საკმაოდ სერიოზული გამოწვევის შესახებ ალაპარაკდნენ. ბასის უნივერსიტეტის მკვლევარმა, სევერინ დენიულინმა, და ოქსფორდის უნივერსიტეტის მკვლევარმა, მასუდა ბანომ, "განვითარების სეკულარული მიდგომების გადასინჯვისაკენ" მოუწოდეს სამეცნიერო საზოგადოებას (2009). დენიულინმა და ბანომ სცადეს დაერწმუნებინათ განვითარების სფეროს მკვლევრები, რომ უფრო ფართოდ განეხილათ რელიგიის როლი განვითარების სფეროში. მათი აზრით, უნდა ვაღიაროთ, რომ რელიგიამ, შესაძლოა, დადებითი როლი შეასრულოს განვითარებაში, რომ რელიგია უნდა განვიხილოთ, როგორც განვითარების პროცესების შემადგენელი ნაწილი. ზემოხსენებულმა მკვლევრებმა, ასევე, გაანალიზეს ქრისტიანული და მუსულმანური რელიგიების დამოკიდებულება განვითარებისადმი და დაასკვნეს, რომ განვითარება რელიგიის მიზნებსა და იდეალებშია ჩადებული. დენიულინმა და ბანომ განაცხადეს, რომ ამ რელიგიური ტრადიციებისათვის "რელიგიასა და განვითარებას შორის გამიჯვნა არ არის მიზანშეწონილი" (2009, 4-5).

დენიულინმა და ბანომ დაასკვნეს, რომ "საერო და რელიგიურ ტრადიციებს შორის განვითარების საკითხების შესახებ არსებული მოსაზრებები თითქ-

მის ერთნაირია," განსაკუთრებით ისეთ სფეროებში, როგორებიცაა ადამიანთა ღირსება, სოციალური სამართლიანობა, სიღარიბე, დახმარება, გარემოსდაცვითი ასპექტები, თანასწორობა და თავისუფლება (2009, 10–11). მიუხედავად იმისა, რომ გარკვეულ საკითხებთან მიმართებით ამ სფეროებს შორის რადიკალური განსხვავებებიც იჩენს თავს, დენიულინმა და ბანომ განვითარების ამ ორი სფეროს წარმომადგენლებს შორის დიალოგის ხელშეწყობის აუცილებლობაც გააშუქეს. მათ, ასევე, განიხილეს რელიგიათაშორისი დიალოგის პერსპექტივები, რაც შეიძლება მოდელის სახითაც იყოს გამოყენებული მოცემული დარგის სხვადასხვა სფეროს წარმომადგენლებს შორის დიალოგისათვის.

ასევე, მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ განვითარებისა და ადამიანთა კეთილდღეობის საკითხი სხვადასხვა სფეროს წარმომადგენლების ყურადღების ცენტრში მოექცა, ხოლო ამ სფეროების წარმომადგენლებს შორის ერთობლივი დიალოგი არასაკმარისი მოცულობით მიმდინარეობს. ფსიქოლოგიის სფეროში ჩატარებულ კვლევებში ანუ: ადამიანთა კეთილდღეობის, პოზიტივისტური ფსიქოლოგიისა და თემების ფსიქოლოგიის კვლევებში ამჟამად ყურადღება გამახვილებულია სოციალური ინსტიტუტებისა და, ზოგადად, საზოგადოების როლზე ადამიანების სულიერი და მენტალური კეთილდღეობის უზრუნველყოფაში. ბედნიერება, ანუ საკუთარი ცხოვრების პოზიტიური შეფასება, დღეს ეკონომისტების (კენი და კენი, 2006), ფილოსოფოსებისა (ს. ბოკი, 2010) და პოლიტოლოგების (დ. ბოკი, 2010) ყურადღების ცენტრში მოექცა. ამარტია სენისა და მარტა ნუსბაუმის ნაშრომები ადამიანთა კეთილდღეობისადმი ჰოლისტიკური ანუ თანმიმდევრული დამოკიდებულების დემონსტრირებას წარმოადგენს. ეს ავტორები კვლავაც განაგრძობენ მოცემული სფეროს კვლევას (ნუსბუმი და სენი, 1993). დაბოლოს, განვითარების სფეროს მკვლევრები მუშაობენ იმ ინსტრუმენტების შექმნაზე, რომლებიც კეთილდღეობის შეფასების პროცესში უნდა იყოს გამოყენებული (უაითი, 2009).

ამ მიმართულებით თეოლოგებმაც დაიწყეს აქტიურად მუშაობა. Inter Varsity-მ 2008 წელს ჩაატარა ადამიანთა კეთილდღეობის საკითხებისადმი მიძღვნილი კონფერენცია. მირასლავ ვოლფი, დეივიდ კელსი და ჯონ ჰეირი იელის უნივერსიტეტში ხელმძღვანელობენ პროექტს თემაზე *ღმერთი და ადამიანთა კეთილდღეობა.* ნიკოლას უოლტერსტორფის ბოლო წიგნი "*ღმერთი, სამართლიანობა და სიყვარული"* შეიცავს თანამედროვე უტილიტარული იდეის – "დამაკმაყოფილებელი ცხოვრების ექსპერიმენტული ძიება" – საინტერესო დახასიათებას და ამ იდეას ადარებს არისტოტელესა და სხვა ძველი ბერძენი ფილოსოფოსების "კარგად განვლილი ცხოვრების" იდეას. ამის საფუძველზე უოლტერსტროფი აყალიბებს თავის მოსაზრებას "კარგი ცხოვრებისა და კარგად განვლილი ცხოვრების" შესახებ (უოლტერსტროფი, 2008). ადამიანის კეთილდღეობის ასეთი ფორმულირება აერთიანებს ადამიანთა შესაძლებლობებსა და მათ მისწრაფებებს. ეს ნიშნავს: ადამიანებმა კმაყოფილება უნდა მიიღონ სიცოცხლისაგან; უნდა ჰქონდეთ თავიანთი მისწრაფებების რეალიზების უნარი და უნდა შეეძლოთ სამართლიანი და პოზიტიური ურთიერთობების დამყარება, რომლებიც ასეთი ცხოვრების მიღწევის წინაპირობაა. ამაზე უფრო დეტალურად მოგვიანებით ვისაუბრებთ. აუცილებელია მულტიდისციპლინური დიალოგი ტრადიციულ აკადემიურ მიმართულებებს შორის. ამას ჩვენგან ღარიბები ელიან.

თანამედროვე აზრი განვითარების თაობაზე

განვითარების ევოლუციის თაობაზე ზემოთ მოყვანილ დებატებში მოგვიანებით არსებითი ცვლილება მოხდა: ეკონომიკის საკითხებზე საუბარმა გლობალური თეორიებიდან ემპირიულ კვლევებზე დაფუძნებულ პრაქტიკაზე გადაინაცვლა. ბოლო 15 წლის განმავლობაში მსოფლიო ბანკმა, განვითარების სფეროს სახელმწიფო სააგენტოებმა და აკადემიურმა წრეებმა მრავალი კვლევა ჩაატარეს განვითარების საკითხებზე. მიუხედავად იმისა, რომ ამ მიმართულებით მუშაობა ჯერ კიდევ არ არის დასრულებული, თამამად შეიძლება ითქვას, რომ ასეთი კვლევები ხელს უწყობს განვითარების სრულიად ახალი მიმართულებით გააზრებას, რაც სულ ცოტა ხნის წინ წარმოუდგენელი იყო.

გარდა ამისა, აღსანიშნავია, რომ არსებითად გაუმჯობესდა მდგომარეობა სააგენტოთაშორისი თანამშრომლობისა და კოორდინაციის თვალსაზრისით. ქრისტიანული განვითარების სფეროს პრაქტიკოსები ახლა უფრო ხშირად სხედან ერთ მაგიდასთან სახელმწიფო და განვითარების ინსტიტუტების პრაქტიკოსებთან. თანამედროვე განვითარების საბაზისო საკითხებისადმი საერთო ხედვა ამ დიალოგს კიდევ უფრო აადვილებს. მიმაჩნია, რომ ჩვენ, ქრისტიანებმა, უნდა გავაცნობიეროთ, რომ ღმერთი ეხმარება ჩვენს კოლეგებს, რომლებიც სამეცნიერო და განვითარების ინსტიტუტებში საქმიანობენ, როდესაც ისინი ღარიბების დახმარებაზე მუშაობენ.

გლობალური პერსპექტივიდან და გლობალური პრობლემის სახით განვითარებაზე საუბრისას არ შეიძლება არ ვახსენოთ ჯეფრი საში, უილიამ ისტერლი და პოლ კულიე, რომლებმაც მოცემულ დიალოგში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს. ასევე, უნდა გავითვალისწინოთ, რომ მოდერნიზაციის ერთი ასპექტი, კულტურასა და განვითარებას შორის კავშირი, დღესაც მნიშვნელოვანია. განვითარების შესახებ სამხრეთულ მოსაზრებებს გვაცნობენ ერნანდო დე სოტო და მოჰამად იუნუსი.

ჯეფრი საში — დიდი ბიძგი

საში დედამიწის ინსტიტუტის დირექტორი და კოლუმბიის უნივერსიტეტის პროფესორია მდგრადი განვითარების სფეროში. 2000-იდან 2006 წლამდე იგი გაეროს სპეციალური მრჩეველი იყო ათაწლეულის განვითარების მიზნების (MDG) შემუშავების პროცესში. ზემოხსენებული მიზნების მიხედვით, 2015 წლისათვის უნდა აღმოიფხვრას უკიდურესი სიღარიბე, დაავადებები და შიმშილი.

თავის ნაშრომში "*სიღარიბის დასასრული*" საში საუბრობს, რომ არსებობენ ერები, რომლებიც მსოფლიო მოსახლეობის ერთ მეექვსედს შეადგენენ და უკიდურეს სიღარიბეში ცხოვრობენ, რასაც დაავადებები, გეოგრაფიული იზოლაცია და შემზღუდველი გარემო იწვევს. ეს ქვეყნები ვერ დააღწევენ თავს ამ ხაფანგს გარედან დახმარების გარეშე. მათ, უბრალოდ, არ გააჩნიათ ამისთვის საჭირო რესურსები და შესაძლებლობები. ყველა სხვა ფაქტორი, რომლებიც კიდევ უფრო ამწვავებენ სიღარიბით გამოწვეულ მძიმე მდგომარეობას, კერძოდ, ისეთები, როგორებიცაა: დემოგრაფია, მართვა, კულტურა, ინოვაციები, ფისკალური და გეოპოლიტიკური — შეიძლება დროთა განმავლობაში დარეგულირდეს, მაგრამ ეს მხოლოდ იმ შემთხვევაში გახდება შესაძლებელი, თუ

ამ ქვეყნების სიღარიბის ხაფანგიდან გამოთავისუფლება მოხდება (საში, 2005, 56). შესაბამისად, ამ ქვეყნებს მნიშვნელოვანი დახმარება, ანუ დიდი ბიძგი, ესაჭიროებათ (იქვე, 19, 208).

შემდეგ საში გამოთქვამს მოსაზრებას, რომ "სიღარიბის დასაძლევად გლობალური კომპაქტი, ანუ ათასწლეულის მიზნების პროგრამა უნდა შემუშავდეს," რომლის ფარგლებშიც ყველაზე მდიდარი ქვეყნები თავისი მშპ-ს 0.7%-ს გამოყოფენ ამ ქვეყნების დასახმარებლად. ამ გზით შესაძლებელი გახდება ყოველწლიურად დაახლოებით 175 მილიარდი დოლარის შეგროვება განვითარების პროგრამების განსახორციელებლად (2005, 218). მოცემული დახმარების კოორდინაცია დახმარების სფეროში მოღვაწე ორგანიზაციების, კერძოდ, მსოფლიო ბანკის, საერთაშორისო სავალუტო ფონდის, გაეროს სააგენტოების, განვითარების სახელმწიფო სააგენტოების გადასინჯული სისტემების მეშვეობით მოხდება (2005, 255).

კლინიკური მედიცინის მეტაფორის სახით მოშველიებით საში ამბობს, რომ საჭიროა "კლინიკური ეკონომისტების" დახმარება სწორი დიაგნოზის დასასმელად და პრობლემის მოგვარების გზების დასასახად. საშმა კოლუმბიის უნივერსიტეტის დედამიწის ინსტიტუტთან ჩვენი ათასწლეულის აფრიკის სოფლების პროგრამების ჯგუფი შექმნა. ეს პროგრამები ჯანდაცვის, განათლების, სოფლის მეურნეობისა და ინფრასტრუქტურის განვითარების სფეროებში ხორციელდებოდა საშის მიდგომების გამოყენებით (2005, 238-41). ამ სოფლების შეფასება ათასწლეულის განვითარების მიზნების რეალისტურობის დემონსტრირებას ემსახურება.

უილიამ ისტერლი — ქვემოდან ზემოთ განვითარების თეორია

ისტერლი ნიუ-იორკის უნივერსიტეტის პროფესორი და მისი სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის თანადირექტორია. იგი მსოფლიო ბანკის ეკონომისტი იყო 1985-2001 წლებში. ისტერლის მიერ პრობლემასთან დაკავშირებით დასმული შეკითხვა სტრატეგიული ხასიათისაა. განვითარების სფეროში მუშაობის 60-წლიანი პერიოდის განმავლობაში უცხოური დახმარების მოცულობამ 2.3 ტრილიონი აშშ დოლარი შეადგინა. მიუხედავად იმისა, რომ ამ სფეროში გარკვეული წარმატებები იქნა მიღწეული, განვითარება უაღრესად არაჰომოგენური იყო და უკიდურეს სიღარიბეში მცხოვრები ადამიანების რაოდენობა დღესაც დაახლოებით ერთ მილიარდს შეადგენს. აღსანიშნავია, რომ ქვეყნები, რომლებმაც ყველაზე დიდ წარმატებას მიაღწიეს ეკონომიკის განვითარების სფეროში ბოლო 40 წლის განმავლობაში, კერძოდ კი, "აზიური ვეფხვების" სახელით ცნობილი ქვეყნები და ჩინეთი და ინდოეთი არ განვითარებულან დასავლეთის მოდელის რეცეპტების გამოყენებით და არც მნიშვნელოვანი უცხოური დახმარება არ მიუღიათ. ამ დასკვნით დაინტრიგებული ისტერლი საშის კითხვას – "რა მოცულობის უცხოური დახმარებაა საჭირო, რომ სიღარიბე დავძლიოთ" – ანაცვლებს კითხვით – "რანაირად უნდა გამოვიყენოთ უცხოური დახმარება ყველაზე ეფექტურად? (2006, 4, 11).

განვითარების სფეროსადმი ისტერლისა და საშის მიდგომები ერთმანეთისგან მრავალი ასპექტით განსხვავდება. უპირველეს ყოვლისა, ისტერლის არ სჯერა ზემოდან ქვემოთ გლობალური დაგეგმვის მიდგომის ეფექტურობისა. იგი ასეთ მიდგომას კოლონიური პერიოდის გადმონაშთად მიიჩნევს, რომლის

თანახმადაც, “დასავლეთმა ყველაფერი ყველაზე კარგად იცის.” ისტერლი ერთმანეთს უპირისპირებს “დამგეგმავებს” და “მკვლევრებს” და მიაჩნია, რომ სოციალური პრობლემების გადაჭრა ყველაზე ეფექტურად შესაძლებელია იმ ადგილობრივი, ნოვატორული მიდგომების მქონე ადამიანების დახმარებით, რომლებსაც არ ეშინიათ ახალი მიდგომების გამოცდა და წარუმატებლობის შემთხვევაში სხვა ახალი მიდგომების მოსინჯვა. დამგეგმარებლები ვაშინგტონში, ლონდონსა და პეკინში ცხოვრობენ და ჰგონიათ, რომ საკმარისი იციან იმისათვის, რომ გლობალური გადაწყვეტილებები შემოგვთავაზონ და მიაწოდონ ადამიანებს ის, რაც, მათი აზრით, აუცილებელია. მკვლევრებს ესმით, რომ მათ არასოდეს არ ეცოდინებათ საკმარისი და ისინი ცდილობენ გამოავლინონ საჭიროებები, ხოლო შემდეგ ცდილობენ, ამ საჭიროებების შესაბამისად იმოქმედონ. დამგეგმარებლები გვთავაზობენ პრობლემის გადაჭრის ისეთ გზებს, რომლებიც “ფრონტის ხაზიდან” ძალიან შორსაა შემუშავებული. მკვლევრები ცდილობენ გაარკვიონ, თუ რა იმუშავებს კარგად მოცემულ კონკრეტულ კონტექსტში და ცდილობენ დახვეწონ თავიანთი იდეები (ისტერლი, 2006, 14-19).

მეორე მნიშვნელოვანი ფაქტორი ისაა, რომ ისტერლის თეორია სოციალური ცვლილებების თაობაზე ფუნდამენტურად განსხვავდება საშისა და დასავლური განვითარების სააგენტოების უმეტესობის მიდგომებისაგან. სამოქმედო გეგმები, რომლებიც ზემოდან ქვემოთ მიდგომაზე დაყრდნობითაა შემუშავებული, ამ მიდგომების მხარდამჭერების აზრით, ყველაფერს უნიფიცირებულს ხდის, მათ შორის სიღარიბესა და განვითარებას. შესაბამისად, ასეთი თეორია ყველა კონტექსტში გამოიყენება და მასზე დაყრდნობით განვითარების ღონისძიებების დაგეგმვა შესაძლებელია. ისტერლის არ სჯერა, რომ ეს შესაძლებელია. ედმუნდ ბურკესა და ინგლისელი განმანათლებლების მიმდევარი ისტერლი ქვემოდან ზემოთ მიდგომას უჭერს მხარს. სხვანაირად რომ ვთქვათ, მისი კრედო ასეთია: აღმოაჩინე, რაც კარგად იმუშავებს ანუ: შეიცანი შენი გზა მომავლისაკენ. ამ მიდგომების შესაბამისად, რთული და დინამიური სამყაროს პირობებში, რომელსაც ბოლომდე ვერასოდეს შეისწავლი, უმჯობესია გარკვეული აღმოჩენები გააკეთო პრაქტიკაზე დაყრდნობით და ისინი შესაბამის კონტექსტში განიხილო. რთულ სოციალურ სისტემებთან შეხებისას მოქმედების კვალდაკვალ სწავლის საკითხს კიდევ ერთხელ დავუბრუნდებით მე-8 თავში, რადგანაც ეს საკითხი უაღრესად აქტუალურია განვითარების პროგრამების დაგეგმვისას.

ისტერლი უფრო მოკრძალებული გეგმების, ლოკალური კვლევებისა და რეგულარული შეფასებების მომხრეა (2006, 53, 193, 375). იგი, ასევე, გვირჩევს გადავდგათ მცირე ნაბიჯები, რამდენიმე გზა მოვსინჯოთ და ვნახოთ, რა გამოვა. შემდეგ უნდა გამოვიყენოთ ის, რამაც კარგად იმუშავა და უარი ვთქვათ იმაზე, რაც არ მუშაობს წარმატებით. ისტერ დუფლომ, ფრანგმა ეკონომისტმა, MIT-ის პროფესორმა განვითარებისა და სიღარიბესთან ბრძოლის სფეროში და სიღარიბის დაძლევის ლაბორატორიის თანადამფუძნებელმა, გააგრძელა მუშაობა ისტერლის მიერ დასახული მიმართულებით და მნიშვნელოვან წარმატებას მიაღწია სხვადასხვა მიდგომის ტესტირების გზით განვითარების მიმართულებით (დიუფლო და კრემერი, 2008).

დაბოლოს, ისტერლის აზრით, განვითარების სფეროში განხორციელებული კვლევები არ ადასტურებს საშის იდეას სიღარიბის, როგორც მახის, თაობაზე,

კერძოდ იმაზე, რომ გარკვეულ ქვეყნებს თითქოს არ შეუძლიათ სიღარიბის დაძლევა გარედან დახმარებისა და მნიშვნელოვანი რესურსების ინვესტირების გარეშე. ისტერლი ანგუს მედისონის ეკონომიკის კვლევას იშველიებს, რათა გვაჩვენოს, რომ "28-იდან 11 ქვეყანა, რომლებიც 1985 წელს ყველაზე ღარიბი ქვეყნების რიცხვში მოხვდნენ, 1950 წელს ღარიბ ქვეყნებს არ მიეკუთვნებოდნენ. ისინი სიღარიბეში იმიტომ აღმოჩნდნენ, რომ მათი მართვა ზემოდან ქვემოთ ხდებოდა" (ისტერლი, 2006, 41). ისტერლი გეოგრაფიას, დაავადებებსა და გარემოს, ანუ იმ ასპექტებს, რომლებიც, საშის შესაბამისად, სიღარიბის მახის ელემენტებია, ისეთი „მახის ელემენტების" რიგში აყენებს, როგორებიცაა კონფლიქტები და "ბუნებრივი რესურსების წყევლა."* მას მიაჩნია, რომ ისინი აბრკოლებენ სიღარიბის აღმოფხვრას და სიღარიბის პრევენციას ხელს არ უშლიან. ისტერლი სიღარიბის აღმოფხვრისათვის მნიშვნელოვან კიდევ სამ ფაქტორზე საუბრობს. ესენია: პოზიტიური ინსტიტუციური გარემო, დემოკრატიული ინსტიტუტები და გლობალურ ეკონომიკაში მონაწილეობა (2006, 36–55).

პოლ კულიე — უკიდურეს სიღარიბეში მცხოვრები მილიარდელები

ოქსფორდის პროფესორი განვითარების ეკონომიკის სფეროში პოლ კულიე განვითარების საკითხებს სხვა თვალსაზიერიდან აშუქებს. იგი თავის ანალიზს იწყებს შეკითხვით, თუ რომელი ქვეყნები ჩამორჩებიან ეკონომიკური განვითარების თვალსაზრისით და შემდეგ ცდილობს გამოავლინოს, თუ რა განასხვავებს მათ იმ ქვეყნებისაგან, რომლებიც ეკონომიკურად სწრაფად ვითარდებიან. მან აღმოაჩინა, რომ დაახლოებით ერთი მილიარდი ადამიანი ცხოვრობს მსოფლიოს 58 ქვეყანაში, რომლებშიც 1970-იანი წლებიდან მოყოლებული უარყოფითი ეკონომიკური მდგომარეობა არსებობს. ყველა სხვა ქვეყანაში, თუმცა სხვადასხვა ტემპით, ეკონომიკის ზრდა აღინიშნება. ამ ქვეყნების 70% აფრიკის ქვეყნებია, ხოლო დანარჩენების უმეტესობა კი – ცენტრალური აზიისა. კულიემ შეისწავლა ის საერთო პრობლემები, რომლებიც ამ ქვეყნებს აქვთ. მან გამოავლინა ოთხი ძირითადი პრობლემა, რომლებიც სიღარიბეს იწვევს. ესენია: ქრონიკული კონფლიქტები, ბუნებრივი რესურსების უარყოფითი ზეგავლენა (ბუნებრივი რესურსების წყევლა), არასახარბიელო მეზობელი ქვეყნები და ამით გამოწვეული ჩაკეტილობა და არასათანადო მართვა (2007, 5-6). ამ ოთხი დამაბრკოლებელი ასპექტის შედეგად ეს ქვეყნები გლობალიზაციის პროცესების მიღმა რჩებიან, მაშინ როდესაც ამ პროცესების ზეგავლენით ისეთი ქვეყნები, როგორებიცაა ბრაზილია, ინდოეთი და ჩინეთი, თანდათან გამოვიდნენ სიღარიბიდან. კულიე, ასევე, აღნიშნავს, რომ არც ერთი ეს დაბრკოლება არ დაიძლევა მხოლოდ გარეშე დახმარების (საში) ან ქვემოდან ზემოთ დაგეგმვის მეთოდის (ისტერლი) გამოყენებით.

---

* ფრაზა "რესურსების წყევლა" იმ პარადოქსული ვითარების აღსაწერად შეიქმნა, როდესაც ბუნებრივი რესურსებით მდიდარი ღარიბი ქვეყნები არ ვითარდებიან ეკონომიკურად. ამ ქვეყნებს ახასიათებთ ტენდენცია, ამ რესურსებით სარგებლობის საიჯარო შემოსავლებზე იყვნენ ორიენტირებულნი, ვიდრე თანამედროვე ეკონომიკის აშენებაზე. გარდა ამისა, ამ ქვეყნებში ძალიან მაღალია კორუფცია, არაეფექტურია მართვა და გავრცელებულია ექსპლუატაცია.

კულიე ამ დიაგნოზზე დაყრდნობით პრობლემის მოგვარების საინტერესო გზებს სახავს. საშის მსგავსად, კულიეს სჯერა, რომ გარეშე დახმარება შეიძლება ეფექტური იყოს, მაგრამ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი შერჩევითად იქნება გამოყენებული (2007, 100). განვითარების პროგრამების ფარგლებში რესურსების გამოყოფა კონფლიქტის მდგომარეობაში მყოფი ქვეყნისათვის და მათი გამოყენება არაეფექტურია. დახმარება, რომელიც ბუნებრივი რესურსებისაგან მიღებული შემოსავლების არასწორად გამოყენების საშუალებას აძლევს მთავრობებს, არ არის ეფექტური. კულიე ამტკიცებს, რომ დახმარება ისეთ პროგრამებისაკენ უნდა იყოს წარმართული, რომლებიც კონფლიქტების მოგვარებაზე ან მართვის გაუმჯობესებაზეა ორიენტირებული. კულიე გვთავაზობს ორ გზას. პირველი: საერთაშორისო დონეზე ისეთი პოლიტიკური გარემოს შექმნა, რომელიც ხელს უწყობს ეკონომიკურ ზრდასა და ეფექტურ მართვას. რადგანაც განვითარებული სამყაროს ამჟამინდელი სავაჭრო პოლიტიკა ზღუდავს სამხრეთის ქვეყნების პროდუქციის, განსაკუთრებით კი სასოფლო სამეურნეო პროდუქციის გასვლას ჩრდილოეთის ბაზრებზე, კულიე მოუწოდებს განვითარებულ ქვეყნებს, შეცვალონ თავიანთი სავაჭრო პოლიტიკა, რათა სხვა ქვეყნებსაც ჰქონდეთ საერთაშორისო ბაზრების წვდომისა და განვითარების საშუალება (2007, 157–58). კულიეს მიერ შემოთავაზებული მეორე გზა გულისხმობს საერთაშორისო კანონებისა და სტანდარტების შემუშავებას, რომლებიც გამჭვირვალეობასა და კორუფციის აღმოფხვრას შეუწყობს ხელს. იგი საუბრობს ბიუჯეტის გამჭვირვალეობის სტანდარტების, პოსტ-კონფლიქტურ ვითარებაში მართვისა და საერთაშორისო ინვესტიციების დაბანდების სტანდარტების შემუშავების აუცილებლობაზე. (2007, 135–36).

კულიე განვითარების კონტექსტთან მიმართებით ავითარებს აზრს, რომ იმ ქვეყნებში, რომლებშიც კონფლიქტები განვითარების ენდემურ ბარიერს წარმოადგენს, შესაძლებელია განვითარების ღონისძიებების ფარგლებში საჭირო გახდეს სამხედრო ან პოლიციური ძალების მონაწილეობა უსაფრთხო გარემოს შექმნის მიზნით, რის შედეგადაც შესაძლებელი გახდება განვითარების სხვა ღონისძიებების გატარება (2007, 124–25). ალბათ, ზედმეტია იმაზე საუბარი, რომ განვითარების თეორიასა და პრაქტიკაში ასეთი უცნაური წინადადება არ გაიზიარეს. აღსანიშნავია, რომ ჯერ კიდევ არ არის გარკვეული, თუ რა შეიძლება გაკეთდეს კულიეს მიერ დასმულ პრობლემასთან დაკავშირებით.

ბანერჯი და დიუფლო — ღარიბთა ეკონომიკა

ბოლო პერიოდში სიღარიბისა და განვითარების საკითხებზე ახალი თვალსაზრისი აბჰიჯიტ ბანერჯიმ და ესტერ დიუფლომ, MIT’-ის ჯამილის სიღარიბის კვლევის ლაბორატორიის (J-PAL) თანადირექტორებმა, შემოგვთავაზეს. სიღარიბის მიზეზებისა და მისი აღმოფხვრის თაობაზე მცირე თუ მასშტაბური, ოპტიმისტური და ზოგჯერ არასაკმარის ფაქტებზე დაფუძნებული თეორიების მოზღვავების პირობებში ბანერჯიმ და დიუფლომ ყურადღება ღარიბებზე გადაიტანეს კონკრეტულ კონტექსტში. მათ დასვეს შეკითხვა: თუკი ვივარაუდებთ, რომ ღარიბებმა იციან, თუ რას აკეთებენ, რა სახის კვლევა დაგვეხმარება მათი მოქმედებებისა და სურვილების გაგებაში? “იმისათვის, რომ განვვითარდეთ, უნდა გადავეჩვიოთ ღარიბების სტერეოტიპული სახის შექმნას და დრო

დავუთმოთ მათი რეალური ცხოვრების შესწავლას, მთელი მისი რთული და მრავალწახნაგოვანი ასპექტების გათვალისწინებით" (2011).

ბანერჯიმ და დიუფლომ მსოფლიოს 18 ქვეყანაში შეისწავლეს იმ ღარიბი თემების მდგომარეობა, რომლებშიც განვითარების პროგრამები ხორციელდებოდა. მათი კვლევის შედეგებმა არსებითად შეარყია განვითარების პროგრამებთან დაკავშირებით გავრცელებული აზრი იმის შესახებ, თუ რისი გაკეთება შეიძლება პროგრამების ფარგლებში ღარიბებისათვის ან რა უნდა გააკეთონ თავად ღარიბებმა. ავტორებმა ეჭვის ქვეშ დააყენეს აზრი, რომ მწერების საწინააღმდეგო ბადეები, აცრები, ან დედებისათვის ინფორმაციის მიწოდება, რომ წყალი დაქლორონ, ეფექტურია ღარიბების ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესებისაკენ მიმართული პროგრამების განხორციელებისას. მათ, ასევე, ყურადღება გაამახვილეს იმაზე, რომ მიკროკრედიტები ღარიბების ფინანსურ საჭიროებებს პასუხობს, მაგრამ, იმავდროულად, საჭიროა დაზღვევის გზით რისკის მართვისა და დანაზოგების შექმნის მიმართულებით მათი დახმარება (ბანერჯი და დიუფლო, 2011, 41–42, 133–34, 183–84). ავტორები ორი მიზეზის გამო კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებენ იმ იდეის ეფექტურობას, რომ საჭიროა მიკროკრედიტების უზრუნველყოფა სიღარიბეში მყოფი ერთი მილიარდი ადამიანისათვის, რათა ისინი მეწარმეები გახდნენ. პირველ რიგში, ღარიბი ადამიანების უმეტესობა, რომლებსაც ფერმა ან მცირე ბიზნესი აქვთ, ამას იმიტომ აკეთებენ, რომ სხვა არჩევანი არა აქვთ. კვლევების უმეტესობამ აჩვენა, რომ ღარიბების უმეტესობას საშუალება რომ ჰქონოდა, არ იქნებოდა დაკავებული ამ სფეროებით, რომლებიც მაღალ რისკთან და მრავალ გამოწვევასთანაა დაკავშირებული (იქვე, 205-6), ისევე როგორც დასავლეთში მცხოვრებთა უმეტესობა არ ისურვებდა ამ სფეროებში საქმიანობას. გარდა ამისა, არსებული მონაცემები არ იძლევა იმის საშუალებას, გადაჭრით ვამტკიცოთ, რომ მიკროსაწარმოების უმეტესობა შემდეგ მცირე ბიზნესად ჩამოყალიბდება და ამ გზით იმ ადამიანებისათვის, რომლებიც თავად არ არიან მეწარმეები, ახალი სამუშაო ადგილები შეიქმნება (იქვე, 157-58).

ბანერჯისა და დიუფლოს სხვა საინტერესო მაგალითიც მოჰყავთ. ისინი ემპირიულ ინფორმაციაზე დაყრდნობით ვარაუდობენ, რომ სინამდვილეს არ შეესაბამება იდეა, თითქოს არსებობს მოჯადოებული წრე იმის გამო, რომ ღარიბებს საკმარისი საკვები არ გააჩნიათ და ამის გამო არც ძალები ჰყოფნით, რომ იმუშაონ, საკმარისი ფული იშოვონ და ამ გზით გადაჭრან საკვების უკმარისობის პრობლემა (იქვე, 19). ზოგი მკვლევრის თანახმად, ამ პრობლემის გადაჭრის გზაა ღარიბი ოჯახების შემოსავლების ზრდა. ბანერჯისა და დიუფლოს კვლევებმა აჩვენა, რომ როდესაც ღარიბები დამატებით შემოსავალს იღებენ, ეს თანხები დღესასწაულებზე, ტელევიზორზე, სამედიცინო პრობლემების გადაჭრაზე, ალკოჰოლზე, სიგარეტსა და უფრო გემრიელ, მაგრამ არა უკეთესი კვებითი ღირებულების მქონე საჭმელზე იხარჯება. სავარაუდოდ, "უფრო სასიამოვნო ცხოვრების საბაზისო საჭიროების ზეგავლენით ღარიბი ოჯახების მიერ საკვებ პროდუქტებზე გაწეული ხარჯების მოცულობა მცირდება" (იქვე, 37). ბანერჯი და დიუფლო არ აკრიტიკებენ ღარიბებს ასეთი არჩევანისათვის და, პირიქით, შეგვახსენებენ, რომ ჩვენც, დასავლელები, ხშირად მოულოდნელ და ირაციონალურ არჩევანს ვაკეთებთ, როდესაც საქმე ფულის ხარჯვას შეეხება. ჩვენი არჩევანი შემოსავლის ხარჯვის თაობაზე ხშირად არ შეესაბამება იმას, რაც თავადაც ვიცით და რაც ჩვენთვის უკეთესი

იქნებოდა. შესაბამისად, რატომ უნდა გავაკრიტიკოთ ღარიბები, თუ ისინი ისევე იქცევიან, როგორც ჩვენ? (იქვე, 68).

ამ არაპროგნოზირებადი ქცევისა და იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ გარეშე პირმა შესაძლოა მოცემული კონტექსტის თაობაზე ბევრი რამ არ იცოდეს, ბანერჯი და დიუფლო მოგვიწოდებენ, თავი შევიკავოთ პრობლემის ცალმხრივი შეფასებისა და განსჯისაგან და, შესაბამისად, ისეთი პროგრამების შეთავაზებისგან, რომლებიც პრობლემების ასეთი ცალმხრივი და გამარტივებული სახით აღქმას ეყრდნობიან. ნაცვლად ამისა, ავტორები გვთავაზობენ შემთხვევითი შერჩევის მეთოდზე დაფუძნებული საკონტროლო ტესტირების მიდგომის (მეთოდი, რომელიც ახალი მედიკამენტების ტესტირებისას გამოიყენება) ადაპტირებას და მის განვითარების პროგრამებთან მიმართებით გამოყენებას. მაგალითად, ინდოეთში შეირჩა რეგიონი, სადაც იმუნიზაციის მაჩვენებლები ძალიან დაბალი იყო, მიუხედავად იმისა, რომ არსებობდა უფასო ვაქცინაციის სახელმწიფო პროგრამა. ამ რეგიონში არსებული სოფლების მოსახლეობა სამ ჯგუფად დაიყო. პირველი ჯგუფის სოფლებში ასეთი პროგრამა არ იყო მისაწვდომი. ეს ჯგუფი საკონტროლო ჯგუფს წარმოადგენდა. მეორე ჯგუფში შევიდა სოფლები, რომლებშიც სახელმწიფო ჯანდაცვის წარმომადგენლები ყოველთვიურად ატარებდნენ უფასო ვაქცინაციის გასვლით პროგრამას. მესამე ჯგუფში შევიდნენ სოფლები, რომლებშიც, ასევე, ყოველთვიურად ტარდებოდა ვაქცინაციის აქცია, მაგრამ, გარდა ამისა, დედებს საჩუქრის სახით ერთ კილო ლობიოსა და ჭურჭელს აძლევდნენ, როდესაც ბავშვი ვაქცინაციის სერიას გაივლიდა. ემპირიულ შედეგებზე დაყრდნობით, ეს უკანასკნელი ყველაზე ეფექტური გამოდგა. ეს არის მაგალითი იმისა, თუ როგორ სწავლობენ პრაქტიკული გამოცდილების გათვალისწინებით, თუ რა მუშაობს ყველაზე ეფექტურად, რათა შესაბამისი მიდგომა მომავალშიც გამოვიყენოთ. მოცემულ საკითხს უფრო დეტალურად მე-8 და მე-9 თავებში, მტკიცებულებებზე დაფუძნებულ მონიტორინგსა და შეფასებაზე საუბრისას, განვიხილავთ.

ბანერჯი და დიუფლო თავიანთ ნაშრომს ასრულებენ გაფრთხილებით, რაც უაღრესად სასარგებლოა წინამდებარე ნაშრომში განხილული თეორიების სწორად შეფასებისთვის:

> „თუ თავს ავარიდებთ პრობლემების გამარტივებულ და ფორმულების მისადაგებით გაანალიზებას, პრობლემებისადმი ერთი და იმავე ზოგადი პრინციპების წყების მორგებას, თუ უკეთ მოვუსმენთ ღარიბებს და უკეთ გაცნობიერებთ მათი არჩევანის უკან არსებულ ლოგიკას, თუ ჩვენ ვაღიარებთ ჩვენ მიერ შეცდომების დაშვების ალბათობას და ყველა იდეის სისწორეს ემპირიულ ტესტირებას დავუქვემდებარებთ, მხოლოდ მაშინ გახდება შესაძლებელი ეფექტური პოლიტიკისა და ზომების შემუშავება და იმის უკეთ გაცნობიერება, თუ რატომ ცხოვრობენ ღარიბები ისე, როგორც ცხოვრობენ“ (ბანერჯი და დიუფლო, 2011, 272).

ლოურენს ჰარისონი — კულტურა მნიშვნელოვანია

მოდერნიზაციის თეორიის თავდაპირველი ვერსიისა და მისი თეზისის გაანალიზების შედეგად, რომელთა თანახმად ტრადიციული კულტურები სიღარიბის ხელშეწმყობია, ხოლო თანამედროვე დასავლური კულტურები - პირიქით, მივედით დასკვნამდე, რომ დასახელებული თეორია და თეზისი მცდარია. აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ამ თეორიის ზეგავლენით საკმაოდ ხანგრძლივი დროის განმავლობაში კულტურა და განვითარება ერთ კონტექსტში არ განიხილებოდა. ჰარისონმა, USAID-ის წარმომადგენლობის ყოფილმა დირექტორმა და ამჟამად ტაფტის უნივერსიტეტის კულტურული ცვლილებების ინსტიტუტის დირექტორმა, კვლავ წამოსწია წინ იდეა, რომ კულტურა და სიღარიბე შეიძლება ურთიერთდაკავშირებული იყოს და ეს საკითხი სერიოზულ ყურადღებას იმსახურებს. თავის ნაშრომში *"ეკონომიკის განვითარების დაბალი დონე მენტალიტეტითაა განპირობებული"* მან ლათინური ამერიკის გამოცდილებაზე დაყრდნობით მოიყვანა რეალური მაგალითები, რომლებითაც ცდილობდა დაედასტურებინა, რომ მოცემულ რეგიონში კულტურის დონე ეკონომიკური განვითარების ბარიერს წარმოადგენდა (1985).

ჰარვარდის უნივერსიტეტში 1999 წელს ჩატარებული სიმპოზიუმის, "კულტურული ფასეულობები და პროგრესი," გამოქვეყნებულ მასალებში განვითარების შესახებ შეკითხვა ასეა ჩამოყალიბებული: "თუ კულტურა მნიშვნელოვანია და ადამიანები კულტურას საუკუნეზე მეტია, რაც იკვლევენ, მაშინ რატომ არ გაგვაჩნია კარგად შემუშავებული თეორიები, პრაქტიკული სახელმძღვანელო დირექტივები და რატომ არ არსებობს მჭიდრო პროფესიული კავშირები კულტურის მკვლევრებსა და იმ ადამიანებს შორის, რომლებიც განვითარების პოლიტიკის შემუშავებასა და მართვაზე არიან პასუხისმგებელი?" (ჰარისონი და ნატინგტონი, 2000). მიუხედავად იმისა, რომ კულტურისა და სიღარიბის დაკავშირება ზოგისთვის სრულიად მიუღებელია, ეს საკითხი ყურადღებას იმსახურებს. ცოტა ხნით დავივიწყოთ ჰარისონის მოსაზრებები კულტურასა და განვითარებაზე და ყურადღება გავამახვილოთ იმაზე, რომ ანთროპოლოგიამ შესაძლოა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანოს განვითარების თეორიაში, მიუხედავად იმისა, რომ თავად ანთროპოლოგებსაც დიდი ხანი დასჭირდათ იმისთვის, რომ განვითარების სფეროს წარმომადგენლებთან ეთანამშრომლათ მოცემულ საკითხზე (იხილეთ სილითოუ, 1998).

ჰარისონის პირველი თეზისის შესაბამისად, კულტურულმა ფასეულობებმა და პრაქტიკამ შესაძლოა ხელი შეუწყოს ან შეაფერხოს განვითარება. შესაბამისად, კულტურა სოციალური ანალიზის ნაწილი უნდა იყოს მანამ, სანამ განვითარების პროგრამები შემუშავდება. ამასთან დაკავშირებით იგი არ ცდებოდა. მოგვიანებით ჩვენ კიდევ ერთხელ დავრწმუნდებით, თუ როგორ შეუწყო ხელი ანთროპოლოგიამ მონაწილეობითი განვითარების მეთოდოლოგიის შემუშავებას. მოცემული საკითხები მე-8 თავში იქნება განხილული.

ჰარისონის მეორე თეზისი აზრთა უფრო მეტ დაპირისპირებას იწვევს. მისი დასკვნის შესაბამისად, ბოლო 50 წლის განმავლობაში ეკონომიკური განვითარება გეოგრაფიულად არათანაბარია და ეს კულტურითაა განპირობებული ორი მიზეზის გამო. პირველ რიგში, ჰარისონს ღრმად სწამს, რომ "საზოგადოება, რომელიც ყველაზე წარმატებით ეხმარება ადამიანებს საკუთარი შემოქმედებითი პოტენციალის რეალიზებაში, ყველაზე სწრაფად ვითარდება"

(ჰარისონი, 1985, 2). ეს აზრი, პრაქტიკულად, მაკკლოსკის აზრს იმეორებს. ჰარისონის აზრით, ის კულტურული ფასეულობები, რომლებიც ხელს უწყობს ადამიანებს, იყვნენ შემოქმედებითები და პროდუქტიულები, ის გარემო, სადაც ადამიანის ღირსებები და რისკი ფასდება, სადაც ნდობა და გამჭვირვალეობაა, ყველაზე უფრო სასარგებლო გარემოს ქმნის ეკონომიკის განვითარებისათვის. კულტურები და ფასეულობები, რომლებიც ყოველივე ზემოხსენებულს ზღუდავს, ბევრად უფრო ნაკლებად უწყობს ხელს ეკონომიკურ ზრდას.

ჰარისონი ამტკიცებს, რომ ამ კულტურულ ფასეულობებს უდიდესი ზეგავლენა აქვს სოციალური და ეკონომიკური ინსტიტუტების ეფექტურობაზე (ჰარისონი, 1985, 2-3). დუგლას ნორთმა დამაჯერებლად დაამტკიცა ამ ინსტიტუტების წვლილი დასავლეთის ეკონომიკურ განვითარებაში (ნორთი, 2005).

სიღარიბისა და კულტურის თაობაზე თანამედროვე დიალოგს რამდენიმე სუსტი მხარე აქვს. პირველ რიგში, იდეა, რომ ადამიანები ერთ კულტურულ ჩარჩოში ცხოვრობენ, არ არის მართალი. ჩვენ ყველა ვცხოვრობთ და ვმოქმედებთ კულტურული და სუბ-კულტურული რეალობების წყებაში. მეორე – თანამედროვე ფასეულობები მხოლოდ გარეშე სამყაროს ექსკლუზიური მახასიათებელი არ არის. ზემოხსენებულის მსგავსად, ტრადიციული ფასეულობები მხოლოდ კონკრეტული კულტურის ადამიანებში არ პოულობს გამოხატულებას. შესაბამისად, დისკურსი კულტურისა და განვითარების თაობაზე საკმაოდ რთულ და წინააღმდეგობრივ ხასიათს იღებს.

არანაკლებ მნიშვნელოვანია, რომ მოცემულ თემაზე დამკვიდრდა აზრი, რომ კულტურული ცვლილება შიგნიდან უნდა მოხდეს და არა გარედან, მაგრამ კულტურისა და განვითარების თაობაზე დიალოგი არ ითვალისწინებს, თუ რამდენად არასრულყოფილად გვესმის, როგორ იცვლება კულტურები. არ არსებობს ერთიანი აზრი იმის თაობაზე, ეკონომიკური ზრდა მოქმედებს კულტურული ფასეულობების გარდაქმნაზე, როგორც ამას საში გვთავაზობს (2005, 317), თუ, პირიქით, კულტურული ფასეულობები ხელს უწყობს ეკონომიკურ ზრდას, როგორც ამას ლანდესი ამტკიცებს (1999, 516).

ვიჯაიენდრა რაო და მაიკლ უოლტონი თავიანთ ნაშრომში "*კულტურული და პოლიტიკური მოქმედებები*" ამტკიცებენ, რომ კულტურისა და განვითარების უთიერთკავშირის საკითხს სერიოზულად, თუმცა, იმავდროულად, სიფრთხილით უნდა მივუდგეთ. "აქცენტი კულტურაზე აუცილებელია, რათა იმ რთულ შეკითხვაზე ვიპოვოთ პასუხი, თუ რა არის ფასეული კეთილდღეობის თვალსაზრისით, ვინ ახორციელებს შეფასებას და რატომ არის კავშირში ეკონომიკური და სოციალური ფაქტორები კულტურასთან, როდესაც კარგი ცხოვრების არათანაბარ მისაწვდომობაზე ვსაუბრობთ" (2004, 4).

კულტურული ფასეულობების საკითხი პრაქტიკოსებმაც უნდა გაითვალისწინონ საქმიანობისას. ერთ-ერთი წინააღმდეგობრივი აზრი, რომელიც კულტურული ფასეულობებისა და პროგრესის საკითხისადმი მიძღვნილი სიმპოზიუმის დროს გამოიკვეთა (რომლის მასალებზე დაყრდნობითაც შემდეგ გამოქვეყნდა წიგნი "*კულტურა მნიშვნელოვანია"),* შეეხებოდა იმას, "თუ რა მოცულობით უნდა იყოს ინტეგრირებული კულტურული ცვლილებები პოლიტიკური და ეკონომიკური განვითარების კონცეპტუალიზაციის, სტრატეგიული მოაზრებისა და დაგეგმვის პროცესში" (ჰარისონი და ჰარინგტონი, 2000). საში, ერნანდო დე სოტო და ამარტია სენი მიიჩნევენ, რომ კულტურული ცვლილების განვითარების მიზნად დასახვა არ არის მართებული. კულტუ-

რები არ იცვლება იმავე ტემპით ან იმავე დროში, რომ ასეთი ცვლილებები განვითარების პროგრამების განხორციელების პროცესში იყოს მიღწეული. ამ აზრის გასამყარებლად საკმარისი მონაცემებიც არ არსებობს. გარდა ამისა, ძალიან მაღალია ცდუნება, დასკვნების გამოტანისას მიკერძოებული იყო. დასავლური კოლონიალიზმის ისტორიის გათვალისწინებით და, ასევე, იმ ვარაუდის დაშვებით, რომ დასავლეთი უკეთესი და მისაბაძია, კულტურის გარდაქმნის შესახებ მოსაზრება ბევრს მყიფე ხიდად ეჩვენება.

ერნანდო დე სოტო — ღარიბები, როგორც მეწარმეები

დე სოტო პერუელი ეკონომისტია, რომელმაც ორი მნიშვნელოვანი იდეა შემოგვთავაზა განვითარების თაობაზე დიალოგის შესახებ. 1989 წელს მან მნიშვნელოვანი კვლევა დაასრულა და პერუს მაგალითზე დაგვანახა სამი მნიშვნელოვანი ასპექტი ღარიბების თაობაზე, რაც ნებისმიერი სხვა ქვეყნის კონტექსტშიც აქტუალურია. უპირველეს ყოვლისა, მან დაგვანახა პერუს ურბანულ გარემოში მცხოვრები ღარიბების სიცოცხლისუნარიანობა, შემოქმედებითობა და მეწარმეობის უნარები. დე სოტოს კვლევამ გვაჩვენა, რომ მოსაზრება, თითქოს ღარიბები ზარმაცები და სულელები არიან, არ შეესაბამება სინამდვილეს. დე სოტომ, ასევე, აღწერა ღარიბების არაფორმალური ეკონომიკური სექტორისადმი მიკუთვნების უარყოფითი ზეგავლენა, რადგანაც ამ სექტორს მაღალი კრიმინალი, კანონის უზენაესობის დამკვიდრების თვალსაზრისით პრობლემები, არასათანადო სამართლებლივი დაცვის მექანიზმები და სოციალური მომსახურებისადმი მიუწვდომლობა ახასიათებს. მიუხედავად იმისა, რომ ღარიბები კარგი მეწარმეები არიან და მზად არიან გარკვეული ბიზნესრისკები იკისრონ, დე სოტომ დაგვანახა, რომ ღარიბების არაფორმალური ბიზნესი ვერ ვითარდება არაფორმალურ სექტორში და ასეთი ბიზნესები არ არის დაცული ყაჩაღობისაგან, გამოძალვისა და ბუნებრივი კატასტროფებისაგან (1989, xix).

დაბოლოს, დე სოტომ ჩვენი ყურადღება პერუს (და ლათინური ამერიკის სხვა ქვეყნების) ფორმალური ეკონომიკის ექსკლუზიურ ხასიათს მიაპყრო, რაც იმის შედეგია, რომ მთავრობა ძალაუფლებას იმდენად ინარჩუნებს, რამდენადაც იმ ოლიგარქების ეკონომიკურ ინტერესებს იცავს, რომლებიც ეკონომიკას აკონტროლებენ (1989, 201–2). დე სოტომ აღწერა მთელი რიგი წესები, კანონები, გადასახადები და პროცედურები, რომლებიც მთავრობამ შექმნა მარეგულირებელი ჩარჩოს ფარგლებში და რომელთა შედეგადაც ადგილობრივ ბაზარზე დარეგისტრირება ან საქმიანობაზე ლიცენზიის მიღება უაღრესად რთული, ხანგრძლივი და დიდ დანახარჯებთან დაკავშირებული პროცესია. ეს პროცესი ზოგჯერ ორმოცდაათი სხვადასხვა ეტაპის გავლას, ათეულობით სახელმწიფო სტრუქტურასა და სამინისტროში მისვლას მოითხოვს. გარდა ამისა, ხარჯი იმდენად მაღალია, რომ შესაძლოა მეწარმის 2-იდან 4 წლამდე შემოსავლის ტოლი იყოს (1989, 131-32). ამ მარეგულირებელი ჩარჩოს მიზანია კონკრეტული ჯგუფების ეკონომიკური ინტერესების კონკურენციისაგან დაცვა. ფრიდმანი "ასეთ მტრულ გარემოში ღარიბების შეუპოვარ მუშაობას სამოქალაქო წინააღმდეგობის გაწევის აქტს" უწოდებს (1992, 23).

2000 წელს დე სოტომ მეორე მნიშვნელოვანი ნაშრომი შექმნა, რომელიც ემყარებოდა მის მიერ იმ ფენომენის შესწავლას, რომელსაც იგი "კაპიტალის

საიდუმლოებას" უწოდებს. მან სცადა გაეანალიზებინა, თუ რატომ მუშაობს კაპიტალიზმი დასავლეთში და არა სხვა ქვეყნებში (დე სოტო, 2000). მისი აღმოჩენის პირველი ნაწილის თანახმად, დასავლეთში საკუთრებისადმი ჩვენი დამოკიდებულება შევცვალეთ. მიწა ან სხვა ფიზიკური აქტივები უფრო მეტს ნიშნავს, ვიდრე უბრალოდ მიწა, რომელიც საკუთრებაში გვაქვს. აქტივს ღირებულება აქვს და იგი შეიძლება გამოყენებული იყოს მოგების მიღების მიზნით. შეიძლება გადაწყვიტო, რომ შეინარჩუნო მიწა, სესხი აიღო მისი დაგირავებით, ახალი ბიზნესი წამოიწყო და ახალი დოვლათი შექმნა. შესაბამისად, საკუთრება კაპიტალად გარდაიქმნება. დე სოტოს შეფასებით, ღარიბებს აქვთ აქტივები, რომელთა საერთო ღირებულება ორმოცჯერ აღემატება 1945 წლის შემდეგ გამოყოფილ საგარეო დახმარებას (2000, 4). მაგრამ ღარიბებს არ შეუძლიათ ამ აქტივების კაპიტალად ქცევა და ამიტომ ეს აქტივები "მკვდარი კაპიტალია." ეს არის დე სოტოს მეორე აღმოჩენა.

დე სოტო დასავლეთში კაპიტალის განვითარების ისტორიას სწავლობს და ასკვნის, რომ საკვანძო მომენტი სესხის ასაღებად არის იმის დამტკიცება, რომ აქტივი შენ გეკუთვნის. დასავლეთში, საკუთრების უფლების სისტემის განვითარებასთან ერთად, შესაძლებელი გახდა საკუთრების უფლების დადასტურება და, შესაბამისად, საკუთრება გახდა კაპიტალი, რადგანაც იგი შეიძლება გამოყენებული ყოფილიყო უზრუნველყოფად სესხის მიღების პროცესში. მსოფლიოს სხვა ქვეყნებში, სადაც ღარიბი ადამიანების უმეტესობა ცხოვრობს, სწორედ საკუთრების უფლების ასეთი სისტემა და მისი განხორციელების სამართლებლივი მექანიზმები არ არსებობს. კოლექტიური (კომუნის ან თემის) მფლობელობის, სახელმწიფო მფლობელობის სისტემის პირობებში, ან იმ შემთხვევებში, როდესაც აქტივის მფლობელობა არ არის დოკუმენტურად დადასტურებული, ხელს უწყობს სოტოსეული "მკვდარი კაპიტალის" შექმნას, რადგანაც არავინ არ გასცემს სესხს ისეთი აქტივის უზრუნველყოფით, რომელთანაც დაკავშირებით ადამიანი მფლობელობის დამადასტურებელ დოკუმენტს ვერ წარადგენს (დე სოტო, 2000).

მუჰამედ იუნუსი — კრედიტების მისაწვდომობის უფლება

ბანგლადეშელმა ეკონომიკის პროფესორმა და გრამინის ბანკის დამფუძნებელმა იუნუსმა 1970-იან წლებში, როდესაც ქვეყანაში სერიოზული შიმშილი მძვინვარებდა, თავისი უნივერსიტეტის მახლობლად ღარიბი ქალი დაინახა, რომელიც ბამბუკის დაწნულ სკამებს ამზადებდა. იგი დაფიქრდა, შეეძლო თუ არა მის ეკონომიკურ თეორიას ამ ქალის ცხოვრება გაეადვილებინა. თავისდა გასაოცრად, მან ამ ქალისაგან შეიტყო, რომ იგი მოწყალებას არ ელოდა. მას უნდოდა გაეკეთებინა ისეთი ნივთები, რომელთა ყიდვა ადამიანებს მოუნდებოდათ, მაგრამ ვერ იღებდა სესხს მევახშეებისგან მაღალი საპროცენტო განაკვეთების გამო, ხოლო ბანკი არ მისცემდა სესხს ადამიანს, რომელსაც არც მისამართი აქვს და არც რაიმე სახის აქტივი გააჩნია.

იუნუსს არ გააჩნდა გამოცდილება საბანკო სფეროში, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ამ სფეროს შესწავლით ძალიან საინტერესო დასკვნებამდე მივიდა. ღარიბებისათვის იაფი კრედიტები არ იყო მისაწვდომი. ღარიბები შესაბამის პირობებში შეიძლება არ წარმოადგენდნენ მაღალ საკრედიტო რისკს. გარდა ამისა, კრედიტების მოცულობა, რომელიც ღარიბებს ესაჭიროებათ ადგილო-

ბრივ ეკონომიკაში თავიანთი პროდუქტიული წვლილის შესატანად, არც ისეთი მაღალია. შედეგად იუნუსმა შექმნა **გრამინ ბანკი**, რომელსაც დღეს 5.6 მილიონზე მეტი კლიენტი ჰყავს (დოვლა და ბარუა, 2006, 29).

დე სოტოს მსგავსად, იუნუსიც პოზიტიურად აფასებს ღარიბთა მზადყოფნას, იმუშაონ მძიმე პირობებში. იუნუსმა თავისი წვლილი შეიტანა განვითარების დიალოგში თავისი იდეით, რომ ფულის უბრალო გადანაწილება შეძლებულებისაგან ღარიბებზე არაკომერციული საქველმოქმედო სქემების გამოყენებით შესაძლებელია, ყოველთვის საუკეთესო გამოსავალი არ იყოს. ამ მიდგომას ორი სუსტი მხარე აქვს. პირველ რიგში, ის ღარიბების შეძლებულებზე დამოკიდებულებას აძლიერებს და ღარიბებს ხელს არ უწყობს ადგილობრივ ეკონომიკაში მდგრადი როლის მოპოვებაში. მეორე პრობლემა კი ისაა, რომ ასეთი მიდგომის მასშტაბი და მდგრადობა საკმაოდ შეზღუდულია და დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენ დახმარებას გაიღებენ შეძლებულები და რამდენი ხნის განმავლობაში. იქნება კი როდესმე საკმარისი ოდენობის საქველმოქმედო სახსრები, რომ მილიარდობით ადამიანს დაეხმარო დღეში დაახლოებით 2 დოლარით? იუნუსმა მიზნად დაისახა, შეექმნა, როგორც იგი თავად უწოდებს, სოციალური ბიზნესები, რომლებიც ხარჯებს უფრო დაბალი საპროცენტო განაკვეთებისა და ფასების ორი კატეგორიის დანერგვით დაფარავენ (ერთი ფასი ღარიბებისათვის სუბსიდირებული ფასი იქნება, ხოლო მეორე, უფრო მაღალი, – საშუალო ფენებზე გათვლილი). ამ იდეის განხორციელების შედეგად შეიქმნა 25 გრამინის კომპანია, რომლებიც ისეთ მომსახურებებს გვთავაზობენ, როგორებიცაა: მიკროკრედიტები, ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურებები, შიდამეურნეობებში წარმოებული პროდუქციის რეალიზაცია და დისტრიბუცია, მცირე ბიზნესების სესხების გარანტიები, ტრენინგი საინფორმაციო ტექნოლოგიების სფეროში, მობილური სატელეფონო მომსახურება (იუნუსი, 2009, 78-79).

თავის ბოლო იდეას იუნუსი "სოციალურ მეწარმეობას" უწოდებს. საუბარია საწარმოებზე, რომლებიც სოციალურ ფასეულობებს ქმნიან და ისეთივე პრინციპით იმართებიან, როგორითაც კომერციული საწარმოები – ისინი არ იღებენ სუბსიდიებს და გასაფართოებლად კაპიტალის სესხებასთან დაკავშირებული ხარჯების დაფარვაც შეუძლიათ. გრამინის ბიზნესმოდელის შესაბამისად, ბიზნესის წარმოების ხარჯები მოსაკრებლებისა და საპროცენტო განაკვეთებისგან მიიღება და ახალი კაპიტალის ხარჯებსაც ითვალისწინებს, რათა ამ საწარმოების შემდგომი გაფართოება დაფინანსდეს. ერთადერთი განსხვავება კომერციული საწარმოებისაგან ის არის, რომ მთავარი მიზანია სოციალური ფასეულობების შექმნა და არა მოგების მაქსიმალიზაცია. ინვესტორები თავიანთ ინვესტიციებზე ამონაგებს იღებენ, მაგრამ არ იღებენ დივიდენდებს. იუნუსი ასეთ კომპანიებს არა-სადივიდენდო კომპანიებს უწოდებს და ამ იდეას გვთავაზობს, როგორც კაპიტალიზმის ერთ-ერთ ელემენტს (იუნუსი, 2009, 21-25).

შეჯამება

როდესაც გლობალური პერსპექტივიდან ვაფასებთ განვითარების ისტორიას და თანამედროვე აზრს მოცემულ საკითხზე, ვხედავთ, რომ არსებობს ღრმა წინააღმდეგობები, არასწორი წარმოდგენები და გარკვეული პერსპექტივებიც.

წინააღმდეგობები აშკარაა. კარგია, რომ ადამიანთა რაოდენობა, რომლებსაც დღეში 2 დოლარზე ნაკლები შემოსავალი აქვთ, 1820 წელს 95% პროცენტი იყო, 2008 წელს კი 43%-მდე შემცირდა (მსოფლიო ბანკი, 2008). დაახლოებით 25 წელიწადში, ანუ 1981-დან 2005 წლამდე, უკიდურეს სიღარიბეში მცხოვრებ ადამიანთა რაოდენობა 1.9 მილიარდიდან (მსოფლიო მოსახლეობის 52%) 1.4 მილიარდამდე შემცირდა (25%). ყველაზე უფრო მაღალი მაჩვენებლები სიღარიბის შემცირების თვალსაზრისით მიღწეულია ჩინეთში, ინდოეთში, ბრაზილიასა და ინდონეზიაში (მსოფლიო ბანკი, 2010).

მსოფლიოს დაახლოებით 50 ქვეყანაში თითქმის 1 მილიარდი ადამიანი უკიდურეს სიღარიბეში ცხოვრობს და არ არის ნათელი, თუ როგორ უნდა მივაღწიოთ განვითარებას იმ გაგებით, როგორც ჩვენ მას დღეს მოვიაზრებთ (კულიე, 2007, 5-7). მნიშვნელოვანია, რომ განვითარების პროგრამების ფარგლებში უზრუნველყოფილი დახმარების დონე ყველაზე მაღალია, რაც კი ოდესმე ყოფილა ისტორიაში. თუმცა, სამწუხაროდ, დღესაც არ გვაქვს ნათელი წარმოდგენა, თუ როგორ გამოვიყენოთ ეს უცხოური დახმარება ყველაზე ეფექტურად, რათა მდგრად განვითარებას მივაღწიოთ (ისტერლი, 2006, 4-11; ბანერჯი და დიუფლო, 2011). კარგია, რომ დღეს ბევრად მეტი ვიცით ეკონომიკური პოლიტიკის, მონაწილეობრივი მეთოდების, ეფექტური მართვისა და კულტურული ფასეულობების შესახებ, რომლებიც ხელს უწყობს განვითარებას. განვითარების მიზანია "ადამიანთა შესაძლებლობების განვითარება, რათა მათ მეტი აწარმოონ და მეტი ჰქონდეთ, ანუ მეტი ნივთი, თავისუფლება მოიპოვონ, უფრო ხანგრძლივად იცხოვრონ და უფრო მეტი თვითკონტროლი განახორციელონ" (ჰოკსბერგენი, კარი და კუპერუსი, 2009, 30). დაბოლოს, ძალიან კარგია, რომ შეძლებულთა რაოდენობა, მსოფლიოს ისტორიას თუ გადავხედავთ, ამჟამად ყველაზე მაღალია. თუმცა დასაფიქრებელია, რომ მათ აწუხებთ სიმსუქნე, მომხმარებლობის მენტალიტეტი და, გარდა ამისა, ბუნებრივი გარემო უარესდება.

საშმა, ისტერლიმ, კულიემ, დე სოტომ და იუნუსმა, ეკონომიკური ზრდის მარტივი მოდელებისაგან განსხვავებით, უფრო ფართო პერსპექტივა შემოგვთავაზეს და შეცვალეს ღარიბებისა და მათი შესაძლებლობებისადმი უარყოფითი დამოკიდებულების ტენდენცია. აღსანიშნავია, რომ მიუხედავად სხვადასხვა მიდგომისა, ამ ავტორებს საერთოც აქვთ: ეს არის თანამედროვე მსოფლმხედველობა. ყველა მათგანი მატერიალისტია, ხშირად ტექნოკრატი. მათ სწამთ, რომ ადამიანის აზრი, ტექნოლოგია და ფული სიღარიბის პრობლემის გადაწყვეტის წინაპირობაა. მათი ყველაზე დიდი შეცდომა ისაა, რომ არ ითვალისწინებენ რელიგიურ და სულიერ ასპექტებს, როდესაც ცდილობენ ახსნას, თუ რატომ არიან ადამიანები ღარიბები და რა შეიძლება გაკეთდეს მათ დასახმარებლად.

განვითარების თაობაზე იდეებისა და თეორიების ჩამოყალიბების ერთ-ერთი მთავარი პრობლემა ისაა, რომ მთელ ამ დისკურსში დავიწყებულია ფეს-

ვები, რომლებიც სამყაროს ქრისტიანულ აღქმას გულისხმობს (სტარკი, 2005; ჯილესპი, 2008). ამას კიდევ უფრო ამძაფრებს ის ფაქტი, რომ იმავე მოდერნიზმმა, რომელმაც დასაბამი მისცა იდეებსა და კონცეპტუალურ ჩარჩოებს, რომელთა თანახმად ადამიანებს შეუძლიათ ისტორიის შეცვლა, განვითარება და სიღარიბის დაძლევა, შექმნა პრობლემები იმ ქრისტიანებისათვის, რომლებიც განვითარების სფეროში მოღვაწეობენ (აღწერილია I თავში).

საინტერესოა, რომ სამოქალაქო დიალოგი განვითარების თაობაზე ამჟამად თავიდანვე მოიაზრებს რელიგიის როლს განვითარების საკითხში და უკეთ აცნობიერებს მის მნიშვნელობას ადამიანთა და სოციალური ცვლილებების პროცესში (დენეულინი და ბანო, 2009). პოსტმოდერნიზმის ეს პროდუქტი გვაფიქრებინებს, რომ თუ ჩვენს მიდგომებს უფრო ფართო საზოგადოებას გავაცნობთ და ვითანამშრომლებთ განვითარების სფეროს სხვა წარმომადგენლებთან, ქრისტიანებთან და არაქრისტიანებთან, შევძვლებთ, რომ მნიშვნელოვანი წვლილი შევიტანოთ განვითარების დისკურსში. ჩვენ, ქრისტიანები, მზად უნდა ვიყოთ, გამოვიდეთ ჩვენ მიერვე არჩეული განრიდების პოზიციიდან, აღარ ვიგრძნოთ თავი უხერხულად იმის გამო, რომ ქრისტიანები ვართ და ჩვენი წვლილი შევიტანოთ ამ პროცესებში, რომლებიც ჩვენს რელიგიურ ტრადიციებსა და რწმენაზე იქნება დაფუძნებული.

3

თეოლოგია, სიღარიბე და განვითარება

რატომ გვჭირდება თეოლოგია?

რატომ სჭირდება ტრანსფორმაციული განვითარების თემაზე წიგნს თავი, რომელიც თეოლოგიის საკითხებს ეძღვნება? ზოგს მიაჩნია, რომ განვითარება პრაქტიკული საქმიანობაა, რომელიც მატერიალურ სამყაროში ხორციელდება და ადამიანთა ცხოვრების რეალურ სამყაროში ხდება. მათ მიაჩნიათ, რომ თეოლოგია განსხვავებული სფეროა და ვარაუდობენ, რომ ის ღმერთზე, სულიერებასა და სხვა სამყაროზე ფიქრია. ეს ვარაუდი სწორედ იმ პრობლემის ნაწილია, რომლის გადაჭრასაც ჩვენი წიგნის მეშვეობით ვეცდებით.

რადგანაც ღმერთი სამყაროს გაუმჯობესებაზე ზრუნავს, ქრისტიანული თვალსაწიერის მიხედვით, განვითარება წარმოადგენს თეოლოგიურ აქტს, ისევე როგორც ტექნიკური პრობლემების გადაჭრის აქტს. ადამიანის წარმოდგენა უკეთესი მომავლის თაობაზე და იმაზე, თუ როგორ უნდა ვიმოქმედოთ, რომ ასეთ მომავალს მივაღწიოთ, დასაბამს თეოლოგიიდან და ბიბლიური ნარატივის გააზრებიდან იღებს. ეს ნიშნავს, რომ ქრისტიანული განვითარების პრაქტიკოსებმა დრო უნდა დაუთმონ საკუთარი თეოლოგიური უნარების განვითარებას, ისევე როგორც თავიანთი პრაქტიკული უნარების განვითარებას უთმობენ დროს.

მოცემულ თავში შეჯამებულია ამერიკელი ევანგელისტების აზრის ევოლუციის ისტორიის შესახებ სიღარიბისა და განვითარების პრობლემებთან კავშირში. ამ ისტორიაში 1920-იანი წლებიდან 1970-იან წლებამდე დიდი ჩავარდნაა. შემდეგ განვიხილავთ კათოლიკურ სოციალურ სწავლებას — საინტერესო დისკურსს, რომელიც რამდენიმე ასეული წლის წინ დაიწყო. შემდეგ ბიბლიის ნარატივს მიმოვიხილავთ, რათა სიღარიბისა და განვითარების თაობაზე ევანგელური თეოლოგიის მიდგომები გამოვკვეთოთ. ვიმედოვნებ, მოცემული თავის ბოლოს მკითხველი უკეთ გააცნობიერებს, რომ ღმერთი სივრცისა და დროის კონკრეტულ მონაკვეთში იღვწის და რომ ტრანსფორმაციული განვითარება მჭიდროდაა დაკავშირებული თეოლოგიასთან და რელიგიური ცხოვრების ამა თუ იმ მხარეს.

წარსულის მიმოხილვა

ევანგელური თეოლოგია

მოცემული წიგნი დაწერილია ევანგელური პერსპექტივიდან. სიტყვა *ევანგელური* გულისხმობს ქრისტეს აღიარებას, ბიბლიის, როგორც ცხოვრების გზამკვლევის, მნიშვნელობის გააზრებას და, აგრეთვე, იმას, რომ მოცემულ სამყაროში ადამიანი თავისი მისიის შესრულების იდეის ერთგული უნდა იყოს. ამ ტერმინში არ მოვიაზრებ კონსერვატულ პოლიტიკას, რაც, სამწუხაროდ, საკმაოდ გავრცელებული მიდგომაა შეერთებულ შტატებში.

ევანგელური მისიონერული მოძრაობის ფარგლებში ძალიან ბევრი რამ არის გასაკეთებელი იმისთვის, რომ თეოლოგიური მიდგომები მივუსადაგოთ სოციალურ მოქმედებებს, სოციალურ სამართლიანობას, სიღარიბესა და განვითარებას. მე-19 საუკუნეში ევანგელური და სოციალური მოქმედებები ერთსა და იმავე კონტექსტში მოიაზრებოდა და გამოიყენებოდა (დეიტონი, 1976), მაგრამ შემდგომ, გასაგები მიზეზების გამო, ევანგელისტებმა თავიანთი პოზიცია სხვას დაუთმეს.

1920-იან წლებში ამერიკელმა ევანგელისტებმა ტაიმ-აუტი აიღეს ისტორიაში სოციალური იდეოლოგიისა და სოციალური ღონისძიებების განხორციელების თვალსაზრისით. ჩვენმა წინამორბედებმა თავიანთი რელიგიის ფუნდამენტური პრინციპების მიღმა არჩიეს დარჩენა და დაახლოებით ორმოცდაათი წლის განმავლობაში თავდაცვით პოზიციაში ყოფნა ამჯობინეს.

1947 წელს კარლ ჰენრიმ, იმ პერიოდის გამოჩენილმა ევანგელიზმის თეოლოგმა, წყალი აამღვრია, როდესაც დაწერა ნაშრომი სახელწოდებით "*თანამედროვე ფუნდამენტალიზმის არასუფთა სინდისი,*" რომელშიც მან განიხილა მე-19 საუკუნეში ევანგელისტების მონაწილეობა სოციალურ სფეროში როგორც საკუთარ, ასევე სხვა ქვეყნებში მისიონერული საქმიანობის ფარგლებში. ჰენრი ვარაუდობს, რომ შესაძლებელია ევანგელისტების მიერ იესო ქრისტეს სახარებებში სოციალური ასპექტების მივიწყება 1920-იან წლებში "რწმენისათვის ბრძოლის" უნებური შედეგია.

დაახლოებით მეოთხედი საუკუნე დასჭირდა, რომ მოცემული საკითხი კვლავ წამოჭრილიყო. ეს მხოლოდ 1974 წელს, ლოზანაში ჩატარებული შეხვედრებისა და შემდგომში ჩამოყალიბებული მოძრაობის შედეგად გახდა შესაძლებელი. როდესაც ლოზანის კოვენანტი, რომელიც დღესაც ყველაზე მნიშვნელოვანი დოკუმენტია ევანგელისტური მრწამსის აღიარების თვალსაზრისით, იწერებოდა (სკოტი, 1975), ზოგი სამხრეთელი ევანგელისტი ამტკიცებდა, რომ ევანგელისტური რწმენის არც ერთი განაცხადი არ იქნებოდა სრული, თუ იგი დაკავშირებული არ იქნებოდა ღარიბებისა და ჩაგრულების მხარდამჭერ ღონისძიებებთან. ჩვენ ვალში ვართ სამუელ ესკობარისა და რენე პადილას წინაშე, რომლებმაც შეგვახსენეს, თუ რას წარმოვადგენთ ევანგელისტები.

1980-იან წლებში ახალმა წინააღმდეგობამ იჩინა თავი. მიღწეული იქნა შეთანხმება, რომ სოციალური მოქმედებებისა და სოციალური სამართლიანობის იდეა მოცემულია თვით ბიბლიაში. მაგრამ დაისმის კითხვა: რამდენად მისაღებია ევანგელიზაციისათვის სოციალური მოქმედებები? განა ევანგელიზაცია უმთავრეს ამოცანად და საქმიანობად სახარების ქადაგებას არ მიიჩნევს? მაშ რა ადგილი შეიძლება მიეკუთვნის ამ პროცესში სოციალურ აქტივობას?

ამასთან დაკავშირებით 1980-იანი წლების დასაწყისში გრანდ რაპიდში, მიჩიგანსა და ვიტონ კოლეჯში შეხვედრების მთელი სერია გაიმართა. დისკუსიები გაიმართა ისეთ საკითხებზე, როგორებიცაა: სამართლიანობა, სოციალური მოქმედებები, ესქატოლოგია და ქრისტიანობამდე ღვთის სიტყვის ადამიანებს შორის მოქმედების საკითხები. ევანგელიზმი და სოციალური მოქმედებები ერთი და იმავე მონეტის ორ მხარეს ანუ სახარებისეული ჩიტის ორ ფრთას იქნა შედარებული. ამ დისკუსიის ფარგლებში ვიტონ ჰანგარის ცენტრის თანამშრომელმა, უეინ ბრეგმა, ახალი ტერმინი, *ტრანსფორმაცია,* შემოგვთავაზა. სახარება საუბრობს მატერიალურ, სოციალურ და სულიერ ცვლილებებზე და ამ ცვლილებების თეოლოგიური კონცეფცია სწორედ ტრანსფორმაციაა. ამჟამად ეს ტერმინი ფართოდაა დამკვიდრებული.

1990-იანი წლების დასაწყისში გამოიკვეთა ევანგელური სოციალური ღონისძიებების განხორციელების ტენდენცია, რომელიც სწრაფად იკრებდა ძალებს. ევანგელიზმისა და სოციალური ღონისძიებების ასეთ ინტეგრაციასთან მიმართებით მრავალი ახალი ტერმინი თუ დასახელება წარმოიშვა, მაგალითად, ჰოლისტიკური მისია, ჰოლისტიკური განვითარება, ინტეგრირებული მისია, ჰოლისტიკური მისიონერობა და ტრანსფორმაციული განვითარება. ევანგელური ორგანიზაციები – Food for the Hungry, World Relief, World Vision, World Concern და სხვები – ცდილობდნენ პასუხის მოძიებას შემდეგ კითხვაზე: როგორ უნდა განხორციელდეს ჰოლისტიკური მისიონერობა და ტრანსფორმაციული განვითარება პრაქტიკაში? როგორ უნდა გაკეთდეს ეს კარგად?

1990-იან წლებში ეს საკითხი ჰუმანიტარული დახმარებისა და განვითარების ევანგელისტური ორგანიზაციებისა და ამ სფეროში მოღვაწე ადამიანების განსჯის საგანი გახდა. ტედ იამამორი და სხვები აფრიკაში, ლათინურ ამერიკასა და აზიაში შეხვედრებს ატარებდნენ, რომლებზეც მოცემული სფეროს პრაქტიკოსები ჰოლისტიკური მისიონერობის პროცესში შეძენილ გამოცდილებას უზიარებდნენ ერთმანეთს. გარდა ამისა, მთელ რიგ ქალაქებშიც ტარდებოდა შეხვედრები ჰოლისტიკური მისიონერობის საკითხებზე (იხილეთ იამამორი და სხვები, 1995, 1996, 1997, 1998).

ამჟამად ევანგელისტებს შორის დავა, სოციალური საქმიანობის მისაღებია თუ არა და ასეთი საქმიანობა უპირისპირდება თუ არა სახარებას, უმეტესწილად, ისტორიას ჩაბარდა. 2009 წელს ფულერის თეოლოგიური სემინარიის კულტურათშორისი კვლევების ინსტიტუტის მაგისტრატურის სტუდენტების ნახევარზე მეტი ისეთი კურსების მოსასმენად ჩაეწერა, როგორებიცაა საერთაშორისო განვითარება, რისკის ჯგუფს მიკუთვნებული ბავშვები, ურბანული მისიონერობა. ალენ ჰერტზკემ საკმაოდ დამაჯერებელი მონაცემები მოიძია იმის დასადასტურებლად, რომ თანამედროვე ევანგელისტები სულ უფრო მეტად მუშაობენ ისეთ სფეროებში, როგორებიცაა ადამიანთა უფლებები და ადვოკატირება (2004). Operation Blessing-ი პეტ რობერტსონის მისიის ბაზაზე შეიქმნა; Campus Crusade-ს გლობალური ჰუმანიტარული დახმარების ქსელი აქვს (GAiN). პატარა ევანგელისტური მისიებიც ტრანსფორმაციული განვითარების ტენდენციების კვალდაკვალ იცვლებიან. მაგალითად შეგვიძლია მოვიყვანოთ Mission Moving Mountains-ი, რომელიც ტრანსფორმაციული განვითარების სფეროში ტრენინგის პროგრამებს ახორციელებს.

მნიშვნელოვანია ვისაუბროთ იმაზეც, თუ რა არ შეიცვალა ევაგელისტურ მიდგომაში ტრანსფორმციული განვითარებისადმი ან რა არ გაკეთებულა

მოცემულ სფეროში. ბოლო ათი წლის განმავლობაში პრაქტიკული მაგალითების შემცველი პუბლიკაციები არ გამოქვეყნებულა. შეფასებების ძალიან მცირე ნაწილია ნამდვილად ჰოლისტიკური ხასიათისა. სამწუხაროდ, პრაქტიკოსი ქრისტიანების დაწერილი კვლევები ძალიან მცირეა; იწერება ცოტა სადოქტორო ნაშრომი და კიდევ უფრო ცოტა მტკიცებულებებზე დაფუძნებული სამეცნიერო ნაშრომი, რომლებიც ტრანსფორმაციული განვითარების საკითხებს შეეხება.

გარდა ამისა, აღსანიშნავია, რომ არ ხორციელდება მოცემული თემის თეოლოგიური გააზრება და ინტერპრეტაცია. ჩვენ ვეყრდნობით თეოლოგიურ ნაშრომებს, რომლებიც 1980-იან წლებში დაიწერა. ჩვენ ბიბლიური და თეოლოგიური საფუძვლები გვამოძრავებს, როდესაც ევანგელისტურ და სოციალურ საქმიანობას ვეწევით, მაგრამ აღსანიშნავია, რომ, პრაქტიკულად, არაფერი გაკეთებულა თეოლოგიური თვალსაზრისით, თუ როგორ უნდა განხორციელდეს ტრანსფორმაციული მუშაობა. ჩვენ არ ჩამოგვიყალიბებია ქრისტიანული თვალსაზრისი, რომელიც მეცნიერების ისეთი დარგების მიღწევებს გაითვალისწინებდა, როგორებიცაა ანთროპოლოგია, სოციოლოგია, საზოგადოების ფსიქოლოგია და განვითარების კვლევები. ჩვენ, პრაქტიკულად, არც ისე აქტიურად ვმონაწილეობთ რელიგიისა და განვითარების საკითხებზე დიალოგში, რომელიც კარდინალურად სახეშეცვლილია ბოლო ათი წლის განმავლობაში.

ეკლესიოლოგიის განვითარების შესახებ ახალი აზრის გამომხატველი ნაშრომებიც არც ისე მრავალრიცხოვანია. იმავდროულად, ბევრი რამ ჯერ კიდევ არ არის ნათელი და ჯერ კიდევ ბევრი პრობლემა არსებობს ქრისტიანულ ჰუმანიტარულ ორგანიზაციებს, განვითარების სააგენტოებსა და ადგილობრივ ეკლესიებს შორის უთიერთობებში. ჩრდილოეთის ეკლესიების სურვილმა, პარტნიორობა დაამყაროს სამხრეთის ეკლესიებთან განვითარების სფეროში მოღვაწეობასთან დაკავშირებით, მთელი რიგი ახალი თეოლოგიური საკითხები დააყენა და პრაქტიკული გამოწვევები შექმნა. არასაკმარისი ინფორმაციაა იმის თაობაზე, თუ რა როლი ეკისრებათ ადგილობრივ ეკლესიებს განვითარების პროცესებში და რა უნდა გააკეთონ მათ თავიანთი თემების განვითარებისათვის. არიან თუ არა ეკლესიები განვითარების მინისააგენტოები, სამოქალაქო საზოგადოების წევრები? დასკვნის სახით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ბოლო ოცი წლის განმავლობაში ჩვენ, ევანგელისტი აქტივისტები, იმას ვაკეთებდით, რაც ყველაზე კარგად გვეხერხება — ვმოქმედებდით. ჩვენ ტრანსფორმაციული განვითარების სფეროში ვმუშაობთ. რასაკვირველია, კარგი საქმის კეთება კარგია, მაგრამ ეს ბევრად უფრო მეტს გულისხმობს, ვიდრე, უბრალოდ, მოქმედებას. ჩვენი მუშაობის თეოლოგიური ასპექტებიც არ უნდა დავივიწყოთ.

კათოლიკური სოციოლოგია

რომაული კათოლიკური ეკლესია სოციალური სამართლიანობისა და მშვიდობის საკითხებისადმი დამოკიდებულების თვალსაზრისით სულ სხვა მიმართულებით განვითარდა. კათოლიკურ ეკლესიას 1891 წლიდან მოყოლებული მუდმივი დიალოგი ჰქონდა განვითარების საკითხებზე, რომელიც დღესაც გრძელდება. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ, ევანგელისტებმა, თავიდან უნდა დავიწყოთ ჩვენი თეოლოგიური დისკურსი, ეს არ ნიშნავს, რომ ყველაფერი

თავიდან უნდა გამოვიგონოთ. რომაული კათოლიკური ეკლესიის დიალოგში ბევრი რამ არის ისეთი, რაც ყურად უნდა ვიღოთ და გამოვიყენოთ.

მე-18 და მე-19 საუკუნის განმავლობაში მომხდარი რადიკალური ცვლილებების შედეგად რომაული კათოლიკური ეკლესია სრულიად განსხვავებული სამყაროს წინაშე აღმოჩნდა, რომელშიც, ზოგადად, ეკლესიისა და ქრისტიანობის როლი კითხვის ნიშნის ქვეშ დადგა. სეკულარული სახელმწიფოების ჩამოყალიბების, ინდუსტრიალიზაციისა და ურბანზაციის ზეგავლენით ადამიანებმა ეჭვი შეიტანეს კაპიტალიზმის მიზანშეწონილობასა და სიკეთეში. მოდერნიზმისა და, კერძოდ, საფრანგეთის რევოლუციის შედეგად გამყარდა ადამიანის აზრის უზენაესობის რწმენა, ხოლო არსებული კრიტიკული ფილოსოფიური მიდგომების ზეგავლენით რელიგიამ თანდათან დაკარგა წამყვანი პოზიციები. მეცნიერებისა და ტექნოლოგიის ეფექტურობამ იგივე ზეგავლენა იქონია რელიგიაზე. მარქსის, დარვინისა და ფროიდის მატერიალისტური და კრიტიკული მიდგომების გამო რელიგია სულ უფრო და უფრო ნაკლებად მნიშვნელოვანი ხდებოდა. მოდერნიზმი სულ უფრო მძლავრად იკიდებდა ფესვებს, ხოლო რელიგია უკანა პლანზე გადადიოდა.

ეკლესიისა და რელიგიის როლის თანდათანობით შემცირების გამო პაპმა ლუი XIII-მ 1881 წელს დაწერა ენციკლიკა "*ახალი რამ" (Rerum novarum).* ენციკლიკა განიხილავდა ახალ იდეებს ადამიანის გონიერების როლის გააზრების, შრომის, კაპიტალის, კერძო მფლობელობისა და თანამედროვე სახელმწიფოს შესახებ. შემდეგ ენციკლიკაში საუბარი იყო ოჯახზე, დამსაქმებელსა და დასაქმებულს შორის ურთიერთობების მნიშვნელობაზე, ეკლესიისა და სახელმწიფოს როლზე სიღარიბესთან დაკავშირებით. *Rerum novarum-ი* აკრიტიკებდა სოციალიზმს, რადგანაც იგი "ზღუდავს ადამიანის ინდივიდუალურ თავისუფლებას სოციალური კეთილდღეობის თვალსაზრისით და არ სცემს პატივს ადამიანთა უფლებებსა და რელიგიურ მრწამსს." ენციკლიკაში გაკრიტიკებული იყო კაპიტალიზმიც, რომელმაც, პაპის აზრით, "ადამიანს დააკარგვინა სოციალური და მორალური საზღვრების შეგრძნება (ო'ბრაიანი და შანონი, 1992, 13). გარდა ამისა, პაპი ნათლად აყალიბებდა ეკლესიის პოზიციას, რომ ადამიანების სულიერი კეთილდღეობა არ უნდა იყოს მიჩნეული საპატიო მიზეზად იმისთვის, რომ ღარიბთა კეთილდღეობაზე ზრუნვა დაივიწყო (RN, no. 23).

კათოლიკურმა სოციალურმა დოქტრინამ მიიღო სიახლეები და აღმოჩენები, თუმცა ყველაფერ ძველს არ განდგომია. მან სოციალური სწავლების ტრადიციების გათვალისწინებით ინტერპრეტაცია გაუკეთა და თავიდან გაიაზრა ადრინდელი მოსაზრებები და ენციკლიკები. პაპმა პიუს XI-მ 1931 წელს გააგრძელა ეს ტრადიცია თავისი ენციკლიკით "*ორმოცი წლის შემდეგ" (Quadragesimo anno);* პაპმა პავლე VI-მ 1971 წელს, *Rerum novarum-ის მე-80 წლისთავზე,* დაწერა ენციკლიკა *"მოწოდება მოქმედებებისაკენ" (Octogesima adveniens)*. 1991 წელს იოანე პავლე II-მ დაწერა ენციკლიკა, მიძღვნილი *Rerum novarum-ის 100 წლისთავისადმი (Centesimus annus).* ყველა მათგანში საუბარია იმ მარადიულ იდეებზე, რომლებიც დღესაც შეესაბამება ახალ თეოლოგიურ მიდგომებს, რომლებიც სიღარიბისა და სამართლიანობის საკითხებთან დაკავშირებით შეცვლილი ისტორიული კონტექსტის პირობებში ჩამოყალიბდა.

ვატიკანის II კრების მოღვაწეობის შედეგად თეოლოგიური მიდგომები კათოლიკური სოციალური დოქტრინის ნაწილი გახდა. იმ ადამიანებისთვის, რომლებიც ღარიბების პრობლემებზე მუშაობენ, განსაკუთრებით საინტერე-

სო იქნება პაპი პავლე VI-ის მიერ დაწერილი ნაშრომი "*ადამიანების განვითარების საკითხებზე" (Populorum progressio,* 1967), პაპ პავლე II-ის ენციკლიკა "*სოციალური პრობლემები" (Sollicitudo rei socialis,* 1987) და ბენედიქტე XVI-ის "*ქველმოქმედება სიმართლეშია" (Caritas in veritate,* 2009). გარდა იმისა, რომ კათოლიკური სოციალური დოქტრინა ღარიბების კეთილდღეობაზე იყო ორიენტირებული, იგი არასოდეს ივიწყებდა სახარებისეული სიტყვის მიტანას ადამიანებამდე. პავლე VI-ის "*თანამედროვე სამყაროს ევანგელიზაცია" (Evangelii nuntiandi,* 1975) კიდევ ერთხელ გვახსენებს ეკლესიის ამ ფუნდამენტურ ვალდებულებას. *Caritas in veritate* კიდევ ერთხელ ამახვილებს ყურადღებას ამის აუცილებლობაზე. "მარადიული ცხოვრების პერსპექტივის გარეშე ადამიანთა პროგრესი მიწიერ სამყაროში ვერ იქნება მიღწეული. თუ პროგრესი მარტო ისტორიით შემოიზღუდება, იგი მხოლოდ სიმდიდრის აკუმულაციამდე იქნება დაყვანილი" (no. 11).

არსებობს დაახლოებით 20 მსგავსი დოკუმენტი, რომლებიც სოციალური ტრადიციების დამკვიდრებას ემსახურება. ერთობლიობაში ისინი ასახავენ თანმიმდევრულ, თუმცა ადაპტირებად, ქრისტიანულ-მორალურ თვალსაზრისს სიღარიბეზე, უთანასწორობაზე, უსამართლობასა და ადამიანთა კეთილდღეობაზე (გრუდი, 2007, 94-95). ეს დოკუმენტები, ასევე, გვაჩვენებს ეკლესიის როლს სოციალურ სფეროში. *Populorum progression*-ში პავლე VI-მ წამოაყენა იდეა, რომ ეკლესია და სახელმწიფო (სავარაუდოდ, იგი თანახმა იქნებოდა, ბაზარიც დაესახელებინა) სხვადასხვა ძალაუფლებაა. შესაბამისად, საკუთარ სფეროებში მათ ექსკლუზიური კომპეტენცია და უფლებამოსილება აქვთ (no. 13). ეს აბრაჰამ კუპერის სუვერენული სფეროების კონცეფციას გვახსენებს.

ვატიკანის II კრებამ პროდუქტი "*პასტორალური კონსტიტუცია ეკლესიაზე თანამედროვე სამყაროში" (Gaudium et Spes)* განიხილავს ეკლესიის პასუხისმგებლობას, თავისი პოზიცია გამოხატოს სოციალურ საკითხებთან დაკავშირებით. ბენედიქტ XVI თავის *Caritas in veritate*-ში იმეორებს ამ აზრს და მას არსებითი მნიშვნელობის მქონე პოსტულატს ამატებს: "ეკლესიას არ შეუძლია ტექნიკური გადაწყვეტილებების შემოთავაზება. იგი არ ისახავს მიზნად რაიმე გზით სახელმწიფო პოლიტიკაში ჩარევას. მაგრამ ეკლესიას აქვს მისია, მართალი სიტყვა მიიტანოს საზოგადოებამდე, რომელიც ადამიანის ღირსებასა და მოწოდებას შეესაბამება" (no. 9). ამგვარად, სახელმწიფოს და ბაზარს თავიანთი ფუნქციები აქვთ, ხოლო ეკლესიას მორალური ვალდებულება აქვს, ღვთისა და კაცობრიობის შესახებ ჭეშმარიტი სიტყვა ამცნოს სამყაროს:

> "ეკლესიის სოციალური დოქტრინა არ არის ლიბერალური კაპიტალიზმისა და მარქსისტული კოლქტივიზმისგან განსხვავებული "მესამე გზა." იგი არც სხვა მიდგომების შესაძლებელი ალტერნატივაა, ალბათ, ის უფრო დამოუკიდებელი კატეგორიაა. ეკლესიის ძირითადი მიზანია არსებული რეალობების ინტერპრეტაცია და იმის გარკვევა, თუ როდის და რა შემთხვევაში არღვევს ადამიანი თავისი მოღვაწეობით სახარების ძირითად პოსტულატებს (პრინციპებს) და რა შემთხვევაში თანხვდება მისი მოღვაწეობა სახარებას. ამგვარად, ეკლესიის მიზანია ქრისტიანთა გაძღოლა. შესაბამისად, ეკლესია მიეკუთვნება არა იდეოლოგიის, არამედ თეოლოგიის სფეროს, ანუ, უფრო ზუსტად, მორალური თეოლოგიის სფეროს" (no. 41).

კათოლიკურ სოციალურ დოქტრინაში მუდმივად იკვეთება 7 საკვანძო თემა:

1. ჭეშმარიტება ღვთისა და კაცობრიობის შესახებ;
2. ქველმოქმედება და სამართლიანობა;
3. ადამიანის ღირსება;
4. საერთო კეთილდღეობა;
5. დელეგირება (სუბსიდიარულობა);
6. სოლიდარობა;
7. ღარიბებისათვის არჩევანის გაკეთების შესაძლებლობა.

ჭეშმარიტება ღვთისა და კაცობრიობის შესახებ ქრისტიანული ანთროპოლოგიის საფუძველს წარმოადგენს. ჭეშმარიტება ისაა, რომ ღმერთი არის შემქმნელი, მფარველი, გამომსყიდველი და რომ ღმერთმა თავისი საკუთარი ხატების მსგავსად შექმნა ადამიანი. ჩვენ მორალური პასუხისმგებლობა გვაკისრია ერთმანეთის კეთილდღეობისა და ღვთის მიერ შექმნილი სამყაროს მიმართ. ჩვენ ისე უნდა მოვიქცეთ, რომ ადამიანთა კეთილდღეობის მიღწევას შევუწყოთ ხელი, ადამიანთა კეთილდღეობა კი ღვთისაკენ სწრაფვით უნდა დავიწყოთ. ქრისტიანული ანთროპოლოგია სამყაროს შექმნის ბიბლიურ ისტორიას ეყრდნობა.

ქველმოქმედებისა და სამართლიანობის ერთად გააზრება კათოლიკური ეკლესიის სოციალური დოქტრინის შედარებით ახალი ასპექტია და მჭიდროდაა გადაჯაჭვული ღვთისა და კაცობრიობის შესახებ ჭეშმარიტების იდეასთან. ქველმოქმედებას ბევრი მოწყალების გაღებასთან აიგივებს და ვერანაირ კავშირს ვერ ხედავს სამართლიანობასთან. ზოგის აზრით, ქველმოქმედება, პირიქით, ხელს უწყობს უსამართლობას. ზოგი ლიბერტარიანელი თეოლოგი ამავე მოსაზრებით აკრიტიკებდა დედა ტერეზას. ბენედიქტე XVI თავის ენციკლიკაში *Caritas in veritate* ქველმოქმედებისა და სამართლიანობის გამიჯვნის წინააღმდეგ გამოდის. სამართლიანობა გულისხმობს, რომ ადამიანებმა მიიღონ ის, რაც ერგებათ თავიანთი დამსახურების, პიროვნული დამსახურების გამო. პაპის თქმითაც, "ქველმოქმედება სამართლიანობას მოითხოვს" (no. 6). მაგრამ ქველმოქმედება, ისევე როგორც სიყვარული, სცდება სამართლიანობის ფარგლებს და სთავაზობს ადამიანებს იმას, რაც მათ არ ერგებათ. "ამგვარად, ქველმოქმედება სცდება სამართლიანობის ფარგლებს და სისავსეს ჰმატებს მას" (no. 6). ეს აზრი მირასლავ ვოლფისა (2009) და ნიკოლას ვოლტერსტროფის (2008) მიერ გამოთქმულ მიდგომებს ჰგავს.

ადამიანის ღირსების იდეა ეფუძნება ფაქტს, რომ ღმერთმა ყველა ადამიანი თავისი ხატების მსგავსად შექმნა და რომ იესო ყველა ადამიანის ცოდვის გამოსყიდვისათვის ეწამა და მოკვდა. სიყვარულის ეს გამოხატულება ნიშნავს, რომ ყოველი ადამიანი იმთავითვე ღირებულია, ღირსეულია და იგი ერთადერთი და განუმეორებელია ღმერთის თვალში. კათოლიკური სოციალური დოქტრინის ძირითადი მიზანია, იმ ადამიანების დასაცავად წარმართოს ჩვენი ყურადღება, ვისი მდგომარეობაც მძიმეა და ვისი ღირსებაც შელახულია: "კათოლიკური სოციალური მოძღვრება განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს საზოგადოების იმ ნაწილზე, რომლის ღირსებაც შელახულია და არ ითვლება საზოგადოების სრულფასოვან წევრად, ასევე, იმ ადამიანებზე, რომლებიც გარიყულები არიან, ან რომლებიც ღირსების შემლახველ და და-

მამცირებელ პირობებში ცხოვრობენ და მუშაობენ" (გრუდი, 2007). ადამიანის ღირსებისა და ფასეულობის ეს დადასტურება იმასაც გულისხმობს, რომ ყველა სოციალური ინსტიტუტის საქმიანობა უნდა შეფასდეს იმ პერსპექტივიდან, თუ რამდენად დიდია მათი წვლილი ადამიანების ღირსებისა და კეთილდღეობის ხელშეწყობაში. ადამიანის თვითშეფასება და ღირსების შეგრძნება, საბოლოო ჯამში, ეფუძნება იმის გააზრებას, რომ ყოველი ადამიანი ღვთის ხატების მსგავსადაა შექმნილი. ჩვენ ღვთის განსახიერება ვართ და არა ჩვენი ქვეყნისა, რასისა, სქესისა თუ, გნებავთ, რელიგიისა.

საერთო კეთილდღეობა ორ ბიბლიურ აზრს ემყარება. პირველი ისაა, რომ ღმერთს თავისი ხატების მსგავსად შექმნილი ადამიანებისათვის ისეთი ცხოვრება სურს, რომელიც ყველა ადამიანის კეთილდღობას გულისხმობს, მისი პროდუქტიული შესაძლებლობების ან რაიმე სხვა მახასიათებლისაგან დამოუკიდებლად. მეორე აზრის თანახმად კი, სრულფასოვან ადამიანად ყოფნა გულისხმობს სხვა ადამიანებთან ისეთი ურთიერთობების დამყარებას, რომლებიც ყველა ადამიანის კეთილდღეობას უწყობს ხელს. ეს განსხვავდება თანამედროვე მიდგომისაგან ადამიანის დამოუკიდებელი ფუნქციონირების თაობაზე. ზემოხსენებული პრინციპების ერთიანობაში განხილვის შედეგად შეგვიძლია დავასკვნათ, რომ საერთო კეთილდღეობა გულისხმობს მორალური ნორმების დაცვით ცხოვრებას, რომელიც სხვებისა და საკუთარი თავისათვის სიკეთის კეთებას ისახავს მიზნად. შესაბამისად, მორალური ვალდებულებები ეკისრება ყველა სოციალურ ინსტიტუტს, მათ შორის ბაზარს, ეკლესიასა და სამოქალაქო საზოგადოებას, რათა შექმნან სოციალური წინაპირობები და წესები, რომელთა ზეგავლენითაც საყოველთაო კეთილდღეობა იქნება უზრუნველყოფილი. ამ მიმართულებით კათოლიკური სოციალური დოქტრინა კიდევ უფრო შორს წავიდა და საყოველთაო კეთილდღეობა მოიაზრა, როგორც "მშვიდობიანი საზოგადოების პროდუქტი. მშვიდობა კი სამართლიანობის შედეგია, რომელიც განვითარების, ღარიბი ადამიანებისა და ქვეყნების უფლებამოსილების გაზრდისაკენ მიმართული ძალისხმევის განუყოფელი ნაწილია" (გრუდი 2007, 108).

დელეგირება (სუბსიდიარულობის პრინციპი) ცოტა გაუმართავი ტერმინია, თუმცა ძალიან მნიშვნელოვანი იდეაა. აქ ფუნდამენტური მნიშვნელობისაა აზრი, რომ ადამიანი თავისუფალია ღმერთის წინაშე. პიუს XI თავის ენციკლიკაში *Quadragesimo anno* აცხადებს: "სოციალური ფილოსოფიის ქვაკუთხედი პრინციპი, რომელიც უცვლელი და მარადიულია, ისაა, რომ ადამიანს არ უნდა წაართვა და საზოგადოებას არ უნდა გადასცე უფლებამოსილება, გააკეთოს ის, რის გაკეთებაც თავად ამ ადამიანს, ანუ ინდივიდს, შეუძლია თავისი შრომისმოყვარეობისა თუ ნიჭის წყალობით (no. 79). დელეგირებისა და ადამიანის ღირსების იდეების ერთობლიობა ამკვიდრებს ადამიანის თავისუფლებისა და მისი შესაძლებლობების რეალიზაციის პრინციპს, ანუ ამკვიდრებს უფლებას, რომლის დარღვევა ან ხელყოფა დაუშვებელია ზემდგომი სოციალური ინსტიტუტების: ბაზრის, სახელმწიფოს ან სამოქალაქო საზოგადოების, მათ შორის ეკლესიის მიერ. ეს ნიშნავს შემდეგს: სუბსიდიარულობის პრინციპი ამკვიდრებს ნებაყოფლობითი სამოქალაქო საზოგადოების არსებობის აუცილებლობას, რომელშიც ადამიანებს უფლება აქვთ, თავად აირჩიონ სამუშაო, პოლიტიკა, ჰქონდეთ საკუთარი იდეები და მოსაზრებები და იმ პროგრამების განხორციელებაში მიიღონ მონაწილეობა,

რომლებიც, მათი აზრით, მნიშვნელოვანი ან ღირებულია. ეს აზრი ამარტია სენის მიდგომებს გვაგონებს.

ახლახან გაჩნდა სოლიდარობა, როგორც კათოლიკური სოციალური მოძღვრების ნაწილი. ეს, ძირითადად, იოანე პავლე II-ის მოღვაწეობას უკავშირდება. ზოგი ამ პრინციპს საზოგადოების თანაცხოვრების პრინციპს უწოდებს (ვეიგელი, 2008, 7). იგი იმ მარტივ ბიბლიურ ჭეშმარიტებას ასახავს, რომლის შესაბამისადაც ჩვენ, ყველა, ადამიანთა ერთი დიდი ოჯახის ნაწილი ვართ და რომ თითოეული ჩვენგანი პასუხისმგებელია ადამიანთა კოლექტიურ კეთილდღეობაზე (1 კორინთელთა, 12:25–26). ინკარნაციის (განსხეულების) მიზანი იმაში მდგომარეობდა, რომ იესო იმათთან მივიდა, ვინც მას უყვარდა და ვისაც არ შეეძლო საკუთარი თავის შველა. იესომ მოგვიწოდა, რომ გვიყვარდეს მოყვასი ჩვენი ისე, როგორც საკუთარი თავი გვიყვარს. სწორედ ეს არის სოლიდარობა, განსაკუთრებით იმ გაგებით, რომ მოყვასის ცნება არ არის შემოფარგლული და ვიწრო (ლუკა, 10:25–37). მოყვასის სიყვარული არ ნიშნავს მხოლოდ სითბოს გამოხატვას, არამედ გვავალდებულებს, მივიდეთ გასაჭირში მყოფი ადამიანის დასახმარებლად და შევუმსუბუქოთ მდგომარეობა (SRS, no. 38).

სოლიდარობა მჭიდროდაა დაკავშირებული ღარიბებისათვის არჩევანის უზრუნველყოფის იდეასთან. ეს უკანასკნელი II ვატიკანის კრებასთან ერთად ჩამოყალიბდა და განსაკუთრებით პოპულარული გახდა ლათინურ ამერიკაში, ლიბერტარიანული თეოლოგიის მიმდევრებში. იდეა ეფუძნება იმ ეთიკურ ასპექტებს, რომლებიც ქრისტეს მცნებებშია განცხადებული. იესომ ყველაზე მეტი გალილეაში იქადაგა, ანუ იმ ადგილას, სადაც მარგინალიზებული ებრაელები ცხოვრობდნენ. ეს იდეა კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს ჩვენს შეგნებაში მყარად გამჯდარი ზოგიერთი თეოლოგიური აზრისა და მოქმედებების სისწორეს: “ნათელი გახდა, რომ ჩემი თეოლოგიური რეფლექსია შემეცნებითი კედლის მეორე მხარესაც უნდა გასწვდომოდა, ანუ ჩემი საკუთარი ოთახისა და ბიბლიოთეკის კომფორტული გარემოს მიღმა უნდა გასულიყო. მე, ასევე, უნდა გავცდენოდი ჩემს საკუთარ მოსაზრებებს ღმერთის შესახებ და უკეთ გავცნობოდი ღარიბების რეალურ და არც თუ ისე კომფორტულ სამყაროს” (გრუდი, 2007, 182).

სოციალური რეფლექსიის აქცენტის ასეთი გადანაცვლება ორ ასპექტზე ახდენს ზეგავლენას: პირველ რიგში, ღარიბებს სხვა თვალსაწიერიდან ვაფასებთ და, მეორე, ჩვენ მათი დახმარების სურვილი გვიჩნდება. “სხვა ადამიანების და, პირველ რიგში, ღარიბების სიყვარულში ეკლესია თავად იესოს ხედავს და კონკრეტული მოქმედებების გატარებისკენ გვიბიძგებს სამართლიანობის უზრუნველყოფის მიზნით. სამართლიანობა ვერ მიიღწევა, თუ ადამიანები ღარიბებსა და მიუსაფრებს, რომლებიც დახმარებას ითხოვენ გადასარჩენად, აღიქვამენ ტვირთად ან გამაღიზიანებელ ფაქტორებად. ისინი მათ უნდა აღიქვამდნენ სიკეთის გამოვლენისა და საკუთარი სულიერი გამდიდრების შესაძლებლობად” (CA, no. 55).

ვატიკანისა II კრება და მომდევნო პერიოდი (1960–1970) რომაული კათოლიკური ეკლესიისათვის გარდატეხის მომენტს წარმოადგენდა. ეს იყო ეკუმენური ტენდენციების ჩამოყალიბების პერიოდიც. სწორედ ამ პერიოდში მოხდა რომაული კათოლიკური ეკლესიის სოციალური დოქტრინის დაახლოება და სამართლიანობისა და მშვიდობის თაობაზე პროტესტანტული მიდგომების. ამ

პერიოდში ევანგელისტები სოციალურ სფეროში აქტიურად არ მოღვაწეობდნენ და ამიტომ კონვერგენციამ, პრაქტიკულად, შეუმჩნევლად ჩაიარა.

ამჟამად სოციალური მოქმედებების, სამართლიანობისა და მშვიდობის სფეროში მომუშავე მისიები ევანგელისტებისათვის მეინსტრიმი გახდა და, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ჩვენს ევანგელისტურ ქადაგებას თეოლოგიური მსოფლმხედველობა უნდა დავამატოთ. შესაბამისად, ევანგელისტებმა შეიძლება ძალიან ბევრი რამ ისწავლონ ქრისტიანული სოციალური დოქტრინისა და ტრადიციების უკეთ გაცნობის შედეგად, მაგრამ, იმავდროულად, უნდა გავითვალისწინოთ განსხვავებული სოციალურ-ისტორიული კონტექსტი, რომლის პირობებშიც კათოლიკური ეკლესიის სოციალური დოქტრინის ამსახველი დოკუმენტები იწერებოდა. ამჟამად იდეები და კონტექსტი არსებითად შეიცვალა და ზემოხსენებული ტრადიცია, რომელიც დღესაც გრძელდება, ამ რეალობის გათვალისწინებით გადის ადაპტაციას. ევანგელისტები პატივისცემით უნდა მოეკიდონ ამ ტრადიციას და პარალელურად ბევრი უნდა იმუშაონ სოციალური მოძღვრების შესახებ თეოლოგიური აზრის გასავითარებლად, რაც ევანგელისტურ ტრადიციებზე დაყრდნობით უნდა განხორციელდეს.

ნარატივი ტრანსფორმაციული თეოლოგიის თაობაზე

რატომ უნდა აინტერესებდეს ღმერთს, რას ვფიქრობთ სიღარიბესა და განვითარებაზე? ბიბლია ამბობს, რომ ღმერთია ამ სამყაროს შემქმნელი. ბიბლიის ტექსტი გვეუბნება, რომ ღმერთის მიერ შექმნილ სამყაროს დასაბამი და დასასრული აქვს. ეს ნიშნავს, რომ ღმერთი აქტიურად იღვწის სამყაროში თავისი მიზნის მისაღწევად. თუ ეს ასეა, ღმერთს აინტერესებს, რას ვაკეთებთ ამ სამყაროში, ანუ მას აინტერესებს, რას ვფიქრობთ და რას ვაკეთებთ ტრანსფორმაციული განვითარების მიმართულებით, ჩვენი მოღვაწეობა რამდენად შეესაბამება ან დაეწინააღმდეგება იმას, რაც ღვთის განგებაა.

რატომ გადავწყვიტეთ ნარატივის გამოყენება მოცემული საკითხების კვლევის პროცესში? განვითარების პროცესი ისტორიების თანხვედრაა. განვითარების სფეროში მოღვაწე ადამიანების ისტორია თემის ისტორიას თანხვდება და გარკვეული პერიოდის განმავლობაში ისინი ერთად ქმნიან ახალ ისტორიას. შესაბამისად, განვითარების პრაქტიკოსმა თეოლოგია და ბიბლიური ისტორია უნდა შეისწავლოს.

ყველა საზოგადოებას ესაჭიროება თავისი ისტორია, ანუ ისტორია, რომელიც ჩვენს ცხოვრებასა და სამყაროს შესახებ ჩვენს წარმოდგენას აყალიბებს. ყველას უნდა ჰქონდეს ტრანსცენდენტური ნარატივი, რომელიც პასუხს სცემს მნიშვნელოვან შეკითხვებს და მორალურ მიმართულებასა და, თანაც, სოციალურ მიზანს დაგვანახებს. ჩვენ გვჭირდება ვიცოდეთ, თუ ვინ ვართ (იდენტობა და მიზანი), სად ვართ (ჩვენი ადგილი სამყაროში), რა წარიმართა არასწორად (სიღარიბის, ტკივილისა და უსამართლობის მიზეზების უკეთ გაცნობიერება), რა უნდა გავაკეთოთ (რა უნდა შეიცვალოს და როგორ არის შესაძლებელი ამ ცვლილებების მიღწევა) და რა დროში ვართ ამჟამად (ანუ რა როლს ასრულებს ჩვენი წარსული, აწმყო და მომავალი მიმდინარე პროცესებში).

ასეთი ისტორია განვითარების სფეროს პრაქტიკოსებსაც სჭირდებათ. ტრანსფორმაციული განვითარების არსი ადამიანების უკეთესი მომავლის უზრუნველყოფაა. უკეთესი მომავლის ხედვა თავის დასაბამს იმ ისტორიიდან

უნდა იღებდეს, რომელიც ჩვენთვის მნიშვნელოვანია. სამწუხაროდ, განვითარების სფეროში მოღვაწე პრაქტიკოსებს ერთზე მეტ ისტორიასთან უწევთ შეხება. უპირველეს ყოვლისა, ყველა ჩვენგანი ჩვენი კულტურის ისტორიის კონტექსტში ცხოვრობს. მეორე: ყველა, ვინც დასავლეთის სკოლებში მივიღეთ განათლება, ან იმ სკოლებში, რომლებშიც დასავლური სასწავლო პროგრამით მიმდინარეობს სწავლება, თანამედროვეობის ისტორიის მატარებლები ვართ. და- ბოლოს, თუ ქრისტიანები ვართ, ჩვენ ქრისტიანული ისტორია გვაქვს. ეს სამივე ისტორია აყალიბებს ჩვენს ხედვას უკეთესი მომავლის თაობაზე და გვაჩვენებს მისი მიღწევის გზას. შესაბამისად, სანამ დავიწყებდეთ სხვების ტრანსფორმაციაზე მუშაობას, უნდა დავრწმუნდეთ, რომ ნათლად გვესმის ბიბლიური ისტორია, რადგან ეს ისტორია გადამწყვეტი მნიშვნელობისაა ჩვენი ინდივიდუალური ისტორიების ჩამოყალიბების პროცესში.

ურთიერთსაწინააღმდეგო ისტორიები

თანამედროვე სამყაროში ბევრი ურთიერთსაწინააღმდეგო ისტორია არსებობს. ზოგი მათგანი საკმაოდ ძველია და მსოფლიოს უძველესი რელიგიებიდან იღებს დასაბამს. ზოგი ისტორია დასავლეთის განმანათლებლობის ეპოქისა და მე-19 საუკუნის მოდერნიზმის პროდუქტია. მარქსიზმი თანმიმდევრული ნარატივი იყო იმის თაობაზე, თუ როგორია სამყარო, რანაირად ჩამოყალიბდა იგი ასეთი სახით და როგორ უნდა მივაღწიოთ უკეთეს მომავალს, რაც საკმაოდ მაცდურად გამოიყურებოდა. მარქსიზმი დაახლოებით ერთი საუკუნის განმავლობაში შემორჩა ისტორიას და მის იდეოლოგებს მილიონობით მიმდევარი ჰყავდათ. კაპიტალიზმი და გლობალიზაცია, ასევე, მსგავსი ისტორიებია და ითვლება, რომ ეს ისტორია სხვა ეკონომიკურ ისტორიებზე უფრო წარმატებული გამოდგა და ამჟამად უკეთესი მომავლის მიღწევის ერთადერთ გზად მიიჩნევა.

მეცნიერება და ტექნოლოგია კაპიტალიზმისა და გლობალიზაციის მსგავსი ისტორიებია და მათაც ჰყავთ მხარდამჭერები. ამ "იზმებს" ზოგჯერ ძალიან მალე ვაღიარებთ ხოლმე ღმერთებად და თაყვანს ვცემთ. კოიამა აღნიშნავს, რომ ეს ღმერთები "მომაჯადოებლები არიან, რადგანაც ისინი გვპირდებიან, რომ დაგვანახებენ ჩვენს იდენტობას და დაგვეხმარებიან უსაფრთხოების უზრუნველყოფაში უფრო სწრაფად და პირდაპირი გზით, ვიდრე ჯვარცმული ღმერთი. ეს იდეა კარგად იყიდება, რადგანაც ისინი სწრაფ მომსახურებას გვთავაზობენ" (კოიამა, 1985, 259). მიუხედავად ამისა, აღსანიშნავია, რომ მე-20 საუკუნის ბოლოს ამ ღმერთებმა დაკარგეს მიმზიდველობა, რადგან ბევრი დანაპირები არ შეუსრულებიათ.

მეცნიერება გვარწმუნებს, რომ მას ესმის, როგორაა მოწყობილი სამყარო და გვპირდება, რომ ბუნებას დაიმორჩილებს, მაგრამ იგი არ გვაძლევს პასუხს საკმაოდ მნიშვნელოვან შეკითხვებზე. კერძოდ: როგორ შეიქმნა სამყარო? შემთხვევით? როგორ დასრულდება სამყაროს არსებობა? შემთხვევით? რატომ ვართ ჩვენ აქ? რა მორალურ მიმართულებებს დაგვანახებს ეს ისტორია? ამაზე მეცნიერება დუმს (პოსტმენი, 1997, 31).

ტექნოლოგია მხოლოდ ბუნების ძალების დამორჩილების უნარზე საუბრობს. ტექნოლოგია გვთავაზობს ახალ მიღწევებს, ეფექტურობის გაზრდას და კეთილდღეობას მოცემულ სამყაროსა და მოცემულ დროში, რაც მისაწვდომია როგორც შეძლებულებისათვის, ასევე ღარიბებისათვის. ტექნოლოგია მომ-

თხოვნი ღმერთია და ისინი, ვინც მისი მიმდევრები არიან, ვალდებული არიან "თავიანთი საჭიროებები და სურვილები ტექნოლოგიის შესაძლებლობებს მოარგონ" (იქვე, 31). სხვა ღმერთის თაყვანისცემა ნიშნავს, ხელყო ტექნოლოგიის მნიშვნელობა ან შეანელო მისი განვითარება. მაგრამ ტექნოლოგიური ღმერთი ყალბია: "ეს არის ღმერთი, რომელიც ძალაუფლების შესახებ გვესაუბრება და არა საზღვრების მონიშვნაზე; იგი მფლობელობაზე გვესაუბრება და არა ხელშეწყობაზე; იგი მხოლოდ უფლებებზე საუბრობს და არა პასუხისმგებლობებზე; იგი თვითგანდიდებაზე საუბრობს და არა თავმდაბლობაზე" (იქვე, 31).

დღეს კაპიტალიზმი ცდილობს, იპოვოს რწმენა ღმერთში, რომელსაც "ფარული ხელის" სახელით მოიხსენიებენ, და მხედველობის არიდან ტოვებს თავდაპირველი დისკურსის მიზანს. ადამ სმიტმა, რომელმაც პირველი ნაშრომი დაწერა კაპიტალიზმის არსის შესახებ, ამბობს, რომ "ბიზნესის საბოლოო მიზანი არ არის მოგების მიღება. მოგება მხოლოდ საშუალებაა. მიზანი არის კეთილდღეობა" (უინქი, 1992, 68). მაგრამ სინამდვილეში კაპიტალიზმის დღევანდელ ინტერპრეტაციას ადამიანები ეკონომიკურ არსებებამდე დაჰყავს, რომლებსაც უტილიტარული მიზანი აქვთ, ანუ სიმდიდრის მოხვეჭა სურთ. რისთვისაა სიმდიდრე? ვინ ვართ, თუ სიმდიდრე არ გაგვაჩნია? ამაზე პასუხები არ გვაქვს.

დაბოლოს, კაცობრიობის განვითარების ისტორიაც არ არის სრულყოფილი. ისტორიას შეუძლია აგვიხსნას ჩვენი საზოგადოების განვითარება, შეუძლია ჩვენი პირადი ისტორიაც შექმნას. კაცობრიობის განვითარების ისტორია მეცნიერების, ტექნოლოგიისა და კაპიტალიზმის განვითარების ისტორიასაც შეიცავს, მაგრამ იგი არ გვაძლევს პასუხებს ისეთ საკითხებზე, როგორებიცაა იდენტობა და არსი. ამ შეკითხვებზე პასუხებს გვცემს მხოლოდ ღმერთის ისტორია, ე.ი. იგივე საღვთო ისტორია ანუ ისტორია, რომელიც კაცობრიობის ისტორიის მიღმაა, მაგრამ, იმავდროულად, საზოგადოების განვითარების ისტორიას შეიცავს. მცირე ისტორიები, ანუ ჩვენი საზოგადოების ისტორია, ე. ი. ჩემი ისტორია, – ატომებისა და მოლეკულების ისტორია ვერ მიგვიყვანს ღმერთის ისტორიამდე. ერთადერთი ამოსავალი წერტილი, საიდანაც უნდა დავიწყოთ გააზრება, არის თავად ღმერთის ისტორია, მიუხედავად იმისა, რომ სხვადასხვა პროტესტანული ტრადიცია ამ ისტორიას სხვადასხვანაირად ყვება.



დიაგრამა 3-1: ისტორიების თანავარსკვლავედი

მე-20 საუკუნის მიწურულს ნათელი გახდა, რომ თანამედროვე სამყარომ აღმოაჩინა, რომ მან თავისი ისტორია დაკარგა. დასავლეთი დაბნეულობამ მოიცვა, რადგანაც საკუთარი ისტორია დაკარგა თვალთახედვიდან. არ არსებობდა საყოველთაოდ აღიარებული ისტორია, რომელიც ჩვენი ცხოვრების არსს დაგვანახებდა ან უკეთესი მომავლისაკენ მიმავალი გზისაკენ მიგვითითებდა. მოდერნიზმმაც ვერ შექმნა ახალი ისტორია, რადგანაც მას ისტორიის მთხრობელი არ ჰყავდა. "თუ ღმერთი არ გამოიგონებს სამყაროს ისტორიას, მაშინ მას არანაირი ისტორია არ ექნება" (ჯენსონი, 1993, 21).

ქრისტიანებს აქვთ ისტორია. ბიბლია ღმერთის მიერ სამყაროს შექმნისა და მისი ცოდვების გამოსყიდვის ისტორიაა. შესაბამისად, იგი ქრისტიანული საზოგადოების ისტორიასაც შეიცავს. ეს არის ღმერთის ისტორია მისი ღვაწლის შესახებ. ჩვენ არ შეგვიქმნია ეს ისტორია, ჩვენ იგი გადმოგვეცა. ეს არ არის ჩვენი ინდივიდუალური ისტორიების ნაერთი, მიუხედავად იმისა, რომ ღმერთი აფასებს ჩვენს ისტორიასა და წვლილს. ღმერთმა ხომ თავისი ძე გამოაგზავნა, რომ ჩვენი ისტორიისათვის თავი გაეწირა და შემდეგ ეს ისტორია ღმერთის ისტორიაში ასახულიყო. ეს არის ისტორია იმის შესახებ, თუ რა სურს ღმერთს და რას აკეთებს იგი, რაც გვავალებს ვიზრუნოთ ღარიბებზე და ვიმოქმედოთ ადამიანთა ტრანსფორმაციის მისაღწევად. ღმერთის ისტორია ჩვენი შთაგონების, ხედვის, ფასეულობებისა და აზრის განვითარების წყაროა. ბიბლიური ისტორია ყველა ისტორიას კუთვნილ ადგილს ანიჭებს. ჩვენ ვაცნობიერებთ, რომ ეს არ არის ცალკე ჩემი ისტორია, შენი ისტორია ან ჩვენი ისტორია. ესაა ისტორიაა, რომელიც სხვა ისტორიებს მეტ მნიშვნელობას სძენს. ჭეშმარიტი მნიშვნელობა და მორალური საფუძვლები მხოლოდ ღმერთის ისტორიაშია. ადამიანთა ტრანსფორმაციის მისაღწევად ჩვენ, ქრისტიანებმა, უნდა ვიცოდეთ, თუ საიდან მოვდივართ, სად მივდივართ და როგორ შეიძლება მოვხვდეთ იქ, სად ჩვენი იდეალია. ტრანსფორმაციის სფეროში რომ ვიმოღვაწეოთ, უნდა გავიაზროთ ბიბლიური ისტორია, რომელიც გვაძლევს მიმართულებასა და მიზანს. ღმერთის ისტორია არის ღმერთის მიერ სამყაროს შექმნისა და ისრაელის გათავისუფლების ისტორია, მკვდრეთით აღმდგარი ქრისტეს ღვაწლის ისტორია სულიწმინდას მეშვეობით. ღმერთის ისტორია გვეუბნება, თუ როგორ მიეცა სამყაროს დასაბამი, როგორ დავკარგეთ მიმართულება და როგორ შეიძლება მიმართულების სწორი გზით წარმართვა და რა სწადია ჩვენთვის ღმერთს. იმავდროულად, ბიბლიური ისტორია უაღრესად უჩვეულო ისტორიაცაა. ამ ისტორიას აქვს დასაბამი, შუა პერიოდი და ბოლო თავი. მაგრამ იესოსა და მისი მოღვაწეობის, ასევე მისი გამოცხადების ნაწილი ჯერ კიდევ იწერება. ღმერთის ისტორია მხოლოდ იმაზე კი არ მოგვითხრობს, რაც ღმერთმა გააკეთა, არამედ იმაზეც, თუ რას აკეთებს იგი დღეს თავისი ეკლესიის მეშვეობით. ღმერთი ჯერ კიდევ წერს ამ ისტორიას და იგი გვთავაზობს, მონაწილეობა მივიღოთ მის შექმნაში. რადგანაც ღმერთი კვლავ აგრძელებს თავის საქმეებს ჩვენს სამყაროში, ჩვენი თეოლოგია ისტორიის მთხრობელისაგან უნდა დავიწყოთ. ბიბლიური ისტორიის მთხრობელი უნიკალური მემატიანეა, რადგანაც იგი თავად არის ამ ისტორიის მთავარი გმირი. მანამ, სანამ ეს ისტორია გაჩნდებოდა, არსებობდა ღმერთი. და დღეს, როდესაც ამ ისტორიის ბოლო თავები იწერება, იგივე ღმერთი მოქმედებს ჩვენს სამყაროში ეკლესიის მეშვეობით და იღვწის ცოდვების გამოსყიდვის, ტრანსფორმაციის, ადამიანის ღირსების აღდგენის, მისი ურთიერთობების გამყარებისათვის.

ისტორიის მთხრობელი

ჩვენ ღმერთის შესახებ უნდა დავიწყოთ საუბარი, რადგანაც იგია ამ ისტორიის მთხრობელიცა და ავტორიც. ვინ არის ღმერთი? ეს უნდა იყოს პირველი შეკითხვა, რომელსაც ჩვენ ვსვამთ. ეს არის შეკითხვა, რომელიც "ყველა სხვა შეკითხვას უსწრებს და დანარჩენი შეკითხვებისათვის ფუნდამენტს ქმნის" (ლეიპი, 1996, 89). ჩვენ უნდა ვიცოდეთ, თუ ვინ არის ღმერთი და ეს შეკითხვა უნდა დავსვათ პირველ რიგში, რათა შევძლოთ პასუხის გაცემა შეკითხვაზე, თუ ვინ ვართ ჩვენ და რა უნდა ვაკეთოთ. ქრისტიანების პასუხია, რომ ღმერთი არის სამპიროვანი — მამა ღმერთი, ძე ღმერთი და სულიწმინდა. ჩვენ ამას ვაღიარებთ ჩვენი რწმენით, მაგრამ ყოველდღიურ ცხოვრებაში არ ვიყენებთ სამების ამ ფორმულას. ბოლო ოცი წლის განმავლობაში ძალიან ბევრი თეოლოგიური ნაშრომი დაიწერა, რომლებიც გვეხმარება ღმერთის სამპიროვანი არსის უკეთ გაცნობიერებაში. ამ ნაშრომთაგან ზოგი ადამიანთა ტრანსფორმაციის ან კეთილდღეობის საფუძვლების შემუშავებისათვის ძალიან მნიშვნელოვანია.

ვინ არის ღმერთი? ამ შეკითხვას სიფრთხილით უნდა მივუდგეთ. ფილოსოფიის ერთ-ერთი ახალი მიდგომის შესაბამისად, როდესაც იდენტობის საკითხს ვაანალიზებთ, არსებობა არ უნდა გავაცალკევოთ მოქმედებებისაგან. კეტრინ ლაცუნა, ნოტრ დამის უნივერსიტეტის თეოლოგი, ამტკიცებს, რომ უფრო სწორი იქნებოდა, კითხვა ასე შეგვევსო: "ვინ არის ღმერთი და რას აკეთებს იგი?" (1991, 1-3). თუ ჩვენ მხოლოდ იმაზე გავამახვილებთ ყურადღებას, თუ ვინ არის ღმერთი, მაშინ პასუხს ვერ გავცემთ მთელ რიგ მნიშვნელოვან შეკითხვებს, როგორებიცაა: შეგვიძლია ვიწამოთ ღმერთი, რომელიც სიღარიბესა და უსამართლობას უშვებს ამ სამყაროში? შეგვიძლია ვიწამოთ ღმერთი, რომელმაც 1970-იან წლებში კამბოჯაში, ხოლო 1990-იან წლებში რუანდასა და ბოსნიაში გენოციდი დაუშვა? ღმერთის რწმენა აფერხებს თუ არა განვითარების პროცესებს? პასუხი, რომ ღმერთი ყოვლისშემძლე და ყოვლისმცოდნეა, ზოგადი და არასაკმარისია.

იმისთვის, რომ უფრო კონკრეტული პასუხი მოვძებნოთ, უნდა გავცდეთ ღმერთის არსის საკითხს და იმაზეც ვისაუბროთ, თუ რას აკეთებს ღმერთი. ღმერთის სამსახოვნების დოქტრინა იმასაც გვაუწყებს, რომ ღმერთი ქრისტეს მეშვეობით სამყაროს გადარჩენაზე ზრუნავს სულიწმინდის ძალით. შეკითხვას, თუ ვინ არის ღმერთი ამ უსამართლო და ძალადობით სავსე სამყაროში, შეგვიძლია სათანადო პასუხი გავცეთ: ღმერთი ყოვლისშემძლე და ყოვლისმცოდნეა და ცოდვილი ადამიანების გადასარჩენად იღვწის, მაგრამ ჯერჯერობით ვერ უშველა ამ სამყაროს. შესაბამისად, ღმერთი არ ურიგდება გენოციდს, არამედ იგი იღვწის იმისათვის, რომ ეს აღარ განმეორდეს.

იესო კიდევ ერთ მაგალითს გვაძლევს, თუ რამდენად მნიშვნელოვანია, რომ ჩვენს აზროვნებაში ღმერთის არსი და მისი მოქმედება ერთ მთლიანობად აღვიქვათ. იმის ცოდნა, რომ იესო ღმერთია, არ არის საკმარისი იმისთვის, რომ სრულად გავაცნობიეროთ მისი არსი. ჩვენ ისიც ვიცით, რომ იესო მამის ნებას დაემორჩილა, კაცობრიობის ცოდვების გამოსასყიდად ეწამა და შემდეგ მკვდრეთით აღდგა. იესო (არსება) ერთ-ერთი ჩვენგანი გახდა და გადაგვარჩინა (ქმედება). ეს უფრო სრულყოფილი წარმოდგენაა იესოს არსების შესახებ.

რატომ არის არსებისა და ქმედების ზემეთ აღნიშნული ტრინიტარული ფორმულირება მნიშვნელოვანი განვითარების სფეროს პრაქტიკოსისათვის?

ამის სამი მიზეზი არსებობს. ლაკუნია შეგვახსენებს, რომ "არა-ტრინიტარული თეოლოგია ფართოდ აღებს კარს სხვადასხვა იდეოლოგიისა და კერპთაყვანისმცემლობის წინაშე, იქნება ეს თვითკმარი მამა ღმერთი თუ ყოვლისშემძლე ღმერთი, რომელიც ეგუება ბავშვების დაღუპვას, ან აპათიური ღმერთი, რომელსაც არ აწუხებს ადამიანების სიღარიბე, ან შურისმაძიებელი ღმერთი, რომელსაც მოსწონს, რომ მის დასაცავად და მისი სახელით ადამიანები ომობენ" (1991, 395). ღმერთის შესახებ არატრინიტარული თვალსაზრისი დასაბამს აძლევს იდეას, "რომელიც საზიანოა, რადგანაც, ამ აზრის შესაბამისად, ერთი ადამიანი წარმოადგენს ყველასათვის მისაბაძ მაგალითს" (იქვე, 396). ტრინიტარული თვალსაზრისი ჩვენ, როგორც ქრისტიანებს, დაგვანახებს ჩვენს მისიას და იმას, რა უნდა ვაკეთოთ. ჩვენ უნდა ვიყოთ ქრისტიანები, ვიფიქროთ და ვიმუშაოთ ისე, როგორც ქრისტიანებს შეშვენით. ტრანსფორმაციული განვითარების მიზნებში მოღვაწეობა აჩვენებს, თუ ვინ ვართ სინამდვილეში. თუ არ არსებობს დიქოტომია ღმერთის არსებობასა და მის მოღვაწეობას შორის, მაშინ ჩვენშიც არ არის ეს დიქოტომია.

დაბოლოს, ეს ტრინიტარული აზრი გვეხმარება მივიდეთ მნიშვნელოვან დასკვნამდე: ღმერთი უნდა გავიაზროთ, როგორც სამპიროვანი არსება, რომელიც სიყვარულითაა გამსჭვალული ადამიანებისადმი და თავგანწირულად იღვწის მათ სასიკეთოდ. ქრისტიანული ღმერთი სამპიროვანია და "ტრინიტარული თეოლოგია შეიძლება აღიწეროს როგორც ურთიერთკავშირების თეოლოგია, რომელიც შეისწავლის სიყვარულის, ურთიერთობების, პიროვნებებისა და მათ შორის კავშირების საიდუმლოებას, ღვთის იესოს სახით გამოცხადებას სულიწმინდას მეშვეობით" (ლაკუნია, 1991, 1).

განვითარების სფეროში მოღვაწე ადამიანებს აქედან ბევრი რამის გაგება შეუძლიათ. პირველ რიგში, თუ ადამიანები სამების მსგავსად არიან შექმნილი, მაშინ ადამიანის არსის ჩვენეული ინტერპრეტაცია სრულიად განსხვავებული უნდა იყოს იმ ინტერპრეტაციისაგან, რომელსაც დასავლური კულტურა გვაძლევს და რომელიც ადამიანს ავტონომიურ და თვით-გამორკვევის უფლების მქონე არსებად მიიჩნევს. განვითარება არ უნდა იყოს დაყვანილი მხოლოდ იმ აზრამდე, რომ იგი ადამიანებს არჩევანს და უფლებამოსილებას ანიჭებს. მეორე: თუ ღმერთი რელატივისტური ცნებაა, მაშინ ცოდვის ზეგავლენის შესახებ ჩვენი წარმოდგენაც რელატივისტური უნდა იყოს და ამაზე დაყრდნობით უნდა გავიგოთ, თუ რა არის სიღარიბე (ამაზე უფრო დეტალურად მომდევნო თავში ვისაუბრებთ). მესამე: თუ ეს სამპიროვანი ღმერთი სამყაროს გადაარჩენს ადამიანების მომავლის შენებაში მონაწილეობის გზით, მაშინ ტრანსფორმაციული განვითარებაც ფუნდამენტურად რელატივისტური უნდა იყოს. დაბოლოს: როგორც ლეუპი მიგვითითებს, "ქრისტიანული ეთიკაც, რომელიც ტრინიტარიანიზმს ეყრდნობა, რელატივისტური უნდა იყოს" (1996, 159). ტრინიტარული პერსპექტივიდან ფიქრი "პრაქტიკულია, რადგანაც ეს ეთიკის, დოქტრინის, სულიერებისა და ღმერთის თაყვანისცემის შეფასების თეოლოგიური კრიტერიუმია" (ლაკუნია, 1991, 410).

ისტორიის დასაბამი

სამყაროს შექმნის ისტორია

ერთადერთი დაუსაბამო არსება არის ღმერთი, სამპიროვანი ღმერთი. ბიბლიური ისტორია იწყება იქიდან, რომ ღმერთმა შექმნა რაღაცა არაფრისაგან. ღმერთმა შექმნა სამყარო და ყველაფერი, რაც მასში არსებობს. დაბადება (ძველი აღთქმის I თავი) გვეუბნება, რომ სამპიროვანმა ღმერთმა სიტყვით შექმნა სამყარო (დაბადება, 1:1). ღმერთმა პირველად შექმნა მატერიალური სამყარო, რომელიც შეიძლება დაინახო, შეიგრძნო და შეეხო. იოანე ღვთისმეტყველი გვაუწყებს, რომ დასაბამიდან იყო სიტყვა და სიტყვა იყო ღმერთთან და ღმერთი იყო სიტყვა (იოანე, 1:1–2). სიტყვა იგივე ქრისტეა და ყველაფერი ქრისტეს მიერ შეიქმნა (იოანე, 1:3). ბნელი იდო უფსკრულზე, სული ღვთისა იძვროდა წყლებს ზემოთ (დაბადება, 1:2). ღმერთი თავისი არსებით შემქმნელი და აქტიურია დასაბამიდანვე. სამყარო ღმერთმა შექმნა, ანუ ეს იყო მისი მოქმედება და არა მხოლოდ მისი აზრი. შედეგი, თავად შემქმნელის აზრით, ძალიან კარგი იყო.

ღმერთის არსის ტრინიტარული ფორმულირება გვეხმარება გავიგოთ სამყაროს შექმნის ისტორიის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ასპექტი. ღმერთი და სამყარო მკაფიოდ გამიჯნული, მაგრამ ურთიერთდაკავშირებულია. შემქმნელი და მისი ქმნილება მუდმივ კავშირში არიან, ანუ ისინი განუყოფლად არიან ერთმანეთთან დაკავშირებული და ამ კავშირის საფუძველი სიყვარულია. ღმერთი იესოს მეშვეობთ აქტიურად არის ჩართული სამყაროს დახმარებაში (ებრაელთა, 1:2–3). სამყაროს შექმნის ისტორია ჩვენთვის მიუწვდომელი ღმერთის მიერ სამყაროს შექმნის ნარატივია.

ღვთის ხატება

რადგანაც ღმერთმა ადამიანი თავისი სამსხოვანი ხატების მსგავსად სიყვარულის გამო შექმნა, ჩვენი მისიაა მოყვასის სიყვარული და უანგარო დახმარება. არასოდეს არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ჩვენი იდენტობა და მოწოდება ურთიერთობების სისტემითაა განპირობებული, კერძოდ, ღმერთთან, საკუთარ თავთან, საზოგადოებასთან, იმ ადამიანებთან, რომლებსაც "სხვებს" ვუწოდებთ, ასევე - გარემოსთან ურთიერთობების ერთობლიობით. ჩვენი იდენტობა, რომელიც ამ ურთიერთობებითაა განსაზღვრული, საერთო კეთილდღეობისა და სოლიდარობის გააზრების საფუძველია. სწორედ ამ საფუძველს შეესაბამება იესოს მცნება, გვიყვარდეს მოყვასი ისე, როგორც საკუთარი თავი გვიყვარს. ეს არის საკუთარი თავისა და დანიშნულების გააზრება ურთიერთობების პრიზმაში. მაგრამ, როგორც უკვე აღინიშნა, იდენტობა უფრო ფართო ცნებაა, ვიდრე არსებობა და ის შემეცნებასა და ქმედებებსაც გულისხმობს. ისმის კითხვა – რა არის იდენტობის სხვა ასპექტები?

ღმერთმა ქალი და მამაკაცი შექმნა თავისი ხატების მსგავსად და უბრძანა: "გამრავლდით, აავსეთ დედამიწა და დაიმორჩილეთ იგი" (დაბადება, 1:27). იდეა, რომ ღმერთმა შექმნა ადამიანი საკუთარი ხატების მსგავსად და შემდეგ მისცა მას უფლება და ძალა, რათა ებატონა სამყაროზე და ემართა იგი, უაღრესად მნიშვნელოვან ქვეტექსტს შეიცავს. ადამიანები, ღმერთთან ერთად, სამყაროს თანაშემქმნელები არიან, რაც დიდი პასუხისმგებლობაა. სამყაროს შექმნის პრო-

ცესში უნდა გამოვიყენოთ ღვთის მიერ ბოძებული ნიჭი და უნარები, დავაკვირდეთ, გავიაზროთ, შევიმეცნოთ ახალი და შემდეგ ვიმოქმედოთ ამ ახალ ცოდნაზე დაყრდნობით. უნდა გვახსოვდეს, რომ ღმერთისგან განსხვავებით, არ შეგვიძლია რაღაცის შექმნა არაფრისაგან, მაგრამ ღმერთმა მოგვცა უფლება და უნარი, შევქმნათ რაღაც ბუნებისა და ყველაფრისაგან, რაც ღმერთმა შექმნა ამ სამყაროში. იმავდროულად, უნდა გვახსოვდეს, რომ ჩვენი შემოქმედებისა და ძალისხმევის მიზანია ადამიანებისა და სამყაროს კეთილდღეობის უზრუნველყოფა.

ნორტისტერნის სემინარიის თეოლოგიის პროფესორი რიჩარდ მიდლტონი საინტერესო იდეას ავითარებს და ამტკიცებს, რომ "ადამიანის *imago Dei*-დ, ანუ ღვთის ხატის მსგავს არსებად მოაზრება, გულისხმობს თავის თავში ტრანსფორმაციას, განვითარებისაკენ მიმართულ ძალისხმევას და, შესაბამისად, კულტურისა და ცივილიზაციის განვითარებისაკენ მიმართულ ენერგიას" (2005, 89). ამგვარად, დაბადების შესაბამისად, ადამიანის ძირითადი როლი არის განვითარების ხელშეწყობა და ადამიანთა კეთილდღეობაზე ზრუნვა. ჩვენი მიზანი და დანიშნულებაა დედამიწაზე ნაყოფიერი გარემოს შექმნაზე ზრუნვა ადამიანთა კეთილდღეობის მისაღწევად, შემეცნება და მოქმედება.

პავლე VI-მ თავის ენციკლიკაში *Populorum progressi* განაცხადა: ის, რომ ადამიანი ღვთის ხატების მსგავსადაა შექმნილი და რომ ღმერთმა იგი ნიჭითა და უნარით დააჯილდოვა, რათა მან წვლილი შეიტანოს სამყაროს განვითარებასა და კეთილდღეობის შექმნაში, გულისხმობს შემდეგს: "ღმერთმა ყოველ ადამიანს გარკვეული მისია მიანიჭა და მათ შემოქმედის მიერ დასახული მიზნის მისაღწევად უნდა იღვაწონ" (no. 15). ბენედიქტე XVI კიდევ უფრო განავრცობს ამ იდეას თავის ენციკლიკაში: "ღმერთი ადამიანს უფლებამოსილებას ანიჭებს და, შესაბამისად, ადამიანმა საკუთარი თავის განვითარებაზე უნდა იზრუნოს" (no. 18). განვითარება გულისხმობს, რომ "სწორედ ადამიანი არის განვითარების ხელშემწყობი ძალა" (SRS, no. 30) და არა განვითარების სააგენტო, მთავრობა ან დასავლეთი როგორც პოლიტიკური სივრცე. ბენედიქტე XVI, ასევე, შეგვახსენებს, რომ აქ გარკვეული დათქმა არსებობს. კერძოდ, ჩვენ ღმერთმა დაგვავალა ადამიანთა მდგომარეობის გაუმჯობესებაზე ზრუნვა, მაგრამ, იმავდროულად, ადამიანს "დამოუკიდებლად არ ძალუძს საბოლოო მიზნის მიღწევა" (CV, no. 16). ჩვენ არ შეგვიძლია დამოუკიდებლად განვვითარდეთ.

სამყაროს შექმნის თაობაზე მონათხრობის მნიშვნელობა

სამყაროს შექმნის ნარატივი განსაზღვრავს, თუ ვინ ვართ, ვისი ვართ, რა არის ჩვენი მოწოდება, რა უნდა ვაკეთოთ, მაგრამ, ამას გარდა, იგი მიგვითითებს რამდენიმე ასპექტზე, რომლებიც განვითარებისა და ადამიანთა კეთილდღეობის კონტექსტისთვისაა მნიშვნელოვანი.

სამყაროს შემქმნელის თაობაზე ტრინიტარული დოქტრინა საშუალებას გვაძლევს, უკეთ გავაცნობიეროთ სამყაროს მრავალფეროვნება. კულტურული და ეთნიკური მრავალფეროვნება არ არის ღმერთის შეცდომა. იგი არც ცოდვით დაცემის შედეგია. "ღმერთის სამპიროვნება, ანუ სამი არსების ერთიანობა, საშუალებას გვაძლევს უკეთ გავაცნობიეროთ და დავაფასოთ მსოფლიოს ნაირსახეობა და კულტურული სიმდიდრე და, იმავდროულად, გავიაზროთ ამ ნაირსახეობის ერთიანობა. სწორედ ამ კონცეფციას სთავაზობს ტრინიტარული თეოლოგია ფრაგმენტირებულ თანამედროვე მსოფლიოს" (განტონი,

1997, 103). შემთხვევითი არაა, რომ სამყარომ ასეთი სახე მიიღო, რადგან ეს ღმერთს ჰქონდა დასახული. არც იოანე ამბობს შემთხვევით: "შემდგომ ამისა გავიხედე და, აჰა, ურიცხვი ხალხი, რომელსაც ვერავინ დათვლიდა, ყოველი ხალხისა და ტომისაგან, ერისა და ენისაგან, სპეტაკი სამოსით მოსილი იდგა ტახტისა და კრავის წინაშე" (გამოცხადება, 7:9). ადამიანთა და კულტურათა ნაირსახეობა ღმერთისგანაა ბოძებული და იგი ადამიანთა კეთილდღეობისა და განვითარების საწინდარია.

გარდა ამისა, სამყაროს შექმნის ისტორია აწესებს ბუნებაზე ზრუნვის მოთხოვნას. ჩვენ მხოლოდ განვკარგავთ ბუნებას, მაგრამ ყველაფერი, რაც ღმერთმა შექმნა — კაცობრიობა, დედამიწაზე არსებული ყოველი ცოცხალი არსება და თავად დედამიწა — ღმერთს ეკუთვნის. ღმერთის განზრახვა იყო ყოველივე ზემოხსენებულის შექმნა და იგი მოგვიწოდებს ნაყოფიერებისა და პროდუქტიულობის უზრუნველყოფისაკენ.

დაბოლოს, ღმერთი მრავალგზის იმეორებს, რომ ყველაფერი, რაც მან შექმნა, მათ შორის (და პირველ რიგში) ადამიანი, კარგია. ეს არ ნიშნავს მხოლოდ იმას, რომ ღმერთს მოსწონს თავისი შექმნილი სამყარო. ეს იმასაც ნიშნავს, რომ სამყაროს შექმნის იდეა ლამაზია. დაბადების მე-2 თავში საუბარია ნაყოფიერ ხეზე, რომელიც საამურია თვალისათვის. ჩვენ ვიცით, რომ თავად სამყაროს შექმნაა სილამაზე და იგი ღმერთის ყოვლისშემძლეობას დაგვანახებს: "მისი უხილავი სრულყოფილება, წარუვალი ძალა და ღვთაებრიობა, ქვეყნიერების დასაბამიდან მისსავ ქმნილებაში ცნაურდება" (ფსალმუნი, 19:1–4; რომაელთა, 1:20). სამყაროს ნაწილია ესთეტიკაც. ღმერთმა ადამიანს სილამაზის დაფასების უნარიც მიანიჭა, რადგანაც სილამაზე ანარეკლია ღვთის ხატებისა, რომელმაც ეს სილამაზე შექმნა. ხელოვნების, მუსიკისა და სხვა ესთეტიკური ფასეულობების გარეშე ღვთის თაყვანისცემა და ადამიანის ცხოვრება ბევრად უფრო უფერული და დაკნინებული იქნებოდა. თეოლოგიისა და ესთეტიკის პროფესორი უილიამ დაირნესი წერს: "რადგანაც სიმბოლიზმი და ესთეტიკა ადამიანის შემოქმედებითობის გამოვლენას უწყობს ხელს, ადამიანის განვითარებისაკენ მიმართული ნებისმიერი ძალისხმევა ადამიანებში არსებული ესთეტიკური იმპულსების განვითარებაზეც უნდა იყოს ორიენტირებული (დაირნესი, 2011, თავი 9). ამ თემაზე უფრო დეტალურად მე-6 თავში ვისაუბრებთ.

სამყაროს შექმნა და სოციალური ინსტიტუტები

გერჰარდ ფონ რადი სამყაროს შექმნის ისტორიას უბრუნდება და შეგვახსენებს, რომ დაბადებაში სამყაროს შექნის ისტორია სრულდება ერების შექმნით, რაც მე-10 თავშია ასახული. სოციალური ინსტიტუტებიც შექმნილი სამყაროს ნაწილს წარმოადგენს. სამყაროს შექმნის ნარატივი არა მხოლოდ გვიხსნის, თუ რისთვის და როგორ შეიქმნა კაცობრიობა, არამედ "იგი წარმოადგენს საერთო საფუძველს ყველაფრისათვის, რასაც კულტურის სახელით მოვიხსენიებთ, მათ შორის მეცნიერების, პოლიტიკის, ეთიკისა და ხელოვნებისათვის" (გიუნტონი, 1997, 98). ეს მნიშვნელოვანი იდეაა, რის გამოც არაერთხელ დავუბრუნდებით ამ წიგნს. ჩვენ ვერ გავმიჯნავთ ადამიანებს იმ სოციალური სისტემებისაგან, რომლებშიც ისინი ცხოვრობენ.

ღმერთის განზრახვა იყო სოციალური ინსტიტუტების, როგორც სამყაროს შემადგენელი ნაწილის, ჩამოყალიბება. ჩვენ უნდა მოვერიდოთ ამ ინსტიტუტე-

ბის დემონიზაციას, რაც ამჟამად საკმაოდ პოპულარულია ლიბერალურ წრეებში. სოციალური ინსტიტუტები აუცილებელია ადამიანთა საზოგადოების სწორი და ეფექტური ფუნქციონირებისთვის. ამ თვალსაზრისით სოციალური ინსტიტუტების არსებობა ღმერთის მიერ სამყაროს პირვანდელი სახით შექმნის პროცესში იყო გათვალისწინებული. მე-18 საუკუნის დასაწყისში კაცობრიობის განვითარების ტრაექტორიის მკვეთრი ცვლილება სწორედ კაცობრიობის შემოქმედებითობის შესანიშნავი მაგალითია, რადგანაც სწორედ ამ პერიოდში წარმოიშვა ახალი იდეები და სოციალური ინსტიტუტები. მაგრამ, იმავდროულად, გულუბრყვილობა იქნებოდა გვევარაუდა, რომ ადამიანების მიერ შექმნილი ყველა ინსტიტუტი სიკეთის მომტანია. ძალიან ბევრმა ჩვენ მიერ შექმნილმა ინსტიტუტმა მარცხი განიცადა, სწორედ ისე, როგორც ჩვენ, როდესაც ცოდვით დავეცით. ამაზე უფრო დეტალურად შესაბამის თავში ვისაუბრებთ.

სამყაროს დასაბამის შესახებ ნარატივი ძალიან ბევრ საინტერესოს გვასწავლის განვითარების სფეროში მოღვაწე ადამიანებს. დედამიწის მფლობელმა ღმერთმა მასზე ზრუნვა ადამიანს დააკისრა. ჩვნთვის ყველაზე მნიშვნელოვანი მეტაფორა ისაა, რომ ჩვენ ვართ დედამიწის განმკარგველები (რაითი, 1983, 69-70).

რესურსების განაწილება: მიწა და ბუნებრივი რესურსები მთელმა კაცობრიობამ ღმერთისაგან საჩუქრად მიიღო და ეს სიმდიდრე არ არის მხოლოდ რჩეულთა ჯგუფის საკუთრება. რასაკვირველია, ეს არ ნიშნავს, რომ კერძო მფლობელობა არ შეიძლება არსებობდეს, მაგრამ, როგორც რაითი ამბობს, "ყველა ადამიანის მიერ რესურსებით სარგებლობის უფლება უფრო პრიორიტეტულია, ვიდრე კერძო მფლობელობა."

მუშაობის ვალდებულება: მუშაობა ნიშნავს ნაყოფიერებას. ღმერთი პროდუქტიულია და, შესაბამისად, ჩვენი დანიშნულებაა, ვიყოთ პროდუქტიულები. შესაბამისად, მუშაობა ჩვენი დანიშნულება და პასუხისმგებლობაა. ეს პრინციპი პირდაპირ კავშირშია განვითარებასთან. ყველა ადამიანი ვალდებულია იმუშაოს და უფლება მისცეს ან საშუალება შეუქმნას სხვა ადამიანებს, რომ მათაც შეასრულონ თავიანთი დანიშნულება.

ზრდის მოლოდინი: "იყავი ლამაზი და გამრავლდი" გულისხმობს ადამიანთა რიცხოვნებისა და მათი საარსებო საშუალებების წარმოების ზრდას. ღმერთმა სამყაროს შექმნის დროს ყველაფერი უხვად შექმნა. შესაბამისად, ამის მიღწევა ჩვენთვისაც შესაძლებელია. გარდა ამისა, ღმერთმა კაცობრიობა შესაბამისი ნიჭითა და ადაპტირების უნარით დააჯილდოვა, რაც განვითარებისა და ზრდის პოტენციალს გვაძლევს.

ეს აზრი არ უნდა დაგვავიწყდეს, რადგანაც ძალიან ხშირად, სრულიად არამართებულად, სიღარიბის მიზეზად მოსახლეობის რიცხოვნების ზრდას მიიჩნევენ. ახალშობილი ბავშვი არ არის კიდევ ერთი პირი, რომელსაც გამოკვება ესაჭიროება. ბავშვები შემოქმედებითი გონებისა და პროდუქტიული პოტენციალის მატარებლები არიან. მათაც შეუძლიათ, რომ გახდნენ ნაყოფიერები (ქრომარტი, 1995, 282).

წარმოებული პროდუქტის განაწილება: როდესაც პროდუქტიულობაზე ვსაუბრობთ, იგულისხმება წარმოებული პროდუქციის მოხმარებისა და ამისგან სიამოვნების მიღების შესაძლებლობა. ეს ბიბლიაში კაცობრიობის უკეთესი მომავლის მოაზრების ნაწილს წარმოადგენს (ესაია, 65:21–22).

დაცემა

სამწუხაროდ, ბიბლიური ისტორია არ სრულდება ედემის ბაღის აღწერით, სადაც ადამიანები მორჩილად იღვწიან და საღამოობით ღმერთი სეირნობს. ცდუნებას აყოლილმა კაცობრიობამ, ქალებმა და მამაკაცებმა, ერთად გადაწყვიტეს, არ დამორჩილებოდნენ ღმერთს. ისინი ისე მოიქცნენ, თითქოს ღმერთზე მეტი იცოდნენ (დაბადება, 3).

მათთვის უფრო მიმზიდველი აღმოჩნდა იდეა, იყვნენ ღვთის მსგავსნი, იმის ნაცვლად, რომ მოუსმინონ ღმერთს და იმოქმედონ ისე, როგორც მან დაუწესა.

ამ დაუმორჩილებლობის შედეგად ადამიანის იდენტობა დაკნინდა და ადამიანური ურთიერთობების ყველა ასპექტმა უარყოფითი ზეგავლენა განიცადა, რის შედეგადაც ეს ურთიერთობები აღარ იყო ისე ეფექტური კეთილდღეობის მისაღწევად, როგორც მანაამდე. სამყაროში ცოდვის გაჩენის დღიდან მისი ზეგავლენა მასშტაბური გახდა, შეიძლება ითქვას, რომ ჰოლისტიკურიც კი. ცოდვამ ადამიანთა შორის არსებული ურთიერთობების ყველა ასპექტში, მათ შორის საკუთარ თავთან, საზოგადოებასთან, გარემოსა და ღმერთთან ურთიერთობებში, შემოიტანა სიცრუე და გარდატეხა გამოიწვია ამ ურთიერთობებში.

მინდა ვისაუბრო ღმერთთან დაპირისპირებულ ძალებზეც. ცდუნება არ შეუქმნია თავად ადამიანს, იგი სხვა ძალამ შექმნა და ადამიანში დაუმორჩილებლობის სურვილი დაბადა. ჩვენ ძალიან ხშირად გვავიწყდება, რომ არსებობს ბოროტი ძალა, რომელიც ღმერთისა და მისი განზრახვის წინააღმდეგ მოქმედებს. ბიბლიური ისტორის პირველ ნაწილში სატანის გარეშე მოვლენები სხვაგვარად განვითარდებოდა. ის რომ არა, აღარ იქნებოდა დანარჩენი ბიბლიური ისტორია. ჩვენ ისტორიიდან ვერ ამოვშლით სატანას, რადგანაც მის გარეშე არც ეს ისტორია იქნება სრულყოფილი.



დიაგრამა 3-2: ცოდვის ზეგავლენა ურთიერთობებზე

დაცემის პირდაპირი შედეგი სიღარიბისა და განვითარების თვალსაზრისით აშკარაა. ის, რაც ადამიანისათვის სასიცოცხლო საშუალებებს უზრუნველყოფდა, ისე ეფექტურად აღარ მუშაობს (დაბადება, 3:17). საარსებო საშუალებების მოსაძიებლად ადამიანს ბევრი მუშაობა და ბრძოლა უწევს (დაბადება, 3:19). ადამიანის ცხოვრებას დასასრული გაუჩნდა (დაბადება, 3:19), მამაკაცებსა და ქალებს შორის ურთიერთობებიც შეიცვალა და აღარ არის თანასწორი (დაბადება, 3:16). საზოგადოებაში გაჩნდა ძალადობა და მკვლელობა (დაბადება, 4:8), ადამიანის გულში გაჩნდა შურისძიების სურვილი (დაბადება, 4:23). ადამიანს კეთილდღეობის მისაღწევად ბრძოლა უწევს, რაც მას მხოლოდ საკუთარი ძალებით არ შეუძლია. მიუხედავად ამისა, ღმერთის სიყვარული და მიმტევებლობა დაცემის შემდეგაც მიჰყვება ადამიანთა მოდგმას. ღმერთმა მოგვცა ჩვენი პირველი სამოსი და ამ მძიმე მდგომარეობიდან გამოსვლის იმედი (დაბადება, 3:22). ღმერთი ადამიანზე ამბობს, რომ იგი მისი ხატების მსგავსადაა შექმნილი (დაბადება, 5:1) და ნოე აკურთხა, რომ ემრავლა და ნაყოფიერი ყოფილიყო (დაბადება, 9:1, 6). პირველმა ადამიანმა დაიწყო მიწის დამუშავება და მოსავლის მოყვანა, ოჯახების გამოკვება, შექმნა პირველი საკრავები და მუსიკა, დაამზადა ხელსაწყოები და სამუშაო იარაღები იმისგან, რაც ბუნებაში მოიპოვებოდა, რათა თავისი ცხოვრება გაეადვილებინა (დაბადება, 4:21-22). აშენდა ქალაქები და კაცობრიობამ დაიწყო ზრუნვა იმაზე, თუ როგორ გაეხადა ცხოვრება უსაფრთხო ამ ცოდვილ ქვეყანაში (დაბადება, 4:17). ამგვარად, ადამიანი იღვწოდა იმისთვის, რომ გაეგრძელებინა ღმერთის საქმე და ადამიანთა კეთილდღეობისათვის მიეღწია. ზოგჯერ ჩვენ, ევანგელისტები, ძალიან დიდ ყურადღებას ვუთმობთ პირველ ცოდვას და გვავიწყდება, რომ ღმერთის თავდაპირველი კეთილი განზრახვა კვლავ ძალაშია. ადამიანებმა გააუმჯობესეს სამყარო, გახადეს იგი უფრო უსაფრთხო და უკიდურესმა სიღარიბემ 1800-იანი წლებიდან შემცირება დაიწყო. მიუხედავად ამისა, დღესაც ვხვდებით გენოციდს, ომებს, უსამართლო სოციალურ სტრუქტურებსა და ცოდვის სხვა გამოვლინებებს.

ყველა სფერომ, რაითის მიერ აღწერილმა, ადამიანთა დაცემის შედეგად უარყოფითი ზეგავლენა განიცადა. რესურსების განაწილების ნაცვლად მიწა და ბუნებრივი რესურსები ომებისა და ძალადობის ძირითადი წყარო გახდა. ზოგი რესურსების მარაგებს აწარმოებს, ხოლო ზოგი ფლანგავს მათ. მიწა და ბუნებრივი რესურსები დომინანტური პოზიციის მოპოვებისა და ჩაგვრის წყარო გახდა (რაითი, 1983, 71-74). იმის ნაცვლად, რომ რესურსები და ადამიანთა პოტენციალი ჩვენი და სხვა ადამიანების სასიკეთოდ განაწილდეს, ისინი არასწორად გამოიყენება. მუშაობა მომქანცველი და მტანჯველია (დაბადება, 3:17). მუშაობა საქონელი გახდა, ანუ ისეთი რამ, რასაც ვყიდით ან ვყიდულობთ. ამის შედეგად იქმნება ცდუნება, რომ ადამიანი ეკონომიკურ აქტივამდე ან ცოცხალ დანადგარამდე დავიყვანოთ. სამუშაო ძალა მოხვეჭისა და გაკერპების საშუალებად გამოიყენება. ასეთი დამახინჯებული რეალობის პირობებში ღარიბებს ხშირად თავიანთი სამუშაო ძალის გამოყენების საშუალებაც არ ეძლევათ და, შესაბამისად, იბადება აზრი მათი "არაპროდუქტიულობის" თაობაზე.

ეკონომიკისა და პროდუქტიულობის ზრდა მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში იდეაფიქსის სახეს იღებს. სიხარბემ ჩაანაცვლა მიღწევებით კმაყოფილების

შეგრძნება. “შრომა და მომხვეჭელობა ადამიანში მეზობლის შურითაა განპირობებული” (ეკლესიასტე, 5:4). არაფერი არ არის საკმარისი. “დაცემას შედეგად მოჰყვა სხვების ხარჯზე მომხვეჭელობის სურვილი, ხოლო განვითარების საშუალებები სიხარბის, ექსპლუატაციისა და უსამართლობის საშუალებებად იქნა გამოყენებული” (რაითი, 1983, 81). ამ პათოლოგიის შედეგად გაჩნდა სისტემები, რომლებიც ღარიბებს კიდევ უფრო მეტად აღარიბებს.

დაბოლოს, შრომის ნაყოფი ადამიანის საკუთრებად აღიქმება. საკუთრების უფლება ხდება აბსოლუტური უფლება. აზრი, რომ ყველაფერი, რაც შექმნილია, ღმერთს ეკუთვნის, იგნორირებულია, ისევე როგორც აზრი, რომ ეს ნაყოფი საზოგადოების კეთილდღეობას უნდა ემსახურებოდეს. კიდევ უფრო მეტიც, იმ ადამიანებს, რომლებიც დოვლათს აწარმოებენ, კანონებზე, ეკონომიკაზე, პოლიტიკასა და კულტურაზე გავლენა აქვთ და ცდილობენ თავიანთი უპირატესი მდგომარეობა მაქსიმალურად დაიცვან. “ღარიბი ადამიანის ყანაში შეიძლება უხვი მოსავალი მოვიდეს, მაგრამ უსამართლობა მას გააქარწყლებს” (ფსალმუნი, 12:23).

დაცემის შედეგი ისაა, რომ ღმერთის მიერ სასიკეთოდ შექმნილი სამყარო აღარ ემსახურება იმ მიზანს, რისთვისაც იგი შეიქმნა. “დაცემა გვიჩვენებს ბოროტი ძალების ზეგავლენას ადამიანზე მატერიალური ცდუნების შეთავაზების გზით და ხელს უწყობს დაუმორჩილებლობას, ურწმუნოებასა და ღმერთის ნების წინააღმდეგ წასვლას” (რაითი, 1983, 73).

ზოგჯერ ევანგელისტები ზედმეტ აქცენტს აკეთებენ ცოდვით დაცემის შედეგებზე კონკრეტული ადამიანისთვის და ავიწყდებათ, რომ ამ დაცემას მთელ ადამიანთა საზოგადოებაზე ჰქონდა უარყოფითი ზეგავლენა. უნდა გვახსოვდეს, რომ ერები და სოციალური ინსტიტუტები იმის ნაწილია, რაც იესომ სამყაროს დასაბამისას შექმნა (კოლოსელთა მიმართ, 1:16-17) და, შესაბამისად, ჩვენი დანიშნულებაა კაცობრიობის კეთილდღეობის უზრუნველყოფა. სწორედ ადამიანთა მოდგმის ცოდვით დაცემის შედეგად შეიცვალა ეს თავადაპირველი სიკეთე. რობერტ ლინთიკუმი თავის ნაშრომში “*ღმერთის ქალაქი, სატანის ქალაქი*” საუბრობს პირველყოფილი ცოდვისა და დაცემის შედეგებზე და სოციალურ ინსტიტუტებზე, მათ გავლენაზე (1991, 106-7).

ღმერთმა *ეკონომიკური სისტემა* იმისთვის შექმნა, რომ ადამიანმა ბუნებრივი და ადამიანური რესურსები პასუხისმგებლობით განაგოს. იგი მოუწოდებდა ადამიანებს, რომ იყვნენ პროდუქტიულები, სასიკეთოდ გამოიყენონ ღმერთის ძღვენი და დოვლათი შექმნან. მიზანი ის იყო, რომ ყველა ადამიანს საკმარისი საარსებო საშუალებები ჰქონოდა, რათა ღირსეულად ეცხოვრა და წვლილი შეეტანა საზოგადოების განვითარებაში. დაცემის შედეგად ეს მიზანი განუხორციელებელი დარჩა და ადამიანები, რომლებსაც ეკონომიკურ სისტემებში საკმარისი ძალაუფლება და გავლენა აქვთ, სულ უფრო ხშირად დგებიან ცდუნების წინაშე, რომ მოიქცნენ როგორც მფლობელები და არა როგორც განმკარგველები. ისინი ცდილობენ, სისტემები თავიანთ საჭიროებებს მოარგონ და დაიცვან საკუთარი ინტერესები სხვების, ანუ ნაკლებად იღბლიანების, ხარჯზე.

ღმერთმა *პოლიტიკური სისტემა* იმისთვის შექმნა, რომ ეთიკური ნორმები შემუშავებულიყო და ადამიანებს სამართლიანობასა და მშვიდობაზე დამყარებული წყობა მიეღოთ. მაგრამ ცოდვით დაცემის შედეგად პოლიტიკური სისტემები ეკონომიკური წყობის ტყვეობაში მოექცა და ისინი მხოლოდ ძლიერთა ამა სოფლისათა ინტერესებს ემსახურებიან.

ღმერთმა *რელიგიური სისტემები* ერებისა და ინსტიტუციების ღმერთთან კავშირის გასამყარებლად შექმნა, რათა მათ უკეთ გაიგონ ღმერთის ნება და მცნებები, მაგრამ ამჟამად დაცემული პოლიტიკური და ეკონომიკური სისტემების მოწმეები ვართ. სამწუხაროდ, ისინი, ვინც ანგარიშგებისაკენ მოგვიწოდებენ, ხშირად თავად ვერ აღუდგებიან ფულის, ძალაუფლებისა და პრესტიჟის ცდუნებას და თანდათანობით ისინიც ჩუმდებიან (ეზეკიელი, 22:28).

ეს სისტემები თანდათან გარდაიქმნება არენად, სადაც ადამიანები სწავლობენ, როგორ ითამაშონ ღმერთის როლი ღარიბი და მარგინალიზებული ადამიანების ცხოვრებაში. ეს იწვევს დომინაციისა და ჩაგვრის მოდელების დამკვიდრებას, რაც ხელს უშლის ღარიბი ადამიანების პროდუქტიულობის ზრდას და, იმავროულად, თავად შეძლებულ ადამიანებსაც აშორებს თავიანთი იდენტობისა და დანიშნულებისაგან.

სოციალური სისტემების ასეთი დისფუნქციის გამო თეოლოგი ენდრიუ სუნგ პარკი ამტკიცებს, რომ ჩვენ გვჭირდება ცოდვის შესახებ ისეთი თეოლოგია, რომელიც არა მხოლოდ ცოდვასა და ცოდვილებზე საუბრობს, არამედ იმაზეც, თუ რა ზეგავლენა აქვს ცოდვას იმ ადამიანებზე, რომელთა წინაღმდეგაც სცოდავენ. პარკი ამბობს, რომ მხოლოდ ცოდვაზე ყურადღების გამახვილება ძალიან დიდი ხანია დასავლური თეოლოგიის მთავარი ნიშანია. ასეთი მიდგომა ცოდვის სოციალურ თუ სტრუქტურულ ზეგავლენას არასათანადოდ წარმოაჩენს. ამ შეცდომის გამოსასწორებლად პარკმა შემოგვთავაზა "გულგატეხილთა" თეოლოგია (2004). პარკი კორეელების *ჰან*-ის იდეას იყენებს, რომელიც 1970-იან წლებში *მინჯუნგის* თეოლოგიის წიაღში აღმოცენდა და იმ ადამიანების გულგატეხილობასა და განაწყენებას აღწერს, რომელთა მიმართაც სისტემატურად და სისტემურად სცოდავენ. პარკი შეგვახსენებს, რომ იესო მოვიდა და ეწამა ცოდვილებისათვის და დაჩაგრულთა გასათავისუფლებლად, ანუ იმათ გასათავისუფლებად, ვის მიმართაც სცოდავდნენ (ლუკა, 4:18-19). პარკი მოგვიწოდებს, რომ ცოდვასა და ხსნაზე საუბართან ერთად უნდა ვიფიქროთ, თუ რა ზეგავლენა აქვს ცოდვას იმ ადამიანებზე, რომელთა მიმართაც შესცოდეს. პარკი ამ ზეგავლენას "ჰანს" უწოდებს, რაც ნიშნავს "იმედგაცრუებულ, ტკივილით სავსე, გამწარებულ და გატეხილ გულს" (1993, 31).

იდეა, რომ "ჰანი" არის ცოდვის შედეგი, რომელიც განპირობებულია ძალაუფლების სოციალური სტრუქტურებით, საინტერესოა. შესაბამისად, საჭიროა გავაანალიზოთ, თუ როგორ მოიაზრებს ამ ინსტიტუტების სოციალურ უფლებამოსილებას სამყაროს დაბადებისა და დაცემის ისტორია. სამყაროს დაბადების შესახებ წიგნში ადამიანებს, რომლებიც ღვთის ხატების მსგავსად არიან შექმნილნი, ღმერთის მიერ მინიჭებული აქვთ უფლებამოსილება, სახელი დაარქვან სხვა ცოცხალ არსებებს. სახელის დარქმევა, ორგანიზება და რაციონალური ახსნის მოძიება მეცნიერების საწყისს წარმოადგენს. ლოგიკის, აზროვნებისა და მოქმედებების უნარი სოციალური აქტივობის ნიშანია. ორგანიზება და მოვლენის რაციონალური ახსნის გულისხმობს, რომ უნდა გავაკეთოთ გარკვეული დასკვნები მნიშვნელობასა და ღირებულებასთან დაკავშირებით. ზოგჯერ ასეთი დასკვნები მოქმედებებისკენ გვიბიძგებს (ჰანტერი, 2010, 178). მიუხედავად იმისა, რომ სოციალური უფლებამოსილების მინიჭება თავდაპირველად საყოველთაო კეთილდღეობის ხელშეწყობას ისახავდა მიზნად, ამჟამად ეს სოციალური უფლებამოსილება ბოროტადაა გამოყენებული:

“რეალობის განსაზღვრის უნარი ყველა ადამიანს სხვადასხვანაირად აქვს განვითარებული. ის ადამიანები და ინსტიტუტები, რომლებსაც ეს უნარი კარგადა აქვთ განვითარებული, ჩართული არიან ეგრეთ წოდებულ “სიმბოლურ ძალადობაში” იმ ადამიანებისა და ინსტიტუტების წინააღმდეგ, რომლებსაც ეს უნარი ნაკლებად აქვთ განვითარებულით (იქვე, 178). კულტურისა და სოციალური ძალაუფლების ასეთი ბოროტი გამოყენება ყველაზე ნათლად სოციალურ ინსტიტუტებში ჩანს. ამ თემაზე უფრო დეტალურად მე-4 თავში ვისაუბრებთ.

დავუბრუნდეთ ჩვენს ადრინდელ დასკვნას, რომ ადამიანები არ უნდა იყვნენ გამიჯნულნი სოციალური ინსტიტუტებისაგან, რადგან ისინი ამ ინსტიტუტების ნაწილსაც წარმოადგენენ. ლინთიკუმი შეგვახსენებს (1991, 106), რომ როდესაც ეზეკიელი იერუსალიმის ცოდვაზე საუბრობს, ამბობს, რომ ერის სულიერი არსი და მისი ისეთი სოციალური ინსტიტუტები, როგორებიცაა ოჯახი, ბიზნესი, ეკლესია და მთავრობა, კეთილი მიზნის მისაღწევად შეიქმნა, მაგრამ სულ უფრო და უფრო ეწინააღმდეგება დასახულ მიზანს და ბოროტებისა და უსამართლობის წყარო ხდება (ეზეკიელი, 22:1-13). იმავდროულად, ადამიანები, რომლებიც ამ დამახინჯებული, ყალბი და დომინანტური სისტემების ფარგლებში არიან მოქცეულნი, თავად ხდებიან ერთმანეთის ექსპლუატატორები (ეზეკიელი, 22:29). ვინკი ადამიანებსა და სისტემებს შორის არსებულ ურთიერთობებთან დაკავშირებით აღნიშნავს, რომ “ადამიანთა უბედურების მიზეზი ინსტიტუტებია, მაგრამ ამ ინსტიტუტებს ადამიანები ქმნიან. ჩვენ მიერ შექმნილი ინსტიტუტების მიერ თვითონვე გავხდით ბოროტების საწინდარი” (1992, 75). ამ თემას კიდევ უფრო განვავრცობთ მე-4 თავში, როდესაც შეძლებულთა ღმერთის კომპლექსზე ვისაუბრებთ.

რადგანაც ეკონომიკური, პოლიტიკური და რელიგიური სისტემები ძალიან მნიშვნელოვანია, როდესაც სიღარიბის გაცნობიერებასა და ტრანსფორმაციულ განვითარებაზე ვსაუბრობთ, უფრო დეტალურად უნდა შევისწავლოთ ამ ინსტიტუტების არსი. უოლტერ ვინქმა (1992, 65-85) მნიშვნელოვანი დასკვნები გააკეთა ამასთან დაკავშირებით. მან განაცხადა, რომ პოლის “სახელმწიფოები და ძალაუფლება” არის “მიწიერი ინსტიტუტების, სტრუქტურებისა და სისტემების იდენტობა და შინაგანი სტრუქტურა.” უინქი ამბობს, რომ პოლის შესაბამისად, სახელმწიფოები და ძალაუფლება ღმერთის მეშვეობით და ღმერთისათვისაა შექმნილი (კოლოსელთა მიმართ, 1:16-17). ამგვარად, იგი მხარს უჭერს მოსაზრებას, რომ სოციალური ინსტიტუტები ღმერთის შექმნილია და არა ადამიანისა. სოციალური ინსტიტუტები ღმერთმა იმიტომ შექმნა, რომ მათი არსებობა აუცილებელია საზოგადოების სათანადო ფუნქციონირებისათვის.

აღსანიშნავია, რომ ეს ძალაუფლება, ანუ სოციალური სისტემები და მათი სტრუქტურები, სრულიად დამახინჯდა დაცემის შედეგად. ეს ინსტიტუტები და მათში დასაქმებული ადამიანები ხელს უწყობენ კერპის შექმნას. ინსტიტუტი დემონური ხდება, როდესაც ის თავს ანებებს თავისი საღვთო მისიის შესრულებას, კერძოდ, სამართლიანობისა და სოციალური კეთილდღეობის ხელშეწყობას. ისინი კერპად ქცეული საკუთარი მიზნების მისაღწევად და საკუთარი თავისა და ინტერესების დასაცავად ძალაუფლების მქონე ადამიანების მსახურები ხდებიან (უინქი, 1992, 72).

უინქი განავრცობს თავის აზრს და ამბობს, რომ დაცემის ფაქტის მსგავსად, უკეთ უნდა გავიაზროთ ჩვენი ადგილი ამ ძალაუფლების მქონე სტრუ-

ქტურებთან მიმართებით. ცოდვით დაცემის დოქტრინა ადასტურებს ბოროტების რადიკალურ არსს და გვათავისუფლებს იმ ილუზიისაგან, რომ ჩვენ ან ჩვენი სოციალური ინსტიტუტები შეიძლება განვვითარდეთ ღმერთისაგან დამოუკიდებლად. შესაბამისად, ბრმად არ უნდა დავიჯეროთ, რომ მთავრობას, თავისუფალ ბაზარს ან ჩვენს ძალისხმევას შეუძლია გამოიწვიოს ტრანსფორმაციული განვითარება და ღარიბების ცხოვრების უკეთესისაკენ შეცვლა. მომდევნო თავში უფრო დეტალურად განვიხილავთ ცოდვით დაცემასა და სიღარიბეს შორის ურთიერთკავშირებს.

ცოდვა არის მიზეზი, რის გამოც ყალიბდება წარუმატებელი ურთიერთობები საყოველთაო კეთილდღეობის უზრუნველსაყოფად. შესაბამისად, ხსნა და განვითარების დასაბამი ცოდვის გამოსყიდვაშია. "ძირითადი დაბრკოლება, რომელიც სრული გათავისუფლების მისაღწევად უნდა გადავლახოთ, არის ცოდვისა და მისი გავრცელების შედეგად შექმნილი სტრუქტურები" (SRS, no. 46). მეორე: ამის გააზრება გვაძლევს პასუხს შეკითხვაზე, რატომ არის სამყარო ასეთი და რატომ არ უნდა დავაბრალოთ ღმერთს, რომ იგი თითქოს ამ ტანჯვისა და ტკივილის მიზეზია. იოანე პავლე II-მ განაცხადა: "ადამიანი, რომელიც თავისუფლებისათვის შეიქმნა, პირველცოდვის ტკივილის მატარებელია. ეს მას მუდმივად უბიძგებს ბოროტებისა და, იმავდროულად, ცოდვის გამოსყიდვისაკენ. ეს დოქტრინა ქრისტიანული აპოკალიფსის განუყოფელი ნაწილია და მას, გარდა ამისა, უდიდესი ჰერმენევტიკული (ინტერპრეტაციული) ღირებულება აქვს, რადგანაც გვეხმარება, სწორად გავიაზროთ რეალობა" (CA, no. 25).

დაბოლოს, ჩვენც, განვითარების სააგენტოები და ადამიანები, რომლებიც მოცემულ სფეროში ვმოღვაწეობთ, ცოდვით დაცემული კაცობრიობის ნაწილი ვართ, ამდენად, განვითარების პროცესების მხარდაჭერა, ან, პირიქით, შეფერხება შეგვიძლია.

ხსნის ისტორია

დაცემის ისტორიიდან გადავიდეთ ხსნის ისტორიაზე. ღმერთმა დაუძახა აბრაამს და უთხრა: გაქცევ დიდ ხალხად, გაკურთხებ და განვადიდებ შენს სახელს (დაბადება, 12:2-3). ღმერთმა შეასრულა თავისი დანაპირები. ძველი აღთქმა არის აბრაამის ერის ისტორია, თავისი სიძლიერითა და ნაკლოვანებებით, ღმერთის ერთგულებითა და ღალატით. ეს, ასევე, არის ღმერთის ისტორია, რომელმაც თავისი დანაპირები შეასრულა და განაგრძო ის ისტორია, რომელიც სამყაროს შექმნით დაიწყო.

განვითარების სფეროს პროფესიონალებისათვის გამოსყიდვის ისტორია ბევრის მთქმელია ფაქტობრივად ეს არის ებრაელთა ისტორია. ეს არის მათი ხსნისა და ფორმირების ისტორია. ეს არის ეგვიპტისა და მისი ფარაონის ჩაგვრიდან გათავისუფლების ისტორია. ღმერთმა ისინი მონებიდან თავისუფალ ადამიანებად და ერად აქცია. ეს მძიმე სამუშაო იყო. ერთი დღე დასჭირდა, რომ ებრაელები ეგვიპტიდან გამოსულიყვნენ და ორმოცი წელი, რომ ეგვიპტური გავლენისგან თავისუფალი ებრაელი ერი ჩამოყალიბებულიყო.

გამოსვლის ამბავი გვაჩვენებს ღმერთის მხსნელი და მიმტევებელი მოღვაწეობის ჰოლისტიკურ ხასიათს. სულიერი თვალსაზრისით გამოსვლა არის ისტორია იმისა, თუ როგორ ამჟღავნებს ღმერთი საკუთარ ძლევამოსილებასა და არსს, რათა ისრაელმა ირწმუნოს მისი და მისი მიმდევარი გახდეს.

ისრაელი გათავისუფლდა ეგვიპტის ღმერთებისაგან და ირწმუნა ის ღმერთი, რომელიც მხოლოდ ერთ კონკრეტულ სივრცეს არ ეკუთვნის.

სოციალურ-პოლიტიკური თვალსაზრისით, გამოსვლათა წიგნი აღწერს მონობიდან გამოსვლასა და თავისუფლების მიღწევას, უსამართლობიდან გამოსვლასა და სამართლიანი საზოგადოების ფორმირებას (ყოველ შემთხვევაში, ასეთი იყო ღმერთის განზრახვა მონარქიამდელი ისრაელისთვის; რაითი, 1983) და დამოკიდებული მდგომარეობიდან გამოსვლასა და დამოუკიდებელ ერად ფორმირებას.

ეკონომიკური თვალსაზრისით გამოსვლა არის ისტორია, როგორ დააღწიეს ებრაელებმა სხვის მიწაზე ჩაგვრას თავი და როგორ მიაღწიეს თავისუფლებასა და პროდუქტიულობას საკუთარ მიწაზე. ეს, ასევე, არის ისტორია მიწის თანაბრად განაწილებისა, რათა ყველამ მოიმკოს საკუთარი შრომის შედეგი. ფსიქოლოგიური თვალსაზრისით გამოსვლა არის ისტორია, როგორ გათავისუფლდნენ ებრაელები იმ განცდისაგან, რომ მონები არიან და ღმერთის დახმარებით გააცნობიერეს, რომ მათ შეუძლიათ დამოუკიდებელი ერი გახდნენ.

ხანდახან გვავიწყდება, რომ ხსნის ისტორია იმასაც დაგვანახებს, რომ ღმერთს სხვა განზრახვაც ჰქონდა, ანუ მას ორი მიზანი ამოძრავებდა. ერთი მიზანი იყო ისრაელელთა გათავისუფლება მონობისაგან და მათი აღთქმულ მიწამდე მიყვანა. მეორე მიზნის შინაარსი ამ სიტყვებით გამოიხატება: "გაიგოს ეგვიპტემ, რომ უფალი მე ვარ" (გამოსვლა, 7:5). ფარაონის სისასტიკესთან ბრძოლა ღმერთის ახირება არ ყოფილა. ფარაონს სწამდა, რომ თვითონ იყო უფალი და ამიტომ უფლება ჰქონდა, ღმერთის როლი ეთამაშა "თავისი" მონების ცხოვრებაში. ამ ამპარტავნების იგნორირება არ შეიძლებოდა. "მხოლოდ იმისთვის დაგარჩენ, რომ გიჩვენო ჩემი ძალა და ემცნოს ჩემი სახელი მთელ ქვეყანას," – უთხრა ღმერთმა მოსეს მეშვეობით ფარაონს (გამოსვლა, 9:16). ეს შეგვახსენებს, რომ შეძლებულებიც ღვთის შვილები არიან, თუმცა, ალბათ, ფარაონისათვის ძნელი იქნებოდა ამის გააზრება თავისი ღმერთის კომპლექსის გამო. შეძლებულებისა და ძალაუფლების მქონე ადამიანებისათვის ძნელია, გახდნენ უფლის შეგირდი. იესომ განმარტა, რომ მდიდრებს განსაკუთრებით უჭირთ სასუფეველში შესვლა. ზემოხსენებული სწორედ ამის ერთ-ერთი მიზეზია.

წინასწარმეტყველები

ისრაელის ისტორია ყოველთვის ისე არ ვითარდებოდა, როგორც ეს უფალს ჰქონდა გამიზნული. მიუხედავად იმისა, რომ ებრაელი ერი ღმერთის რჩეული იყო და იესო სამყაროს მათი მეშვეობით გამოეცხადა, ეს ქვეყანა უფლისათვის ტკივილის წყაროც იყო. ოსია 11:8 გვეუბნება "უფალის გონება აღელვებულია, ხოლო მისი გრძნობები – არეული"-ო (შდრ. კოიამა, 1985, 220). ღმერთს უყვარდა ისრაელი ისე, როგორც ქმარს უყვარს თავისი ცოლი, მაგრამ, იმავდროულად, სძულს მისი უსამართლობა და კერპთაყვანისმცემლობა. ბიბლია გვიამბობს, რომ წინასწარმეტყველი ღმერთის მიერ არის აღზრდილი და უფალი ამბობს, რომ წინასწარმეტყველს მის სიტყვის ადამიანებთან მიტანა ავალია. წინასწარმეტყველების წიგნიდან ძალიან ბევრ ინფორმაციას ვიგებთ იმის შესახებ, თუ როგორ აფასებს ღმერთი ცოდვას და მის ზეგავლენას. იგი იმასაც შეგვახსენებს, თუ რას მოელის ღმერთი ჩვენგან და რა არის მისი განზრახვა.

წინასწარმეტყველების ნაწილში ჩვენ ვიგებთ, თუ როგორაა დაკავშირეული კერპთაყვანისმცემლობა და უსამართლობა. როდესაც ღმერთი ესაიას პირით ლაპარაკობს, იგი კიცხავს "ფუჭ შესაწირავს," წარმართულ ტაძრებში შეკრებებს და ეუბნება ებრაელებს: სიკეთის ქმნა ისწავლეთ, ეძიეთ სამართალი, შეეწიეთ ჩაგრულს, განიკითხეთ ობოლი, ქვრივს გამოესარჩლეთო (ესაია, 1:17). უფლისა და მოყვასის სიყვარული ერთმანეთისაგან განუყოფლადაა მოაზრებული. ესაია ღარიბების ცხოვრებაში შეძლებულთა როლზეც გვესაუბრება.

"ვაი უსამართლო განაჩენის გამომტანთ
და უკანონო მსჯავრისმდებელთ,
სამართლისგან რომ განარიდებენ ღარიბ-ღატაკთ,
ამტყუნებენ ჩემი ერის ჩაგრულს,
ქვრივებს ნადავლად იტაცებენ და ობლებს ძარცვავენ."
(ესაია, 10:1-2)

ღმერთი გვანახებს ძალაუფლების, პრივილეგიებისა და სიმდიდრის წარმავალობასა და ფუჭ არსს (ესაია, 5:8–10, 15-16). ნათელი ხდება, რომ უფლის წინაშე სიმდიდრესა და ძალაუფლებაში ხსნა არ არის:

"რას იზამთ განკითხვისა და დაქცევის დღეს, შორიდან რომ მოდის?
ვისთან გაიქცევით შეწევნისათვის და თქვენს დიდებას სად დატოვებთ?"
(ესაია, 10:3)

წინასწარმეტყველები გვაფრთხილებენ, რომ არ მივსდიოთ კერპთაყვასმცემლობას, არ ჩავიდინოთ ადამიანური და სოციალური ცოდვები. ჩვენ ხშირად სოდომს მხოლოდ სექსუალურ უწმინდურობასთან ვაიგივებთ. ეზეკიელი საუბრობს "უღირს ქცევაზე," როდესაც ისრაელს აღწერს, როგორც "მრუშ ცოლს" (ეზეკიელი, 17:48). შემდეგ იგი სოდომის ცოდვას აღწერს და ამბობს, რომ ლოთი და მისი ქალიშვილები არ ზრუნავდნენ ღარიბებსა და გაჭირვებულებზე (ეზეკიელი, 17-49).

ეზეკიელი უფლის სასჯელის ინტერპრეტაციას გვაძლევს და კიცხავს იერუსალიმს პოლიტიკური სისტემის გამო, რომელმაც დააკნინა ადამიანები და გააქარწყლა მათი სიმდიდრე (ეზეკიელი, 22:23). იგი კიცხავს იმ ეკონომიკურ სისტემას, რომელიც მძარცველობას, მექრთამეობასა და გამოძალვას ნერგავს (ეზეკიელი, 22:27). მისი აზრით, იმდროინდელი რელიგიური ვითარება ერთმანეთისაგან არ ასხვავებს ჭეშმარიტად წმინდას და წარმართულს და არ ასწავლის ადამიანებს, რა არის წმინდა და უწმინდური (ეზეკიელი, 22:26).

წინასწარმეტყველები გვიამბობენ, სად მივყავართ ღმერთს, რა სურს და რას მოელის იგი ჩვენგან:

"ხომ გაუწყა შენ, ადამიანო,
რა არის სიკეთე და რას ითხოვს შენგან უფალი?
მხოლოდ სამართლის ქმნასა და წყალობის სიყვარულს,
მოწიწებით სიარულს
უფლის წინაშე."
(მიქა, 6:8)

ადამიანთა სიბრძნე

ადამიანთა სიბრძნის ამსახველი ლიტერატურა აერთიანებს იმ ადამიანთა სიბრძნეს, რომლებიც ძველი აღთქმაში გვხვდებიან და იმ ადამიანების სიბრძნეს, რომლებიც მას იცავენ. ამ ლიტერატურაში შეჯამებულია ქრისტიანობის მიმდევართა წარმოდგენები სწორი და სამართლიანი ურთიერთობების შესახებ და ადამიანების მაგალითზე დაგვანახებს, რომ უფლის წესებით ცხოვრება ერთადერთი სწორი გზაა. ეს გარკვეული გზავნილია როგორც ღარიბებისათვის, ასევე შეძლებულებისათვის. ფსალმუნებსა და იგავებს მიღმა სამართლიანი სოციალური ურთიერთობების ამსახველი ისტორიები იკითხება.

ბიბლიური ისტორიის ამ ნაწილში ნათლად ჩანს ღმერთის დაინტერესება ყოველდღიური ასპექტებით, ისეთებით, როგორებიცაა: ჭამა, დალევა, გართობა და სიცილი. წარმოდგენა, რომ აქტიური და ყოველდღიური ცხოვრების ასპექტებით ღმერთი არ შეიძლება დაინტერესებული იყოს, არასწორია. ამ შემთხვევაში ჩვენ მივიჩნევთ, რომ ღმერთი არ იღებს მონაწილეობას ან არ აინტერესებს ჩვენი ცხოვრების ეს ასპექტები. რობერტ ბენქსი ამ საკითხს განიხილავს ნაშრომში *"რუტინის გამოსწორება: თეოლოგიის შემოტანა ყოველდღიურ ცხოვრებაში"* (1993).

აშკარაა, რომ ებრაელთა და მათი წინამძღოლების სიბრძნე იმსახურებდა, რომ იგი დაცულიყო აპოკალიფსში. ეს უაღრესად მნიშვნელოვანია განვითარების სფეროში მოღვაწე ადამიანისათვის. ღარიბები ხშირად თავიანთი საზოგადოებისა და თემის სიბრძნეს ეპიკურ პოემებში, ანდაზებსა და იგავებში ასახავენ. მზად ვართ, რომ მოვისმინოთ და გავიზიაროთ ადამიანების ეს სიბრძნე? ან ვართ მზად, რომ დავეხმაროთ ამ ადამიანებს, "წერილობითი ფორმით" გადმოსცენ ეს სიბრძნე და თავად დაინახონ, თუ რამდენად ბრძნულია მათი აზრები? სტენ ნუსბაუმმა დაწერა წიგნი *"აფრიკული ანდაზების სიბრძნე,"* რაც იმის ნათელი ილუსტრაციაა, თუ რამდენად ბრძნული და მდიდარია ადგილობრივების გამოცდილება და რამდენად გვეხმარება მისი გაგება ამ ადამიანების ჩვენი მუშაობის პროცესში ჩართვაში (ნუსბაუმი, 1996-98).

ისტორიის ცენტრალური ღერძი

ბიბლიური ისტორიის ცენტრალური ღერძია იესო ქრისტეს, ორი ათასი წლის წინ პალესტინაში მხცოვრები ებრაელის, დაბადება, ქადაგება, სიკვდილი და მკვდრეთით აღდგომა. ისტორიის ეს ნაწილი იწყება გალილეაში მდებარე ნაზარეთში. ეს ადგილი პოლიტიკური, ეკონომიკური და რელიგიური ძალაუფლების ცენტრიდან საკმაოდ შორს იყო და მასზე ყველას დაბალი წარმოდგენა ჰქონდა: "განა შეიძლება ნაზარეთიდან კეთილი გამოვიდეს რამე?" (იოანე, 1:46). ამ აზრის მიმდევრების თანახმად, ვერც მესია და ვერც წინასწარმეტყველი გალილეიდან ვერ გამოვიდოდა (იოანე, 7:41, 52). იესოს, ჩვეულებრივი ადამიანების შვილს, რომელიც სრულიად ჩვეულებრივ ადგილას ცხოვრობდა, "ემატებოდა სიბრძნე და ასაკი და მადლი ღმრთისა და კაცთა წინაშე" (ლუკა, 2:52). ჩვენ სათანადოდ უნდა გავიაზროთ ის ჰოლისტიკური და ურთიერთობების ჩარჩო, რომელსაც ეს ნაწყვეტი შეიცავს, კერძოდ კი, გონებისა და სხეულის მიმართება ადამიანსა და კაცობრიობასთან.

პერიფერიული ქრისტე

ქრისტე ისრაელის სოციალურ და გეოგრაფიულ პერიფერიაში მცხოვრები მიუსაფრების, უძლურებისა და აბუჩად აგდებულების ღმერთი იყო. საინტერესოა, რომ მესია პირველად იუდეას უდაბნოში მოვიდა, ქადაგებდა ეუ-ლად და მისი არსებობა უცნაური ადამიანის მიერ ემცნო სამყაროს. ისეთი შთაბეჭდილება გვრჩება, რომ იესომ თავისი ვინაობა იორდანიის მდინარეში მონათვლის დროს შეიტყო, რომელიც იერუსალიმიდან და ტაძრიდან შორს მდებარეობს. იესომ მაშინ გააცნობიერა თავისი მისია სრული სისავსით, რო-დესაც უდაბნოში იმყოფებოდა. ის ებრძოდა ბოროტი ძალების მიერ მისთვის წარგზავნილ ცდუნებას და ცხადი გახდა, რომ ის ერთდროულად ღვთის ძეცაა და მისი მსახურიც.

ქრისტემ ისრაელის განაპირას მდებარე გალილეაში იქადაგა ყველაზე მეტი. იგი, უმეტესწილად, იმ უბრალო ადამიანების წინაშე ქადაგებდა, რომლებსაც საზოგადოება "ცოდვილებად" ან "უწმინდურებად" მოიხსენიებდა. ქრისტემ არჩია, რომ რომაული იმპერიის ამ მივიწყებულ ადგილას ექადაგა, განეკურ-ნა და დემონები განედევნა ადამიანებისაგან. იესო დადიოდა და ქადაგებდა. მას ერთგული ქალები ეხმარებოდნენ (ლუკა, 8:3). შეიძლება ითქვას, რომ იერუსალიმი, პოლიტიკისა და ეკონომიკის ცენტრი, იესოსთან დაკავშირებით მხოლოდ ერთი თვალსაზრისით არის სიანტერესო: იერუსალიმი, როგორც ძა-ლაუფლების ცენტრი, ის ადგილი იყო, სადაც იესოს სიკვდილით დასჯიდნენ.

მესიის გამოჩენა ასეთ უცნაურ ადგილას უაღრესად მნიშვნელოვანი გზავნილია. კოიამა შეგვახსენებს უფლის სასუფევლის შესახებ და აღნიშნავს, რომ სწორედ ესაა უმთავრესი სახარებაში (1985, 251–52). ეს ნიშნავს, რომ გალილეა, ასევე, ცენტრია, თუმცა იგი იერუსალიმის როგორც ცენტრის ფარგლებს გარეთ მდებარეობს. ძლევამოსილები ისრაელიდან პერიფერიაში წავიდნენ იმ ადამიანის სანახავად, რომელიც ქადაგებს და ისეთ რაღაცებს აკეთებს, რის გაკეთებაც მხოლოდ ღმერთს შეუძლია (ლუკა, 5:17). სამყაროს ცენტრი ხდება ის ადგილი, სადაც ეს ადამიანი დადის. განვითარების სფეროში მოღვაწე ადამიანებმა თავად უნდა გადაწყვიტონ, თუ სად არის იმ ძალის ცენტრი, რომელიც ღარიბების ტრანსფორმაციაში დაგვეხმარება და სადაც იესო იქნება, სადაც ღმერთის შეცდომებიც კი უფრო ბრძნულია, ვიდრე ადამიანთა სიბრძნე და ღმერთის სისუსტე უფრო ძლიერია, ვიდრე ადამიანის სიძლიერე (1 კორინთელთა, 1:25). შესაძლებელია, პერიფერია არ არის ღვთისაგან მივიწყებული ადგილი. იქნებ იქ არის რაღაც, რაც ჩვენც გაგვაოცებს (იხილეთ დიაგრამა 3-3).

ეს საინტერესო შეკითხვებს ბადებს განვითარების სფეროს პრაქტიკოსები-სათვის, განსაკუთრებით ადვოკატირების კონტექსტში. სად არის პერიფერია დღეს და რას ნიშნავს, როდესაც ვამბობთ, რომ იესოს იგი (პერიფერია) ცენ-ტრად შეეძლო გადაექცია? რა ადგილია საუკეთესო იმისათვის, რომ ადვოკა-ტირების მიმართულებით იმუშაო? რა შედეგს მივიღებთ, თუ ძალაუფლების ცენტრში პერიფერიის ღარიბების ინტერესების დასაცავად მივალთ? ვართ კი მზად, გადავიხადოთ შესაბამისი ფასი? სად არის ტრანსფორმაციის რეალური საზღვრები, ანუ ის საზღვრები, რომლებიც სისულელეს სიბრძნედ გადააქცე-ვს და სისუსტეს ძალად? სად არის ის ადგილები, სადაც ყალბი სიბრძნე გა-მჟღავნდება და სიცრუედ გამოცხადდება?

იესოს მისია

ნაზარეთის სინაგოგაში იესომ თქვა, რომ სულიწმინდამ "მცხო და მომავლინა გლახაკთა მახარებლად და გულით შემუსვრილთა მკურნალად, ტყვეთათვის გათავისუფლების მაუწყებლად, ბრმათა თვალის ამხელად, ტანჯულთა განსატევებლად და უფლის კეთილსასურველი წლის მქადაგებლად" (ლუკა, 4:18–19). იესოს მისია ჰოლისტიკურია, იგი ღარიბების დახმარებას ისახავს მიზნად. იესომ თქვა: "უნდა ვახარო ღმერთის სასუფეველი, რადგან ამისთვის ვარ მოვლინებული" (ლუკა, 4:43).



დიაგრამა 3-3: ცენტრი და პერიფერია როგორც ტრანსფორმაციის მიღწევის ადგილი (კოიამა, 1985, 251-53)

მმმიუხედავად იმისა, რომ ჩვენ აქ ვერ ვხედავთ ტრანსფორმაციის "მოდელს," სახარებისეული ისტორია ქადაგების, სწავლების, განკურნების, დემონების განდევნის, სიტყვის, საქმისა და ნიშნის უამრავ მაგალითს შეიცავს. ქრისტიანული ტრანსფორმაცია იმავესკენ უნდა მიისწრაფოდეს — ანუ სიტყვის, საქმისა და ნიშნის ერთობლიობას უნდა წარმოადგენდეს. რაც შეეხება ღვთის სასუფეველს, ამ თემას კვლავ დავუბრუნდებით და უფრო დეტალურად განვიხილავთ.

იესოს თავისი მისია მარტოს არ შეუსრულებია

ჭეშმარიტი ღმერთი მარტო არ მოქმედებდა, როცა კაცობრიობის ხსნას ცდილობდა. მან თორმეტი ადამიანი აარჩია, რომ გვერდით ჰყოლოდა, საქადაგებლად წარეგზავნა და ჰქონოდათ სნეულთა განკურნებისა და ეშმაკთა განდევნის ძალა (მარკოზი, 3:13–15, 6:12). ქალების ჯგუფი "თავიანთი ქონებით ემსახურებოდა მას" (ლუკა, 8:3). ტრანსფორმაცია საზოგადოების ერთობლივი ძალისხმევაა და მას ერთი ადამიანი ვერ მიაღწევს. სახარების გზავნილი გვასწავლის, თუ როგორ უნდა ვიცხოვროთ იესოსთან და ერთმანეთთან ისე, რომ სიტყვით, საქმითა და ნიშნით ვიქადაგოთ.

უმთავრესი მცნება

როდესაც იესოს ჰკითხეს, რა უნდა გავაკეთოთ, რომ მარადიულ სასუფეველში მოვხვდეთო, იესომ თქვა, ყველაზე მთავარი მცნება ღმერთის მთელი სულითა და გულით სიყვარულია, - მთელი ძალითა და გონებით, და ამის მსგავსი, - გიყვარდეთ მოყვასი თქვენი, ისე როგორც საკუთარი თავი გიყვართ (მათე, 23;36). აქ საუბარია ურთიერთობებზე და არა კანონებსა და ცოდვაზე. ანუ, იესო საუბრობს იმაზე, თუ ვინ უნდა გვიყვარდეს და არა იმაზე, თუ რისი უნდა გვწამდეს და რა უნდა ვაკეთოთ. ტრანსფორმაციული განვითარების მისაღწევად ამ მცნების შესრულება ყველაზე მნიშვნელოვანია. ეს უნდა იყოს ჩვენი მიზანი და, იმავროულად, ამოსავალი წერტილი, როდესაც ღარიბების დასახმარებლად ვიღვწით და ტრანსფორმაციის ბიბლიური გააზრების გაგებას ვცდილობთ, რაც სწორ და სამართლიან ურთიერთობებს გულისხმობს.

იესო მარტო ეწამა ჯვარზე

იესო ქალაქის კარიბჭის მიღმა ჯვარზე გაკრული გარდაიცვალა ავაზაკებისა და მძარცველების გარემოცვაში, ყველასგან მიტოვებული, თავად ღმერთისგანაც კი. სიკვდილის თანმხლები ფიზიკური ტკივილი უმნიშვნელო იყო იმ სულიერ ტკივილთან შედარებით, რომელიც ამ მარტოობის გამო განიცადა. "ღმერთო ჩემო, ღმერთო ჩემო, რატომ მიმატოვე?" (მარკოზი, 15:34). ღმერთისათვის არ არსებობს უფრო მეტი დანაკარგი ან ტკივილი, ვიდრე სრულიად მიტოვებულობის განცდა. ეს უნდა გვახსოვდეს, როდესაც სიღარიბის გააზრებას ვცდილობთ. სიღარიბე დამამცირებელი ურთიერთობებია, რომლებიც მარტოობის შეგრძნებას ბადებს. ტრანსფორმაცია ნიშნავს ურთიერთობების გაუმჯობესებას, ღმერთთან ურთიერთობების აღდგენას, სამართლიან ურთიერთობებს საზოგადოებასთან, საკუთარ თავთან, "სხვებთან" და გარემოსთან.

ლეუპის მიხედვით, ჯვარი ცნება სამპიროვანი ღმერთის ინტერპრეტაციაა. იესომ ჯვარზე გამოავლინა "არა ადამიანების სიმდაბლე, არამედ ღვთიური მიმტევებლობა" (1996, 89). ჩვენ კარგები ვართ, მიუხედავად იმისა, რომ ცოდვით დავეცით და შემეგ მის გამოსყიდვას ვცდილობთ. დაცემის დაღმავალი სპირალი იმასაც გულისხმობს, რომ რომელიღაც წერტილში უკუქცევა შესაძლებელია; ეს აუცილებლად მოხდება და ამ გზით სასუფეველს მივაღწევთ.

ჯვარცმამ კიდევ ერთი რამ გახადა ნათელი. ჯვარზე გაკრულმა იესომ ჩვენი ცოდვების გამოსყიდვასთან ერთად საჯაროდ დასცინა წუთისოფელს

(კოლასელთა მიმართ, 2:20). ჩვენ აღარ უნდა დავემორჩილოთ მჩაგვრელ სტრუქტურებს ან ყალბ და დამამცირებელ სოციალურ სისტემებს. იესოს მათი ტრანსფორმაცია აქვს განზრახული. უინქი ამბობს: "ძალაუფლების მქონენი, საბოლოოდ, დაემორჩილებიან იესოს და მის ფეხებთან ქედს მოიხრიან" (1 კორინთელთა მიმართ, 15:24–25), მაგრამ ეს ჯვარცმის ახალი რეალობიდან გამომდინარე მოხდება (ეფესელთა მიმართ, 1:19–23). ასევე ჩვენც, ძალაუფლების მფლობელნი, ცოდვით დაცემულები ვართ, მაგრამ შეგვიძლია განთავისუფლება. ტრანსფორმაციული განვითარება, რომელიც არ აღიარებს პირადი და საზოგადოებრივი გათავისუფლების შესაძლებლობასა და ღმერთისკენ შემობრუნებას, არასრულია და არ შეესაბამება ბიბლიური ტექსტების ინტერპრეტაციას.

დაბოლოს, ჯვარცმა უაღრესად მნიშვნელოვან პარადოქსთანაა დაკავშირებული. ეპისტოლეებიდან ვიგებთ, რომ იესოს აქვს "ძალისხმევა, რითაც თავის თავს უმორჩილებს ყოველს" (ფილიპელთა მიმართ, 3:21) და რომ "ყველაფერი დაემორჩილება ფერხთა მისთა" (ეფესელთა მიმართ, 1:22). უინქი მიგვითითებს, რომ იესო, რომელიც ყოველივეს იმორჩილებს, "იმის მიუხედავად, რომ ის ღვთის ხატია, ნაძარცვად არ რაცხს ღვთის სწორად ყოფნას" (ფილიპელთა მიმართ, 2:6). იესომ თავი გაითავისუფლა ყოველგვარი დომინირების სურვილისგან, კაცად გარდაქცეულმა ღარიბების ხვედრი გაიზიარა და დამნაშავესავით სიკვდილით დაისაჯა. "ასეთი მმართველობისთვის დამორჩილება ყველა სხვა დამორჩილების დასრულებას ნიშნავს. იესოს მმათველობა არ არის დომინანტური და მჩაგვრელი იერარქია, ის რეალიზაციის ხელისშემწყობი იერარქიაა. იგი არ არის თავსმოხვეული" (უინქი, 1992, 83). ქრისტე, რომელიც განმანთავისუფლებელი და მკურნალია, გვაჩვენებს, რას უნდა გულისხმობდეს განვითარების პროცესი და ვინ უნდა ხელმძღვანელობდეს განვითარების ინსტიტუტებს. ამაზე უფრო დეტალურად მე-8 თავში ვისაუბრებთ.

ქრისტე აღდგა

ეს არის ტრანსფორმაცია, რომელიც ყველა სხვა ტრანსფორმაციას აძლევს დასაბამს – სიკვდილიდან სიცოცხლედ გარდაქმნა არის რაღაც ისეთი რამ, რაც მხოლოდ ღმერთს ძალუძს. ადამიანის ტრანსფორმაციისაკენ მიმართული ნებისმიერი საქმიანობა, რომელიც ამას არ აღიარებს, განწირულია წარუმატებლობისათვის. ჯვარცმა და მკვდრეთით აღდგომა ყველაზე პოზიტიური ამბავია კაცობრიობის ისტორიაში.

იესოს ისტორია არ სრულდება იმით, რომ იერუსალიმის კარიბჭის მიღმა ცარიელი საფლავი აღმოჩნდა. იესო განდიდებული და გასხივოსნებული აღდგა და პერიფერიაში, გალილეაში, დაბრუნდა. ცენტრს მეტი აღარაფრის შეთავაზება აღარ შეუძლია მისთვის. იესო კვლავაც კონკრეტულია: "შემეხე და დამინახე" (ლუკა, 24:39). იგი ჭამს თავისი მოციქულების თანდასწრებით. იგი მათ ეცხადება ორმოცი დღის განმავლობაში და ესაუბრება უფლის სასუფეველზე (წიგნი მეხუთე [საქმე მოციქულთა], 1:3). მისი ბოლო მოწოდება მოციქულებისადმი შემდეგია: წადით და მონათლეთ ადამიანები სამპიროვანი ღმერთის სახელით და "ასწავლეთ მათ, დაიცვან ყველაფერი, რაც გამცნეთ" (მათე, 28:20). მკვდრეთით აღმდგარი იესოსათვის უფლის სასუფეველის შესახებ სწავლება ძალიან მნიშვნელოვანია, ამდენად, ის მნიშვნელოვანი უნდა იყოს მისი მიმდევრებისათვისაც.

ისტორია, რომელიც მარად გრძელდება

ბიბლიური ისტორიის ერთ-ერთი საინტერესო პასაჟია, რომ მკვდრეთით აღდგომის შემდეგ იესო არ დარჩა დედამიწაზე თავისი მისიის ბოლომდე მისაყვანად. უფლის სასუფეველზე ორმოცი დღის განმავლობაში საუბრის შემდეგ მან გამოაცხადა, რომ მოციქულები იქნებიან მისი მოწმეები სამყაროს დასასრულამდე მას შემდეგ, რაც სულიწმინდა მათ შესაბამის უფლებამოსილებას მიანიჭებს (წიგნი მეხუთე, 1:8). პენტეკოსტეზე (ორმოცდამეათე დღეზე) სულიწმინდამ განაცხადა ღმერთის სასწაულები თითოეული მსმენელის მშობლიურ ენებზე (წიგნი მეხუთე, 2:11) და ყველამ, ვინც ამ დღესასწაულს ესწრებოდა, გაიგო ღვთის მოწოდება. იმ დღიდან ბიბლიური ისტორიის მოსმენა ყველა ადამიანს საკუთარ ენაზე შეუძლია. ამ გარემოებამ შეცვალა ისტორია და ქრისტიანობა უნიკალურ რელიგიად გადააქცია (სანე, 1989).

ეკლესია

იესო ამაღლებიდან დღემდე ჩვენი მეშვეობით სამყაროს გაუმჯობესებაზე მუშაობს. ეკლესია მისი განსხეულებაა დედამიწაზე. უცნაურად შეიძლება მოგვეჩვენოს, რომ იესომ სამყაროს ხსნის პასუხისმგებლობა ადამიანებს გადასცა, რომლებიც, მიუხედავად იმისა, რომ გამოისყიდეს ცოდვები, მაინც ებრძვიან ცდუნებას და სცოდავენ. მიუხედავად ამისა, სწორედ ასეთი არჩევანი გააკეთა იესომ. ეკლესია და იესოს მიმდევრები ბიბლიური ისტორიის მატარებლები არიან და აგრძელებენ ქადაგებასა და სასუფევლის შესახებ თხრობას მანამდე, სანამ იესო კვლავ არ მოვა. უფრო დეტალურად თუ ვისაუბრებთ, ეკლესია იესოს სხეულია (ეფეს, 1:23), რომელიც უფალს ემსახურება. ჩვენ ვამოწმებთ უფლის არსებობას სიტყვით, საქმითა და ნიშნით. სიტყვით დამოწმება ნიშნავს ღმერთისა და კაცობრიობის შესახებ ჭეშმარიტების გამოცხადებას.

> ეკლესია საზოგადოებას უქადაგებს სამყაროს შექმნის ისტორიას. ეს სამყარო შემდეგ ღმერთმა ადამიანებს გადასცა, რათა მათ იგი უფრო ნაყოფიერი და უკეთესი გახადან; ეკლესია ცოდვის გამოსყიდვაზე ქადაგებს, როდესაც ყვება, როგორ გადაარჩინა ღვთის ძემ კაცობრიობა და, იმავდროულად, გაამთლიანა ადამიანები და პასუხისმგებელი გახადა ერთმანეთზე. საღმრთო წერილებში არაერთგზისაა საუბარი მოყვასის სიყვარულსა და კაცობრიობის წინაშე პასუხისმგებლობაზე (CA, no. 51).

როდესაც ეკლესიის არსზე ვსაუბრობთ, კვლავ ტრინიტარული თვალსაზრისით უნდა გავაანალიზოთ ეს საკითხი. ი. სტენლი ჯოუნსი საინტერესოდ აღწერს ეკლესიისა და სამპიროვანი ღმერთის ურთიერთდამოკიდებულებას. ჯოუნსის აზრით, სასუფეველი მამა ღმერთის კუთვნილი ადგილია, იესო არის უფლის სასუფევლის განსახიერება, ხოლო სულიწმინდა უფლის მიწაზე მოვლენილი პირველი საჩუქარია, რომელსაც ბევრი სხვაც მოჰყვება. იგი გვეხმარება სასუფევლის შესახებ ჭეშმარიტების გაგებაში. ეკლესია არის ნიშანი და მოწმე იმისა, რომ უფლის სამეფო არსებობს და გვეხმარება (დიაგრამა, 3-4).



დიაგრამა 3-4: სამპიროვანი ღმერთი და ეკლესია (ჯოუნსი, 1972, 26-29)

ეს დიაგრამა ორ მნიშვნელოვან ასპექტს შეგვახსენებს განვითარების სფეროს მუშაკებს. პირველი: ღმერთს მოაქვს სასუფეველი ჩვენთან, ამდენად, ეს არ არის ჩვენი ამოცანა ან ტრანსფორმაციული განვითარების მიზანი. ჩვენს მიზნად არ უნდა დავისახოთ უფლის სამეფოს ამ ქვეყანაზე მშენებლობა, რადგან ამას მაინც ვერ შევძლებთ. მეორე: უფლის სამეფოს გამოვლინებას ეკლესია და უფლის მიმდევრები წარმოადგენენ და არა განვითარების სფეროს სპეციალისტები ან სააგენტოები. ამ უკანასკნელებმა თავი უნდა მოიაზრონ, როგორც ეკლესიის შემადგენელმა ნაწილებმა და არა მხოლოდ როგორც არასამთავრობო ორგანიზაციამ ან "პარაეკლესიურმა" ორგანიზაციამ, რომელიც ეკლესიასთან ასოცირდება. განვითარების სფეროს სპეციალისტებმა, როგორც ქრისტიანებმა, კარგად უნდა გააცნობიერონ, რომ მათი ეკლესია და მიმდევრები იქ არიან, სადაც ისინი მუშაობენ და ღარიბებს ეხმარებიან.

ტრანსფორმაციული განვითარების სფეროში მოღვაწეობა ეკლესიის ნიშნად უნდა აღიქმებოდეს და არა პირადი ღვთისმოსაობით განპირობებულ მოღვაწეობად. იესოს დასაყრდენი მისი მიმდევრები არიან. ეს ჭეშმარიტება ხანდახან გვავიწყდება ხოლმე. თუ მიგვაჩნია, რომ ჩვენი მოწოდებაა ვიქადაგოთ (მარკოზი, 3:14), მაშინ ეკლესია ჩვენი ოჯახია, სადაც ჩვენი ქრისტიანული ხასიათის ფორმირება ხდება. ღვთის თაყვანისცემა და ღმერთთან ზიარება გვეხმარება ჩვენი მოწოდების რეალიზაციაში და იესოსა და ღვთის სასუფევლის შესახებ ჭეშმარიტი სიტყვის მიტანაში ადამიანებთან. ეკლესია ჩვენი ჰერმენევტიკული ერთიანობაა. პირველ რიგში, ეს არის საზოგადოება, რომელიც ღმერ-

თის სიტყვის გარშემოა გაერთიანებული. მორწმუნეებმა საღმრთო წერილები უნდა შეისწავლონ, მათი ინტერპრეტირება მოახდინონ და არა მორწმუნეთა საზოგადოებამდე მიიტანონ მართალი აზრი, რათა შემდგომში შეცდომების თავიდან არიდება მოხერხდეს. ყოველ ქრისტიანულ საზოგადოებას ეკისრება პასუხისმგებლობა, გაეცნოს ბიბლიურ ისტორიას და ჩამოაყალიბოს თავისი ხედვა და მისია, რათა ცოდვები მოინანიოს და შეცდომები გამოასწოროს. განა შესაძლებელია ადამიანთა ტრანსფორმაციის შესახებ ხედვა სხვა წყაროზე დაყრდნობით ჩამოვაყალიბოთ? მეორე: ეკლესია არის მორწმუნეთა ერთიანი საზოგადოება, რომლის წევრებიც ერთმანეთთან და ღმერთთან ჰარმონიაში ცხოვრობენ. ამ საზოგადოებაში უფრო მეტს ვიგებთ ღმერთისა და საკუთარი თავის შესახებ. სწორედ ამ დროს ვაცნობიერებთ, რომ ჩვენ გარკვეული ნიჭით ვართ დაჯილდოებულები და თან გარკვეული ნაკლიც გვაქვს. სწორედ ამას ითვალისწინებენ განვითარების სფეროს პრაქტიკოსები.

განვითარების სფეროს ორგანიზაციებს, განსაკუთრებით საერთაშორისო ორგანიზაციებს, გარკვეულწილად, ორჭოფული დამოკიდებულება აქვთ იმ ეკლესიისადმი, რომლის ნაწილიც ჩვენ ვართ. დეივიდ ბოში შეგვახსენებს, რომ "ეკლესია არის თეოლოგიური და სოციოლოგიური სტრუქტურა, ღვთიურისა და ადამიანურის განუყოფელი ერთიანობა." იგი შემდეგ საკმაოდ ხატოვნად აღწერს ადამიანთა ურთიერთსაწინააღმდეგო აზრებს ეკლესიასთან დაკავშირებით: "ჩვენ ზოგჯერ შეძრწუნებულები ვართ ეკლესიის სრული მიწიერების გამო, ხოლო იმის შემეცნება, რომ ეკლესია ღვთიური ხასიათისაა, ზოგჯერ ჩვენს სრულ გარდაქმნას განაპირობებს. ეკლესია, რომელიც მისიონერულია თავისი ხასიათით, ღმერთთან ადამიანთა ზიარებას უწყობს ხელს, ნიშანი და ინსტრუმენტია — არის ჩვენი ერთიანობისა და ხსნის გზა" (ბოში, 1991, 389).

უნდა გვახსოვდეს, რომ ეკლესია, რომელიც სასუფევლის ნიშანია, არ არის თავად სასუფეველი. სასუფეველი განსჯის და მიუტევებს ეკლესიას. ეკლესია წარმატებით ახორციელებს მისიას, იყოს უფლის გამოვლინება, თუ ამას სულიწმინდა მოისურვებს. ეკლესია ნიშანია მხოლოდ იმდენად, რამდენადაც იგი უფლის მიერ დადგენილი წესით ცხოვრობს და მოქმედებს. "ეკლესია არ არის მისიის დასასრული, დასასრული სასუფეველია" (ჯოუნსი, 1972, 35).

განვითარების სფეროს პრაქტიკოსებისათვის ეს გარემოება ორი თვალსაზრისითაა მნიშვნელოვანი. პირველ რიგში, როგორც მანამდეც აღვნიშნეთ, ეკლესიაა სასუფევლის ნიშანი და არა განვითარების სფეროში მოღვაწე ადამიანი. მაგრამ, იმავდროულად, ამქვეყნად მყოფი ეკლესიისათვისაც ისევეა დამახასიათებელი შეცდომები, როგორც ჩვენთვის, ზოგჯერ ისიც ვერ ასრულებს უფლის ჭეშმარიტი გამოვლინების ფუნქციას. ჩვენ ყველაზე უფრო მეტად მაშინ გვიტყდება ხოლმე გული, როდესაც გვინდა, რომ ჩვენი მუშაობა ადგილობრივი ეკლესიების მეშვეობით სასუფევლის ნაწილად აღიქმებოდეს, მაგრამ ხშირად ადგილობრივი ეკლესიები არ არიან დაინტერესებული ჩვენთან თანამშრომლობით. ეს ჩვეულებრივი მდგომარეობაა, განსაკუთრებით მაშინ, თუ ქრისტიანულ არასამთავრობო ორგანიზაციაში ან "პარასაეკლესიო" ორგანიზაციაში მუშაობთ.

მეორე: ეკლესიების დამკვიდრება არ არის მისიონერობის საბოლოო მიზანი. ეკლესია, რომელიც სიცოცხლითა და სიყვარულითაა სავსე და საზოგადოების საკეთილდღეოდ მოღვაწეობს — აი, ეს არის მისიის მიზანი. ტრანსფორმაციული განვითარება, რომელიც არ არის მიმართული ასეთი ეკლესიის შექმნისაკენ, არც ქრისტიანულია და არც მდგრადი.

ეკლესია გარკვეულ გამოწვევებსაც უქმნის ბევრ ორგანიზაციას, რომლებიც ბოლო მეოთხედი საუკუნეა "პარასაეკლესიო" სტრუქტურის სახით მოღვაწეობენ. ეს სტრუქტურები, უმეტესწილად, ქრისტიანებითაა წარმოდგენილი. ისინი სხვა ქრისტიანებს მიმართავენ სახსრების მოძიების მიზნით და შემდეგ ამ სახსრებით ღარიბ თემებს ეხმარებიან. ძალიან ხშირად ხდება ადგილობრივი ეკლესიების იგნორირება, ან კიდევ უფრო უარესი — ისინი დაბრკოლებად მიიჩნევიან. ეს მცდარი დამოკიდებულებაა. ტრანსფორმაციული განვითარების ნაწილში დეტალურად განვიხილავთ ეკლესიის როლს. ახლა კი, შეჯამების სახით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ეკლესია ბიბლიური ისტორიის მატარებელია, რადგანაც იგი ამ სამყაროში იესოს სხეულია, ანუ მისი განსახიერებაა. როგორც ქრისტიანები, ჩვენ ეკლესიის ნაწილი ვართ და ჩვენი მისიაა იესოს შესახებ ჭეშმარიტი სიტყვის გავრცელება. საბედნიეროდ, ამ როლის განსახორციელებლად ეკლესიას აქვს დასაყრდენი.

სულიწმინდა

სულიწმინდა სამების მესამე წევრია. სულიწმინდა არის ღვთის გამოხატულება, რომელიც ეკლესიას ეხმარება ღმერთისა და მისი სასუფევლის შესახებ ქადაგებაში. ღმერთის ჭეშმარიტების მღაღადებელი სული შეგვახსენებს ყველაფერს, რაც იესომ გვასწავლა (იოანე, 14:16, 26) და დაგვანახებს სასუფევლის არსს (ჯოუნსი, 1972, 38). სულიწმინდა მისიის ნაწილია, ის განსჯის სამყაროს ცოდვებისათვის (იოანე, 16:8–10). სულიწმინდა ძალაუფლების წყაროა (ლუკა, 24:29), რომელმაც ადამიანები გარდაქმნა, ანუ ჩვეულებრივი მოკვდავნი, რომლებმაც უფალი დაივიწყეს, გადააქცია უფლის მოწმეებად, რომლებიც სიკვდილის შიშითაც არ განუდგებოდნენ საკუთარ მისიას (წიგნი მეხუთე, 4:19). სულიწმინდა შთაგვაგონებს ჩვენს მისიას: სულიწმინდას ნიშნები და სასწაულები ღვთის ძალას დაგვანახებენ იმ გზით, რომელსაც განმარტება სჭირდება, რათა ადამიანებმა დაინახონ, ვისი წყალობით ხდება ეს სასწაულები (წიგნი მეხუთე, 14:8–18). სულიწმინდის გარეშე ტრანსფორმაციული განვითარება არაეფექტური და არამდგრადია (მაკალპინი, 1995). განვითარების სფეროში მოღვაწე ადამიანებისათვის ღვთის ხელშეწყობისათვის ლოცვა და ასეთი დახმარების მოლოდინი მათი მუშაობის ნაწილი უნდა გახდეს.

ბიბლია

ჩვენ მოგვეცა ბიბლია, წიგნი იმის შესახებ, თუ რა გააკეთა ამ წიგნის ავტორმა, რას აკეთებს იგი ამჟამად და რის გაკეთებას გეგმავს იგი. მოცემულ სამყაროში ჩვენ მაგალითად გვაქვს ეს ბიბლიური ისტორია, რომელსაც მნიშვნელოვან შეკითხვებზე აქვს პასუხი. კერძოდ: ვინ ვარ მე? ვისი ვარ მე? სად ვარ? რაშია პრობლემა? როგორ შეიძლება ამის შეცვლა? რა დროა?

ჩვენი ცხოვრება ამ ისტორიის ცოცხალი ილუსტრაცია უნდა იყოს. ნიუბიგინი ამბობს: "ჩვენ ბიბლიურ ისტორიაში ვცხოვრობთ, რადგანაც იმ საზოგადოების წევრები ვართ, ვისი ისტორიაც არის ბიბლია. ჩვენ ამ ისტორიაში ვპოულობთ ღმერთს და ვიგებთ მის არსს. ჩვენ მისი მეშვეობით შევიმეცნებთ და ვუმკლავდებით იმ სამყაროს, რომელშიც ვარსებობთ" (1989, 99).

ჩვენ ეს ისტორია სხვა გზითაც მოგვეცა. ეკლესიის ისტორია გვაჩვენებს, თუ როგორ ვითარდებოდა იგი ორი ათასი წლის განმავლობაში, მას შემდეგ, რაც იესომ იგი შექმნა და მისია დააკისრა. ეკლესიის ისტორია, მისი აზრი და მოქმედებები მემკვიდრეობით გვერგო. ის მარცხი და ნაკლოვანებები, რომლებსაც ისტორიიდან ვხედავთ, შეგვახსენებს, რომ მოკვდავები ვართ და შეიძლება ვცდებოდეთ, ეჭვი გვეპარებოდეს ჩვენს სიმართლეში და, შესაბამისად, თავმდაბლები ვიყოთ. იმავდროულად, იესოს განსახიერების შესახებ ისტორია ფარდას ხდის იმათ საქმიანობასაც, ვინც ცდილობდა ღმერთის ცხოვრებით ეცხოვრა, ღარიბებს დახმარებოდა და საზოგადოება გარდაექმნა. ჩვენ უნდა გვესმოდეს, რომ, მიუხედავად თავისი არასრულყოფილებისა, ამქვყნიური ეკლესია დასაბამიდანვე იყო ჩართული ტრანსფორმაციულ განვითარებაში.

უნდა გავითვალისწინოთ ის ფაქტიც, რომ ბიბლია უფრო მეტია, ვიდრე, უბრალოდ, წიგნი. ეს ღმერთის ცოცხალი სიტყვაა, "რადგანაც ღვთის სიტყვა ცოცხალია, ქმედითი და ყოველგვარ ორლესულ მახვილზე უფრო ბასრი... და განიკითხავს გულის ზრახვებსა თუ აზრებს. არ არსებობს ქმნილება, დაფარული რომ იყოს მისთვის" (ებრაელთა მიმართ, 4:12–13). ბიბლია წიგნებს შორის ყველაზე უნიკალურია. "ეს ერთადერთი წიგნია, რომელიც ჩემი საკუთარი თავის ახსნას მაძლევს" (ვებერი, 1995, ix). რადგანაც ის ცოცხალი სიტყვაა და ღმერთია, მას ყოველთვის, ნებისმიერ ვითარებასთან დაკავშირებით აქვს სათქმელი, უფრო მეტი, ვიდრე ჩვენ შეგვიძლია წარმოვიდგინოთ ან ვიცოდეთ.

ძალიან დიდი ხნის განმავლობაში ევანგელისტები ბიბლიას აღიქვამდნენ, როგორც სულიერი სამყაროს ამსახველ წიგნს და არ ესმოდათ მისი მნიშვნელობა ყოველდღიური ცხოვრების, ე. ი. "არასულიერი ხასიათის გადაწყვეტილებების თვალსაზრისით" (იხილეთ დიაგრამა, 1-2). განვითარების კონტექსტში ქრისტიანული ჰოლიზმის წინაშე არსებული ერთ-ერთი გამოწვევაა იმის გააზრება, რომ ბიბლიურ ნარატივს ადამიანთა ტრანსფორმაციის ყველა ეტაპზე აქვს რაღაც სათქმელი. ერთ-ერთი ყველაზე ღირებული, რაც ღარიბებსა და შეძლებულებსაც გვაქვს, ღმერთის ცოცხალი სიტყვაა. ჩვენ უნდა მივიტანოთ ეს სიტყვა მათთან და ის იტყვის თავის სათქმელს. ამაზე უფრო დეტალურად ქრისტიანობის მიმდევრებისადმი მიძღვნილ ნაწილში ვისაუბრებთ.

ისტორიის დასასული

ბიბლიური ამბის დასასრული ისტორიის დასასრულია. მოციქული იოანე გვამცნობს, რომ იესო კვლავ დაბრუნდება, განდიდებული და გასხივოსნებული. ეს იქნება განკითხვის დღე, რომელიც ბოროტების საბოლოო განადგურებით დამთავრდება და "ცეცხლის ტბაშივე ჩავარდება ის, ვინც არ იყო სიცოცხლის წიგნში" (გამოცხადება, 20:15). შემდეგ პირველი დედამიწა და პირველი სამოთხე გაქრება და ახალი დედამიწა და ახალი სამოთხე გაჩნდება ახალი იერუსალიმის სახით, რომელიც სამოთხიდან ჩამოვა; ისტორია, რომელიც ედემის ბაღში დაიწყო, ქალაქში დამთავრდება.

და კვლავაც ღმერთის სასუფეველი ადამიანებთანაა (გამოცხადება, 21:3). აღარ იქნება ცრემლი, სიკვდილი, ტკივილი ან შიმშილი და გვალვა (გამოცხადება, 7:16, 21:4). ყველაფერი თავიდან შეიქმნება – ადამიანები და მათი ქალაქი. ახალ იერუსალიმში ეკლესია არ იქნება, იგი აღარ იქნება საჭირო,

“რადგანაც მისი ტაძარი ყოვლისმპყრობელი ღმერთია და კრავი” (გამოცხადება, 21:22). ეკლესიის, როგორც “ისტორიის მამოძრავებელი და შემქმნელი ძალის,” მისია დასრულებულია (ნიუბიგინი, 1989, 129). ღმერთის ურყევი სამეფო დროის დასასრულისათვის მარტო იდგება. ეს არის საბოლოო რეალობა. არც ერთი სხვა სამეფო აღარ იარსებებს.

ერები ახლა ძე ღმერთის მიერ ნაჩვენები გზით მიემართებიან. ერების დიდება, მათი “არტისტული, კულტურული, პოლიტიკური, მეცნიერული და სულიერი წვლილი” მნიშვნელოვანი იქნება (უიქნი, 1992, 83), “ხალხები ივლიან მის ნათელში და თავიანთ დიდებასა და პატივს შეიტანენ მასში” და ღვთის სიყვარული და მისი თაყვანისცემა დაისადგურებს ქალაქში (გამოცხადება, 21:24-26). მისი კარიბჭე არასოდეს დაიხურება. ფასეულობები შეიცვლება და ყველაზე ღირებული, რაც კი სიხარბესა და ძალადობას ბადებს, ანუ ძვირფასეულობა, იმდენად ჭარბად იქნება, რომ ამ ძვირფასი ქვებით ქუჩები იქნება მოპირკეთებული (გამოცხადება, 21:20-21), და ადამიანები ახლებურად გაიაზრებენ, თუ რა არის ძვირფასი. ძვირფასი ქვა ლამაზია, მაგრამ ადამიანთა თვალში ის აღარ იქნება ფასეული ნივთი, რომელიც სიხარბეს აღძრავს.

დაბოლოს, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, ახალი იერუსალიმი სიცოცხლის ქალაქი იქნება (გამოცხადება, 2:13). დედამიწას ცოდვები მიეტევება და კვლავ ნაყოფიერი გახდება. ადამიანებს ყველაფერი საკმარისად, უხვად ექნებათ. “აღარაფერი დარჩება დაწყევლილი და... მისი მონები მოემსახურებიან მას” (გამოცხადება, 22:3).

იმ ადამიანებისათვის, რომლებიც ტრანსფორმაციული განვითარების სფეროში მუშაობენ, უაღრესად მნიშვნელოვანია ამ ისტორიის დასასრული ახსოვდეთ. ეს არის გზა, რომელიც სამპიროვანმა ღმერთმა აირჩია. ღმერთს ასე ესახება თავისი ჩანაფიქრის დასასრული. ეს არის კაცობრიობის საუკეთესო მომავალი. ადამიანთა კეთილდღეობა აღარ არის მხოლოდ სურვილი, ის უკვე მიღწევადია. ეს ხედვა ნამდვილად გასათვალისწინებელია და ჩვენც ამ მიმართულებით უნდა ვიღვაწოთ, მაგრამ, იმავდროულად, არ უნდა დავივიწყოთ თავმდაბლობა. ასეთი შედეგი მხოლოდ დიდი ძალისხმევით მიიღწევა და ღმერთმა ამ მიზნებისათვის თავი გაწირა. ამგვარი დასასრულისკენ მიმავალ გზაზე ჯვარი დგას.

ისტორიის არსი

ამ მომენტისთვის ამ ისტორიის არსი ნათელი უნდა იყოს. იმ დღიდან, როდესაც პირველი ცოდვის ჩადენის შემდეგ ჩვენმა წინაპრებმა ედემის ბაღი დატოვეს და ღმერთთან, ერთმანეთთან და თავად სამყაროსთან გაუცხოვდნენ, ღმერთი ამ ცოდვით დაცემული ადამიანებისა და არაჯანსაღი სოციალური სისტემების გამოსწორებისათვის იღვწის. ღმერთის მიზანია ჩვენი თავდაპირველი იდენტობის აღდგენა, ანუ იმის დანახვება, რომ მისი შვილები ვართ, მისი ხატების მსგავსად ვართ შექმნილები და ჩვენი დანიშნულება და მოწოდებაა მშვიდობიანი თანაცხოვრება და სამართლიანი ურთიერთობები.

ამ მიზნის მიღწევას ბევრი მუშაობა და სათანადო მოტივაცია სჭირდება, რომელიც მხოლოდ ღრმა და თავგანწირული სიყვარულის შემთხვევაშია შესაძლებელი. “ახალი აღთქმის ნარატივის ცენტრალური ღერძია იესო ქრისტეს

გარდაცვალება და მკვდრეთით აღდგომა, რომელსაც ღმერთის მორჩილებისა და თავისი მიმდევრებისადმი უანგარო სიყვარულის სახე აქვს" (ვოლფი, 1996, 30).

ბიბლიური ისტორიის მიზანია შერიგება, მიტევება და გამოსყიდვა ყოველივე იმისი, რაც სააქაოსა და სამოთხეში არსებობს (კოლოსელთა მიმართ, 1:19). იესო იქნება "ჟამთა სისრულის" გამგებელი (ეფესელთა მიმართ, 1:10). ურთიერთობები, რომლებიც ცოდვის შედეგად შეიცვალა, კვლავ გარდაისახება. "სახარება ამცნობს კაცობრიობას, რომ ძალაუფლების გამრუდებული და არაეფექტური მოდელები დაინგრა და სრულიად ტრანსფორმირებული სოციალური ურთიერთობების მოდელები დაინერგა" (ბრუგემანი, 1993ა, 34). ღმერთი მოუწოდებს ყველა ადამიანს, რომ მონაწილეობა მიიღოს ამ ისტორიის შექმნაში. ეს მიზანი ტრანსფორმაციული განვითარების პროცესშიც უნდა გავითვალისწინოთ.

თეოლოგიური შეჯამება

ვინ ვართ ჩვენ?

ეს მარტივი შეკითხვაა. ხანდახან ამ შეკითხვას გვერდს ვუვლით, რადგან ვფიქრობთ, რომ მასზე პასუხი ყველამ იცის. კარგად უნდა დავფიქრდეთ, თუ რამდენად იმოქმედა ჩვენს ქრისტიანულ მწრამსსა და ვინაობაზე დასავლურმა დოქტრინამ, რომლის შესაბამისადაც ადამიანი დამოუკიდებელი ინდივიდია, რომელიც საკუთარ თავს თავად განაგებს.

ჩვენ ადამიანები ვართ და ღმერთმა თავისი ხატების მსგავსად შეგვქმნა. ეს ყველამ ვიცით, მაგრამ ხანდახან გვავიწყდება, რომ ღმერთი, რომლის ხატების მსგავსადაც ვართ შექმნილები, სამპიროვანია. ეს ნიშნავს, რომ ჩვენ ვერ გავემიჯნებით ღმერთთან და სხვა ადამიანებთან ერთობას. ღმერთის სამპიროვანი არსი ნიშნავს, რომ საზოგადოებაში საკუთარ იდენტობას ვინარჩუნებთ. ჩვენი იდენტობა ურთიერთობებით განისაზღვრება და ნამდვილი იდენტობა ყველაზე სრულად ჰარმონიული ურთიერთობებისას ვლინდება. მეორე მხრივ, ეს იდენტობა იკარგება და კნინდება, როდესაც ეს ურთიერთობები არ მუშაობს. ადამიანების შესახებ ეს თვალსაზრისი რადიკალურად განსხვავდება დასავლეთში ამჟამად გაბატონებული თვალსაზრისისაგან.

ადამიანის იდენტობისადმი ეს ტრინიტარიანული დამოკიდებულება არ ნიშნავს, რომ პიროვნების იდენტობა ადამიანთა ჯგუფში "გაითქვიფება" და დაიკარგება. როგორც ლეუპი აზუსტებს, "ეგოცენტრულობა განსხვავდება იმისგან, რასაც საკუთარი ეგოს შემეცნებას ვუწოდებთ" (1996, 100). ყველა ადამიანი უნიკალურია და მან უნდა იცოდეს ამის შესახებ, როგორც მამა ღმერთმა, ძე ღმერთმა და სულიწმინდამ იციან თავიანთი უნიკალურობის შესახებ. უნიკალურობას არ მივყავართ ეგოცენტრულობამდე, არამედ, პირიქით, იგი თავდადებულ სიყვარულში გადაიზრდება. "სიყვარული სრულყოფილ სახეს მაშინ იღებს, როდესაც იგი სხვისკენაა მიმართული. სიყვარულის გაცემა არ გვაღარიბებს, პირიქით, გვამდიდრებს და უკეთეს ადამიანად გვხდის" (იქვე, 101). ამგვარად, ღმერთისა და მოყვასის სიყვარული ჩვენთვის თანდაყოლი-

ლია, რადგანაც სამპიროვანი ღმერთის ხატების მსგავსად ვართ შექმნილები.

ამას პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს. როგორც ქრისტიანები, ჩვენ ვერ განვიხილავთ სამყაროს, როგორც ადამიანების კრებულს. ამის ნაცვლად ადამიანი უნდა განვიხილოთ თავის ოჯახსა და საზოგადოებასთან ერთობლიობაში. იგი, ასევე, უნდა განიხილებოდეს სოციალურ ინსტიტუტებთან, ანუ ეკონომიკური, პოლიტიკური, კულტურული და რელიგიური ინსტიტუტების მთელ სპექტრთან არსებული კავშირების კონტექსტში. ეს ყოველივე ერთობლიობაში განსაზღვრავს ადამიანს, მის არსს. საკუთარი თავის შესახებ ნათელი წარმოდგენის ფორმირებისათვის აუცილებელია იმის გაცნობიერებაც, თუ როგორები არ ვართ. არავინ უარყოფს, რომ საკუთარი თავის ობიექტურად აღქმნა, დამოუკიდებელ და საკუთარ თავზე ორიენტირებულ პიროვნებად ჩამოყალიბება საზოგადოებისათვის უაღრესად მნიშვნელოვანი მოვლენაა, მაგრამ ადამიანის იდენტობისადმი ტრინიტარიანული მიდგომა არ უშვებს ისეთ მეტაფორებს, როგორებიცაა: ეული, თვითკმარი და სხვა. "მე არ მჭირდება არავის დახმარება" – ბევრი ადამიანის პოზიციაა, მაგალითად, მეწარმისა, რომელიც რისკზე მიდის აქციონერების სახსრების გამოყენებით და არ აინტერესებს ის ადამიანები, რომლებიც მის კომპანიაში მუშაობენ და წვლილი აქვთ შეტანილი მის წარმატებაში. ნებისმიერი საშუალებით მიღწეული თვითრეალიზაციითა და თვითდამკვიდრებით, ბიბლიური თვალსაზრისით, სრულფასოვანი ადამიანები ვერ გავხდებით.

დაბოლოს, ჩვენ ვერ გავიგებთ ღმერთის არსს იმის გარეშე, თუ არ გავაცნობიერებთ, რას აკეთებს იგი. იგივე ვრცელდება ადამიანებზე. ჩვენ შექმნილები ვართ ღმერთის ხატების მსგავსად. ღმერთი არსებობს და მოქმედებს. შესაბამისად, ჩვენ უნდა ვიყოთ ის, ვინც ვართ, ღვთის ხატების მატარებლები. შესაბამისად, უნდა ვაკეთოთ ის, რისთვისაც შექმნილები ვართ, ანუ ვიყოთ შემოქმედები და დავამყაროთ პოზიტიური ურთიერთობები. იმისთვის, რომ ქრისტიანული იდენტობის შესაბამისად ვიცხოვროთ და ვიმოქმედოთ, ჩვენი მისია უნდა შევასრულოთ, ანუ უნდა გვიყვარდეს უფალი და მოყვასი. ჩვენ ვერ ვიქნებით ის, ვინც უნდა ვიყოთ, თუ ამას არ გავაკეთებთ.

და კიდევ ერთი დასკვნა იმის თაობაზე, თუ ვინ ვართ. ადამიანი კონკრეტულ ადგილთან და დროსთან არის მიბმული. ჩვენ ერთდროულად მატერიალურებიც ვართ და სულიერებიც. ჩვენ ვსუნთქავთ, ვჭამთ, ვიცინით და დავდივართ, ღმერთის მიერ შექმნილ სამყაროში ვცხოვრობთ და ის გვასაზრდოებს. ჩვენ არა ვართ სხეულს მოკლებული იდეები, აზრები ან სულები. ჩვენ არ ვარსებობთ ისტორიის ან დროის მიღმა. ჩვენი ისტორია და სამყაროს ისტორია ერთი მთლიანია.

ვინ უნდა ვიყოთ და რა უნდა ვაკეთოთ?

პირველ რიგში, უფალთან უნდა ვიყოთ. ყოფნა დასაწყისია. ჩვენ ვერ გავაკეთებთ იმას, რაც არ ვართ. იესოსთან ერთად ყოფნა ნიშნავს მის განსახიერებასთან, ანუ ეკლესიასთან, ყოფნას. როგორც ქრისტიანები, ჩვენ ქრისტიანობის მიმდევრებთან ერთად ვართ, ხოლო ეკლესია ჩვენი გამაერთიანებელია. ტრანსფორმაციული განვითარება იმ ადამიანების გარეშე, რომლებიც თავად გარდაიქმნებიან და რომლებიც საზოგადოებაში ცხოვრობენ, წარმოუდგენელია. ჩვენ იმ ცხოვრებით უნდა ვიცხოვროთ, რომელიც უფალმა მოგვცა იე-

სოს მეშვეობით. ჩვენ ბიბლიური ისტორიით უნდა ვიცხოვროთ. ჩვენ უნდა ვიცხოვროთ უფლისთვის, სხვებისთვის უნდა ვიცხოვროთ, ვიფიქროთ და გავაკეთოთ. ჩვენ ტრანსფორმაციულ განვითარებას ვისახავთ მიზნად, რადგანაც ბიბლიური ისტორია გვეუბნება, რომ უფალი სწორედ ამას აკეთებს. "ტრინიტარიანული რწმენით ცხოვრება ნიშნავს ისე იცხოვრო, როგორც იესო ქრისტე ცხოვრობდა: იქადაგო სახარება, ღმერთის ნებას მიენდო, სხვას დაეხმარო, უარყო ის კანონები, ტრადიციები და პირობითობები, რომლებიც ადამიანს ამცირებს. წინ უნდა აღუდგე ცდუნებას, მუდმივად ილოცო, იყო მარგინალიზებულ ადამიანებთან ერთად, მიუტევო მტერსა და ცოდვილს, მოკვდე რწმენისათვის, თუ ასეთია ღვთის ნება" (ლაკუნია, 1991, 401).

ჩვენ სულის ტრანსფორმაციას უნდა მივაღწიოთ, რადგანაც ეს უფლის მისიაა. სულიწმინდა გვაძლევს ძალასა და უფლებამოსილებას, რომ ეს მისია შევასრულოთ და პასუხისმგებელია მის შედეგებზე. მდგრადი ტრანსფორმაციის მიღწევა მხოლოდ სულიწმინდის შემწეობითაა შესაძლებელი და არა განვითარების ტექნოლოგიების ან მონაწილეობითი პროცესების ეფექტურობის გამო (იხილეთ მე-6 თავი). ჩვენი ვალია, ვიყოთ ეთგულები და მორჩილები, მხოლოდ წარმატებულობა საკმარისი არ არის. ამიტომ ჩვენი ამბიციები უნდა მოვთოკოთ და ლოცვა აღვავლინოთ. "ქრისტიანული ეკლესიის ისტორიული მისიის მთავარი ფიგურაა სულიწმინდა. იგი არის მთელი ამ პროექტის დირექტორი. მისი მისიაა სააქაოში მოღვაწეობა" (ტეილორი, 1972, 3).

ჩვენ ყველას უნდა დავეხმაროთ, მათ შორის შეძლებულებსაც. ეს არის სახარების ცენტრალური იდეა და ტრანსფორმაციის დასაბამი. მამა ღმერთის გაშლილი მკლავები, რომლებიც შვილს ეხვევა, სამარიტელის მიერ ებრაელი კაცის დახმარება — სწორედ ეს უნდა გვქონდეს გონებაში, როდესაც ტრანსფორმაციის მისიას ვაყალიბებთ. ღმერთს ყველა უყვარს, მათ შორის მტრებიც. შესაბამისად, ჩვენც ასე უნდა მოვიქცეთ. გულში ჩასაკრავად გაშლილი მკლავები პირველი ნაბიჯია შერიგებისა და სამართლიანობისკენ (ვოლფი, 1996, 29).

ჩვენი მისია ყველგან უნდა შევასრულოთ (უოლსი, 1996, 53). სახარება ყველა ენაზე შეიძლება ითარგმნოს, რათა ადამიანებმა თავიანთ მშობლიურ ენაზე წაიკითხონ. როგორც სახარების სიტყვის ხალხთან მიმტანი, ტრანსფორმაციის აგენტი თავადაც ადგილობრივი უნდა გახდეს, ანუ თავი იგრძნოს როგორც საკუთარ სახლში. იმავდროულად, უფლის სამეფო ჯერაც ასაშენებელია და უფლის მეორედ მოსვლამდე ბოლომდე არ აშენდება, ჩვენც იმიტომ ვართ პილიგრიმები, რომ ტრანსცენდენტური ქრისტიანული საზოგადოების წარმომადგენლები ვართ, რომელიც უფლის სამეფოსკენ მიდის და ვითარდება. ეს ნიშნავს, რომ ჩვენ მთელ სამყაროში ვართ, ადამიანებს ვიღებთ ისეთებს, როგორებიც არიან და არ განვსჯით. ჩვენ ვიცით, რომ უფალი სიკეთეს დააფასებს, ბოროტს გამოავლენს და ყველას მოუწოდებს ძირეული გარდაქმნისაკენ. ჩვენ სამყარო უნდა აღვიქვათ როგორც უფლის შექმნილი, ცოდვით დაცემული და შემდეგ ხსნილი. ჩვენ არ უნდა დავაცალკევოთ სამყაროს შექმნა და დაცემა მისი ხსნისაგან, რადგანაც ისინი ისტორიის შემადგენელი ნაწილებია და ყოველი მათგანი ერთმანეთს ხსნის მნიშვნელობას სძენს. "ღმერთი, იმავდრულად, მხარს უჭერს არსებულ პოლიტიკურ სისტემას, რადგანაც რაიმე ფორმით არსებული სისტემა აუცილებელია ადამიანთა ცხოვრების მხარდასაჭერად; იგი კიცხავს ამ სისტემას, რადგანაც ის აფერხე-

ბს ადამიანთა თვითრეალიზაციას; იგი მოითხოვს, რომ მისი ტრანსფორმაცია განხორციელდეს და უფრო ჰუმანური გახდეს. კონსერვატორები პირველზე ამახვილებენ ყურადღებას, რევოლუციონერები – მეორეზე, ხოლო რეფორმისტები მესამეზე. ქრისტიანებმა ეს სამივე ასპექტი ერთობლიობაში უნდა მოიაზრონ" (1992, 67).

კაცობრიობის ისტორიის გაანალიზებისას ტრანსფორმაციული განვითარების პრაქტიკა ამ სამივე ასპექტს უნდა ითვალისწინებდეს. სამყაროს შექმნის ისტორიის სწორად გაგება დაგვეხმარება მივხვდეთ, თუ რა უნდოდა უფალს ჩვენთვის. ცოდვით დაცემის გაგება გვანახებს, როგორ დავეხმაროთ ღარიბ თემებს. ხსნის გაგება გვეხმარება მივხვდეთ, თუ რა შეიძლება მოხდეს და ვინ დაგვეხმარება მიზნის მიღწევაში.

მნიშვნელოვანი თეოლოგიური თემები

ტრანსფორმაციული განვითარების სფეროში მოღვაწე ადამიანებისათვის მნიშვნელოვანი იქნება გაეცნონ ხუთ საკვანძო თეოლოგიურ იდეას. ესენია: სამყაროს დაბადება, ინკარნაცია, ხსნა, უფლის სასუფეველი და ძალაუფლება.

სამყაროს შექმნის თეოლოგია

სამყაროს შექმნის თანმიმდევრული დოქტრინა ადამიანთა კეთილდღეობის სწორად გააზრების საფუძველია. სწორად უნდა გვესმოდეს, თუ ვინ არიან ადამიანები სინამდვილეში და რატომ ვართ აქ მოვლენილები. უნდა გვახსოვდეს, რომ სამყაროს დაბადებამ გახადა შესაძლებელი ადამიანთა გაჩენა, ის გვასაზრდოებს და გვაძლევს ჰაერს, წყალს, ხილს, ცხოველებს. უფლის ქმნილება დაგვანახებს თავის ძალას და შთაგვაგონებს აღვიქვათ სილამაზე, პოეზია და მუსიკა. ჩვენი უნარი, დავაფასოთ სილამაზე და თაყვანი ვცეთ მას, სწორედ ამ სამყაროს შეგრძნებიდან მოდის. ღმერთმა ადამიანი მხოლოდ იმისთვის არ შექმნა, რომ მას, თავის მხრივ, თავისი ისტორია შეექმნა. იესო თავად მოვიდა დედამიწაზე და რეალურ ადგილას მოღვაწეობდა ოცდაათ წელიწადზე მეტ ხანს ადამიანების გვერდით. ჩვენ უნდა გვახსოვდეს, რომ ღმერთის ქმნილება თავდაპირველად უზადო იყო და დღეს მას ხსნა და გამთელება სჭირდება. სამყაროს შექმნა არ არის, უბრალოდ, ეტაპი, არამედ იგი ცხოვრებაა.

ინკარნაცია

ბიბლიური ისტორიის ერთ-ერთი ყველაზე გასაოცარი ნაწილია იდეა, რომ სამპიროვანი ღმერთი ადამიანებამდე დავიდა და ამ მიზნით ადამიანად სახეცვლილი მოგვევლინა. "სიტყვა ხორცად იქცა და დაემკვიდრა ჩვენ შორის" (იოანე, 1:14). ბევრი ადამიანისათვის, როგორც მორწმუნეებისათვის, ასევე რელიგიის მიღმა მყოფთათვის, ეს ნაწილი, შესაძლებელია, ძირითად გამოწვევას წარმოადგენდეს. ინკარნაცია ძლიერი თეოლოგიური მეტაფორაა იმ ადამიანებისთვის, რომლებიც ტრანსფორმაციული განვითარების სფეროში მუშაობენ. ამას რამდენიმე მიზეზი განაპირობებს.

პირველ რიგში, ინკარნაცია საუკეთესო მტკიცებულებაა იმისა, თუ რამდენად სერიოზულად აღიქვამს ღმერთი მატერიალურ სამყაროს.

ინკარნაცია აბათილებს არგუმენტს, რომ ღმერთს მხოლოდ სულიერი სფერო აინტერესებს და რომ მატერიალური სფერო ბოროტებაა ან ღირსი არ არის ეკლესიის ყურადღებისა. ღმერთი კონკრეტული და რეალური გახდა. ადამიანებს შეეძლოთ მისი ხმის გაგონება და მისი ჭრილობების შეხება მისი ჯვარცმის შემდეგ. იგი რეალურ ადამიანებს განკურნავდა.

ეს ნიშნავს, რომ ტრანსფორმაციული განვითარების პროცესი ის არის, რასაც ღმერთი აკეთებდა. ჩვენ მხოლოდ მის ნაკვალევს მივდევთ. ეს არის ბიბლიური ისტორიის მთავარი გზავნილი. "სწორედ ამიტომაც ქრისტიანებმა უბრალოდ კი არ უნდა ირწმუნონ სახარება, არამედ იგი რეალურ ცხოვრებაში უნდა გადაიტანონ და ღმერთის შეწევნით განვითარება რეალობად აქციონ" (დაირნესი, 1997, 3). იმის მტკიცება, რომ ეკლესიის მისია მხოლოდ სულიერია, ინკარნაციის სრული იგნორირება იქნებოდა.

მეორე: ინკარნაცია მოდელია იმისა, თუ როგორ უნდა განვახორციელოთ ტრანსფორმაციული განვითარება. ღმერთმა თავი გაითავისუფლა საკუთარი პრეროგატივებისაგან. მზად ვართ, რომ ჩვენც იგივე გავაკეთოთ? იგი არ მოგვვლენია, როგორც ყოვლისმცოდნე ქრისტე, რომელსაც ყველა პრობლემის გადაწყვეტა შეეძლო. იესო არ არის ის ღმერთი, რომელსაც ყველაფერზე მზა პასუხი აქვს, როგორც ამას კოიამა ამბობს (1985, 241). ადამიანად გარდასახული იესო იყო ღმერთი, რომელმაც თავი ვერ გადაირჩინა, მაგრამ სხვებს ეხმარებოდა. აქედან განვითარების სფეროს პროფესიონალებმა მნიშვნელოვანი დასკვნები უნდა გააკეთონ, რადგანაც, უმეტესწილად, ისინი დარწმუნებულნი არიან, რომ იციან, როგორ დაეხმარონ ღარიბებს. ტრანსფორმაციული განვითარება უნდა ითვალისწინებდეს, რომ არსებობდა ჯვარცმა და იესო.

დაბოლოს, ჩვენ უნდა გვახსოვდეს, რომ იესომ თავად თქვა უარი თავის პრეროგატივებზე და "თავი დაიმცრო" (ფილიპელთა მიმართ, 2:7), რათა ყველას შეძლებოდა ეთქვა, რომ იესოა უფალი (ფილიპელთა მიმართ, 2:11). მისი ძირითადი მიზანი იყო დაერწმუნებინა ადამიანები თავიანთი ცხოვრების გარდაქმნის აუცილებლობაში და დახმარებოდა გარდაქმნის მიღწევაში. ტრანსფორმაციული განვითარება ამავე მიზნებს უნდა ისახავდეს.

ხსნა

ბიბლიური ისტორიის არსი იმაშია, რომ იგი ადამიანის ცოდვით დაცემის შემდეგ კაცობრიობის ხსნასა და მისი განვითარების ტრაექტორიის შეცვლას ისახავს მიზნად. ეს იესოს საბოლოო გეგმაა. მაგრამ, იმავდროულად, უნდა გვახსოვდეს, რომ ეს კონკრეტულ ადგილას, ანუ ისრაელში, და ისტორიის კონკრეტულ მომენტში მოხდა. ეს იყო რეალური ადამიანის რეალური სიკვდილი. ხსნა მატერიალურიცაა და სულიერიც. ჩვენი სხეულისა და სულის ხსნაზეა საუბარი. დედამიწაზე ახალი სამოთხე დამყარდება. ყველა ერი შევა ამ ქალაქში. ამგვარად, ჩვენი კულტურები, მეცნიერება, პოეზია, ხელოვნება და ტრანსფორმაციული განვითარებაც კი ამ ისტორიის დასასრულის ნაწილია.

ჩვენ მუდმივად უნდა შევახსენოთ საკუთარ თავს, რომ ტრანსფორმაციული განვითარება უფლის ხსნის ნაწილია (ბრედსოუ, 1993, 43). ცალკე ტრანსფორმაციული განვითარება ვერ გადაგვარჩენს. ქრისტიანების ქველმოქმედება და ტრანსფორმაციული ღონისძიებები ჯერ კიდევ არ არის ხსნა. არასწორია მო-

საზრება, რომ ღმერთი მხოლოდ სულიერში ეძებს ხსნას ან იგი მხოლოდ სამოთხეშია. ხსნის ასეთი სპირიტუალური გაგება არ არის ბიბლიური. ღმერთი თავისი შექმნილი სამყაროს, ადამიანების, სხვა ცოცხალი არსებების ხსნას ცდილობს. "იმიტომ, რომ ქმნილება ნებსით კი არ დაემორჩილა ამაოებას, არამედ მის მიერ, ვინც ამაოებას დაუმორჩილა იგი, იმის იმედით, რომ თვით ქმნილებაც გათავისუფლდებოდა ხრწნილების მონობისაგან, რათა წილი დაედო ღვთის შვილთა დიდებასა და თავისუფლებაში" (რომაელთა მიმართ, 8:20-21). სწორედ ამ თვალსაზრისითაა ტრანსფორმაციული განვითარება უფლის ხსნისაკენ მიმართული ძალისხმევის ნაწილი.

დაბოლოს, რადგანაც ღმერთი ხსნას სულიერ, ფიზიკურ და სოციალურ სფეროებში ერთობლივად ხედავს, ეს ნიშნავს, რომ ჩვენც ამ მიმართულებით უნდა ვიმუშაოთ.

ღვთის სასუფეველი

გარკვეული დრო უნდა დავუთმოთ იესოსა და უფლის სასუფევლის თემას. უფლის სასუფეველი არის ის, რაზედაც იესო ბევრს საუბრობდა. 1920-იანი წლებიდან 1980-იან წლებამდე ევანგელისტები თავს იკავებდნენ ღვთის სასუფეველზე ლაპარაკისაგან, რადგანაც ეს თემა ასოცირებული იყო ლიბერალურობასა და ეკუმენურ მოძრაობასთან და მას სიფრთხილით უდგებოდნენ. ეს მცდარი მიდგომა ბიბლიურ თვალთახედვასაც ეწინააღმდეგებოდა. უფლის სასუფეველი იესოს პირველი ქადაგება იყო (მარკოზი, 1:14), ეს იყო ერთადერთი, რასაც იესო სახარებას უწოდებდა (მათე, 4:23) და ამ თემაზე ესაუბრებოდა თავის მოციქულებს ბოლო ორმოცი დღის განმავლობაში, რომელიც მან დედამიწაზე გაატარა (წიგნი მეხუთე, 1:3). იესომ განაცხადა, რომ სასუფეველი მისი სწავლების გაგებისათვის გასაღებია (ლუკა, 8:10). მთაზე ქადაგებისას იესომ თქვა: "ეძებეთ, უპირველეს ყოვლისა, უფლის სასუფეველი და სიმართლე მისი და ყოველივე მოგეცემათ თქვენ" (მათე, 6:33). პირველი, რასაც იესო გვასწავლის, ისაა, რომ უნდა ვილოცოთ უფლის სასუფევლის დადგომაზე (მათე, 6:10). ლუკას სახარების ბოლოს მოთხრობილია, თუ როგორ ქადაგებდა პავლე უფლის სასუფეველზე და ასწავლიდა უფალ იესო ქრისტეს შესახებ (წიგნი მეხუთე, 28:31). იესომ თქვა, რომ "იქადაგება სასუფევლის ეს სახარება მთელ ქვეყანაზე, ყველა ხალხის შესამოწმებლად და მაშინ მოიწევა დასასრული" (მათე, 24:14). უფლის სასუფეველი უაღრესად მნიშვნელოვანი ასპექტია იმ ადამიანებისათვის, რომლებიც ტრანსფორმაციის სფეროში მოღვაწეობენ.

როდესაც უფლის სასუფეველზე ვფიქრობთ, კარგად უნდა გავაცნობიეროთ ამ მოვლენების დროში თანმიმდევრულობის ფაქტორი. უფლის სასუფეველი დედამიწაზე იესოს მოსვლასთან ერთად ჩამოდის და მას წინ უძღვის იესოს გარდაცვალება, მკვდრეთით აღდგომა და სულიწმინდის ჩამოსვლა. მაგრამ უფლის სასუფევლის ჩამოსლა მთელი თავისი სისრულით იესოს მეორედ მოსვლასთან ერთად მოხდება. განვითარების სფეროს პროფესიონალებისთვის ეს ძალიან მნიშვნელოვანია. ჩვენ არ შეგვიძლია უფლის სასუფევლის მოტანა, მაგრამ შეგვიძლია გავხდეთ მისი ჩამოსვლის მოწმეები.

სტენლი ჯოუნსი, რომელიც დიდი ხნის განმავლობაში ეწეოდა მისიონერულ საქმიანობას ინდოეთში, კიდევ ერთხელ განიხილავს ადამიანებს შორის ურთიერთობებისა და სოციალური სისტემების მნიშვნელობას და ხელშესახე-

ბი წვლილი შეაქვს თეოლოგიურ აზროვნებაში ისეთი ბიბლიური მეტაფორების ინტერპრეტაციით, როგორებიცაა "ურყევი სასუფეველი" და "უცვლელი ადამიანი" (ჯოუნსი, 1972). უფლის სასუფეველი ურყევია (ებრაელთა მიმართ, 12:28), რადგანაც იგი ჭეშმარიტი და რეალურია. იესო უცვლელია (ებრაელთა მიმართ, 13:8). იესო არის უფლის სასუფევლის გამოხატულება ადამიანური ფორმით.

ჯოუნსი ამბობს, რომ იესოს სასუფეველი ერთდროულად რადიკალურიცაა და კონსერვატულიც. იგი რადიკალურია, რადგანაც არავინ და არაფერი არაა უფლის სასუფევლის მიღმა. იგი კონსერვატულია იმ თვალსაზრისით, რომ "აერთიანებს ყველაფერ კარგს, განწმენდს ბოროტებისაგან და ბევრად უფრო მეტს გვპირდება, ვიდრე როდესმე ვინმეს წარმოედგინა. ეს არის ადამიანთა ოცნება საუკუნეების განმავლობაში" (1972, 27). ჯოუნსი, ასევე, ამბობს, რომ უფლის სასუფეველი "არსებობს და ადამიანმა იგი უნდა დაინახოს და გაიგოს" (იქვე, 46).

ჯოუნსი უარყოფს იმ აზრსაც, რომ სახარება მხოლოდ პირადზეა ორიენტირებული. ადამიანები და სოციალური სისტემები ურთიერთდაკავშირებულია. ადამიანები თავიანთ საზოგადოებაში ქმნიან პოლიტიკურ, რელიგიურ და ეკონომიკურ ინსტიტუტებს, მაგრამ, იმავდროულად, ეს ინსტიტუტები ზეგავლენას ახდენს ადამიანების ფორმირებაზე. ცოდვის ზეგავლენა და, შესაბამისად, სახარებაც მოიცავს როგორც პირადს, ასევე სოციალურს (იხილეთ დიაგრამა 3-5).

თუ სახარებას იქამდე დავიყვანთ, რომ იგი მხოლოდ იესოზე საუბრობს და მის თაყვანისცემას გვასწავლის, მაშინ აქცენტი მხოლოდ ინდივიდების ხსნაზე გადავა და არა სოციალურ წყობაზე. "ეს არ არის სრულფასოვანი ქრისტიანობა და შედეგებიც არ იქნება სრულფასოვანი" (ჯოუნსი, 1972, 30). თუ ჩვენ მივიჩნევთ, რომ იგი მიზნად ინდივიდთა ხსნას ისახავს, ხოლო უფლის სასუფეველი მაშინ გადმოვა, როდესაც იესო მოვა, მაშინ გამოდის, რომ სოციალურ წყობას მხოლოდ ბოროტი ძალების ამარა ვტოვებთ. ასეთ შემთხვევაში "ადამიანის ცხოვრების ძალიან ბევრი ასპექტი, კერძოდ, ეკონომიკური, სოციალური და პოლიტიკური - არ იქნება მადლით მოცული და მათ ხსნა არ შეეხებათ" (იქვე, 31). ამ სიცარიელეს ისეთი იდეოლოგიები შეავსებენ უკეთესი მომავლის თაობაზე მაცდური დაპირებებით, როგორებიცაა კაპიტალიზმი, გლობალიზმი, ნაციონალიზმი, ეთნიკურ იდენტობაზე აგებული რომელიმე "იზმი," დენომინაციონალიზმი და სხვა. შესაბამისად, ურყევი სასუფევლისა და უცვლელი იესოს თაობაზე სახარება მოიცავს პიროვნებებს, ოჯახსა და სოციალურ სისტემებს, რომლებშიც ჩვენ ვცხოვრობთ, და მიწას, რომელიც ჩვენ გვასაზრდოებს.



დიაგრამა 3-5: ადამიანისა და სოციალური წყობის განუყოფლობა (ჯოუნსი, 1972, 32-35).

უინქსმა თავის ნაშრომში "სახელმწიფოები და ძალაუფლება" განავრცო ჯოუნსის არგუმენტი. იგი მიიჩნევს, რომ ცოდვამ ზეგავლენა მოახდინა როგორც ადამიანებზე, ასევე სოციალურ სისტემებზე. შესაბამისად, სახარებამაც ორივეზე უნდა მოახდინოს ზეგავლენა და ორივე სფერო უნდა მოიცვას. ამის შემდეგ უინქი პროვოკაციულ აზრს ავითარებს და ამბობს, რომ "სახარება არ არის უბრალო გზავნილი პირადი ხსნის შესახებ, არამედ ეს არის გზავნილი ძირეულად გარდაქმნილი სამყაროს თაობაზე" (უინქი, 1992, 83). "მთელი ქმნილება ერთიანად გმინავს და წვალობს დღემდე" და იგი "სასოებით მოელის ღვთის შვილთა გამოცხადებას" (რომაელთა მიმართ, 8:22, 19). იმუშაო ადამიანთა ტრანსფორმაციაზე, ნიშნავს, იმუშაო ადამიანთა, სოციალური სისტემებისა და გარემოს გაუმჯობესებაზე, ანუ სახარებით გააზრებული მთელი სამყაროს ხსნაზე. სწორედ ეს არის ღვთის სასუფეველი.

ჩვენ არ უნდა დავაცალკეოთ ადამიანი და სასუფეველი, – გვაფრთხილებს ჯოუნსი (1972, 37). იესო ამ სასუფევლის განსახიერებაა. კარგია, რომ უფლის სასუფეველი არ არის უბრალო თეოლოგიური ფრაზა ან რაღაც ეფემერული იდეა, არამედ "ეს არის ადამიანით განსახიერებული სასუფეველი" (ნიუბეგინი, 1981, 32-33). ეს ადამიანი ჩამოვიდა, ჩვენ შორის ცხოვრობდა და "იმავე ცდუნების წინაშე იდგა, როგორის წინაშეც ჩვენ ვიდექით" (ებაელთა მიმართ, 4:15). უფლის სასუფეველი მოგვიახლოვდა ამ უცვლელი ადამიანის სახით: "იესო არის უფლის სასუფეველი, რომელმაც გაიხადა ფეხზე და ჩვენთან ერთად იარა" (ჯოუნსი, 1972, 34). ნებისმიერ ქრისტიანს, რომელიც ტრანსფორმაციული განვითარების გაგებას ცდილობს, უნდა ახსოვდეს, რომ იესო ადამიანი იყო და რომ უფლის სასუფევლის დაპირებას ცენტრალური როლი უჭირავს უკეთესი მომავლის განსაზღვრასა და ამ მომავლის მიღწევის გზების დასახვაში.

ძალაუფლება

ძალაუფლების თემას განვითარების სფეროს პრაქტიკოსები ყურადღების გარეშე ვერ დატოვებენ. გავითვალისწინოთ, რომ ადამიანთა სიღარიბის ძირითადი მიზეზია ძალაუფლების ასიმეტრიული გადანაწილება და მისი ბოროტად გამოყენება ცალკეული ადამიანების, ჯგუფებისა და სოციალური სისტემების მიერ. თუ ჩვენი საბოლოო მიზანი ტრანსფორმაციის მიღწევაა, ძალაუფლების ასიმეტრიული გადანაწილების პრობლემის დაძლევა განვითარების პროცესის განუყოფელი ნაწილი უნდა იყოს. ძალაუფლების გადანაწილება გვხვდება როგორც საზოგადოებაში, ასევე ოჯახშიც (ფრიდმანი, 1992, 32). როდესაც განვითარების სფეროს პრაქტიკოსი რომელიმე თემთან მიდის სამუშაოდ, იგი თითქმის ძალაუფლების პოზიციიდან მოქმედებს, ანუ ადამიანები, რომლებსაც იგი უნდა ემსახურებოდეს და ეხმარებოდეს, მას სწორედ ასე აღიქვამენ. შესაბამისად, აუცილებელია გარკვეული თეოლოგიური რეფლექსია ძალაუფლების საკითხზე.

საუბარი უნდა დავიწყოთ ძალაუფლების ასიმეტრიული გადანაწილებიდან. ზოგჯერ თანამედროვე დასავლეთში მიგვაჩნია, რომ ძალაუფლების ასიმეტრია ცუდია და საჭიროა ასეთი ასიმეტრიის აღმოფხვრა. ზოგ ქრისტიანს მიაჩნია, რომ ძალაუფლების უქონლობა ქრისტიანული ნორმაა. სამყაროს შექმნის ნარატივის ჩემეულ ინტერპრეტაციას მივყავარ მოსაზრებამდე, რომ ჩვენ უფრო მეტი დრო უნდა დავუთმოთ ამ საკითხის შესწავლას.

მარტივი სიტყვებით რომ ვთქვათ, რეალური ვითარება ყოველთვის თანასწორობას არ უწყობს ხელს. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ, ყველა, ღვთის ხატების მსგავსად ვართ შექმნილი, ყველაფერი დანარჩენი, რაც ჩვენ გარშემოა, მაგალითად, რესურსები, ნიჭი და ბევრი სხვა რამ, არათანაბრადაა გადანაწილებული. უნდა აღინიშნოს, რომ არ არის ნათელი, ეს ღმერთის განზრახვა იყო თუ არა. ჯეფრი საშმა ჩვენი ყურადღება გეოგრაფიულ უთანასწორობას მიაპყრო. კერძოდ, ზოგ ქვყანას არ გააჩნია ზღვაზე გასასვლელი და, შესაბამისად, მათ უფრო უჭირთ სხვა ქვეყნებთან დაკავშირება. ზოგ ქვეყანაში მშრალი კლიმატია და ნიადაგი არ არის ნაყოფიერი, რის გამოც სოფლის მეურნეობის პროდუქტიულობაც დაბალია. ზოგი ქვეყანა ტროპიკებში მდებარეობს და იქ მრავალი ტროპიკული დაავადებაა გავრცელებული, მაშინ როდესაც ჩრდილოეთის ქვეყნებში ეს პრობლემა არ დგას (2005, 58). ჯარედ დაიმონდი, ბიოგრაფი, წერს, რომ ცხოველთა შორის მხოლოდ თოთხმეტი ექვემდებარება მოშინაურებას და ცხოველების ეს სახეობებიც არ არიან თანაბრად განაწილებული მსოფლიოში (1997, 160). დაიმონდმა დაასკვნა, რომ "ისტორია სხვადასხვა ერისათვის სხვადასხვა გზით ვითარდებოდა, რასაც განაპირობებდა განსხვავება გარემო პირობებში და არა ადამიანებს შორის ბიოლოგიური განსხვავებები" (იქვე, 25). აშკარაა, რომ ყველა განსხვავება თანაბარი არაა. აღსანიშნავია, რომ, ამ განსხვავების გარდა, ღმერთის მიერ შექმნილ სამყაროში სხვა განსხვავებებიც არსებობს.

ყველამ ვიცით, რომ ზოგი ადამიანი უფრო ჭკვიანია, ღონიერი ან კომუნიკაბელური, ვიდრე სხვები. ყველას არ გაგვაჩნია ლიდერობის უნარი. ძალიან მცირე ჩვენგანია დაბადებული იმისათვის, რომ იყოს მოაზროვნე. ყველას არ გააჩნია უნარი და ნიჭი, რომ ააშენოს სახლი ან შექმნას განსაკუთრებული სახსარი ცხოვრებისათვის. ვირჯინიის უნივერსიტეტის რელიგიის, კულტურისა და

სოციალური თეორიის პროფესორი ჯეიმს დევისონ ჰანტერი მიიჩნევს, რომ "ეს იმთავითვე მიუთითებს, რომ ადამიანებს შორის ურთიერთობები ძალაუფლებაზე აგებული ურთიერთობებია" და ამტკიცებს, რომ ეს კარგია (ჰანტერი, 2010, 178). მას მიაჩნია, რომ უნარებისა და შესაძლებლობების ასეთი არათანაბარი გადანაწილება დამოუკიდებლობის იმპერატივს ქმნის. "ადამიანებს სხვადასხვანაირი შესაძლებლობა აქვთ, რათა თავიანთ გარშემო არსებულ სამყაროში იცხოვრონ და იმოქმედონ. სწორედ ამ მიზეზითაა, რომ ადამიანები ურთიერთდამოკიდებულები არიან. ჩვენ გვჭირდება ერთმანეთი და ერთმანეთის უნარები, რადგანაც ამ გზით შესაძლებელია გადარჩენა" (ჰანტერი, 2010, 178).

შესაბამისად, ჩვენი ძირითადი მისია არ არის ბუნებრივი ან თანდაყოლილი ძალაუფლების ასიმეტრიის აღმოფხვრა. ძალაუფლებისა და სტრუქტურების ასიმეტრია, უბრალოდ, არსებობს და ცუდი არ არის. ამასთან დაკავშირებით საჭიროა ორი განმარტება გავაკეთოთ. პირველი: სტრუქტურული ძალაუფლება აუცილებელია. მსოფლიოს, სადაც 6 მილიარდი ადამიანი ცხოვრობს, სხვადასხვა სოციალური სტრუქტურა სჭირდება, რათა ადამიანთა ცხოვრების ორგანიზება მოხდეს, გადარჩენა და კეთილდღეობა იყოს მიღწეული. სოციალური სტრუქტურებიც ძალაუფლების მქონე სტრუქტურებია. პრეზიდენტები, პარლამენტის წევრები, სამინისტროების ხელმძღვანელები, ბიზნესლიდერები, თემების განვითარების ორგანიზაციების თავმჯდომარეები, კოორდინატორები და კოალიციები საჭირო და სასარგებლოა და მათი არსებობა ბუნებრივად მიგვაჩნია. ჩვენ თავს ვერ ავარიდებთ ძალაუფლების დელეგირებას იმათთვის, რომლებსაც იმის გაკეთება შეუძლიათ, რაც ჩვენ გვჭირდება და რასაც ჩვენ ვერ ვაკეთებთ. შესაბამისად, ზოგ ადამიანს უფრო მეტი ძალაუფლება აქვს, ვიდრე დანარჩენებს. მისიოლოგიური საკითხია, თუ რამდენად აუარესებს ან აუმჯობესებს ჩვენს მდგომარეობას ის ძალაუფლება, რომელსაც ჩვენ ვექვემდებარებით.

მეორე: თავი უნდა შევიკავოთ სოციალური ინსტიტუტებისა და მათი ძალაუფლების დემონიზაციისგან. სოციალურ სტრუქტურებს მართლაც შეუძლიათ ადამიანთა ჩაგვრა და მათი სიღარიბეში ჩაგდება, მაგრამ მათ, ასევე, შეუძლიათ ადამიანებზე ზრუნვა, მათი უფლებამოსილების გაზრდისა და კეთილდღეობის ხელშეწყობა. გამჭვირვალე და სამართლიანი არჩევნები ადამიანების უფლებამოსილებას ზრდის. ასევე, როდესაც საშუალება გაქვს, გამოთქვა შენი აზრი ადგილობრივი მთავრობის წარმომადგენლებთან შეხვედრაზე, შენი უფლებამოსილება და, ზიგადად, უფლება იზრდება. კრიმინალებისაგან დაცვა და სამართლიანი სასამართლო, რომელიც საკუთრების უფლებას იცავს, ადამიანების უფლებამოსილებას ზრდის.

ამგვარად, განვითარების მიზანია ძალაუფლებაზე აგებული ურთიერთობების მართვა ადამიანთა სასიკეთოდ და არა ამ ძალაუფლების ჩამორთმევა. ამ თვალსაზრისიდან გამომდინარე, გავაანალიზოთ ბიბლიის პირველი და ბოლო ისტორია და ვიფიქროთ ძალაუფლებასა და სოციალური სტრუქტურების კონტექსტზე.

რიჩარდ მიდელტონი სამყაროს შექმნის ისტორიის ანალიზისას ჩვენს ყურადღებას ამახვილებს შემდეგ გარემოებაზე: სამყაროს შექმნის შესახებ ნარატივში ღმერთსა და ადამიანებს შორის ურთიერთობები სრულიად განსხვავებულია ახლო აღმოსავლეთის რელიგიებისა და იმპერიების იმავე პერიოდის ანალოგიური ნარატივებისაგან. ჩვენ მხედველობაში გვაქვს ეპოქა, როდესაც

დაბადება დაიწერა (2005, 204-12). იმ გარემოსა და რელიგიაში მხოლოდ მეფე იყო ერთადერთი ადამიანი, რომელიც ღვთის ხატის მსგავსად იყო შექმნილი და მისი დანიშნულება იყო ღმერთების მსახურება და თაყვანისცემა. აქედან მიეცა დასაბამი მეფეების ძალაუფლებისა და მათ ყველა სხვა ადამიანზე ზეობის ლეგიტიმაციას. ასეთი ძალაუფლება ზემოდან მოდის, მაშინ როდესაც მსახურება, თაყვანისცემა და სიმდიდრე ქვემოდან, ანუ ადამიანებისაგან, ზემოთ მიდის. ამას მივყავართ დასკვნამდე, რომ მჩაგვრელი და ცალმხრივი ვექტორის მქონე რელიგიურ-პოლიტიკურ-ეკონომიკური სისტემები ღმერთების მიერ არის დადგენილი.

სამყაროს შექმნის თაობაზე ბიბლიურ ნარატივში ურთიერთობები ღმერთსა და ადამიანებს შორის ფუნდამენტურად განსხვავებულია. ღმერთმა ყველა ადამიანი საკუთარი ხატების მსგავსად შექმნა. მეფე შესაქმეთა წიგნში არ არის ნახსენები. ის, რომ ადამიანები ღვთის ხატის მსგავსად არიან შექმნილნი, მათ უფლებამოსილებას ზრდის და ისინი მონაწილეობას იღებენ სამყაროს შემდგომ გაუმჯობესებაში. ამგვარად, ყველა ადამიანს აქვს ძალაუფლება. როგორც რიჩარდ მიდელტონი ამბობს, "*imago Dei* გულისხმობს, რომ ადამიანები ღმერთის წარმომადგენლები არიან და მათ უფალმა უფლებამოსილება მიანიჭა, განკარგონ დედამიწის რესურსები და ცოცხალი არსებები" (2005, 27). ბიბლიური ნარატივი განსხვავდება ახლო აღმოსავლეთის კულტურებში დაბადებისა და ძალაუფლების აღქმისაგან იმ თვალსაზრისით, რომ "ერთი ადამიანი არ არის უფლებამოსილი, ჩაგროს მეორე" (იქვე, 204-5).

იოანეს გამოცხადების სწორად გასაგებად უაღრესად მნიშვნელოვანია გვესმოდეს იმ პერიოდის საეკლესიო და ისტორიულ-კულტურული კონტექსტი. წმინდა ანდრიას უნივერსიტეტის პროფესორი რიჩარდ ბაუკჰემი შეგვახსენებს, რომ "აპოკალიფსში რომის იმპერია აღწერილია, როგორც მჩაგვრელი და მოძალადე სისტემის მქონე სახელმწიფო, რომელიც დამპყრობლური, ძალადობრივი და მჩაგვრელი გზების გამოყენებით დაარსდა და არსებობდა" (1993, 35). ბაუკჰემის თვალსაზრისის შეჯამების შედეგად შეგვიძლია დავასკვნათ, რომ იმპერატორი ითვლებოდა ღმერთად, რომი იყო წოდებული მარადიულ ქალაქად და იგი იმპერიის ცენტრს წარმოადგენდა. აპოკალიფსში საუბარია რომის ორ ძირითად სიმბოლოზე, რომლებიც იმპერიის ორ ასპექტს განასახიერებს: ზღვის მხეცი (გამოცხადება, 13-17) სიმბოლოა რომის სამხედრო და პოლიტიკური ძალაუფლებისა და იმპერატორისა. გამოცხადების მე-17-18 ნაწილებში საუბარია ბაბილონზე, მეძავზე, რომელიც "ზურგზე ეჯდა წითელ მხეცს" (გამოცხადება, 17:3), რაც შეგვახსენებს, რომ იმპერიის ეკონომიკური სისტემა ექსპლუატაციაზეა დაყრდნობილი და მის სიძლიერეს იმპერიული არმიები უზრუნველყოფენ. გამოცხადებაში შემდეგ საუბარია იმათზე, ვისი მეშვეობითაც ეს მხეცი და მეძავი თავის ძალაუფლებას, ძალმომრეობასა და ცდუნებას ავლენენ. ზღვის მხეცი ამქვეყნიური მეფეების მეშვეობით მოქმედებს (გამოცხადება, 17:2). მეძავმა, "რომელთანაც ისიძვეს ქვეყნიერების მეფეებმა" (გამოცხადება, 17:2, 18:9), აცდუნა ვაჭრებიც, რომლებიც "იტირებენ და ივაგლახებენ იმის გამო, რომ აღარავინ იყიდის მათ საქონელს" (გამოცხადება, 18:11). ამით გამოცხადება ამცნობს ადამიანებს, რომ ღმერთის დაბრუნების შემდეგ მთელი ეს ძალაუფლება უძლური აღმოჩნდება და ეს ისტორია დასრულდება. ჯაიკუმარ ქრისტიანმა, ინდოეთში მოღვაწე განვითარების სფეროს სპეციალისტმა, შეისწავლა გამოცხადებაში აღწერილი ძალაუფლების

შეცვლის საკითხი (1994, 11-12). იგი ამბობს, რომ ღვთის კრავი, რომელიც მსხვერპლად შეწირულია პილატეს მიერ, იმ ერთადერთ ტახტზე ზის, რომელიც, საბოლოო ჯამში, ყველაზე მნიშვნელოვანია. ისტორიის დასასრულს ძალაუფლების სიმბოლო მოკლული ცხვარია და არა ბრიტანული ლომი, ინდური ვეფხვი ან ამერიკული არწივი. სამყაროს დასასრულისათვის ღვთის სამეფო იქნება ერთადერთი, რომელიც მყარად იდგება. არ არის სჭირო დიდი წარმოსახვის უნარი, რომ მიდელტონისა და ბაუკჰამის მიერ აღწერილი მჩაგვრელი სისტემების ისტორიულ-კულტურული კონტექსტიდან დღევანდელი სამყაროს სისტემებზე გადავინაცვლოთ, რადგანაც ბევრი რამ არც კი შეცვლილა. ძალაუფლების ასეთი ბოროტი გამოყენება და უუფლებობა, მეორე მხრივ, ადამიანთა ისტორიის განუყოფელ ნაწილად დარჩა. მაგრამ სახარების პირველი და ბოლო ამბავი იმედს გვისახავს, რომ ქრისტიანები არ შეურიგდებიან ასეთ ფატალისტურ მოსაზრებას. ჩვენი მისია მიგვიწოდებს უფრო მეტისკენ, ვიდრე იმის განცხადებაა, რომ ცოდვა და ბოროტება სოციალურ სტრუქტურებში დღესაც ფართოდაა გავრცელებული. ჩვენ შეგვწევს ძალა, შევცვალოთ ეს მდგომარეობა, რადგანაც ღვთის ხატების მსგავსად ვართ შექმნილები. სწორედ ეს გვაძლევს უფლებამოსილებას, რომ ვიმოქმედოთ. საქმე ისაა, როგორ გამოვიყენებთ ღვთის მიერ მონიჭებულ უფლებასა და ძალას.

ჩვენ გვჭირდება ძალაუფლების თეოლოგია, რომელიც დაგვეხმარება გავიგოთ, რა არის ძალაუფლება და როგორ უნდა გამოვიყენოთ ის ქრისტიანული პერსპექტივიდან. აქ ორი საკვანძო საკითხია. ანუ: როგორი საპასუხო ზომები უნდა მივიღოთ ჩაგვრის, ძალაუფლების ბოროტად გამოყენებისა და მისი შედეგების აღმოსაფხვრელად? როგორი უნდა იყოს ქრისტიანების რეაგირება ასეთ მჩაგვრელ სისტემებზე? მიდელტონის, უინქის, იოდერის, ბაუკჰამის და ბევრი სხვა მეცნიერის ნაშრომების მიხედვით, ჩვენ წინ უნდა აღვუდგეთ ამ სისტემებსა და ძალაუფლების მპყრობელებს. ასეთი ძალაუფლების გაკრიტიკება და უკუქმედება ქრისტიანობის მიმდევრების მისიაა. ღმერთს უნდა, რომ ძალაუფლების მპყრობელებმაც გაიგონონ უფლის სასუფევლის სახარება. უინქი შეგვახსენებს, რომ "მიზანი მხოლოდ ის არაა, რომ თავი გავითავისუფლოთ ასეთი ძალაუფლებისგან და მივიღოთ ღმერთი ამ ძალაუფლების არსებობის მიუხედავად, არამედ საჭიროა, აგრეთვე, რომ ეს ძალაუფლება შეურიგდეს ღმერთს და მიიღოს იგი" (კოლოსელთა, 1:20, უინქი, 1992, 319). ამ თემას მე-4 თავში დავუბრუნდები, როდესაც ადამიანის შელახულ იდენტობასა და ჩაგვრის დინამიკაზე ვისაუბრებ.

მეორე საკითხია, როგორც ქრისტიანებმა როგორ უნდა მოვიაზროთ ძალაუფლება და რა ინტერპრეტაცია უნდა მივცეთ ძალაუფლებას, რომელიც ჩვენ გვაქვს, როგორც ცალკეულ პიროვნებებს და როგორც ეკლესიას. ანუ, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, რა სახის ძალაუფლების თეოლოგია უნდა შევიმუშავოთ. ამასთან დაკავშირებით რამდენიმე მოსაზრება მინდა გაგიზიაროთ.

უპირველეს ყოვლისა, ღმერთმა მოგვცა სახელის დარქმევის, ორგანიზების, შექმნის, პროდუქტიული მოღვაწეობის უფლება. ამას (უფლებას) ჩვენ თავად არ ვქმნით. ეს ნიშნავს: ჩვენი ძალაუფლება სინამდვილეში ჩვენ მიერ მოპოვებული კი არ არის, არამედ ჩვენთვის ნაბოძებია. ეს რამდენიმე თვალსაზრისითაა მნიშვნელოვანი. პირველ რიგში, ძალაუფლება მონიჭებული გვაქვს ღმერთის მიერ, რომელსაც ვუყვარვართ. ეს არის ღმერთის წყალობა (მიდელტონი, 2005, 278). მეორე: ჩვენ ძალაუფლება მოგვეცა, მაგრამ ღმერთმა გარკვეული შე-

ზღუდვებიც დაგვიწესა. ჩვენ არ შეგვიძლია ძალაუფლება ისე გამოვიყენოთ, როგორც მოგვესურვება.

მიუხედავად იმისა, თუ რეფორმითაა წარმოდგენილი სოციალური ძალაუფლება: პოლიტიკურით, ეკონომიკურით, კულტურულით თუ რელიგიურით, მისი მიზანია წესრიგის შექმნა და შენარჩუნება და არსებული სამყაროს გაუმჯობესება, რათა ადამიანების კეთილდღეობა იქნეს მიღწეული. სამყაროს შექმნის ნარატივის მიხედვით, სამყარო მხოლოდ ძალაუფლების მფლობელთა სასარგებლოდ არ უნდა გაუმჯობესდეს. მაგრამ სწორედ ასეთი მდგომარეობაა დღეს. სოციალური ძალაუფლება დიდი საზოგადოებების ორგანიზებისათვის აუცილებელი ელემენტია. ღმერთს სოციალური ძალაუფლება საშუალებად მიაჩნია და არა საბოლოო მიზნად. სოციალური ძალაუფლების გამოყენების თემა 71-ე ფსალმუნშია ასახული, რომელიც ღმერთისადმი თხოვნაა, რომ ისეთი მბრძანებელი მოავლინოს, როგორიც ადამიანებს სურთ:

"ღმერთო, შენი სამართალი მიეცი მეფეს
და შენი სიმართლე — მეფის ძეს,
რათა მან გაასამართლოს შენი ერი სიმართლით
და შენი ღატაკნი — სამართლიანად.
მოუტანონ მთებმა მშვიდობა ერს
და ბორცვებმა — სამართლიანობა.
გაასამართლოს ერის ღატაკნი,
იხნას შვილი ღარიბისა
და დაჩაგროს მჩაგვრელი."

ეს არის საზომი იმისა, თუ რამდენად ასრულებს მბრძანებელი უფლის მოთხოვნებს სოციალურ ძალაუფლებასთან დაკავშირებით. სამართლიანობისა და კეთილდღეობის ერთობლიობა უზრუნველყოფს ყველაზე დაუცველების გადარჩენას, ხოლო ისინი, ვინც ბოროტად იყენებენ მათთვის მინიჭებულ ძალაუფლებას, განიკითხებიან. მე-2 ფსალმუნში საუბარია იმაზე, რომ ღმერთი მოჰკითხავს ძალაუფლების მპყრობელებს იმისთვის, რაც მათ გაუკეთებიათ. ღმერთი შეეკითხება მათ: იცავდით სუსტს, ეხმარებოდით ღარიბსა და დაჩაგრულს? ძალაუფლების მფლობელები, რომლებიც უსამართლობას ამკვიდრებენ და უმეცრები არიან, სიბნელეში იმყოფებიან და მსოფლიოს საძირკველს უთხრიან (ფსალმუნი, 82:5).

ჯეიმს დეივისონი ძალაუფლების გამოყენების კონტექსტთან დაკავშირებით ეკლესიას მიმართავს: "მაშინ ეკლესიამ ძალაუფლებასა და ძალაუფლების უქონლობას შორის კი არ უნდა გააკეთოს არჩევანი, არამედ უნდა განსაზღვროს, თუ როგორ უნდა გამოიყენონ ადამიანებმა და ეკლესიამ ის ძალაუფლება, რომელიც მათ აქვთ" (2010, 184). ამ კითხვაზე პასუხის ძიებაში ჰანტერი გვთავაზობს სასუფევლის სოციალური ძალაუფლების მოდელის საფუძვლად გამოყენებას ეკლესიის კონტექსტში. იგი თავის კონცეფციას სახარებაში აღწერილ იესოს მოქმედებებზე დაყრდნობით აგებს. ჰანტერი ოთხ დასკვნას აკეთებს იმის შესახებ, თუ რა ძალაუფლება ჰქონდა იესოს და როგორ იყენებდა იგი მას. ამ დასკვნებს შეჯამების სახით წარმოგიდგენთ:

- იესოს სოციალური ძალაუფლება მამა ღმერთის ნების მორჩილებიდან იღებს დასაბამს (იოანე, 12:49–50; 8:28; 14:10; ებრაელთა მიმართ, 5:7–8; Mt 28:18).

- იესოს მიერ მამა ღმერთის ძლევამოსილების აღიარება გულისხმობს სტატუსის, რეპუტაციისა და პრივილეგიების უარყოფას, რაც ძალაუფლების თანმხლები კომპონენტებია (ფილიპელთა მიმართ, 2:6, იოანე, 13:3).
- იესოს ძალა გულმოწყალებითა და სიყვარულითაა განპირობებული და უფლის სასუფევლის განსახიერებაა. სწორედ ესაა იესოს ძალაუფლების წყარო, საშუალება და საბოლოო მიზანი (მარკოზი, 10:45).
- იესოს მიერ ძალაუფლების გამოყენება არ იყო იძულებითი ხასიათისა. იგი პატივს სცემს ადამიანთა თავისუფლებას, იმათ თავისუფლებასაც, ვინც მის მიმდევართა საზოგადოების მიღმა დგას (ჰანტერი, 2010, 187ff.).

ეს არის სულიერების, თავმდაბლობისა და სიყვარულის გასაოცარი სინთეზი, რომელიც სამართლიან და ქველმოქმედებაზე ორიენტირებულ ძალაუფლებას ნიშნავს. ეს არის ის, რისი გაკეთებაც ეკლესიას შეუძლია ფულისა და ძალაუფლების გარეშეც კი. ეს არის ის, რისი გაკეთებისთვისაც მას ნებართვა არ სჭირდება. იმ სამყაროში, რომელშიც ღარიბები ცხოვრობენ, კონტრკულტურული მიდგომები გვეხმარება, გამოვავლინოთ სახარებასა და სამყაროს შორის არსებული განსხვავებები. ეს არ არის ტრადიციული მიდგომა, რომელიც ასოცირებულია ძალაუფლების, როგორც საბოლოო მიზნის, მიღწევასთან. ეს მიდგომები და ინსტრუმენტები აუცილებელია იმ ადამიანებისათვის, რომლებსაც სურთ, რომ ერთგულად იმსახურონ საზოგადოების საკეთილდღეოდ და ფარდა ახადონ ძალაუფლების მქონე ადამიანების, სისტემებისა და ცრუ კერპების ქმედებებს, რათა მათი რეალური სახე დაგვანახონ.

უფლის სასუფეველში, რომელიც ჩვენთან გადმოვა, ის წესრიგი, რომელიც ამჟამად ნორმად მიგვაჩნია, რადიკალურად შეიცვლება (კრეიბილი, 1978). ეს განსაკუთრებით იმათ შეეხება, ვისთვისაც ძალაუფლება თვითმიზანია. იესო გვეუბნება, რომ ეს სამყარო იმ ადამიანებითაა დასახლებული, რომლებსაც ჰგონიათ, რომ ძალაუფლება არ გააჩნიათ: ღარიბებით (ლუკა, 6:20), მორჩილებითა და დევნილებით (მათე, 5:5, 10). დაბოლოს, ყველა ერი, ტომი და სხვადასხვა ენაზე მოსაუბრე ადამიანები დადგებიან და "ხმამაღლა იღაღადებენ: ხსნა ჩვენი ღმერთის, ტახტზე მჯდომარისაგან, არის" (გამოცხადება, 7:9-10). ამგვარად, თუ ისტორიის დასასრულისთვის ასეთი სამყარო ჩამოყალიბდება, მაშინ უმჯობესია, ჩვენც ღვთის ნების შესაბამისად ვიმოქმედოთ.

ძალაუფლების ასეთი გააზრება ძალიან მნიშვნელოვანია განვითარების სფეროს პრაქტიკოსებისათვის. ასეთი ძალაუფლება თუ უფლება ადამიანებს საშუალებას აძლევს აღმოაჩინონ, რომ მათ უფლება ყოველთვის ჰქონდათ მინიჭებული. ჩვენც, განვითარების სფეროს პრაქტიკოსები, დაზღვეული ვიქნებით ძალაუფლების არასწორად გამოყენებისაგან, როდესაც ღარიბებისთვის დახმარების საბაბით ხანდახან ამ შეცდომას ვუშვებთ. ისევე როგორც ჯვრისა და უფლის სასუფევლის შემთხვევაში, სოციალური ძალაუფლების შესახებ მცდარი წარმოდგენა ბევრ გამოწვევას უქმნის იმ ადამიანებს, რომლებსაც ტრანსფორმაციული განვითარების ხელშეწყობა სურთ. სად არის ის ძალაუფლება, რომელიც ღარიბებს დაეხმარება? ვის და რას ვენდობით? რას გვეუბნება მსხვერპლად შეწირული ჯკრავის ხატება იესოს მეორედ მოსვლამდე? რას ნიშნავს ეს განვითარების სააგენტოებისათვის? მზად ვართ, ვიწვნიოთ შედეგები, რომლებსაც "რბილი" სოციალური ძალაუფლება გამოიწვევს იმ სამყაროში, რომელშიც "მკაცრი" სოციალური ძალაუფლება ნორმაა? ეს შედე-

გები ღარიბებმა უნდა იწვნიონ? ხომ არ ვაიძულებთ ღარიბებს, სოციალური ძალაუფლების იმ ფორმით ისარგებლონ, რომელსაც დასავლეთში არ გამოვიყენებდით? რბილი სოციალური ძალაუფლება და უფლის სასუფეველი ჯერ არ დამდგარა. ჯვარცმა და მკვდრეთით აღდგომა მძიმე გზაა და ამის შესახებ მხოლოდ თეოლოგიური პერსპექტივიდან არ უნდა ვიფიქროთ, ჩვენ ასე უნდა ვიცხოვროთ.

ბიბლიური ისტორია და ტრანსფორმაციული განვითარება

სახარების მიზანი

ბიბლიური ისტორია, რომლის ცენტრალური ფიგურაა იესო, ტრანსფორმაციული განვითარების ისტორიაა. იესოს ისტორია გვეხმარება ჩვენი პირადი ისტორიის, თემისა და, ზოგადად, საზოგადოების ისტორიის სწორი მიმართულებით განვითარებაში, რადგანაც თუ იესოს მიერ ჩვენი ხსნის იდეას მივიღებთ, იგი უკეთეს ცხოვრებას გვპირდება. ამ ისტორიის გაუზიარებლობით უარს ვიტყვით იმ ერთადერთ შესაძლებლობაზე, რომელიც იმედის მომცემია. არც ერთი სხვა ისტორია არ მიგვიყვანს სავსე და მარადიულ სიცოცხლესთან. ეს ერთადერთი ისტორიაა, რომელიც ადამიანებს ტრანსფორმაციას, უკეთეს მომავალს, ცოდვების მიტევებასა და მჩაგვრელი სისტემებისგან გათავისუფლებას ჰპირდება. კაცობრიობის უკეთესი მომავლის მიღწევა ამ ისტორიის გარეშე შეუძლებელია. ამ მიზეზით ქრისტიანების მიერ ტრანსფორმაციული განვითარებისაკენ მიმართული ძალისხმევა ამ ბიბლიურ ისტორიას ეფუძნება. ქრისტიანებს ეს ისტორია ადამიანებთან მიაქვთ და მათ უზიარებენ, რათა სხვებმაც გაიგონ და სათანადო რეაგირება მოახდინონ მასზე (ამ თემაზე უფრო დეტალურად წიგნის ბოლო თავში გვექნება საუბარი).

ურთიერთობის აღდგენა

ამ ბიბლიური ისტორის საბოლოო მიზანი ურთიერთობების აღდგენაა. "ერთმანეთთან მშვიდობიანი და სამართლიანი თანაცხოვრება ქრისტიანული რწმენის იდეალია და იგი მასში ხედავს ხსნას" (ლაკუნია, 1991, 292). ურთიერთობები ყველა თვალსაზრისით უნდა აღდგეს. უპირველეს ყოვლისა, ეს გულისხმობს ღმერთთან ზიარებასა და მასთან ურთიერთობის აღდგენას იესო ქრისტეს მეშვეობით. მეორე: ჯანმრთელ, სწორ და სამართლიან ურთიერთობებს საკუთარ თავთან და საზოგადოებასთან. მესამე: მოსიყვარულე, პატივისცემაზე დამყარებულ და კეთილმეზობლურ ურთიერთობებს იმ ადამიანებთან, რომლებსაც "სხვებს" ვუწოდებთ. დაბოლოს: დედამიწის მოვლა და მისი ნაყოფიერების ხელშეწყობა. ურთიერთობების აღდგენის საკითხს მე-7 თავში დავუბრუნდებით.

უფლის სასუფეველში ურთიერთობების საკითხი ბიბლიას წითელი ხაზივით გასდევს. სამყაროს შექმნის ნარატივი, მათ შორის ცოდვით დაცემის ნაწილიც, ურთიერთობების საკითხებს განიხილავს. ათი მცნება ღმერთთან და ადამიანებს შორის ურთიერთობებს შეეხება და საზოგადოებაში თანაცხოვრების წესებს გვასწავლის. ისრაელთან კოვენანტიც ადამიანებსა და ღმერთს შორის ურთიერთობებს შეეხება. ფილიპინელი თეოლოგი და განვითარების სფეროს

სპეციალისტი მელბა მაგგაი შეგვახსენებს, რომ "ისრაელი განდეგილი გახდა ჩაგვრისა და კერპთაყვანისმცემლობის გამო. ეს არის წინასწარმეტყველური თემები, რომლებიც ღმერთისა და მოყვასის სიყვარულის კანონებიდან გამომდინარეობს" (მელბა მაგგაი, 1994, 69). ტრანსფორმაციული განვითარების ქრისტიანული გაგება ღმერთისა და მოყვასის სიყვარულს გულისხმობს.

იესომ მოყვასის სიყვარულის საკითხი რადიკალურად გააფართოვა, როდესაც მტრის სიყვარულისაკენ მოგვიწოდა (მათე, 5:44). ჩვენ ასე არ ვიქცევით, მაგრამ იესო ასე იქცეოდა. ღმერთს არ ჰყავს მტრები. მათ შორის არც ყველაზე ხარბი და ბოროტი მიწათმფლობელები არიან მისი მტრები, თუმცა მათი სიხარბე და ბოროტება მას არ უყვარს. შესაბამისად, ჩვენ ერთნაირად უნდა გვიყვარდეს როგორც ღარიბები, ასევე შეძლებულები. ეს არ ნიშნავს ყოველთვის შემწყნარებელ სიყვარულს. ღმერთის სიყვარული შეიძლება მკაცრი და დაუნდობელიც იყოს. ეგვიპტემ ბევრი იტანჯა იმ სასჯელისაგან, რომელიც ღმერთმა დაატეხა მათ და მათ ფარაონს (გამოსვლა, 7:5, 14:4). ღმერთმა ისრაელი გააძევა ბაბილონში და შემდეგ თითქმის 600 წელი თითქოს არც კი ელაპარაკებოდა მას. ღმერთის ჩვენდამი სიყვარული შეიძლება მკაცრიც იყოს, მან შეიძლება გვითხრას, რომ ჩვენი საქციელისათვის ცუდ შედეგებს მოვიმკით, ანდა: რომ ჩვენი სული საფრთხეშია, მაგრამ ამ სიყვარულისათვის სიძულვილი არ არის დამახასიათებელი. ღმერთი ყოველთვის მოწყალეა.

ჩვენ გარკვეული დრო უნდა დავუთმოთ ამ ურთიერთობების არსის შესწავლას. რას ვგულისხმობთ ურთიერთობებში? რანაირად უნდა შევავსოთ ისინი? აქ ყველაზე უფრო შალომის ბიბლიური ინტერპრეტაცია დაგვეხმარება. ნიკოლას უოლტერსტროფი მიგვითითებს, რომ შალომი, ძირითადად, ითარგმნება, როგორც მშვიდობა, მაგრამ მას უფრო ფართო მნიშვნელობა აქვს, ვიდრე ეს სიტყვა გადმოსცემს. უპირველეს ყოვლისა, შალომი გულისხმობს ურთიერთობებს "ღმერთთან; ადამიანებსა და ბუნებასთან ჰარმონიაში და სიყვარულში მშვიდობიან ცხოვრებას." გარდა ამისა, უოლტერსტროფის აზრით, ეს სიტყვა მოიცავს სამართლიანობისა და სიცოცხლით ტკბობის იდეასაც. შალომი გულისხმობს სამართლიან, ჰარმონიულ და სასიამოვნო ურთიერთობებს. შალომი ნიშნავს, ეკუთვნოდე ადამიანთა ისეთ საზოგადოებას, რომელშიც შეგიძლია იყო ისეთი, როგორიც სინამდვილეში ხარ; გასცე ისე, რომ არ გაღარიბდე და რეალიზაცია გაუკეთო შესაძლებლობებს. სამართლანობა, ჰარმონია და სიხარული — ასეთი შალომი მოაქვს იესოს, - მშვიდობა, რომელიც ამ სიტყვის ვიწრო გაგებას სცდება (უოლტერსტროფი, 1983, 69-72). შალომი არის ადამიანთა კეთილდღეობისა და აყვავების ბიბლიური იდეალი.

შალომის იდეა საინტერესოდაა ფორმულირებული იესოს მიერ თავისი მისიის აღწერისას: "მე მოვედი, რათა ჰქონდეთ სიცოცხლე და ჭარბადაც ჰქონდეთ" (იოანე, 10:10). სიცოცხლე არის იესოს მიზანი. ამისთვის ვართ შექმნილნი. იესო იმისთვის მოვიდა, რომ შესაძლებელი გახადოს ადამიანმა ამ სამყაროში სავსე სიცოცხლით იცხოვროს და სამართლიანი და ჰარმონიული ურთიერთობები ჰქონდეს. ეს არის სიცოცხლით ტკბობა, რომელიც სცდება მხოლოდ მატერიალური საგნების ფლობისაგან მიღებულ სიამოვნებას. მიუხედავად იმისა, რომ შალომი და კეთილდღეობა იდეალადაა დასახული, ეს უკანასკნელი მეორედ მოსვლის თვალსაზრისით ნაკლებად მნიშვნელოვანია, ხოლო შალომი მოიაზრება ჰარმონიულ და სავსე ცხოვრებად, რომელიც ადამიანთა უკეთესი მომავლის გააზრებისას საფუძვლად უნდა ავიღოთ.

ჰოლისტიკური ისტორია

განვითარების კონტექსტზე საუბრისას *ჰოლიზმი* მნიშვნელოვანი სიტყვაა ქრისტიანებისათვის. ძალიან ბევრ ასპექტზე სწორედ ჰოლისტიკურად უნდა ვიფიქროთ. უპირველეს ყოვლისა, თავიდან ბოლომდე უნდა გავიაზროთ და გვახსოვდეს ბიბლიური ისტორია. ზოგჯერ ჩვენ ვამოკლებთ ბიბლიურ ისტორიას და ვსაუბრობთ მხოლოდ იესოს დაბადებაზე, გარდაცვალებასა და მკვდრეთით აღდგომაზე. რასაკვირველია, ეს ისტორიის ქვაკუთხედია, მაგრამ არ არის მთელი ისტორია. იმისათვის, რომ სათანადოდ გავიაზროთ ადამიანთა ტრანსფორმაცია, ღარიბებისა და შეძლებულების სამყარო მთლიანი ბიბლიური ნარატივის კონტექსტში უნდა გავაანალიზოთ. ნათელი წარმოდგენა უნდა გვქონდეს თავდაპირველი განზრახვის შესახებ, როგორ მივედით დღევანდელ მდგომარეობამდე, რისი გაკეთება უწევს ღმერთს, რომ ეს ყველაფერი შეცვალოს და რისი გაკეთება შეგვიძლია ან არ შეგვიძლია, როგორც ამ ისტორიის მონაწილეებს. ამგვარად, ჩვენ ეს ისტორია ჰოლისტიკურად უნდა გავაცნობიეროთ.

მთლიანი ისტორიის ცოდნა იმიტომაც არის მნიშვნელოვანი, რომ იგი ეხმარება ადამიანებს, რომლებსაც ეს ისტორია არ გაუთვალისწინებიათ სახარების სწორად გაგებაში. ზოგადად, ძნელია ნებისმიერი ისტორიის გაგება, თუ მისი მთხრობელი ამ ისტორიას შუიდან გვიყვება. მაგალითად, თუ ადამიანებს ვეუბნებით, რომ იესო გარდაიცვალა, რათა მათი ცოდვები გამოესყიდა, ადამიანისათვის, რომელსაც არ ესმის, რომელ ღმერთზე ესაუბრები ან რა ცოდვა გაქვს მხედველობაში, ძნელი გასაგებია. ადამიანები, რომლებიც ისტორიას ასეთი სახით გადასცემენ სხვებს, კვეცენ მის მთელ აზრს. ჩვენ ჰოლისტიკური დამოკიდებულება გვჭირდება მარადიულობის ასპექტთან. ღვთის მიერ ხსნა გულისხმობს სიცოცხლის გაგრძელებას ამ ისტორიის დასასრულის მიღმაც. თუ ჩვენ დაგვავიწყდება ეს მარადიული შესაძლებლობა, ან მას მხოლოდ სულიერ სფეროდ აღვიქვამთ, არასწორად გავიგებთ ძალიან მნიშვნელოვან ასპექტს, რაც განვითარების კონტექსტსაც ავნებს.

მარადიული ცხოვრების პერსპექტივის გარეშე ადამიანთა პროგრესი შეზღუდულია სივრცესა და ისტორიაში. არსებობს შესაძლებლობა, რომ ის, უბრალოდ, დოვლათის დაგროვებამდე დავიდეს. კაცობრიობა დაკარგავს სტიმულს, ემსახუროს უფრო მაღალ იდეალებსა და ქველმოქმედებას. ადამიანი არ ვითარდება დამოუკიდებლად, მხოლოდ თავისი შესაძლებლობების წყალობით (CV, no. 11).

ჩვენ გვჭირდება ადამიანებისადმი ჰოლისტიკური დამოკიდებულება. ეს კიდევ ერთხელ შეგვახსენებს, რომ უფალი არ აცალკევებს ადამიანს თავისი ოჯახისაგან, საზოგადოებისაგან, უფრო დიდი სოციალური სისტემებისაგან, რომელთა ნაწილიც ის არის. რასაკვირველია, ადამიანი უპირველესი მნიშვნელობისაა. ნებისმიერი ტრანსფორმაციის დასაწყისია გარდაქმნილი ადამიანი, ანუ სახარების გავლენით ღმერთს ზიარებული ადამიანი. მხოლოდ სოციალური სისტემების ტრანსფორმაციით ეს ვერ მიიღწევა. “ვერც ერთ სოციალურ სისტემაში, რომელშიც ძალაუფლება აკონტროლებს ძალაუფლებას და ანარქია დამორჩილებულია, ვერ ჩამოყალიბდება ძალაუფლების მოპოვების სურვილისაგან თავისუფალი ადამიანი” (უინქი, 1992, 77). შესაბამისად, ქრისტიანული ტრანსფორმაციული განვითარება გვერდს ვერ აუვლის იესოსა და

უფლის სასუფევლის თემას. ინდივიდუალისტური მიდგომა სრულად არ ასახავს იესოს მიერ ხსნისაკენ მიმართული ძალისხმევის მნიშვნელობას.

სოციალური სისტემები ადამიანების მიერ იქმნება და ადამიანებისაგან შედგება, მაგრამ უფრო მეტია, ვიდრე, უბრალოდ, ადამიანთა ჯგუფი, რომელიც ამ სისტემებშია წარმოდგენილი. კორპორაციებს, სამინისტროებსა და ეკლესიასაც აქვთ მახასიათებლები ან კულტურა, რომელიც უფრო მეტია, ვიდრე ამ სტრუქტურებში მოღვაწე ადამიანების ჯამი. უინქი ამ კულტურას ან ორგანიზაციის არსს ძალაუფლების თაობაზე ბიბლიური თვალსაწიერიდან გვიხნის: "ბიბლიაში ასახული ძალაუფლების მქონე ინსტიტუტების უკან მოიაზრება პოლიტიკური, ეკონომიკური, რელიგიური და კულტურული ინსტიტუტები" (უინქი, 1992, 78). როგორც უკვე აღვნიშნეთ, ადამიანის ცხოვრების სოციალურ ასპექტებსაც ღმერთის მიერ ხსნა სჭირდება. იესოს მოწოდება იყო ერების გარდაქმნა და მათი ქრისტიანებად ჩამოყალიბება. ეს მოწოდება გვეუბნება, რომ უნდა მოვნათლოთ ერები საპიროვანი ღმერთის სახელით: "ასწავლეთ მათ დაიცვან ყველაფერი, რაც გამცნეთ" (მათე, 28:20). რა გვამცნო იესომ? გვიყვარდეს ღმერთი და მოყვასი, როგორც საკუთარი თავი გიყვარს. თეოლოგი ქვამე ბედიაკო ამ მცნების კარგ ინტერპრეტაციას იძლევა: "ყველაზე მნიშვნელოვანი გზავნილი გულისხმობს ერების სწავლებას, კონვერსიას, რომელიც ადამიანებს ერებად აქცევს, საერთო მიზნებისა და მისწრაფებების, თვალსაზრისის, კულტურული, სოციალური და ეკონომიკური აზროვნებისა და პრაქტიკის ჩამოყალიბების პროცესს. ყოველივე ზემოხსენებულის ერთობლიობაზე ვრცელდება იესოს მოწოდება" (ბედიაკო, 1996ბ, 184).

მინდა შეგახსენოთ ჰიბერტის სამგანზომილებიანი სქემა, რომელიც ნაშრომის I თავის 1-2 დიაგრამაშია წარმოდგენილი. იესოს ძალისხმევა ამ სამივე სფეროსკენაა მიმართული. მხოლოდ ის ღმერთია ჭეშმარიტი, რომელიც სხვა "ღმერთებზე" ძლევამოსილია, რომელსაც უყვარს კაცობრიობა და იღვწის რეალური სამყაროს გაუმჯობესებისათვის. მისი ხსნა მიმართულია ჭეშმარიტების მოძიებისაკენ, უფლებამოსილების მინიჭებისა და სიყვარულის გამოვლინებისაკენ. სახარება სამივე დონეზე ვრცელდება.

მინდა შევეხო ჰოლიზმის კიდევ ერთ ასპექტს. იესოსა და უფლის სასუფევლის შესახებ სახარება არის გზავნილი სიცოცხლის, საქმის, სიტყვის, ნიშნის ერთიანობის შესახებ. მარკოზი აღწერს მოციქულებთან იესოს საუბარს და ამბობს: "აირჩია თორმეტი, რომ მასთან ყოფილიყვნენ და საქადაგებლად წარგზავნა ისინი, რათა სნეულთა განკურნებისა და ეშმაკთა განდევნის ძალა ჰქონოდათ" (მარკოზი, 3:14-16). როდესაც მოციქულები პირველად წარგზავნეს თავიანთი მისიის შესასრულებლად, მარკოზი ამბობს: "და წავიდნენ ისინი სინანულის საქადაგებლად, აძევებდნენ ეშმაკებს, ზეთს სცხებდნენ და კურნავდნენ უამრავ სნეულს" (მარკოზი, 6:12-13).

ზოგი პრაქტიკოსი ქადაგებს, კურნავს და ეშმაკებს აძევებს, მაგრამ ავიწყდება, რომ იესოს უმთავრესი მოწოდება იყო "იესოსთან ერთად ყოფნა." ყოფნა წინ უნდა უძღვოდეს კეთებას.

მიმაჩნია, რომ სასარგებლოა სახარების გზავნილის პირამიდის ფორმით წარმოდგენა. პირამიდის მწვერვალში განთავსდება იესოსთან ყოფნა, მის მიერ დათქმული წესით ცხოვრება. ეს ურთიერთობა ყველა ქვემდგომ ურთიერთობას განსაზღვრავს. პირამიდის ყოველი კუთხე სახარების ერთ-ერთი ასპექტია: სახარება, როგორც სიტყვა; სახარება, როგორც საქმე და სახარება, როგორც ნიშანი.

თავის მხრივ, ყოველი ეს ასპექტი შეიძლება ცალკე განვავრცოთ. სახარება, როგორც სიტყვა, ნიშნავს ქადაგებას, თეოლოგიას. სახარება, როგორც საქმე, გულისხმობს ფიზიკური, სოციალური და ფსიქოლოგიური კეთილდღეობის მიღწევისაკენ მიმართულ ქმედებებს. ძალიან ბევრი ქრისტიანი მიიჩნევს, რომ ტრანსფორმაციის მისაღწევად მხოლოდ ამ სფეროში უნდა იმოღვაწეონ. სახარება, როგორც ნიშანი, გულისხმობს ნიშნებსა და სასწაულებს, ანუ იმას, რისი გაკეთებაც მხოლოდ ღმერთს შეუძლია და, ასევე, ეკლესიის მოღვაწეობას, რადგანაც იგი განსახიერებაა უფლის სასუფევლისა, რომელიც ჯერ არ გარდამოსულა.

პირამიდის მეტაფორა ძალიან გვეხმარება, რადგანაც შეუძლებელია პირამიდის კუთხე ჩამოანგრიო და იგი კვლავ პირამიდად დარჩეს. იმისათვის, რომ სახარება მთლიანობაში აღვიქვათ, მისი ოთხივე ასპექტი უნდა გავითვალისწინოთ — ცხოვრება, საქმე, სიტყვა და ნიშანი. ეს ასპექტები, ისევე როგორც ქრისტიანული სახარების ჰოლიზმი, განუყოფელია (დიაგრამა 3-6).

ტექნოლოგიისა და მეცნიერების როლი ისტორიაში

თანამედროვეობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ასპექტი ისაა, რომ მეცნიერებამ დაკარგა თავისი ნამდვილი დანიშნულება (პოსტმენი, 1997, 29-32). მეცნიერება და ტექნოლოგია ვერ მოგვცემს პასუხს ყველა შეკითხვაზე. მეცნიერება გვეხმარება მივხვდეთ, თუ როგორ მუშაობს რაღაც, მაგრამ იგი ვერ აგვიხსნის, თუ რატომ ან რისთვის მუშაობს ეს რაღაც. "მეცნიერება ვერ ქმნის, რადგანაც მეცნიერება შეფასებითი განსჯისაგან თავისუფალია, იგი არ ოპერირებს ისეთი კატეგორიებით, როგორებიცაა: რა უნდა იყოს ან რა უნდა ყოფილიყო."



დიაგრამა 3-6: ღვთის სასუფევლის სახარება: ყოფნა, ქადაგება, განკურნება და გათავისუფლება

"მეცნიერებას შეუძლია ეფექტურად და უმოწყალოდ დაშალოს და დაა-აცალკევოს რაღაც, თუმცა ალტერნატიულ მთლიანს ვერ შექმნის" (შენკი, 1993, 67).

ყოველთვის ასე როდი იყო. იყო დრო, როდესაც მეცნიერება უფრო დიდი კონტექსტის ნაწილს წარმოადგენდა. პოსტმენი შეგვახსენებს, რომ "მეცნიერების პირველი შემქმნელები, მაგალითად, დეკარტი, ბეკონი, გალილეი, კეპლერი და ნიუტონი არ მოიაზრებდნენ თავიანთ მეცნიერებას, როგორც იუდაიზმ-ქრისტიანობის ნარატივის ჩამანაცვლებელ ნარატივს, არამედ მას რელიგიის გაგრძელებად აღიქვამდნენ" (1997, 31). მეცნიერებისა და ტექნოლოგიის განვითარების შუა პერიოდში გაჩნდა მოსაზრება, რომ მეცნიერებას ბევრი რამის ახსნა შეეძლო და უფლის ნების ამ პროცესის ნაწილად გააზრება აღარ იყო საჭირო. ღმერთი უაღრესად მარგინალური გახდა მეცნიერების ისტორიაში, ბოლოს კი მისი სრული იგნორირება მოხდა. დღეს მეცნიერება და ტექნოლოგია საკუთარ თავს ასე მოიაზრებს: ჩვენ შეგვიძლია არსის ახსნა, კიდევ რაღასა აქვს მნიშვნელობა? ისეთი ცნებები, როგორებიცაა ურთიერთობები, ეთიკა, სამართლიანობა – გვერდზეა გადადებული. დიახ, მეცნიერება და ტექნოლოგია ტრანსფორმაციის განუყოფელი ნაწილებია. ვაქცინაცია, ჭაბურღილები, სოფლის მეურნეობის მოდერნიზაცია, მკვიდრი მოსახლეობის გამოცდილება, მეცნიერება პოზიტიურ ზეგავლენას ახდენს ღარიბი ადამიანების ცხოვრებაზე. ტრანსფორმაციული განვითარების ქრისტიანული დოქტრინა სათანადოდ უნდა აცნობიერებდეს მეცნიერებისა და ტექნოლოგიის პოზიტიურ როლს, მაგრამ იმისთვის, რომ მეცნიერება და ტექნოლოგია ქრისტიანული იყოს, იგი არ უნდა დადგეს ბიბლიური ისტორიის მიღმა, რადგანაც სწორედ ეს უკანასკნელია ჭეშმარიტი ისტორია. ჩვენ სამყაროს შქმნის თანამედროვე და მეცნიერული ახსნა გვჭირდება (მერფი, 1995, 325). თუ ჩვენ ჭეშმარიტად ქრისტიანულ ნარატივს არ შევქმნით მეცნიერებისა და ტექნოლოგიისთვის, ისეთს, რომელიც აღიარებს ღმერთის წვლილს მეცნიერებასა და ტექნოლოგიაში და რომელიც მეცნიერებას ადამიანის ყოფისა და ურთიერთობების გაუმჯობესების თვალსაზრისით განიხილავს, ღარიბებს მხოლოდ მშრალ მეცნიერებას შევთავაზებთ, ანუ ისეთ მიდგომას, რომელსაც დღეს დასავლეთი აღარიბებს. ამ თემას კიდევ უფრო დეტალურად ქრისტიანობის მქადაგებლების ნაწილში განვიხილავთ.

ბიბლიური ისტორია ყველასთვისაა განკუთვნილი

როდესაც ღარიბების დასახმარებლად ვემზადებით, არ უნდა დავივიწყოთ, რომ ბიბლიური ისტორია ყველას ისტორიაა, ღარიბებისაც და შეძლებულებისაც. ყველა ღვთის ხატების მსგავსადაა შექმნილი, ყველამ განიცადა ცოდვით დაცემის შედეგები, ღმერთი ყველას მიუტევებს და იხსნის. სახარება და უფლის სასუფეველი ყველასთვისაა განკუთვნილი. ერთადერთი განსხვავებაა სოციალური მდგომარეობა. ღარიბები სოციალური სისტემის პერიფერიაზე იმყოფებიან, ხოლო შეძლებულები, მაშინაც კი, როდესაც ღარიბ საზოგადოებაში ცხოვრობენ, პრესტიჟსა და ძალაუფლებას ფლობენ.

ღმერთის ისტორია ყველას ეკუთვნის, მაგრამ ორი მიზეზის გამო იქმნება შთაბეჭდილება, რომ იგი თითქოს უფრო ღარიბებისათვისაა განკუთვნილი. უპირველეს ყოვლისა, შეძლებულებისათვის ძალიან ძნელია, რომ ბიბლიური

ისტორია საკუთარ ისტორიად აღიქვან (ლუკა, 18:18-30). სიმდიდრისა და ძალაუფლების ზეგავლენით ადამიანებს არ ესმით ღარიბების ხმა და ვერ აღიქვამენ მათ პრობლემებს (ლუკა, 8:14). შეძლებულ ქრისტიანებსაც კი უჭირთ ამ ისტორიის მიხედვით ცხოვრება. ძალიან მაღალია ცდუნება, მოარგო ეს ისტორია საკუთარ სიმდიდრესა და პრივილეგირებულ მდგომარეობას. შეძლებულმა ქრისტიანებმა ბიბლიური ისტორია უნდა გაითავისონ არა როგორც მისმა მფლობელებმა, არამედ როგორც ამ ისტორიის ხელშემწყობმა ადამიანებმა, რომლებიც ღმერთს ემსახურებიან. ხანდახან ეკლესიასაც ავიწყდება ხოლმე ეს ასპექტი.

მეორე: სწორედ ღარიბები აღიარებენ ღმერთის ისტორიას და მას საკუთარ ისტორიასთან აიგივებენ. ეკლესია ისტორიის ხანგრძლივი მონაკვეთის განმავლობაში პერიფერიაში უფრო ვითარდებოდა, ვიდრე ცენტრში (უოლსი, 1987). ღმერთი არაერთგზის ამბობს, რომ ქვრივების, ობოლთა და მარგინალიზებული ადამიანების დახმარება მისდამი ერთგულებისა და რწმენის საზომია (ფსალმუნი, 72, 82). ისტორია, რომელშიც ღარიბები დავიწყებული, იგნორირებულები და ბედის ანაბარა არიან მიტოვებული, არ შეესაბამება ბიბლიურ ისტორიას. თუ ღარიბები მივიწყებულები არიან, ღმერთიც მივიწყებული იქნება. უფლისა და მოყვასის სიყვარული ერთი მცნების შემადგენელი ნაწილებია, რომელიც ადამიანთა კეთილდღეობის წინაპირობაა.

თუ ბიბლიური ისტორია ღარიბებისა და შეძლებულებისათვისაა განკუთვნილი, მაშინ ორივეს პრობლემები ღმერთის პერსპექტივიდან უნდა გავაანალიზოთ. გარდა ამისა, უნდა დავინახოთ ურთიერთკავშირები მათ პრობლემებს შორის. ტრანსფორმაციული განვითარების ნებისმიერი თეორია ან პრაქტიკა უნდა ეფუძნებოდეს იმ კვლევის შედეგებს, რომლების ჩატარებულია სოციალური სისტემების გარშემო ამ სისტემების ფარგლებში მოქცეული ღარიბებისა და შეძლებულების პრობლემებზე. ეს დაგვეხმარება სიღარიბის არსისა და მიზეზების გამოვლენაში. უნდა გავიგოთ, ვინ არიან ღარიბები და რატომ არიან ისინი ღარიბები, ისევე როგორც უნდა გავიგოთ, თუ ვინ არიან შეძლებულები და რა ზეგავლენას ახდენენ ღარიბი ადამიანების სიღარიბეზე. ჩვენ ახლა ბიბლიური და თეოლოგიური თვალსაზრისით მზად ვართ, რომ ზემოხსენებული საკითხები გავაანალიზოთ.

სასარგებლო რესურსები

ბელშოუ, რობერტ კალდერისი და კრის სუგდენი, 2001. *რწმენა განვითარებაში: პარტნიორობა მსოფლიო ბანკსა და აფრიკის ეკლესიებს შორის.* ვაშინგტონი, კოლუმბიის ოლქი, მსოფლიო ბანკი.

ბერნარდ ბრეიდი, 2008. *კათოლიკური სოციალური მრწამსი.* მარიკნოლი, ნიუ იორკი, გამომცემლობა Orbis Books.

სიუზან ჰოლმენი, 2008. *სიღარიბე და სიმდიდრე ეკლესიისა და საზოგადოების განვითარების ადრეულ ეტაპზე.* Grand Rapids, MI: Baker.

დუი ორუელ ჰაჯესი, 2008. *ღარიბები და ძალაუფლება: ღვთისა და ადამიანების განგება ღარიბების სამყაროში*; Downers Grove, IL: InterVarsity Press Academic.

დუი ორუელ ჰაჯესი, მეტიუ ბენეტი, 1998. *ღარიბების ღმერთი.* Carlisle, UK: OM Publishing.

4

სიღარიბე და ღარიბები

სიღარიბე მნიშვნელოვანი სიტყვაა განვითარების სააგენტოების ლექსიკონში. ჩვენ იმისათვის ვარსებობთ, რომ რეაგირება მოვახდინოთ ჩვენ გარშემო არსებულ მატერიალურ სიღარიბეზე და დავეხმაროთ ღარიბებს. იმავდროულად, *სიღარიბის* მნიშვნელობა სრულიად გასაგებად მიგვაჩნია. როდესაც ტელევიზიით სიღარიბის თაობაზე რეპორტაჟებს ვუყურებთ ან ისტორიებს ვუსმენთ, ადვილად ვხვდებით, რაზეა საუბარი. მაშინ რატომ გვჭირდება სიღარიბის თავიდან განსაზღვრა?

როდესაც რაღაც აბსტრაქტულ არსებით სახელს მნიშვნელობას ვაკუთვნებთ, ამ მნიშვნელობაში აისახება, თუ როგორ მოვიაზრებთ ამ რაღაცას სამყაროში. შესაბამისად, ჩვენ უნდა გავაანალიზოთ, თუ როგორ გვესმის სიღარიბე და რას ვფიქრობთ და ვგრძნობთ ღარიბების მიმართ. ჩვენ თავიდან უნდა შევაფასოთ ჩვენი ვარაუდი, დამოკიდებულება და გამოვავლინოთ ის სიცარიელეები, რომლებიც შევსებას საჭიროებს. სოციოლოგები სიღარიბეს დიდი ხანია სწავლობენ. განვითარების სფეროს თეორეტიკოსები საველე კვლევებს ატარებენ და შემდეგ იმ მონაცემების კოდიფიცირებას ახდენენ, რომლებიც ასეთი კვლევების შედეგად გამოვლინდება. სიღარიბის განსაზღვრისას სწორედ ეს კვლევები და ნაშრომები უნდა გავითვალისწინოთ. მოცემულ თავში წარმოდგენილია სიღარიბის პრობლემის მიმოხილვა და ისეთი ასპექტების ხელახალი გააზრება, როგორებიცაა: ვინ არიან ღარიბები და რატომ არიან ისინი ღარიბები.

საიდან უნდა დავიწყოთ საუბარი?

ჩვენ, ალბათ, კიდევ ერთხელ უნდა შევახსენოთ საკუთარ თავს, რომ სიღარიბე არის იმ ადამიანების მდგომარეობა, რომლებსაც ჩვენ აბსტრაქტულად აღვწერთ როგორც "ღარიბებს." ადამიანების რომელიმე კატეგორიისადმი მიკუთვნება და რაღაც იარლიყის მიწებება, გარკვეულწილად, ყოველთვის სახიფათოა. ჩვენ შეიძლება დაგვავიწყდეს, რომ ღარიბი ადამიანი არ არის აბსტრაქტული ცნება, არამედ ღარიბები არიან ადამიანები, რომლებსაც აქვთ სახელები, რომლებიც ღვთის ხატის მსგავსად არიან შექმნილი და რომლებისთვისაც იესო ეწამა. ადამიანები, რომლებიც სიღარიბეში ცხოვრობენ, ისეთივე მნიშვნელოვანი და ღირებულები არიან, როგორებიც დანარჩენები.

რატომ არის მნიშვნელოვანი ამის შეხსენება? იმიტომ, რომ ჩვენ არც თუ იშვიათად თავს უფლებას ვაძლევთ, ვიფიქროთ ღარიბებზე, როგორც ადამიანთა ჯგუფზე, რომლებიც უმწეოები არიან და, შესაბამისად, თავს ნებას ვაძლევთ მათ ზემოდან ვუყუროთ, ხოლო ზოგჯერ ღმერთის როლიც კი ვითამაშოთ მათ ცხოვრებაში. ღარიბების კატეგორია, პრაქტიკულად, პერსონიფიცირების საშუალებას არ გვაძლევს. ჩვენ ზოგჯერ ამ კატეგორიას განვიხილავთ როგორც ჩვენი მოწყალების ობიექტს, ხოლო უკიდურეს შემთხვევებში - როგორც საგანს, რომელთან მიმართებითაც გვგონია, რომ ვიცით, თუ რა უნდა გაკეთდეს. ჩვენ, ანუ არაღარიბები, საკუთარ თავზე ვიღებთ ამ კატეგორიის აღწერას და შემდეგ ზედსართავებს ვიყენებთ: *უსახლკარო, უმწეო, მიუსაფარი, მარგინალიზებული* და *სხვა*. როდესაც ღარიბებს აბსტრაქტული არსებითი სახელით მოვიაზრებთ, გულმოწყალე ადამიანები ცდილობენ მათ დაეხმარონ, მაგრამ, იმავდროულად, ეს სურვილი ისეთ "მოდურ" იდეებსა და პრაქტიკაში გადაიზრდება ხოლმე, როგორიცაა "სიღარიბის აღმოფხვრის" ინიციატივები. ასეთ შემთხვევაში ღარიბები სახელმწიფოს მეურვეობის ქვეშ ხვდებიან, პროფესიული კვლევების ობიექტს წარმოადგენენ, ან ისეთ სოციალურ ჯგუფად მოიაზრებიან, რომლის ორგანიზება, გათავისუფლება ან განვითარებაა საჭირო. როდესაც ადამიანები აბსტრაქციამდე დაგვყავს და გვავიწყდება, რომ მათ სახელები აქვთ და ადამიანები არიან, კიდევ უფრო ვამძიმებთ მათ მდგომარეობას და საკუთარ თავსაც ვაღარიბებთ. როდესაც ვცდილობთ სიღარიბე ქრისტიანული პერსპექტივიდან განვსაზღვროთ, უნდა გვახსოვდეს, რომ ისინი არიან ადამიანები, რომლებსაც აქვთ სახელი, რომლებსაც ღმერთმა მისცა გარკვეული ნიჭი, უნარი და რომელთა შორისაც და ვისთან ერთადაც იყო ღმერთი მანამდე, სანამ ჩვენ გამოვჩნდებოდით სცენაზე.

ვინ არიან ისინი?

იესომ თავის მოციქულებს ჰკითხა – "თქვენ თვითონ ვინღა გგონივართ?" (მარკოზი, 8:29). შეკითხვაზე მან ბევრი განსხვავებული პასუხი მიიღო. უმეტესობა იმას ხედავდა მასში, რის დანახვასაც მოელოდა — ელიას ან რომელიმე სხვა მოციქულს. მხოლოდ პეტრემ დაინახა მასში მესია. ამის დანახვაში მას სულიწმინდა დაეხმარა. ადამიანებს სჩვევიათ დაინახონ ის, რასაც მოელიან, რისი დანახვაც სურთ. შესაბამისად, ღარიბების სამყაროს შესწავლამდე საკუთარი თავის შესწავლა უნდა დავიწყოთ.

ჩვენ ღარიბებს ვუყურებთ ქრისტიანების, დასავლელების, განვითარების სფეროს პროფესიონალების, ქალაქებში მცხოვრები ადამიანების თვალსაწიერიდან. ჩვენ მათ ჩვენი პიროვნების პრიზმიდან და იმ კულტურის პერსპექტივიდან ვუყურებთ, რომლიდანაც თავად მოვდივართ. იმ ფაქტზე, თუ რას ვხედავთ და რას ვერ ვამჩნევთ, მრავალი სხვადასხვა ასპექტი ახდენს ზეგავლენას. ჩვენ ნათლად უნდა გამოვთქვათ ჩვენი ვარაუდები და მოსაზრებები და ღმერთს ვთხოვოთ დაგვეხმაროს, რომ სწორად დავინახოთ ღარიბები და ის მდგომარეობა, რომელშიც ისინი სინამდვილეში იმყოფებიან.

ზედსართავები, რომლებიც, ზოგადად, ღარიბებთან მიმართებით გამოიყენება, უმეტესწილად, უარყოფითი მნიშვნელობის მქონეა და ნეგატიურ იარლიყს აწებებს ამ ადამიანებს. მაგალითად: ბინძური, გაუნათლებელი, უუნარო, უიმედო, ზარმაცი, ცრუმორწმუნე, დაჩაგრული, მარგინალიზებული და სხვა.

ახლა შეგვიძლია საკუთარ თავს დავუსვათ შეკითხვა – ნამდვილად მიესადაგება ეს იარლიყები იმ ღარიბ ადამიანებს, რომლებსაც ვიცნობთ? რასაკვირველია, არა. ეს მიკერძოებული დამოკიდებულება ამ გზით გამოაშკარავდება. ამავე მიდგომის გამოყენება შეგვიძლია მაშინაც, როდესაც ვცდილობთ პასუხები მოვიძიოთ შეკითხვებზე: *რატომ არიან ადამიანები ღარიბები? იმ კულტურის თვალსაწიერიდან, რომლიდანაც ჩვენ მოვდივართ, რა მიგვაჩნია სიღარიბის გამომწვევ მიზეზებად?* და ასე შემდეგ. ჩვენი მიკერძოებულობის სააშკარაოზე გამოტანა უაღრესად მნიშვნელოვანია, რადგანაც მხოლოდ ამ გზით გახდება შესაძლებელი იმ პრიზმის შეცვლა, რომელსაც ტრანსფორმაციის საფუძვლად ვიყენებთ. ჩვენ უნდა დავძლიოთ დაბრკოლებები, რომლებიც ხელს გვიშლის რეალობის სწორად დანახვასა და შეფასებაში.

ვინ ხართ თქვენ?

განვითარების სფეროს წარმომადგენლებისათვის ეს შეკითხვა უაღრესად მნიშვნელოვანია. ჩვენ ღარიბებისა და სიღარიბის შესახებ უზარმაზარი ინფორმაციით მივდივართ ადამიანებთან. როგორც ვინაი სამუელი ამბობს,

> "განვითარების სფეროს პროფესიონალის ფორმირება იმის მიხედვით ხდება, თუ როგორ ესმის მას პროგრესი, ჯანდაცვა, თანამედროვე განათლება, დემოკრატია, საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობა, გადაწყვეტილებების მიღება, ბაზარი, ეკონომიკური პრინციპები და პერსპექტივები" (1995, 153).

ასეთი მიდგომისა და თვალსაზრისისათვის სახელის დარქმევა უაღრესად მნიშვნელოვანია იმისთვის, რომ ნათლად გავიაზროთ – ღარიბების საზოგადოებაში მათ დასახმარებლად მივდივართ. როგორც პროფესიონალებს, ჩვენ კიდევ ერთი მიკერძოებული აზრი გვაქვს, რომელიც შეიძლება დესტრუქციული აღმოჩნდეს, თუ მას სახელს არ დავარქმევთ. რობერტ ჩემბერსი (1997, 78-83) ოთხ პრობლემურ სფეროზე საუბრობს:

წინასწარი განწყობა: განვითარების სფეროს ყველა მუშაკს საკუთარი წინასწარი განწყობა აქვს. ძალიან მაღალია ცდუნება, რომ ადამიანებს თავზე მოვახვიოთ ჩვენი აზრი იმის თაობაზე, თუ რა მდგომარეობაა ამჟამად და რა უნდა გაკეთდეს, რომ იგი გაუმჯობესდეს. ბოლოს და ბოლოს, ჩვენ ბევრი გვისწავლია და ბევრი საველე სამუშაო ჩაგვიტარებია იმისთვის, რომ პროფესიული დახმარება გავუწიოთ ღარიბებს.

დომინირება: ყველა ჩვენგანს აქვს შინაგანი სურვილი, იყოს ვიღაცაზე მაღლა და დომინანტური პოზიცია ჰქონდეს. ეს შეიძლება ადამიანის პიროვნებით ან კულტურით იყოს განპირობებული. ის, რომ ვიცით წერა-კითხვა, ჩვენი აზრების ნათლად ჩამოყალიბება, მათი წერილობითი ფორმით გადმოცემა, რთული პრობლემების დიაგრამების სახით წარმოჩენა, მანქანით ან მოტოციკლით სიარული, მნიშვნელოვან ადამიანებთან შეხვედრა, იმის დემონსტრირებაა, რომ ჩვენ გვაქვს ძალაუფლება და პრივილეგიები და ეს ყველაფერი ჩვენს განუყოფელ ნაწილად მიგვაჩნია.

დისტანცირება: განვითარების სფეროს სპეციალისტები ხშირად გეოგრფიული და ფსიქოლოგიური თვალსაზრისით შორი მანძილიდან მუშაობენ. ღა-

რიბებთან მუშაობას ჩვენ "საველე სამუშაოებს" ვუწოდებთ. ჩვენი ოფისები ქალაქებშია განლაგებული, სადაც გვაქვს ელექტრონული ფოსტა, ტელეფონი, კომპიუტერი და სადაც "სამუშაო სრულდება." გარდა ამისა, ენობრივი პრობლემა, განსხვავებები კულტურაში, წესებში, პრობლემების გადაწყვეტის გზებში კიდევ უფრო ამძაფრებს ამ დისტანცირებას.

უარყოფა: როდესაც ღარიბების რეალური სამყარო წინააღმდეგობაშია იმასთან, თუ ვინ ვართ, რას გვასწავლიან ან რისი გვწამს, ჩვენი რეაქცია ხშირად ამ რეალობის უარყოფაა. ჩვენ ვცდილობთ სხვა, მაგრამ ჩვენთვის მისაღები, ჩარჩოები მოვირგოთ და სხვანაირად მოვიაზროთ რეალობა, რომელიც ჩვენს წარმოდგენებს ეწინააღმდეგება. ადამიანებისათვის დამახასიათებელი ასეთი რეაქცია საშუალებას გვაძლევს ავიცილოთ პრობლემები და არ შევიცვალოთ აზრი, არამედ, პირიქით, ვაიძულოთ ღარიბები, რომ ისინი მოერგონ ჩვენს აზრს. ამგვარად, პრობლემის მოაზრება საკუთარი თავიდან უნდა დავიწყოთ. "შეიცან თავი შენი!" ძალიან მნიშვნელოვანი პოსტულატია განვითარების სფეროს სპეციალისტისათვის. ჩვენ გარკვეული დრო უნდა დავუთმოთ იმის გააზრებას, თუ რანაირია სამყარო, რატომ არის ის ასეთი, რისი გაკეთება შეგვიძლია, რომ იგი გავაუმჯობესოთ. ეს ღარიბების ცხოვრებას გააადვილებს და ჩვენი მუშაობაც უფრო ეფექტური გახდება.

ქრისტიანული ხედვა ღარიბების შესახებ

რადგანაც წინამდებარე წიგნი სიღარიბისა და ტრანსფორმაციისადმი ქრისტიანული მიდგომის საკითხს ეძღვნება, ღარიბების თაობაზე ჩვენი მოსაზრებების განხილვა უნდა დავიწყოთ საკითხიდან, თუ როგორ მოიაზრებენ ქრისტიანები ღარიბებს. რიჩარდ მოუმ (1989, 20-34) ამ საკითხზე ქრისტიანული მსოფლმხედველობის მარტივი ტიპოლოგია შემოგვთავაზა (იხილეთ დიაგრამა 4-1).

ღარიბები, როგორც ღვთის ხატების მსგავსად შექმნილი ადამიანები: ეს აზრი სამყაროს შექმნის ისტორიას ეყრდნობა და ღარიბების შესახებ, ცოტა არ იყოს, რომანტიკულ წარმოდგენებს შეიცავს. მათი სიღარიბე ახსნილია უნარებისა და შესაძლებლობების ნაკლებობით. ანუ, მათ სჭირდებათ მხარდაჭერა.

ღარიბები, როგორც საზოგადოების წინააღმდეგ აჯანყებული ადამიანები: ამ მოსაზრების თანახმად, სიღარიბის მიზეზად ცოდვით დაცემა მოიაზრება. ისინი ზარმაცები არიან და ცუდ არჩევანს აკეთებენ. ღარიბებმა უნდა მიიღონ სახარება, იმუშაონ და უკეთესი არჩევანი გააკეთონ. პირადი პასუხისმგებლობა ყველაზე საკვანძო ასპექტია.

ღარიბები, როგორც იესოს ინკარნაცია: ეს აზრი მათეს სახარებაში (25) აღწერილ ინკარნაციასა და დედა ტერეზას მიდგომას ემყარება, რომელიც "იესოს ხედავს ღარიბების სამოსში გადაცმულს." ღარიბებს აკლიათ სიყვარული და ურთიერთობები, ისინი არ აღიქმებიან საზოგადოების ნაწილად. ღარიბებს დახმარება სჭირდებათ და მაქსიმალურად უნდა ვეცადოთ, რომ შევუმსუბუქოთ ტანჯვა.

ღარიბები, როგორც ღმერთის რჩეულები (ფავორიტები): ეს აზრი გამოსვლთას შესახებ წინასწარმეტყველების ნარატივს ეყრდნობა. ღარიბები დალოცვილები არიან უფლის მიერ, რადგანაც უფლის სასუფეველი მათი იქნება.

აზრი ღარიბების შესახებ	თეოლოგიური ჩარჩო	საკვანძო ბიბლიური ტექსტები	გამონათქვამები	რატომ არიან ისინი ღარიბები	ქრისტიანების რეაგირება
ღარიბები ღვთის ხატის მსგავსად არიან შექმნილი	დაბადება	დაბადება 1-2	ღარიბები, როგორც შემოქმედებითი ადამიანები .	ღარიბებს არა აქვთ უნარები, ცოდნა და შესაძლებლობები.	ღარიბების უფლებამოსილების გაზრდა, რათა ისინი პროდუქტიულები გახდნენ
ღარიბი ადამიანები საზოგადოების წინააღმედგ არიან აჯანყებულნი	ცოდვით დაცემა	დაბადება 3, ანდაზები	ღარიბები ზარმაცები არიან, ცუდ არჩევანს აკეთებენ, ღმერთი იმათ ეხმარება, ვინც საკუთარ თავს ეხმარება	ღარიბები ჯანყდებიან და მათი კულტურა უწყობს ხელს მათ სიღარიბეს	ღარიბებს სახარება უნდა ვასწავლოთ, რათა მათ უკეთესი არჩევანი გააკეთონ
ღარიბები, როგორც იესოს ინკარნაცია	ინკარნაცია	სახარება	იესო ღარიბის ტანსაცმელში. რა გაგიკეთებია ყველაზე მიუსაფრისათვის. . .	ღარიბებს აკლიათ სიყვარული.	ღარიბებს დახმარება და ტანჯვის შემსუბუქება სჭირდებათ
ღარიბები, როგორც ღმერთის ფავორიტები	წინასწარმეტყველური, ესქატოლოგიური აზრი	ჩგამოსვლა წინასწარ-მეტყველები	დალოცვილ იქნენ ღარიბები, რადგანაც დადგება უფლის სასუფეველი, სხნის თეოლოგია	ღარიბები შეძლებულების მიერ არიან დაჩაგრულები. სიღარიბე სტრუქტურულია	დაეხმარე ღარიბებს, რომ მათ ადგილი დაიმკვიდრონ პოლიტიკურ-ეკონომიკურ სისტემაში
ღარიბები, როგორც დაკარგული სულები	ხსნა, სოტერიოლოგიური	მათე 28, წიგნი მეხუთე	მარადიულ სასუფეველშია უკეთესი მომავალი, ვიხსნათ ღარიბები, ისინი ჩვენთან ერთად არიან	ღარიბებმა დაკარგეს რწმენა და უფლის სასუფველი მალე დადგება	იქადაგე და დაეხმარე ღარიბებს, რომ მას გაუგონ და მისი ნესების დაცვით იცხოვრონ

დიაგრამა 4-1: ქრისტიანების მიერ ღარიბების მოაზრება (მოუ, 1989, 20-34)

ღარიბების არსებობა სოციალური სისტემების ჩაგვრის შედეგია. ეს სისტემები მათ სიღარიბეში აყენებს შეძლებულების საკეთილდღეოდ. ღარიბებს დახმარება და სამართლიანობა სჭირდებათ, რათა მათ მოუსმინონ და რათა მათ თავიანთი ადგილი დაიმკვიდრონ ეკონომიკურ და პოლიტიკურ სისტემაში.

ღარიბები, როგორც დაკარგული სულები: ეს კატეგორია მოუს ტიპოლოგიას დავამატე. ეს აზრი სახარების გარკვეულ ასპექტებს ეყრდნობა, რომლებიც ამ მიდგომის გასამყარებლადაა შერჩეული და თანამედროვე სამყაროსათვის დამახასიათებელ სულიერსა და ფიზიკურს შორის დიქოტომიას ასახავს. ღარიბები დაკარგული სულები არიან. უფლის სასუფეველი დადგება იესოს მოსვლასთან ერთად და ეს მალე მოხდება. ღარიბებს ხსნა სჭირდებათ. მათი დახმარებაა უმთავრესი პრიორიტეტი.

თუ ზემოხსენებული თვალსაზრისიდან გავიაზრებთ ამ პრობლემას, დასკვნა ნათელია. უპირველეს ყოვლისა, ქრისტიანებს უფლება აქვთ, შერჩევითად გამოიყენონ სახარება და ღარიბების შესახებ ის მოსაზრება შეინარჩუნონ, რომელიც მანამდე ჰქონდათ ან რაც სხვა ადამიანებისაგან შეიტყვეს და გაითავისეს. მეორე: სასურველია, რომ ღარიბების შესახებ მოსაზრება ყველა ზემოხსენებულ ასპექტს მოიცავდეს. ღარიბები ღვთის ხატების მსგავსად არიან შექმნილნი. ისინი ცოდვით დაცემულები არიან. იესომ ღარიბი ადამიანი თავის მეტაფორად გამოიყენა, ამიტომ ჩვენ ამ დაუცველ ადამიანებს უნდა ვემსახუროთ. იესოს ღარიბები უფრო უყვარს, ვიდრე შეძლებულები (იხილეთ თეოლოგიის საკითხებისადმი მიძღვნილი თავის ბოლო ნაწილი) და ღარიბები დაკარგული სულები არ არიან.

ვინ არიან ღარიბები?

წინამდებარე ნაწილში წარმოდგენილია სხვადასხვა წყაროდან ამოკრეფილი დეფინიციები. ჩვენ უნდა გავითვალისწინოთ ერთი პრობლემა: ნებისმიერ ასეთ დეფინიციას გარკვეული ნაკლი ექნება, რადგანაც იგი ადამიანების მიერ არის შემუშავებული, მათ კი საკუთარი იდეები და კონცეფციები აქვთ. ქვემოთ მოყვანილი მოსაზრებების გააზრებისას უნდა გავითვალისწინოთ, რომ მზად უნდა ვიყოთ გადავსინჯოთ ისინი, თუ ჩვენი პრაქტიკული გამოცდილება გვეუბნება, რომ ამის საჭიროება არსებობს. ღარიბები ადამიანები არიან. ეს უნდა იყოს ჩვენი ამოსავალი წერტილი. ჩვენი თეოლოგიური რეფლექსია, რომელიც წინა ნაწილში იყო წარმოდგენილი, გვანახებს, რომ ღარიბი ადამიანი სრულფასოვანი ადამიანია, ეს არის ცოცხალი ადამიანი თავისი სხეულით, სულითა და გონებით. ღარიბები პიროვნებები არიან და ოჯახებში, საზოგადოებასა და სოციალურ სისტემებში ცხოვრობენ. დაბოლოს, ბიბლიური ნარატივი გვეუბნება, რომ ღარიბი ადამიანები ღვთის ხატების მსგავსად არიან შექმნილი და, შესაბამისად, აქვთ ღვთისგან მინიჭებული უნარები, ნიჭი და პოტენციალი, რომ ისეთივე ადამიანები იყვნენ, როგორებიც ჩვენ ვართ.

ოჯახი

ღარიბები ოჯახებში ცხოვრობენ. განვითარების სფეროს თეორეტიკოსების ნაწილს მიაჩნია, რომ ოჯახი ეკონომიკურ და სოციალურ ერთეულად უნდა

მოვიაზროთ და თავი ავარიდოთ მცდარ დასავლურ მიდგომას, რომლის შესაბამისადაც ასეთ ერთეულად ინდივიდი მოიაზრება. საზოგადოების ყოველი წევრი ეხმარება ან აფერხებს პროგრესს, აწარმოებს ან მოიხმარს, მაგრამ ყოველი ადამიანი საკუთარ თავს ამ სოციალური ერთეულის ნაწილად მიიჩნევს და არ მოიაზრებს თავის თავს ამ სისტემისაგან განზე მდგომ ინდივიდად. ჩემბერსის სიღარიბის დეფინიციის შესაბამისად, სიღარიბე არის რამდენიმე პრობლემური ასპექტის ერთობლიობა, რაზეც ქვემოთ კიდევ უფრო დეტალურად ვისაუბრებთ. იგი ვარაუდობს, რომ ოჯახი არის საზოგადოების საბაზისო ეკონომიკური ერთეული (1983, 108). მოლდანო საუბრობს ქრისტიანების როლზე ლათინური ამერიკის სოციალურ ტრანსფორმაციაში, სადაც ქრისტიანები ოჯახების კულტურის გარდაქმნაზე მუშაობენ (1993, 196). ფრიდმენის აზრით, ოჯახი ცოცხალი სოციალური ერთეულია, რომელიც რეალურ დროში არსებობს და ადამიანებს შორის დინამიკური ურთიერთობების პირობებში ვითარდება (1992, 46). ოჯახი არის აგური, რომლითაც უფრო დიდი სოციალური სისტემებია აშენებული. წიგნის მომდევნო ნაწილში ფრიდმანის ანალიზს ცალკე ნაწილს დავუთმობთ. ფრიდმანი მიიჩნევს, რომ ოჯახი სამგანზომილებიანი მორალური ღირებულებების მქონე ადამიანებისაგან შედგება, რომლებსაც ერთმანეთთან დინამიკური ურთიერთობები აქვთ. ადამიანებს ერთმანეთის წინაშე გარკვეული ვალდებულებები აქვთ, ისევე როგორც სურვილები და საჭიროებები. ფრიდმანის მიხედვით, ადამიანებს "სიყვარულის, სითბოს, თვითგამოხატვისა და პატივისცემის ფსიქოლოგიური საჭიროება აქვთ, რაც არ არის, უბრალოდ, საქონელი, არამედ იგი ადამიანებთან კონტაქტის შედეგია" (1992, 32). ყოველი ოჯახი იმ პოლიტიკური და ეკონომიკური სტრუქტურის მინიატურული მოდელია, რომელშიც იგი ცხოვრობს. ოჯახებს სამი სახის ძალაუფლება აქვთ:

- *სოციალური ძალაუფლება,* რაც გულისხმობს ინფორმაციის მისაწვდომობას, ცოდნისა და უნარების განვითარების საშუალებას, სოციალურ ოგანიზაციებში მონაწილეობის საშუალებასა და ფინანსური რესურსების მისაწვდომობას.
- *პოლიტიკური ძალაუფლება,* რაც გულისხმობს იმ პოლიტიკურ პროცესებში მონაწილეობის მიღებას, რომლებიც მათ მომავალზე მოახდენენ ზეგავლენას.
- *ფსიქოლოგიური ძალაუფლება,* რაც გულისხმობს ადამიანის მიერ თავისი შესაძლებლობებში რწმენასა და მაღალი თვითშეფასების შესაძლებლობას (იქვე 33).

ფრიდმანის აზრით, ოჯახების ყველაზე მნიშვნელოვანი რესურსი დროა და არა ფული. ოჯახის წევრების დრო სხვადასხვა დავალების შესრულებასა და სხვადასხვა სოციალურ სფეროში საქმიანობაზეა გადანაწილებული, რაც აუცილებელია მათი არსებობისათვის. "ღარიბი ოჯახები არასაბაზრო ურთიერთობებზე ძალიან არიან დამოკიდებულები. ეს აუცილებელია მათი საარსებო საშუალებების მოპოვებისა და ცხოვრებისეული მიზნების მიღწევისთვის" (ფრიდმანი, 192, 45). ღარიბებს მხოლოდ ფულით არ შეუძლიათ თავიანთი საჭიროებების დაკმაყოფილება. ძალიან ხშირად ეს ფაქტორი ეკონომიკური კვლევების ყურადღების მიღმა რჩება. თუ ოჯახს იმ პრიზმად გამოვიყენებთ,

რომლიდანაც ღარიბებს შევისწავლით, მათ დავინახავთ, როგორც ინდივიდებს, რომლებიც სოციალურ სისტემებში არსებობენ და საქმიანობენ: "ოჯახი არის მინიატურული პოლიტიკურ-ეკონომიკური მოდელი, რომელსაც ტერიტორიული ბაზა (საცხოვრებელი სივრცე) აქვს და რომელიც თავის საარსებო საშუალებებს აწარმოებს. ოჯახი პოლიტიკური ერთეულია, რადგანაც მისი წევრები იღებენ გადაწყვეტილებებს, რომლებიც ამ ოჯახსა და მის წევრებზე ახდენს ზეგავლენას. გადაწყვეტილებების მიღების პროცესი ძალაუფლებისა და უფლებამოსილების გადანაწილებაზე მოლაპარაკებების წარმოებასთანაა დაკავშირებული. ოჯახს აქვს ტერიტორიული ბაზა, რადგანაც ადამიანებს საცხოვრებელი ადგილი სჭირდებათ მაშინაც კი, თუ ეს საცხოვრებელი მუყაოს ყუთია. დაბოლოს, ოჯახი თავისი საკუთარი (და ზოგჯერ სხვების) მატერიალური ინტერესების დაკმაყოფილების მიზნით ჩართულია წარმოების პროცესში" (ფრიდმანი, 1992, 47).

რადგანაც ოჯახი, ზოგადად, ნათესაური კავშირების მქონე ადამიანებისაგან შედგება, მათ ერთმანეთის მიმართ გარკვეულ ურთიერთვალდებულებები აქვთ. შესაბამისად, ოჯახი ურთიერთგაცვლის მორალურ ეკონომიკას წარმოადგენს, რომელიც მორალური წესების შესაბამისად რეგულირდება და ეს წესები თავად ოჯახის მიერაა დადგენილი (ფრიდმანი, 1992, 48). ეს მორალური ეკონომიკა, ნაწილობრივ მაინც, საბაზრო ეკონომიკის ფარგლებს გარეთ ფუნქციონირებს და ეხმარება ღარიბებს საარსებო წყაროების მოპოვებასა და ცხოვრებაში. ურთიერთობები ამ საარსებო წყაროების მოპოვებისათვის ზოგჯერ უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ფული.

ოჯახის ერთგვარ სოციალურ ერთეულად მოაზრება ბიბლიურ ნარატივსაც ეხმიანება. ბიბლიაც ადამიანებს ოჯახის წევრებად მოიაზრებს. ნოე და მთელი მისი ოჯახი გადარჩა (დაბადება, 7:1). ღმერთმა დანაპირები მიწა სამართლიანად გადაანაწილა კლანებსა და ოჯახებს შორის (რაითი, 1983, 68). ისო ნავესმა თავისი ოჯახის წევრების სახელით იკისრა ვალდებულებები ღმერთის წინაშე (ისო ნავესი, 24:15). ლიდია და მისი ოჯახი პავლემ მონათლა, ისევე როგორც ფილიპელი მეციხოვნე და მისი ოჯახის წევრები (წიგნი მეხუთე, 16:15, 33). ოჯახის თავს მოეთხოვება, რომ "კარგად მართოს თავისი ოჯახი და შვილები" (ტიმოთე, 3:12).

დაბოლოს, სიღარიბის ოჯახების პერსპექტივიდან შეფასება გვეხმარება უფრო დიდ სოციალურ სისტემებში დავინახოთ სიღარიბის მიზეზები. ამ თემაზე უფრო დეტალურად მოცემული თავის ბოლო ნაწილში ვისაუბრებთ.

ღარიბები შეძლებულთა შორის

ღარიბების შესახებ ვერ ვისაუბრებთ, თუ არ გავაცნობიერებთ იმ ფაქტს, რომ ისინი არაღარიბთა გვერდით ცხოვრობენ. ხშირად ჩვენ ძალიან გამარტივებული სახით ვუდგებით და წარმოსახვით მოდელებს ვუსადაგებთ ამ პრობლემას და მიგვაჩნია, რომ ღარიბები მხოლოდ ღარიბ თემებში ცხოვრობენ, ხოლო შეძლებულები სადღაც სხვაგან, მაგალითად, სადმე ჩრდილოეთის ქალაქში. ეს არ არის მართალი. ყველაზე ღარიბ თემებშიც კი არიან ადამიანები, რომლებიც შედარებით ნაკლებად ღარიბები არიან და რომლებსაც შედარებით მეტი ძალაუფლება და პრივილეგიები აქვთ. ნებისმიერ საზოგადოებასა და თემში არსებობს ადამიანთა მცირე ჯგუფი, რომელიც სხვებთან

შედარებით შეძლებულია. ოჯახშიც ასეა. ოჯახში ყოველთვის არის დომინანტური ფიგურა, ძირითადად მამაკაცი, რომელიც ოჯახის დანარჩენ წევრებთან შედარებით არ არის ღარიბი (ანდერსონი, 1996გ, 8). შესაბამისად, სიღარიბე და ღარიბები შეიძლება მხოლოდ ღარიბებსა და შეძლებულებს შორის ურთიერთობების გათალისწინებით აღვიქვათ სწორად.

ვინ არ არიან ღარიბები

უნდა განვიხილოთ ორი რამ, რასაც ადამიანები ღარიბების შესახებ ამბობენ ხოლმე და რაც ყოველთვის არ შეესაბამება სიმართლეს. ზოგს მიაჩნია, რომ ღარიბები ზარმაცები და ფატალისტები არიან და ისინი არ დაზოგავენ (არ გადაინახავენ) რაიმე თანხას სამომავლოდ. ზოგი ამბობს, რომ ღარიბები გაუნათლებლები და უვიცები არიან. ჩემბერსი ამ მოსაზრებების სიმცდარეს წარმოაჩენს და მოგვიწოდებს, რომ ასეთი მკაცრი განსჯისაგან თავი შევიკავოთ. ღარიბებმა შეიძლება თანხა ვერ დაზოგონ, რადგან მათ დღიური საარსებო საშუალებები სჭირდებათ. ღარიბები შეიძლება ტოვებდნენ შთაბეჭდილებას, რომ ზარმაცები არიან, მაგრამ, შესაძლოა, ისინი თავიანთი ისედაც მცირე ენერგიის დაზოგვას ცდილობენ. ფატალიზმი შეიძლება ადაპტაციის საჭიროებით იყოს განპირობებული და არა იმით, რომ ისინი ბედს დანებდნენ. “ის, რომ ღარიბები უძლურები, უვიცები და მორჩილები ჩანან, შესაძლოა მათი თავდაცვისა და გადარჩენის წინაპირობა იყოს” (1983, 106).

ვარაუდი, რომ ღარიბები უვიცები და სულელები არიან, არ ეყრდნობა რეალურ ინფორმაციას და რეალურ ადამიანებთან ურთიერთობების გამოცდილებაც ამას არ ადასტურებს. მკვიდრი ადამიანების გამოცდილება და ცოდნა ზოგჯერ გასაოცარია (ჩემბერსი, 1983, 106; მუჩენა, 1996, 178–79; დე სოტო, 1989). მათ უზარმაზარი ცოდნა აქვთ ადგილობრივი ეკოლოგიის, გადარჩენის უნარებისა და ტრადიციული მედიცინის სფეროში. ღარიბებს შეუძლიათ ისეთ პირობებში გადარჩნენ, რომლებშიც სხვები ამას ვერ მოახერხებდნენ. ჩემბერსი, ასევე, შეგვახსენებს, რომ “აშკარა უვიცობა და სისულელე შეუმჩნევლად დარჩენის მიზანდასახული სტრატეგიაა და ღარიბები მას იმ მოხელეებთან კონტაქტის დროს მიმართავენ, რომლებიც მათგან მორჩილ და მლიქვნელურ დამოკიდებულებას მოითხოვენ” (1983, 107).

ღარიბები არ არიან სხვებზე ზარმაცები, ფატალისტები ან უვიცები. ყველა ადამიანს, ღარიბსაც და შეძლებულსაც, შეიძლება ჰქონდეს ასეთი დამოკიდებულება, თუმცა მხოლოდ მდიდრებს ეპატიებათ ასეთი საქციელი. “მარგინალიზებულ ადამიანებს არ შეუძლიათ თავს ნება დართონ, იყვნენ ზარმაცები ან სულელები. მათ უწევთ ძალიან ბევრი მუშაობა, ხოლო ძალიან ბევრი ზარმაცი და სულელი ღარიბი დღეს უკვე ცოცხალი აღარაა” (ჩემბერსი, 1983, 107).

რომელი ღარიბები?

ღარიბები არ მიეკუთვნებიან ჰომოგენურ კატეგორიას, ადამიანთა სხვადასხვა ჯგუფისათვის სიღარიბე განსხვავებულად აღიქმება. სიღარიბე სხვა რამეს ნიშნავს ბავშვებისა და ახალგაზრდებისათვის, ქალებისთვის, ფიზიკურად და გონებრივად უნარშეზღუდული ადამიანებისა და ხნიერებისათვის. ჩვენ უნდა გავაცნობიეროთ ეს განსხვავებები და შესაბამისად დავგეგმოთ,

რათა სოციალური ფრაგმენტაციის შედეგად კიდევ უფრო არ გავამწვაოთ სიღარიბე. მერი ანდერსონის წიგნი *"განვითარება და სოციალური მრავალფეროვნება"* გვეხმარება, კარგად დავინახოთ ეს განსხვავებები და, იმავდროულად, გავითვალისწინოთ, რომ ამ ჯგუფებს შორის სოლიდარობა უაღრესად მნიშვნელოვანია ეფექტური განვითარებისათვის.

ახალგაზრდები და ბავშვები არასაკმარისად არიან გამოყენებული განვითარების პროცესების ხელშესაწყობად. ძალიან ხშირად ადამიანებს მიაჩნიათ, რომ ისინი უმწეოები და დაუცველები არიან და მათ ზრუნვა ესაჭიროებათ. ეს იმ მოდელის ანარეკლია, რომელიც ამკვიდრებს აზრს, რომ ბავშვებში სიღარიბე აბსოლუტური მცნებაა და მათ არანაირი წვლილის შეტანა არ შეუძლიათ განვითარების პროცესებში. ასეთი მიდგომა ბავშვებს და ახალგაზრდებს კიდევ უფრო მწვავე მდგომარეობაში აგდგებს. ჩვენ ყოველთვის ვდგავართ ცდუნების წინაშე, რაღაცა "გავაკეთოთ" ბავშვებისათვის და არ გვესმის, თუ რა პოტენციალი აქვთ მათ ტრანსფორმაციის ხელშეწყობის თვალსაზრისით. ჩვენ ამ თემას მე-8 თავში დავუბრუნდებით.

ძალიან ხშირად ღარიბები ქალები არიან. მათი სიღარიბე განსაკუთრებული პრობლემა და განსაკუთრებული შესაძლებლობაცაა. გაეროს სტატისტიკა დღეს საყოველთაოდაა ცნობილი: ქალები მსოფლიო სამუშაოს ორ მესამედს ასრულებენ, ისინი მსოფლიოს შემოსავლის ერთ მეათედს გამოიმუშავებენ, ქალების წილი მსოფლიოში წერა-კითხვის უცოდინართა შორის ორი მესამედია და ქალების მფლობელობაში მსოფლიოში არსებული საკუთრების მხოლოდ მეასედია (უილიამს დამ აუ, 1994, 100). ძალიან ბევრი მასალა და კვლევა მიუთითებს, რომ ქალებისა და გოგონებისათვის უფრო ნაკლებადაა მისაწვდომი განათლება და ჯანდაცვა და ისინი უარესად იკვებებიან. ქალების სიღარიბე ფიზიკური, სულიერი და სოციალური ხასიათისაა. ამ პრობლემას ტრანსფორმაციის სფეროს სპეციალისტების განსაკუთრებული ყურადღება სჭირდება. იმავდროულად, არსებობს კვლევები, რომლებიც ადასტურებს, რომ ქალებისათვის წერა-კითხვის სწავლება გადამწყვეტი მნიშვნელობისაა, რადგანაც ის ხელს უწყობს შობადობის კონტროლს, ამცირებს ბავშვთა სიკვდილიანობას. გარდა ამისა, ქალები წარმატებით აარსებენ მიკროსაწარმოებს. ამგვარად, ქალებს დიდი წვლილის შეტანა შეუძლიათ განვითარების პროცესებში, თუ მათ ამ პროცესებში ჩართვას შევუწყობთ ხელს. ტრანსფორმაციული განვითარება, რომელიც არ მოიცავს გენდერულ ანალიზსა და ქალთა უფლებამოსილების გაზრდის შესაძლებლობას, წარმატებას ვერ მიაღწევს.

რა არის სიღარიბე?

სიღარიბის ძალიან ბევრი დეფინიცია და აღწერა არსებობს. მნიშვნელოვანია, რომ ნათლად ჩამოვაყალიბოთ ჩვენი მოსაზრება სიღარიბესთან დაკავშირებით, რადგან იგი გავლენას ახდენს იმაზე, თუ როგორ გავიაზრებთ ტრანსფორმაციულ განვითარებას და რა ზომები უნდა გავატაროთ ამასთან დაკავშირებით.

სიღარიბე როგორც დეფიციტი

განვითარების მიდგომების ჩამოყალიბების ადრეულ ეტაპზე სიღარიბე განისაზღვრებოდა როგორც დეფიციტი, ანუ მატერიალური საგნების ნაკლებობა. ღარიბებს არა აქვთ საკმარისი საკვები, ნორმალური საცხოვრებელი ან სუფთა წყალი. მათი მიწა არ არის ნაყოფიერი, არა აქვთ საირიგაციო წყალი, ნორმალური გზები, მათი ბავშვებისათვის სკოლები არ არის მისაწვდომი. სიღარიბის ასეთი ინტერპრეტაცია უბიძგებს ადამიანებს, რომ მისცენ ღარიბებს ის, რაც აკლიათ: საკვები, იაფი საცხოვრებელი, წყალი. ადამიანები ვარაუდობენ, რომ თუ ღარიბებს მივცემთ იმას, რაც აკლიათ, ისინი ღარიბები აღარ იქნებიან. კიდევ ერთი სახის დეფიციტი არსებობს, რაც ღარიბების ნაკლებად ინფორმირებულობას ან გარკვეული უნარების უქონლობას უკავშირდება. ღარიბებმა ზოგჯერ არ იციან საბაზისო ფაქტები საკვების თაობაზე, მაგალითად, რომ წყალს გადადუღება სჭირდება, ბავშვისათვის საკუთარი სივრცის გამოყოფის მნიშვნელობა. მათ არ შეუძლიათ ინსტრუქციების წაკითხვა სათესლე მასალის პაკეტზე; არაფერი იციან მდგრად სოფლის მეურნეობაზე, მცირე ბიზნესის მართვაზე, ფულის დაზოგვის აუცილებლობაზე. სიღარიბის ასეთი ინტერპრეტაციის შედეგად ისეთი პროგრამები მუშავდება, რომლებიც განათლებასა და არაფორმალურ სწავლებაზეა მიმართული. ანუ, ვარაუდობენ, რომ თუ ღარიბები საკმარისად განათლდებიან, ისინი სიღარიბეს თავს დააღწევენ. ეს არის კლასიკური მიდგომა თანამედროვეობის სოციალური პრობლემებისადმი.

როდესაც სიღარიბეს დეფიციტის სახით მოიაზრებენ, ქრისტიანები კიდევ ერთ ასპექტზე საუბრობენ: არაქრისტიან ღარიბებს არა აქვთ საკმარისი ცოდნა ღმერთზე და იმაზე, თუ რას გვპირდება იესო. იმისთვის, რომ სიღარიბისადმი ჰოლისტიკური მიდგომა შემუშავდეს, ქრისტიანები სახარების უცოდინრობას ამატებენ იმ ჩამონათვალს, რომელშიც აღწერილია, თუ რა არა აქვთ ღარიბებს. ამგვარად, განვითარების პროგრამებში სახარების ქადაგებაც ჩართულია.

დეფიციტის იდეას დაემატა ის მოსაზრებაც, რომ სიღარიბე არის ღარიბებისათვის მიწის, ჯანდაცვის, ბაზრებისა და კრედიტების მიუწვდომლობა. ეს მოსაზრება ეყრდნობა ვარაუდს, რომ თუ ვინმე ზემოთ ჩამოთვლილი კომპონენტების მისაწვდომობას უზრუნველყოფს, დეფიციტი აღმოიფხვრება და ადამიანები აღარ იქნებიან ღარიბები.

სიღარიბის ასეთი ინტერპრეტაცია სწორია. ადამიანებს ნამდვილად ესაჭიროებათ სუფთა სასმელი წყალი, საცხოვრებელი, საკვები, განათლება, სწავლება, სახარება. მათ, ასევე, ესაჭიროებათ რესურსების მისაწვდომობა, რომლებიც შესაძლოა ადგილზე არ მოიპოვებოდეს ან ღარიბებისათვის მიუწვდომელი იყოს. იმავდროულად, თუ სიღარიბეს მხოლოდ ამ დეფიციტის ჩარჩოდან მოვიაზრებთ, ესეც მნიშვნელოვან პრობლემებს შექმნის.

ერთ-ერთი პრობლემა ისაა, რომ ასეთი თვალსაზრისი რადიკალურად მატერიალისტურია. იდეების, საგნებისა და მისაწვდომობის ნაკლებობა მხოლოდ იმ ასპექტებს შეეხება, რომლებიც ხილულია, ვეხებით და გვესმის. ასეთი ჩამონათვალი არასრულია, რადგანაც მასში საერთოდ არ არის გათვალისწინებული სულიერი ასპექტები, ხოლო სოციალური, კულტურული, რელიგიური და ძალაუფლების ასპექტები ბუნდოვნადაა წარმოჩენილი. დეფიციტის

მიდგომა, ძირითადად, სიღარიბისა და ადამიანების შესახებ მატერიალისტურ თვალსაზრისს ამკვიდრებს.

მეორე პრობლემაა, რა სახის რეაგირება მოჰყვება სიღარიბის საგნების, იდეებისა და მისაწვდომობის უქონლობად გააზრებას. პრობლემის გადაწყვეტად მიჩნეულია იმით უზრუნველყოფა, რაც ამ ადამიანებს აკლიათ. ამის გარეშე დახმარება, გნებავთ განვითარების სფეროს პროფესიონალები "სანტა კლაუსის" როლში გამოდიან, რადგანაც მათ ყველაფერი გარედან შემოაქვთ: საკვები, წყალი, განათლება, ჯანდაცვის სისტემები. ღარიბები ამ დახმარების პასიური რეციპიენტები გამოდიან, არასრულყოფილი ადამიანები, რომლებსაც ჩვენი სიუხვითა და ხელგაშლილობით ვეხმარებით. ასეთი დამოკიდებულების შედეგად ჩვენ ძალაუნებურად ამ ადამიანებზე მაღლა ვაყენებთ თავს, რასაც ორი უარყოფითი შედეგი მოჰყვება.

პირველ რიგში, ასეთი დამოკიდებულება ღარიბ ადამიანს ამცირებს. სამწუხაროდ, ჩვენი დამოკიდებულება მათ მიმართ შეიძლება მათი საკუთარი თავისადმი დამოკიდებულებაც გახდეს, ანუ ისინი იფიქრებენ, რომ არაადეკვატურები და უსარგებლოები არიან. ჩვენ მათ არ ვექცევით ისე, როგორც ღვთის ხატების მსგავსად შექმნილ ადამიანებს. ჩვენ ვერ ვხედავთ მათში იმ უნარებსა და ნიჭს, რომლებიც მათ ღმერთმა უბოძა. ჩვენ ისე ვიქცევით, თითქოს ღმერთმა ჩვენ მოგვცა ეს უნარი და ღარიბები მის გარეშე დატოვა, თითქოს მხოლოდ ჩვენ შეგვიძლია წვლილის შეტანა განვითარებაში და ღარიბებს – არა. ასეთი დამოკიდებულება ამწვავებს ამ ადამიანების სიღარიბეს, ხოლო ჩვენ გვიბიძგებს, ღმერთის როლი ვითამაშოთ მათ ცხოვრებაში.

მეორე: ჩვენ შეიძლება საკუთარი თავი მესიად აღვიქვათ. ჩვენ შეიძლება ჩავთვალოთ, რომ ჩვენ ვართ ღარიბების მხსნელები და რომ მათ ცხოვრებას სრულყოფილს ვხდით. დიახ, ჩვენდა უნებურად შეიძლება გაგვიჩნდეს შეგრძნება, რომ ჩვენ ვართ მხსნელები. ასეთი დამოკიდებულება არ არის კარგი ჩვენი სულიერებისათვის. სამწუხაროდ, სიღარიბის დეფიციტის სახით ინტერპრეტაცია ჩრდილოეთის მდიდარ ეკლესიებსაც ახასიათებთ, რომლებიც სამხრეთის ღარიბებს ეხმარებიან.

რობერტ ჩემბერსი — სიღარიბე როგორც ხაფანგი

რობერტ ჩემბერსი სასექსის უნივერსიტეტის განვითარების კვლევების ინსტიტუტის განვითარების სფეროს პროფესორია, რომელსაც აფრიკასა და ინდოეთში მუშაობის ხანგრძლივი გამოცდილება აქვს და განვითარების პროცესებში მონაწილეობითი მიდგომების დანერგვის იდეის მომხრეა (იხილეთ თავი 8). ჩემბერსი ამოსავალ წერტილად ოჯახს მიიჩნევს და ღარიბებს აღწერს როგორც ადამიანებს, რომლებიც არაუპირატესი მდგომარეობის ხაფანგში არიან გაბმულები. ოჯახი შეიძლება ღარიბი იყოს, იმიტომ რომ არ ჰქონდეს აქტივები, იყოს ფიზიკურად სუსტი, იზოლირებული, მოწვლადი და უუფლებო. ჩემბერსი სიღარიბის ამ ასპექტებს აღწერს, როგორც ინტერაქტიულ სისტემებს, რომლებსაც იგი "სიღარიბის მახეს" უწოდებს (1983, 103–39). ჩემბერსის მიდგომა სიღარიბისადმი უაღრესად საინტერესოა და რეალურ მდგომარეობასთან თანხვედრაშია. განვიხილოთ ჩემბერსისეული სისტემების შემადგენელი ნაწილები:

მატერიალური სიღარიბე: ოჯახს არ გააჩნია საკმარისი აქტივები, არა აქვს, ან მცირე დანაზოგები აქვს; არ გააჩნია პირუტყვი; საცხოვრებელი და სანიტარული პირობები არაადეკვატურია; არ გააჩნია ან ძალიან მცირე მიწის ნაკვეთი აქვს; არა აქვს მიწის მფლობელობის დამადასტურებელი დოკუმენტები.

ფიზიკური სისუსტე: ოჯახის წევრების ჯანმრთელობის მდგომარეობა არ არის კარგი; მათ არა აქვთ საკმარისი ძალა, რადგანაც არაადეკვატურად იკვებებიან; ოჯახის წევრების უმეტესობა ძალიან ახალგაზრდა ან ძალიან ხნიერი ქალია.

იზოლირება: ოჯახს არა აქვს სოციალური მომსახურებებისა და ინფორმაციის მისაწვდომობა. ხშირად ოჯახი მოშორებულ ადგილებში ცხოვრობს ძირითადი გზებიდან, ელექტრომომარაგებდან და წყალმომარაგებიდან. მისთვის ბაზრები, კაპიტალი, კრედიტები და ინფორმაცია მიუწვდომელია. ბავშვებისათვის სათანადო ხარისხის განათლება მიუწვდომელია.

მოწვლადობა: ოჯახს არ გააჩნია სოციალური დაცვა განსაკუთრებული ვითარების შემთხვევაში და დანაზოგები. ოჯახი კულტურული ტრადიციების დაცვის შემთხვევაში შეიძლება უფრო მოწვლადი გახდეს, მაგალითად, როდესაც საჭიროა გამზითვება, სუფრის მოწყობა, რაც მძიმე ტვირთად აწვება ოჯახს.

უფლებამოსილების უქონლობა: ოჯახს არა აქვს უნარი და შესაძლებლობა, რომ გავლენა მოახდინოს თავის გარემოსა და იმ სოციალურ სისტემებზე, რომელშიც იგი ცხოვრობს.

სულიერი სიღარიბე: საკუთარ თავს ნება მივეცი, მოცემულ ასპექტი ჩემბერსის სისტემისათვის დამემატებინა, რათა ნამდვილად ჰოლისტიკური მიდგომა ჩამოგვეყალიბებინა. ოჯახი ღმერთთან, ერთმანეთთან, საზოგადოებასა და სამყაროსთან არასწორი და დისფუნქციონალური ურთიერთობების გამო ცუდ მდგომარეობაში ვარდება. ოჯახის წევრები შეიძლება სპირიტუალური ცრურწმენების ზეგავლენის ქვეშ იყვნენ, მაგალითად, ეშინოდეთ სულების, დემონების, გაბრაზებული წინაპრებისა. მათ შეიძლება არ გააჩნდეთ იმედი და რწმენა, რომ რაღაცა შეიძლება მათ სასიკეთოდ შეიცვალოს. შეიძლება არასოდეს არ გაუგიათ სახარება ან სახარებას სრულად არ იცნობენ (იხილეთ დიაგრამა 4-2).



დიაგრამა 4-2: ოჯახები სიღარიბის ხაფანგში (ჩემბერსის ადაპტირებული ვერსია, 1983, 110).

ჩემბერსის მიდგომა სიღარიბის, როგორც სისტემების, ერთობლიობისადმი ძლიერი ინსტრუმენტია. სიღარიბის მახის ექვს ელემენტს შორის ურთიერთკავშირი მნიშვნელოვანი მახასიათებელია. ყოველი ელემენტი ერთმანეთს უკავშირდება და რომელიმე ერთ სისტემაში არსებული პრობლემა სხვა სისტემაშიც იწვევს პრობლემებს, რის შედეგადაც სიღარიბე კიდევ უფრო მწვავდება და მისი აღმოფხვრა რთულდება.

ჩემბერსის სისტემის ორი ელემენტი — მოწვლადობა და უფლებამოსილების ნაკლებობა – ჩვენი მხრიდან მეტ ყურადღებას იმსახურებს. ჩემბერსი საუბრობს ოთხ ელემენტზე, რომლებიც ღარიბი ადამიანების მოწვლადობაზე ახდენს ზეგავლენას (1983, 114–30). პირველი: ღარიბი ადამიანები სოციალური ტრადიციებისა და ადათ-წესების მიმდევრები არიან და, გარკვეულწილად, მათ ტყვეობაშიც არიან მოქცეულნი. მაგალითად, გამზითვება, პატარძლის გამოსასყიდი, სუფრები, ქორწილები, ქელეხები და სხვა. ეს ყველა ადათ-წესი და რიტუალი უაღრესად მნიშვნელოვანია, მაგრამ ასეთი სოციალური მოთხოვნები ღარიბი ოჯახებისათვის მძიმე ტვირთია, ხშირად ისინი ვალებში ვარდებიან და მევახშეების მიერ დაწესებულ მაღალ პროცენტებს ვეღარ უმკლავდებიან, რის გამოც მუდმივ სიღარიბეში რჩებიან. უნდა აღინიშნოს, რომ თავად რელიგიური ლიდერების დამოკიდებულებაც ამწვავებს ამ მდგომარეობას, რადგანაც ისინი ასეთ სოციალურ პირობითობებსა და ადათ-წესებს რელიგიურ ცხოვრებაში ნერგავენ და ამყარებენ. მეორე: ბუნებრივი და ტექნოგენური კატასტროფები ადამიანებს კიდევ უფრო მძიმე მდგომარეობაში აყენებს. ღარიბებს არ გააჩნიათ დანაზოგები და ასეთი კატასტროფის შემთხვევაში მათ უწევთ მიწის, პირუტყვის და, რაც კიდევ უფრო მძიმეა, ზოგჯერ პატარა გოგონების გაყიდვაც კი. მესამე: ფიზიკური მუშაობის უნარის დაკარგვა ავადმყოფობის, მშობიარობის, უბედური შემთხვევების მიზეზით, რაც კიდევ უფრო მოწვლადს ხდის ამ ადამიანებს, რადგანაც ისინი კარგავენ შრომისუნარიანობას. მეოთხე: არაპროდუქტიული ხარჯები, მაგალითად, სასმელის, ნარკოტიკების ან არაპროდუქტიული აქტივების შესაძენად (რადიო, ფეხსაცმელები ან ტანსაცმელი), ცუდი ბიზნესინვესტიციები და სხვა. დაბოლოს, ღარიბების ექსპლუატაცია, ანუ მაღალი საპროცენტო განაკვეთები, თაღლითობა, დაშინება, გამოძალვა, დაშანტაჟება, რასაც უფრო მეტი ძალაუფლების მქონე ადამიანები იყენებენ ღარიბების მიმართ და იმ მცირეოდენსაც ართმევენ ღარიბ ოჯახებს, რაც მათ აქვთ.

ჩემბერსისეული უფლებამოსილების უქონლობის ანალიზი (1983, 131-135) უაღრესად საინტერესოა, რადგანაც იგი ფრიდმანისა და ქრისტიანის სიღარიბის ინტერპრეტაციის შესავალ ნაწილად გამოდგება, რასაც მომდევნო ნაწილში წარმოგიდგენთ. ჩემბერსი ამბობს, რომ უფლებამოსილების ნაკლებობა ხშირად არ განიხილება, როგორც მნიშვნელოვანი ფაქტორი ან იმიტომ, რომ ეს საკითხი გარკვეულ დისკომფორტს უქმნის ამ უფლებამოსილების მქონე ადამიანებსა და განვითარების სფეროს სპეციალისტებსაც კი. უფლებამოსილების უქონლობა ხელს უწყობს ღარიბების ექსპლუატაციას. ჩემბერსი გვარფთხილებს, რომ არსებობს ექსპლუატაციის სამი კლასტერი. პირველი: ადგილობრივი არაღარიბები ხშირად გარკვეული შემაკავებელი ბადის როლს ასრულებენ ღარიბებსა და გარეშე სამყაროს შორის და ამ ადამიანებამდე არ აღწევს ის რესურსები და დახმარება, რომლებიც ღარიბებისათვის იყო განკუთვნილი. “ეს საკმაოდ გავრცელებული პრაქტიკაა მესამე სამყაროს ქვეყ-

ნებში. საკრედიტო და ბაზრის კოოპერატივებს, უმეტესწილად, დიდი ფერმერები მართავენ, რომლებიც მათ საკუთარი ინტერესებისათვის იყენებენ მცირე ფერმერებისა და მეწარმეების ხარჯზე" (1983, 131). მეორე პრობლემაა ძარცვა. ადგილობრივი პოლიცია, პოლიტიკოსები, მიწის მესაკუთრეები და ა.შ. შანტაჟს, გამოძალვასა და ძალადობას მიმართავენ ღარიბების გაძარცვის მიზნით, ხოლო ამ უკანასკნელებს საკუთარი თავის დაცვის არანაირი მექანიზმი არ გააჩნიათ, "რადგანაც მათ არ იციან კანონები, არა აქვთ იმის საშუალება, რომ იურიდიული დახმარების მისაღებად ადამიანი დაიქირავონ, ეშინიათ, არ აწყენინონ დამქირავებელს, რომელზეც დამოკიდებულები არიან" (1983, 133). დაბოლოს, უსამართლო გარიგებები, როდესაც ღარიბების აქტივები საბაზრო ფასებზე ბევრად უფრო დაბალ ფასებში იყიდება იმის გამო, რომ მათ გაჭირვებისა და გაუთვალისწინებელი გარემოებების ზეგავლენით უწევთ ამ აქტივების რეალიზაცია. ღარიბები სესხებს მაღალი საპროცენტო განაკვეთებით იღებენ, მაშინაც კი, როდესაც ბაზარზე მისი ფასი უფრო დაბალია, რადგანაც ეშინიათ ადგილობრივი მევახშეების განაწყენება იმის შიშით, რომ მომავალში კრედიტებს ვეღარ აიღებენ. ღარიბები განსაკუთრებით დაუცველები არიან უსამართლო დამოკიდებულებისაგან, როდესაც საქმე მათი შრომის ანაზღაურებას შეეხება. მათი უმუშევრად დატოვება ძლიერი ინსტრუმენტია იმ ადამიანების ხელში, რომლებსაც მეტი ძალაუფლება აქვთ.

აღსანიშნავია, რომ სიღარიბის ჩემბერსისეულ ანალიზში ერთი მნიშვნელოვანი ასპექტი არაა გათვალისწინებული. ესაა სულიერი სიღარიბის უარყოფითი ზეგავლენა. მისი სიღარიბის ხაფანგის ყოველი ელემენტი სულიერ ასპექტებთანაა დაკავშირებული. უფლებამოსილების ნაკლებობა არ ნიშნავს მხოლოდ მატერიალურ სამყაროში არსებულ პრობლემებს. ღარიბებს ხშირად უხილავი სულიერი სამყაროს, წყევლის, დემონების, ღმერთების, გაბრაზებული წინაპრების რისხვის ეშინიათ და ამ ბოროტი ძალების წინაშე თავს უძლურებად გრძნობენ. ფიზიკური სისუსტე ხშირად წყევლის ზეგავლენას მიეწერება. ღმერთისა და ბიბლიისაგან იზოლირება ამ ადამიანებს ხელს უშლის სახელმწიფო მომსახურებით, ბაზრებითა და კაპიტალით სარგებლობაში. ამ ადამიანებს სჯერათ, რომ ფული უნდა იშოვონ და ეს ფული მათ წყევლისაგან გათავისუფლებისა და სულებისაგან წყალობის მისაღებად უნდა დახარჯონ, რაც კიდევ უფრო ამწვავებს მათ მდგომარეობას.

არსებობს კიდევ ერთი, უფრო ფუნდამენტური მნიშვნელობის მქონე, სფერო, სადაც სულიერების ნაკლებობა აშკარაა. არსებობს სულიერი რეალობა, რომელიც სიღარიბის მახესა და მის ექვს ელემენტს ამყარებს. სულიერი საფუძველი უაღრესად მნიშვნელოვანია ისეთი ასპექტების წარმოსაჩენად, როგორებიცაა: (1) შეძლებულების დომინანტური პოზიცია და მათი თაღლითური საქმიანობა; (2) წვლილი, რომელიც შეაქვთ თავად ღარიბებს ოჯახში თავიანთი ქცევის მოდელებით სიღარიბის გამწვავებაში; (3) არსებობის სიღარიბე (ჩვენ არ ვართ ღირსეულები და არანაირ ღირებულებას არ წარმოვადგენთ) და არსის უქონლობა (არ გააჩნიათ პასუხი მნიშვნელოვან შეკითხვებზე). სიღარიბის არც ერთი ინტერპრეტაცია არ იქნება სრული ადამიანებისა და სოციალური სისტემების სულიერი და მატერიალური ასპექტების ჰოლისტიკური გააზრების გარეშე.

ჯონ ფრიდმანი — სიღარიბე როგორც სოციალური უფლებების უქონლობა

ურბანული დაგეგმარების პროფესორი ჯონ ფრიდმანი, რომელსაც ლათინური ამერიკის ურბანულ ტერიტორიებზე მცხოვრებ ღარიბებთან პრაქტიკული მუშაობის ხანგრძლივი გამოცდილება აქვს, ეგრეთ წოდებული "ალტერნატიული განვითარების" მხარდამჭერია. ფრიდმანი ყურადღებას ამახვილებს ღარიბების უფლებამოსილების უქონლობაზე. ჩემბერსის მსგავსად, მასაც ოჯახი მიაჩნია საბაზისო სოციალურ ერთეულად და თვლის, რომ ღარიბები სოციალური პრაქტიკის ოთხ ურთიერთგადამფარავ სფეროში არსებობენ: სახელმწიფო, პოლიტიკური, სამოქალაქო საზოგადოებისა და კორპორატიული ეკონომიკის სფეროებში (ფრიდმანი, 1992, 26-31). ყოველ სფეროს მისთვის დამახასიათებელი ძალაუფლება აქვს, კერძოდ: სახელმწიფო ძალაუფლება, პოლიტიკური ძალაუფლება, სოციალური ძალაუფლება და ეკონომიკური ძალაუფლება.

ყოველ სფეროს თავისი ინსტიტუტები აქვს. სახელმწიფოს ბირთვი აღმასრულებელი და სასამართლო ძალაუფლებისაგან შედგება. პოლიტიკური სფეროს ბირთვი დამოუკიდებელი პოლიტიკური ორგანიზაციებია. ფრიდმანის აზრით, სახელმწიფო და პოლიტიკური სფეროების გადაკვეთაზე მდებარეობს საკანონმდებლო და მარეგულირებელი ორგანოები. სამოქალაქო საზოგადოების ბირთვია ოჯახი. იქ, სადაც სამოქალაქო საზოგადოებისა და სახელმწიფო სფეროები იკვეთება, ეკლესიები და მოხალისეთა ორგნიზაციები არსებობენ. კორპორატიული ეკონომიკის ბირთვია კორპორაციები. მოცემული სფერო მჭიდროდაა დაკავშირებული გლობალურ ეკონომიკასა და ტრანსნაციონალურ კორპორაციებთან. იქ, სადაც კორპორატიული ეკონომიკა და პოლიტიკური სფერო იკვეთება, არსებობს პოლიტიკური პარტიები, საპროტესტო მოძრაობები, გარემოსდაცვითი ორგანიზაციები და სხვა. იქ, სადაც კორპორაციული ეკონომიკა სამოქალაქო საზოგადოებასთან გადაიკვეთება, არსებობს არაფორმალური ეკონომიკის სექტორი და პოპულარული ეკონომიკური ჯგუფები. ეს ურთიერთდაკავშირებული სფეროები ერთი მთლიანი სისტემაა, რომლის ფარგლებშიც ღარიბი ოჯახები იბრძვიან არსებობისათვის, საარსებო საშუალებების, საცხოვრებლისა და უფლებამოსილების მოპოვებისათვის (იხილეთ დიაგრამა 4-3).

ფრიდმანი სოციალური უფლებამოსილების რვა სფეროს აღწერს, რომლებშიც ღარიბებს შეუძლიათ დაიმკვიდრონ სოციალური სივრცე, გავლენა, უკეთესი არსებობა და გაზარდონ საკუთარი სოციალური უფლებამოსილება. ესენია: სოციალური ქსელები, ინფორმაცია თვითგანვითარებისათვის, გამოთავისუფლებული დრო, სამუშაო ინსტრუმენტები, სოციალური ორგანიზაციები, ცოდნა და უნარები, უსაფრთხო საცხოვრებელი გარემო, ფინანსური რესურსები (1992, 67). ვითარებას, რომელშიც სოციალური უფლებამოსილების ეს რვა დონე სუსტადაა განვითარებული და ღარიბ ოჯახებს არ შეუძლიათ დამოუკიდებლად გამოვიდნენ სიღარიბის ხაფანგიდან, ფრიდმანი აბსოლუტურ სიღარიბეს უწოდებს (იხილეთ დიაგრამა 4-4).



დიაგრამა 4-3: ოჯახის სასიცოცხლო სივრცე და სოციალური პრაქტიკის ოთხი სფერო

ფრიდმანის ძირითადი აზრი ის არის, რომ სოციალურ ორგანიზებსა და პოლიტიკურ პროცესებში მონაწილეობის მიუწვდომლობა სიღარიბის განმაპირობებელი ძირითადი მიზეზებია. "უფლებამოსილების წართმევის მოდელი სიღარიბის განმაპირობებელი პოლიტიკური მიზეზია. ამ მოდელის ამოსავალი წერტილი ის არის, რომ ღარიბ ოჯახებს არა აქვთ სოციალური უფლებამოსილება, რომ თავიანთი წევრების მდგომარეობა გააუმჯობესონ" (1992, 66).

სიღარიბის ფრიდმანისეული ინტერპრეტაცია, ანუ სოციალური უფლებამოსილების ნაკლებობა, უფრო ღრმაა, ვიდრე სიღარიბის, როგორც საგნების ან ცოდნის დეფიციტის, გაგება. ფრიდმანის მიდგომა ღარიბ ოჯახებს იმ სოციალური სისტემის კონტექსტში განიხილავს, რომელიც ვიწრო, ლოკალურ ფარგლებს სცდება.



დიაგრამა 4-4: სოციალური უფლებამოსილების ოთხი ასპექტი და ღარიბი ოჯახები

მისი მოდელი მთავრობის, პოლიტიკური სისტემის, სამოქალაქო საზოგადოების, ეკონომიკისა და გლობალურ ეკონომიკაში ინტეგრაციის პერსპექტივიდან განიხილავს სიღარიბის პრობლემას.

ფრიდმანის მიხედვით, სიღარიბე არის უფლებამოსილების ნაკლებობა. გარდა ამისა, ფრიდმანმა სიღარიბეს ფსიქოლოგიური ასპექტიც დაამატა. ეს უაღრესად მნიშვნელოვანი იყო. ფრიდმანი არაპირდაპირი სახით საუბრობს სიღარიბის სულიერ ასპექტზე, თუმცა არ განავრცობს ამ თემას. საჭიროა იმის ნათელი განმარტება, თუ რატომ არიან ღარიბები გარიცხულნი სოციალური სისტემებიდან. იმისთვის, რომ უკეთ გავაცნობიეროთ, თუ რატომ ხდება, რომ სოციალური ინსტიტუტები, მაშინაც კი, როდესაც მასში მოღვაწე ადამიანებს კარგი განზრახვა აქვთ, ღარიბებს ყურადღების მიღმა ტოვებენ. აუცილებელია ამ საკითხის სულიერების პერსპექტივიდან განხილვა. ძალაუფლების თეოლოგიის გათვალისწინების გარეშე შეუძლებელი ხდება იმის გარკვევა, თუ რატომაა, რომ სოციალური ინსტიტუტები არ ემსახურება იმ მიზნებს, რომლებისთვისაც ისინი შეიქმნა. გარდა ამისა, საკმაოდ ძნელი ასახსნელია ღარიბების დესტრუქციული ქცევა და ცუდი არჩევანი, ან ის, რომ ხშირად თავად ღარიბებიც ექსპლუატაციას უწევენ ერთმანეთს.

აიზეკ პრილელტენსკი — სიღარიბე როგორც შეზღუდული ურთიერთობები და პირადი კეთილდღეობა

ბოლო პერიოდამდე განვითარების თეორიის შემუშავებაში ფსიქოლოგები ნაკლებად იღებდნენ მონაწილეობას. ამას, სავარაუდოდ, ორი გარემოება განაპირობებდა. პირველი ის არის, რომ განვითარების თეორია და ფსიქოლოგია ცალ-ცალკე ვითარდებოდნენ, რადგანაც ისინი სხვადასხვა სფეროს იკვლევდნენ. მეორე მიზეზი ისაა, რომ ითვლებოდა, რომ ფსიქოლოგია საშუალო ფენაზეა ორიენტირებული, ანუ შეძლებული დასავლელი ადამიანებისათვისაა განკუთვნილი, მათ პირად პრობლემებს განიხილავს და, შესაბამისად, არაფერი აქვს საერთო სამხრეთელებთან.

ეს მიდგომა მსოფლიო ბანკის კვლევის, "ღარიბთა ხმის," გამოქვეყნების შემდეგ გადაისინჯა. მკვლევრების მიერ მომზადებული ანგარიშის შესაბამისად, ღარიბები სიღარიბის ისეთ ფსიქოლოგიურ ასპექტებზე საუბრობდნენ, როგორებიცაა: პირადი "უფლებმოსილების უქონლობა, სირცხვილისა და დამცირების შეგრძნება, ასევე, ამ გრძნობების გამოხატულებაა ალკოჰოლიზმი, ოჯახური ძალადობა და დეპრესია" (სლოუნი, 2003, 308). ბოლო პერიოდში, აქცენტის ადამიანების უფლებამოსილების გაზრდაზე გადატანის შედეგად, მეცნიერებმა დაიწყეს ფიქრი სიღარიბის საზომების შემუშავებაზე და მათი ყურადღების ცენტრში ისეთი ასპექტებიც მოექცა, როგორებიცაა სუბიექტური კეთილდღეობა და უფლებამოსილება (ნარაიან-პარკერი, 2005, 123-76). სიღარიბის დაძლევის თემაზე საერთაშორისო დიალოგის ფარგლებში ფსიქოლოგიის სფეროს საკითხებიც იქნა გათვალისწინებული.

ამ საკითხების შესწავლისათვის უაღრესად მნიშვნელოვანია სოციალური ფსიქოლოგია. სოციალურ ფსიქოლოგიას 1960-იან წლებში ჩაეყარა საფუძველი, რადგანაც ფსიქიატრიის სფეროს პროფესიონალებს კარგად ესმოდათ შემდეგი: ადამიანის ფსიქიკური ჯანმრთელობა კავშირშია ამა თუ იმ პიროვნების დამოკიდებულებასთან სოციალურ სისტემაზე, რომელშიც ის ცხოვრობს. სულ უფრო და უფრო ნათელი ხდებოდა, რომ დასავლური ფსიქოლოგიის ინდივიდუალიზმი ნათლად ვერ წარმოაჩენდა მჩაგვრელი სოციალური სისტემების ზეგავლენას ადამიანებზე, რადგანაც "პრობლემები, ძირითადად, პირადი ხასიათის ზეგავლენით შექმნილ გამოწვევად იყო მიჩნეული და არა სოციალური სისტემების ნაკლოვანებად. ამგვარად, ეს უსამართლო სტატუსკვო კიდევ უფრო მყარ საფუძველს პოულობდა" (სლოუნი, 2003, 303).

სოციალური ფსიქოლოგიის მიზანია იმ სისტემური პოლიტიკური და ეკონომიკური ფაქტორების შესწავლა, რომლებიც უარყოფითად აისახება ადამიანთა კეთილდღეობასა და საკუთარი იდენტობის გაცნობიერებაზე. "კრიტიკული ან სოციალური ფსიქოლოგიის პერსპექტივიდან არ არსებობს ისეთი გამოცდილება, რომელიც მხოლოდ ფსიქოლოგიური ან პოლიტიკურია. ადამიანის ფენომენი იმაშია, რომ იგი ამ ორივე ფაქტორის მომცველია" (პრილელტენსკი, 2003, 20-21). ეს გულისხმობს, რომ სოციალური ფსიქოლოგია უნდა შეისწავლიდეს უთანასწორობასა და ძალაუფლებას.

პაულო ფრიერეს ნაშრომზე დაყრდნობით სოციალური ფსიქოლოგები მონაწილეობრივ მიდგომებს იყენებენ კვლევის ინსტრუმენტად, რაც მათ საშუალებას აძლევს, თავად ღარიბმა ადამიანებმა შეაფასონ კრიტიკულად საკუთარი სოციალური და კულტურული კონტექსტი და ამ გზით შეუწყონ ხელი სო-

ციალურ და ინსტიტუციურ ცვლილებებს. “მოცემული მიდგომა საშუალებას გვაძლევს, გავითვალისწინოთ თავად დაჩაგრული ადამიანების თვალსაზრისი, თუ რა მიაჩნიათ მათ ღირსეულ ცხოვრებად, ეფექტურ საზოგადოებად და რა როლი აქვს უფლებამოსილების გაზრდას ადამიანთა კეთილდღეობის გაუმჯობესებაში” (პრილელტენსკი და ნელსონი, 2002).

აიზეკ პრილელტენსკი არგენტინელი პროფესორია სოციალური ფსიქოლოგიის სფეროში. იგი სენის იდეებსა და “ღარიბების ხმაზე” დაყრდნობით სიღარიბის საკუთარ მოდელს გვთავაზობს, რომელიც აქცენტს აკეთებს იმაზე, თუ რამდენად მნიშვნელოვანია უფლებამოსილება ინდივიდუალური და საზოგადოებრივი იდენტობის ჩამოყალიბებისათვის. მისი ანალიტიკური ჩარჩო სამ ძირითად და ურთიერთდაკავშირებულ სფეროს მოიცავს: პირადი, კოლექტიური და ურთიერთობების სფერო. პირადი სფეროს მისეული მოაზრება მოგვაგონებს ჩემბერსის იდეას, რომელიც სიღარიბის მახეზე საუბრობს და ისეთ ასპექტებს ასახელებს, როგორებიცაა: სუსტი ჯანმრთელობა, არასათანადო კვება, განათლების უქონლობა, რომლებიც ადამიანის შესაძლებლობებსა და თავისუფლებას ზღუდავს (სენი). კოლექტიური სფერო პოლიტიკურ და ეკონომიკურ სტრუქტურებს მოიცავს, რომლებიც ადამიანების კეთილდღეობას ბარიერებს უქმნის, რაც კიდევ ერთხელ შეგვახსენებს ფრიდმანისა და სენის მიერ სიღარიბის ინტერპრეტაციას.

პრილელტენსკი ამ სფეროებს კიდევ ერთ, კერძოდ, ურთიერთობების სფეროს ამატებს და განიხილავს მატერიალური სიღარიბისა და უსამართლო ურთიერთობების ფსიქოლოგიურ ზეგავლენას ღარიბებზე, კერძოდ კი, განიხილავს ღარიბების მიერ საკუთარი თავისა და საკუთარი შესაძლებლობების შეფასებას. პრილელტენსკი საუბრობს იმაზე, რომ “ადამიანთა ურთიერთობები დაკნინებულია, რადგანაც ისინი აგებულია უპატივცემულობაზე, დამცირებაზე, ექსკლუზიასა და იდენტობის წაშლაზე” (2003, 19–34). ურთიერთობების ასეთი დაკნინება როგორც ინდივიდუალურ, ისე საზოგადოებრივ დონეზეც ხდება. ფრიდმანი საუბრობს ფსიქოლოგიურ ძალაუფლებაზე, როგორც “ადამიანის მიერ საკუთარი ძლევამოსილების აღქმაზე” (1992, 33) და სიღარიბეზე, როგორც უფლებამოსილებისა და თავისუფლების ნაკლებობაზე. პრილელტენსკი აცხადებს, რომ ამ სამ სფეროში არსებული დეფიციტი უნარებისა და კონტროლის დაკარგვითაა განპირობებული, რაც ადამიანის იდენტობისა და ფუნქციონალურობის დაკარგვას იწვევს (2003, 23) (იხილეთ დიაგრამა 4–5).

ფსიქოლოგიური ასპექტების, კერძოდ, არაეფექტური ურთიერთობების, ზემოქმედების გათვალისწინება უფლებამოსილების დაკარგვის ინტერპრეტაციისას უაღრესად მნივნელოვანია და დაკავშირებულია ჯაიკუმარ ქრისტიანის თვალსაზრისთან, რომელიც სიღარიბის ინტერნალიზაციაზე საუბრობს, რასაც მომდევნო ნაწილში განვიხილავთ.



დიაგრამა 4-5: სიღარიბე როგორც პირადი კეთილდღეობისა და ურთიერთობების ხელშემშლელი ფაქტორი (პრილელტენსკი, 2003)

ჯაიაკუმარ ქრისტიანი — სიღარიბე როგორც უფლებამოსილების შეზღუდვის სისტემა

ჯაიაკუმარ ქრისტიანმა, განვითარების სფეროს პრაქტიკოსმა, რომელსაც ინდოეთში მოღვაწეობის დიდი ხნის გამოცდილება აქვს, და ჩვენმა კოლეგამ World Vision-იდან, თავისი გამოცდილება ასახა ფულერის თეოლოგიურ სემინარიაში მომზადებულ სადოქტორო ნაშრომში, რომლის სათაურია *"ღარიბების ღმერთი"* (1994). ქრისტიანი ჩემბერსისა და ფრიდმანის იდეებს იყენებს თავისი თვალსაზრისის საფუძვლად, მაგრამ, იმავდროულად, სიღარიბის ინტერპრეტაციას სულიერი ასპექტების ჭრილში გვაძლევს.

ჩემბერსისა და ფრიდმანის მსგავსად, ქრისტიანი მიიჩნევს, რომ ღარიბი ოჯახები ურთიერთდაკავშირებული სისტემების რთულ ჩარჩოში არიან მოქცეულნი. ქრისტიანის მოსაზრებით, ეს სისტემები მოიცავს პირად სისტემებს, რომლებიც, თავის მხრივ, ფსიქოლოგიურ ასპექტებს შეეხება; სოციალურ სისტემას, როგორც ამას ფრიდმანი ამბობს; სულიერ-რელიგიურ სისტემას, რომელიც ერთდროულად პირადიცაა და სოციალურიც, და კულტურულ სისტემას, რომელიც მსოფლმხედველობას გულისხმობს (1994, 334).



დიაგრამა 4-6: სიღარიბე როგორც უფლებამოსილების დაკარგვა (ქრისტიანი, 1999)

თავს ნება მივეცი, ქრისტიანის სისტემისთვის დამემატებინა ბიოფიზიკური სისტემა, რომელიც ჩემბერსის სისტემის გამოძახილია. გონებისა და სხეულის სისუსტეს, რაც საკვების ნაკლებობით, ავადმყოფობითა და მძიმე ფიზიკური შრომითაა განპირობებული, დიდი წვლილი შეაქვს სიღარიბის გამწვავებაში და ქრისტიანის მიერ შემოთავაზებულ ფაქტორებს შეიძლება დაემატოს (იხილეთ დიაგრამა 4-6).

ღარიბები ურთიერთდაკავშირებული სისტემების მახეში არიან გაბმულნი და მათ გამო უფლებამოსილება არ გააჩნიათ. სისტემის ყოველ ნაწილს თავისი წვლილი შეაქვს ღარიბების უფლებამოსილების შეზღუდვაში. როდესაც ქრისტიანი სიღარიბის საკუთარ იტერპრეტაციას წარმოგვიდგენს, იგი საუბრობს შეძლებულების ღმერთის კომპლექსის ტყვეობაში ყოფნაზეც, ძალაუფლების მქონე ადამიანებისა და სტრუქტურების თვალთმაქცობაზე, მსოფლმხედველობის არაადეკვატურობაზე, იდენტობის შელახვასა და დაკარგვაზე.

შეძლებულთა "ღმერთის კომპლექსის" ტყვეობაში ყოფნა — სოციალურ-ეკონომიკურ-პოლიტიკური სისტემები

ფრიდმანისა და უინქის მსგავსად, ქრისტიანი აცხადებს, რომ სოციალური სისტემები ღარიბების უფლებამოსილებას ზღუდავს მათი ექსკლუზიისა და ექსპლუატაციის გზით, მაგრამ, ქრისტიანის აზრით, ამის ფესვები უფრო ღრმად მიდის (1994, 178). შეძლებულებს მიაჩნიათ, რომ ისინი უკეთესები არიან, შესაბამისად, მათ უპირატესობა აქვთ და ამიტომაც მართვა და ძალაუფლება მათი პრეროგატივაა. ისინი წინ ვერ უდგებიან ცდუნებას, ღვთის როლი შეასრულონ ღარიბების ცხოვრებაში და ძალაუფლების შენარჩუნების მიზნით

რელიგიურ სისტემებს, მასმედიას, კანონს, სახელმწიფო პოლიტიკასა და ბიუროკრატიულ მექანიზმებს იყენებენ. ეს ადამიანები ქმნიან ისეთ ნარატივს, სტრუქტურებსა და სისტემებს, რომლებიც ამართლებენ და ამყარებენ მათ პრივილეგირებულ მდგომარეობას. შედეგად ღარიბები შეძლებულების ღმერთის კომპლექსის ტყვეობაში აღმოჩნდებიან ხოლმე. ქრისტიანს მიაჩნია, რომ შეძლებულები ღმერთის კომპლექსს შემდეგნაირად ავლენენ:

- საკუთარი თავის აბსოლუტიზაცია ღარიბების ცხოვრებაში.
- "მარადიული გუშინდელის" მაგალითად მოყვანა "მარადიული ხვალინდელის" საპირისპიროდ და ღარიბებისთვის იმის მტკიცება, რომ "ეს ყოველთვის ასე იყო."
- ზეგავლენის მოხდენა და ჩარევა ცხოვრების იმ სფეროებში, რომლებიც მათი კომპეტენციისა და გავლენის ფარგლებს გარეთაა (მაგალითად, მიწის მფლობელი ან დამსაქმებელი ცდილობს სახელები შეურჩიოს მასზე დამოკიდებული ღარიბი ადამიანის შვილებს ან გადაწყვეტილებას იღებს, თუ ვინ ვის უნდა გაჰყვეს ცოლად და სხვა).
- ცდილობენ მუდმივად შეინარჩუნონ თავიანთი გავლენა და უპირატესობა და არასოდეს გაუნაწილონ ეს გავლენა ან უფლებამოსილება ღარიბებს.
- მოქმედებენ სხვა შეძლებულებთან ერთად, რათა საკუთარი ძალაუფლება გააძლიერონ და შეინარჩუნონ (1998a, 1–2).

ასეთი ტყვეობა კონკრეტულ გამოხატულებას პოულობს სოციალურ, პოლიტიკურ, ეკონომიკურ, რელიგიურ და კულტურულ სისტემებში, რის შედეგადაც ყალიბდება სიცრუის ქსელი, რომელიც ხელს უწყობს შეძლებულების ძალაუფლებისა და გავლენის შენარჩუნებას. ღარიბების ასეთი სისტემური ტყვეობა ძალაუფლების რამდენიმე დონის ურთიერთქმედებით ნარჩუნდება. ადგილობრივი პოლიცია, მიწის მესაკუთრეები, რელიგიური ლიდერები ღარიბების უფლებამოსილების წარმთმევის მაკროდონეზე არსებული ინსტიტუტებია. ისინი, თავის მხრივ, დაკავშირებული არიან და ემსახურებიან ბიზნესის, პოლიტიკური წრეებისა და სასმართლო სისტემის ინტერესებს როგორც რეგიონულ, ასევე ნაციონალურ დონეზე. ეს არის ღმერთის კომპლექსის მაკროდონეზე გამოვლინება. ეს მაკროდონე გლობალური სისტემების შემადგენელი ნაწილია და წარმოდგენილია ტრანსნაციონალური კორპორაციებით, საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტებით (მსოფლიო ბანკი, საერთაშორისო სავალუტო ფონდი და სხვა), რომლებიც ხშირად თავადაც სცოდავენ და ღმერთის როლს ასრულებენ ღარიბების ცხოვრებაში. სტრუქტურული გარდაქმნები და ვაშინგტონის კონსენსუსი ამის დამადასტურებელი მაგალითებია. დაბოლოს, ქრისტიანი, უინქის მსგავსად, შეგვახსენებს, რომ რომ ყველა ეს სისტემა მოქმედებს კოსმიური სისტემის ფარგლებში, რომელშიც სახელმწიფოები და ძალაუფლება ფუნქციონირებს და წინ აღუდგება უფლის ნებასა და განზრახვას ადამიანების კეთილდღეობასთან დაკავშირებით (იხილეთ დიაგრამა 4-7).



დიაგრამა 4-7: "ღმერთის კომპლექსი," რომელიც ღარიბების უფლებამოსილებას ზღუდავს (ქრისტიანის დიაგრამის ადაპტირებული ვერსია, 1994)

უოლტერ უინქსის მოსაზრებებზე დაყრდნობითა და მათი გავრცობით ქრისტიანი იმ აზრამდე მიდის, რომ ღმერთის კომპლექსს, განსაკუთრებით კი სისტემებისა და სტრუქტურების დონეზე, იდეოლოგიური ცენტრი აქვს, "ანუ შინაგანი რეალობა, რომელიც მართავს და ინარჩუნებს ამ სტრუქტურებს, სისტემებსა და ადამიანებს, რომლებიც მათ ფარგლებში არიან მოქცეულნი. ეს შინაგანი რეალობა მოქმედებს იმ შინაგანი ლოგიკის შემუშავებაზე, რომელიც ამ მდგომარეობას ამართლებს და სიცოცხლისა და ფასეულობების საკუთარ ინტერპრეტაციას იძლევა" (1998, 3). ტრასფორმაციული განვითარება, რომელიც არ აღიარებს ღმერთის ნარატივის ჭეშმარიტებას და ამ თვითგამართლებასა და თვითდამკვიდრებაზე მიმართულ ნარატივს ეფუძნება, სიღარიბის სტრუქტურულ ასპექტს სრულიად კარგავს მხედველობის არიდან და არ ემსახურება ამ დონეზე არსებული პრობლემების აღმოფხვრას.

შეძლებულების ღმერთის კომპლექსების ასეთ ტყვეობაში ყოფნის შედეგად ღარიბები ამ მდგომარეობას ბუნებრივად იღებენ და, საბოლოოდ, ნორმალურ მდგომარეობად აღიქვამენ. ასეთი ვითარება უკვე დიდი ხანია დამკვიდრდა. სალივანი მე-15 საუკუნეში წერდა: "ღარიბები საკუთარ თავს და ბედს მმართველ კლასებს ანდობენ მათზე ზრუნვისა და დაცვის სანაცვლოდ. საბოლოდ ისინი შეძლებულთა ტყვეობაში, მათ იურისდიქციაში და მათზე დამოკიდებულ

მდგომარეობაში აღმოჩნდებიან ხოლმე" (1986, 151). ორმოცი წელი დასჭირდა, რომ ებრაელთა კოლექტიური მეხსიერებიდან ეგვიპტური ტყვეობის კვალი ამოშლილიყო, სანამ ისინი დამოუკიდებელ ერად ჩამოყალიბდნენ. ქრისტიანის აზრით, სწორედ ეს არის ღარიბთა შელახული იდენტობის გამოვლინება.

ძალაუფლების მფლობელთა მიერ შექმნილი სიცრუის ქსელი - სულიერების სისტემა

ქრისტიანი აღიარებს ცოდვით დაცემის ზეგავლენას ადამიანზე. იგი, იმავდროულად, უოლტერ უინქის აზრს აგრძელებს და ამბობს, რომ ამან ძალაუფლების მფლობელობასა და მის უქონლობაზე მოახდინა ზეგავლენა (1994, 252). ღარიბების უფლებამოსილების შეზღუდვა კიდევ უფრო მკვთრადაა გამოხატული იმ შიშისა და სიცრუის გამო, რომელსაც ძალაუფლების მპყრობელნი ნერგავენ, "რომელთაც ღმერთმა დაუბნელა ურწმუნო გონი" (კორინთელთა მიმართ, 4:4) და არ ცდილობენ "დააღწიონ თავი ეშმაკის მახეს, რომელმაც თავისი ნებით შეიპყრო ისინი" (ტიმოთე, 2:26). ღარიბებიცა და შეძლებულებიც "ქვეყნიერების ნივთიერ საწყისს ემონებიან" (გალატელთა მიმართ, 4:3). ამ სიცრუის ქსელის ძირითადი გამოხატულება იდეოლოგიური ცენტრის ან სისტემების, სტრუქტურებისა და შეძლებულთა უპირატესი მდგომარეობის გამამართლებელი ნარატივის შინაგანი რეალობის მეშვეობით ხდება. მაგრამ, მიუხედავად ამისა, აღსანიშნავია, რომ ამ ყველაფერს კიდევ უფრო ღრმა ფესვები აქვს. ქრისტიანი, ასევე, ამტკიცებს, რომ სიღარიბეს მხოლოდ ადამიანები და მათ მიერ შექმნილი სისტემები არ ამკვიდრებენ და ასაზრდოებენ. არსებობს კოსმიური ბოროტი ძალებიც, რომლებიც ადამიანთა კეთილდღეობის წინააღმდეგ მოქმედებენ. მოწინააღმდეგე "ჭეშმარიტებაში ვერ დაემკვიდრა, ვინაიდან ჭეშმარიტება არ არის მასში და როცა სიცრუეს ამბობს, თავისას ამბობს, ვინაიდან ცრუ არის და სიცრუის მამა" (იოანე, 8:44). სიღარიბის ნებისმიერი ინტერპრეტაცია, რომელიც ამ ბოროტი ძალის ზეგავლენას არ ითვალისწინებს, ვერ გაიაზრებს ბიბლიის მიერ შემოთავაზებულ ახნას და ვერც თანმიმდევრული იქნება.

მსოფლმხედველობის არაადეკვატურობა — კულტურული სისტემა

ქრისტიანის აზრით, უფლებამოსილების ნაკლებობა იმითიცაა განპირობებული, რასაც იგი მსოფლმხედველობის ნაკლოვანებებს ან არასრულყოფილებას უწოდებს (1994, 199, 262). ქრისტიანი ინდუისტურ კონტექსტში განიხილავს ამ საკითხებს და "კარმაზე" საუბრობს. კარმაც ხელს უწყობს ადამიანთა უფლებამოსილების შეზღუდვას, რადგან იგი ღარიბებს ასწავლის, რომ მათი ამჟამინდელი მდგომარეობა მათი წინა ცხოვრების გამოძახილია და თუ უნდათ, რომ შემდეგ ცხოვრებაში უკეთესი ბედი ეწიოთ, უნდა მიიღონ თავიანთი მდგომარეობა. როდესაც ღარიბებს მოუწოდებენ, რომ თავიანთი დღევანდელი მდგომარეობა უკეთესისაკენ შეცვალონ, მათი მსოფლმხედველობა მათზე ზეგავლენას ახდენს და უჩენს მათ ეჭვს: ამით მათ ცოდვისაკენ ხომ არ უბიძგებენ?

თავის მხრივ, ბრაჰმინების კასტის წარმომადგენლებს ასწავლიან, რომ ისინი უპირატესნი არიან, რადგანაც ღმერთის თავისაგან შეიქმნენ და, შესა-

ბამისად, მათი პრეროგატივაა მართვა. ჰარიჯანებს (“ღვთის შვილები”, ღარიბები) ასწავლიან, რომ ისინი ღმერთის სხეულის ქვედა ნაწილისაგან არიან შექმნილნი და, შესაბამისად, უფრო დაბალ კასტას მიეკუთვნებიან, ამიტომ დამოკიდებულ მდგომარეობაში უნდა იყვნენ. ეს არ არის მხოლოდ ინდუისტური კონტექსტის პრობლემა. ყველა კულტურას, მათ შორის დასავლურს, ისეთი პოსტულატები და ცრურწმენები აქვს, რომლებიც ღარიბი ადამიანების უფლებამოსილებას ზღუდავს, მათ ცვლილებების სტიმულს აკარგვინებს და მჩაგვრელ ურთიერთობებს ამკვიდრებს, როგორც რაღაც საკრალურსა და წინასწარ განზრახულს.

სულისა და სხეულის სისუსტე — ბიოფიზიკური სისტემა

სიღარიბის ეს გამოვლინება, ქრისტიანის მიხედვით, ფიზიკურ სისუსტესთანაა დაკავშირებული. ადამიანის გონება და სხეული სიღარიბითაა დაკნინებული საკვების უქონლობის, ქრონიკული დაავადებებისა და განათლების მიუწვდომლობის გამო (1994, 200). ბავშვებს, რომლებიც ცხოვრების პირველი ორი წლის განმავლობაში არასაკმარის საკვებს იღებენ, ცხოვრების შემდგომ პერიოდში პრობლემები ექნებათ სწავლისა და შემეცნების თვალსაზრისით. სუსტი სხეული და გონება უფრო ადვილი დასატყვევებელია და ადვლად ხვდება ღმერთის კომპლექსის, სიცრუისა და არაადეკვატური მსოფლმხედველობის მსხვერპლი.

ღარიბების შელახული იდენტობა — პირადი სისტემა

ქრისტიანი სიღარიბის შესახებ თავის ინტერპრეტაციას ასრულებს იმაზე საუბრით, რომ შეძლებულთა ღმერთის კომპლექსის ტყვეობაში ყოფნა, ძალაუფლების მპყრობელთა მიერ სიცრუის ხლართის აგება, მსოფლმხედველობის არაადეკვატურობა და ბიოფიზიკური საჭიროებების შეზღუდულობა საბოლოოდ ღარიბების იდენტობის შელახვას იწვევს, რაც სამ ასპექტში ვლინდება:

პირველი: ღარიბები სისტემატურად არიან გარიყულნი გარკვეული პროცესებიდან. ძალაუფლების მპყრობელები დარწმუნებული არიან, რომ ღარიბებს მათთვის რაიმე ღირებულის შეთავაზება არ შეუძლიათ, რადგანაც ისინი, მათი აზრით, ზარმაცები, უვიცები ან უღირსები არიან. სამწუხაროდ, თავად განვითარების სააგენტოები და ექსპერტებიც სცოდავენ ამ მიმართულებით.

მეორე: მთელი ცხოვრების ტანჯვაში, სიცრუესა და ექსკლუზიაში გატარება დაღს ასვამს ღარიბებს, ისინი კარგავენ საკუთარ იდენტობას, აღარ ესმით, თუ რა არის მათი დანიშნულება და ვინ არიან სინამდვილეში. ეს არის სიღარიბის ყველაზე ღრმა და პრობლემური გამოვლინება. ღარიბები იჯერებენ, რომ ისინი ასეთებად დაიბადნენ და რომ მათ არ გააჩნიათ არანაირი ღირებულება, არ შეუძლიათ წვლილის შეტანა საზოგადოების განვითარებაში და მათი ხვედრი სხვა ადამიანების სამსახურში ყოფნაა. “ღარიბები მიიჩნევენ, რომ ისინი არ არსებობენ, არანაირი ღირებულება არ გააჩნიათ და, შესაბამისად, დამცირებულად გრძნობენ თავს” (უინქი, 1992, 101).

სიღარიბის გათავისება და შეძლებულების მიერ ღარიბების დარწმუნება, რომ ისინი არ არიან საზოგადოების ღირსეული წევრები, ასევე, არსებული

სოციალური სისტემები შედეგად იწვევს სიღარიბეს. ავგუსტინ მუსოპოლე ამბობს: "ეს არის სფერო, სადაც აფრიკელები ყველაზე მწვავედ გრძნობენ სიღარიბეს, რადგანაც მათ სჯერათ, რომ უმაქნისები არიან და ვერაფერს აკეთებენ იმისთვის, რომ მდგომარეობა გამოასწორონ" (მუსოპოლე, 1997).

ჰოვარდ ტრუმანმა, ადამიანის უფლებების აქტივისტმა ბოსტონის უნივერსიტეტიდან, 1949 წელს დაწერა, რომ "ძალიან ცოტა რამ არის იმაზე უარესი, ვიდრე მუდმივად იმაში დარწმუნება, რომ არაფერს წარმოადგენ და რომ შენი უფლებების დაცვისთვის, პრაქტიკულად, საერთოდ არაფერი კეთდება" (1996, 39). შედეგი შემაშფოთებელია, რადგანაც ეს არის ადამიანთა შელახული ღირსება და იმის შეგრძნება, რომ მათ არ გააჩნიათ სოციალური სივრცე. ამის კრებსითი შედეგია მოქმედების უნარისა და იმედის დაკარგვა. იმედისა და თავისუფლების გარეშე ჩვენ არა ვართ ისეთი ადამიანები, როგორებიც ღმერთის განზრახვის შესაბამისად უნდა ვიყოთ.

აღსანიშნავია, რომ ქრონიკული სიღარიბისა და ჩაგვრის შედეგად ადამიანთა მიერ საკუთარი იდენტობის დაკარგვის ფაქტი სხვადასხვა სფეროს შესწავლაზე ორიენტირებულ მრავალ კვლევაში წარმოჩნდა. მექსიკელი ანთროპოლოგი ოსკარ ლუისი პირველი იყო, ვინც აღწერა ის სუბკულტურა, რომელიც მექსიკის რეგიონებში მცხოვრებ ღარიბებში ჩამოყალიბდა შეძლებულების მიერ ჩაგვრის პირობებში. მან ამ სუბკულტურას "სიღარიბის კულტურა" უწოდა (1959). სოციოლოგმა ირვინ გოფმანმა, რომელიც სტიგმის საკითხებს სწავლობდა, შემოგვთავაზა ტერმინი "დაკნინებული იდენტობა" (1963, 15). კამერუნელი მღვდელი ენგელბერტ მვენგი აფრიკაში ამ ფენომენს "არსებობის დეფიციტს" უწოდებს (1994, 156). განვითარების ეკონომისტმა არჯუნ აპადურაიმ გამოთქვა მოსაზრება, რომ სიღარიბე "ოცნებებისა და ამბიციების უნარის შეზღუდვას" იწვევს (2004, 55–56). თეოლოგმა ვირგილიო ელიზონდომ ეს ფენომენი აღწერა, როგორც "ეგზისტენციური სიღარიბე" (2007, 159). დაბოლოს, ჩვენ კვლავ უნდა შეგახსენოთ პრილელტენსკის აზრი ღარიბების ფსიქოლოგიურ რეაქციაზე შეძლებულების ძალაუფლებასა და ჩაგვრაზე. მნიშვნელოვანია აღვნიშნოთ, რომ არც ერთი ზემოხსენებული ავტორი არ მიიჩნევს, რომ სიღარიბე თავად ღარიბების ბრალია. ამის ნაცვლად ისინი აცხადებენ, რომ ღარიბებს რაციონალური, გასაგები და აუცილებელი კორექტივები შეაქვთ თავიანთ მოლოდინში ქრონიკული ჩაგვრის პირობებში ცხოვრების შედეგად. ტრაგედია იმაშია, რომ მათი შვილები მემკვიდრეობით იღებენ ასეთ დამოკიდებულებას და მიაჩნიათ, რომ ასეთი ცხოვრება მათთვის ნორმაა, მათი ხვედრია და არაფერი შეიცვლება.

განვავრცოთ შელახული იდენტობის იდეა. ჩვენ ვართ ის, რასაც ვაკეთებთ. ქრისტიანი ყურადღებას ღარიბების შელახულ იდენტობასა და მათ არსებობაზე ამახვილებს, მაგრამ არ ეხება ისეთ ასპექტს, როგორიცაა მათი ქმედებები. მჯერა, რომ სიღარიბე ადამიანის ამ ორივე ასპექტზე ახდენს უარყოფით ზეგავლენას. სიღარიბის შედეგი ისაა, რომ ადამიანებმა აღარ იციან, ვინ არიან (რისთვის არსებობენ) ან რა დანიშნულება აქვთ მათ და არ სჯერათ, რომ რაიმე ღირებულ წვლილს შეიტანენ საზოგადოებრივ ცხოვრებაში (კარგს და სასარგებლოს გააკეთებენ).

სიცრუის ხლართი

ქრისტიანის აზრით, ღარიბების იდენტობა შელახული და გარდატეხილია "სიცრუის ხლართის" ზემოქმედების შედეგად, რომელიც უფრო საშიშ და ვერაგულ მახეში აბამს ღარიბებს, ვიდრე ფიზიკური კავშირები ან მატერიალური საგნების უქონლობა (1994, 264). ეს სიცრუე ღმერთის კომპლექსის, მსოფლმხედველობის არაადეკვატურობისა და ძალაუფლების მფლობელთა მიერ თვალთმაქცობის შედეგია. მე-4–მე-8 დიაგრამაზე ასახულია ის ფენომენი, რომელიც ქრისტიანმა ინდოეთის სოფლებში აღმოაჩინა და აღწერა. ქრისტიანის იდეა სიცრუის ხლართის დამაკნინებელი ზემოქმედების შესახებ შეიძლება გამოვიყენოთ იმის სადემონსტრაციოდ, თუ რა ზეგავლენა აქვს უფლებამოსილების წართმევის ყოველ სისტემასა და მის ასპექტს იმაზე, თუ როგორ მოიაზრებენ ღარიბები სოციალურ, პოლიტიკურ და ეკონომიკურ სისტემებს, რომლებშიც ისინი არსებობენ (იხილეთ დიაგრამა 4-9).

ქრისტიანის წარმოდგენით, შელახული იდენტობა კიდევ ერთ ჭრილს ამაატებს ჩემბერსისა და ფრიდმანის სიღარიბის ინტერპრეტაციას. ქრისტიანი საუბრობს სიღარიბის შინაგან ხასიათსა და იმაზე, რომ სოციალური სისტემები ხელს უწყობს სიღარიბის ჩამოყალიბებასა და მის შენარჩუნებას. ეს ის სისტემებია, რომლებზეც ჩემბერსი, ფრიდმანი და პრილელტენსკი საუბრობდნენ.



დიაგრამა 4-8: უფლებამოსილების დაკარგვის თემა ინდუსთა რელიგიურ სისტემებში (ქრისტიანის დიაგრამის ადაპტირებული ვერსია, 1994, 241)

შინაგანი შეზღუდვების ეს ნაკრები, რომელიც სიცრუეს ეყრდნობა, სიღარიბეს კიდევ უფრო ამწვავებს და მისი დაძლევა და ცვლილებების გამოწვევა უაღრესად ძნელი ხდება. როგორც ქრისტიანმა განაცხადა სატელეფონო ინტერვიუში, რომელიც მან 1997 წელს მისცა, "სიღარიბეა, როდესაც სამყარო ღარიბებს უცხადებს, რომ ისინი ღმერთისგან დავიწყებულნი არიან." სიღარიბის ასეთი ინტერნალიზაცია სიცრუის ფორმაში იმდენად ღრმადაა ფესვგადგმული, რომ ამ ადამიანებს სახარების კეთილი ამბავიც კი აღარ სჯერათ. კალახარის უდაბნოში ცეცხლის გარშემო შემომსხდრები რომ ვიყავით, ერთ ღარიბ სანელ ქალს არ სჯეროდა, რომ ძე ღვთისა მისი ცოდვების გამო ეწამა. ის ვერ იჯერებდა, რომ ღმერთმა დაუშვა, რომ თავისი შვილი თეთრკანიანი ადამიანებისათვის დაღუპულიყო. ქალი ამბობდა, რომ ამას მხოლოდ მაშინ დაიჯერებდა, თუ ღმერთი თავის ძეს შავკანიანი ადამიანის გადასარჩენად შეწირავდა. მისი აზრით, ღმერთი თავის შვილს სანელი ქალისათვის არასოდეს გაწირავდა. ეს სულიერი და ფსიქოლოგიური სიღარიბეა, რომლის საფუძველიც ფატალიზმშია.

მინდა ბოლოს ერთი რამ დავამატო. ქრისტიანის ჩარჩო გვეხმარება გავიაზროთ ის, რასაც პრინსტონის უნივერსიტეტის მკვლევარი ჯონ დილულიო "მორალურ სიღარიბეს" უწოდებს. ამერიკის ქალაქებში მცხოვრები კრიმინალი ახალგაზრდების ქცევის შემსწავლელ კვლევებში დილულიო საუბრობს "სუპერმტაცებლებზე," თინეიჯერებზე, რომლებიც ყოველგვარი დაფიქრების ან სინანულის გარეშე ხოცავენ ადამიანებს მხოლოდ იმიტომ, რომ მათ რაღაც დისკომფორტი შეუქმნეს. დილულიო ამბობს, რომ მორალური სიღარიბე მაშინ ჩნდება, როდესაც ადამიანები სიყვარულის, პასუხისმგებლობის მქონე მშობლების გარეშე იზრდებიან, რომელთა ვალია ასწავლონ ახალგაზრდებს, რა არის კარგი და ცუდი, რომლებიც გასწავლიან, თუ რა არის ბედნიერება, საკუთარიც და სხვისიც, ან ტკივილი; ბედნიერების შეგრძნება, როდესაც კარგს გააკეთებ, ან სინანული, როდესაც ცუდს გააკეთებ... სიღარიბე არის, როცა იზრდები კრიმინალური და ფსიქიკური გადახრების მქონე უფროსების გარემოცვაში (1995, 25).

თემა	**სოციალური სისტემა**	**სიცრუე**
შეძლებულთა ღმერთის კომპლექსის ტყვეობაში ყოფნა	სოციალური პოლიტიკური ეკონომიკური რელიგიური	შენ სოციალური სისტემის ფარგლებს გარეთ ხარ; შენი დანიშნულებაა გვემსახურო; არა გაქვს აქტივები და არც იმსახურებ მათ; ჩვენ ღმერთს შენი სახელით ვესაუბრებით.
ღარიბთა შელახული იდენტობა	სოციალური პოლიტიკური ეკონომიკური რელიგიური	ჩვენ არ ვართ ღირსი, რომ ჩართული ვიყოთ საზოგადოებრივ ცხოვრებაში; არ ვართ ღირსი, რომ მონაწილეობა მივიღოთ მასში; ჩვენ არ შეგვიძლია არანაირი წვლილის შეტანა საზოგადოების კეთილდღეობაში; ჩვენ არ ვართ ღირსი, რომ ღმერთმა ჩვენზე იზრუნოს.
მსოფლმხედველობის არაადეკვატურობა	სოციალური პოლიტიკური ეკონომიკური რელიგიური	ჩვენი ადგილი სოციალურ წყობაში განსაზღვრულია; ისინი უნდა გვმართავდნენ; სიღარიბე ჩვენი ხვედრია; ჩვენ შევცოდეთ და ღმერთმა ის გვარგუნა, რისი ღირსიც ვართ.
ძალაუფლების მქონეთა თვალთმაქცობა	სოციალური პოლიტიკური ეკონომიკური რელიგიური	სოციალური სისტემები თქვენნაირებისათვის არ არსებობს; პოლიტიკური სისტემები თქვენნაირებისათვის არ არსებობს; ეკონომიკური სისტემები თქვენნაირებისათვის არ არსებობს; ღმერთი თქვენნაირებისათვის არ არსებობს.
გონების, სხეულისა და სულის სისუსტე	სოციალური პოლიტიკური ეკონომიკური რელიგიური	მე არ ვარ საკმარისად ძლიერი; მე არ ვარ საკმარისად ჭკვიანი; მე არ ვარ მნიშვნელოვანი; მე არაფერი გამაჩნია; მე მაინც არაფერი მესმის.

დიაგრამა 4-9: სიცრუის ყოვლისმომცველი ქსელი (ქრისტიანი, 1994, 264)

ეს მიუთითებს, რომ რომ სიღარიბე, ერთი მხრივ, წარმოადგენს უფლებამოსილების შემზღუდველ სიცრუეთა ნაკრების შედეგს და, მეორე მხრივ, შეიძლება სიყვარულის, პასუხისმგებლობისა და სამართლიანობის ქრონიკული უქონლობის შედეგიც იყოს. ამგვარად, აშკარაა, რომ ჩვენ სიმართლის ხლართისაც უნდა გვჯეროდეს.

ეს პრობლემა არ არის დამახასიათებელი მხოლოდ ამერიკის ქალაქებისათვის. მსოფლიოს სხვადასხვა ნაწილში ახალგაზრდებისათვის მიუწვდომელია სიღარიბის პრევენციული პროგრამები და ხშირად ისინი სექსუალური ვაჭრობის მსხვერპლნი ხდებიან, არასრულწლოვნებს იძულებით ამუშავებენ ან ომში აგზავნიან. შედეგად, ჩვენ არ ვიცით, ათი წლის შემდეგ მათგან როგორი ადამიანი ჩამოყალიბდება.

როდესაც ღარიბები ურიგდებიან თავიანთ შელახულ ღირსებასა და იდენტობას და ამას ნორმად აღიქვამენ, მათი სიღარიბე აბსოლუტური ხდება. ადამიანის თავისუფლების შემცირებასთან ერთად მისი იმედიც იკლებს. თავისუფლებისა და იმედის უქონლობა ადამიანის სულს ფიტავს. თუ ამ პრობლემას არ გადავჭრით და ღარიბებს არ დავეხმარებით საკუთარი იდენტობისა და კიდევ იმის გააზრებაში, რომ ისინი ღვთის შვილები არიან და მისი ხატის მსგავსად არიან შექმნილნი, ეს მუდმივ მდგომარეობაში გადაიზრდება.

რავი ჯაიაკარანი — სიღარიბე როგორც თავისუფლებისა და ზრდის შესაძლებლობების შეზღუდვა

რავი ჯაიაკარანი, ინდოელი ექსპერტი მონაწილეობითი სწავლებისა და მოქმედებების მეთოდოლოგიის გამოყენების სფეროში, რობერტ ჩემბერსის ყოფილი კოლეგაა. იგი სიღარიბეს აღწერს, როგორც განვითარების თავისუფლების უქონლობას (1996, 14). ჯაიაკარანი, ლუკას მსგავსად (2:52), აღწერს ღარიბებს, რომლებიც, მისი აზრით, შეზღუდვების მთელ სპექტრს განიცდიან, რაც ოთხ სფეროში გამოიხატება: ფიზიკურში, მენტალურში, სულიერსა და სოციალურში (იხილეთ დიაგრამა 4-10).



დიაგრამა 4-10: სიღარიბე როგორც თავისუფლებისა და ზრდის შესაძლებლობების შეზღუდვა

ჯაიაკარანის მიერ სიღარიბის, როგორც შეზღუდვების სისტემის შედეგის, გააზრება ფრიდმანის დასკვნას ეხმიანება, რომელსაც მიაჩნია, რომ "მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ არ ვიცით, რა არის კეთილდღეობა, ჩვენ ვიცით, რა აბრკოლებს მის მიღწევას. ეს არის შიმშილი, ცუდი ჯანმრთელობა, არასაკმარისი განათლება, მძიმე შრომა, რაც გაქვს, იმის დაკარგვის მუდმივი შიში და ქაოტური სოციალური ურთიერთობები" (ფრიდმანი, 1992, 12). ამ მდგომარეობის აღმოსაფხვრელად საპასუხო ზომაა ღარიბების დახმარება ამ შეზღუდვების აღმოფხვრაში. იმავე აზრისაა ტედ უარდი, რომელიც 1980-იან წლებში განვითარების სააგენტოებთან მუშაობდა კონსულტანტად. ეს, ასევე, ეხმიანება სანის აზრს, რომ განვითარების მიზანია ადამიანის თავისუფლების გაზრდა, რაც, იმავდროულად, საშუალებაცაა.

ჟაიაკარანის აზრით, ამ შეზღუდვების უკან ყოველთვის დგას ვიღაცის ინტერესი, ანუ ძალაუფლების მფლობელი ადამიანები დაინტერესებულნი არიან შექმნან ილუზია, რომ ასეთი შემზღუდველი გარემოებები ყოველთვის იარსებებს. ამ შემზღუდველი ფაქტორების გამოსავლენად საჭიროა დავსვათ კრიტიკული მნიშვნელობის შეკითხვა პრობლემის დიაგნოსტირების მიზნით: ვინ ვის ზღუდავს? მიკროდონეზე ამ დაინტერესებულ პირებს წარმოადგენენ მევახშეები, ადგილობრივი ვაჭრები, ბიზნესმენები, პოლიცია, სახელმწიფო მოხელეები, მღვდლები ან შამანები. მაკროდონეზე მათი დასახელება უფრო ძნელდება, რადგანაც ისინი, ძირითადად, შორს საქმიანობენ, ანუ იქ, სადაც იმ გადაწყვეტილებებს იღებენ, რომლებიც გავლენას ახდენს ღარიბების ცხოვრებაზე. იმის გარდა, რომ მათი იდენტიფიცირება უფრო რთულია, უფრო მაღალ დონეზე არსებული დაინტერესებული პირები, უმეტესწილად, მიკროდონეზე მყოფ პირებს აკონტროლებენ.

ჯაიაკარანმა დიდი წვლილი შეიტანა ჩვენ მიერ სიღარიბის გააზრებაში ორი მიზეზის გამო. პირველ რიგში, იგი სიღარიბის მიზეზებს ადამიანებში ხედავს და არა კონცეფციებში ან აბსტრაქციებში. ეს უაღრესად მნიშვნელოვანია, თუმცა ხშირად გვავიწყდება. ადვილია მიზეზები ეძებო სიხარბეში, სისტემებში, ბაზარში, კულტურაში, მაგრამ ეს ყველაფერი აბსტრაქტული ცნებებია და, შესაბამისად, პირდაპირი ცვლილებების შეტანა შეუძლებელია. ადამიანები უნდა შეიცვალონ, როგორც ღარიბები, ასევე შეძლებულები. მეორე: ჯაიაკარანი გვაფრთხილებს, რომ ეს დაინტერესებული პირები, ანუ ჩაგვრის წყაროები, ხშირად თავადაც გარკვეული შეზღუდვების ქვეშ მოქმედებენ, რომლებსაც მათზე კიდევ უფრო გავლენიანი ადამიანები აწესებენ. ადგილობრივი შეძლებული ადამიანები თავადაც, თავის მხრივ, ღარიბები არიან, რადგანაც ისინი იმ ადამიანებს ემორჩილებიან და ემსახურებიან, რომლებიც სისტემის იერარქიის უფრო მაღალ დონეებზე დგანან. ჩაგვრის ეს კიბე იწყება თემიდან და ცენტრისკენ ადის, რის შემდეგაც გლობალურ დონეზე მიემართება. ლინტიკუმი ამ იერარქიას "სისტემებზე ზემდგომ სისტემებს" უწოდებს (ლინტიკუმი, 1991). ამაშია სიღარიბისა და ჩაგვრის არსი. ყველა ცოდვილია და ყველას მიმართ სცოდავენ.

შეჯამება

ჩვენ განვიხილეთ სიღარიბე, როგორც დეფიციტი, რთული გარემოებების ერთობლიობა, სოციალური უფლებამოსილების, შესაძლებლობებისა და განვითარების შემაფერხებელი თავისუფლების ნაკლებობა. ყველა ეს ელემენტი საერთო სურათის მნიშვნელოვანი ასპექტია. შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სიღარიბე რთული სოციალური საკითხია, რომელიც ცხოვრების ყველა სფეროს მოიცავს — ფიზიკურს, ფსიქოლოგიურს, სოციალურს, კულტურულსა და სულიერს. მიუხედავად ამისა, აღსანიშნავია, რომ გარკვეულ დონეზე სიღარიბის აღქმა მის შეფასებაზეცაა დამოკიდებული. ჩვენ ვხედავთ იმას, რის დანახვის საშუალებასაც ჩვენი განათლება და მსოფლმხედველობა გვაძლევს. ეს უნდა გვახსოვდეს და ვეცადოთ, მისი ყველა ასპექტი დავინახოთ. ყოველივე ზემოხსენებულის გათვალისწინებით მინდა გარკვეული გაფრთხილებაც შემოგთავაზოთ. ვეჭვობ, რომ როდესმე სიღარიბისადმი რაღაც უნიფიცირებული თვალსაზრისი შემუშავდეს. ყოველთვის არის უფრო მეტი, რაც უნდა დავინახოთ და შევისწავლოთ. ალბათ, სწორი მიდგომა იქნებოდა ყველა არსებული თვალსაზრისის გათვალისწინება, რათა სიღარიბის ყველა ასპექტი უკეთ გავიაზროთ. ჩვენ ბევრი უნდა ვიმუშაოთ, რომ ჰოლისტიკური პოზიცია გვქონდეს და მაქსიმალურად ეფექტურად დავეხმაროთ ღარიბებს.

სიღარიბის მიზეზები

სიღარიბის არსის შესწავლის შემდეგ შეგვიძლია გადავიდეთ მისი მიზეზების შესწავლაზე. ამ მიზეზების ნათლად ჩამოყალიბება უაღრესად მნიშვნელოვანია, რადგანაც ეს გავლენას ახდენს იმაზე, თუ პრობლემების გადაწყვეტის რომელ გზებს ავირჩევთ. სიღარიბის მიზეზების გაგება კი თავის მხრივ გავლენას ახდენს იმაზე, თუ როგორ გვესმის ტრანსფორმაციული განვითარება, ადამიანთა უკეთესი მომავალი, რომელსაც იგი მიზნად ისახავს და ამ მიზნის მისაღწევი მეთოდები. ეს ასპექტები მე-4-11 დიაგრამაშია წარმოდგენილი.

მიზეზები	**საპასუხო ზომები**
ღარიბები ცოდვილები არიან	ევანგელიზაცია და მხარდაჭერა
ღარიბების წინააღმდეგ სცოდავენ	სოციალური მოქმედებები, ძალისხმევის მიმართვა სამართლიანობის მისაღწევად
ღარიბებს არ გააჩნიათ საკმარისი ცოდნა და განათლება	განათლება
ღარიბებს არ გააჩნიათ მატერიალური საგნები (აქტივები)	სოციალური დახმარება
ღარიბების კულტურა დაბალია	დაგვემსგავსონ ჩვენ, ჩვენი კულტურა ჯობს
ღარიბები სოციალური სისტემის გამო არიან ღარიბები	სისტემის გარდაქმნა

დიაგრამა 4-11: რანაირად ახდენს სიღარიბის მიზეზები საპასუხო ზომების ფორმირებაზე ზეგავლენას

სიღარიბის არსის მსგავსად, სიღარიბის მიზეზების თაობაზე არსებული თვალსაზრისებიც საკმაოდ განსხვავებულია. უნდა შევეცადოთ, რომ ამ საკითხისადმი ობიექტური დამოკიდებულება გვქონდეს, წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენი აზრი სიღარიბის მიზეზების თაობაზე იმ სოციალური სისტემით, განათლებით, კულტურით იქნება შემოფარგლული, რომელშიც ვსაქმიანობთ. ჩვენი პოზიცია იმაზეცაა დამოკიდებული, თუ საიდან დავიწყებთ სიღარიბის მიზეზების ძებნას, ან, რაც კიდევ უფრო მნიშვნელოვანია, სად დავასრულებთ მიზეზების ძებნას (დიაგრამა 4-12).

მაგალითად, თუ ყურადღებას მხოლოდ საჭიროებებზე ვამახვილებთ, მაშინ ჩვენ მხოლოდ იმას ვხედავთ, რომ ადამიანებს წყალი არა აქვთ. შესაბამისად, მარტივად გადავწყვეტთ, რომ წყლის უკმარისობა იწვევს სიღარიბეს და წყალმომარაგების გაუმჯობესება პანაცეად მოგვეჩვენება. უნდა გვახსოვდეს, რომ ამ საჭიროებების უკან პრობლემური საკითხი დგას, მაგალითად, წყლის მფლობელობა. თუ ეს არის მიზეზი, რის გამოც ადამიანებს წყალი არა აქვთ, მაშინ პრობლემის გადასაწყვეტად საჭიროა წყლის მფლობელობის საკითხზე მუშაობა ან მისაწვდომობის გაუმჯობესება. ასევე, უნდა გავითვალისწინოთ, რომ პრობლემური ასპექტების უკან სტრუქტურები დგას, მაგალითად, კასტური სისტემა, რომელიც გავლენას ახდენს იმაზე, თუ ვის ექნება წყალზე მისაწვდომობა. ასეთი სტრუქტურები ხშირად დიდ ბარიერებს უქმნიან ადამიანებს და მისაწვდომობას ზღუდავენ. სტრუქტურების უკან დგანან ადამიანთა ჯგუფები, რომლებიც ამ სტრუქტურებს ამყარებენ და ამტკიცებენ, რომ "ეს წყალი მათ ეკუთვნით და წყლით სარგებლობის გაკონტროლების უფლება აქვთ." ამ ჯგუფების უკან იდეოლოგია და ფასეულობები დგას, რომლებსაც ეს ჯგუფები და სტრუქტურები ემყარება. იდეოლოგია ნერგავს აზრს, რომ "ჩვენ უნდა გვემსახურონ, რადგანაც დანარჩენები ჩვენზე უარესები არიან,



დიაგრამა 4-12: საჭიროებებიდან მიზეზებამდე

შესაბამისად, მათ არ უნდა დალიონ ის წყალი, რომელსაც ჩვენ ვსვამთ.” ეს ის დონეა, რომელზეც კულტურული ფასეულობები ახდენს ზეგავლენას. ასეთი სოციალური ანალიზი გვხმარება სიღარიბის მიზეზების გამოვლენასა და იმის დანახვაში, რაზედაც ჩემბერსი, ფრიდმანი, პრილელტენსკი, ქრისტიანი და ჯაიაკარანი საუბრობენ და მიგვითითებენ, რომ ჩვენც უნდა დავინახოთ. ჩვენი თვალსაზრისი უნდა გასცდეს მხოლოდ ფიზიკურ საჭიროებებსა და ინდივიდუალურ მოთხოვნილებებზე აქცენტს. ჩვენ იმ სოციალურ და კულტურულ სისტემებში უნდა ვეძებოთ მიზეზი, რომელშიც ღარიბები ცხოვრობენ. ჩვენ თანდათან უფრო და უფრო გვესმის ამის აუცილებლობა და ის იდეები, ფასეულობები და თვალსაზრისი, რომელიც გარდაქმნას საჭიროებს. ეს პოზიტიური ცვლილებაა.

გასათვალისწინებელია, რომ ამ მიდგომასაც აქვს გარკვეული ნაკლოვანება. ზოგჯერ ასეთი ანალიზის შედეგად განვითარების სფეროს ექსპერტი მხედველობაში არ იღებს ადამიანთა რეალურ საჭიროებებს და პირდაპირ სიღარიბის მიზეზების ძიებაზე გადადის. რასაკვირველია, იდეები და ფასეულობები ყურადღებას იმსახურებს, მაგრამ ღარიბების უწყლოდ დატოვება ან მათი მიტოვება გაბრაზებული მეპატრონეებისა და დამსაქმებლების ხელში გაუმართლებელია. გარდა ამისა, არსებობს საფრთხე, რომ იდეების სამყაროში აღმოჩნდე ჩაფლული და მოგეჩვენოს, რომ იდეებისა და ფასეულობების ჩანაცვლებით შეგიძლია სამყარო უკეთესობისაკენ შეცვალო. ამან შეიძლება დეპერსონალიზაცია გამოიწვიოს და დაგვავიწყდეს, რომ სიცრუის ხლართისა და ფასეულობების სისტემის სწორედ ადამიანებს სწამთ. ისინი არ ცხოვრობენ აბსტრაქტულ სისტემებში, იდეოლოგიებსა ან მსოფლმხედველობაში. საბოლოო ჯამში, სიღარიბის მიზეზი ადამიანებშია და სწორედ ისინი უნდა გარდაიქმნან, რომ მათ გარშემო სამყაროც გარდაიქმნას.

სიღარიბის ფიზიკური მიზეზები

სიღარიბეს ფიზიკური მიზეზები აქვს. ეს ნათელია. ამას ჩემბერსის მატერიალური სიღარიბისა და ფიზიკური სისუსტის კატეგორიები მოწმობს. ადამიანებს სჭირდებათ საკვები, საცხოვრებელი, წყალი და სუფთა ჰაერი. მათ სჭირდებათ გარემო, რომელიც მათ სასიცოცხლო საჭიროებებს დააკმაყოფილებს. ფული, მიწა, პირუტყვი – მნიშვნელოვანი აქტივებია. თუ ადამიანებს ეს ძირითადი საარსებო საშუალებები არ გააჩნიათ, შედეგი სიღარიბეა. სიღარიბის ფიზიკური მიზეზების ჩამონათვალი ჯარედ დაიმონდმა განავრცო. იგი ფსიქოლოგი, ლინგვისტი, არქეოლოგი და ეკოლოგია. დაიმონდი არა მხოლოდ ადამიანის ბიოლოგიას ითვალისწინებს, არამედ იმ გარემოს ბიოლოგიასაც, რომელშიც ისინი ცხოვრობენ. იგი სოციალური დარვინიზმის ალტერნატიული მიდგომის შემუშავებას ცდილობს, რომლის შესაბამისადაც გარკვეული ეთნიკური ჯგუფები უკეთესები არიან, ვიდრე სხვები. დიამონდს მიაჩნია, რომ გათვალისწინებული უნდა იყოს ისეთი ფაქტორები, როგორებიცაა: გეოგრაფია, მიწის ნაყოფიერების ხარისხი, კლიმატი, ენდემური მცენარეების სახეობები, ძალაუფლება და კაპიტალი, რომელიც დომინირების საშუალებას იძლევა. ეს ფაქტორები უფრო მნიშვნელოვანია ეკონომიკური, პოლიტიკური და კულტურული პროგრესის ასახსნელად, ვიდრე იმის მტკიცება, რომ გარკვეულ რასებს უკეთესი მახასიათებლები აქვთ.

სიღარიბის სოციალური მიზეზები

"ჩვენი ცხოვრება ცარიელია და ჩვენ ცარიელი ხელებით ვართ დარჩენილი. ჩვენ მკვდრებზე მაღლა ვართ და ცოცხლებზე დაბლა."
— ღარიბი ქალები და კაცები ეთიოპიიდან
(ნარაიან-პარკეტი და სხვები, 2000, 33).

სიღარიბის ფიზიკური მიზეზები კიდევ უფრო მწვავდება მისი სოციალური მიზეზების ზემოქმედების შედეგად. "არსებობს ფართოდ გავრცელებული სოციალური პრაქტიკა და სოციალური როლების მთელი სისტემა, რომელიც საზოგადოების წევრების მიერაა მოწონებული და დამკვიდრებული და რომელიც უსამართლობასა და ტანჯვას იწვევს" (უოლტერსტროფი, 1983, 24). სიღარიბის სოციალურ ასპექტებზე თავიანთ ნაშრომებში საუბრობენ ჩემბერსი, პრილელტინსკი, ფრიდმანი და ჯაიაკარანი. ქრისტიანის მიერ შემოთავაზებული ხედვის შესაბამისად, ეს სისტემები ინსტრუმენტია იმ ადამიანების ნარატივის ლეგიტიმაციისათვის, რომლებიც ღმერთის როლს ასრულებენ ღარიბების ცხოვრებაში და სიცრუის ხლართს ქმნიან. ჯაიაკარანი საუბრობს სიღარიბის სოციალურ მიზეზებზეც და იმ ადამიანების ჯგუფებზე მიგვითითებს, რომელთა ინტერესებშიც შედის განვითარების ყველა ასპექტის შეზღუდვა. მაგრამ, მიმაჩნია, რომ ჩვენ კიდევ უფრო ღრმად უნდა გავიაზროთ სოციალური სისტემების დინამიკა, რომელიც სიღარიბეს ამკვიდრებს და ასაზრდოებს.

ფემინისტი ფილოსოფოსი ენ კუდი თავის ნაშრომში "*ჩაგვრის გაანალიზება*"ჩაგვრის დინამიკაზე საუბრობს. იგი აღწერს, თუ როგორ მოხდა პირველად ისეთი ფენომენის ემპირიული შესწავლა, როგორიცაა სტერეოტიპირება 1960-იან წლებში მომხდარი კოგნიტური რევოლუციისა (2006, 68). კატეგორიზაციის თეორიისა და სოციალური იდენტობის თეორიების შემუშავებამ ნათელი გახადა, თუ სტერეოტიპების გამოყენებით როგორ ხდება იმ რთული სოციალური სამყაროს ჯგუფებად დაყოფა და ორგანიზება, რომელშიც ჩვენ ვარსებობთ, და ასევე, - გარკვეული ჯგუფების იდენტობის გამყარება და მხარდაჭერა. ჩვენ ამას ვაკეთებთ იმ პოზიტიურ მხარეებზე ყურადღების გამახვილებით, რომლებიც ამ ჯგუფს აქვს. თავისთავად, ეს აუცილებელი და სასარგებლოცაა, მაგრამ თეორიული კვლევები იმაზეც მიუთითებს, რომ საკუთარი თავის ან კლასის პოზიტიურად გააზრებისა და შეფასების კვალდაკვალ ჩვენ ვამცრობთ სხვა დანარჩენის მნიშვნელობას.

როლების სქემები ნათლად წარმოაჩენს ჯგუფებსა და მათ სოციალურ როლებს. ჩვენ როლების სქემები თანდათან, ჩვენი ზრდისა და ჩვენს ჯგუფთან სოციალიზაციის კვალდაკვალ, გვივითარდება. ანუ, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ეს როლები სოციალურად კონსტრუირებულია. როლური სქემები საშუალებას გვაძლევს, ჯგუფის წევრი ჩვენს კატეგორიას სწრაფად მივაკუთვნოთ, ისე რომ დიდი დრო არ დასჭირდეს ცალკეული პიროვნების შეფასებას. ასეთი როლური სქემები ხშირად ჯგუფის ნაკლებად პოზიტიურ მახასიათებლებსაც ასახავს. მაგალითად, ჩვენი როლური სქემა უსახლკარო ადამიანთან მიმართებით მოიცავს წარმოსახვის ისეთ რიგს, როგორებიცაა: დასვრილი, სუნიანი, ნარკომანი, მუქთახორა. ზოგი მამაკაცისათვის ქალებთან დაკავშირებული როლური სქემა ასოცირებულია სისუსტესთან, ემოციურობასთან, ასევე, იმასთან, რომ ქალს მხოლოდ ბავშვებზე ზრუნვა შეუძლია. სამწუხ-

აროდ, როდესაც ჩვენი როლური სქემები ჩვენს სტერეოტიპებს ერწყმის, მივიჩნევთ, რომ ჩვენი ჯგუფი უკეთესია და ვცდილობთ გავამყაროთ ეს აზრი სხვა ჯგუფების ნაკლოვანებებსა და სისუსტეებზე ყურადღების გამახვილებით (2006, 70). ამგვარად, ჩვენი სტერეოტიპები ყოველთვის პოზიტიურია საკუთარ თავთან მიმართებით და ნეგატიურია "სხვებთან" მიმართებით (იხილეთ დიაგრამა 4-13).



დიაგრამა 4-13: უარყოფითი სტერეოტიპების შექმნის დინამიკა

ჯგუფებად ასეთი დაყოფის ბუნებრივი შედეგია დომინანტური სოციალური ჯგუფების ჩამოყალიბება, რომლებიც მიიჩნევენ, რომ სამართლიანად არიან პრივილეგირებულები, ხოლო დანარჩენი ჯგუფები ნაკლებად პრივილეგირებულები არიან, რადგანაც მათ ეს დაიმსახურეს. ეს მიდგომა პოტენციურად მჩაგვრელი სისტემების ჩამოყალიბებას გულისხმობს, თუმცა არ გვიხსნის, რა ასაზრდოებს ამ სისტემებს. ენ კუდი ამტკიცებს, რომ სტერეოტიპირებასა და მჩაგვრელ სისტემებს ყოველთვის თან ახლავს იძულების ელემენტი. ასეთი "იძულება" შეიძლება ღია ან დაფარული ძალადობის გამოყენების მუქარა იყოს, რადგანაც "დაჩაგრული ჯგუფების წინააღმდეგ მიმართული ძალადობა აკარგვინებს მათ უფლებამოსილებას და უძლურს ხდის, იმავდროულად, მჩაგვრელს ან პრივილეგირებულ ადამიანს კიდევ უფრო მეტ ძალაუფლებას სძენს" (2006, 85). მაგალითად, კვლევაში "*ღარიბთა ხმა*" ასახულია, რომ ღარიბები ფიზიკური უსაფრთხოების უქონლობასა და დაუცველობას სიღარიბის განმაპირობებელ ერთ-ერთ უმთავრეს ფაქტორად ასახელებდნენ. ძალიან ძნე-

ლია რთულ კრიმინალურ პირობებში ცხოვრება, მაგრამ ასეთ დაუცველობას თან ახლავს პოლიციის მხრიდან ძალადობა, რადგანაც "პოლიცია დახმარების წყარო კი არა, ზიანის მომტანია," რაც კიდევ უფრო მძიმე მდგომარეობაში აყენებს ღარიბებს (ნარაიან-პარკერი და სხვები, 2000, 278).

ენ კუდი, ასევე, აცხადებს, რომ ეკონომიკური სისტემებიც ხელს უწყობს ჩაგვრას, რადგანაც ისინი აიძულებენ ღარიბებს სტერეოტიპული როლის შესაბამისად მოიქცნენ. ღარიბებს ეშინიათ, რომ ვერ დასაქმდებიან, ანდა ვერ მიიღებენ კრედიტებს, თუ მორჩილად არ შეურიგდებიან თავიანთ დაჩაგრულ მდგომარეობას. შესაბამისად, ღარიბებსაც უწევთ ასეთ მდგომარეობასთან ადაპტირება. საბოლოო შედეგი, როგორც ამას ქრისტიანი აცხადებს, ადამიანის დაკნინებული იდენტობაა. ენ კუდი, ასევე, ამბობს, რომ "დაჩაგრული ადამიანები ხშირად ურიგდებიან ჩაგვრას, რადგანაც მათ სტერეოტიპების სჯერათ, რწმუდებიან, რომ ისინი უარესები არიან, ვიდრე სხვები, საბოლოოდ კიდევ უფრო კნინდებიან ამ სტერეოტიპების გამო და მოტივაციაც კი უჩნდებათ, რომ სტერეოტიპების შესაბამისად იმოქმედონ" (2006, 80).

არსებობს ძალადობის მეორე ფორმაც, ფარული ძალადობა, რომელიც კიდევ უფრო ვერაგულია. ფარული ძალადობა, კერძოდ, დაშინება, ეკონომიკური სტიმულები ან შეზღუდვები საბოლოოდ იწვევს "სიმბოლურ ძალადობას." ეს ტერმინი ფრანგმა სოციოლოგმა პიერ ბორდიუმ შემოგვთავაზა, რომელიც კულტურის ზეგავლენას იკვლევდა. სტივ შვარცი ბორდიუს "სიმბოლურ ძალადობას" შემდეგი ინტერპრეტაციით წარმოგვიდგენს: "ბორდიუს სჯერა, რომ განვითარებულ საზოგადოებებშიც კი დომინაციის ძირითადი მოდელი ღია ძალადობის სიმბოლური მანიპულაციებით ჩანაცვლებაა. ეს ამართლებს ბორდიუს აქცენტს კულტურული პროცესების, მწარმოებლებისა და შესაბამისი ინსტიტუტების მნიშვნელობაზე უთანასწორობის შენარჩუნებაში. არსებობს სიმბოლური ძალაუფლება, ისევე როგორც არსებობს ეკონომიკური ძალაუფლება" (1997, 82).

ანუ, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, რიტუალები, ნარატივები, ხელოვნება, მედია და სოციალური ინსტიტუტები ერთობლიობაში დიდ ზეგავლენას ახდენს სოციალური როლების ფორმირებაზე და ქცევის კორექტირებაში დიდი წვლილი შეაქვს. მაგალითად, სარეკლამო აბრაზე, რომელიც ბრაზილიურ შაქარს უკეთებს რეკლამას, მოღიმარი თეთრკანიანი ქალბატონია გამოსახული, რომელსაც შაქრის პაკეტი უჭირავს, ხოლო უკანა პლანზე თვალწარმტაცი შაქრის ლერწმის პლანტაცია მოჩანს, სადაც ფერადკანიანი ადამიანები მუშაობენ. გზავნილი როლებისა და ფუნქციების შესახებ სრულიად ნათელია.

ახლა ჩვენ შეგვიძლია ჯაიაკუმარ ქრისტიანის იდეა სიღარიბის, როგორც უფლებამოსილების შემზღუდველი სისტემის, თაობაზე (1990) გავაერთიანოთ ენ კუდის ჩაგვრის დინამიკასთან (2006) და შემოგთავაზოთ ღარიბების იდენტობის დაკნინების დინამიკა. ოსკარ ლუისის აზრით, შელახული და დაკნინებული იდენტობა ქრონიკული სიღარიბისა და ჩაგვრის შედეგად ღარიბების ფსიქოლოგიური და ბიოფიზიკური გამოფიტვის პირდაპირი შედეგია (1957). მაგრამ ეს შელახული იდენტობა, ასევე, პირდაპირი შედეგია იმისა, რომ ღარიბები ენ კუდისა (2006) და პრილელტენსკის (2010) მიერ აღწერილ მჩაგვრელ დინამიკაში ცხოვრობენ, რომელსაც პოლიტიკური და ეკონომიკური სისტემები და კულტურის ძალა განაპირობებს (იხილეთ დიაგრამა 4-14).



დიაგრამა 4-14: ჩაგვრისა და შელახული იდენტობის დინამიკა

მოცემულ ნაწილში ვისაუბრებთ ბოროტების გავლენის სფეროსა და სიცრუის ხლართზე. ცდუნებისა და სიცრუის სული შეგვახსენებს ედემის ბაღის მაცდუნებელსა და უდაბნოში მყოფი იესოს წინააღმდეგ მოქმედ ბოროტ ძალებს. ღარიბების კონტექსტში ყველაზე მთავარი ცდუნებაა, რომ ღარიბები წარმოვადგინოთ უღირსებად და ვამტკიცოთ, რომ თავიანთ მდგომარეობას იმსახურებენ. შეძლებულების შემთხვევაში მათთვის ყველაზე მთავარი ცდუნება ისაა, რომ ისინი იჯერებენ, რომ სხვებზე უკეთესები არიან და მათი პრეროგატივაა მართვა და ლიდერობა. მესამე ცდუნება იმაშია, რომ მსოფლმხედველობასა და კულტურულ ფასეულობებში ისეთი კორექტივები შეიტანო, რომ ისინი ორ მანამდე ნახსენებ ცდუნებასთან იყოს შესაბამისობაში და კულტურული ნორმა გახდეს. ამ მესამე სიცრუისა თუ ცდუნების შედეგია ნეგატიური სტერეოტიპები და როლური სქემები, რომელთა შესახებ ენ კუდი საუბრობს, და მსოფლმხედველობის არაადეკვატურობა, რის შესახებაც ქრისტიანი გვეუბნება.

ეს სიცრუე მჩაგვრელი სოციალური სისტემების ფუნდამენტს წარმოადგენს. მსოფლმხედველობის არაადეკვატურობა, რომელიც შეძლებულებს ახასიათებს, სიცრუის ხლართის ფორმასა და შეძლებულების მცდარ ვარაუდში ვლინდება (იხილეთ ამ თავის ბოლო ნაწილი), რომლის მიხედვითაც ისინი იჯერებენ თავიანთი უპირატესი პოზიციის ლეგიტიმურობას. სიცრუის ეს ხლართი შეძლებულებს აცდუნებს, რომ ღმერთის როლი შეასრულონ ღარი-

ბების ცხოვრებაში. ისინი თავიანთ ძალაუფლებას იყენებენ და ამ ძალაუფლებას წარმართავენ როგორც ინსტრუმენტს საკუთარი პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული უპირატესობის გამყარებისათვის (კუდი და ბორდიუ), რაც მათი კეთილდღეობის შენარჩუნებას ემსახურება.

ამგვარად, ასეთი გზით ღარიბები უფლებამოსილების შემზღუდველი ტრიადის ზეგავლენის ქვეშ იმყოფებიან, საიდანაც პირველი პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული გავლენაა, რომელიც ღარიბებს ფიტავს და აუძლურებს, ასუსტებს მათ ნებას და აკარგვინებს იდენტობას; მეორე ქრონიკული სიღარიბეა, რაც ქრონიკული სტრესის ფორმაა. ის ადამიანებს ფიზიკურად, გონებრივად და ფსიქოლოგიურად ასუსტებს (უფრო დეტალურად შემდეგ ნაწილში განვიხილავთ); დაბოლოს, ღარიბები ითავისებენ ამ სიცრუის ხლართს, რომელიც მსოფლმხედველობის არაადეკვატურობითა და კულტურული ფასეულობებითაა განპირობებული და სჯერათ, რომ მათი უუფლებობა და სიღარიბე ნორმაა, მათი ხვედრია და ეს ვითარება შეუცვლელია. ამ სიცრუის ხლართის შედეგია რეფლექსიური ჩაგვრა ან ის, რასაც ჯაიაკუმარ ქრისტიანი შელახულ იდენტობას უწოდებს. სიცრუისა და ცდუნების ეს სისტემა დაფარულია განსაკუთრებით გარეშე დამკვირვებლებისათვის მათი თანამედროვე ათეისტური მსოფლმხედველობის გამო.

ქრისტიანის უფლებამოსილების შეზღუდვის ეს სისტემები იმ შეკითხვებზე გვაძლევს პასუხებს, რომლებზედაც ენ კუდის ჩაგვრის ანალიზი პასუხს ვერ იძლევა. რატომ ხდებიან სოციალური სისტემები მჩაგვრელები? რატომ არის მსოფლმხედველობა არაადეკვატური, რის გამოც იგი საზიანო ხდება? რატომ ითავისებენ ღარიბები სიღარიბესა და ჩაგვრას და რატომ ემორჩილებიან მას? ამ შეკითხვებზე პასუხი ისაა, რომ ამ ურთიერთდაკავშირებული სისტემების ერთი ელემენტი სულიერი სფეროა და მისი ძირითადი ფუნქციაა სიცრუე და ადამიანთა ამ სიცრუეში დარწმუნება, რაც, საბოლოოდ, პიროვნებას აკნინებს და ამცირებს. სიღარიბის სოციალური მიზეზების გაგება სოციალური ანალიზის გარეშე შეუძლებელია, რადგანაც იგი გვეხმარება, ფარდა ავხადოთ მჩაგვრელი სისტემების ფუნქციონირების გზებს, მათ მიერ თავს მოხვეულ სიცრუესა და მის ზეგავლენას. ეს გულისხმობს, რომ სიცრუის ხლართის ელემენტები ზუსტად უნდა განვსაზღვროთ და მათ უკან მდგომი ინტერესთა ჯგუფები, ანუ ძალაუფლების სფეროები, გამოვავლინოთ (ჯაიაკარანი, 1996; უიქნი, 1992).

სიღარიბის მენტალიტეტით განპირობებული მიზეზები

სიღარიბის მიზეზების ნაწილი ღარიბების მენტალიტეტითაა განპირობებული. ნათელია, რომ სიღარიბეს ცოდნისა და ტექნიკური ინფორმაციის უქონლობა განაპირობებს. ადრეულ ბავშვობაში არასათანადო კვება სწავლისა და შემეცნების უნარის მუდმივად დაქვეითებას იწვევს. ცუდი კვების, ავადმყოფობის, ალკოჰოლისა და ნარკოტიკების ზეგავლენის შედეგად ადამიანების გონების დაუძლურებაც სიღარიბეს უწყობს ხელს, მაგრამ სიღარიბის მენტალიტეტით განპირობებული მიზეზები კიდევ უფრო ღრმად უნდა ვეძებოთ.

ჩვენ უკვე განვიხილეთ ღარიბების იდენტობის საკითხი და ის, რომ იგი შიგნიდანაა შელახული. ეს სიღარიბის კიდევ უფრო ღრმა და ფარული მიზეზია. მელბა მაგგეი ამ სიღარიბის ძალიან ცხად და ხატოვან აღწერას იძლევა:

“სული ყოველთვის უარყოფს აბეზარ, მაგრამ, იმავდროულად, მიმზიდველ ეჭვს, რომელიც ყოველთვის კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს საუკეთესოს, რისიც გვწამს. ზოგიერთისათვის ამის შედეგია ილუზიების დაკარგვა და რეალობის მიმართ გულაცრუება, რაც საბოლოოდ გვიკარგავს ხალისს, მხრებში გვხრის და სიმწრის გრძნობას განგვაცდევინებს” (1994, 97).

ჩვენ უნდა შევისწავლოთ ადამიანის იდენტობის შელახვის მიზეზები. ამასთან დაკავშირებით სამი მიზეზის დასახელება შეგვიძლია. პირველი: ჩვენ დავინახეთ, თუ რა ზეგავლენა აქვს ღარიბებზე პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული სისტემების იძულებით ეფექტს, რაც ფსიქოლოგიისა და, კერძოდ, სოციალური ფსიქოლოგიის შესწავლის სფეროს განეკუთვნება. ამასთან დაკავშირებით მინდა შეგახსენოთ ენდრიუ სუნგ პარკი და მისი “ჰანის” იდეა, ანუ სისტემური და სისტემატური უფლებამოსილების შეზღუდვა, ძალადობა და სიცრუე. ამის შედეგია ის ღრმა სულიერი ჭრილობა, რაც იდენტობისა და ღირსების დაკარგვას იწვევს. ამ ჭრილობას მძიმე შედეგები მოჰყვება: “საკუთარი თავის ტყუილად დადანაშაულება, საკუთარ თავში ჩაკეტვა, ბედს დანებება და საკუთარი თავის სიძულვილი. ეს ყველაფერი პასიური “ჰანის” თვალნათელი შედეგებია” (1993, 20, 33). “ჰანი” არ არის მხოლოდ ინდივიდუალური ფენომენი. მას ჯგუფური ზემოქმედებისა და გამოვლინების უნარი აქვს. “ჰანი” შეიძლება აღიწეროს, როგორც *“შინაგანი კოლექტიური მეხსიერება, რომელიც გენერირებულია პატრიარქალური ტირანიის, რასობრივი დისკრიმინაციის, ეკონომიკური ექსპლუატაციის, უცხოური ოკუპაციის, მასობრივი ხოცვა-ჟლეტის, ეთნიკური წმენდის, სახელმწიფოს მიერ მხარდაჭერილი ტერორიზმისა და უსამართლო ომების ზეგავლენით”* (პარკი, 2004, 15). “ჰანი” და შელახული იდენტობა მჭიდროდაა ერთმანეთთან გადაჯაჭვული. World Vision-ის განვითარების პროგრამების ფარგლებში ტანზანიაში ჩატარებულმა კვლევებმა გამოავლინა მთელი რიგი ასეთი ინტერნალიზებული მცდარი წარმოდგენები (ჯონსონი, 1998, 154-55). აღსანიშნავია, რომ ადგილობრივი თემების წარმოდგენები ამ საკითხზე არსებითად განსხვავდებოდა World Vision-ის პერსონალის საწყისი ვარაუდისაგან (იხილეთ დიაგრამა 4-15).

მიზეზი	**თემის თვალსაზრისი**	**World Vision-ის პერსონალის აზრი**
განათლებისა და ცოდნის ნაკლებობა	ვეთანხმები	არ ვეთანხმები
სიზარმაცე	ვეთანხმები	არ ვეთანხმები
მეწარმეობის სულისკვეთების უქონლობა	ვეთანხმები	არ ვეთანხმები
თემის ერთიანობის შეგრძნების უქონლობა	ვეთანხმები	არ ვეთანხმები
უსამართლობა	არ ვეთანხმები	ვეთანხმები

დიაგრამა 4-15: თემის წევრებისა და ექსპერტების თვალსაზრისში არსებული სხვაობა

ყველა შემთხვევაში თემის წევრები საკუთარ თავს აბრალებდნენ სიღარიბესა და იმ უარყოფით მახასიათებლებს, რომელთა ინტერნალიზაციაზე ჩემბერსი საუბრობდა და განვითარების სფეროს ექსპერტებს ურჩევდა, რომ თავი აერიდებინათ ასეთი კლიშეების ღარიბებისათვის მისადაგებაზე (ჩემბერსი, 1983, 107). იმავდროულად, ფრთხილად უნდა ვიყოთ, რომ თავად არ მოვხვდეთ იმ ვარაუდის გავლენის ქვეშ, რომ ღარიბები თავად იღარიბებენ თავს. ეს ასე არ არის. უიქნი შეგვახსენებს, რომ "უფლებამოსილების ნაკლებობა არ ნიშნავს დამოკიდებულების პრობლემას. არსებობს სტრუქტურები — ეკონომიკური, პოლიტიკური, რელიგიური და მხოლოდ ამის შემდეგ ფსიქოლოგიური, რომლებიც ეწინააღმდეგება ჩვენს ძალისხმევას, ბოლო მოვუღოთ სიღარიბეს (1992, 102). ასეთივეა ენ კუდის პოზიცია (2006).

მეორე: ქრისტიანი ვარაუდობს, რომ ასეთი უიმედობა და გულაცრუება ღარიბების გარდატეხილ და არასწორად აღქმულ ისტორიასა და იმ ძალისხმევაში უნდა ვეძებოთ, რომელსაც შეძლებულები მიმართავენ იმისთვის, რომ ისტორია ისე დაიწეროს, როგორც მათ აძლევთ ხელს (1998 ა, 15). იმის აღწერას, თუ რა მოხდა ან რა არ მოხდა წარსულში, დიდი ზეგავლენა აქვს ჩვენი მოსაზრების ფორმირებაზე, თუ რა მოხდება მომავალში. ის, თუ როგორ ახსოვთ ღარიბებს თავიანთი ისტორია, მათ დღევანდელ ყოფაზე ახდენს ზეგავლენას. ასეთ შემთხვევაში წარსული მომავლის შემზღუდველი შეიძლება გახდეს. ამას კიდევ უფრო ამძიმებს ის გარემოება, რომ ისტორია, უმეტესწილად, არაღარიბების მიერ იწერება და ისინი საკუთარი როლის ლეგიტიმაციას ცდილობენ ღარიბების როლის ისტორიიდან ამოშლის გზით. ღარიბების ისტორიის არენიდან უკანა პლანზე გადაწევა ან მათი წვლილის იგნორირება კიდევ უფრო ამწვავებს ღარიბების მდგომარეობას. "ის, ვინც არ ქმნის ისტორიას, ისტორიის შემქმნელების ხელში, უბრალოდ, ინსტრუმენტი ან ისტორიის საგანი ხდება" (მილსი, 1993, 162).

არასწორად დაგეგმილი განვითარების პროგრამები ზოგჯერ კიდევ უფრო აუარესებს ღარიბების წარმოდგენას საკუთარ თავსა და შესაძლებლობებზე, ისევე როგორც საკუთარ წარსულზე. პაულო ფიერემ გამოააშკარავა ის უარყოფითი წვლილი, რომელიც განვითარების სისტემებს შეაქვთ ღარიბების მძიმე მდგომარეობაში, როდესაც ისინი ღარიბებს ასწავლიან, რომ მათი აწმყო და წარსული შეძლებულების ნარატივის პრიზმიდან უნდა იყოს აღქმული. კრიტიკულ დამოკიდებულებას მოკლებულმა განათლების სისტემამ და კულტურამ შეიძლება მჩაგვრელი სისტემები კიდვე უფრო გაამყაროს. ფიერეს *conscientizaca*-ს სტრატეგია, რომელიც წერა-კითხვის სწავლებასა და განათლებას გულისხმობს, იმის საშუალებას იძლევა, რომ "ყოველმა ადამიანმა დაიბრუნოს სიტყვის თქმის უფლება" (1990, 13). ისტორიის შექმნა და გადმოცემა არის ის ინსტრუმენტები, რომლებსაც შეძლებულები იყენებენ, რათა ღარიბები საკუთარი ღმერთის კომპლექსის ტყვეობაში შეინარჩუნონ.

დაბოლოს, ადამიანების იდენტობისა და ღირსების შელახვა სტრესის ქრონიკული წყაროა. ჩემმა ერთ-ერთმა კურსდამთავრებულმა ტრავმის ტექნიკური დეფინიცია სიღარიბის დეფინიციას მოარგო, რომელიც მსოფლიო ბანკის ანგარიშში "*ღარიბთა ხმა*" იყო მოყვანილი და აღნიშნა, რომ ქრონიკული სიღარიბე ქრონიკულ ტრავმას ჰგავს (ფელიქსი, 2009). მან, ასევე, მსოფლიო ბანკის კვლევის შედეგები შეადარა რონ ჯანოფ-ბულმანის მიერ შემოთავაზებულ ახალი ფსიქოლოგიური ტრავმის მიდგომას (1992). აღსანიშნავია, რომ

ეს პარალელი უაღრესად საინტერესო გამოდგა და ბევრ თანხვედრას ჰქონდა ადგილი.

ჯანოფ-ბულმანის აზრით, ადამიანები, ყოველ შემთხვევაში დასავლეთში მცხოვრებნი, საკუთარ თავთან დაკავშირებით სამ ვარაუდს უშვებენ. პირველი: ჩვენ კარგები, ნიჭიერები, მორალურები და ღირსეულები ვართ (1992, 11). მეორე: სამყარო უფრო პოზიტიურია, ვიდრე ნეგატიური და სხვა ადამიანებიც, უმეტესწილად, კარგები, კეთილები და მზრუნველები არიან. სამყარო კეთილმოსურნე და ხელგაშლილი უნდა იყოს (1992, 6). დაბოლოს, ადამიანები იმას იღებენ, რასაც იმსახურებენ და შესაბამისად მოქმედებენ, ანუ სამყარო სამართლიანია (1992, 9). ადამიანების უმეტესობას სჯერა, რომ კარგ ადამიანებსაც ემართებათ ცუდი რამ, მაგრამ ეს უფრო გამონაკლისია, ვიდრე ნორმა, მაგრამ იმ ადამიანებისათვის, რომლებიც ქრონიკულად ტრავმირებულნი არიან სიღარიბის შედეგად, ეს ვარაუდი არასწორია. ამის შედეგი ისაა, რომ ადამიანებს გარკვეული კორექტივები შეაქვთ საკუთარი თავისა და მათ გარშემო არსებული სამყაროს აღქმაში. ეს ხშირად გულისხმობს პრობლემების მიზეზის საკუთარ თავში ხედვას, ან იმას, რომ ადამიანებს მიაჩნიათ, რომ ნაკლულები არიან და შედეგად ამის კომპენსაციას ახდენენ "შეძენილი უმწეობით," როგორც ამას ჯანოფ-ბულმანი უწოდებს (1992, 10). მინდა, ასევე, შეგახსენოთ ოსკარ ლუისის აზრი სიღარიბის სუბკულტურის თაობაზე, რომელიც ეხმარება ღარიბებს, გაუმკლავდნენ მჩაგვრელ სისტემებსა და უფლებამოსილების ნაკლებობას (1959).

ქრონიკული სიღარიბისა და ქრონიკული სტრესის კიდევ ერთი მაგალითია ტომ ფილიპსის შეხედულებები. იგი სწავლობდა ეკონომიკური სიღარიბის ზეგავლენას ღარიბ ბავშვებსა და ახალგაზრდებზე და დაასკვნა, რომ ქრონიკული სტრესისა და შესაძლებლობების შეზღუდულობის შედეგად "ბავშვები და ახალგაზრდები განვითარების სხვა ტრაექტორიით მიემართებიან" (ფილიპსი, 2007). ფილიპსი ცდილობს, გააანალიზოს სიღარიბის ზეგავლენა იმაზე, თუ როგორ აღიქვამენ ახალგაზრდები და ბავშვები საკუთარ თავს და როგორ ხდება მათი იდენტობის ფორმირება. ფილიპსს მიაჩნია, რომ ეკონომიკური სიღარიბე ქრონიკული სტრესის წყაროა. მისი აზრით, ქრონიკული სტრესი ურთიერთქმედებს ორ სხვა ფაქტორთან, რომლებიც ადამიანის თვითშეფასებასა და შესაძლებლობებს აკნინებს. პირველი არის შესაძლებლობების შეზღუდვა, ხოლო მეორე – საზოგადოების მიერ ღარიბების სტიგმატიზაცია და მარგინალიზაცია. ეს ეხმიანება ენ კუდის დასკვნას სიღარიბის მენტალიტეტით განპირობების თაობაზე, რომელიც ზემოთ განვიხილეთ (იხილეთ დიაგრამა 4-14).

სიღარიბის სულიერი მიზეზები

განვითარების სფეროს ექსპერტები და მკვლევრები სულ უფრო მეტ ყურადღებას უთმობენ რელიგიის როლს განვითარებაში, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ხშირად სიღარიბის სულიერი მიზეზები მათი ყურადღების ფარგლებს მიღმა რჩება. მე უკვე ვისაუბრე იმაზე, რომ ჩემბერსის, ფრიდმანისა და პრილელტენსკის მიდგომებში სათანადოდ არ იყო გათვალისწინებული სულიერი სამყაროს, შამანების, ჯადოქრების ზეგავლენა და წვლილი ადამიანების სიღარიბეში. საკმაოდ მნიშვნელოვანი თანხები და დრო იხარჯება თილისმების შეძენაზე, რიტუალებზე, სუფრებსა და, ზოგადად, ურთიერთობების ამ მხა-

რეზე. ტექნიკური პროგრესის მიღწევებზე ადამიანები უარს ამბობენ იმის შიშით, რომ სულების სამყარო და წინაპრები მათი ნების წინააღმდეგ წასვლას არ აპატიებენ. აღსანიშნავია, რომ განვითარების საკითხებისადმი მიძღვნილ ლიტერატურაში ბევრს საუბრობენ ისეთ ფაქტორებზე, როგორებიცაა: ჩაგვრა, სიცრუე, ძალაუფლების ბოროტად გამოყენება, კორუფცია, ძალადობა, ფატალიზმი, ალკოჰოლის მოხმარება, უსამართლო ურთიერთობები და სხვა, მაგრამ სულიერი ფაქტორები იშვიათად განიხილება როგორც ერთ-ერთი ასპექტი, რომელიც სიღარიბის მიზეზების უკეთ გაგებაში დაგვეხმარება. მელბა მაგგეი ამ თვალსაზრისს იზიარებს: "სოციალური მოქმედებები გულისხმობს სხვადასხვა სფეროზე ორიენტირებულ ღონისძიებებს. ჩვენ, საბოლოო ჯამში, ვებრძვით არა მხოლოდ უსამართლო სოციალური სისტემების მატერიალურ გამოვლინებებს, არამედ, ასევე, წინ აღვუდგებით გარკვეულ კოსმიურ ძალებსა და სოციალურ განზომილებებს" (1994, 82).

ჯაიაკარანი სიღარიბის გამომწვევ ძირითად მიზეზად სულიერ ფაქტორებს მიიჩნევს. სწორედ ამიტომ მიმაჩნია მიზანშეწონილად მის მიერ შემოთავაზებული მოსაზრების წინამდებარე თავში განხილვა.

ამგვარად, რა შეიძლება დავასკვნათ სიღარიბესა და მის მიზეზებთან დაკავშირებით მას შემდეგ, რაც ყველაზე მნიშვნელოვანი ნაზრევი წარმოგიდგინეთ? უპირველეს ყოვლისა ის, რომ სიღარიბე რთული და მრავალგანზომილებიანი ფენომენია. მარტივი პასუხები არ არსებობს. მეორე დასკვნის თანახმად, სიღარიბის არსის სწორად გასაგებად საჭიროა მულტიდისციპლინური მიდგომები. ჩვენ გვჭირდება ანთროპოლოგიის, სოციოლოგიის, სოციალური ფსიქოლოგიის, თეოლოგიის ინსტრუმენტების ინტეგრირება. მესამე: ჩემბერსის, ფრიდმანის, პრილელტენსკის ნაშრომები უნდა განვიხილოთ, როგორც უაღრესად ფასეული იდეების ნაკრები, რომლებიც ერთმანეთს ავსებს.

სიღარიბის ჰოლისტიკური ინტერპრეტაცია

მოცემულ თავში მინდა შემოგთავაზოთ ერთიანი ჩარჩო, რომელიც სიღარიბის თეოლოგიური მოაზრების ნაწილს, განვითარებისა და წინა თავში განხილული სიღარიბის მიზეზებს გააერთიანებს. ჩვენ უნდა მოვძებნოთ ინტეგრირებული ჩარჩო, რომელიც ერთდროულად ბიბლიურიც იქნება და ჩემბერსის, ფრიდმანის, პრილელტენსკის, ქრისტიანისა და ჯაიაკარანის ნაშრომებსაც გაითვალისწინებს.

სიღარიბის არსი ურთიერთობებითაა განპირობებული

ჩვენი ამოსავალი წერტილი შემდეგია: სიღარიბე იმ ურთიერთობების შედეგია, რომლებიც ეფექტურად არ მუშაობს, უსამართლოა, არ არის ჰარმონიული ან სიხარულის მომტანი. საინტერესოა აღვნიშნოთ, რომ ეს თვალსაზრისი შეესაბამება ებრაულ მსოფლმხედველობას, რომელშიც ურთიერთობები ყველაზე მნიშვნელოვანი და ფასეულია, ხოლო დაშორიშორება – მიუღებელი.

სიღარიბის შესახებ ხუთივე თეორიული ჩაჩო, რომლებიც ზემოთ მიმოვიხილეთ, მის მიზეზს იმაში ხედავს, რომ საზოგადოებაში ხდება ურთიერთობების ფრაგმენტაცია, ისინი დისფუნქციონალურია ან მჩაგვრელი. ჩემბერსის სიღარიბის მახე, ფრიდმანის სოციალური უფლებამოსილების მიუწვდომლო-

ბა, პრილელტენსკის სქემა, რომლის შესაბამისადაც სიღარიბე არაეფექტური პირადი და კოლექტიური ურთიერთობებია, ქრისტიანის თეორია უფლება-მოსილების შემზღუდველი სისტემების თაობაზე და ჯაიკარანის განვითარების შემზღუდველი გარემოებების თეორია — ყველა ეფუძნება იდეას, რომ არაეფექტური ურთიერთობები და უსამართლობა ადამიანთა კეთილდღეობის წინააღმდეგ მოქმედებს. საინტერესოა, რომ დესმონდ დე აბრეოს, ინდოეთის განვითარებისა და განათლების მომსახურების ცენტრის (DEEDS) ლიდერის, პრაქტიკული გამოცდილება ადასტურებს ზემოხსენებულ მოსაზრებას. მან პრაქტიკული კვლევების მთელი სერია ჩაატარა, რომელთა მიზანი იყო დაედგინა, თუ რა არის "განუვითარებლობის" ძირითადი მიზეზები. იგი ინდოეთის რეგიონებში მცხოვრებ თემებს სთხოვდა, შეემუშავებინათ "აბლაბუდის" ფორმის დიაგრამა (PLA-ის ინსტრუმენტი), რომელშიც ისინი საკუთარ აზრს გამოხატავდნენ იმ პრობლემების წყაროების შესახებ, რომლებიც მანამდე დაასახელეს. როდესაც ისინი აღწერდნენ ლოთობისა და წერა-კითხვის უცოდინარობის მიზეზებს, აღმოჩნდა, რომ მიზეზები, პრაქტიკულად, მსგავსი იყო – ეგოისტობა და სისტემური უსამართლობა. საინტერესოა, რომ ეს ორივე კატეგორია ურთიერთობების სფეროდანაა (1989, 107–9).

სიღარიბის, როგორც არაეფექტური ურთიერთობების, ინტერპრეტაცია, რომლებიც ხელს არ უწყობს ადამიანთა კეთილდღეობას, თანხვდება ბიბლიურ ისტორიას. ცოდვა ურთიერთობების იმ ხუთივე სფეროზე ახდენს ზეგავლენას, რომლებისგანაც ჩვენი ცხოვრება შედგება. ესენია: ურთიერთობები საკუთარ თავთან, საზოგადოებასთან, იმათთან, ვისაც ჩვენ "სხვებს" ვუწოდებთ, ჩვენს გარემოსა და ღმერთთან. ყველა ეს ურთიერთობა გამოხატულებას პოულობს სიღარიბის სისტემებში, რაზედაც ადრე გვქონდა საუბარი. ქრისტიანი მართალია, როდესაც ამტკიცებს, რომ სიღარიბის არსი ურთიერთობებითაა განპირობებული (იხილეთ დიაგრამა 4-16).



დიაგრამა 4-16: სიღარიბის, როგორც არაეფექტური ურთერთობების, ინტერპრეტაცია

სიღარიბის, როგორც არაეფექტური ურთიერთობების, აღქმის ცენტრალური იდეაა, რომ ღარიბებმა არ იციან, ვინ არიან სინამდვილეში. როდესაც ადამიანებს სჯერათ, რომ არასრულფასოვანნი და ღმერთისაგან მივიწყებულები არიან, მათი თვითშეფასება და იდენტობა შელახულია. როდესაც ღარიბებს არ სჯერათ, რომ მათ აქვთ ჭკუა, ძალა, ან უფლება, წვლილი შეიტანონ საზოგადოებრივ კეთილდღეობაში, ისინი არაპროდუქტიულები არიან, ხოლო მათ მიერ საკუთარი შესაძლებლობების აღქმა არასწორია. ასეთი შელახული იდენტობითა და საკუთარი შესაძლებლობების არასწორი აღქმით ღარიბები სწორ ურთიერთობებს ვერ ამყარებენ სამყაროსთან, საკუთარ თავთან ან გარშემო მყოფ ადამიანებთან.

სიღარიბის მიზეზი თავისი არსით სულიერია

რა იწვევს ჩვენი ურთიერთობების დამახინჯებასა და უსამართლობას? რა გვხლეჩს ჩვენ შინაგანად და რა განგვაცდევინებს შინაგან კონფლიქტსა და წინააღმდეგობებს? რა გვაცალკევებს საზოგადოებისაგან, რომელშიც ზოგი შეძლებულია, ხოლო ზოგი იტანჯება? რატომ ხდება, რომ ჩვენ ზოგჯერ ვრიყავთ სხვა ადამიანებს ან მათ "დემონიზაციას" ვახდენთ? რატომ ვეპყრობით წინდაუხედავად გარემოს? რა დგას ჩვენსა და ღმერთს შორის? რა არის ის, რაც სიცოცხლისა და "შალომის" წინააღმდეგ მოქმედებს? ამ შეკითხვებზე პასუხების მოძიება საშუალებას გვაძლევს, ავხსნათ სიღარიბის მიზეზები. სიღარიბის თაობაზე ნებისმიერი თეორია პასუხს უნდა სცემდეს ამ შეკითხვებს.

ქრისტიანის აზრით, ბიბლიური ისტორია ცალსახა პასუხს იძლევა ამ შეკითხვებზე. ცოდვა იწვევს ურთიერთობების დამახინჯებას. ცოდვა ხელს უწყობს სიცრუის, დომინაციისა და მჩაგვრელი ურთიერთობების ჩამოყალიბებას. როდესაც ღმერთი ისტორიის პერიფერიაზეა ან საერთოდ იგნორირებულია, ჩვენ ვერ ვაწყობთ ეფექტურ ურთიერთობებს და არ ვექცევით ერთმანეთს კარგად. რატომ ვხვდებით სიღარიბის მახეში? რატომ არის ღარიბებისათვის მიუწვდომელი სოციალური ძალაუფლება? რა ზღუდავს მათ პირად შესაძლებლობებს? რა არის სიცრუის ხლართისა და მისი ზეგავლენით ადამიანების უფლებამოსილების შეზღუდვის ძირეული მიზეზი? რატომ არსებობს ადამიანების განვითარების შემაფერხებელი გარემოებები, რომელთა უკან ინტერესთა ჯგუფები დგანან? ეს არასწორი, სიცრუესა და დომინირებაზე აგებული ურთიერთობების შედეგია, რადგანაც ჩვენ არ შეგვიძლია ღმერთისა და მოყვასის სიყვარული იმიტომ, რომ ვცოდავთ. ჩვენ ვიღვწით იმისთვის, რომ უკეთეს ცხოვრებას მივაღწიოთ, ვცდილობთ, რომ ჩვენ თავად უზრუნველვყოთ ჩვენი კეთილდღეობა. მაგრამ უნდა გვესმოდეს, რომ ცოდვის თეოლოგიის გარეშე სიღარიბის თანმიმდევრული და სრული ახსნა შეუძლებელია.

და კიდევ, თუკი მართალია, რომ ცოდვა "შალომის" უქონლობისა და ჩვენს სამყაროში დომინანტური ურთიერთობების გაბატონების ფუნდამენტური მიზეზია, მაშინ კარგი ამბავიც შემიძლია გამცნოთ და ცუდიც. კარგია, რომ იესო ქრისტეს მეშვეობით ჩვენ შეგვიძლია დავინახოთ გზა ცოდვიდან ტრანსფორმაციისაკენ. ცუდი კი ისაა, რომ თუ ამას არ გავითავისებთ, მაშინ თავად დავუწესებთ საკუთარ თავს შეზღუდვებს.

განვითარების სფეროს ექსპერტებისათვის, რომლებიც ქრისტიანობის

პრიზმიდან აღიქვამენ ამ საკითხებს, ეს სრულიად ნათელია, რადგანაც ქრისტიანული ტრანსფორმაციული განვითარება ვერ მიიღწევა, თუ ადამიანები არ შეისმენენ სახარების ამ კარგ ამბავს და არ გამოიყენებენ შანსს, რომ შესაბამისად იმოქმედონ. ეს სიფრთხილით, შესაბამისი ზომების გატარებითა და იძულების გარეშე უნდა განხორციელდეს, რაზეც მე-10 თავში ვისაუბრებთ, რომელიც ქრისტიანობის მქადაგებლებს ეძღვნება.

შეძლებულთა სიღარიბე

სიღარიბის შესახებ წიგნი არასრულყოფილი იქნება, თუ გარკვეულ კომენტარებს არ გავაკეთებთ ისეთ თემაზე, როგორიცაა შეძლებულთა სიღარიბე. უფლის თვალში ყველა ადამიანი ღარიბია. რასაკვირველია, შეძლებულებს სხვა რიგის პრობლემები აქვთ, მათ შორის ისიც, რომ ღმერთი გმობს კერპის შექმნას, უსამართლობას, ჩაგვრასა და ღარიბების ცხოვრებაში ღმერთის როლის შესრულების მცდელობას.

საუბარი იქიდან უნდა დავიწყოთ, რომ ბიბლიური გააზრებით, შეძლებულებს ძალიან ბევრი საერთო აქვთ ღარიბებთან. შეძლებულებიც ღმერთის ხატების მსგავსად არიან შექმნილნი, ისინიც ცოდვილები არიან და ღმერთი მათაც სთავაზობს ხსნას. სამწუხაროდ, შეძლებულებისათვის უფრო ძნელია ამის გაგება, ვიდრე ღარიბებისათვის. ეს ნაწილობრივ იმითიცაა განპირობებული, რომ მათ სიამოვნებთ საკუთარი პრივილეგიებით სარგებლობა და ღმერთის როლის შესრულება ღარიბების ცხოვრებაში. მაგრამ, გასათვალისწინებელია, რომ შეძლებულები იმავე სახის სიღარიბისაგან იტანჯებიან, რითაც ღარიბები. მათი იდენტობაც შელახულია, მაგრამ სხვაგვარად. როდესაც შეძლებულები ღმერთის როლს თამაშობენ ღარიბების ცხოვრებაში, ისინი აღარ არიან ისინი, ვინც სინამდვილეში უნდა იყვნენ და ღმერთის როლს ასრულებენ. საკუთარი იდენტობის დაკარგვის შედეგად შეძლებულები თავიანთ ნამდვილ დანიშნულებასაც ვერ იაზრებენ სწორად. იმის მაგივრად, რომ პროდუქტიულად იღვწოდნენ საზოგადოების კეთილდღეობისთვის, ისე იქცევიან, თითქოს მათი პრივილეგიები და მდგომარეობა სრულიად დამსახურებულია და, შესაბამისად, მხოლოდ მათ ეკუთვნით ეს პრეროგატივა. შეძლებულებიც სიცრუის ქსელის მსხვერპლნი არიან, მაგრამ ეს ქსელი ღარიბების სიცრუის ქსელისგან განსხვავდება (იხილეთ დიაგრამა 4-17).

საინტერესოა, რომ უოლტერ უინქი მსგავს აზრებს აყალიბებს, როდესაც "დელუზიური ვარაუდის" იდეას ავითარებს. ამ ტერმინს იგი იყენებს შეძლებულების მიერ თავიანთი ძალაუფლებისა და პრივილეგიების გამართლების მიზნით გამოყენებულ არგუმენტებთან დაკავშირებით (1992, 95). ასეთი მცდარი წარმოდგენები სიცრუის ხლართს ქმნის, რომლისაც ღარიბებს სჯერათ. ქრისტიანის სიცრუის ხლართის მსგავსად, ეს დელუზიური ვარაუდი ხშირად არც კი არის გაცხადებული, მაგრამ იმთავითვე ყოველგვარი კრიტიკის გარეშეა მიღებული როგორც შეძლებულების, ასევე ღარიბების მიერ. შეძლებულები თავიანთ დომინანტურ როლთან სოციალიზაციას იმ მითიური ისტორიების, ნარატივების, სიმბოლოებისა და რიტუალების მეშვეობით ახდენენ, რომლებიც განმარტავენ მათ უპირატეს მდგომარეობას და ზოგ შემთხვევებში ეთიკურადაც ამართლებენ მას. ამ კულტურულ თუ სიმბოლურ ძალაუფლებას პიერ ბორდიუ აღწერს.

უინქი გვთავაზობს ვარაუდების საკუთარ ჩამონათვალს:

- სოციალური ქაოსის თავიდან აცილების მიზნით აუცილებელია გარკვეული ჯგუფების დომინირება სხვა ჯგუფებზე.
- მამაკაცებს უკეთ გამოსდით დომინირება, ვიდრე ქალებს; ზოგი რასა თავისი ბუნებრივი მახასიათებლებით უფრო შესაფერისია, რომ დომინანტური პოზიცია ეჭიროს, ვიდრე დანარჩენ რასები.
- მიზანი ნებისმიერ საშუალებას ამართლებს.
- ძალადობა მისაღებია, რადგანაც ეს ერთადერთი ენაა, რომელიც მტერს ესმის.
- მართვა და მმართველობა ყველაზე მნიშვნელოვანი სოციალური ფუნქციაა.
- მმართველებს დამატებითი პრივილეგიები და სიმდიდრე ეკუთვნით.
- ის, ვისაც მეტი სამხედრო ძალა, განვითარებული ტექნოლოგიები, ყველაზე დიდი ბაზრები და სიმდიდრე აქვს, უნდა გადარჩეს და ძალაუფლებას ფლობდეს.
- სიმდიდრის შექმნა უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ჯანსაღი და ნორმალური ადამიანები და საღი ადამიანური ურთიერთობების დამყარება.
- საკუთრება ხელშეუხებელია და საკუთრების უფლება აბსოლუტურია.
- ინსტიტუტები უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ადამიანები.
- ღმერთი, თუკი იგი არსებობს, ძლიერებს იცავს და ეხმარება (უინქი, 1992, 95).

უინქი ბიბლიურ ნარატივს იშველიებს იმის ასახსნელად, თუ როგორ ცდებიან შეძლებულები: "ამ ქვეყნის მბრძანებლებმა არ იციან, რომ ისინიც დელუზიური სისტემების მონობაში არიან. მათ არ იციან, ვის ემახურებიან" (უინქი, 1992, 97).

თემა	სოციალური სისტემა	სიცრუე
საკუთარი ღმერთის კომპლექსის ტყვეობაში ყოფნა	სოციალური პოლიტიკური ეკონომიკური რელიგიური	ჩვენ ვართ სოციალური სისტემა; სწორია, რომ გვემსახურებიან; ჩვენი არსებობა წარმატებული ეკონომიკის წინაპირობაა; ღმერთმა ჩვენ აგვარჩია.
შეძლებულების შელახული იდენტობა	სოციალური პოლიტიკური ეკონომიკური რელიგიური	ჩვენ უკეთესად გამოგვდის მართვა; ჩვენი დანიშნულებაა სხვების მაგივრად გადაწყვეტილებების მიღება; მოხვეჭა და მოგება ცხოვრების აზრია; ჩვენ ვართ ღმერთის რჩეულები.

მსოფლმხედველობის არაადეკვატურობა	სოციალური პოლიტიკური ეკონომიკური რელიგიური	ჩვენი ადგილი სოციალურ წყობაში მუდმივია; ჩვენი დანიშნულებაა მართვა; ეს შეჯიბრია: ზოგი იგებს, ზოგი კი აგებს; ღმერთმა იცის წარმატების ფორმულა და ისინი ამ ფორმულას არ იყენებენ.

დიაგრამა 4-17: შეძლებულთა სიცრუის ქსელი

სიღარიბის პრობლემა ვერ გადაიჭრება, თუ შეძლებულების ეს მცდარი ვარაუდი არ გამოაშკარავდება და მას ღმერთის ჭეშმარიტ სიტყვას არ დავუპირისპირებთ. "ეკლესიას არ გააჩნია იმაზე უფრო მნიშვნელოვანი ამოცანა, ვიდრე ამ მცდარი ვარაუდისათვის ფარდის ახდა" (უინქი, 1992, 96). უინქი ამტკიცებს, რომ ეს არ უნდა მოხდეს ღარიბების დემონიზაციით, რადგანაც ისინიც მოტყუებულები არიან ჩვენი დროის მმართველების მიერ. შეძლებულების მიერ საკუთარი პრივილეგიებისა და ძალაუფლების დაცვისაკენ მიმართული ძალისხმევა სიღარიბის უნიკალურ ფორმას ქმნის. როდესაც სოციალურ სისტემებს ჩვენი კეთილდღეობისა და საკუთარი მიზნებისათვის ვიყენებთ, ძნელია დაიჯერო, რომ სხვებიც იმავეს არ აკეთებენ. როდესაც მთავარი მიზანი დომინირებაა, ყოველთვის ვცდილობთ მოვიგოთ, რათა არ დავმარცხდეთ. "რაც უფრო მდიდარია ადამიანი, მით უფრო მეტი თავის ტკივილი აქვს მას. ეშინია, შემოსავლების დაკარგვის, ეშინია, რომ მასზე ძლიერი დაჩაგრავს, ეჭვი ეპარება თავისი ოჯახის წევრების პატიოსნებაში და ეშინია, რომ უცხო ადამიანებმა არ მოატყუონ" (ჰიუ სენ ვიქტორი, ციტატა ოდენიდან, 1986, 155).

როდესაც ასე ვშორდებით იმას, რაც რეალური და ჭეშმარიტია, როდესაც ჩვენ ამ დელიზიური ვარაუდის გვჯერა და ვთვლით, რომ სიცრუის ხლართი ჭეშმარიტებაა, მარტო ვრჩებით და ეჭვი და შიში გვიპყრობს. ჩვენ აღარ გვესმის, რა არის რეალური და მართალი.

არის კიდევ ერთი ასპექტი, რომლის გამოც შეძლებულთა სიღარიბე ღარიბების სიღარიბის სარკის ანარეკლია. იქმნება შთაბეჭდილება, რომ ძალიან ბევრის ფლობა ისეთივე ცუდია, როგორიც ძალიან ცოტასი. ძალიან ცოტა საკვები არ გვყოფნის, ვსუსტდებით და ადვილად ვხდებით ავად. ძალიან ბევრი საკვების მიღებას ჭარბწონიანობა მოჰყვება, რის შედეგადაც გულის დაავადებები და სიმსივნე ვითარდება. განუვითარებელ ქვეყნებში წყალი სასმელად უვარგისია და საშიშია ჯანმრთელობისათვის. დასავლეთში წყალი ცუდია ჯანმრთელობისათვის იმიტომ, რომ იგი ქიმიკატებითაა დაბინძურებული. ღარიბებს ცუდი საცხოვრებელი პირობები აქვთ, ხოლო შეძლებულები კი ხშირად საკუთარი სახლების მონები ხდებიან. ოქტავიო პაზმამ დაასკვნა, რომ მდიდრებს ცოტა ბედნიერი დღე (დღესასწაული) აქვთ და ამიტომ ღარიბები არიან, მაშინ როდესაც ღარიბებს ძალიან ბევრი დღესასწაული აქვთ და მაინც ღარიბები არიან (პარკერი, 1996, 107). იდეას, რომ "ძალიან ბევრიც სიღარიბეა," კოიამა ძალიან ნათლად და ხატოვნად აყალიბებს: "ადამიანები პურის გარეშე ვერ იცხოვრებენ, მაგრამ ადამიანები მარტო ამ საბაზისოდ აუცილე-

ბელი საკვებით არ უნდა იკვებებოდნენ. მხოლოდ პური, მხოლოდ ტანსაცმელი, მხოლოდ თავშესაფარი — ადამიანის ცხოვრების ხარისხს აუარესებს. უცნაურია, მაგრამ საარსებო საშუალებების სიჭარბეც საფრთხის შემცველია. ადამიანმა პური უნდა ჭამოს, მაგრამ ხშირად პური ჭამს ადამიანს. აყვავებულ და მდიდარ ქვეყნებში ადამიანები ზედმეტი ჭამისაგან იხოცებიან. ადამიანმა სახლში უნდა იცხოვროს, მაგრამ რა ვქნათ, როდესაც სახლი იწყებს ადამიანში ცხოვრებას? ადამიანს პური და უფლის ჭეშმარიტი სიტყვა სჭირდება" (1979, 4–5).

იდეა, რომ ძალიან ბევრი ან ძალიან ცოტა პრობლემის ორი მხარეა, შეგვახსენებს ძველი აღთქმის იგავს (იგავ, 30:8–9):

> "სიცრუე და ტყუილი მაშორე, ნურც სიღარიბეს მომცემ და ნურც სიმდიდრეს, საარსებო პურით მასაზრდოვე, რომ გამაძღარმა არ უარგყო და არა ვთქვა, ვინ არის უფალი-მეთქი? ხოლო გაღატაკებულმა არ ვიქურდო და ჩემი ღვთის სახელს არ შევცოდო."

საბოლოო ჯამში, შეძლებულთა სიღარიბე იგივეა, რაც ღარიბთა სიღარიბე, ოღონდ იგი სხვანაირადაა გამოხატული. შეძლებულთა სიღარიბე ურთიერთობებზეა დამოკიდებული და ცოდვის შედეგია. ამის შედეგია სიმდიდრითა და საგნებით სავსე ცხოვრება, რომელიც აზრს მოკლებულია. შეძლებულებს, უბრალოდ, სიცრუის სხვა წყების სჯერათ. ერთადერთი განსხვავება ისაა, რომ შეძლებულების სიღარიბე უფრო ძნელი დასაძლევია. "საბანკო ანგარიში და ჭარბი კვება ხელს არ უწყობს ამ ადამიანებს ისტორიის სიმართლის სწორად გაგებაში" (კოიამა, 1974, 23). სწორედ ამას ამბობს იესო, როდესაც ის მდიდარ კაცს, რომელიც უფლის სასუფეველში შესვლას ცდილობდა, ადარებს აქლემს, რომელიც ნემსის ყუნწში გასვლას ცდილობს.

5

განვითარების პერსპექტივები

აქამდე ჩვენ ვსაუბრობდით ბიბლიურ ნარატივზე, როგორც ისტორიაზე, რომელიც ჩვენს ინდივიდუალურ ისტორიებსა და იმ საზოგადოების ისტორიას აყალიბებს, რომელშიც ვცხოვრობთ და ვსაქმიანობთ. ჩვენ სიღარიბის არსისა და მისი მიზეზების თაობაზე სხვადასხვა თვალსაზრისსაც გავეცანით. ჩვენი შემდეგი ამოცანაა გავიაზროთ, თუ როგორ განიხილავენ განვითარებას განვითარების სფეროს ქრისტიანი და არაქრისტიანი თეორეტიკოსები. ჩვენ კვლავ დავინახავთ, რომ ძალიან ბევრის სწავლა შეგვიძლია იმ ადამიანებისაგან, რომლებიც განვითარების საკითხებს პროფესიონალურად სწავლობენ, და განვითარების სფეროს პრაქტიკოსებისაგან.

ვინ გვიხსნის?

ეს შეკითხვა დაგვეხმარება, უკეთ გავიგოთ ტრანსფორმაციული განვითარების თაობაზე სხვადასხვა თვალსაზრისი. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ განვითარების სფეროს პრაქტიკოსმა და თემმა ერთად სცადონ ამ შეკითხვაზე პასუხის გაცემა. არ უნდა დავეყრდნოთ მხოლოდ იმ ვარაუდს, რომ ამ შეკითხვაზე ყველას ერთი და იგივე პასუხი აქვს. არსებობს მრავალი ურთიერთსაწინააღმდეგო ისტორია, რომლებიც ამტკიცებენ, რომ პასუხი აქვთ არსებულ შეკითხვებზე. ზოგი მათგანი საკმაოდ თანმიმდევრული და მაცდუნებელია.

ბოლო ორი საუკუნის განმავლობაში თანამედროვეობამ წინ წამოსწია მოსაზრება, რომ პროგრესი თანამედროვე მეცნიერებისა და ადამიანის გონების შედეგადაა მიღწეული და იგი "დაგვეხმარება სამყაროში არსებული ბზარების ამოვსებასა და სამყაროს გაჯანსაღებაში" (ვოლფი, 1996, 25). აღსანიშნავია, რომ ადამიანთა პროგრესის თაობაზე მითი არ ითვალისწინებს იმას, რომ ამ ბზარების სიღრმეში ბოროტებაა და რომ მას შეუძლია ადამიანის გონება სხვა მიზნებისაკენ წარმართოს. დასავლეთის თანამედროვე ისტორიას არ გააჩნია ამ ბოროტების ანტიდოტი. თანამედროვეობა იმედს ორ რამეზე – "სოციალური კონტროლისა და რაციონალური აზრის სტრატეგიაზე" – ამყარებს (იქვე, 26), მაგრამ არც ერთ მათგანს არ გააჩნია ბოროტების დამარცხების ძალა.

21-ე საუკუნის დასაწყისში თანამედროვეობის ოთხი მახასიათებელი — კაპიტალიზმი, გლობალიზაცია, მეცნიერება და ტექნოლოგია — დღესაც ჰპირდება ღარიბებს ხსნას. კეთდება განცხადებები, რომ მდგომარეობა ამ მხრივ უმჯობესდება. 1990-იან წლებთან შედარებით იმ ადამიანების რაოდენობა, რომლებიც დღეში 1,25 დოლარზე ცხოვრობენ, არსებითად შემცირდა (მსოფლიო ბანკი, 2009, 2004). ჩინეთში, ინდოეთსა და ბრაზილიაში მნიშვნელოვნად შემცირდა ღარიბების რაოდენობა. მიუხედავად ამისა, აღსანიშნავია, რომ ამ ადამიანების მდგომარეობისა და პირობების გაუმჯობესება არ არის საკმარისი იმის სამტკიცებლად, რომ თანამედროვეობა იხსნის ღარიბებს.

ჩილელი რელიგიის სოციოლოგი კრისტიან პარკერი ლათინურ ამერიკაში სიღარიბის საკითხებსა და მასზე ჩრდილოეთის კაპიტალიზმის ზეგავლენას იკვლევდა. მას მიაჩნია, რომ კაპიტალიზმი "საკუთარი შეზღუდული ჰორიზონტით შემოიფარგლება, რადგანაც მას არ შეუძლია თავის დაღწევა საკუთარი ოქროს მარწუხებისაგან და ირყევა სასიცოცხლოდ აუცილებელი ადამიანური საჭიროებებისა და სურვილების დაუკმაყოფილებლობის გამო" (1996, 256).

პარკერი, ასევე, აღნიშნავს, რომ ლათინურ ამერიკაში გავრცელებულ რელიგიას უაღრესად დიდი ზეგავლენა აქვს ადამიანებზე და ცდილობს შეისწავლოს, თუ რატომაა იგი ამდენად პოპულარული.* პარკერი აღნიშნავს: ამის მიზეზი ის არის, რომ პოპულარული რელიგია პასუხს იძლევა დასმულ შეკითხვებზე და აკმაყოფილებს ადამიანების საჭიროებებს ისეთი გზით, რომელიც მხოლოდ ეკონომიკურ ზრდას არ შეუძლია. პარკერს მიაჩნია, რომ ყველაფრის შეფასება პრაგმატიზმის პრიზმიდან, იმის გაანალიზება, თუ რა მუშაობს, და ეთიკური თავისუფლების მოაზრება, როგორც უფლებისა, იყო ინდიფერენტული შენი საზოგადოების სხვა წევრების მიმართ, არის "ცივილიზაციის კრიზისის" ნიშანი (1996, 258). იგი, ასევე, ამტკიცებს, რომ "ეს ნამდვილად კრიზისია, თუ შევხედავთ, როგორ ვითარდება თანამედროვე მენტალიტეტი ბუნებასთან დამოკიდებულების თვალსაზრისით, როგორ ვითარდება ადამიანებს შორის ურთიერთობები ან როგორია ადამიანების დამოკიდებულება ტრანსცენდენტული საკითხებისადმი. ეს არის ინსტრუმენტული რაციონალიზმი, რომელიც ექსტრემალურ გამოხატულებებს პოულობს. ეს არის მკრეხელობა, დამახინჯებული წარმოდგენა, რადგანაც, ამ აზრის შესაბამისად, ინტელექტი არის ღმერთი. ეს ამართლებს მიზნის მისაღწევად განხორციელებულ ქმედებებს და საერთოდ არ მიიღება მხედველობაში სხვა ფასეულობები, რასაც საბოლოოდ ადამიანების თვითგანადგურების, ასევე, - კულტურისა და გარემოს განადგურებისაკენ მივყავართ. თანამედროვე ადამიანი კრიზისშია, რადგანაც კრიზისშია მისი ურთიერთობები რელიგიასა და ეკოსისტემასთან. ადამიანი გახლეჩილია, რადგანაც დაკარგული აქვს თავდაპირველი ჰარმონია (1996, 259).

განვითარების სფეროს პრაქტიკოსმა უნდა გაიაზროს, რომ კაპიტალიზმის, გლობალიზაციის, მეცნიერებისა და ტექნოლოგიის ფუნდამენტური პოსტუ-

* ეს იგივე შეკითხვაა, რომელსაც ქვამე ბედიაკო (1992), ენდრიუ უოლსი (1989), ავგუსტინე მისიპოლე (1997), კირილ ოკოროჩა (1994) და სხვა აფრიკელი თეოლოგები სვამდნენ აფრიკული ტრადიციული რელიგიის თაობაზე, რომელიც, მიუხედავად ისლამის, ქრისტიანობისა და თანამედროვეობის ამ ქვეყნებში შემოსვლისა და გარკვეული ინვაზიისა, მაინც რჩება ყველაზე ძლიერ ძალად, რომელიც აფრიკის კონტინენტზე მოქმედებს.

ლატი, რომ მათ ჩვენი ხსნა შეუძლიათ, მცდარია. ხსნა მათ შესაძლებლობებს აღემატება. ეკონომიკური ზრდა, თანამედროვე მედიცინა, სოფლის მეურნეობა, წყალმომარაგება და ტექნოლოგიები, უბრალოდ, ინსტრუმენტებია. ჩვენ ფრთხილად და ეფექტურად უნდა გამოვიყენოთ ეს ინსტრუმენტები. მათ შეუძლიათ ჩვენი ცხოვრება გააუმჯობესონ და ადამიანები უფრო პროდუქტიულები გახადონ, მაგრამ ჩვენი ხსნა არ შეუძლიათ. "1960-იანი წლების განმავლობაში არსებული იმედი, რომ განვითარება და თავისუფლება მიღწეული იქნება, რაც 1970-იან წლებში ლიბერტარიანულ პროექტებში აისახა, დღეს გაქარწყლებულია. ლათინურ ამერიკასა და მსოფლიოს ამ საკითხების გადასინჯვა და თავიანთი იმედის ახალ საფუძველზე დამყარება სჭირდებათ" (პარკერი, 1996, 248).

რელიგიის სიბრძნე სხვა საფუძველს გვთავაზობს იმედისათვის. ჯვარცმა გვასწავლის, რომ ხსნის წყარო არის არა სწორი მიმართულებით ფიქრი ან ტექნიკური პროგრესი, არამედ ღვთაებრივი ნება, რომელიც გამოასწორებს იმას, რისი გამოსწორებაც ჩვენ საკუთარი ძალებით, მისი ნების გარეშე, არ შეგვიძლია. ჩვენ გვეუბნებიან, რომ "ვინაიდან უგუნური ღმრთისა უფრო ბრძენია, ვიდრე კაცნი, და უძლური ღმრთისა უფრო ძლიერია, ვიდრე კაცნი" (კორინთელთა მიმართ, 1:25). სისულელე და სისუსტე არის "ღმერთის სიძლიერე" (კორინთელთა მიმართ, 1:18). განვითარების სფეროს სპეციალისტმა არ უნდა დაივიწყოს ფუნდამენტური სიბრძნე იმის შესახებ, თუ ვის შეუძლია გვიხსნას. თანამედროვეობის მტკიცება, თუ რაშია ხსნა, ხშირად მომხიბლველი და მაცდურია. ჩვენ ამ მტკიცებას ყოველდღე ვაწყდებით, როდესაც რაღაცას ვკითხულობთ, ვუსმენთ და ვსწავლობთ. ჩვენი, როგორც განვითარების სპეციალისტების, პროფესიული სწავლება ერთი შეხედვით იმ აზრს ეფუძნება, რომ ბაზარს, მეცნიერებასა და ტექნოლოგიებს შეუძლიათ ჩვენი ხსნა. ეს ასე არ არის და ფრთხილად უნდა ვიყოთ, რათა ამ მცდარ აზრს წინ აღვუდგეთ. ეს ინსტრუმენტებია, მათ ჩვენი დახმარება შეუძლიათ და არა ხსნა.

არსებობს მცდარი წარმოდგენა ხსნის კიდევ ერთი შესაძლებელი წყაროს შესახებ, რომელიც უნდა ვამხილოთ, რადგანაც წინააღმდეგ შემთხვევაში შეიძლება უფრო მეტი ზიანი მივაყენოთ ადამიანებს. ღარიბებმა შეიძლება იწამონ, რომ ხსნა განვითარების სფეროს პროფესიონალებში ან სააგენტოებშია. ეს გასაგებიცაა, რადგანაც ჩვენ ღარიბებთან ჯიპებით, ფულით, ტექნოლოგიებითა და ტექნიკური ცოდნით მივდივართ. ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს ჩვენ ვიცით, რა იწვევს არსებულ მდგომარეობას და როგორ უნდა შევცვალოთ იგი. ჩვენ უნდა ავუხსნათ ღარიბებს, რომ ეს ასე არ არის. ამ საკითხზე უფრო დეტალურად განვითარების პრაქტიკის ნაწილში ვისაუბრებთ.

ტრანსფორმაციის თაობაზე ჩვენი მიდგომების ფორმირება

სიღარიბის მიზეზებთან დაკავშირებული დასკვნების მსგავსად, ჩვენი თვალსაზრისი გავლენას ახდენს იმაზე, თუ რას ვფიქრობთ ადამიანთა ტრანსფორმაციაზე. ჩვენ ნათლად უნდა ჩამოვაყალიბოთ ჩვენი თვალსაზრისი და შემდეგ ვნახოთ, შეგვიძლია თუ არა მისი გავრცობა. არის რამდენიმე გზა, რომლებითაც ეს მიიღწევა.

ტრანსფორმაცია: საიდან, საითკენ?

ჩვენი ვარაუდის ნათლად ჩამოსაყალიბებლად ერთ-ერთი გზა არის პასუხის პოვნა შეკითხვაზე, საიდან საითკენ გვინდა გამოვიწვიოთ ტრანსფორმაცია (იხილეთ დიაგრამა 5-1). თუ ადამიანები დაკარგული სულებივით არიან, მაშინ ტრანსფორმაცია სულის გადარჩენისაკენ უნდა იყოს მიმართული. თუ ადამიანები შიმშილისაგან იტანჯებიან, მაშინ ტრანსფორმაცია მათ გამოკვებას ნიშნავს. თუ პრობლემა უსამართლობაშია, მაშინ ტრანსფორმაციის ინსტრუმენტები თემების ორგანიზებას, ადვოკატირებასა და პოლიტიკურ აქტივიზაციას გულისხმობს.

სიდან?	**საითკენ?**	**რა ურთიერთობები?**
დაკარგული სული	სულის გადარჩენა	ღმრთთან
გამოფიტული სხეული	სხეულის გამოკვება	საკუთარ თავთან
ავადმყოფი სხეული	ჯანსაღი სხეული	საკუთარ თავთან
შერყეული გონება	აღდგენილი გონება	საკუთარ თავთან
უსამართლო სოციალური სისტემა	სამართლიანი სოციალური სისტემა	საზოგადოებასა და სხვებთან
ძალადობა	ურთიერთობების აღდგენა	საზოგადოებასა და სხვებთან
სამყაროს განადგურება	სამყროს აღდგენა	გარემოსთან

დიაგრამა 5-1: ტრანსფორმაცია: საიდან, საითკენ?

სიღარიბის შესახებ სხვადასხვა მოსაზრება ტრანსფორმაციისადმი სხვადასხვა მიდგომას განაპირობებს. ყველა ეს თვალსაზრისი სწორია, მაგრამ არასრული. თუ ჩვენ დავეთანხმებით აზრს, რომ ბიბლიური ტრანსფორმაცია ადამიანის ცხოვრების ყველა ასპექტს მოიცავს, მაშინ კიდევ ერთ ნაბიჯს გადავდგამთ უფრო თანმიმდევრული, სრული და ჰოლისტიკური მიდგომის შემუშავებისაკენ. თუ ჩვენ ამას არ მივიღებთ, მაშინ ტრანსფორმაცია დაყვანილი იქნება ევანგელიზმამდე, რომელიც სულის გადარჩენას ისახავს მიზნად, ან მედიცინამდე და ფსიქოლოგიამდე, რომლებიც ადამიანის გადარჩენას ისახავენ მიზნად, ან პოლიტიკურ აქტივიზმამდე, რომლის მიზანიც სოციალური სისტემის გარდაქმნაა, ან ეკოლოგიურ მოძრაობამდე, რომელიც ბუნების გადარჩენას ემსახურება.

პრობლემის მასშტაბურობა

თავში სიღარიბესა და ღარიბების შესახებ ჩვენ აღმოვაჩინეთ, რომ სიღარიბის ჩვენეული ინტერპრეტაცია დამოკიდებულია იმაზე, თუ რა დონეზე ვაანალიზებთ ამ პრობლემას. ჩვენი სოციალური ანალიზის გაღრმავების კვალ-

დაკვალ ჩვენი აზრი სიღარიბის გამომწვევი მიზეზების თაობაზე იცვლება. ის, როგორც სიღარიბის მიზეზები გვესმის, მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენს იმაზე, თუ რა საპასუხო ზომებს ვგეგმავთ. თუ სიღარიბეს აღვიქვამთ მშიერ ბავშვებად, პასუხი იქნება სოციალური დახმარების პროგრამების შემუშავება და ბავშვების გამოკვება. თუ მიგვაჩნია, რომ სიღარიბე სწორი კვებისა და სოფლის მეურნეობის შესახებ ინფორმაციის ნაკლებობაა, პასუხი იქნება თემების განვითარების პროგრამა, რომელიც ადამიანებს ახალ უნარებს განუვითარებს და სათესლე მასალას მისცემს. თუ უფრო ღრმად შევხედავთ ამ პრობლემას და სიღარიბეს მიწის საკუთრებასა და ადგილობრივი მარკეტინგის სისტემასთან დავაკავშირებთ, მაშინ საპასუხო ზომა იქნება პოლიტიკის შეცვლა, სახელმწიფო დახმარების ხელშეწყობა და თემების ორგანიზება. ჩვენ უნდა ვეცადოთ, თავი ავარიდოთ ცდუნებას, რომ მხოლოდ ერთი თვალსაზრისი ავირჩიოთ და სხვა აზრი არ გავითვალისწინოთ. ყველა ასპექტს მოგვარება სჭირდება. ტრანსფორმაციული განვითარება სწორედ ამ ასპექტების ერთობლივად მოაზრებასა და გარდაქმნას გულისხმობს.

რა არის განვითარება?

მნიშვნელოვანია, განვიხილოთ რამდენიმე თვალსაზრისი, თუ რა არის განვითარება და რა ღონისძიებებს გულისხმობს იგი. ყველა თვალსაზრისი საინტერესოა, ამ ტიპის ანალიზით ბევრის სწავლა შეგვიძლია, რაც ძალიან გვეხმარება ტრანსფორმაციული განვითარების ქრისტიანული ჩარჩოს შექმნაში. არსებითი მნიშვნელობისაა, რომ ყველა ამ თვალსაზრისის ტრანსფორმაციული ჩარჩოები გამოვავლინოთ. ტრანსფორმაციული ჩარჩოები კი ის სფეროებია, რომლებისკენაც მიმართულია ტრანსფორმაციული სტრატეგია მდგრადი ცვლილებების მისაღწევად და სწორი მიმართულებით გასავითარებლად, რათა უფლის სასუფეველს მივაღწიოთ.

უეინ ბრეგი — განვითარება როგორც ტრანსფორმაცია

განვითარების თაობაზე ევანგელური თეორიის ევოლუციის ისტორიაში უაღრესად მნიშვნელოვანი იყო ვიტონი 83-ის კონსულტაციები თემაზე "ადამიანთა საჭიროებების გათვალისწინებისაკენ მიმართული ზომები ქრისტიანული პერსპექტივიდან." უეინ ბრეგმა, ვიტონის მხარდაჭერის ცენტრის ყოფილმა დირექტორმა, უაღრესად საინტერესო ანგარიში მოამზადა, რომელშიც იგი ამტკიცებს, რომ ტრანსფორმაცია ბიბლიური ტერმინია და ყველაზე მეტად შეეფერება განვითარების თაობაზე ქრისტიანულ თვალსაზრისს (1983, 37-95). ბრეგმა განვითარება გაიაზრა, როგორც სოციალურ კეთილდღეობაზე უფრო ფართო რამ, რომელიც სამართლიანობასთან დაკავშირებულ საკითხებსაც უნდა მოიცავდეს. ეს იმ დროს ევანგელისტებისათვის საკმაოდ წინააღმდეგობრივი განაცხადი იყო. ბრეგმა აღწერა ტრანსფორმაციის მახასიათებლები და ტრანსფორმაციის ყველა სფერო:

- *საარსებო საშუალებები* ან საბაზისო ადამიანური სჭიროებების დაკმაყოფილება.

- *სამართლიანობა*, რაც მტერიალური დოვლათისა და შესაძლებლობების თანასწორ გადანაწილებას გულისხმობს.
- *სამართლიანი* და *თანასწორი* ურთიერთობები, მათ შორის დემოკრატიული მონაწილეობა.
- *ღირსება* და *საკუთარი თავის პატივისცემა*, საკუთარი თავის ღირსეულ ადამიანად გააზრება და იმის ცოდნა, რომ ჩვენ ღვთის ხატის მსგავსად ვართ შექმნილნი.
- *თავისუფლება გარეშე კონტროლისა* და *ჩაგვრისაგან*, უფლისმიერი ხსნის შეგრძნება.
- *მონაწილეობა* ტრანსფორმაციის პროცესებში.
- *თანაზიარების* შეგრძნება ღარიბებსა და შეძლებულებს შორის; ორივე მხარეს შეუძლია ერთმანეთისგან რაღაცის სწავლა.
- *კულტურის პატივისცემა*, რაც ადგილობრივ ტრადიციებში ყოველივე საუკეთესოს დაფასებას გულისხმობს.
- *ეკოლოგიისადმი* ჯანსაღი და მდგრადი მიდგომა.

ბრეგმა მნიშვნელოვანი იდეები დაამატა განვითარების საკითხებზე ევანგელურ დიალოგს. სამართლიანი სოციალური სისტემები და თანაბარი შესაძლებლობები ადრე არ შედიოდა ევანგელური განვითარების პროგრამებში. იმხანად ეს ასპექტები "ზომაზე მეტად პოლიტიკურად" მოიაზრებოდა. დასავლელ ევანგელისტებს მაშინ ჯერ კიდევ არ ჰქონდათ ჩამოყალიბებული პოლიტიკური აქტივიზმის თეოლოგია. ამ მიმართულებას ძალიან ცოტა ადამიანი უჭერდა მხარს, რომლებიც, ძირითადად, ლათინური ამერიკიდან იყვნენ, მათ შორის იყო ორლანდო კოსტასი, რენე პადილა და სემუელ ესკობარი. აშშ-ამერიკაში მხოლოდ რონ საიდერი და ჯიმ უოლესი, ორგანიზაცია "ევანგელისტები სოციალური მოქმედებებისათვის" წარმომადგენლები, მიესალმებოდნენ ამ სიახლეებს.

ევანგელების განვითარებისაკენ მიმართულ ინიციატივებში თავისუფლებისა და მონაწილეობის ჩართვის აუცილებლობა თადათანობით ნათელი ხდებოდა. მნიშვნელოვანი იყო ღარიბებისაგან სწავლა და მათი კულტურის უკეთ გაცნობა, ასევე, ყველა კულტურის, როგორც ღმერთის მიერ შექმნილი ფენომენის, მოაზრება, რომლებიც ტრანსფორმაციის კრეატიულ წყაროს წარმოადგენენ. იმ პერიოდში ევანგელური განვითარების თეორიისათვის ეკოლოგიაც ახალი თემა იყო.

აღსანიშნავია, რომ ბრეგის იდეოლოგიასაც ჰქონდა გარკვეული სუსტი მხარეები. მის თეორიას თან ახლდა სიკეთეების გადანაწილების ქვეტექსტი, რომელიც ამჟამად, ადრინდელისაგან განსხვავებით, აღარ განიხილება, როგორც პოზიტიური მიმართულება. ბრეგმა, იმ პერიოდში განვითარების სფეროში მოღვწე (მათ შორისაა წინამდებარე წიგნის ავტორიც) სხვა ევანგელისტების მსგავსად, სათანადოდ ვერ შეაფასა დოვლათის წარმოების მნიშვნელობა. დაბოლოს, ღარიბების ბრეგისეული შეფასება, გარკვეულწილად, რომანტიზმის ელფერს ატარებდა. მისი აზრით, ღარიბებს არანაირი წვლილი არ მიუძღოდათ საკუთარ სიღარიბეში და ყველა ცოდვა, მათ შორის სხვა ადამიანების ჩაგვრის ცდუნებისადმი დამორჩილება, შეძლებულებს მიეწერებოდათ.

დეივიდ კორტენი — ადამიანზე ორიენტირებული განვითარება

დეივიდ კორტენი განვითარების სფეროს პროგრამებს ახორციელებდა ფილიპინებზე ფორდის ფონდთან თანამშრომლობის ფარგლებში. შემდეგ მან თავისი საქმიანობა ამერიკის განვითარების სააგენტოში (USAID) გააგრძელა, ხოლო ამჟამად გლობალიზაციის წამყვანი კრიტიკოსია. მან მნიშვნელოვანი ნაშრომი შექმნა სახელწოდებით *"21-ე საუკუნეში შებიჯება,"* რომელიც 1990-იან წლებში განვითარების თეორიის შემუშავების საკითხებს ეძღვნება. კორტენმა ადამიანებზე ორიენტირებული განვითარება ეკონომიკის ზრდაზე ორიენტირებულ განვითარებას შეადარა, რომელსაც ბევრი დასავლური მთავრობა უჭერს მხარს (იხილეთ დიაგრამა 5-2).

ეკონომიკის ზრდაზე ორიენტირებული განვითარება	**ადამიანებზე ორიენტირებული განვითარება**
მატერიალური საგნების მოხმარება	ადამიანთა კეთილდღეობა
შეძლებულთა საჭიროებები	ღარიბების საჭიროებები
ბიზნესი ან კორპორაცია	ოჯახი
კონკურენცია	თემები და საზოგადოება
ექსპორტიორები	ადგილობრივი ბაზრები
გარეშე მფლობელი (არ ცხოვრობს იქ, სადაც მისი აქტივებია)	ადგილობრივი მფლობელი
სესხები და ვალები	დაზოგვა და განაწილება
სპეციალიზაცია	დივერსიფიკაცია
ერთმანეთზე დამოკიდებულება	საკუთარ თავზე დაყრდნობა
გარემოსდაცვითი ხარჯების ექსტერნალიზაცია	გარემოსდაცვითი ხარჯების ინტერნალიზაცია
კაპიტალისა და მომსახურებების თავისუფალი ნაკადები	ინფორმაციის ნაკადები

დიაგრამა 5-2: განვითარების ორი კონცეფცია

კორტენის აზრით, 21-ე საუკუნის ბოლოსთვის სამყარო დაიტანჯება კრიზისისაგან, რომელსაც სამი განზომილება ექნება: სიღარიბე, გარემოს განადგურება და სოციალური გათიშულობა (დისინტეგრაცია) (1990, 114). მან განვითარება აღწერა, როგორც "პროცესი, რომლის მეშვეობითაც საზოგადოების წევრები პირად და ინსტიტუციურ შესაძლებლობებს ავითარებენ რესურსების მობილიზაციისა და მართვის მიზნით, რათა უწყვეტად/ მდგრადად აწარმოონ პროდუქცია და სამართლიანად გაანაწილონ იგი, რის შედეგადაც საბოლოოდ მათი ცხოვრების დონე შესაბამისობაში იქნება მათ მისწრაფებებსა და საჭიროებებთან" (1990, 67).

კორტენის საკვანძო ტერმინებია "პროცესი," "შესაძლებლობები," "უწყვეტი"/"მდგრადი და სამართლიანი" და "საკუთარ მისწრაფებებსა და საჭიროებებთან შესაბამისობა." განვითარება არ არის რაღაც წერტილი ან

ნიშნული, რომელსაც საბოლოოდ მივაღწევთ. მას არ გააჩნია დასასრული, ის უწყვეტი პროცესია. ეს პროცესი, კორტენის შესაბამისად, სამი ძირითადი პრინციპით უნდა ხელმძღვანელობდეს. ესენია: უწყვეტობა/მდგრადობა, სამართლიანობა და ინკლუზია.

"მდგრადობას" კორტენი მოიაზრებს, როგორც განვითარებას, რომელიც ბუნებისა და რესურსების მდგრადობის მიღწევას ისახავს მიზნად. "სამართლიანობა და ინკლუზია," კორტენის აზრით, დაგვეხმარება სოციალური დეზინტეგრაციისა და უფლებამოსილების შეზღუდვის აღმოფხვრაში, რომელიც თან ახლავს სიღარიბეს და მთავრობებისა და სოციალური სისტემების მიკერძოებულობას იწვევს შეძლებულების სასარგებლოდ, რომლებიც, იმავდროულად, ყველაზე მსხვილი მომხმარებლები არიან.

ტერმინში "საკუთარ მისწრაფებებსა და საჭიროებებთან შესაბამისობა" კორტენი გულისხმობს, რომ ადამიანებმა თავად უნდა გადაწყვიტონ, თუ რისი გაუმჯობესება ესაჭიროებათ და როგორ უნდა მივაღწიოთ გაუმჯობესებას. განვითარების პროგრამა არ უნდა შემუშავდეს გარეშე ადამიანების მიერ.

კორტენის კიდევ ერთი დამსახურება ისაა, რომ მან ყურადღება გაამახვილა ფაქტზე, რომ განვითარების სააგენტოს უნდა ჰქონდეს გარკვეული ფილოსოფია, რომელიც სიღარიბის ხასიათსა და მიზეზებზე სააგენტოს თვალსაზრისს უნდა ასახავდეს. იგი მოუწოდებს სააგენტოებს, რომ საკუთარი ვარაუდები გამოხატონ სიღარიბესა და მის გამომწვევ მიზეზებზე და შემდეგ კრიტიკულად შეაფასონ ეს ვარაუდი საკუთარი გამოცდილების მისადაგებით. თეორიის უქონლობის პირობებში განვითარების სააგენტო გარდაუვლად გადაიქცევა დახმარების სააგენტოდ, რომელიც სიღარიბის ყველაზე უფრო ხილული და ხელშესახები სიმპტომების აღმოფხვრაზე იქნება ორიენტირებული. დახმარების სააგენტო, რომელიც თეორიის გარეშე მოქმედებს, საკმაოდ დიდი რისკის ქვეშ დგას, რადგანაც მან, თავისდა უნებურად, შესაძლოა, პირიქით, გააძლიეროს სწორედ ის ძალები, რომლებიც იწვევს ადამიანების სიღარიბეს, ტანჯვასა და უსამართლობას" (1990, 113).

კორტენი ადგენს განვითარების ზომების ტიპოლოგიას, რომლის ყოველი კომპონენტი ასახავს სიღარიბის პრობლემის მოაზრებას (იხილეთ დიაგრამა 5-3). კორტენის პრობლემების განსაზღვრის ტიპოლოგია საგნების დეფიციტისა და უნარების უქონლობიდან და ინერტულობიდან გადადის სოციალური და კულტურული სისტემების არაეფექტურობასა და მობილიზაციის კონცეფციის უქონლობაზე. განვითარების ღონისძიებებიც შესაბამისად იცვლება და იგი ადამიანების გამოკვებიდან სისტემების უფლებამსილების გაზრდაზე, მდგრადი სოციალური სისტემების დანერგვასა და ადამიანების მობილიზაციაზეა ორიენტირებული. ზომების ეს ბოლო ორი წყება ფრიდმანის მიერ შემოთავაზებულ ზომებს ეხმიანება. კორტენი ამ ზომებს განვითარების სტრატეგიის ოთხ თაობას უწოდებს, რადგანაც ისინი სიმპტომებზე რეაგირებიდან (დახმარება) სიღარიბის გამომწვევი ძირითადი მიზეზების აღმოფხვრისკენ არიან მიმართული (მდგრადი განვითარება).

განვითარების სააგენტოების უმეტესობა მუშაობას კორტენის მიერ აღწერილი პირველი დონიდან იწყებს და შემდეგ მეორე დონეზე, ანუ თემების განვითარებასა და მდგრადი სისტემების დანერგვაზე, გადადის. კორტენი მოგვიწოდებს, მის მიერ შემოთავაზებულ მეოთხე დონეზე გადავიდეთ. მისი აზრით, ასე მიიღწევა ღარიბების ცხოვრების ტრანსფორმაცია.

	დახმარება სოცუზრუნველყოფა	**მცირემასშტაბიანი, ლოკალური განვითარება**	**მდგრადი სისტემების განვითარება**	**ადამიანთა მობილიზაცია და მოძრაობების ჩამოყალიბება**
პრობლემის ტიპი	საგნების დეფიციტი	უნარების დეფიციტი და ინერტულობა	კულტურული და სოციალური სისტემების არაეფექტურობა	მობილიზაციის კონცეფციის უქონლობა
განხორციელების ვადები	დაუყოვნებლივ	3-5 წელი	10-20 წელი	განუსაზღვრელი
განხორციელების სფერო	პიროვნება, ოჯახი	თემი	რეგიონები, ნაციონალური დონე	ნაციონალური დონე, გლობალური
განმახორციელებელი მხარეები	განვითარების სააგენტო	განვითარების სააგენტო, თემი	საჯარო და კერძო ინსტიტუტები	ქსელები და ორგანიზაციები
სააგენტოს როლი	განმახორციელებელი	მობილიზატორი, მასწავლებელი	კატალიზატორი	აქტივისტი, ტრენერი
მართვის სტილი	ლოჯისტიკური მენეჯმენტი	თემის თვითდახმარება	სტრატეგიული მართვა, სისტემების განვითარება	ქსელების ამოქმედება და დაკავშირება

დიაგრამა 5-3: განვითარების ზომების კორტენისეული ტიპოლოგია

განვითარების შესახებ კორტენის მოსაზრებებმა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ამ სფეროს ფორმირებაში. მისი ყველაზე მნიშვნელოვანი იდეაა განვითარება როგორც პროცესი და არა როგორც საბოლოო მიზანი ან დანიშნულების ადგილი. იგი სამართლიანი სოციალური სისტემებისა და მდგრადი ეკოლოგიის მნიშვნელობაზეც საუბრობს. რასაკვირველია, კორტენის მიერ შემოთავაზებულ ადამიანებზე ორიენტირებულ განვითარების მიდგომას აქვს სადავო ასპექტები, მაგრამ მისი შედარება ეკონომიკურ ზრდაზე ორიენტირებულ განვითარებასთან უაღრესად სასარგებლოა ამ უკანასკნელის სუსტი მხარეების გამოსავლენად, მით უფრო, რომ ეს მიდგომა ძალიან პოპულარულია და ბევრი მხარდამჭერი ჰყავს.

კორტენი განვითარების სულიერ ასპექტებსაც შეეხო და განვითარების პროცესებში რელიგიის მნიშვნელოვან როლზე მიგვითითა. მისი აზრით, "ისეთი საკითხები, როგორებიცაა ძალაუფლებით სარგებლობა, ფასეულობები, სიყვარული, ძმობა, მშვიდობა და ადამიანების უნარი, იცხოვრონ ჰარმონიაში, რელიგიის ფუნდამენტური საკითხებია, რაც განვითარების პროცესებში ეკლესიისა და საზოგადოების მნიშვნელოვან როლზე მიუთითებს" (1990, 168).

ჩარლზ ელიოტის მსგავსად (1987), კორტენი ამბობს, რომ "ადამიანის სული ისე უნდა გაძლიერდეს, რომ სიხარბე და ეგოიზმი ნაკლებად დომინანტური იყოს მასში" (1990, 168). კორტენი ცდილობს, დაეხმაროს იმათ, ვინც განვითარებას ეკონომიკის ზრდაზე ორიენტირებულ მიდგომებში ხედავს, რათა მათ მისი აზრი გაიზიარონ. რანაირად შეიძლება ჩაუნერგო ადამიანებს ისეთი ფასეულობები, როგორებიცაა სამართლიანი გადანაწილება და მდგრადობა? იგი ასკვნის, რომ ფასეულობების ფორმირება, მათ შორის ძალაუფლების გადანაწილება, "ყველა რელიგიური მიმდინარეობის არსს წარმოადგენს" (1990, 168). კორტენს ესმის, რომ ფასეულობების ჩანაცვლება არ არის ადვილი და ამ სფეროში რელიგიის როლს უსვამს ხაზს. იგი მიგვითითებს, რომ რელიგიური ინსტიტუტები ხშირად თავადაც სცოდავენ და ყოველთვის თავიანთი ნაქადაგევი ფასეულობების შესაბამისად არ იქცევიან, მაგრამ ისინი მაინც ყველაზე უფრო შესაფერისი კანდიდატები არიან მოცემულ სფეროში ტრანსფორმაციის მისაღწევად. კორტენი აღიარებს რელიგიური ორგანიზაციების როლს აღნიშნულ პროცესებში, თუმცა მიიჩნევს, რომ პროზელიტიზმი და სარწმუნოების შეცვლა მისასალმებელი არ არის. ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ იგი რელიგიაზე დაფუძნებით ფასეულობების ფორმირების მხარდამჭერია, ოღონდ იმ პირობით, რომ ამას თან არ უნდა ახლდეს ადამიანების დარწმუნების მცდელობა, რომ საკუთარი რელიგიური მრწამსი შეიცვალონ.

კორტენი რამდენიმე შეკითხვას უპასუხოდ ტოვებს. იგი ზედმეტად ოპტიმისტია, როდესაც მოელის, რომ ცხოვრების დონის ამაღლებასთან ერთად ცხოვრების ერთნაირი ხარისხი მისაღები იქნება ყველა ადამიანისთვის, თუ ის თავად თემმა განსაზღვრა. ადგილობრივი მისწრაფებებისა და მოსაზრებების ფორმირება ადგილობრივი კულტურის, მრწამსისა და სოციალური სტრუქტურების ზეგავლენით ხდება. როგორც ჯაიკუმარ ქრისტიანმა განმარტა, ადგილობრივი მსოფლმხედველობის მიღება ყოველგვარი კრიტიკული შეფასების გარეშე ზოგჯერ სიღარიბის წყარო ხდება და არა ამ პრობლემის გადაჭრის გზა. დაბოლოს, კორტენის მეოთხე თაობის სტრატეგია მობილიზაციის შესაბამისი კონცეფციის არსებობას გულისხმობს, მაგრამ კორტენი არ გვპასუხობს ისეთ შეკითხვებზე, როგორებიცაა: ვისია ეს კონცეფცია? რა ხდის ამ კონცეფციას ადეკვატურს? საიდან ჩნდება ასეთი კონცეფცია?

კორტენის განვითარების ზომების ტიპოლოგია ძალიან ბევრ ასპექტს წარმოაჩენს, მაგრამ მას გარკვეული სახიფათო ასპექტებიც ახასიათებს. იგი თავის ოთხთაობიან სტრატეგიას ევოლუციის ისტორიის მსგავსად აგებს, ანუ, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ეს არის სოციალური სწავლების პროცესი, რომლის დროსაც სააგენტოები სიმპტომების მკურნალობიდან მიზეზების გამოვლენამდე მიდიან. კორტენი ფიქრობს, რომ განვითარების სააგენტოებმა უნდა შეწყვიტონ ყურადღების გამახვილება უფრო დაბალ დონეებზე (სიმპტომები) და მხოლოდ მიზეზებზე გააკეთონ აქცენტი. დაისმის კითხვები: იდეალური განვითარების სააგენტო მეოთხე თაობის სააგენტოა, თუ განვითარების სააგენტოებმა ოთხივე დონეზე ერთდროულად უნდა იმუშაონ? შეუძლია ნებისმიერ სააგენტოს ეფექტურად იმუშაოს ამდენი მიმართულებით? თუ განვითარების სააგენტოებმა დახმარების სააგენტოებთან და ადვოკატირების ჯგუფებთან პარტნიორობით უნდა იმუშაონ სოციალურ უზრუნველყოფაზე, დახმარებაზე, თემების განვითარებაზე, მდგრადი სისტემების ჩამოყალიბებასა და ადამიანების მობილიზაციაზე? გარდა ამისა, აღსანიშნავია, რომ მოსაზრება, თითქოს ადამიანთა ჯგუფები და მოძრაობები მდგრად სოციალურ ცვლილებებს იწვევენ, პრაქტიკით არ დასტურდება.

ჯონ ფრიდმანი — განვითარება როგორც სოციალური უფლებამოსილების გაზრდის მექანიზმი

ჯონ ფრიდმანის განვითარების ინტერპრეტაცია მისი სიღარიბის მიზეზებიდან გამომდინარეობს, ანუ გულისხმობს შეზღუდულ სოციალურ უფლებამოსილებას. ფრიდმანისათვის ალტერნატიული განვითარება არის პროცესი, "რომელიც ოჯახებისა და მისი წევრების უფლებამოსილების გაზრდას ისახავს მიზნად მათი სოციალურ და პოლიტიკურ ღონისძიებებში ჩართვის გზით" (1992, 33). უფლებამოსილების გაზრდა მოიცავს ადგილობრივ დონეზე გადაწყვეტილებების მიღების პროცესში მონაწილეობას, საკუთარ შესაძლებლობებზე დაყრდნობით მოქმედებას, მონაწილეობრივ დემოკრატიასა და სოციალურ განათლებას. იგი მიზნად ისახავს "ტრანსცენდენტურ მიზნებს, მიაღწიოს ინკლუზიურ დემოკრატიას, ეკონომიკურ ზრდას, გენდერულ თანასწორობასა და მდგრადობას" (1992, 164). ფრიდმანი თავის იდეას დიაგრამის ფორმატით გვიხსნის, რომელიც მე-4 თავშია წარმოდგენილი.

ფრიდმანმა სოციალური უფლებამოსილების გაზრდის 8 წინაპირობა ჩამოაყალიბა (იხილეთ დიაგრამა 4-4). მისი აზრით, ტრანსფორმაცია გულისხმობს მათი უფლებამოსილების გაზრდის მიზნით ოჯახებთან ამ რვა მიმართულებით მუშაობას. იგი აღნიშნავს, რომ სახელმწიფო და ეკონომიკა შეიძლება სოციალური უფლებამოსილების გაზრდის რვა კომპონენტიდან ექვსი კომპონენტის შემზღუდველი ფაქტორი აღმოჩნდეს. მხოლოდ სოციალური ორგანიზაციებისა და ქსელების გაფართოებისა და ხელშეწყობის გზითაა შესაძლებელი სახელმწიფოსა და ეკონომიკაზე ზეწოლა, რათა სოციალური უფლებამოსილების 6 დანარჩენი კომპონენტი განვითარდეს. ამგვარად, ფრიდმანის მიხედვით, სოციალური ქსელებისა და ორგანიზაციების განვითარების ხელშეწყობა სოციალური უფლებამოსილების გაზრდის წინაპირობაა.

სოციალურ ორგანიზაციებს მიეკუთვნება ფორმალური და არაფორმალური ჯგუფები, ასევე - ოჯახები. მათ შორისაა ეკლესიები, დედების კლუბები,

სპორტული კლუბები, სამეზობლოს განვითარების ასოციაციები, საკრედიტო კავშირები, სადისკუსიო კლუბები, ბინის მფლობელთა ასოციაციები, საირიგაციო ასოციაციები და სხვა (1992, 68). ფრიდმანისათვის სოციალური ქსელები "თემებზე დაფუძნებული ღონისძიებების განხორციელების დასაყრდენია და ისინი ურთიერთდახმარებაზე უნდა იყვნენ ორიენტირებულნი." ისინი მოიცავენ ოჯახებს, მეგობრებსა და მეზობლებს. ადგილობრივი მოსახლეობის მოძრაობები ფრიდმანის იდეის ქვაკუთხედია.

ფრიდმანი სოციალური მოღვაწეობის ოთხი სფეროს გათვალისწინებით (დიაგრამა 4-3) ამტკიცებს, რომ მე-20 საუკუნის ბოლოსკენ სახელმწიფო სფერო თანდათანობით კარგავდა თავის გავლენას გლობალური კაპიტალიზმის ნეოლიბერალური მოძრაობების ზენოლის პირობებში. ეს იყო ვაშინგტონის კონსენსუსი, რომელიც მიზნად ისახავდა გარდაქმნებს უფრო მცირე მთავრობების, თავისუფალი ბაზრის, თავისუფალი ვაჭრობისა და თავისუფლად კონვერტირებადი ვალუტის ხელშეწყობის მიმართულებით. სახელმწიფოს როლის შემცირებასთან ერთად ეკონომიკური სფეროს მნიშვნელობა იზრდება, რადგანაც იგი გლობალურ ეკონომიკასთანაა დაკავშირებული და მისი გავლენით ვითარდება.



დიაგრამა 5-4: ტრანსფორმაცია როგორც სოციალური უფლებამოსილების საზღვრების გაფართოება (ფრიდმანის ადაპტირებული ვერსია, 1992, 67)

ფრიდმანის აზრით, აქ რჩება მხოლოდ ორი სფერო, რომლებში მუშაობაც შესაძლებელია ოჯახების უფლებამოსილების გასაფართოებლად. ესენია: სამოქალაქო საზოგადოებისა და პოლიტიკური საზოგადოების სფეროები (დიაგრამა 5-5). ალტერნატიული განვითარება ხელს უწყობს ამ ორი სფეროს განვითარებას, რაც ღარიბებისათვის უკეთესი ცხოვრების უზრუნველყოფას ნიშნავს.

იქ, სადაც სამოქალაქო საზოგადოება სახელმწიფო სფეროსთან გადაიკვეთება, ფრიდმანი ცდილობს, ხელი შეუწყოს ოჯახების მონაწილეობას დემოკრატიულ პროცესებში. იქ, სადაც სამოქალაქო საზოგადოება ეკონომი-



დიაგრამა 5-5: ტრანსფორმაცია როგორც ოჯახების სოციალური და პოლიტიკური უფლებამოსილების გაფართოება (ფრიდმანის ადაპტირებული ვერსია, 1992, 27).

კის სფეროსთან გადაიკვეთება, ფრიდმანის აზრით, შესაძლებელია ოჯახების მონაწილეობის გაზრდა და მათი საზოგადოების პროდუქტიულ და აქტიურ წევრებად ჩამოყალიბება. იქ, სადაც პოლიტიკური სფერო სახელმწიფო სფეროსთან გადაიკვეთება, ფრიდმანის მიხედვით, მთავარი მიზანია უფრო ინკლუზიური და სამართლიანი სამართლებლივი სისტემების ჩამოყალიბება. იქ, სადაც პოლიტიკური ეკონომიკის სფეროს ინტერესები კორპორაციული ეკონომიკის სფეროს ინტერესებთან იკვეთება, საჭიროა მუშაობა ისეთი ეკონომიკური სისტემის შესაქმნელად, რომელიც უფრო მოქნილი იქნება და ადამიანების საჭიროებებსა და ეკოლოგიურ ხარჯებს გაითვალისწინებს.

ფრიდმანს სჯერა, რომ უფლებამოსილების გაზრდისადმი ქვემოდან ზემოთ მიდგომა, განსხვავებით იმ ღონისძიებებისაგან, რომლებსაც მხოლოდ სახელმწიფო ან განვითარების სააგენტო შეიმუშავებს და განახორციელებს, ბევრად უფრო ეფექტური იქნება. მისი ლოგიკით, ღარიბებმა მონაწილეობა უნდა მიიღონ საკუთარი საჭიროებების უკეთ განსაზღვრასა და დაკმაყოფილებაში. ამის მისაღწევად მათ შესაბამისი საშუალებები ესაჭიროებათ. ანუ, ღარიბებმა მუდმივი ზეწოლა უნდა განახორციელონ პოლიტიკოსებზე, რათა მათ ღარიბების ინიციატივებს მაკროდონეზე დაუჭირონ მხარი (1992, 66).

აღსანიშნავია, რომ მხოლოდ ეს არ არის საკმარისი. "ალტერნატიული განვითარება ადგილობრივად უნდა დაიწყოს, მაგრამ იგი ამაზე არ უნდა დასრულდეს" (1992, 7). სირთულე ის არის, თუ როგორ უნდა უზრუნველყოს ქვემოდან ზემოთ მიმართულმა და ოჯახებზე ორიენტირებულმა მიდგომამ სოციალური და პოლიტიკური უფლებამოსილების გაზრდა. ფრიდმანი გვთავაზობს ამის მიღწევას წარსულში განხორციელებული მიკროგანვითარებისაკენ მიმართული პროექტების "გამსხვილებით." ფრიდმანის აზრით, მიუხედავად იმისა, რომ პატარა/მცირე ლამაზია, იგი ხშირად შეუმჩნეველი და ძალაუფლების ყურადღების მიღმა რჩება. შესაბამისად, წარმატების წინაპირობაა "ალტერნატიული პროექტების განხორციელების სფეროს გაფართოება" და პროექტების პოპულარული არასამთავრობო ორგანიზაციების ქსელებთან, კოალიციებთან, ფედერაციებსა და კონფედერაციებთან მიბმა. ეს იქნება ინფორმაციის გაცვლის, ტექნიკური და პოლიტიკური მხარდაჭერის მოპოვების, პოლიტიკური ლობირების, სამოქალაქო საზოგადოების ფორმირების ხელშეწმყობი მექანიზმი, რის შედეგადაც უფლებამოსილების არმქონე ადამიანები ტრადიციული სისტემებისა და პარტიული პოლიტიკის სფეროს გარეთ ამ პროცესების მნიშვნელოვანი მონაწილეები გახდებიან (1992, 142). ფრიდმანის აზრი ალტერნატიული განვითარების თაობაზე უაღრესად საინტერესო და სასარგებლოა, რადგანაც იგი სოციალურ უფლებამოსილებას, როგორც ეკონომიკურს, ასევე პოლიტიკურს, განვითარების ღონისძიებების დღის წესრიგში აყენებს. ღარიბი ოჯახების სოციალური სისტემის პერსპექტივაში მოაზრებით ფრიდმანი ნათლად აყალიბებს, რომ ღარიბ ოჯახებს პოლიტიკურ და ეკონომიკურ სისტემებში მონაწილეობის საშუალება უნდა ჰქონდეთ, რათა მდგრად ცვლილებებს მივაღწიოთ. ფრიდმანი აქცენტს სოციალური უფლებამოსილების გაზრდაზე აკეთებს, მაგრამ არ უარყოფს ადამიანებისათვის რეალური დახმარების გაწევის აუცილებლობას. "თუ სოციალური და ეკონომიკური განვითარება მნიშვნელოვანია, იგი, იმავდროულად, ღარიბი ადამიანების ცხოვრების დონის ამაღლებას უნდა გულისხმობდეს" (1992, 9). ამდენად, ფრიდმანის მიდგომა არსებით ასპექტს ამატებს კორტენის "მდგრად სისტემებს."

> "ალტერნატიული განვითარების მიზანია იმ სისტემის ჰუმანიზაცია, რომელმაც ღარიბები გარიცხა საკუთარი რიგებიდან. ამის მიღწევა შესაძლებელია ყოველდღიური პოლიტიკური ბრძოლით საკუთარი სამოქალაქო და ადამიანთა უფლებების დასაცავად. ანუ, ღარიბებმა უნდა იმოქმედონ როგორც მოქალაქეებმა და საკუთარი პოტენციალისა და შემოქმედებითი უნარების რეალიზაცია უნდა მოახდინონ. ეს არის უმთავრესი მიზანი მათი ინკლუზიის მისაღწევად, რათა ისინი არ დარჩნენ ცხოვრების პერიფერიაზე" (1992, 13).

სწორედ ამიტომ საუბრობს ფრიდმანი სოციალური ძალაუფლების მისაწვდომობის რეალური პოლიტიკური ძალაუფლებით სარგებლობასთან დაკავშირების აუცილებლობაზე. სერიოზული პოლიტიკური ძალაუფლებისა და მისი სწორად გამოყენების ცოდნის გარეშე ადგილობრივი ეკონომიკა, რომელიც გლობალურ ეკონომიკასთან სულ უფრო მჭიდრო კავშირში ვითარდება, ერთადერთი ძალაუფლება ხდება, რომელიც მნიშვნელოვანია.

აღსანიშნავია, რომ ფრიდმანის თეორიასაც აქვს სუსტი მხარეები. იგი, ძირითადად, დასავლური ლიბერალური პოზიციის მატარებელია, რომლის შესაბამისადაც, ადამიანებში არსებული პოზიტიური მხარეები გამოსავალს პოულობენ კარგი სოციალური სისტემების დასამკვიდრებლად. ეს თვალსაზრისი არ განმარტავს, თუ რატომ არ მოქმედებს იგი ამჟამად სამართლიანობისა და მისაწვდომობის გასაუმჯობესებლად და არც გვთავაზობს რეცეპტს, როგორ უნდა შევცვალოთ ქცევის ის მოდელები, რომლებიც სიღარიბეს ასაზრდოებს. როგორ უნდა შევცვალოთ ის ვითარება, რომ სოციალური სისტემები საკუთარ თავს ემსახურებიან და შეძლებულებს დღევანდელი მდგომარეობა, ანუ ღარიბების ტანჯვა, დიდად არ აღელვებთ, შემოთავაზებული თეორიის მიერ არ არის ახსნილი. ფრიდმანი არც იმ გარემოებიდან გვისახავს გამოსავალს, რომელიც სიღარიბის მუდმივ მდგომარეობად შენარჩუნებასა და შეძლებულების პრივილეგირებული სტატუსის გამყარებას გულისხმობს.

ფრიდმანის ალტერნატიული განვითარების თეორია არც ცხოვრების სულიერ მხარეს განიხილავს დეტალურად. ცხოვრება უფრო მეტია, ვიდრე მხოლოდ სოციალური უფლებამოსილების წვდომა. ფრიდმანი "ცხოვრების დონისა და პირობების გაუმჯობესებაზე" საუბრობს, ხოლო ეს, თავის მხრივ, სულიერ კეთილდღეობასაც გულისხმობს, თუმცა მის მიდგომაში ეს არ არის ასახული. სახელმწიფოს, სამოქალაქო საზოგადოების, ეკონომიკისა და პოლიტიკის გარდა, სასიცოცხლო სივრცე სულიერ სფეროსაც მოიცავს. სულიერი უფლებამოსილების მისაწვდომობა ისეთივე მნიშვნელოვანია ღარიბებისათვის, როგორიც სოციალური და პოლიტიკური ძალაუფლებისა. ამის დადასტურებაა სამხრეთის ქალაქების ღარიბ გარეუბნებში ორმოცდაათიანელების ეკლესიის პოპულარულობის მკვეთრი ზრდა. მიუხედავად იმისა, რომ ფრიდმანი ეკლესიას სამოქალაქო საზოგადოების ნაწილად მოიაზრებს, მისთვის ეკლესია სოციალური ინსტიტუტია და არა უფლის სასუფეველი. შესაძლებელია, ფრიდმანს სულიერი კატეგორია იმ სფეროში აქვს გააზრებული, რომელშიც იგი ოჯახების "ფსიქოლოგიურ" ძალაუფლებაზე საუბრობს, მაგრამ ამას ნათლად არ აყალიბებს. მიუხედავად ამ ხარვეზისა, ფრიდმანის წვლილი განვითარების თეორიაში სათანადოდ უნდა დავაფასოთ. მისი თეორია კონსტრუქციული მიმართულებით ფიქრისაკენ გვიბიძგებს. იგი ქრისტიანებსა და,

კერძოდ, ევანგელისტებს გამოწვევის წინაშე აყენებს, რადგანაც ეს უკანასკნელნი განსაკუთრებით არიდებენ თავს პოლიტიკური საკითხების თავიანთი ცხოვრების დღის წესრიგში დაყენებას. ეს უნდა დავძლიოთ. თუ ქრისტიანები ჭეშმარიტად ქრისტიანულ თეოლოგიას ვერ შეიმუშავებენ ღარიბების პოლიტიკურ პროცესებში მონაწილეობასთან დაკავშირებით, მათ ამ ადამიანებისთვის არ შეეძლებათ რაიმე არსებითის შეთავაზება ცხოვრების მნიშვნელოვან სფეროში.

ძველი აღთქმა სავსეა პოლიტიკური შინაარსის ისტორიებით, მათ შორის აღწერილია ღმერთის აზრი წინამონარქიული ისრაელის პოლიტიკური და სოციალური წყობის თაობაზე (იხილეთ რაითი, 1983). ბიბლიური ნარატივი არ აცალკევებს რელიგიურ და პოლიტიკურ ცხოვრებას. გამოწვევა ისაა, რომ ეკლესიამ (და მისმა თეოლოგიამ) უნდა დაძლიოს თანამედროვეობის ეს დოქტრინა და თავიდან აღმოაჩინოს ბიბლიური მიდგომები ცხოვრების ამ საჯარო ასპექტისადმი. ასეთი თანამედროვე აზრის შედეგი ორი მიმართულებით პოულობს გამოხატულებას: ზოგს სწამს, რომ ეკლესია მხოლოდ სულიერ სფეროს უნდა შეეხებოდეს და, შესაბამისად, პოლიტიკა და მატერიალური სამყარო ეშმაკის კომპეტენციის სფერო გამოდის. ამდენად, ეს ასპექტი უგულებელყოფილი უნდა იქნეს. სხვებს მიაჩნიათ, რომ ღვთის განგება მატერიალურ სამყაროზეც ვრცელდება, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მათთვის ამგვარი დიქოტომია მისაღებია და ისინი თავიანთ ქრისტიანულ რწმენას საკვირაო ლოცვებში გამოხატავენ, ხოლო ორშაბათიდან პარასკევამდე მათი სარწმუნოება პოლიტიკური ცხოვრებაა, ბიბლიას კი ამ სფეროსთან არანაირი კავშირი არ გააჩნია. ორივე მიდგომას აკლია სულიერისა და ფიზიკურისადმი ერთიანი მიდგომა, როგორც ამას ბიბლია გვასწავლის.

აიზეკ პრილელტენსკი და ჯეფრი ნელსონი — განვითარება როგორც პირადი და კოლექტიური ურთიერთობების შენების ხელშემწყობი მექანიზმი

ჩვენ უკვე გავეცანით პრილელტენსკის სიღარიბის ინტერპრეტაციას, როგორც ადამიანის დაკნინებულ იდენტობას, რასაც არათანაბარი ურთიერთობებით გამოწვეული ჩაგვრა განაპირობებს. ამის შედეგია არაეფექტური პირადი და კოლექტიური ურთიერთობები. კოლექტიური და პირადი ურთიერთობების დეფიციტის ზეგავლენის შესწავლა საშუალებას გვაძლევს გავითვალისწინოთ ცხოვრების ფსიქოლოგიური ასპექტებიც, როგორც ქრონიკული სიღარიბისა და უსამართლო სისტემების ერთ-ერთი ხელშემწყობი ფაქტორი.

პრილელტენსკი და კანადელი ფსიქოლოგი ჯეფრი ნელსონი, სიღარიბის ამ სამგანზომილებიან ინტერპრეტაციაზე დაყრდნობით, სიღარიბის დაძლევის გზად ინდივიდუალური, კოლექტიური და ურთიერთობისმიერი კეთილდღეობის გაზრდას მოიაზრებენ (2010, 60ff.) (იხლეთ დიაგრამა 5-6). "უფლებამოსილება ნიშნავს პირადი, კოლექტიური და ურთიერთობების სფეროსთან დაკავშირებული საჭიროებების დაკმაყოფილების შესაძლებლობასა და უნარს" (პრილელტენსკი და ნელსონი, 2002). პრილელტენსკი და ნელსონი მიიჩნევენ, რომ აქცენტი კეთილდღეობასა და ძალაუფლებაზე უნდა გაკეთდეს, მაგრამ მათ ესმით, რომ უფლებამოსილების გაზრდის სტრატეგია შეიძლება ორა-

ზროვანი გამოდგეს: “ძალაუფლება შეიძლება ადამიანთა სასიკეთოდ, მათ დასაჩაგრად ან დომინაციისთვის წინააღმდეგობის გასაწევად იყოს გამოყენებული (პრილელტენსკი, 2003, 21). უნდა აღინიშნოს, რომ ძალაუფლების გააზრება და განხილვა უფლის სასუფევლის გარეშე შეიძლება ფატალური აღმოჩნდეს ამ ცოდვილ სამყაროში (ქრისტიანი, 1999, 181–82).



დიაგრამა 5-6: ტრანსფორმაცია როგორც ადამიანების შესაძლებლობების განვითარება (ნელსონი და პრილელტენსკი, 2010).

ადამიანების პირადი კეთილდღეობის გაზრდა მათი შესაძლებლობების, უნარებისა და პოტენციალის რეალიზაციის საშუალებას გულისხმობს, რაც, თავის მხრივ, ადამიანის სულიერებასაც მოიცავს (პრილელტენსკი, 2003). პირადი კეთილდღეობის ინდივიდუალისტური ქვეტექსტის შერბილება სხვა ადამიანების კეთილდღეობაზე ზრუნვისა და თანაგრძნობის ხარჯზე ხდება. სენის მსგავსად (რომლის თეორიასაც ჩვენ მალე განვიხილავთ), კოლექტიური კეთილდღეობა ამ ავტორების მიერ მოიაზრება როგორც სოციალური სამართლიანობის მიღწევა და ანგარიშგების გაზრდა. კოლექტიური კეთილდღეობის გაუმჯობესება, ასევე, გულისხმობს ინსტიტუტების მიერ რესურსების, შესაძლებლობებისა და პასუხისმგებლობების სამართლიან გადანაწილებას. ურთიერთობების გაუმჯობესება ნიშნავს საკუთარი თავის პატივისცემისა და

იდენტობის განცდას. ეს ქრისტიანის იდეას ჰგავს, როდესაც იგი ადამიანების შელახული ღირსების აღდგენაზე საუბრობს. ურთიერთობების გაუმჯობესება, ასევე, ნიშნავს ხელი შეუწყო, რომ ადამიანები საზოგადოების უფრო ეფექტური წევრები გახდნენ და უფრო წარმატებული პირადი და საზოგადოებრივი ცხოვრება ჰქონდეთ, იმოქმედონ, როგორც პასუხისმგებელმა ადამიანებმა და პატივი სცენ სხვების განსხვავებულ აზრს (პრილელტენსკი და ნელსონი, 2010, 60).

გლობალურ დონეზე პრილელტენსკის მიერ შემოთავაზებული პრობლემების გადაწყვეტის გზა დეივიდ კორტენის მიერ შემოთავაზებულ გზას ჰგავს. იგი, გარკვეულწილად, ანტიგლობალისტური მიმართულებისაკენ იხრება და მისი სამიზნეა რეგულირებას მოკლებული ძალაუფლება, ტრანსნაციონალური კორპორაციები და ნეოგლობალიზმის ისეთი მხარდამჭერები, როგორებიცაა მსოფლიო ბანკი, საერთაშორისო სავალუტო ფონდი და მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია (პრილელტენსკი, 2003, 34-35). ნაციონალურ დონეზე პრილელტენსკის თეორია კვლავაც სენს და კორტენს ეყრდნობა. მასაც არ მიაჩნია, რომ განვითარება მხოლოდ ეკონომიკური ზრდაა, რის გამოც იგი სოციალური მომსახურებების უზრუნველყოფაზე საუბრისას სხვა მიდგომების შემუშავებისაკენ მოგვიწოდებს. მას მაგალითად მოჰყავს კერალა (ინდოეთი). ადგილობრივ დონეზე პრილელტენსკი, ისევე როგორც ფრიდმანი, სოციალურ ორგანიზაციებში, პოლიტიკური და სოციალური უფლებამოსილების ზრდაში ხედავს გამოსავალს.

რობერტ ჩემბერსი — განვითარება როგორც პასუხისმგებლობისა და კეთილდღეობის წინაპირობა

ჩემბესმა სიღარიბის, როგორც მახის, თაობაზე თავისი იდეის გამოქვეყნებიდან თოთხმეტი წლის შემდეგ გამოაქვეყნა ნაშრომი *"ვისი რეალობაა სწორი? - პირველ ადგილზე მყოფის ბოლო ადგილზე დაყენება,"* რომელშიც იგი მდგრადი განვითარების შედეგებზე საუბრობს. ჩემბერსი ითვალისწინებს, რომ განვითარების თეორიამ მნიშვნელოვანი გარდასახვა განიცადა და აქცენტი "საგნებიდან და ინფრასტრუქტურიდან ადამიანებსა და მათ შესაძლებლობებზე გადავიდა." იგი გვთავაზობს სისტემურ მიდგომას, რომლის ფარგლებშიც განვითარება მოაზრებულია, როგორც "პასუხისმგებელი კეთილდღეობა" (1997, 10) (იხილეთ დიაგრამა 5-7).

ჩემბერსისათვის განვითარების მიზანია ყველა ადამიანის კეთილდღეობის მიღწევა. იგი კეთილდღეობას აღწერს, როგორც ცხოვრების ხარისხს და მის ანტონიმად კეთილდღეობის უქონლობას მოიაზრებს. ჩემბერსი სცდება ისეთ ვიწრო კატეგორიებს, როგორებიცაა სიმდიდრე და სიღარიბე. "სიმდიდრისაგან განსხვავებით, კეთილდღეობა მთელ რიგ ისეთ სფეროს მოიცავს, როგორებიცაა სოციალური, ფსიქოლოგიური, სულიერი და მატერიალური. მას ბევრი ასპექტი აქვს" (2005, 193). ეს აზრი ძალიან ჰგავს ჯაიაკარანის მოსაზრებას. ჩემბერსი, ასევე, ძალიან მნიშვნელოვან დასკვნას აკეთებს – მიუხედავად იმისა, რომ სიღარიბე და კეთილდღეობის უქონლობა შეიძლება ერთმანეთთან ასოცირებული იყოს, სიმდიდრე და კეთილდღეობა მჭიდროდ ასოცირებული არ არის: "სიმდიდრის აკუმულირება არ უზრუნველყოფს კეთილდღეობას" (1997, 10).

ჩემბერსი ქედს იხრის იმ შეძლებულების წინაშე, რომლებსაც ღარიბებისადმი თანაზიარობის გრძნობა აქვთ და მათ დახმარებას ცდილობენ. ჩემბერსის ფრაზა "პასუხისმგებელი კეთილდღეობა" მიმართულია იმ შეძლებული ადამიანებსადმიც, რომლებსაც თავიანთი ქცევის მოდელების გადასინჯვა სჭირდებათ და რომლებიც უფრო მეტი პასუხისმგებლობით უნდა მოეკიდონ ღარიბების მდგომარეობას. ჩემბერსი პერიფრაზირებას უკეთებს ფრეიერის იდეას დაჩაგრულების განათლების თაობაზე და გვთავაზობს შეძლებულების განათლებას, რათა ისინი უფრო თვითკრიტიკულები გახდნენ, გადასინჯონ საკუთარი როლი და თავიანთი პოტენციალი ადამიანების კეთილდღეობის გაუმჯობესებას მოახმარონ (2005, 184, 195).



დიაგრამა 5-7: ტრანსფორმაცია როგორც კეთილდღეობის საწინდარი (ჩემბერსის ადაპტირებული ვერსია, 1997, 10).

ჩემბერსის აზრით, კეთილდღეობისთვის ორი რამ არის მნიშვნელოვანი: *საარსებო საშუალებების* დაცულობა და *შესაძლებლობები*, რომელთა მეშვეობითაც ამ საარსებო საშუალებების მოპოვება და კეთილდღეობის მიღწევაა შესაძლებელი. ჩემბერსი საარსებო საშუალებების დაცულობაში გულისხმობს საკვებისა და ფულადი სახსრების ადეკვატურ მოცულობას, რათა ადამიანის კეთილდღეობა იყოს უზრუნველყოფილი. დაცულობაში იგულისხმება უფლებების დაცვა და რესურსებისა და საბაზისო მომსახურების მისაწვდომობა, აგრეთვე საკვებისა და შემოსავლის მოპოვება. აქ მატერიალური და არამატერიალური აქტივები იგულისხმება, რათა გაუთვალისწინებელ გარემოებებში რისკებისაგან დაცვა და ამ რისკების შერბილება მოხდეს (1997, 10).

ჩემბერსის მიერ შემოთავაზებული შესაძლებლობების კატეგორია უაღრესად ფართოა და იგი სენის ნაშრომებზე დაყრდნობითაა შემუშავებული.

საინტერესოა, რომ ჩემბერსი საუბრობს არა მხოლოდ იმაზე, რომ ადამიანებს შეუძლიათ გარდაქმნა, არამედ იმაზეც, თუ როგორ ადამიანად შეუძლიათ მათ გადაქცევა, რაც ახალ ფასეულობებს სძენს განვითარების შესახებ დოქტრინას. ადამიანების შესაძლებლობების განვითარება "სწავლებით, პრაქტიკით, ტრენინგითა და განათლების გზითაა" შესაძლებელი, რის შედეგადაც მიღწეული იქნება "უკეთესი ცხოვრება და კეთილდღეობა" (1997, 1).

ჩემბერსის ინტერაქტიული სისტემების ბოლო ორი კატეგორიაა *სამართლიანობა* და *მდგრადობა*, რომლებიც შესაძლებლობების განვითარებისა და საარსებო საშუალებების დაცულობის განუყოფელი ნაწილია. ჩემბერსის გაგებით, სამართლიანობა ნიშნავს, რომ პირველ ადგილზე ღარიბები, სუსტები, დაუცველები და ექსპლუატირებულები უნდა დავაყენოთ. სამართლიანობა მოიცავს "ადამიანთა უფლებებს, თაობათა შორის თანასწორობას, გენდერულ თანასწორობას, პირველ ადგილზე მყოფი ადამიანების ბოლო ადგილზე დაყენებას და პირიქით" (1997, 11). მდგრადობა არანაკლებ მნიშვნელოვანია: "ცვლილებები მდგრადი უნდა იყოს ეკონომიკურად, სოციალურად, ინსტიტუციურად და ეკოლოგიურად" (1997, 11).

ეს ყველაფერი ინტერაქტიულ ჩარჩოში ფუნქციონირებს. კეთილდღეობა ვერ მიიღწევა ვიღაცის ხარჯზე, რადგანაც ეს სამართლიანობის პრინციპის უგულებელყოფა იქნება. კეთილდღეობა, რომელიც ეკოლოგიურად არამდგრადია, არ არის კეთილდღეობა. შესაძლებლობების განვითარება უნდა მოიცავდეს სამართლიანობასა და მდგრადობასაც. შესაბამისად, თავად ადამიანებმა უნდა განსაზღვრონ, თუ რას ნიშნავს მათთვის კეთილდღეობა. სიღარიბის მახის სხვადასხვა ელემენტის გადალახვა არის გზა კეთილდღეობისაკენ და, იმავდროულად, მდგრადობის გარანტია. ჩემბერსი შემდეგ ძალაუფლების საკითხს და გარდაქმნების მიღწევის მზადყოფნას აანალიზებს, რაც ადამიანების კეთილდღეობის მიღწევის წინაპირობაა. პასუხისმგებელი კეთილდღეობა შეძლებულების განვითარების მიზანსაც წარმოადგენს. იყო პასუხისმგებელი, ნიშნავს, მზად იყო გაუნაწილო სხვებს შენი კეთილდღეობა. ჩემბერსი აღნიშნავს, რომ, რასაკვირველია, ეს დაცინვას გამოიწვევს, თუმცა გარკვეული ცვლილებები დამაიმედებელია. სამყარო სწრაფად იცვლება და ზოგი ადამიანი ისეთ არჩევანს აკეთებს, რომელიც ვითარებას უკეთესობისაკენ ცვლის. საბოლოოდ, ჩემბერსი თავისი ცვლილებების ჩარჩოს წარმატებას ადამიანების პირად არჩევანში ხედავს, რაც მას ოპტიმიზმის საფუძველს აძლევს. "ტრანსნაციონალური კორპორაციების, ვალუტით მოვაჭრეების, გაეროს სააგენტოების, მთავრობებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების მოქმედებები ცალკეული ადამიანების გადაწყვეტილებებსა და მოქმედებებს ეყრდნობა. ეს სრულიად ნათელია და, ალბათ, ამის შეხსენება არ ღირს. ადამიანებს შეუძლიათ აირჩიონ, როგორ მოიქცნენ და რა გააკეთონ. ნეოლიბერალურ და, უმეტესწილად, მამაკაცების მიერ შემოთავაზებულ თეორიებში დაშვებულია ვარაუდი საყოველთაო ეგოიზმსა და სიხარბეზე. შესაბამისად, ამაზე დაყრდნობით შემუშავებული პოლიტიკა და ღონისძიებები ადამიანის არსისა და ხასიათის უაღრესად გამარტივებულ გააზრებას ეყრდნობა. ასეთი მიდგომა არაჯეროვნად აფასებს ადამიანებისათვის დამახასიათებელ ხელგაშლილობას, ალტრუიზმსა და კმაყოფილების შეგრძნებას სხვისი დახმარების დროს (1997, 13).

ჩემბერსის განვითარების ჩარჩო, რომელიც კეთილდღეობაზეა ორიენტირებული, რომელიც ძალიან გვეხმარება, რადგანაც იგი ამტკიცებს, რომ სა-

ბაზისო საჭიროებები უნდა დაკმაყოფილდეს. გარდა ამისა, საჭიროა ტრანსფორმაციული ტრენინგი და მგრადობის მნიშვნელობის გაცნობიერება. იგი, ასევე, საუბრობს სულიერ კეთილდღეობასა და ფასეულობების ცვლილებებზე. მისი სამართლიანობის კონცეფცია ითვალისწინებს უფლის სასუფევლის კონცეფციას სამყაროში არსებული წყობის შეცვლის თაობაზე (კრეიბილი, 1978). ჩემბერსი აქცენტს აკეთებს ინდივიდუალური არჩევანის მნიშვნელობაზე და იმაზე, რომ ძალაუფლების მქონე ადამიანები ანგარიშვალდებულები უნდა გავხადოთ და არ უნდა დავაბრალოთ უსამართლობა მხოლოდ რაღაც აბსტრაქტულს ან სისტემას. ჩემბერსის თეორიის არსებითი ნაწილი ბიბლიურ ნარატივს ეხმიანება.

ჩემბერსმა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა სიღარიბის საკითხების შესწავლაში, მაგრამ მისი ჩარჩო არ ითვალისწინებს ისეთ ასპექტს, როგორიცაა სულებისა და შამანების შიში, რაც ადამიანების ცვლილებებისაკენ სწრაფვას ახშობს და სიღარიბის ხელშემწყობ ფაქტორს წარმოადგენს. ჩემბერსი, ასევე, არ აზუსტებს მსოფლმხედველობის როლს სიღარიბეში. მის თეორიაში არც სულიერი ჭრილი და უფლებამოსილების უქონლობაა განხილული. დაბოლოს, ფრიდმანის მსგავსად, ჩემბერსის მსოფლმხედველობის ძირითადი აზრია დასავლური ლიბერალიზმი და მისი პოსტულატი, რომ ადამიანებში საკმარისად ბევრი პოზიტივია საიმისოდ, რომ პოლიტიკური პროცესების სწორი მიმართულებით გადასინჯვა მოხდეს, თუ ჩვენ ამაზე ბევრს ვიმუშავებთ.

ამარტია სენი — განვითარება როგორც თავისუფლება და უფლებების დაცვაზე დაფუძნებული განვითარება

ჩვენ უფრო ღრმად უნდა შევისწავლოთ ამარტია სენის იდეა, რომელიც თავისუფლებაში ხედავს განვითარებას და რომელიც მე-2 თავში განვიხილეთ. სენის მთავარი იდეაა, რომ განვითარება არ არის მხოლოდ სიმდიდრის აკუმულაცია, ტექნიკური ცოდნის გადაცემა და მოდერნიზაცია, არამედ იგი ადამიანის თავისუფლების უზრუნველყოფა და შესაძლებლობების განვითარებაა ისეთი გზებით, რომლებიც ადამიანებს თავიანთი მიზნების მიღწევისა და თვითრეალიზაციის შესაძლებლობას აძლევს. სენი ამტკიცებს, რომ "თავისუფალი და მდგრადი საზოგადოება განვითარების ლოკომოტივია" (1999, 4).

სენის მიერ განვითარების, როგორც თავისუფლების, გააზრების მთავარი შედეგი ის იყო, რომ მან ორი ისტორიულად დაცალკევებული მომენტის, განვითარებისა და ადამიანთა უფლებების, შერწყმის საფუძველი შექმნა. ღარიბების შესახებ წარმოდგენა არსებითად გაფართოვდა. ისინი აღარ აღიქმებოდნენ, როგორც მხოლოდ ჩაგვრის მსხვერპლნი (რომლებსაც განვითარების პროგრამების დახმარება სჭირდებოდათ), არამედ მათ, ასევე, ჰქონდათ უფლებები და ისინიც იმსახურებენ, იცხოვრონ როგორც ღირსეულმა ადამიანებმა. ამგვარად, ძირითადი აზრი ისაა, რომ საზოგადოებას ეკისრება პასუხისმგებლობა, შექმნას გარემო, რომელიც ყველა ადამიანის კეთილდღეობას უზრუნველყოფს. ადამიანთა უფლებებისა და განვითარების ასეთი ერთი მთლიანის სახით მოაზრების შედეგი იყო იდეა *უფლებებზე დაფუძნებული განვითარების* შესახებ, რომელიც მოიცავს უფლებების ადვოკატირებასა და პოლიტიკის გადასინჯვას. მისი მთავარი მიზანია ღარიბების დახმარება, რომ

ისინი უფრო ეფექტურები, ინფორმირებულები და აქტიური მოქალაქეები გახდნენ (იუვინი, 2004). რელიგიურმა ორგანიზაციებმა უფლებაზე ორიენტირებული განვითარების საკუთარი ინტერპრეტაცია შეიმუშავეს, რომელიც რელიგიური პრიზმიდან განიხილავდა ამ პროცესს (უფლებების განვითარების აფროდევის ჯგუფი, 2008). უფლებაზე ორიენტირებულმა განვითარებამ დასაბამი მისცა განვითარებაში მონაწილეობის იდეის უფრო ფართო ინტერპრეტაციასაც, რაც გულისხმობდა არა მხოლოდ პროგრამების შემუშავებისა და განხორციელების ეტაპზე მონაწილეობას, არამედ ადგილობრივი მოსახლეობის უფლებამოსილების გაზრდის მიმართულებით მუშაობას, რათა მათ საკუთარ თავზე აიღონ ინიციატივა ადგილობრივი მთავრობის დონეზე უკეთესად მართვისა და უფლებების დაცვის უზრუნველსაყოფად (ჰაიკი და მოჰანი, 2004).

გარდა იმისა, რომ სენი ადამიანის ინდივიდუალური და კოლექტიური უფლებების დაცვის მნიშვნელობას აღიარებს, მას მიაჩნია, რომ ეს საკმარისი არ არის. ადამიანების თავისუფლების გაზრდას სჭირდება გარემო, რომელიც ამას მხარს დაუჭერს. სენი აყალიბებს *საბაზისო თავისუფლებების* კატეგორიებს, რომლებიც აუცილებელია ადამიანის *ინდივიდუალური თავისუფლების რეალიზაციისა* და გამოხატვისათვის. ადამიანებს სჭირდებათ თავისუფლება, რათა *პოლიტიკურ პროცესებში* მონაწილეობის საშუალება ჰქონდეთ და თავად გადაწყვიტონ, "თუ ვინ და რა პრინციპებზე დაყრდნობით უნდა მართავდეს მათ" (სენი, 1999, 38). ადამიანებს სჭირდებათ *ეკონომიკური საშუალებები,* რათა ის საგნები აწარმოონ, რომლებიც მათთვის აუცილებელი და საჭიროა. ადამიანებს, ასევე, სჭირდებათ *სოციალური შესაძლებლობები*, რომლებსაც ჯანდაცვისა და განათლების მომსახურების მისაწვდომობა



დიაგრამა 5-8: საბაზისო თავისუფლებები და ადამიანთა კეთილდღეობა (სენის დიაგრამის ინტერპრეტაცია, 1999, 6-11)

მისცემს და ამ გზით შესაძლებელი გახდება ადამიანების ცხოვრების დონის ამაღლება. ადამიანებს სჭირდებათ სოციალური სამყარო, რომელიც *ღია* და *გამჭვირვალე* იქნება და ადამიანების ნდობის გაზრდას შეუწყობს ხელს. დაბოლოს, სენი ამტკიცებს, რომ ადამიანებს სჭირდებათ *დაცულობის შეგრძნება,* რაშიც ის სოციალურ დაცვას გულისხმობს. ადამიანებს სჭირდებათ სოციალური უზრუნველყოფა და გარანტიები, რომ ისეთი გაუთვალისწინებელი გარემოებების პირობებში, როგორიცაა გვალვა ან სხვა ბუნებრივი კატასტროფები, ისინი დაცულები იქნებიან. ამის გარდა, ადამიანებს კანონის მიერ დაცვის გარანტია სჭირდებათ (იხილეთ დიაგრამა 5-8). სენის მოქალაქეობისა და ეფექტური მართვის იდეების ზეგავლენაზე უფრო დეტალურად მე-8 თავში ვისაუბრებთ.

ჯაიაკუმარ ქრისტიანი — განვითარება როგორც პასუხი უფლებამოსილების უქონლობაზე

განვიხილოთ ამ თემის ჯაიაკუმარ ქრისტიანისეული ინტერპრეტაცია. როგორც მოსალოდნელია, ეს მიდგომა ქრისტიანის უფლებამოსილების უქონლობის სიტემების იდეას ეყრდნობა (იხილეთ დიაგრამა 4-6). ქრისტიანი თავისი "სიცრუის ხლართის" დიაგრამაში ასახულ ყოველ სფეროს ტრანსფორმაციის სფეროდ აღიქვამს, სადაც სიცრუის ნაცვლად "სიმართლის ხლართი" უნდა შეიქმნას. განვითარების ზომების გატარების შედეგად ეს სიმართლე ადამიანებამდე უნდა მივიდეს და მოქმედებებში აისახოს. ქრისტიანის თეორია იმ ვარაუდს ეფუძნება, რომ ღარიბების უფლებამოსილების უქონლობა სისტემური სოციალურ-ეკონომიკური, პოლიტიკური, ბიუროკრატიული და რელიგიური პროცესების (ანუ სისტემების) შედეგია (1994, 335). ტრანსფორმაციული განვითარების ფარგლებში სწორი საპასუხო ზომები ღარიბების უფლებამოსილების გაზრდას შეუწყობს ხელს, ანუ, როგორც ქრისტიანი ამბობს, მათი მდგომარეობა უფლის სასუფევლის მდგომარეობით უნდა ჩანაცვლდეს, რაც სამ ძირითად ვალდებულებას გულისხმობს:

1. სიღარიბის ისეთი ასპექტის გათვალისწინება, როგორიცაა ურთიერთობები, "ისეთი ურთიერთობების აშენებას ითვალისწინებს, რომლებიც ღარიბების ინკლუზიას, გამყოფი ხაზების მოხსნას, თემების ორგანიზებასა და უფლის სასუფევლისაკენ გზის ჩვენებას გულისხმობს" (1994, 336).
2. მიკრო, მაკრო, გლობალურ და კოსმიურ დონეზე ისეთ ძალებთან გამკლავება, რომლებიც სიღარიბეს უწყობენ ხელს.
3. უფლებამოსილების შეზღუდვასთან მიმართებით დროის ფაქტორზე ყურადღების გამახვილება და ისტორიის ინტერპრეტაცია ქრისტიანული პერსპექტივიდან; "ალტერნატივის შეთავაზება იმის საპირისპიროდ, რომ ძალაუფლების მფლობელები სიღარიბეს ამკვიდრებენ; ღარიბებისათვის გამოწვევის შექმნა, რათა მათ უკეთ გააცნობიერონ, რომ მცდარი წარმოდგენების მახეში არიან, რის გამოც რეალობას ვერ ცვლიან" (1994, 336).

სიცრუის ხლართის ყოველი ელემენტი ღარიბებს ხაფანგში ამწყვდევს. შესაბამისად, ქრისტიანი ყოველ ამ ელემენტთან დაკავშირებით საპახუსო ზომას სახავს. თავის ნაშრომში "*სიცრუის მახე*" ქრისტიანი რიერის აზრს იმეორე-

ბს და ისეთი განვითარების პროცესისაკენ მოგვიწოდებს, რომელიც ღარიბებს საშუალებას მისცემს, თავად გამოავლინონ ის სიცრუე, რომელსაც მათ უნერგავდნენ. ეს არ არის ადვილი ამოცანა, რადგანაც "ეს ხლართი რამდენიმე ობობის მიერაა გაბმული. ხლართში ღარიბებიც და შეძლებულებიც არიან მოქცეულნი. იგი მსოფლმხედველობასა და ურთიერთობებსაც მოიცავს, - მანკიერებას, ძალაუფლებას და იმ სხვა სულიერ სფეროებს, რომლებშიც ეს სტრუქტურები და სისტემები არსებობენ" (1994, 342).

ჭეშმარიტება უნდა დადგინდეს. მისი წყარო "უფლის სამყაროს მუდმივ შესწავლაშია" (1994, 343). განვითარების სფეროს პრაქტიკოსებმა თავიანთი ცხოვრებით უნდა დაამტკიცონ ეს ჭეშმარიტება და სიცრუე გამოააშკარაონ. უფლის სასუფევლის სიმართლე არის ერთადერთი რამ, რაც ჭეშმარიტებასა და ძალაუფლებას ერთმანეთთან მოარიგებს. ჩვენ ნამდვილი ჭეშმარიტება უნდა გამოვავლინოთ, ჭეშმარიტება საკუთარ თავზე, საზოგადოებაზე, პირადსა და ძალაუფლებაზე (1994, 343).

შეძლებულების ღმერთის კომპლექსის ტყვეობაში ყოფნასთან დაკავშირებით ქრისტიანს საპასუხო ზომად მიაჩნია ადამიანებისათვის იმ ჭეშმარიტების ახსნა, რომ მხოლოდ ღმერთს შეუძლია მოიქცეს ღმერთივით და რომ უფლის სასუფეველი ერთადერთი ალტერნატივაა, რომელიც თავისუფლებას, ხსნასა და ადამიანთა კეთილდღეობას გვპირდება. უინქი ამას, ასევე, დაამატებდა, რომ კეთილდღეობის მისაღწევად საჭიროა შეძლებულთა მიერ კერპების შექმნისა და თაყვანისცემის მხილება.

ადამიანების შელახულ იდენტობასა და დაბალ თვითშეფასებაზე პასუხი, ქრისტიანის აზრით, უფლის სასუფევლია, რომელიც "ჭეშმარიტებას ადგენს, განმარტავს და განკურნავს ადამიანების შელახულ იდენტობას. ეს საკითხი სცდება მხოლოდ სამართლიანობისა და ღირსების საკითხებს და ამ ადამიანების დაბალი თვითშეფასებისა და ღირსების შელახვის მიზეზებს უფრო ღრმად ეძებს" (1994, 339). ქრისტიანი გვეუბნება, რომ განვითარების სფეროში მოღვაწეობა ისე უნდა წარვმართოთ, რომ ღარიბებს დავანახოთ, რომ მათ ვაფასებთ და პატივს ვცემთ. ჩვენ "ფეხშიშველა" მრჩევლები უნდა ვიყოთ ამ ადამიანებისათვის, მოვუსმინოთ მათ, ვესაუბროთ და გვიყვარდეს ისინი. მათი ცხოვრება, რომელიც ექსკლუზიისა და უპატივცემულობის პირობებში მიმდინარეობს, საწინააღმდეგო მიმართულებით უნდა წავიყვანოთ. ღარიბებს სჭირდებათ საკუთარ ღირსებაში დარწმუნება და პატივისცემა. უნდა ვამცნოთ მათ, რომ ისინი ღმერთის ხატების მსგავსად არიან შექმნილნი, რომ უფალი მათ შვილებად მიიჩნევს და აფასებს.

მსოფლმხედველობის არაადეკვატურობასთან დაკავშირებით ქრისტიანი ამტკიცებს, რომ მხოლოდ კულტურულ მგრძნობიარეობაზე (სენსიტიურობაზე) აქცენტის გაკეთებას უნდა გავცდეთ. ყოველ მსოფლმხედველობას აქვს გარკვეული ელემენტები, რომლებიც ღარიბების ინტერესებს არ ითვალისწინებს. ქრისტიანი ინდოელია და განსაკუთრებით აღელვებს ის რელიგიური პოსტულატები, რომლებიც სიღარიბეს (კარმა) და მჩაგვრელ ურთიერთობებს (კასტა) ამართლებს. უფლის სასუფევლის პასუხი ამაზე იქნებოდა ისეთი "მსოფლმხედველობისა და რელიგიის გაცნობა, რომელიც საბაზისო სარეფერენციო წყარო იქნება ღარიბი ადამიანებისათვის. ასეთი ჩარჩო სწორედ ბიბლიაშია ასახული" (1994, 340). ჩვენ, დასავლელებს, საკუთარი ნაკლოვანებები გვაქვს მსოფლმხედველობაში, რაც ყველაზე მკაფიოდ სექსუალურობის,

მოხმარებისა და ძალადობის სფეროებთან მიმართებით ჩანს.

ბოროტების გავლენის სფეროსთან და მის სიცრუესთან დაკავშირებით ქრისტიანი მოგვიწოდებს ლოცვისა და მარხვისაკენ, როგორც სოციალური მოქმედებების მნიშვნელოვანი ინსტრუმენტისაკენ. "აუცილებელია ლოცვისა და მარხვის შესაძლებლობებისა და ზემოქმედების ძალის თავიდან აღმოჩენა, რათა მთები გადავაადგილოთ და ეშმაკი და მისი ძალები გავნდევნოთ სამოთხიდან" (შდრ. ლუკა, 10:18) (1994, 341). განვითარების სფეროს პრაქტიკოსები კარგად უნდა იცნობდნენ სულიერ დისციპლინებს, რათა "შეიმოსონ ღვთის სრული საჭურველით და შეძლონ წინ აღუდგნენ ეშმაკის ხრიკებს" (ეფესელთა მიმართ, 6:11).

როგორ უნდა დავადგინოთ, რა არის ჭეშმარიტი და სამართლიანი? ქრისტიანი გვეუბნება: უპირველეს ყოვლისა, ღარიბებს შესაბამისი ინსტრუმენტები და ანალიზი დაეხმარება, უკეთ გაიაზრონ, თუ ვინ რას აკეთებს და ვისთვის აკეთებს ამას. ბიბლია შეიძლება გამოვიყენოთ სიმართლისა და სამართლიანობის შეფასების საზომად. ღარიბებს საშუალება უნდა მიეცეთ, რომ თავად განსაზღვრონ, ვინ არიან სინამდვილეში. მათ სწორად უნდა გაიაზრონ უფლის სიტყვა და გააცნობიერონ, რომ თვითონაც ღირსეულები და ღირებულები არიან და მნიშვნელოვანი წვლილის შეტანა შეუძლიათ საზოგადოების ცხოვრებაში. ასევე, საჭიროა ადამიანებამდე უფლის სასუფევლის შესახებ სიმართლის მიტანა ეკლესიის მეშვეობით, რომელიც უფლის სასუფევლის განსახიერებაა ამ სამყაროში. ასევე, ადამიანებს სიმართლე უნდა ვუთხრათ ძალაუფლების შესახებ. უფალი ერთადერთია, ვისაც ძალაუფლება ეკუთვნის. იგი ძლევამოსილია. ეს აზრი მნიშვნელოვნად სცდება მოსაზრებას, რომ "ძალაუფლება ადამიანებს ეკუთვნით." დაბოლოს, ადამიანების მსოფლმხედველობა მთელი ბიბლიური ნარატივის გაცნობით უნდა ჩამოყალიბდეს, რათა გამოვლინდეს, თუ რა ასპექტები უწყობს ხელს ადამიანების უუფლებობას და რა აფერხებს მათ განვითარებას (1994, 342-43).

როგორ არის ეს ყველაფერი დაკავშირებული კორტენის, ფრიდმანის, პრილელტენსკის, ჩემბერსის და სენის მიერ შემოთავაზებულ განვითარების მოდელებთან? ქრისტიანმა მთელი ეს პროცესი სულიერების ასპექტიდან ხომ არ განიხილა? პასუხი უარყოფითია. ეს ქრისტიანის თეორიის არასწორი გაგება იქნებოდა. ქრისტიანი თავის თეორიას კორტენის, ფრიდმანის, პრილელტენსკის, ჩემბერსისა და სენის სწავლებებზე დაყრდნობით აგებს. ზემოხსენებული ავტორების მიერ შემოთავაზებული თეორიები ღარიბების უფლებამოსილების შემზღუდველ სისტემებსა და ამ პრობლემის აღმოსაფხვრელ საპასუხო ზომებზე აკეთებს აქცენტს. უფლებამოსილების უქონლობა იყო ერთ-ერთი იმ ხუთი ურთიერთდაკავშირებული ელემენტიდან, რომლებზეც ჩემბერსმა გაამახვილა ყურადღება თავის სიღარიბის მახეში, ხოლო ფრიდმანი ამას უფლებამოსილების უქონლობის ტერმინით მოიხსენიებს (სოციალური უფლებამოსილების მნიშვნელობით). მას მიაჩნია, რომ ეს სიღარიბისა და მასზე საპასუხო ზომების საკვანძო ასპექტს წარმოადგენს. ქრისტიანი ორივე აზრს ითვალისწინებს და განავრცობს: "უფლებამოსილების უქონლობა ადამიანებთან მიმართებით გამოიყენება და ვრცელდება ოჯახებსა და თემებზე (საზოგადოებაზე). უფლებამოსილების უქონლობა რეალურ ადამიანებს შეეხება, რომლებიც რეალურ სამყაროში ცხოვრობენ - მიკრო, მაკრო, გლობალურ და კოსმიურ ჭრილებში. თუ დროის კატეგორიით ვისაუბრებთ, იგი მოიცავს

ისტორიულ წარსულს, მიმდინარე რეალობასა და მომავლის თაობაზე წარმოდგენებს. როგორც სივრცითი კატეგორია, იგი მოიცავს გეოგრაფიულ მდებარეობას, ბუნებასა და ეკოლოგიას" (1994, 332).

ქრისტიანი მოგვიწოდებს უფლებამოსილების უქონლობის გამოხატულებების რუკაზე დატანისაკენ, მათ შორის ფრიდმანის მიერ შემოთავაზებული სფეროების გათვალისწინებისაკენ და შემდეგ ამ საკითხებს განავრცობს. მაგალითად, უფლებამოსილების უქონლობის დროის კატეგორიასთან მიმართებით განხილვა და მისი ტრანსფორმაციის სფეროდ გააზრება არ არის ასახული არც ჩემბერსის და არც ფრიდმანის მიდგომებში. შესაბამისად, არც ერთი მათგანი არ გვთავაზობს სულიერი ასპექტების რუკაზე დატანას და მათი გადაწყვეტის გზებს. ის, რასაც ქრისტიანი გვთავაზობს, ჩემბერსისა და ფრიდმანის მიდგომების ფარგლებს არსებითად სცდება. ქრისტიანი დაგვანახებს, რომ ამ ავტორების მიერ შემოთავაზებული ანალიზი არასიღრმისეულია. ქრისტიანი ცდილობს შეავსოს სიცარიელე, რომელიც სულიერ სფეროსთან მიმართებით არსებობს და იგი ამას ჰოლისტიკურად ახორციელებს, რითაც ზემოხსნებული ავტორების იდეებს სრულყოფილ სახეს აძლევს. სიცრუის ხლართის შედეგად შექმნილი გამოწვევების გადაწყვეტის გარეშე ძნელი წარმოსადგენია, როგორ შეიძლება განვითარება მდგრადი იყოს.

რა შეიძლება ვთქვათ კორტენის განვითარების სტრატეგიასთან დაკავშირებით? ან ფრიდმანის აზრის შესახებ, რომ განვითარებამ უნდა მიგვიყვანოს "ღარიბების ცხოვრების დონისა და ხარისხის არსებით გაუმჯობესებამდე" და რომ ღარიბებისათვის სოციალური უფლებამოსილების მისაწვდომობა უნდა გაუმჯობესდეს. რისი თქმა შეიძლება ჩემბერსის საარსებო საშუალებების მდგრადობასა და შესაძლებლობების განვითარებაზე? ქრისტიანისათვის მათი იდეები მისაღებია. ამის დადასტურებაა ინდოეთში განვითარების სფეროში მისი პრაქტიკული მუშაობის გამოცდილება და განვითარების პროგრამები. შეკითხვაზე, რატომ არ ასახავდა უფრო კონკრეტულად განვითარების პროგრამები ყველა ამ ასპექტს, ქრისტიანის პასუხი იქნებოდა, რომ ეს პროგრამები უაღრესად მნიშვნელოვანია, მაგრამ ისინი მხოლოდ საშუალებებია და არა თვითმიზანი.

ქრისტიანისთვის განვითარების პროცესის საბოლოო მიზანია ქრისტიანული იდენტობის მიღწევა, მისი აღდგენა და ღარიბებისათვის იმის დანახვება, რომ "ისინი უფლის შვილები არიან და ღმერთმა გარკვეული უნარებით დააჯილდოვა, რათა ეს უნარი სხვებსაც გაუზიარონ" (სუდგენი, 1997, 187). ჩვენ ამქვეყნიური სამყაროს შვილები ვართ, ადამიანები, რომლებმაც უფალთან, საკუთარ თავთან და ერთმანეთთან სამართლიან და ჰარმონიულ ურთიერთობებში უნდა იცხოვრონ. სწორედ ეს არის ჭეშმარიტად ადამიანური ცხოვრება და ამის უზრუნველყოფა თავისუფლებისა და ადამიანის შესაძლებლობების რეალიზაციის გზითაა შესაძლებელი.

ჯაიაკარანის სიღარიბის ოთხი ასპექტიდან ქრისტიანს ყველაზე მნიშვნელოვნად სულიერი და მენტალიტეტის ასპექტები მიაჩნია. გარდა იმისა, რომ ტრანსფორმაცია ჩემბერსისა და ფრიდმანის მიერ შემოთავაზებულ მატერიალურ სფეროს და სოციალურ სტრუქტურებს უნდა შეეხებოდეს, ქრისტიანის აზრით, იგი ღარიბების გონებაზეც უნდა იყოს ორიენტირებული, რადგანაც სწორედ აქ იმალება უფლებამოსილების შემზღუდველი აზრი, რომელიც სიცრუის შედეგადაა ჩანერგილი და ამ აზრს სულიერი და სოციალური ფესვე-

ბი აქვს. აღსანიშნავია, რომ ქრსტიანის ეს მიდგომა, გარკვეულწილად, პრილელტენსკის თვალსაზრისის საფუძველს წარმოადგენს. ადამიანის რეალური იდენტობის განსაზღვრის კონცეფციას ქვამე ბედიაკოც იზიარებს (1992), მაგრამ შემდგომში ეს კონცეფცია მან ვინეი სამუელის ღირსების თეოლოგიასთან დააკავშირა (სუგდენი, 1997, 183-201). ამ თემაზე შემდეგ თავშიც გვექნება საუბარი.

ბოლო ორმოცდაათი წლის განმავლობაში ძალიან ბევრი დაიწერა სიღარიბის აღმოფხვრაზე. ამ ნაშრომებში აქცენტი, ძირითადად, მისი ფიზიკური და სოციალური გამოვლინებების აღმოფხვრაზე კეთდება. ბოლო პერიოდში პოპულარული გახდა სიღარიბის ფსიქო-სოციალურ ასპექტებზე საუბარი. კორტენი, ჩემბერსი, ფრიდმანი, პრილელტენსკი და სენი იმ ავტორებს შორის არიან, რომლებიც ამ ბოლო მიმართულებასაც ასახავენ საკუთარ ნაშრომებში. ეს ძალიან კარგია. ქრისტიანებმა, რომლებიც განვითარების სფეროში მოღვაწეობენ, ეს იდეები სერიოზულად უნდა მიიღონ და პრაქტიკაში გაატარონ განვითარების ფიზიკურ და სოციალურ ასპექტებზე მუშაობისას. ღარიბები იმსახურებენ, რომ ექსპერტებმა და პრაქტიკოსებმა ამ მიმართულებით იფიქრონ. მაგრამ ქრისტიანი კიდევ ერთ შეკითხვას დასვამდა: რის შემატება შეუძლიათ ქრისტიანებს განვითარების შესახებ დიალოგში? მისი პასუხი იქნებოდა უფლის სასუფეველი, როგორც ყველა ადამიანის ჭეშმარიტი იდენტობა, რადგანაც იქ აღარ იქნება სიცრუე, - ადამიანის იდენტობა და თვითშეფასება სწორედ იქ აღდგება, მსოფლმხედველობა ტრანსფორმაციას განიცდის, სიმართლე და სამართლიანობა დამკვიდრდება. შემდეგ თავში დავუბრუნდები ადამიანის ღირსების აღდგენის საკითხს, როგორც ადამიანების ტრანსფორმაციის ერთ-ერთ მიზანს.

მინდა აღვნიშნო, რომ ქრისტიანის თეორია შეიძლება ორი მიმართულებით განვავრცოთ. პირველი შეეხება ღარიბი ადამიანების ჭეშმარიტ დანიშნულებას. მე-3 თავში ჩვენ ვისაუბრეთ ადამიანის იდენტობის ფორმირების მნიშვნელობაზე ორ ასპექტში: ყოფნისა (ვინ ვართ) და კეთების (რას ვაკეთებთ). ქრისტიანმა სწორად მიგვითითა, რომ ადამიანის იდენტობის შელახვა ადამიანის არსებობის სფეროს მიეკუთვნება. ამ აზრს დავამატებ, რომ ღარიბების იდენტობა იმით არის შელახული, რომ ისინი საკუთარ სამუშაოსა და საქმიანობის სფეროს პატივს არ სცემენ. ღარიბებს არწმუნებდნენ, რომ მათი დანიშნულებაა სხვა, უფრო ღირსეული ადამიანების სამსახურში ყოფნა; ეს მათი ხვედრია. ისინი ისეთ სამსახურს უნდა ასრულებდნენ, რომლებსაც სხვები არ იკადრებენ და რაც მონების მოვალეობაა. შესაბამისად, მათ არ სჯერათ, რომ შეიძლება იყვნენ შემოქმედებითები და პროდუქტიულები. ამ შემთხვევაში ღარიბულ ყოფას მიზნის სიღარიბეც ემატება და ეს კიდევ უფრო ამძიმებს მათ მდგომარეობას.

მეორე: ქრისტიანი არ ამჟღავნებს სიმპათიასა და თანაგრძნობას შეძლებულების მიმართ, რადგან ისინი ხელს უწყობენ უფლებამოსილების შემზღუდველი სისტემების შექმნას და მათ შენარჩუნებას, ასევე, ღმერთის როლის შესრულებას ღარიბი ადამიანების ცხოვრებაში. ქრისტიანის ასეთი დამოკიდებულება გასაგებია, მაგრამ იგი არ ითვალისწინებს ფაქტს, რომ თავად შეძლებულებიც სიცრუის ხლართში ცხოვრობენ და სწამთ იმ მცდარი წარმოდგენებისა, რომელთა შესაბამისადაც მათ პრივილეგირებული მდგომარეობა თითქოს დამსახურებულად ეკუთვნით. ამ თვალსაზრისით, შეძლებულების

იდენტობაც შელახულია, მაგრამ ისინი არ არინ ისეთი დამცირებულები, როგორიც ღარიბები. შეძლებულებს ზედმეტად მაღალი წარმოდგენა აქვთ საკუთარ თავზე, როდესაც ღარიბების ცხოვრებაში ღმერთის როლს თამაშობენ. მათ, ასევე, დაავიწყდათ თავიანთი ჭეშმარიტი დანიშნულება — უფლისა და მოყვასის სიყვარული. ისინი უფლის მიერ ბოძებულ ნიჭსა და უნარს საზოგადოების სამსახურისათვის კი არა, კონტროლისა და ჩაგვრისათვის იყენებენ. აღსანიშნავია, რომ ქრისტიანის მიდგომა საკმაოდ ამბიციურია. ის, რასაც ქრისტიანი გვთავაზობს, ვერ იქნება მიღწეული იესოს მეორედ მოსვლამდე. მისი ხედვა ვერ რეალიზდება მანამ, სანამ ამ სამყაროში ცოდვა არსებობს. ამაზე შეიძლება ორნაირი რეაქცია გვქონდეს. არსებობს საფრთხე, რომ გაგვიჩნდეს გარკვეული აუსრულებელი მოლოდინი, რომელიც მუდმივი გულაცრუების შეგრძნებას გამოიწვევს ღარიბებში, ხოლო განვითარების სფეროს პრაქტიკოსისათვის უაღრესად მძიმე ტვირთი გახდეს. მეორე მხრივ, დიადი იდეალისაკენ, ანუ უფლის სასუფევლისაკენ, სწრაფვა გულისხმობს რწმენის გაძლიერებას, რადგანაც "რწმენა არის ის უეჭველობა, რასაც მოველით და წვდომა უხილავისა" (ებრაელთა მიმართ, 11:1). ჩვენ ვიცით, რომ უფლის სასუფეველს ჩვენ ვერ დავამყარებთ და მაინც ვცდილობთ ვიმუშაოთ მის მისაღწევად. ქრისტიანებს აქვთ უნიკალური ნიჭი და ძალისხმევა, რათა ამ ცოდვილ სამყაროში, რეალურ დროში იღვაწონ და სწამდეთ, რომ უფლის სასუფეველი დადგება. იმავდროულად, უნდა გვესმოდეს, რომ უფალი გვთხოვს, რომ ვიყოთ მისი მორჩილები და არა ამქვეყნიურ წარმატებაზე მეოცნებეები.

6

ტრანსფორმაციული განვითარების ქრისტიანული გააზრება

გავაერთიანოთ წინა თავებში წარმოდგენილი მასალა და ქრისტიანული პერსპექტივიდან წარმოვადგინოთ ტრანსფორმაციული განვითარების ჩარჩო. ამისათვის გვჭირდება იმის ცოდნა, თუ ვინ დგას განვითარების პროცესების სათავეში და შემდეგ საჭიროა, რომ განვითარება და ბიბლიური ნარატივი ერთმანეთთან შევაჯეროთ. შემდეგ ვეცდებით პასუხი გავცეთ ისეთ მნიშვნელოვან შეკითხვებზე, როგორებიცაა: როგორია უკეთესი მომავალი? რა არის ტრანსფორმაციის მიზანი? რას გულისხმობს ცვლილებების პროცესი? რა არის მდგრადობა? რა მიმართულებით უნდა ვეცადოთ, რომ ჰოლისტიკური თვალსაზრისი ჩამოვაყალიბოთ? შემდეგ მთელ ჩვენს ანალიზს ტრანსფორმაციული განვითარების დაგეგმვის ჩარჩოში მოვაქცევთ.

ვის შესახებაა ეს ისტორია?

საინტერესოა აღვნიშნოთ, რომ განვითარების ყოველი პროგრამა სხვადასხვა ისტორიის ერთ წერტილში გადაკვეთასა და შეჯერებას წარმოადგენს. ჩვენ ჩვენი ისტორიით მოვდივართ და თემის ისტორიას ვუერთდებით. როგორც ქრისტიანებს, ჩვენ ერთ ისტორიაზე მეტი მოგვაქვს თან. ჩვენ მოგვაქვს ჩვენი პირადი ისტორია და იმ კულტურის ისტორია, საიდანაც მოვდივართ (რომელიც, ასევე, ჩვენი განვითარების ინსტიტუტის ისტორიასაც მოიცავს). გარდა ამისა, ჩვენ ბიბლიური ისტორიისა და ღმერთის შესახებ ჩვენეული ინტერპრეტაცია მოგვაქვს. თემების შიგნითაც ორი ისტორია არსებობს – თავად თემის ისტორია და ისტორია ღმერთისა, რომელიც ამ თემს ეხმარება. თუ თემში ქრისტიანები არიან, ეკლესია ან ეკლესიები არიან ამ ისტორიის ძირითადი მთხრობელები. იმ შემთხვევაშიც კი, თუ თემში ეკლესიები არ არის, სამყაროს დასაბამიდან მოყოლებული ღმერთი მაინც იღვწის ამ თემის კეთილდღეობისთვის, მიუხედავად იმისა, ადამიანებმა იციან საღვთო ისტორია, იგი მათთვის სრულიად უცნობია თუ ნაწილობრივაა ცნობილი.

ამ ისტორიების კონვერგენცია ორ მნიშვნელოვან შეკითხვას ბადებს: პირველ რიგში, როდესაც ტრანსფორმაციული განვითარების პროგრამაზე ვსაუბრობთ, კარგად უნდა ვიცოდეთ, თუ ვისი ისტორიაა ეს. მეორე – ჩვენ უნდა განვსაზღვროთ, ყველა სხვა ისტორიას შორის, რომლებიც დროის კონკრეტულ მომენტსა და კონკრეტულ ადგილას იკვეთება, რომელია ცენტრალური.

ვის ეკუთვნის საპროგრამო ისტორია? ამაზე პასუხის გაცემა ადვილია, რადგანაც ტრანსფორმაციული განვითარების ისტორია თემს ეკუთვნის. თემის ისტორია არსებობდა მანამდე, სანამ ჩვენ მოვიდოდით და იქნება მას შემდეგაც, რაც ჩვენ წავალთ. ჩვენს ისტორიას შეუძლია რაღაც შესძინოს საზოგადოების ისტორიას, მაგრამ არასოდეს არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ, საბოლოო ჯამში, პროგრამა არ არის ჩვენი ისტორია. ჩვენ ყველას გვესმის ეს და განვითარების საკითხებისადმი მიძღვნილი ლიტერატურაც მუდმივად ადასტურებს ამ აზრს. მაგრამ, მიუხედავად ამისა, განვითარების სფეროში ყოველდღიური საქმიანობისას ეს გარემოება ხშირად გვავიწყდება და კომპრომისებზე მივდივართ იმის იმედით, რომ ამით თემს დავეხმარებით. იმის დავიწყება, თუ ვისი ისტორიაა ეს, ნიშნავს, რომ ღარიბების იდენტობას კიდევ უფრო ვაკნინებთ. როდესაც მათი ისტორიის უზურპირებას ვახდენთ, ამ ადამიანებს კიდევ უფრო ვაღარიბებთ.

იმისთვის, რომ შესაბამისი საპროგრამო ჩარჩო შევქმნათ იმ ისტორიებისათვის, რომლებიც კონკრეტულ დროს და ადგილას იკვეთება, საკუთარ თავს უნდა შევახსენოთ, რომ არსებობს ცენტრალური ისტორია, რომლის ნაწილიცაა ყველა დანარჩენი. ტრანსფორმაციული განვითარება სამყაროს დაბადების, ცოდვით დაცემისა და ხსნის თაობაზე უფრო დიდი ისტორიის ფარგლებში არსებობს. შესაბამისად, თემსა და მის ყველა წევრს არჩევანი აქვთ (იხილეთ დიაგრამა 6-1).



დიაგრამა 6-1: განვითარება ბიბლიური ისტორიის კონტექსტში

უნდა განისაზღვროს, თუ რომელ ნარატივს მიენიჭოს უპირატესობა. ეს შესაძლებელია შემდეგ შეკითხვებზე პასუხის გაცემით: როგორია უკეთესი მომავალი? რა ცვლილებების პროცესი უნდა განხორციელდეს? რა არის: თანამედროვეობის ისტორია, ტრადიციული ისტორია თუ ბიბლიური ისტორია? თუ სწორი არჩევანი არ გაკეთდა, უპირატესობა ან თანამედროვეობის ისტორიას, ან ტრადიციულ ისტორიას მიენიჭება. ჩვენ, როგორც ქრისტიანებმა, ჩვენი რწმენა უნდა გავუზიაროთ ჩვენ გვერდით მდგომ ადამიანებს, მაგრამ შეიძლება ის არ იყოს ჭეშმარიტი ისტორია, რომელიც კაცობრიობის მთელ ისტორიას მოიცავს. განვითარების სფეროს პროფესიონალს შეუძლია გააუმჯობესოს თემის მატერიალური, სულიერი და სოციალური მდგომარეობა, მაგრამ იგი უფრო მნიშვნელოვანი ისტორიის საბოლოო შედეგს ვერ შეცვლის. მხოლოდ უფლის მხსნელი ძალის გააზრებისა და მიღების გზით შეუძლიათ ადამიანებსა და თემებს ისტორიის ტრაექტორიის შეცვლა უფლის სასუფევლის მიმართულებით. ეს არის ყველა თემის, როგორც ღარიბის, ისე შეძლებულის, ისტორიის ფუნდამენტური ასპექტი. განვითარების სფეროს ქრისტიანმა პრაქტიკოსმა ეს არ უნდა დაივიწყოს. აღსანიშნავია, რომ ჩვენ ვერ მივიღებთ ამ გადაწყვეტილებას და ჭეშმარიტ ისტორიას თავზე ვერ მოვახვეთ ადამიანებს. ჩვენ ამ ისტორიის მხოლოდ გაზიარება შეგვიძლია იმ იმედით, რომ სულიწმინდა ხელს შეუწყობს უფლის მიერ დაპირებული უკეთესი მომავლის დადგომას.

როგორ უკეთეს მომავალს გულისხმობს ეს?

ტრანსფორმაციული განვითარების დასაწყებად თემმა ნათლად უნდა ჩამოაყალიბოს იმ უკეთესი მომავლის ხედვა, რომლის მიღწევაც სურს. ამ უკეთესი მომავლის განსაზღვრა გულისხმობს პროცესს, რომელიც საშუალებას აძლევს თემს გაარკვიოს, თუ რა არის ნამდვილად მნიშვნელოვანი და რატომ. რა არის კეთილდღეობა? რა არის დოვლათიანი ცხოვრება? რისთვის იღვწის თემი? რა ხედვა დაეხმარება თემის წევრებს, რომ მათ ადეკვატურად აღიქვან თავი? რისკენ მოუწოდებს უფალი თემს? რა ვალდებულებები უნდა იკისრონ თემის წევრებმა ერთმანეთის მიმართ? რაზე არიან ადამიანები პასუხისმგებლები? რაშია ბედნიერება?

ბიბლიური ნარატივის ნაწილში ამ შეკითხვებზე პასუხი ნათლად იყო ჩამოყალიბებული. უფლის "ურყევი სასუფეველი" და იესო ქრისტეს "უცვლელი სახე" (ჯოუნსი, 1972) თავადაა საუკეთესო მომავლი და მისი მიღწევის საშუალება. ეს არის უფლის მიერ დასახული საუკეთესო მომავალი. იგი მოგვიწოდებს, რომ მის მისაღწევად ვიმოქმედოთ. უფლის სასუფეველი არის მომავალი, რომელიც წარსულში დაიწყო და ამჟამადაც იქმნება. რას ნიშნავს ეს უფრო კონკრეტულად? ადამიანთა უკეთესი მომავლის თაობაზე უფლის ხედვა შეჯამებულია "შალომის" იდეაში, რომელიც გულისხმობს სამართლიან, ჰარმონიულ, მშვიდობიან და ბედნიერ ურთიერთობებს ერთმანეთთან, საკუთარ თავთან, გარემოსა და უფალთან. ეს ჩარჩო მოიცავს სიღარიბის ფიზიკურ, სოციალურ, მენტალურ და სულიერ გამოხატულებებს და, შესაბამისად, ჭეშმარიტად ქრისტიანული ტრანსფორმაციული განვითარება ამ სფეროებისაკენ უნდა წარიმართოს. ამდენად, ბავშვების ვაქცინაცია, საკვები პროდუქტებით მომარაგების გაუმჯობესება, სასმელი წყლის მიწოდება შეიძლება ამ

უკეთესი მომავლის ნაწილი იყოს, თუ თემი ფიქრობს, რომ ეს მისთვის აუცილებელია. გარდა ამისა, თემის უკეთესი მომავლის მიღწევის ნაწილია თემის მორიგება, მშვიდობიანი არსებობის ხელშეწყობა, ფასეულობების ფორმირება, თემის ყველა წევრის ჩართვა პროცესებში და თემის წევრებისათვის შესაძლებლობის მიცემა, რომ თავიანთი წვლილი შეიტანონ თემის მდგომარეობის გაუმჯობესებასა და კეთილდღეობაში. უკეთესი მომავლის შენების ნაწილი შეიძლება იყოს სოციალური სისტემებისა და მათ ფარგლებში მომუშავე ადამიანების ანგარიშგების გაუმჯობესება. უბრალოდ, იმ ადამიანების მოსმენა და იმ ადამიანებთან ყოფნა, რომელთა სიღარიბე მათ გატეხილ გულებსა და დამცირებულ სულშია, შეიძლება უკეთესი მომავლის შენების ნაწილი იყოს. ყველაფერი, რაც კურნავს და აღადგენს ადამიანის სხეულს, გონებას, სულსა და თემს, შეიძლება უკეთესი მომავლის ნაწილი იყოს, რომელთანაც ტრანსფორმაციული განვითარება მიგვიყვანს.

იგივე აზრი შეიძლება სხვანაირადაც ჩამოვაყალიბოთ: ნებისმიერი უკეთესი მომავალი ცხოვრებასა და კთილდღეობას გულისხმობს. ჟაკ ელულმა, ფრანგმა ფილოსოფოსმა და თეოლოგმა, დაწერა, რომ "ყველაზე მნიშვნელოვანია იცხოვრო და არა სიცოცხლე განასახიერო. იმ ცივილიზაციის პირობებში, რომელმაც ცხოვრების არსი დაკარგა თვალთახედვიდან, ყველაზე სასარგებლო, რისი გაკეთებაც ქრისტიანს შეუძლია, ეს არის იცხოვროს" (1967, 92, 94). მექსიკელმა პოეტმა და ესეისტმა, ოქტავიო პაზმა, ეს იდეა კიდევ უფრო მკაფიოდ და ხატოვნად ჩამოაყალიბა: "პროგრესმა ისტორიაში ტექნოლოგიის საოცრებები მოიტანა, მაგრამ მანვე ადამიანთა ცხოვრება გააღარიბა. მან უფრო მეტი საგანი მოგვცა, მაგრამ უფრო მეტი სიცოცხლე არ მოუცია" (1972, 8). სავსე ცხოვრება არ ნიშნავს მხოლოდ იმას, რომ რაღაცა გქონდეს, არამედ იგი ნიშნავს იმას, რომ უნდა იცხოვრო. სავსე ცხოვრება ნიშნავს უსაზღვრო სიყვარულს, შეუზღუდავ სამართლიანობასა და უკიდეგანო მშვიდობას (ჰოლი, 1985, 99). ნებისმიერი რამ, რაც ცხოვრების გაუმჯობესებასა და ზეიმად ქცევას ემსახურება, უფლის სასუფეველთან მიგვიყვანს. აფრიკელები ლოცულობენ "ცხოვრებისა და იმ საარსებო საშუალებებისათვის, რომლებიც ცხოვრებას ისეთად აქცევენ, რომ იგი ღირდეს ცხოვრებად" (ოკოროჩა, 1994, 79). ლათინოამერიკელები ეძებენ ცხოვრებას, რომელიც სიცოცხლითა და ზეიმითაა სავსე და რომელშიც "სულიერი ძიებისათვის სივრცეა დარჩენილი." აი, ამ გზით უბრალო ადამიანებმა უნდა იპოვონ ღმერთი, რომელიც ადამიანის გვერდითაა, როდესაც იგი ეძებს ბედნიერებას, გასხივოსნებულ ცხოვრებას, კეთილდღეობას, - იმ კეთილდღეობას, რომელიც კარნავალის სულისკვეთებას ჰგავს, ინდივიდუალურ და კოლექტიურ სიკეთეს. სიმდიდრის მოხვეჭა ან წარმატება საერთოდ არ არის ნახსენები" (პარკერი, 1996, 262).

"შალომის" შესაბამისი უკეთესი მომავლისა და კეთილდღეობისაკენ მოძრაობის წინაპირობაა იმის გააზრება, რომ თემის ისტორია და ჩვენი ისტორია შეიძლება უფრო დიდი, ანუ უფლის მიერ სამყაროს ხსნისა და აღდგენის ისტორიის, ნაწილი გახდეს. მდგრადი უკეთესი მომავლის მიღწევა მოითხოვს, რომ ჩვენც იმ მოღვაწეობაში ჩავებათ, რომელსაც ღმერთი უკვე ახორციელებს სამყაროს გასაუმჯობესებლად. ღვთის წყალობით ჩვენ შეგვიძლია გადავსინჯოთ ჩვენი ისტორია; აღმოვაჩინოთ ჩვენი ჭეშმარიტი იდენტობა და დანიშნულება, კერძოდ კი, ის, რომ ჩვენ ღვთის შვილები ვართ და უფლის სასუფევლისაკენ ვიკვლევთ გზას.

მინდა World Vision-ის ფილიპინებზე საქმიანობის მაგალითი მოვიყვანო. ამ კათოლიკურ ქვეყანაში სწრაფი ტემპებით იხვეჭს პოპულარობას ადამიანის პირადი განვითარებისა და ბიბლიის ხელახალი გააზრების მოძრაობა. ღარიბ თემებთან მუშაობისას გამოვლინდა, რომ მათთვის ყველაზე ახლობელი იყო ესაიას 65-ე თავში მოცემული ბიბლიური მეტაფორა, როდესაც ისინი საკუთარი უკეთესი მომავლის ვიზუალიზაციას ცდილობდნენ და უფლის განგებაზე საუბრობდნენ. უფალი შემდეგ მომავალს უსახავს მათ:

- სიხარულით სავსე ცხოვრება, სადაც არ არის ცრემლი.
- ბავშვები არ იხოცებიან და ადამიანები სავსე ცხოვრებით ცხოვრობენ.
- ადამიანები სახლებს აშენებენ და ამ სახლებში ცხოვრობენ.
- ადამიანები თავიანთი შრომის შედეგებით სარგებლობენ.
- თემები ჰარმონიულად ვითარდებიან და ურთიერთობები აღდგენილია.
- შეურიგებელი მხარეები ახლა მშვიდობიანად თანაარსებობენ.
- უფალი ადამიანებს შორისაა, პასუხს სცემს მათ შეკითხვებზე და ეხმარება.

ღარიბებმაც და შეძლებულებმაც უნდა გაითავისონ ის ერთადერთი ხედვა, რომელიც სავსე, ჰარმონიულ, სამართლიან და მშვიდობიან ცხოვრებას ჰპირდება მათ. ეს არის ტრანსფორმაციული ხედვა, რომელიც ადამიანის სულიერ და მატერიალურ ასპექტებს მოიცავს. იმის ცოდნა, თუ ვინ ვართ სინამდვილეში და რა არის ჩვენი დანიშნულება, უკეთესი ცხოვრების საწინდარია, რაც არ გულისხმობს მხოლოდ მატერიალურ დოვლათს ან, თუნდაც, უკეთეს განათლებას. უფლის მიერ დანაპირები უკეთესი მომავლის ნათლად გაცნობიერება უაღრესად მნიშვნელოვანია განვითარების სფეროს სპეციალისტებისათვის, როდესაც ისინი ეხმარებიან თემებს უკეთესი მომავლის წარმოსახვასა და მის მიღწევაში. თემის განვითარების ისტორიის გაცნობიერება როგორც უფლის უფრო დიდი ისტორიის ნაწილისა "ეხმარება ადამიანებს გაიგონ, რომ ისტორიის არსი და მიზანი არ შეიძლება პროექტების, პროგრამების, იდეოლოგიების ან უტოპიური იდეების სახით იყოს განსახიერებული" (ნიუბიგინი, 1989, 1290). საუკეთესო შემთხვევაშიც კი 10 ან 15-წლიანი განვითარების პროექტი გარკვეულ პოზიტიურ შედეგებს გამოიღებს, მაგრამ ეს შედეგები არ იქნება მდგრადი თემის ისტორიის ტრაექტორიის ფუნდამენტურად შეცვლის გადაწყვეტილებების გარეშე.

უკეთესი მომავლის წარმოსახვა საკმაოდ მძიმე ამოცანაა როგორც ღარიბების, ისე შეძლებულებისათვის. სიცრუის ხლართი, რომლისაც ღარიბებს სჯერათ, არ აძლევს მათ საშუალებას, წარმოიდგინონ უკეთესი მომავალი, ყოველ შემთხვევაში, ამქვეყნად მაინც. ჯაიაკუმარ ქრისტიანის აზრით, ღარიბების დარწმუნება, რომ მათ უკეთესი მომავალი შეიძლება ჰქონდეთ, "წინასწარმეტყველის ქადაგების" ტოლფასია. ეს შეძლებულებისათვისაც მძიმე ამოცანაა, რადგანაც მათ სჯერათ, რომ უკვე უკეთესი მომავლის გზაზე დგანან ან უკვე ამ მომავლის ნაწილი არიან. მათ ძალიან უჭირთ იმის წარმოდგენა, რომ უკეთესი მომავალი ამაზე მეტს ნიშნავს, მით უფრო იმის წარმოდგე-

ნა, რომ მომავალში მათ შეიძლება ნაკლები ქონება ჰქონდეთ. კიდევ უფრო ძნელია, დაარწმუნო შეძლებულები, რომ გარკვეული გარდაქმნებია საჭირო, რადგან მათ მოსწონთ ღმერთის როლის შესრულება ღარიბების ცხოვრებაში. მიუხედავად ამისა, მინდა ამასთან დაკავშირებით პოზიტიური ასპექტიც შეგახსენოთ. ადამიანების უკეთესი მომავლის ხედვა არ ნიშნავს მოდერნისტებად გამოცხადებული ადამიანების გარდაუვალ პროგრესს ან პოსტმოდერნიზმის რელატივისტურ პლურალიზმსა და ბედთან შეგუების ფატალისტურ პოზიციას, რომელიც ადამიანებს იმედს აკარგვინებს. კარგია, რომ ჩვენ არ უნდა შევქმნათ ჩვენი უკეთესი მომავალი, ან შევურიგდეთ იმას, რომ უკეთესი მომავალი მიუღწეველია? ჩვენ, ასევე, არ უნდა მივიღოთ ისეთი უკეთესი მომავალი, რომელშიც ზოგს ყველაფერი აქვს, ხოლო დანარჩენები გზის განაპირას დარჩნენ, თითქოს ღმერთს არ შეუქმნია საკმარისი იმისათვის, რომ ყველას ეყოს.

მინდა კიდევ ერთი რამ აღვნიშნო. უკეთესი მომავლის ქრისტიანული ხედვა უნდა გულისხმობდეს ჰარმონიული და ბედნიერი ქრისტიანული თემის ცხოვრებასა და მოღვაწეობას, რომელიც უფლისა და თემის სამსახურში ხედავს ბედნიერებას. ძალიან ძნელია, წარმოიდგინო საზოგადოების ტრანსფორმაცია ეკლესიის ტრანსფორმაციის გარეშე. ასეთი ტრანსფორმირებული ეკლესია ჩემს წარმოსახვაში უფლის სამსახურშია, უყვარს თავისი სამწყსო და ყველა სხვა ადამიანი. ეს ეკლესია ზეიმობს ცხოვრებას და იმას, რაც ცხოვრებას სავსეს თვითონვე ხდის; არის წინასწარმეტყველის ხმა და ჭეშმარიტების მოქადაგე; მამხილებელი იმისა, რაც ამ სავსე ცხოვრების წინააღმდეგაა მიმართული. ეკლესიის თაობაზე უფრო დეტალურად ამ თავის ბოლო ნაწილში ვისაუბრებთ.

ტრანსფორმაციის მიზნები

ტრანსფორმირებული ადამიანები: თვითმყოფადობის აღდგენა და უნარების შეძენა

ჯაიაკუმარ ქრისტიანის ტრანსფორმაციული განვითარების ჩარჩოს ძირითადი დოქტრინაა ღარიბების მიერ საკუთარი იდენტობის გაცნობიერება. სიცრუის ხლართის შედეგად ღარიბები ითავისებენ აზრს, რომ მათ არანაირი ღირებულება არ გააჩნიათ და არ შეუძლიათ ღირსეული წვლილის შეტანა საზოგადოების განვითარებაში. მათ მიაჩნიათ, რომ ისინი ღვთისგან მივიწყებულები არიან (სუგდენი, 1997, 183-201). ტრანსფორმაცია ვერ იქნება მდგრადი, თუ ეს მცდარი და გაუკუღმართებული თვითაღქმა არ შეიცვლება. ტრანსფორმაციაში ყველაზე მნიშვნელოვანი არის ადამიანების შელახული ღირსებისა და მთლიანობის აღდგენა.

ვინაი სემუელი უფრო ფართოდ განიხილავს ამ საკითხს. იგი სცდება იდენტობის პრობლემას (ვინ ვარ მე?) და ღირსების მნიშვნელობაზე საუბრობს (რა ღირებულება მაქვს მე?). სემუელის მიერ ამ საკითხთან მიმართებით ღირსების განხილვა, იდენტობის გარდა, ადამიანის დანიშნულებაზეც ჩაგვაფიქრებს (სიგდენი, 1997, 183-97). ბიბლიური თვალსაზრისით, იდენტობა და

დანიშნულება ერთნაირად მნიშვნელოვანია. ჩვენ უნდა ვიცოდეთ, ვინ ვართ და რა დანიშნულებით ვართ შექმნილები. შესაბამისად, იდენტობის აღდგენა და დანიშნულების გაცნობიერება ადამიანის ტრანსფორმაციის ბიბლიურ გაგებას წარმოადგენს. ჭეშმარიტება, რომელსაც ტრანსფორმაციის შედეგად ვაცნობიერებთ, ის არის, რომ ღარიბებიცა და შეძლებულებიც ღვთის ხატების მსგავსად არიან შექმნილნი (იდენტობა), რომ ისინი ღმერთის თვალში ღირსეულები და ღირებულები არიან (ღირსება) და რომ ღმერთმა საკუთარი ძე იმისათვის გაწირა, რათა ადამიანები ეხსნა და ურთიერთობები აღდგენილიყო, - რათა ადამიანებს წვლილი შეეტანათ საკუთარ და საზოგადოების კეთილდღეობაში (დანიშნულება).

მიუხედავად იმისა, რომ ღარიბებისა და შეძლებულების განვითარების მიზნები ერთნაირია, მათ მიერ გადასაწყვეტი პრობლემები განსხვავდება. ღარიბები შელახული იდენტობისა და საკუთარი დანიშნულების თაობაზე დაბალი წარმოდგენის გამო იტანჯებიან. შეძლებულები კი საკუთარ თავსა და დანიშნულებაზე ზედმეტად მაღალი წარმოდგენის მსხვერპლნი არიან. ღარიბების ამოცანაა საკუთარი ღირსების აღდგენა და დაჯერება, რომ ისინიც საზოგადოების პროდუქტიული წევრები არიან, რომ მათაც აქვთ ნიჭი და უნარები და საკუთარი წვლილის შეტანა შეუძლიათ საზოგადოების კეთილდღეობაში. შეძლებულებისა და განვითარების სააგენტოების ვალდებულებაა, უარი თქვან ღმერთის კომპლექსებზე და საკუთარი შესაძლებლობები საყოველთაო კეთილდღეობის მიღწევისაკენ წარმართონ (იხილეთ დიაგრამა 6-2). ეს არის ტრანსფორმაციული განვითარების ძირითადი მიზანი. ტრანსფორმაციის ძირითადი ინსტრუმენტია გარდაქმნილი ადამიანი: "ტრანსფორმირებული ადამიანი გარდაქმნის გარემოს" (მუსოპოლე, 1997, 2). ესაია ღვთის სიტყვის ციტირებას მიმართავს, როდესაც ამბობს: როცა ღარიბები მოისმენენ იმის შესახებ, რაც უფალს მათთვისა აქვს განზრახული, ისინი გათავისუფლდებიან და მათ "დათრგუნული სულის ნაცვლად... სიმართლის ხეები ეწოდებათ მათ... და აღადგენენ დიდი ხნის განადგურებულ ადგილებს" (ესაია, 61:3-4). სამყაროს ტრანსფორმაცია შეუძლიათ ადამიანებს და არა ფულს ან პროგრამებს.

	იდენტობა	**დანიშნულება**
ღარიბები	დაჯერება, რომ ისინი ღვთის ხატის მსგავსად არიან შექმნილი და ღვთის შვილები არიან	დაჯერება, რომ მათ წვლილის შეტანა შეუძლიათ საზოგადოებრივ ცხოვრებაში
შეძლებულები	ღმერთთან დაკავშირებულ კომპლექსებზე უარის თქმა და დაჯერება, რომ ისინი ღვთის ხატის მსგავსად არიან შექმნილნი და თავად არიან ღმერთი	დაჯერება, რომ მათ ნიჭი და უნარი ღმერთმა იმისთვის მისცა, რომ ისინი ადამიანებს გაუზიარონ და არა სხვები აკონტროლონ

დიაგრამა 6-2: ღარიბებისა და შეძლებულების იდენტობა და დანიშნულება

ტრანსფორმაციული განვითარების ცენტრალური ღერძი არ არის რესურსების გადაცემა, შესაძლებლობების განვითარება ან მისაწვდომობისა და არჩევანის უზრუნველყოფა. მიუხედავად იმისა, რომ ეს ასპექტები უაღრესად მნიშვნელოვანია, საბოლოო ჯამში, ეს ყველაფერი საშუალებაა და არა მიზანი. ამ ყველაფერს მნიშვნელობა მხოლოდ მაშინ აქვს, თუ ხელს უწყობს ღარიბებში თვითიდენტობის აღდგენასა და საკუთარი დანიშნულების გააზრებას. მიუხედავად იმისა, რომ შესაძლებლობების განვითარება ან მისაწვდომობისა და არჩევანის უზრუნველყოფა უაღრესად მნიშვნელოვანია, პროცესი, რომლითაც ასეთი ცვლილებები მიიღწევა, ხშირად ამ სასიკეთო ცვლილებების მნიშვნელობას ამცირებს. ცვლილებების პროცესმა, რომელსაც ბევრი ნაკლოვანება ახლავს, განხორციელების ეტაპზე, შესაძლოა, კიდევ უფრო გააუარესოს ღარიბი ადამიანების წარმოდგენა საკუთარ თავზე.

ადამიანების ტრანსფორმაციის დაწყებისას მათ უნდა დავეხმაროთ იმის გაცნობიერებაში, რომ მათი "იდენტობა და ღირსება განუყოფელია ღმერთისაგან, რადგან იგი ადამიანების ხსნისათვის იღვწის კაცობრიობის ისტორიის დასაბამიდან" (ბედიაკო, 1996, 8). მომენტი, როდესაც ადამიანები გააცნობიერებენ საკუთარ არსს, მათი განვითარების ახალი ტრაექტორიის დასაწყისია. სწორედ ამ დროს შემოდის ახალი რეალობა მათ ცხოვრებაში, რომელსაც ყველაზე ოსტატური ტყუილიც კი ვეღარ შეცვლის. ადამიანების იდენტობის აღდგენის შემდგომი ნაბიჯია ხასიათის ფორმირება და ისეთი ფასეულობების დამკვიდრება, რომლებიც მომავლის ხედვის უკეთ ჩამოყალიბებასა და საყოველთაო კეთილდღეობის მიღწევაში დაგვეხმარება.

დაბოლოს, იდენტობისა და ხასიათის ჩამოყალიბების შემდეგ ტრანსფორმაციული განვითარება მიმართული უნდა იყოს იმისაკენ, რომ ადამიანებმა ამ ფასეულობების შესაბამისად იცხოვრონ მათ მიერ დასახული ხედვის რეალიზაციის მიზნით. ეს ნიშნავს, რომ ადამიანებს უნდა ვასწავლოთ თავიანთი კონტექსტის გაგება, ინტერპრეტირება და იმის სწორად გააზრება, თუ ვისი და რა მიზეზით არ უმჯობესდება მათი მძიმე მდგომარეობა, რათა შემდეგ შესაბამისი დასკვნები გამოიტანონ და გადაწყვეტილებები მიიღონ. ადამიანების თავისუფლებისა და შესაძლებლობების განვითარების მიზანია მათი ტრანსფორმაცია. ამის შემდეგ ყველა სხვა სფეროში ტრანსფორმაციის მიღწევა უფრო ადვილი ხდება და მდგრადობაც უფრო ადვილად მიიღწევა. ჩვენ უნდა გვესმოდეს, რომ ამ გზით ადამიანების დახმარება გულისხმობს ისეთი ღონისძიებების გატარებასაც, რომლებიც პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური ხასიათისაა. რასაკვირველია, ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ ადამიანების თავისუფლებისა და შესაძლებლობების განვითარება ისე, რომ სენის მიერ აღწერილი ფუნდამენტური თავისუფლებები არ გავზარდოთ, არაადეკვატური იქნება. არც ერთი მთავრობა და, განსაკუთრებით კი შეძლებულები, რომელთა ინტერესებშიც არსებული მდგომარეობის შენარჩუნებაა, მხარს არ უჭერს ასეთ ცვლილებებს. მატერიალური ასპექტების ტრანსფორმაცია მათთვის უფრო მისაღებია, ვიდრე ადამიანებისა.

როგორც აღვნიშნეთ, ადამიანების მიერ მათი ჭეშმარიტი იდენტობისა და დანიშნულების აღმოჩენა ხელს უწყობს ტრანსფორმაციულ ცვლილებებს. მინდა ხაზი გავუსვა, რომ იდენტობა და დანიშნულება საკმარისი არაა. ნიუბიგინი შეგვახსენებს, რომ "არც ერთი პროექტი, რომელსაც ადამიანი ახორციელებს, რაც არ უნდა შესანიშნავი იყოს, არ არის თავისუფალი ცოდვის

მაკორუმპირებელი ზეგავლენისაგან" (1989, 138). საზოგადოებაში არსებული სიცრუე, დამახინჯებული წარმოდგენები და ცდუნებები იმაზე მიუთითებს, რომ განვითარების პროგრამებსაც ექნებათ გარკვეული ნაკლოვანებები და არ არიან დაზღვეულნი შეცდომებისაგან. ეს არის მარტივი რეალობა, რომელშიც ქრისტიანები ცხოვრობენ და მოღვაწეობენ.

იმის გააზრება, რომ მათი ისტორია უფრო სრულყოფილი და დამაიმედებელია, როდესაც იგი საღვთო ისტორიის უფრო ფართო კონტექსტში მოიაზრება, ფართოდ ხსნის კარს სხვადასხვა ტრანსფორმაციული ღონისძიების გასატარებლად. სიცრუის ხლართის გამოვლენის შემდეგ ნათელი ხდება ის უზარმაზარი სიცრუე, რომელიც ბოროტი ძალებისა და შეძლებულების ინტერესებს ემსახურება. ბედიაკო საუბრობს "ადამიანებისა და საზოგადოებისათვის თვალის ახელაზე, რათა მათ დაინახონ რეალობა, რომელიც რწმენაში, მსოფლმხედველობასა და ეთიკურ არჩევანში აისახება და უფლის რწმენას არყევს" (1996ა, 9). სიღარიბე იმის შედეგია, რომ სამყარო ღარიბებს არწმუნებს, რომ ისინი ღვთისაგან მივიწყებულები არიან, ტრანსფორმაცია კი გულისხმობს, რომ ღარიბებიც უფლის ხატების მსგავსად არიან შექმნილნი და რომ უფალმა საკუთარი ძე მათთვისაც გაწირა, რათა ადამიანები ეხსნა და მათ პროდუქტიულად ეღვაწათ საზოგადოების სასიკეთოდ.

ადამიანების დახმარება, რომ მათ საკუთარი იდენტობა და დანიშნულება გააცნობიერონ, მოითხოვს, რომ საკუთარი ისტორია თავიდან გაიაზრონ. ღმერთი არ შემოსულა ადამიანების ცხოვრებაში განვითარების სააგენტოს მოსვლასთან ერთად. ღმერთი ისედაც მოღვაწეობდა ადამიანების ისტორიაში სამყაროს დასაბამიდან, რადგანაც "რაც შეიძლება იცოდე ღმერთზე, ცხადია... რადგანაც ღმერთმა განუცხადა მათ (ადამიანებს)" (რომაელთა მიმართ, 1:19). ღმერთსა და მის გაკეთებულ საქმეებს ყოველთვის არ აღიარებდნენ. იმისთვის, რომ თემმა ახალი მომავლისაკენ იმოძრაოს, თავიდან უნდა აღმოაჩინოს საკუთარი წარსული და სხვაგვარად გაიაზროს იგი. "ქრისტიანული აფრიკის ყველაზე მძიმე ამოცანაა აფრიკის წარსულის გარდაქმნა" (უოლსი, 1996, 53). ეს მნიშვნელოვანია იმიტომ, რომ საზოგადოებამ სახარების ჭეშმარიტი ისტორია უნდა გაიაზროს და საკუთარი ისტორია შეიცნოს. "მას შემდეგ, რაც საზოგადოება იესო ქრისტეს ისტორიის უნივერსალურობას აღიარებს, ძნელი აღარ არის სახარების ჩვენს კულტურად გათავისება. ჩვენ ამ ისტორიას საკუთარ ისტორიად აღვიქვამთ. ჩვენი უფალი დასაბამიდანვე ჭეშმარიტი სიტყვა იყო ჩვენთვისაც და სხვა ადამიანებისთვისაც მთელ სამყაროში" (ბედიაკო, 1994, 101).

ტრანსფორმაციული განვითარების ძირითადი მიზანი, ქრისტიანული პერსპექტივიდან, ადამიანის იდენტობისა და ღირსების აღდგენაა. ეს ერთადერთი გზაა, რომელსაც უკეთესი მომავლისაკენ მივყავართ. ჩვენ ღარიბებისა და შეძლებულების გვერდით უნდა ვიყოთ და დავემხაროთ მათ და საკუთარ თავს ჩვენი ჭეშმარიტი იდენტობის გაგებაში. უნდა გავიაზროთ, რომ ჩვენი დანიშნულებაა ნაყოფიერი მუშაობა და იესოს მოთხოვნებისა და დანაპირების შესრულება, რათა მისი სასუფეველი დამკვიდრდეს.

სამართლიანი და ჰარმონიული ურთიერთობები

ჩვენი იდენტობა და დანიშნულება ჩვენი ურთიერთობების მეშვეობით გამოიხატება. შესაბამისად, ჩვენი იდენტობის აღდგენისა და დანიშნულების გაგებისთვის საჭიროა, რომ ტრანსფორმაციული განვითარება ურთიერთობების აღდგენასა და გამთლიანებისაკენაც იყოს მიმართული. ბიბლიური ნარატივისა და სიღარიბის შესახებ თავებში ჩვენ ვისაუბრეთ ურთიერთობების ჩარჩოზე, რომელშიც ყველა ურთიერთობა – ღმერთთან, საკუთარ თავთან, საზოგადოებასთან, "სხვებთან" და გარემოსთან – მჭიდროდაა ურთიერთდაკავშირებული. ურთიერთობების ეს ჩარჩო ტრანსფორმაციული განვითარების მიზნებზე საუბრისას უაღრესად მნიშვნელოვანია.

ყველაზე მნიშვნელოვანი ურთიერთობა, რომელსაც აღდგენა სჭირდება, *სამპიროვან ღმერთთან ურთიერთობაა.* ღმერთს სურს ამ ურთიერთობების აღდგენა. მან უკვე გადადგა ნაბიჯი ამ მიმართულებით. ჩვენ უნდა დავეთანხმოთ მის წინადადებას და ვირწმუნოთ იესო. მე უკვე აღვნიშნე, რომ ღმერთთან ურთიერთობების აღდგენა, მისი ისტორიის გათავისება და მიღება, როგორც საკუთარისა, გვეხმარება ვიპოვოთ საკუთარი თავი. სწორედ ეს არის ტრანსფორმაციული განვითარების მიზანი. თუ ადამიანები ღმერთს იპოვიან, ბევრი სხვა რამ უფრო ადვილად მიიღწევა. თუ ადამიანები ღმერთს არ აღიარებენ, გარდაქმნების ჰორიზონტი უფრო შეზღუდულია და ტრანსფორმაციული განვითარება უფრო ძნელად მიიღწევა (იხილეთ დიაგრამა 6-3).



დიაგრამა 6-3: ტრანსფორმირებული ურთიერთობები

საკუთარი თავისადმი ჯანსაღი დამოკიდებულება მნიშვნელოვანი ტრანსფორმაციული სფეროა. ძალიან ბევრი ადამიანი იტანჯება საკუთარი უძლურების შეგრძნებისგან, რომელიც ადამიანის გონებაში არსებული მცდარი

წარმოდგენების შედეგია. ეს მცდარი წარმოდგენები როგორც საკუთარი თავისადმი, ისე საზოგადოებისადმია მიმართული. ამ სიცრუის დიდი ნაწილის წყარო ადამიანის გონებაში გარედანაა ჩანერგილი. ზოგ სიცრუეს ჩვენ თავად ვთხზავთ და ვიჯერებთ. ჩვენს თავში არსებული ეს ურთიერთსაწინააღმდეგო მოსაზრებები ჩვენი სიღარიბის მენტალური ან ფსიქოლოგიური მიზეზია. საკუთარ თავთან ჰარმონიული ურთიერთობების დამყარება მოითხოვს, რომ ჩვენს თავს სიმართლეში გამოვუტყდეთ და სამართლიანები ვიყოთ საკუთარი თავისადმი. ეს ქრისტიანული ფსიქოლოგიის ამოცანაა. დაბოლოს, ჩვენ ჩვენი ხასიათისა და ღირებულებების ფორმირებას თავად ვახდენთ. "განვითარება ადამიანის ხასიათის განვითარებიდან და იმ ფასეულობების დამკვიდრებიდან უნდა დაიწყოს, რომლებსაც უფალი გვასწავლის" (მუსოპოლე, 1997, 3).

ასევე, ძალიან მნიშვნელოვანია *საზოგადოებასთან (თემთან) ურთიერთობის ხარისხი.* ამ თვალსაზრისით ძალიან ბევრი ასპექტია შესაცვლელი, მაგრამ ამის მიღწევა მხოლოდ თემის ერთობლივი ძალისხმევითაა შესაძლებელი. ეს უაღრესად რთულდება, თუ თემი გახლეჩილია ან არსებობს კონფლიქტი. ძალიან იშვიათად ხდება, რომ ერთმა ადამიანმა ან ოჯახმა გამოიწვიოს ცვლილებები, თუ ისინი სრულიად მარტო ცდილობენ ამის მიღწევას. თემში, რომელშიც ადამიანებს საერთო ისტორია და კულტურა აქვთ, მთავარი წყალგამყოფი ხაზი, ძირითადად, ღარიბებსა და შეძლებულებს შორის არსეობს. ეს ორივე მხარე სიცრუის საკუთარ ხლართშია გახვეული და შეძლებულები ძალიან დიდი ძალისხმევას მიმართავენ, რომ არსებულ სტატუსკვო შეინარჩუნონ. გარდა ამისა, გარკვეული კულტურული ჯგუფების მსოფლმხედველობა შესაძლოა არსებული სოციალური ვითარებისა და ღარიბებისა და შეძლებულების არსებული იდენტობის ლეგიტიმაციას უწყობდეს ხელს, რაც კიდევ უფრო აშორებს ამ ორ ჯგუფს. მაგალითად, ინდოეთში კასტების მჩაგვრელ ბუნებას კიდევ უფრო ამყარებს რელიგიური მსოფლმხედველობა, რომელიც ქადაგებს, რომ კარმა ლოგიკური შედეგი და მიზეზია მჩაგვრელის სიმდიდრისა და დაჩაგრულის ტანჯვისა (სუგდენი, 1997, 84).

ღარიბებსა და შეძლებულებს შორის ასეთი დაშორიშორების აღმოფხვრა მნიშვნელოვანი ცვლილებაა გრძელვადიან პერსპექტივაში ძირეული გარდაქმნების მისაღწევად. ეს ნიშნავს, რომ ღარიბებმა საკუთარი იდენტობა უნდა დაიბრუნონ და დანიშნულება გააცნობიერონ, ხოლო შეძლებულებმა უნდა უკუაგდონ ის ისტორიები და კულტურული არტეფაქტები, რომლებიც მათ პრივილეგირებულ მდგომარეობას ამკვიდრებს ღარიბებთან მიმართებით. ღარიბებსა და შეძლებულებს შორის გამყოფი ხაზი კიდევ უფრო მკაფიო ხდება, მიუხედავად იმისა, რომ ეს ადამიანები ერთ ენაზე მეტყველებენ და საერთო კულტურა და ტერიტორია აქვთ, ღარიბები მაინც "სხვებად" მოიაზრებიან შეძლებულების მიერ და პირიქით.

"*სხვა*" ადამიანებთან მშვიდობიანი ურთიერთობების აშენება *ჩვენთვის* ნიშნავს ტრანსფორმაციის დღის წესრიგთან ადამიანების შერიგებას. შერიგება საკმაოდ ძნელია ხოლმე. წარუმატებლობის ყველაზე ხშირი მიზეზი ისაა, რომ ადამიანები ეწინააღმდეგებიან ასეთ შერიგებას, რადგანაც "სხვებმა" მათ ან მათ თემს ზიანი მიაყენეს. მირასლავ ვოლფმა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა იდენტობის, "სხვებისა" და შერიგების საკითხების ინტერპრეტაციაში თავისი ნაშრომით "*ექსკლუზია და გამთლიანება.*" ვოლფი გვიხსნის, რომ შერიგების დასაწყისი და სამართლიანობისა და მშვიდობისაკენ გზა გულისხ-

მობს სხვა ადამიანებთან შერიგებას, მიუხედავად იმისა, თუ რა აქვთ მათ ჩადენილი. "სამართლიანობა ვერ მიიღწევა შერიგებისაკენ სწრაფვის გარეშე." ეს მოწოდება სცდება იმ ვიწრო გაგებას, თუ ვინ არის სწორი ან მტყუანი. ჩვენ უნდა მივიღოთ „სხვები" და შევურიგდეთ მათ, რადგანაც სწორედ ასე მოიქცა იესო და ის განაგრძობს ასე მოქცევას. მაგრამ ვოლფი, ასევე, გვიხსნის, რომ შერიგება არ იქნება სრული, თუ "სიმართლე არ ითქმება და სამართალი არ აღსრულდება" (ვოლფი, 1996, 216).

ეს მოითხოვს "სხვების" მიმართ პოზიციის შეცვლას და მცდელობას, გავიგოთ ამ ადამიანების პირობები. შერიგების სურვილი გაგვანათლებს. შერიგების მეტაფორა ბიბლიაში არის მამის ხელები, რომლებიც თავისი მფლანგველი შვილის ჩასახუტებლად არის გაშლილი (ლუკა, 15:11-31). სხვების გარიყვის სურვილი აბრმავებს ადამიანებს. მისი მეტაფორაა მოღერებული მუშტი და მთავარი აზრი ისაა, რომ "სხვა" მხოლოდ ცუდი შეიძლება იყოს. შერიგების ნებასთან ერთად, იქმნება შესაძლებლობაც, რომ "სხვებშიც" დაინახო რაღაც კარგი. ეს გვაიმედებს, რომ შესაძლოა შეხების წერტილი მოიძებნოს და ადამიანების დაახლოება შესაძლებელი გახდეს. ვოლფის ეს აზრი უაღრესად მნიშვნელოვანია ღარიბებსა და შეძლებულებს შორის ახალი ურთიერთობების ჩამოყალიბების კონტექსტში.

ვოლფი არ არის გულუბრყვილო და იგი ამბობს, რომ "ძალაუფლების მფლობელების მიერ გარკვეული უნდობლობა საწყის ეტაპზე გამართლებულია. ეს არ მეტყველებს იმაზე, რომ უუფლებო ადამიანები გულუბრყვილოები არიან, არამედ იმაზე მიუთითებს, რომ ძალაუფლების მფლობელებს საკმარისი საშუალებები აქვთ იმისათვის, რომ საკუთარი ნება და აზრი თავზე მოახვიონ ღარიბებს და ამ მიზნით არგუმენტები და პროპაგანდა არ დაიშურონ. უუფლებო ადამიანების კვნესა ვერ არყევს მათ სიმშვიდესა და იდეოლოგიას" (1996, 219-20). ადამიანთა შერიგება საკმაოდ დიდი გამოწვევაა და ხშირად ძალიან რთულად მისაღწევია.

დაბოლოს, თემს *ჯანსაღი ურთიერთობა უნდა ჰქონდეს გარემოსთან,* რომელიც მას ასაზრდოებს, აძლევს წყალს, საკვებსა და ჰაერს. ჩვენ უნდა გავუფრთხილდეთ იმ სამყაროს, რომელიც ღმერთმა გვარგუნა, რათა იგი ნაყოფიერი იყოს და გვასაზრდოებდეს. უნდა გვესმოდეს, რომ ჩვენ არა ვართ ბუნების მბრძანებლები, არამედ ჩვენ მას ვმართავთ. ქრისტიანებს ეს ოდესღაც კარგად ესმოდათ. VI-VII საუკუნეების კელტურ ტრადიციებში "ჩვენ ვხედავთ საკრალურ სიახლოვეს ადამიანს, ბუნებასა და ღვთიურ არსებებს შორის. ჩვენ ამას ყველგან ვხედავთ, სპირიტუალური სამყაროს თაყვანისცემასა და მიწის კულტივაციაში" (ბემფორდი და მარჩი, 1987, 19).

თეოლოგ დანიელ გრუდის განხილული აქვს ყველა ურთიერთობის ტრანსფორმაციის საკითხი. იგი სამართლიანობის კათოლიკურ ინტერპრეტაციას დაახლოებით მსგავსი ტერმინებით აღწერს. მკვლევარი საუბრობს შინაგან სამართლიანობასა და "ღმერთთან სწორი ურთიერთობების დამყარებაზე იესო ქრისტეს მხსნელი ძალის დახმარებით." გრუდი საუბრობს სამართლიანობაზე, რაც ჩვენს მოქმედებებში უფლისა და მოყვასის სიყვარულის გზით გამოიხატება (2007, 26). "უფლის სამართლიანობა შურისძიებასა და მტრობას კი არა, უფალთან, საკუთარ თავთან, სხვებთან და გარემოსთან სწორი ურთიერთობების დამყარებას გულისხმობს" (2007, 27).

შეჯამების სახით შეიძლება ითქვას, რომ უკეთესი მომავლის მისაღწევად ხელი უნდა შევუწყოთ სამართლიანი, მშვიდობიანი და ჰარმონიული ურთიერთობების დამყარებას. ეს არის შალომის არსი და ერთადერთი გზა, რომელიც კეთილდღეობამდე მიგვიყვანს. ამგვარად, ტრანსფორმაციული განვითარება, რომელიც სავსე ცხოვრების დამკვიდრებას ისახავს მიზნად, ურთიერთობების შენებასაც მოიცავს. ცხოვრება და ურთიერთობები ერთმანეთისაგან განუყოფელია. "განვითარება ბედნიერ და დალოცვილ ცხოვრებას უნდა უზრუნველყოფდეს. ეს საკუთარ თავთან, გარემოსა და ღმერთთან ჰარმონიულ ურთიერთობებს გულისხმობს" (მუსოპოლე, 1997, 3).

რას გულისხმობს ცვლილებების პროცესი?

ტრანსფორმაციული განვითარების დაწყება მხოლოდ იმის საფუძველზე, რომ საბოლოო მიზანი გვაქვს დასახული, არ არის საკმარისი. არანაკლებ მნიშვნელოვანია ის პროცესი, რომელსაც ამ საბოლოო მიზანთან მივყვართ. ეს მნიშვნელოვანი აზრია, რადგანაც ღმერთმა ჩვენი არჩევანი გარკვეულწილად შეზღუდა. ანუ, ზოგი საშუალება უფრო მისაღებია, ვიდრე დანარჩენი. ზოგი გზა გვეხმარება, მანამდე მივუახლოვდეთ იმ უკეთეს მომავალს, სანამ ის თავად დადგება ამქვეყნად. საამისოდ ზოგი საშუალება გვეძლევა, მაგრამ მათ ჩვენ ჩვენი მიზეზის გამო ვერ ვხედავთ. შესაბამისად, ჩვენ პასუხი უნდა გავცეთ შეკითხვას: ცვლილებების რა პროცესს უნდა მივანიჭოთ უპირატესობა? ამასთან დაკავშირებით რამდენიმე არჩევანი არსებობს. ზოგი მთავრობას მიიჩნევს ტრანსფორმაციის პროცესების მამოძრავებელ ძალად. ზოგის აზრით, სოციალური ცვლილებების გამოწვევის საუკეთესო ინსტრუმენტებია თავდადებული მუშაობა, პირადი პასუხისმგებლობა და თავისუფალი ბაზარი. დანარჩენებს სჯერათ, რომ ტრანსფორმაცია მხოლოდ უფლის ნებაა და სულიწმინდას ხელშეწყობით მიიღწევა. ზოგი მიიჩნევს, რომ ადამიანის გონება და ტექნოლოგია გამოიწვევს ტრანსფორმაციას. ზოგი, აგრეთვე, ფიქრობს, რომ ცვლილებების რესურსი ჩვენში დევს, ხოლო ზოგი ამტკიცებს, რომ ეს ცვლილებები მაშინ მოხდება, თუ კი რაღაც რესურსებს სხვას გამოვართმევთ. ეს კი სახელმწიფოს მიერ დაბეგვრის ან რაიმე სხვა პირდაპირი ფორმით უნდა განხორციელდეს. ქვემოთ მოყვანილია ტრანსფორმაციის ქრისტიანული პერსპექტივიდან გააზრებისა და გარდაქმნების სქემა, რომელიც შესაბამისი ღონისძიებების ჩამონათვალს შეიცავს. შესაძლებელია, რომ ეს ჩამონათვალი არ იყოს ამომწურავი. ბიბლიასა და თეოლოგიას ბევრი რამის სწავლება შეუძლიათ იმის შესახებ, თუ როგორ იცვლებიან საზოგადოება და ადამიანები. ჩემს ჩამონათვალში ათი ასპექტი შევიტანე, რომლებიც, ჩემი გამოცდილებიდან გამომდინარე, ყველაზე მნიშვნელოვნად მივიჩნიე. დარწმუნებული ვარ, თქვენც გექნებათ ამ ჩამონათვალზე დასამატებელი ასპექტები.

ღვთის როლის განმტკიცება

ცვლილებების ქრისტიანული პროცესი უნდა დაიწყოს იმის გააზრებით, რომ ყველაზე ფუნდამენტურ დონეზე ტრანსფორმაცია იმიტომ ხდება, რომ ეს უფლის ნებაა და იგი უწყობს ხელს ამ ცვლილებებს. საბოლოო ჯამში, ტრანსფორმაცია, სამართლიანობა და მშვიდობა იმიტომ დგება, რომ უფალს

სურს. ჩვენ არა ვართ ამ ცვლილებების ავტორები. "ეს სამპიროვანი ღმერთის განგებაა, მამა ღმერთისა, რომელიც დაუღალავად იღვწის სამყაროს გაუმჯობესებისათვის. იგი ყველა ადამიანის გონებასა და გულშია, მიუხედავად იმისა, აღიარებენ ისინი მას თუ არა. ღმერთს თავისი ძალისხმევით ისტორია მიჰყავს ჭეშმარიტი დასასრულისაკენ. ეს ძე ღმერთის ნებაა, რომელიც ამ შექმნილი ისტორიის ნაწილი და ინკარნაციაა; ეს სულიწმინდის ძალისხმევაა, რომელმაც წინასწარ შეგვაგრძნობინა და გვამცნო, რანაირი იქნება სამყაროს დასასრული. მან ეკლესიას ანდო ქადაგება და სამყაროს დარწმუნება, რა არის ცოდვა, ჭეშმარიტება და განკითხვა" (ნიუბიგინი, 1989, 135).

ადამიანის როლისა და შესაძლებლობების დადასტურება

მინდა აღვნიშნო, რომ, მიუხედავად ზემოხსენებული მტკიცებებისა, უნდა გავაცნობიეროთ – გარდაქმნები იმიტომ ხდება, რომ ადამიანების დანიშნულებაა განვითარების ხელშეწყობა (CV, no. 18). ადამიანებმა საკუთარ თავზე უნდა აიღონ პასუხისმგებლობა ცვლილებების პროცესზე და მთელი თავიანთი შესაძლებლობები დააბანდონ ამ პროცესში (PP, no. 15). უფალმა არჩევანის საშუალება მოგვცა ჩვენი ცხოვრების ყველა სფეროში, მიუხედავად იმისა, რამდენად განვითარებული ან შეზღუდულია ჩვენი შესაძლებლობები. ჩვენ უნდა მივდიოთ უფლის მაგალითს და ისტორიის მონაწილეები გავხდეთ. ადამიანებმა არჩევანი უნდა გააკეთონ, რათა ტრანსფორმაცია უფლის განზრახვის შესაბამისად მიმდინარეობდეს და მთელი ძალისხმევა ამ მიმართულებით უნდა წარმართონ. ამგვარად, ქრისტიანების მიერ გარდაქმნების პროცესის გააზრების ცენტრალური ღერძია ადამიანების მიერ მიღებული გადაწყვეტილებები და მათი მოქმედებები. ეს რამდენიმე თვალსაზრისითაა მნიშვნელოვანი. უპირველეს ყოვლისა, ცვლილებების პროცესი იმ ადამიანების ინიციატივა უნდა იყოს, რომლებსაც ასეთი ცვლილებები სჭირდებათ. უფალი ამ ცვლილებებს თავზე არ გვახვევს, ამიტომ ჩვენც არავის არ უნდა მოვახვიოთ თავზე ისინი. ღარიბების შელახული თვითშეფასების აღდგენას იმ მომეტში ეყრება საფუძველი, როდესაც ისინი აცნობიერებენ, რომ მხოლოდ მათ აქვთ უფლება, გააცნობიერონ საკუთარი რეალობა და ჩამოაყალიბონ უკეთესი მომავლის ხედვა. მეორე: რადგანაც ადამიანების არჩევანი ყოველთვის კარგი არაა და რადგანაც არაეფექტური ურთიერთობები, უსამართლობა პრობლემის ნაწილს შეადგენს, გარდაქმნების ქრისტიანული პროცესი მონანიებასა და მიტევებასაც უნდა გულისხმობდეს. დაბოლოს, ადამიანებზე დამოკიდებული პროცესი შეიძლება იმ ტემპებით მიმდინარეობდეს, რის შესაძლებლობაც ამ ადამიანებს აქვთ. ანუ, ამ ტემპს თავად ადამიანები განსაზღვრავენ და არა რომელიმე პროგრამა. კოიამამ (1979) ეს ხატოვნად აღწერა გამოთქმით: უფალმა თავისი ტემპი გულმოწყალედ მოარგო ჩვენს ტემპს.

ყურადღების გამახვილება ურთიერთობებზე

ურთიერთობებზე ყურადღების გამახვილება ძალიან მნიშვნელოვანია. სიღარიბე თავისი არსით ურთიერთობებითაა განპირობებული. ურთიერთობებს მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვთ სიღარიბეში. შესაბამისად, ტრანსფორმაციული პროცესი სხვა სახის ურთიერთობების ჩამოყალიბებით უნდა დაიწყოს.

მიუხედავად ამისა, ხშირად ჩვენ სათანადოდ არ ვაფასებთ, რომ სწორი ურთიერთობები გარდაქმნების პროცესის საწინდრია.

ყოველთვის არის ცდუნება, დაიწყო პროცესი პრობლემიდან ან კვლევიდან, რომელიც ამ პრობლემის გამოვლენაში დაგვეხმარება. შეფასების, ანალიზისა და დაგეგმვის დროულად განხორციელება ყველა ჩვენგანს გვინდა. ჩვენ არ უნდა ავყვეთ ამ ცდუნებას. კოიამას პერიფრაზირებას რომ მივმართოთ, ჩვენ შეიძლება ვიცნობთ ღარიბებს, მაგრამ არ ვიცნობთ სიღარიბეს (1974, 12). კათოლიკე თეოლოგმა რობერტო გოიზუეტამ სწორად აღნიშნა, რომ "არ არსებობს ისეთი ცნება, როგორიცაა "ღარიბი," არსებობს "ღარიბი ადამიანი". იგი განავრცობს ამ აზრს და ამბობს: ღარიბი ადამიანების სიყვარული უნდა გავიაზროთ, როგორც "ჩვენი ოჯახის წევრების სიყვარული" (1993, 194-95). გარდაქმნების პროცესი უნდა დავიწყოთ ადამიანებისაგან და არა აბსტრაქციიდან, კვლევიდან, ანალიზიდან ან ტექნიკის განსაზღვრიდან. ურთიეთობების გარდაქმნის გარეშე ტრანსფორმაცია ვერ მიიღწევა.

საბოლოო მიზნის გათვალისწინება

როდესაც გარდაქმნების პროცესზე ვამახვილებთ ყურადღებას, ყოველთვის არსებობს ცდუნება, რომ ეფექტურობას ყველაზე დიდი მნიშვნელობა მივანიჭოთ. დონორებიც ამაზე ამახვილებენ ყურადღებას. ამჟამად ძალიან მოდაშია შესრულების შედეგებზე დაყრდნობით მართვა. უნდა გვახსოვდეს, რომ ადამიანთა ტრანსფორმაციის მიზანია ადამიანების იდენტობისა და დანიშნულების განსაზღვრა და არა უბრალოდ დასახული მიზნების, შედეგებისა და ზეგავლენის მიღწევა პროგრამით გათვალისწინებული ბიუჯეტით და გაწერილ ვადებში. არსი უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ეფექტურობა. კოიამა საუბრობს იმაზე, რომ ისრაელი მოღვაწეობდა, სანამ მოსე მთაზე იჯდა ძალიან დიდი ხნის განმავლობაში. ეს, კოიამას აზრით, ისრაელის პრაგმატულობაზე მეტყველებს, რომელსაც, თავის მხრივ, გადაუდებელი საჭიროებები ამოძრავებდა. იგი ამ მეტაფორას პროგრესთან მიმართებით იყენებს და ამბობს, რომ "ეს თეოლოგიური მოუთმენლობა ტექნოლოგიური ეფექტურობის ძიებას ჰგავს, რასაც შედეგად საკუთარი ისტორიის დამახინჯებული აღქმა და იდენტობის დაკარგვა მოსდევს" (კოიამა, 1985, 139). ეფექტურობისა და ეფექტიანობის ყველაზე მაღალ პრიორიტეტად გამოცხადება და სიღარიბის არსის მხედველობის არიდან მათი გამოტოვება არასწორი მიდგომაა.

ყოვლისმომცველი მანკიერების არსებობის გათვალისწინება

ღმერთის როლის გააზრებასთან ერთად, უკეთესი მომავლის მისაღწევად უნდა გავითვალისწინოთ, რომ არსებობს საფრთხე, რომანტიკულ ოპტიმიზმში გადავიჭრათ ღარიბების ცხოვრების გაუმჯობესებაში ჩვენი ძალისხმევის წარმატებასთან დაკავშირებით. მიუხედავად იმისა, რომ საბოლოო სიტყვა ამ მომავლის დადგომაში უფალს ეკუთვნის, მისი მიღწევა ადვილი არაა: ბრწყინვალე აღდგომის დადგომამდე ვნების შვიდეულის პარასკევია.

ამქვეყნიერებას მოვლენილი ბოროტი ძალა ცხოვრებისა და შალომის წინააღმდეგ მოქმედებს. ეს მაცდუნებელი ძალა ადამიანების ცოდვის მეშვეობით მოქმედებს, ცუდ არჩევანსა და სიცრუის ხლართის შექმნას უწყობს ხელს.

ეს ბოროტი ძალა პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და რელიგიური სტრუქტურების სიცრუისა და დომინაციის წაქეზებით მოქმედებს და მათ თავდაპირველი დანიშნულებიდან გადაცდომაში უწყობს ხელს. როგორც ენ კუდმა ჩამოაყალიბა (2006, 66), ჩაგვრა ყველაზე დიდი თავდაპირველი ტყუილიდან წარმოიშვა. ქრისტიანული ცვლილებების პროცესში არ უნდა დავივიწყოთ, რომ არსებობს ასეთი ბოროტი ძალების წინააღმდეგობა და არ უნდა ვთქვათ უარი იმ სულიერ ინსტრუმენტებზე, რომლებიც ამ წინააღმდეგობის დაძლევაში დაგვეხმარება.

იმ საზოგადოებებში, რომლებშიც სულებისა და უხილავი სამყაროს შიში დომინირებს, ამ ბოროტი ძალების სიცრუე კიდევ უფრო ღრმა და ყოვლისმომცველია. ადამიანები ღმერთებისა და სულების მოქმედებებსა და ნიშნებს აკვირდებიან და იმათ უსმენენ, ვინც, ვითომდა, მათი სახელით ქადაგებს. ის სულები, რომლებიც ადამიანის მიერ შეწირული მსხვერპლის საპასუხოდ მათ თხოვნებს აკმაყოფილებენ, სულების იერარქიის უფრო მაღალ საფეხურზე გადადიან, კიდევ უფრო მეტ შესაწირს იღებენ და ყურადღებას იმსახურებენ. ის სულები, რომლებიც ბოლომდე ვერ ამართლებენ ადამიანების მოლოდინს, შეუვალ სულებად ითვლებიან და მათ ჩამოაქვეითებენ ხოლმე ამ იერარქიაში. ეს საოცრად ემპირიული მიდგომაა, მაგრამ ასეთი სქემა კიდევ უფრო უწყობს ხელს სიცრუეს, არასწორ წყობას, ღარიბების უფლებამოსილების შეზღუდვას. ის ამდიდრებს და აძლიერებს იმათ, ვინც ისედაც მდიდარი და გავლენიანია და რომლებიც ამტკიცებენ, რომ შუამავლები არიან ამქვეყნიურ და ზეციურ სამყაროს შორის. ასეთი სიყალბე ახშობს ადამიანების ინიციატივას და ღმერთის როლს ანაცვლებს. სწორედ ეს არის ბოროტი ძალის მოქმედების მიზანი.

სიმართლისა და სამართლიანობის ძიება

თუ სიღარიბის ყველაზე ფუნდამენტური მიზეზია ცოდვის ზეგავლენა, მაშინ ცოდვასთან გამკლავება ქრისტიანული ტრანსფორმაციის ნაწილი უნდა გახდეს. ჩვენ უნდა ვეცადოთ, შევებრძოლოთ ცოდვის ინდივიდუალურ ხასიათს, მაგრამ უნდა გავითვალისწინოთ მისი შედეგებიც, რომლებიც ურთიერთობებში ვლინდება. ისინი სიცრუის ხლართს ეფუძნებიან და ღარიბი ადამიანების უფლებამოსილების შეზღუდვასა და შეძლებულების დომინაციას უწყობენ ხელს. ეს ნიშნავს, რომ ქრისტიანული ტრანსფორმაციის პროცესი სიმართლის გამოვლენასა და სამართლიანობის აღდგენას უნდა ემსახურებოდეს (ქრისტიანი, 1994). უნდა დავადგინოთ ჭეშმარიტება, როგორ უწყობენ ხელს ღარიბები საკუთარ სიღარიბეს, როგორ იქმნება სიღარიბე შეძლებულების ღმერთის კომპლექსით, მსოფლმხედველობის არაადეკვატურობით, ძალაუფლების მფლობელთა სიცრუითა და მანკიერებით. მხოლოდ უფლის ჭეშმარიტების ადამიანებამდე მიტანისა და რწმენის აღდგენის გზითაა შესაძლებელი კეთილდღეობის, სამართლიანობისა და ეფექტური ურთიერთობების მიღწევა. ამგვარად, ქრისტიანული ტრანსფორმაციის პროცესში განვითარების ღონისძიებები უნდა შეფასდეს იმ თვალსაზრისით, თუ რა წვლილი შეაქვთ მათ მშვიდობისა და სამართლიანობის აღდგენაში.

ასევე, ყურადღება უნდა მივაქციოთ, თუ როგორ ხდება ამ სიმართლის აღმოჩენა და ქადაგება. ადამიანებმა თავად უნდა აღმოაჩინონ ეს სიმართლე. სიმართლის დადგენის პროცესის ხელშეწყობა თავად უწყობს ხელს გათავი-

სუფლებას და იგი ტრანსფორმაციულია (ფრეირე, 1990). საბოლოო ჯამში, სიმართლეშია თავისუფლება (იოანე, 8:32). სხვა ადამიანების შესახებ სიმართლის უბრალო გამოცხადება შეიძლება ხშირად საზიანოც იყოს და, პირიქით, შეაფერხოს ტრანსფორმაციული განვითარება. უნდა გვეყოს თავმდაბლობა და გვახსოვდეს – ყოველთვის ყველაფერი შეიძლება არ ვიცოდეთ სხვა ადამიანების მდგომარეობის შესახებ.

სილამაზის, ბედნიერებისა და შემოქმედებითობის ძიება

ყველა, ვინც ღარიბებთან ერთად მუშაობდა, დამეთანხმება, რომ ყველაზე ღარიბ უბნებშიც კი სიხარულის, ზეიმისა და სილამაზის მოწმე გამხდარა. ყოველთვის არსებობს ტრადიციები, რომლებიც საშუალებას გვაძლევს მოვაწყოთ ზეიმები, გავხალისდეთ, ახალი ტანსაცმელი ჩავიცვათ და ღმერთს თაყვანი ვცეთ. მუსიკა ამ ადამიანების ცხოვრების განუყრელი ნაწილია, მიუხედავად იმისა, რამდენად პრიმიტიულია მათი ინსტრუმენტები. თუ ღარიბი ადამიანების სახლებს ან ღობეებს შევხედავთ, დავინახავთ, რომ ისინი ხასხასა ფერებადაა შეღებილი ან ორნამენტებითაა გაწყობილი. თემებში ყოველთვის არსებობს ადამიანი, რომელიც სხვებს უყვება თემის ისტორიის ამსახველ ამბებს ანდა ეპიკურ პოემებს. ბავშვები სხვადასხვა მასალისაგან აკეთებენ ბურთებსა და სათამაშოებს.

ზოგჯერ ჩვენი განვითარების ღონისძიებები ძალიან ვიწრო მიზნებს ისახავს და აქცენტს აკეთებს იმაზე, რომელი მატერიალური საჭიროებები არაა დაკმაყოფილებული. რასაკვირველია, სუფთა სასმელი წყალი, დაწყებითი სკოლები, ახალი სასოფლო-სამეურნეო ტექნოლოგიები, მიკროკრედიტები, აცრები, საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება ძალიან მნიშვნელოვანი პრიორიტეტებია, მაგრამ ეს მხოლოდ მატერიალურ ასპექტებში დახმარება და ამ ადამიანებისათვის საბაზისო საარსებო პირობების გაუმჯობესებაა. მაგრამ თუ ეს ჩვენი ერთადერთი მიზანია, გამოდის, რომ ჩვენ რაღაც ძალიან მნიშვნელოვანი და ადამიანური გვრჩება ყურადღების მიღმა.

როდესაც ბიბლიური ნარატივის ნაწილში წარმოვადგინეთ ჩვენი მოსაზრებები, აღვნიშნეთ, რომ ყველა ადამიანი ღვთის ხატების მსგავსადაა შექმნილი და ღირსია, იცხოვროს დაცულ სამყაროში, ისარგებლოს სიკეთეებით. მაგრამ, როგორც ჩვენ აღვნიშნეთ, უფლის ქმნილებაც ლამაზია, ღმერთის არსს ასახავს და თაყვანისცემის ღირსია. მონაკვეთში სამყაროს შექმნის შესახებ ჩვენ ვნახავთ, რომ საუბარია მუსიკალური საკრავების შექმნაზე, რასაც მოჰყვება უფლის თაყვანისცემის შესახებ თავი. სამყაროს დაბადების თეოლოგია საუბრობს დაცულ და სავსე ცხოვრებაზე და, აგრეთვე, ცხოვრებაზე, რომელიც ღირსეულია და რომლითაც გინდა იცხოვრო. ებრაელთა ‘შალომის” არსის ინტერპრეტაციისას დავინახეთ, რომ ცხოვრების აზრის გაგებას სიხარული და სიამოვნებაც ემატება, რადგან ეს უფლის ნებაცაა. ეს მიგვანიშნებს, რომ ტრანსფორმაციული განვითარება ესთეტიკასაც უნდა მოიცავდეს, რაშიც ბუნების დაფასებასა და სილამაზის გამოხატვას ვგულისხმობთ. განვითარება, რომელიც მხოლოდ წყალმომარაგების გაუმჯობესებასა და შიმშილის აღმოფხვრას გულისხმობს, არ არის საკმარისი. ხელოვნების, მუსიკისა და პოეზიის გარდა იმაზეც უნდა ვიფიქროთ, რასაც *პოეტურ პრაქტიკას* ვუწოდებთ, ანუ იმაზე, რასაც ერთად ვაკეთებთ, რათა ვიზეიმოთ სიცოცხლე და მეტი ხა-

ლისი შევძინოთ მას. პოეტური პრაქტიკა თემის ფორმირებას უწყობს ხელს. ხდება სოციალური ტრადიციების გაზიარება და სტუმართმოყვარეობისა და ურთიერთდახმარების ტრადიცია ჩნდება. პოეტურ პრაქტიკას კიდევ უფრო დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგანაც იგი გვეხმარება, დავრჩეთ ადამიანებად.

რობერტო გოიზუეტა იმ მომეტს, როდესაც ჩვენ თავდავიწყებით ვეძლევით სიხარულს, ზეიმს, ხელოვნებას, მუსიკას, თაყვანისცემასა და წეს-ჩვეულებებს "ესთეტიკურ ფიუჟენს" (შერწყმას) უწოდებს. "დასვენება, გართობა და ზეიმი ადამიანის ცხოვრების განუყოფელი ნაწილია, რადგანაც როდესაც ამ სიამოვნებებს ვეძლევით, ვუერთდებით სხვა ადამიანებს, რომლებთანაც ერთად რაღაცას ვზეიმობთ" (1995, 94). ყველას გვახსოვს ბედნიერი მომენტები, როდესაც თავდავიწყებით გადავეშვებით ხოლმე ღმერთის, ოჯახისა და სხვა ადამიანების სიყვარულში.

ეს ნიშნავს, რომ ჩვენ უნდა გავითვალისწინოთ შემდეგი: ადამიანებს ასეთი ზეიმი, ხელოვნება და თაყვანისცემა სისხლსავსე ცხოვრებსათვის სჭირდებათ. სწორედ ამ გზით გრძნობენ ისინი თავს ჭეშმარიტ ადამიანებად. განვითარების სფეროს პრაქტიკოსების უმეტესობა ამას არ ითვალისწინებს. ჩვენ ნამდვილად არ ვართ ხელოვანები ან ლიტურგიკოსები. უნდა ვაღიაროთ, რომ ბევრ ჩვენგანს, ზოგადად, არ შეუძლია ზეიმის განცდა. ჩვენ უკეთესად გამოგვდის პრობლემების გადაჭრა, ვიდრე ზეიმი. ჩვენ მოქმედების ადამიანები ვართ და მიჩვეულები ვართ, რომ ჩვენი აქტივობა შედეგების მისაღებად წარვმართოთ. შესაძლებელია, ჩვენ უფრო პურიტანები ვართ, ვიდრე ეს სჭიროა. შესაძლოა, სწორედ ღარიბებს შეუძლიათ გვასწავლონ, როგორ გავერთოთ და ვიხალისოთ. შესაძლოა, უნდა ვისწავლოთ, როგორ გავიდეთ ჩვენი ეკლესიებიდან ქუჩაში, ვიზეიმოთ და თაყვანი ვცეთ უფალს.

პოეტურ პრაქტიკაზე აქცენტის გაკეთება არ ნიშნავს, რომ ზეიმსა და თაყვანისცემას ყოველგვარი კრიტიკის გარეშე აღვიქვამთ. ზოგი ზეიმი და გართობა არ შეესაბამება ცხოვრების მიზანს და ხელს არ უწყობს კეთილდღეობის წარმოქმნას. ჩემბერსი ჩვენს ყურადღებას იმ გარემოებაზე ამახვილებს, რომ ზოგი დღესასწაული საკმაოდ ძვირი ჯდება და ხშირად იმ ელიტის მიერ არის ორგანიზებული ან დაწესებული, რომელიც ამ გზით ფინანსურ მოგებას იღებს ღარიბების ხარჯზე (1983, 114-30). როდესაც დღესასწაულებსა და თაყვანისცემაზე ვსაუბრობთ, ალბათ, უნდა დავსვათ შეკითხვა, თუ რას ვზეიმობთ და გადავწვიტოთ, რამდენად მისაღებია ეს ქრისტიანული თვალსაზრისიდან. მაშინაც კი, თუ ეს არ შეესაბამება ქრისტიანულ თვალსაზრისს, შეგვიძლია გარკვეული ალტერნატივა შევთავაზოთ მათ. ბენ ჩიტამბარმა, ინდოელმა სოციოლოგმა, რომელიც ინდოეთის სასოფლო-სამეურნეო კოლეჯში საქმიანობს, შემოდგომის მოსავლის ზეიმისათვის სპეციალური ქრისტიანული ჯიხურები დააყენა ინდოეთის სოფლებში ინდუსური ჯიხურების გვერდით. იგი ასეთი უჩვეულო წესით ქადაგებდა ქრისტიანობას და აჩვენებდა, რომ ქრისტიანებსაც შეუძლიათ ზეიმი და უფლისათვის მადლიერების გამოხატვა.

მიზეზების აღმოფხვრა

ინდივიდთა და სოციალური ტრანსფორმაციის პროცესი აბსოლუტურად ლოკალური ხასიათისა ვერ იქნება. ყოველი თემი თუ საზოგადოება იმ სოციალური სისტემების ფარგლებში არსებობს, რომლებიც შეიძლება რეგიონულ,

ნაციონალურ ან გლობალურ დონეზე არსებობდნენ. განვითარების სფეროს სპეციალისტმა და არასამთავრობო ორგანიზაცია ტრენინგისა და სასწავლო ცენტრის INTRAC-ის თანადამფუძნებელმა (გაერთიანებული სამეფო) ალან ფოულერმა საინტერესო დიაგრამა შეიმუშავა (იხილეთ დიაგრამა 6-4), სადაც იგი გვაჩვენებს, თუ როგორაა დაკავშირებული მიკროდონეზე არსებული ტრანსფორმაციული განვითარება საერთაშორისო სოციალურ სისტემებთან (1997, 13). 6-4 დიაგრამის ქვედა ნაწილში ნაჩვენებია თემების უფლებამოსილების გაზრდა, ადგილობრივი ინსტიტუტების გაძლიერება და მდგრადი კეთილდღეობის მიღწევა. ფოულერი მიკროდონეზე არსებულ განვითარებას ნაციონალურ და საერთაშორისო ეკონომიკურ და პოლიტიკურ წყობასთან აკავშირებს. სწორედ ამ მაღალ დონეებზე არსებობენ ადამიანები და ისეთი ინსტიტუტები, როგორებიცაა მსოფლიო ბანკი, საერთაშორისო სავალუტო ფონდი და საერთაშორისო სავაჭრო ორგანიზაცია, რომლებიც ღარიბების ცხოვრებაში ღმერთის როლს თამაშობენ მოშორებული ადგილებიდან. ეს გლობალური ინსტიტუტები იხრებიან უინქის მიერ აღწერილი "დელუზიური იდეებისაკენ."



დიაგრამა 6-4: განვითარების ზომების მიკრო და მაკრო დონეები (ფოულერის ადაპტირებული ვერსია, 1997, 13)

ტრანსფორმაციული განვითარების თეორია, რომელიც არ გულისხმობს უფრო მაღალ დონეზე არსებული სტრუქტურებისა და სისტემების რეფორმირებასა და რესტრუქტურიზაციას, არასრულია. ტრანსფორმაციული განვითა-

რების პროცესი პოლიტიკის ეფექტურ და ღრმა ანალიზსა და ადვოკატირებასაც უნდა მოიცავდეს. ფოულერი სწორად მიუთითებს, რომ მიკროდონეზე განვითარება, რომელიც ადამიანების უფლებამოსილების გაფართოებასა და კეთილდღეობის გაუმჯობესებას ისახავს მიზნად, მაკროდონეზე განვითარებასთან ერთად უნდა ხორციელდებოდეს. ამ დონეზე უნდა მოხდეს ინსტიტუტების რეფორმირება მართვის გაუმჯობესების მიზნით, თუ გვინდა, რომ "სოციალურად სამართლიანი და მდგრადი ეკონომიკა დავამკვიდროთ, რომლის მართვის სისტემების ანგარიშვალდებულება და მათი ინკლუზიურობა გაუმჯობესებულია" (1997, 13).

ფრანსის ო'გორმანი, ბრაზილიელი კათოლიკე ქალბატონი, რომელიც რელიგიურ სფეროში მოღვაწეობს, გვიყვება ამბავს საკუთარი გამოცდილებიდან. ის ბრაზილიელ ღარიბ ქალბატონებთან ერთად ლოცულობდა ფაველასში, ბრაზილიაში, მოგვიანებით კი მათ ერთად ქადაგება დაიწყეს (1992). მან თავისი მოღვაწეობა 1960-იან წლებში დაიწყო. იმ პერიოდში იგი სოციალური დახმარების პროგრამების ფარგლებში მუშაობდა, რომლებსაც "დოლბანდის მიდგომას" უწოდებდნენ და რომლებმაც 1970-იან წლებში ოდნავ შეიცვალა სახე. ამ ეტაპს "ნაკუწებისგან აკრეფილი საბნის" მიდგომას უწოდებდნენ. კორტენისა და ფრიდმანის მიდგომებზე დაყრდნობით ო'გორმანმა თავისი თვალსაზრისი შემოგვთავაზა, რომელსაც იგი "ფუტკრის სკის" მიდგომას უწოდებს და რომელიც მიზნად ისახავდა ღარიბების განათლებას ადამიანთა უფლებების საკითხებში, აგრეთვე ღარიბი ადამიანების ქსელებისა და სოციალური მოძრაობების ჩამოყალიბების ხელშეწყობას. ასეთი განვითარების ბოლო ეტაპს "შუქურის მიდგომა" ეწოდება, რომელიც ყველა მიდგომას "ტრანსფორმაციული სპირალის" სახით გაიაზრებს, რის გავლის შემდეგაც ადამიანების მოქალაქეებად ფორმირება ხდება და მთელი სამყარო ახალ ისტორიას ქმნის (1992, 66). განვითარება და ადვოკატირება მჭიდროდაა ერთმანეთთან დაკავშირებული.

მშვიდობისაკენ სწრაფვა

მშვიდობისა და შერიგების მიმართულებით მუშაობა ქრისტიანული ტრანსფორმაციული განვითარების განუყოფელი ნაწილი უნდა იყოს. მერი ანდერსონმა უაღრესად სასარგებლო დაგეგმვის ჩარჩო შეიმუშავა, რომლის მიზანია ადგილობრივი შესაძლებლობების განვითარება მშვიდობის ხელშეწყობის მიზნით (1999, 74). იგი ამტკიცებს, რომ სოციალური ანალიზის ფარგლებში გათვალისწინებული უნდა იყოს იმ ადგილობრივი ინსტიტუტების, კულტურული ფასეულობების, დამოკიდებულების, ისტორიის, სიმბოლოებისა და დღესასწაულების იდენტიფიცირება, რომლებიც ხელს უწყობს თემის გაერთიანებას ან, პირიქით, ხლეჩს მას. განვითარების პროგრამა ისე უნდა დაიგეგმოს, რომ ხელშემწყობი ფაქტორები გააძლიეროს და უარყოფითი ფაქტორები აღმოფხვრას.

მშვიდობისაკენ მიმართულ ინიციატივებს პროგრამების შეფასებისათვის გამოყენებული მონაწილეობითი მეთოდოლოგიების პრაქტიკაში დანერგვის პროცესიც უწყობს ხელს. ჩვენ შეგვიძლია მოვითხოვოთ, რომ სათემო კომიტეტების შემადგენლობაში შედიოდნენ ქალები და მამაკაცები, ღარიბები და შეძლებულები, ან სხვადასხვა ტომის, ეკლესიისა და რელიგიური ჯგუფების

წარმომადგენლები. World Vision-ის მიერ ინდოეთში, ეთიოპიასა და უგანდაში განხორციელებული განვითარების პროგრამების ფარგლებში შეძენილ გამოცდილებაზე დაყრდნობით შეგვიძლია ვთქვათ, რომ პროგრამების დაგეგმვის ეტაპზე სხვადასხვა ადგილობრივი ინსტიტუტისა და ჯგუფის ჩართვის შედეგად შესაძლებელი გახდა მათი შერიგება და თანამშრომლობისაკენ წარმართვა. (ო'რეილი, 1998). ბოსნიაში ერთ-ერთმა თემმა ომის განმავლობაში განადგურებული წყალმომარაგების სისტემის აღდგენა ითხოვა. თემი, პრაქტიკულად, სამ დამოუკიდებელ წყალმომარაგების სისტემას ითხოვდა, ანუ ყოველი ეთნიკური ჯგუფისათვის ცალკე წყალმომარაგების სისტემა უნდა აეშენებინათ. მშვიდობის შენების ინიციატივიდან გამომდინარე, მსგავსი თხოვნა არ უნდა დაკმაყოფილდეს და მის ნაცვლად ერთი სისტემა უნდა შეიქმნას, რომელსაც სამივე ეთნიკური ჯგუფი უნდა მართავდეს.

ეკლესიის როლის გამყარება

ბევრ თემში არსებობს უფლის ისტორიის განსახიერება, ანუ ეკლესია. ეკლესიაში ვგულისხმობ ადგილობრივ ორგანიზაციას, რომელიც ბიბლიური ღმერთს — მამა ღმერთს, ძე ღმერთსა და სულიწმინდას სცემს თაყვანს და უფლის მცნებებსა და მის ნებას ასრულებს. იქ, სადაც ერთზე მეტი ეკლესიაა, ყველა მათგანს ვგულისხმობთ. ჰოლისტიკური მისია ეკლესიას ეკისრება და არა განვითარების სააგენტოს ან განვითარების სფეროს პროფესიონალს. ტიმ ჩესტერმა, Tear Fund UK-ის წარმომადგენელმა, მიგვითითა, რომ "ახალი აღთქმა არ აღწერს განვითარების პროექტებს ან ევანგელისტურ ინიციატივებს. იგი ქრისტიანულ საზოგადოებასა და თემებზე საუბრობს, რომლებიც გამორჩეულები, მზრუნველები და ინკლუზიურები უნდა იყვნენ. ჰოლისტიკური მისია გულისხმობს, რომ ეკლესია ნამდვილად ეკლესიური უნდა იყოს" (2002, 7). ეს გულისხმობს, რომ როდესაც განვითარების სფეროს პრაქტიკოსი ან სააგენტო ჰოლისტიკურ მისიონერობას ეწევა, უნდა ესმოდეს, რომ იგი ჭეშმარიტად ქრისტიანული მხოლოდ მაშინაა, როდესაც მისიას იესოს ეკლესიის სახელით ახორციელებს. ქრისტიანი აქტივისტები და განვითარების სააგენტოები ერთიანი ეკლესიის ნაწილად უნდა იაზრებდნენ თავს და არა მხოლოდ მისი ლოკალური განსახიერების სახით არსებული ეკლესიის ნაწილად.

მე უკვე ვილაპარაკე ნაკლოვანებებზე, რომლებიც შეიძლება ყველა ეკლესიას ჰქონდეს. მიუხედავად ამისა, ადგილობრივი ეკლესიები უფლის მრევლია, მისი არსებობის დასტურია, მანამდეც არსებობდნენ, სანამ ჩვენ მოვიდოდით და იმის შემდეგაც დარჩებიან, როდესაც განვითარების პროგრამას დავასრულებთ და წავალთ (რაისტრიკი, 2010, 137). ეს ნიშნავს, რომ უფლის მიერ დაწყებული ტრანსფორმაციული პროცესი, რომელსაც უკეთესი მომავლისაკენ მივყავართ, ამჟამადაც მიმდინარეობს. ქრისტიანული ტრანსფორმაციული განვითარება ამ გარემოებას არ უნდა ივიწყებეს და ესმოდეს, რომ უფალმა თავისი სიყვარული და ძალისხმევა უკვე მიმართა საზოგადოების საკეთილდღეოდ. ძალიან ხშირად ქრისტიანული განვითარების პროფესიონალები ეკლესიას უფრო ტრანსფორმაციის ხელშემშლელ ფაქტორად განიხილავენ. არსებობს მოსაზრებები, რომ "ეკლესიამ თავი გაიმიჯნა საზოგადოების დანარჩენი ნაწილისგან," "ეკლესიას არ სჯერა, რომ განვითარება მისი მოღვაწეობის სფეროა," "ეკლესიამ არ იცის, რას აკეთებს," "ეკლესიები მიმდინა-

რე პოლიტიკურ და ეკონომიკურ სისტემას ამყარებენ და ისინი თავად არიან პრობლემის ნაწილი.” მიუხედავად ამისა, ნიუბიგინი ამტკიცებს, რომ სინამდვილეს სახეში უნდა შევხედოთ: “უფალმა ნამდვილად დაგვიტოვა წიგნი, რომელიც არ არის კრედოების ან ფილოსოფიების სისტემა. იგი არც ცხოვრების წესების მშრალი კოდექსია. ეს წიგნი არის რეალური საზოგადოების ისტორია. მან საკუთარი თავი ამ საზოგადოების ხსნას მიუძღვნა. ეკლესიის არსებობა არ არის დამოკიდებული იმაზე, თუ როგორ გვესმის ჩვენ იგი ან გვწამს მისი თუ არა (1954, 21).

ჩვენი მიზანი უნდა იყოს ეკლესიისათვის დახმარების გაწევა, რომ იგი ისეთი იყოს, როგორიც უფალს ჰქონდა განზრახული. ანუ, ჩვენ არ უნდა განვსაჯოთ იგი და/ან არ გამოვრიცხოთ ტრანსფორმაციული განვითარების პროცესიდან. ყველას სჭირდება ტრანსფორმაცია – ჩვენც, ღარიბებსაც და ეკლესიასაც. ჩვენ, ყველა, ტრანსფორმაციის გზას ვადგავართ. “ადგილობრივ ეკლესიებთან თანამშრომლობა და ურთიერთანგარიშგება ჰოლისტიკური მიდგომის ნაწილია და იგი ქადაგებისა და რეალური კონტექსტის სერიოზულად და ღრმად გააზრებას გულისხმობს” (ბედიაკო, 1996ბ, 187). თუ მზად ვართ გვიყვარდეს ღარიბები და მათ გვერდით ვიდგეთ ტრანსფორმაციის გზაზე, მაშინ რატომ არ უნდა ვეხმარებოდეთ ჩვენს ქრისტიან დებსა და ძმებს, რომ იმავე გზისაკენ იარონ? ვინეი სამუელი განვითარების პროცესთან მიმართებით კიდევ ერთ გამოწვევაზე სუბრობს: “რა მოხდება, თუ ჩვენ თემში მონაწილეობის პრინციპებს ეკლესიის განვითარებისა და გაძლიერების პროცესთან მიმართებით გამოვიყენებთ, ისევე როგორც სოფლის მეურნეობის, ჯანდაცვისა და განათლების სფეროს პროექტებთან მიმართებით ვაკეთებთ ამას? როგორ შეიძლება დაგეგმვისა და მართვის შესაძლებლობების განვითარება ადგილობრივი ეკლესიებისა და მორწმუნეების სულიერი ცხოვრების განვითარებისა და მდგრადობის კონტექსტში გამოვიყენოთ?” (1995, 145).

ჩვენ განვითარების ახალი ეკლესიოლოგია გვჭირდება, რომელიც დაგვეხმარება უკეთ გავიგოთ ადგილობრივი ეკლესიების დანიშნულება, რომელთა როლია ადგილობრივი ქრისტიანების გაერთიანება, მათზე ზრუნვა და უფლის ჰოლისტიკური მისიის მოაზრება და ქადაგება. “მესამე ათასწლეულის დასაწყისში მნიშვნელოვანი გამოწვევა, რომელიც ქრისტიანების წინაშე დგას, ახალი ეკლესიოლოგიის პრინციპების ნათლად ჩამოყალიბება და მისი პრაქტიკაში გატარებაა. ეს უნდა იყოს ეკლესიოლოგია, რომელიც ადგილობრივ, განსაკუთრებით კი ღარიბი ადამიანების, ეკლესიებს ჰოლისტიკური მისიის ძირითად დასაყრდენად მოიაზრებს” (პადილა, 2002, 8). ჩვენი პრაქტიკოსები ჭეშმარიტი პროფესიონალები და ადგილობრივი ქრისტიანული საზოგადოების წევრები უნდა გახდნენ და ადგილობრივი ეკლესიის განუყოფელ ნაწილად უნდა იქცნენ. განვითარების სააგენტოებმა უნდა დასახონ გზები, რათა ადგილობრივი ეკლესიების მხარდამჭერები და მისი პარტნიორები გახდნენ. ორივე მხარე ერთმანეთს პატივს უნდა სცემდეს და ერთმანეთის როლს აფასებდეს ტრანსფორმაციის პროცესში. ეს უაღრესად მნიშვნელოვანი უნდა იყოს განვითარების სფეროს პრაქტიკოსებისა და სააგენტოებისთვის საკმაოდ “ეგოისტური” მიზეზის გამოც. რენე პადილამ World Vision-ის ლათინური ამერიკის წარმომადგენლობის პერსონალისთვის ჩატარებულ სემინარზე ძალიან მნიშვნელოვანი გაფრთხილება მისცა მათ: “სეკულარიზაციისაკენ გზას ნამდვილად გავამარტივებთ, თუ ადგილობრივი ეკლესიის როლს სათანადოდ არ დავაფასებთ.”

მდგრადობა

ბოლო წლების განმავლობაში ძალიან ბევრი დაიწერა განვითარების პროცესების მდგრადობის მნიშვნელობაზე. ძალიან ბევრი მაგალითი გვინახავს, რომ განვითარების პროგრამების ფარგლებში ხელშესახები შედეგები იქნა მიღწეული მანამდე, სანამ განვითარების სააგენტოს დაფინანსება იყო გამოყოფილი და მისი პერსონალი ადგილზე მუშაობდა. ძალიან ბევრი პროგრამის შეფასების შედეგებიდან ნათელი ხდება, რომ დაფინანსების დამთავრებისა და პერსონალის გაწვევის შემდეგ თემს არ გააჩნია საკმარისი რესურსი, რომ საკუთარი ძალებით გაართვას თავი იმავე მიმართულებით მუშაობას. ერთ ან ორ წელში ძალიან ძნელია პროგრამის რაიმე გავლენის დანახვა და ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს იგი არც კი განხორციელებულა. ზოგ შემთხვევაში ბევრი რამ, პირიქით, უარესდება კიდევაც, რადგანაც თემი დამოკიდებული ხდება გარეშე რესურსებზე და მისი შესაძლებლობები მცირდება.

განსაკუთრებული სიფრთხილით უნდა მოვეკიდოთ მდგრადობის გააზრების საკითხს. უპირველეს ყოვლისა, უნდა გვესმოდეს, რომ ყველაზე ღარიბ თემსაც აქვს გარკვეული მდგრადობა. ეს რომ არ ჰქონოდა, განვითარების სააგენტოს შემოსვლამდე იგი ვერ იარსებებდა. პრაქტიკული გამოცდილება გვაჩვენებს, რომ ღარიბ თემებს საკმაოდ კარგად შეუძლიათ გადარჩენის მდგრადი სტრატეგიების დასახვა (ჯაიაკარანი, 1996, 8) საკვების, წყლისა და საცხოვრებელის თვალსაზრისით და ისინი გადარჩენას ახერხებენ რთული გარემოს პირობებშიც კი (ჩემბერსი, 1997, 24).

მეორე, რასაც სიფრთხილით უნდა მოვეკიდოთ, ისაა, რომ კარგად უნდა გვესმოდეს – ადამიანების ცხოვრებზე კონტროლი ჩვენს უფლებებსა და შესაძლებლობებს სცილდება. მხოლოდ უფალსა აქვს იესოს მეშვეობით ადამიანთა ცხოვრებაზე კონტროლი და მათი საზრდოობის ძალა. 104-ე ფსალმუნი შეგვახსენებს, რომ უფალმა მოგვცა წყაროები, რათა წყალი გვქონდეს, უფლის წყალობით, ბალახი იზრდება, რათა საკვები მოვიპოვოთ დედამიწაზე, ღვინო გვქონდეს, რომ სიხარულით აღივსოს ადამიანთა გულები, ზეთი, რომ ჩვენი სახე ბრწყინავდეს და პური, რომელიც ადამიანს ასაზრდოებს (ფსალმუნი, 103:14–16). თემების უმეტესობა გარკვეული თვალსაზრისით ისედაც მდგრადია, რადგანაც უფალი ეხმარება მათ.

მესამე: საკუთარ თავს შეკითხვა უნდა დავუსვათ, საკმარისია თუ არა მხოლოდ მდგრადობა. თუკი მდგრადობა მხოლოდ იმას გულისხმობს, რომ რაღაც მუდმივად ხორციელდება ან პროექტის ფარგლებში დაგეგმილი ზომების განხორციელება ჩვენი წასვლის შემდეგაც გრძელდება, ეს საკმარისია? ჩვენც ვცდილობთ, რომ მივაღწიოთ კეთილდღეობის მდგრად ზრდას, განათლებასა და ტრანსფორმაციას, მაგრამ ამის შესახებ ნათლად უნდა განვაცხადოთ. დაბოლოს, მდგრადობა ორი თვალსაზრისით უნდა გავიაზროთ. უპირველეს ყოვლისა, ჩვენ არ გვინდა, რომ ტრანსფორმაციული განვითარების პროცესი ჩვენზე იყოს დამოკიდებული. ეს უარყოფის შემცველი დეფინიციაა, მაგრამ უაღრესად მნიშვნელოვანია, რომ განვითარების სააგენტოს მუდმივად ახსოვდეს. მდგრადობის ასეთი გააზრება არც ისე სასარგებლოა თემისათვის. თემი ჩვენზე არ უნდა იყოს დამოკიდებული, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ თემი და მისი ისტორია ჩვენს გარეშე სრულიად მდგრადია. თემს მდგრადობა სხვაგვარად უნდა ესმოდეს. იმისთვის, რომ ასეთი დეფინიცია ჩამოვაყალიბოთ,

უნდა დავუბრუნდეთ იმ კატეგორიებს, რომლებზეც სიღარიბის დეფინიციის ჩამოყალიბების დროს ვსაუბრობდით. თემის მიერ მდგრადობის გააზრება უნდა მოიცავდეს ფიზიკურ, მენტალურ, სოციალურ და სულიერ ფაქტორებს.

ფიზიკური მდგრადობა

მდგრადობის მოცემული ასპექტი ყველა იმ საბაზისო საჭიროებას მოიცავს, რომლებიც ადამიანის სიცოცხლისათვისაა აუცილებელი: საკვები, წყალი, ჯანმრთელობა, სააარსებო წყარო და მდგრადი გარემო. ადეკვატური საკვები საშუალებების უზრუნველყოფისათვის საჭიროა მდგრადი სოფლის მეურნეობის განვითარება და პროდუქტიულობის გაზრდა იმ ქიმიკატებისა და სასუქების გამოყენების გარეშე, რომლებიც ძალიან ძვირი ჯდება და ნიადაგსა და წყალს ზიანს აყენებს. ადეკვატური სასმელი წყალი ნიშნავს მდგრად და სათანადო ხარისხის წყალმომრაგებას, ასევე, ნალექების მოგროვებასა და ნიადაგქვეშა წყლების ეფექტურ მართვას (სერაგელდინი, 1995). როგორც სოფლის მეურნეობასა და წყალმომარაგებასთან დაკავშირებით მოყვანილი მაგალითებიდან ხდება ნათელი, ფიზიკური მდგრადობა გულისხმობს ადგილობრივი გარემოს იმ პარამეტრების ფიზიკურ მდგრადობას, რომლებიც აუცილებელია ადამიანების გამოსაკვებად და რესურსების მომავალი თაობებისათვის შესანარჩუნებლად. ფიზიკური მდგრადობა, ასევე, გულისხმობს, რომ ადამიანებმა მაქსიმალურად დამოუკიდებლად შეძლონ საკუთარ ჯანმრთელობაზე ზრუნვა. ეს ნიშნავს თემებზე დაფუძნებული მიდგომის განვითარებას. ადამიანებს ხელი უნდა შევუწყოთ, რომ თავად გააკეთონ ის, რაც მათ ძალებშია: გამოიყენონ ადგილობრივი გამოცდილება, ტრადიციული მედიცინის რესურსები და ნაკლებად იყვნენ დამოკიდებულნი ძვირადღირებულ ჯანდაცვის სისტემებზე, როგორც ეს დასავლეთში ხდება.

ფიზკური მდგრადობა ნიშნავს, რომ ხელი შეუწყო ღარიბებს, აწარმოონ დოვლათი. მიკროსაწარმოების განვითარების პროგრამები ღარიბ თემებში კაპიტალის ფორმირებას უწყობს ხელს და ღარიბებს მცირე ბიზნესის გაძღოლას და დანაზოგების დაგროვებასა და მართვას ასწავლიან, რის შედეგადაც იქმნება ეკონომიკური ბაზა, რომლის გარეშეც მდგრადობა წარმოუდგენელია. მიკროდაზღვევა გარკვეულ ბუფერებს ქმნის და იცავს ღარიბებს ბუნებრივი კატასტროფებისაგან, რომლების შედეგადაც მათი ისედაც მწირი აქტივები ზიანდება და კვლავწარმოება მათთვის შეუძლებელი ხდება.

დაბოლოს, განვითარებული ქვეყნების ისტორიიდან დასკვნები უნდა გამოვიტანოთ და გავაანალიზოთ, თუ როგორ მოახერხეს მათ მატერიალური მდგრადობის მიღწევა ჯანდაცვის, სოფლის მეურნეობის, წყალმომარაგებისა და ეკონომიკის სფეროებში. მიუხედავად ამისა, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ხშირად ამის მიღწევა გარემოს მდგრადობის ხარჯზე ხდებოდა (უივერი, როკი და კუსტერერი, 1997, 233–58). ჩვენ საღ და მოქნილ გარემოში ვცხოვრობთ, რომელიც რამდენიმე საუკუნეა გვასაზრდოებს და ტექნოლოგიური და ეკონომიკური განვითარების საშუალებას გვაძლევს (იხილეთ დიაგრამა 2-1). მადლობა უნდა ვუთხრათ უფალს ასეთი სამყაროს შექმნისათვის. მაგრამ, მიუხედავად ამისა, ისიც უნდა გვესმოდეს, რომ უფლის მიერ შექმნილი ეს უნიკალური სამყარო ლოკალურ და გლობალურ დონეებზე მოწვლადია და მის რესურსებსაც აქვს საზღვარი. ჩვენ, როგორც ტრანსფორმაციის სფეროში მოღვაწე ქრის-

ტიანებს, უნდა გვესმოდეს, რომ ასეთი საზღვრები არსებობს და პატივი უნდა ვცეთ ჩვენს სამყაროს და მდგრადად ვისარგებლოთ მისი რესურსით. ფრენსის ბეკონმა, მე-17 საუკუნის ქრისტიანმა ფილოსოფოსმა და ბუნებისმეტყველების ფილოსოფიის ფუძემდებელმა (რომელმაც მეცნიერებების განვითარებას შეუწყო ხელი), ძალიან კარგად ჩამოაყალიბა ეს აზრი: ბუნებას ვერ ვმართავთ, მას შეიძლება მხოლოდ დავემორჩილოთ (ბეკონი, 1620).

მენტალური მდგრადობა

ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ სიღარიბის ყველაზე მძიმე ფორმა "ადამიანის არსებობის" სიღარიბეა. ეს ნიშნავს: ღარიბი ადამიანების შელახული ღირსება დიდ დაღს ასვამს მათ გონებასა და თემის მენტალიტეტს. ადამიანებს სჯერათ სიცრუის ხლართისა. შესაბამისად, იმასაც იჯერებენ, რომ მათი მდგომარეობა უცვლელია და ისინი მუდმივი ტანჯვისათვის არიან განწირულნი. ტრანსფორმაციული განვითარება, რომელიც ადამიანების ფსიქოლოგიური და სულიერი კეთილდღეობის აღდგენას არ ისახავს მიზნად, არ არის მდგრადი. ჩვენ ღარიბებს შელახული ღირსება უნდა აღვუდგინოთ, მათ ისე უნდა მოვექცეთ, როგორც ღირსეულ ადამიანებს, რომლებიც ღვთის ხატების მსგავსად არიან შექმნილნი და რომლებიც ღმერთს უყვარს. ჩვენ უნდა მოვუსმინოთ მათ, რადგან მათაც შეუძლიათ წვლილის შეტანა საზოგადოების ცხოვრებაში. მათ, უბრალოდ, თავად არ ესმით, რამდენად ბევრი იციან. მათ უნდა გავუმყაროთ რწმენა, რომ უფალმა ყველას მიანიჭა უნარი და ნიჭი, რომ წვლილი შეიტანონ საერთო კეთილდღეობაში.

ჩვენ ძალიან ფრთხილად უნდა მოვექცეთ ადამიანების შელახული ღირსების აღდგენის საკითხს. მხოლოდ ის, რომ ადამიანებს დავეხმაროთ თავიანთი ღირსების შელახვის მიზეზის გააზრებაში, არ არის საკმარისი, ეს ჯერ კიდევ არ ნიშნავს ადამიანის ტრანსფორმაციას. ამასთან დაკავშირებით საინტერესოა ინდოეთის დალითების საბჭოების მოძრაობა. წლების განმავლობაში დალითები ჩაგვრის პირობებში ცხოვრობდნენ, მაგრამ შემდეგ ეს ვითარება შეიცვალა. ამჟამად დალითები ამაყობენ თავიანთი კულტურით, ისტორიითა და იმ ცვლილებებით, რომლებსაც მიაღწიეს. დალითების ისტორიისა და კულტურის მაგალითზე დაყრდნობით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ტრანსფორმაციას უფრო მეტი სიკეთე მოაქვს, ვიდრე ტრაგიკული ისტორიული ნარატივის განმეორებას. მსხვერპლის მდგომარეობაში დარჩენა და ამ ნარატივის განმეორება ღარიბების ღირსებას ბევრად აკნინებს (მალანესი, 2009).

ადამიანების გონების სიცრუის ტყვეობიდან გამოყვანა მენტალური მდგრადობის ძალიან მნიშვნელოვანი ელემენტია. ადამიანების დახმარება, რათა მათ სამყარო უკეთ შეიცნონ, საკუთარ შესაძლებლობებში დარწმუნდნენ და სუსტი მხარეები უკეთ გააცნობიერონ, მენტალური ტრანსფორმაციის ნაწილს წარმოადგენს. ადამიანებისათვის იმის სწავლება, როგორ შეაფასონ საკუთარი ძალისხმევა და გაითვალისწინონ გამოცდილება, მათი უფლებამოსილების ზრდას უწყობს ხელს, რაც, თავის მხრივ, ტრანსფორმაციის მდგრადობის ხელშემწყობი ფაქტორია. საბოლოო ჯამში, ადამიანების სწავლება მათი შესაძლებლობების განვითარების საწინდარი და ნებისმიერი ტრანსფორმაციული პროცესის მნიშვნელოვანი ნაწილია. ამ პროცესის საბოლოო მიზანია, რომ ღარიბებმა საკუთარი შესაძლებლობები ირწმუნონ და მხოლოდ განვითარე-

ბის სააგენტოების იმედით არ იყვნენ. თუ მათ დაიჯერეს, რომ ჩვენ ვართ განვითარების ხელშემწყობები, ეს ნიშნავს, რომ ჩვენ ვერ მოვახერხეთ მენტალიტეტის მდგრადობის მიღწევა, არამედ, პირიქით, ეს ადამიანები ჩვენზე დამოკიდებულები გავხადეთ და კიდევ უფრო გავაღრმავეთ მათი სიღარიბე.

სოციალური მდგრადობა

მდგრად სისტემებზე საუბრის კონტექსტში კვლავ მინდა ვახსენო კორტენისა და ფრიდმანის ალტერნატიული განვითარება (1990, 218), რომელიც ადგილობრივ რესურსებზე გარკვეული კონტროლის დაბრუნებას გულისხმობს. ადგილობრივ რესურსებში იგულისხმება ბუნებრივი რესურსებიცა და ინფორმაციაც, რომლებიც ადამიანებს სჭირდებათ გადაწყვეტილებების მისაღებად, რაც თემის მიერ კარგი არჩევანის გაკეთებას და, შესაბამისად, მდგრადობას შეუწყობს ხელს. კორტენი მოგვიწოდებს მდგრადი განვითარების სისტემების შექმნისაკენ, რომლებიც უნდა შედგებოდნენ ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციებისაგან, კერძო და სახელმწიფო სექტორისგან და ყველა იმ სისტემური რგოლისაგან, რომლებიც თემსა და გადაწყვეტილებების მიღების უფლებამოსილების მქონე პირებს აკავშირებს ერთმანეთთან, რადგანაც ამ უკანასკნელების მიერ მიღებული გადაწყვეტილებები გავლენას ახდენს თემის კეთილდღეობაზე. ეს ნიშნავს, რომ ადგილობრივ დონეზე პოლიტიკურ პროცესებში მონაწილეობა უნდა გაფართოვდეს, უნდა დაინერგოს თვითდახმარების პრაქტიკა და ადამიანების უფლებამოსილების გაზრდის ხელშეწყობა. რადგანაც კორტენს მიაჩნია, რომ დედამიწა უსასრულოდ ვერ გაუძლებს ეკონომიკურ ზრდასა და ჭარბ მოხმარებას, იგი ეკონომიკური ზრდის, როგორც განვითარების მოდელის, მოწინააღმდეგედ გამოდის (1990, 132). ალტერნატიული განვითარების შესახებ მისი თეორია გულისხმობს, რომ განვითარებამ უნდა დაძლიოს დღევანდელი ნეოლიბერალური ეკონომიკური გლობლიზაციის ტენდენცია და, გარკვეულწილად, მისგან დამოუკიდებლად ხორციელდებოდეს.

ფრიდმანის უფლებამოსილების გაზრდის მიდგომა აქცენტს აკეთებს ადგილობრივ დონეზე გადაწყვეტილებების მიღებაზე, საკუთარ შესაძლებლობებზე დაყრდნობაზე, ადგილობრივი მოსახლეობის მონაწილეობაზე დემოკრატიულ პროცესებში და სოციალურ განათლებაზე, მაგრამ იგი ურიგდება "გლობალური ეკონომიკური ძალების, დოვლათის არათანაბარი გადანაწილების ხელშემწყობი სტრუქტურებისა და ანტაგონისტური კლასების " არსებობას, როგორც რაღაც გარდაუვალს (1992, viii). შესაბამისად, ფრიდმანის აზრით, საჭიროა მდგრადი სოციალური სისტემების ჩამოყალიბება და მათი პოლიტიკურ ძალად ტრანსფორმირება, "რათა ისინი ჩაერთონ ემანსიპაციისათვის ბრძოლაში უფრო მაღალ, ანუ ნაციონალურ და საერთაშორისო დონეებზე." მდგრადი სოციალური სისტემები და ღარიბების დახმარება, რომ მათ პოლიტიკური წონა შეიძინონ, სოციალური მდგრადობის ორ განუყოფელ მიმართულებას წარმოადგენს.

ლონდონში აფრიკელების უფლებების საკითხებზე მომუშავე ორგნიზაციის დირექტორი და ჰუმანიტარული დახმარების დიდი კრიტიკოსი ალექსი დე ვაალი ამტკიცებს, რომ ჰუმანიტარული დახმარება უნდა ეხმარებოდეს ღარიბების სურვილს, მონაწილეობა მიიღონ პოლიტიკურ პროცესებში

და მათ მოთხოვნას, რომ ხელისუფლება უფრო ანგარიშვალდებული გახდეს, რაც ჭეშმარიტი განვითარების შედეგია. სოციალური მდგრადობა უნდა გულისხმობდეს სოციალურ საკითხებზე მომუშავე ადგილობრივი ორგანიზაციების ჩამოყალიბებას ან არსებული ორგანიზაციების მხარდაჭერას (დე ვაალი, 1997, 219). ადამიანებს უნდა განუმტკიცდეთ რწმენა, რომ, როგორც უფრო დიდი პოლიტიკური საზოგადოების ნაწილს, მათ აქვთ უფლებები, რომელთა დაცვა უნდა მოითხოვონ. ეს უფლებებია: მდგრადი განვითარება, საარსებო საშუალებების მდგრადობა და სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებები. მათი უფლებაა იცოდნენ, რომ ჰუმანიტარული სამართალი და ადამიანთა უფლებები მათზეც ვრცელდება (1997, 8).

ბოლო პერიოდში დაიწყო სოციალური მდგრადობის კონტექსტში *სამოქალაქო საზოგადოების განხილვა*. მოცემული ტერმინით მოიხსენიებენ არაკომერციულ ორგანიზაციებს ან მოქალაქეთა ნებაყოფლობით გაერთიანებებს, მაგალითად, განვითარების სააგენტოებს, გარემოსდაცვით ორგანიზაციებს, მომსახურების მიმწოდებელ ჯგუფებს, სპორტულ კლუბებს, რელიგიურ ჯგუფებს, ფერმერთა ასოციაციებს, თვითდახმარების ჯგუფებს და სხვა. ფრიდმანის აზრით, სოციალური ორგანიზაციები და ქსელები ორი ძირითადი საშუალებაა, რომელთა მეშვეობითაც თემებს საკუთარი სოციალური უფლებამოსილების გაფართოება შეუძლიათ (იხილეთ დიაგრამა 5-4); (ფრიდმანი, 1992, 68–69).

სამოქალქო საზოგადოება არის ის წერტილი, სადაც მიკროსაწარმოების განვითარება, პოლიტიკური უფლებამოსილების გაზრდა და სოციალური ორგანიზაციები იკვეთება. ეს ჯგუფები წარმოადგენს სოციალურ კაპიტალს, რომელიც, ეკონომიკურ და ადამიანურ კაპიტალთან ერთად, საზოგადოების პროდუქტიულ კაპიტალს წარმოადგენს (უივერი, როკი და კუსტერერი, 1997, 208). სამოქალაქო საზოგადოება შეიძლება გახდეს ხიდი, რომელიც გადებულია მიკრო და მაკრო დონეებზე განვითარების ზომებს, თემსა და რეგიონალურ, ნაციონალურ და გლობალურ პოლიტიკურ და ეკონომიკურ სტრუქტურებს შორის (იხილეთ დიაგრამა 6-4).

ალან უეითსი მიუთითებს, რომ სამოქალაქო საზოგადოების როლის ასეთი გააზრება დე ტოკვილისეულ გააზრებას ჰგავს, რომლის შესაბამისადაც, სამოქალაქო საზოგადოება სოციალური პროდუქტია, რომელიც ძლიერი თანამედროვე სახელმწიფოს კონტრბალანსის როლს ასრულებს (უეითისი, 1996). დავამატებ, რომ იგი, ასევე, თავისუფალი ბაზრების კონტრბალანსის სახით მოქმედებს. პარადოქსი იმაშია, რომ განვითარების სფეროში მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციების უმეტესობა სუსტი სახელმწიფოებისა და ეკონომიკების პირობებში ფუნქციონირებენ. ეს ნიშნავს, რომ არასამთავრობო ორგანიზაციებმა შესაძლოა, გარკვეულწილად, სახელმწიფო ჩაანაცვლონ ღარიბებისათვის სოციალური მომსახურების შეთავაზების სფეროში, რაც ყოველთვის კარგ შედეგს ვერ მოიტანს, რადგანაც ისინი სახელმწიფოს ფუნქციებს ითავსებენ, რაც მდგრადობისათვის ახალ ბარიერებს ქმნის.

სოციალური მდგრადობის ქრისტიანული გააზრება ისეთი თეოლოგიის განვითარებას მოითხოვს, რომელიც ქრისტიანების ინდივიდუალურ როლსა და მოხალისეთა ქრისტიანული ორგანიზაციების როლს განსაზღვრავს ამ საზოგადოების ჩამოყალიბებასა და განვითარებაში. ეს თემა ჯაიაკუმარ ქრისტიანმა და უოლტერ უინქმა საინტერესოდ განავრცეს. სოციალური სისტემე-

ბი, მათ შორის სამოქალაქო საზოგადოება, ის სფეროებია, რომლებსაც პოლმა ძალაუფლებისა და მანკიერების გავლენის სფერო უწოდა. მისი აზრით, სოციალური სისტემები აუფასურებენ და არყევენ ადამიანთა ცხოვრების ფუნდამენტურ ჭეშმარიტებებს. ისინი ქმნიან სიცრუეს, რომელიც სოციალური სისტემების მეშვეობითაა გამყარებული. ამის შედეგია სოციალური სისტემებისადმი მატერიალისტური მიდგომა და მათი მისიის არასწორად გააზრება.

სამოქალაქო საზოგადოების ქრისტიანული გააზრება არ უნდა ტოვებდეს თავისი მხედველობის არიდან იმ გარემოებას, რომ სოციალურ სისტემებს სულიერი შინაარსი და დატვირთვა აქვთ. სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბებისა და სოციალური უფლებამოსილების გაზრდის მიმართულებით მუშაობა გულისხმობს, რომ ჩვენ იმ სულიერი ძალების წინააღმდეგაც უნდა ვიმოქმედოთ, რომლებსაც არ უნდათ, რომ ღარიბების უფლებამოსილება გაიზარდოს ან დაინტერესებული არიან, რომ ეკლესიამ არ დაიმკვიდროს გარკვეული როლი სეკულარულ სამყაროში. ამგვარად, ჩვენ თემების ორგანიზების, ინსტიტუციური განვითარებისა და პოლიტიკური ღონისძიებების გარდა, სოციალური მდგრადობის ხელშემწყობი სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბების მიმართულებითაც უნდა ვიმუშაოთ, ეს კი სულიერი სფეროს ინსტრუმენტების გამოყენებით უნდა განხორციელდეს.

დაბოლოს, სამოქალაქო საზოგადოების გაძლიერება უნდა გულისხმობდეს "ადამიანებისათვის განვითარების თავისუფლების მინიჭებას" (უივერი, როკი და კუსტერერი, 1997, 220). ტრანსფორმაციული განვითარება, რომელიც არ მოიცავს ისეთ სფეროებს, როგორებიცაა მშვიდობის ხელშეწყობა, ადამიანთა უფლებები და დემოკრატიული მონაწილეობა, ძალიან ვიწროა თავისი არსით. კონფლიქტის პირობებში მცხოვრები საზოგადოების განვითარება ისე უნდა ხორციელდებოდეს, რომ ხელი შეუწყოს დაძაბულობის შემცირებასა და ადგილობრივი სამშვიდობო ინიციატივების გამყარებას (ანდერსონი, 1996ბ). ზოგის აზრით, ადამიანთა უფლებები და დემოკრატია დასავლური ცნებებია. ის, რომ ეს ტრადიციები სრულიად შეესაბამება ბიბლიურ სულისკვეთებას (იხილეთ სტასენი, 2008, 405; უოლტერსტროფი, 2008, 313-14), ამ ცნებების ქრისტიანების განვითარების მიმართულებით მოღვაწეობის დღის წესრიგში დაყენებას ამართლებს. შესაბამისად, შემთხვევითი არაა, რომ ეს ცნებები ებრაულ-ქრისტიანულ კლუტურებსა და ტრადიციებში იჩენს თავს. რასაკვირველია, შეიძლება წარმატებით გავმართოთ დებატები ინდივიდუალური უფლებების საზოგადოების უფლებებთან დაბალანსების აუცილებლობის თაობაზე, მაგრამ ძნელი წარმოსადგენია სამოქალაქო საზოგადოების განვითარება შეკრების, სიტყვის, რელიგიური მრწამსის თავისუფლებისა, გადაწყვეტილებების მიღებისა და არჩევანის თავისუფლების გარეშე, რადგანაც ეს ყოველივე ადამიანების მომავლზე ახდენს ზეგავლენას.

უეითსი ჯან ფრანსუა ბაიარი სამოქალაქო საზოგადოების ნებისმიერი ფორმითა და გამოვლინებით უპირობო მხარდაჭერის წინააღმდეგ გამოდის (უეითსი, 1996, 242). სამოქალაქო საზოგადოება, რომელიც ქვეყნებსა ან საზოგადოებებში ეთნიკური ან რელიგიური ნიშნით ადამიანების დაყოფას უწყობს ხელს, არ უნდა იყოს მისაღები ქრისტიანული განვითარების ჩარჩოსათვის, რომლის ფუნდამენტური იდეაა, რომ ყველა ადამიანი უფლის ხატების მსგავსადაა შექმნილი და რომ კულტურათა ნაირსახეობა უფლის საჩუქარია და არა საზოგადოებების გახლეჩის საბაბი.

სულიერი მდგრადობა

სულიერი მდგრადობა იწყება იქიდან, რაც, ერთი შეხედვით, შეიძლება წინააღმდეგობრივად მოგვეჩვენოს. საზოგადოებას უნდა ესმოდეს, რომ იგი არ არის დამოკიდებული განვითარების სააგენტოზე, მას უნდა სჯეროდეს, რომ უფალზეა დამოკიდებული. არავინ არ არის დამოუკიდებელი. ჩვენ, ყველა, უფალზე ვართ დამოკიდებული, მიუხედავად იმისა, ვაცნობიერებთ ამ გარემოებას თუ არა. საუკუნეების განმავლობაში ადამიანების დილა უფლისადმი აღმართული ლოცვით იწყებოდა: "მადლობა, უფალო, რომ ღდღევანდელი დილა გამითენე." საბედნიეროდ, სამხრეთის ღარიბ თემებში უფრო შენარჩუნებულია ეს რწმენა, ვიდრე დასავლეთში მცხოვრები ადამიანების უმეტესობაში.

სულიერი მდგრადობის კიდევ ერთი ასპექტია რელიგიური ორგანიზაციების წვლილი საზოგადოების განვითარებაში. ეკლესიებში, მეჩეთებსა და ტაძრებში ღირებული ტრადიციების დაცვა და შენარჩუნება ხდება, რომელთა გარეშეც ადამიანთა საზოგადოება ვერ იფუნქციონირებს. ისეთი გადაწყვეტილებების მისაღებად, როგორებიცაა ქალების ჩართვა თემების მიერ გადაწყვეტილებების მიღების პროცესში, ჩვილი გოგონების მოკვლის ტრადიციის აღმოფხვრა, "სხვა" ადამიანებთან თანაარსებობისა და თანამშრომლობის ხელშეწყობა, ვერ განხორციელდება ფასეულობების შეცვლის გარეშე. ასეთი ტრანსფორმაცია ყველაზე ეფექტურად რელიგიურ ორგანიზაციებსა და რწმენას შეუძლია. ასეთი გარდაქმნის საფუძველია მონანიება და მიტევება, რაც შერიგების წინაპირობაა. სწორედ ამაშია რელიგიური საზოგადოების მისია.

იმის მიუხედავად, რომ სხვადასხვა რელიგიის მიერ განვითარებაში შეტანილ წვლილში გარკვეული განსხვავებები არსებობს, რელიგიურმა ადამიანებმა, რომლებსაც საკუთარი საზოგადოების კეთილდღეობა აინტერესებთ, თავ-თავიანთი წვლილი უნდა შეიტანონ საზოგადოების განვითარებაში, თუ გვინდა, რომ ტრანსფორმაცია მდგრადი იყოს. ქრისტიანებისთვის ეს ნიშნავს საკუთარი პრივილეგიების დათმობასა და სხვა ადამიანების გვერდით მოღვაწეობას. თუ ჩვენი ისტორია ჭეშმარიტი ისტორიაა და ჩვენი ღმერთი ჭეშმარიტი ღმერთია, სხვა ადამიანების სამსახურში უნდა ჩავდგეთ და გვწამდეს, რომ უფალი ჩვენი დახმარებისათვის იღვწის. როგორც ქრისტიანებისათვის, ჩვენთვის რთულია საზოგადოების მდგრადი განვითარების მიღწევა, თუ ეკლესია არ არის ამ განვითარების ნაწილი და არ მოქმედებს, როგორც უფლის განსახიერება, მისი არსებობის ნიშანი და იმის დასტური, რომ უფალს ჩვენთვის უკეთესი მომავალი სურს. სწორედ ამაშია ეკლესიის როლი. მისი მოქმედებები უფრო მრავლისმთქმელი უნდა იყოს, ვიდრე მისი სიტყვები. ეკლესია მხოლოდ ის ადგილი კი არაა, სადაც ქრისტიანები იკრიბებიან, არამედ ის ადგილია, სადაც ქრისტიანები სწავლობენ, თვალს უსწორებენ გამოწვევებს და საზოგადოების საკეთილდღეოდ მოქმედებენ, როგორც სახარება მოგვიწოდებს (იხილეთ დიაგრამა 6-5).

ტრანსფორმციული განვითარების გარკვეულ სფეროებში ყველაზე მნიშვნელოვანი წვლილის შეტანა მხოლოდ ეკლესიას შეუძლია. უპირველეს ყოვლისა, ეკლესიის როლი ტრანსფორმციულ განვითარებაში იგივეა, რაც ჩვენი: საზოგადოების სიყვარული, მისი მხარდაჭერა და არა მისი განსჯა.



დიაგრამა 6-5: ეკლესია მეტია, ვიდრე, უბრალოდ, შენობა

"ეკლესია შეიძლება იყოს თემის მსახური და ეხმარებოდეს ამავე თემს ქარისა და წყლის ძალის დამორჩილებაში ტექნოლოგიების მეშვეობით, რათა მისი ცხოვრება გაადვილდეს. ეკლესია შეიძლება ზეიმობდეს, თემის სხვა წევრებთან ერთად, ერთად სამყაროს შექმნის საოცრებას, ან მათ მხარდამხარ მუშაობდეს უკეთესი სოციალური წყობის მისაღწევად. თუ ეკლესია ყველა ამ პროცესის სათავეში დგას, მაშინ იგი საზოგადოებას ემსახურება და იესოს მიერ გათავისუფლებულ შემოქმედებით ენერგიას სამყაროს გაუმჯობესებისა და იმ სტრუქტურების ღმერთთან დაახლოებისაკენ წარმართავს, რომლებმაც გადაუხვიეს უფლის მიერ დასახულ თავდაპირველ გზას" (მაგგაი, 1994, 72).

მეორე: ეკლესია პრაქტიკოსი ჰოლისტიკოსებისათვის შთაგონების წყარო უნდა იყოს, როდესაც ისინი მთელი საზოგადოების კეთილდღეობისაკენ მიმართულ ღონისძიებებს ახორციელებენ. ადამიანები, რომლებიც უფლის სიტყვას კითხულობენ და მისი წესების დაცვით ცხოვრობენ, როდესაც კეთილდღეობისა და შალომის მისაღწევად მოღვაწეობენ, ეკლესიის მიერ უნდა იყვნენ შთაგონებულნი. ეკლესია შეიძლება უფრო ტრანსფორმაციული იყოს; იგი ადამიანებისათვის სიყვარულის წყარო, მაგალითი და წინასწარმეტყველი უნდა იყოს. ნიუბიგინმა ეს კარგად გამოხატა: "ეკლესიის, როგორც სამართლიანობისა და მშვიდობის მქადაგებლისა და ხელშემწყობის, ძირითადი დანიშნულებაა არა მხოლოდ ქადაგება, არამედ იმ ადამიანების მხარდაჭერა, რომლებიც პასუხისმგებლობით მოქმედებენ არა მხოლოდ რელიგიურ, არამედ საერო სფეროშიც და მათზე დაკისრებულ მოქალაქეობრივ ვალს ასრულებენ" (ნიუბიგინი, 1989, 139).

მესამე: ეკლესიამ, როგორც სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციამ, შეიძლება მნიშვნელოვანი როლი შეასრულოს ადამიანების სოციალური და ეკონომიკური ძალაუფლების მისაწვდომობის გაუმჯობესებაში. მსოფლიოს ბევრ ქვეყნაში, მათ შორის ამერიკის ქალაქებში, ადგილობრივი ეკლესია, პრაქტიკულად, ერთადერთი ორგანიზაციაა, რომელიც სამოქალაქო საზოგადოების ფუნქციას ითავსებს. გლოს-ანჯელესში საკმაოდ შემოქმედებითად მიუდგნენ ფინანსური ინსტიტუტების არსს და ეკლესიების როლს, რის შედეგადაც ეკლესია გარკვეულ დამაკავშირებელ რგოლად იქცა ღარიბ მრევლსა და ფინანსური მომსახურების კომპანიებს შორის, რომლებიც თავს იკავებდნენ საკუთარი ოფისების გახსნისაგან ღარიბ უბნებში (ფონდაშიანი, ტუფანო და უოკერი, 1999, 57).

მეოთხე: ქადაგებითა და მოძღვრებით ეკლესიამ შეიძლება ადამიანებს ასწავლოს, გაანათლოს და ანუგეშოს. ტრანსფორმაციული განვითარება მძიმე ამოცანაა, გარდაქმნებისაკენ გზა ყოველთვის ადვილი როდია. ღარიბებსა და დაჩაგრულებს სიყვარული და მზრუნველობა ესაჭიროებათ, რადგანაც მათ ისედაც ბევრი ტანჯვა და საზრუნავი აქვთ. ეკლესია ის ადგილია, სადაც მათი კეთილი სიტყვა უნდა გაიგონ. მათ უნდა ვუთხრათ, რომ უფალს უყვარს ისინი, რომ მათაც მნიშვნელოვანი წვლილი აქვთ შესატანი საზოგადოების კეთილდღეობაში. შეძლებულებსაც სჭირდებათ ეს სიყვარული, მაგრამ მათ უფლის სიტყვა უნდა შევასმინოთ და გავაგონოთ, თუ ვინ უნდა იყვნენ ისინი სინამდვილეში. დაბოლოს, ეკლესია სულიერების წყარო უნდა იყოს თემისათვის, უნდა ეხმარებოდეს იმათ, ვინც ტრანსფორმაციული განვითარების მისაღწევად მოღვაწეობენ.

მეხუთე: ეკლესია წინასწარმეტყველური ხმა უნდა იყოს, რომელიც გზავნილი იქნება იმ ადამიანებისათვის, რომლებიც უარს ამბობენ დაინახონ და გაიგონონ ჭეშმარიტება. ზოგჯერ, არასათანადო სახელმწიფო პოლიტიკის პირობებში, ღარიბ სოფლებზე ზეგავლენის თვალსაზრისით რეალური ისტორია უფრო მრავლისმთქმელია და უფრო დიდ ზეგავლენას ახდენს ადამიანებზე, ვიდრე მსოფლიო ბანკის ეკონომიკური კვლევები. ზოგჯერ ეკლესიის გზავნილი მიმართული უნდა იყოს საზოგადოების შეძლებული ნაწილისადმი. ზოგჯერ ეკლესია შეიძლება იყოს ის ინსტიტუტი, რომელიც მიუღებელ სახელმწიფო პოლიტიკაზე საუბრობს სწორედ იმ ადგილებში, სადაც ასეთ პოლიტიკურ გადაწყვეტილებებს იღებენ. დაბოლოს, ეკლესია ბიბლიური ისტორიის ჰერმენევტიკულ მოაზრებას და მის ადამიანებამდე მიტანას უზრუნველყოფს, რადგანაც ეს ისტორია კონკრეტულ დროს, ადგილსა და კულტურას მიესადაგება.

ეკლესია არის საზოგადოების შიგნით არსებული საზოგადოება, რომელსაც უფლის ხმა მიაქვს ადამიანებთან. იგი მისი წესების შესაბამისად ცხოვრობს და მაგალითს იძლევა. ეს არის საზოგადოება, რომელმაც იცის ჭეშმარიტი ისტორია და შეუძლია სიცრუის ხლართი დაამარცხოს ამ ჭეშმარიტებით.

ჰოლისტიკური მიდგომა

როდესაც ადამიანთა ტრანსფორმაციის სფეროში ვმუშაობთ, უნდა ვისწავლოთ ჰოლისტიკურად აზროვნება და მოქცევა.

მთლიანი ისტორია

ჩვენ მთლიანი ისტორია უნდა გვახსოვდეს, რათა ბიბლიური ამბავი მხოლოდ ოთხ სახარებამდე არ დავიყვანოთ. ბიბლიური ნარატივი ერთი მთლიანი ისტორიაა, რომელიც იწყება სამყაროს დაბადებით და გრძელდება ისრაელისადმი მოწოდებით, რომელიც განდეგილობაში წავიდა. ბიბლიური ისტორია გრძელდება იესოს სიკვდილითა და მკვდრეთით აღდგომით. იგი საუბრობს ეკლესიაზე, ხოლო ისტორიის დასასრულს მეორედ მოსვლაა აღწერილი. ბიბლიური ნარატივი ჩვენი სამყაროს ისტორიაა, რომელშიც მატერიალური და სულიერი ასპექტები ერთმანეთისაგან განუყოფელია, სამყაროა, რომელშიც ადამიანები და სოციალური სისტემები არსებობენ. თუ ჩვენ ამ ისტორიას შევკვეცთ, მის არსსა და მნიშვნელობას ვერ გავიგებთ. იესოს ისტორია სამყაროს დასაბამიდან იწყება და მისი მეორედ მოსვლით სრულდება.

სახარების ძირითადი გზავნილი

სახარება ადამიანთა ცხოვრების, მათი ქმედებების, სიტყვისა და ნიშნების განუყოფელი ერთობლიობაა. ჩვენ უნდა დავიწყოთ საუბარი იესოდან (სიტყვა), დავეხმაროთ და განვკურნოთ (საქმე) და დემონები განვდევნოთ (ნიშანი). სახარების ასეთი ჰოლისტიკური მოაზრება ჰიბერტის მიერ შემოთავაზებულ სამივე დონეს მოიცავს: ჭეშმარიტ სიტყვას, მოქმედებასა და ძლევამოსილებას. ბიბლიის გზავნილის ყველა ჭრილი ერთმანეთს მნიშვნელობას სძენს და ამდიდრებს. ჩვენი ცხოვრება და საქმიანობა ჩვენს სიტყვებს წონას ჰმატებს. ჩვენი სიტყვები ეხმარება ადამიანებს, ჩვენი ცხოვრება და საქმიანობა გაიგონ. სიცოცხლე, სიტყვა და მოქმედებები იმის დადასტურებაა, რომ ჩვენ გვერდით ჩვენზე უფრო დიადი და ძლევამოსილი ძალა მოქმედებს.

ჩვენ სხვადასხვა გზით უნდა შეგვეძლოს სახარებისეული გზავნილის ადამიანებამდე მიტანა იმ სახით, რომელიც მათ იმ მომენტში ესაჭიროებთ, მაგრამ დროთა განმავლობაში მათ სახარების ყველა ასპექტი უნდა გავაცნოთ, რათა იესოს ამბავი სრულად გააცნობიერონ. ხშირად ტრანსფორმაციული განვითარების პროცესი უფლის ღვაწლის დანახვებით იწყება. ურთიერთობების განვითარებასთან ერთად ის, თუ როგორ ვცხოვრობთ და როგორ ვექცევით ადამიანებს, ჩვენი ცხოვრების წესის დადასტურებაა. ლოცვა არის ადამიანებისთვის იმის შეხსენება, რომ უფალი ყველა იმ სიკეთის წყაროა, რომლებიც ჩვენს საზოგადოებაში მოედინება და სასწაულისა, რომელიც დრო დადრო ხდება. დიახ, ეკლესია ყოველივე ამის ნიშანია. შეკითხვაზე, "რატომ ხარ ამქვეყნად?" ან "რატომ გაწირე თავი ჩვენნაირებისათვის?" პასუხი სახარების სიტყვაა. თუ ვეცდებით, რომ ტრანსფორმაციას მხოლოდ სახარების გზავნილის რომელიმე ერთი ასპექტის გათვალისწინებით მივაღწიოთ, სახარებისეულ გზავნილს ძალიან დავავიწროვებთ და იესოს პიროვნების არსს არასრულად წარმოვაჩენთ.

ადამიანის არსისადმი ჰოლისტიკური მიდგომა

დიაგრამა 6-3 ადამიანის ჰოლისტიკური მოაზრების ილუსტრაციაა. ადამიანის არსს ვერ შევიმეცნებთ, თუ მას ურთიერთობებისაგან განცალკევებით განვიხილავთ. ეს არის უფალთან, საკუთარ თავთან, საზოგადოებასთან, "სხვებთან" და გარემოსთან ურთიერთობები. ადამიანი განუყოფელია იმ სოციალური სისტემისაგან, რომელშიც იგი ცხოვრობს და საქმიანობს.

დროის აღქმისადმი ჰოლისტიკური მიდგომა

მნიშვნელოვანია, რომ დროც ჰოლისტიკურად აღვიქვათ და ერთმანეთისაგან არ გავმიჯნოთ წარსული, აწმყო, მომავალი და მარადიულობა. ადამიანების წარსული შეიძლება ტრანსფორმაციის ბარიერი გახდეს. ის ტრანსფორმაციის ბარიერად შეიძლება იქცეს, თუ არ გავიაზრებთ, რომ მომავალი ბევრად განსხვავებული იქნება აწმყოსაგან, ასევე, შეცდომა იქნება, თუ ჩვენს თანამედროვე ისტორიას (წარსული, აწმყო და მომავალი) იმ დროისაგან გავმიჯნავთ, რომელშიც უფლის უფრო დიდი ისტორია იშლება (მარადიულობა). შემდგომი 50 წლისათვის ტრანსფორმაციული განვითარების გეგმები ადამიანების განვითარების ისტორიისა და ჩვენი საბოლოო დანიშნულების ადგილის გათვალისწინებით უნდა შემუშავდეს.

ადამიანის სულიერი მდგომარეობა და გონების განწყობილება

მინდა ჰოლიზმთან დაკავშირებით საბოლოო კომენტარი გავაკეთო. ჰოლიზმი, უმეტესწილად, ადამიანის გონების განწყობაა. ჰოლიზმი განვითარების სფეროს პრაქტიკოსისათვის ჩვევა, ცხოვრების, აზროვნებისა და მოქმედებების წესი უნდა გახდეს. გონების ასეთი განწყობის შექმნა უაღრესად მნიშვნელოვანია, რადგანაც თავად პროგრამისაგან ჰოლიზმს ვერ მოვითხოვთ. ტრანსფორმაციული განვითარების ფარგლები ვერ მოიცავს ყველა პრობლემასა და დონეს. ეს ნიშნავს, რომ ჰოლიზმის საუკეთესო გამოცდა ნეგატიური გამოცდაა. ანუ: თუ არანაირი მუშაობა არ მიმდინარეობს სულიერი ფასეულობების გაღრმავებაზე, ეკლესიის განვითარებაზე, არ კეთდება აქცენტი ადამიანთა იდენტობის აღდგენასა და დანიშნულების განსაზღვრაზე, მაშინ პროგრამის ჰოლისტიკურობა ეჭვქვეშ დგება. შემდეგი ნაბიჯია განვითარების ხელშემწყობ სააგენტოებსა და ადამიანებთან საუბარი. თუ მათი მიდგომები და აზროვნება არ არის ჰოლისტიკური, მაშინ პრობლემური სიტუაცია იქმნება.

ტრანსფორმაციული განვითარების ჩარჩო

აქამდე გამოხატული ყველა იდეის გაერთიანებით ჩამოვაყალიბეთ ტრანსფორმაციის ჩარჩო, რომელიც ადამიანების საუკეთესო მომავლისაკენ — უფლის სასუფევლისაკენ – მიგვითითებს. ამ მომავლის წინაპირობა და, იმავდროულად, ტრანსფორმაციის მიზანია გარდაქმნილი ადამიანები, რომლებმაც თავიანთი ჭეშმარიტი იდენტობა და დანიშნულება შეიცნეს და გარდაქმნილი ურთიერთობები, რომლებიც სამართლიანი და მშვიდობიანია. ეს მიზნები მიი-

ღწევა გარდაქმნების პროცესის მეშვეობით, რომელიც პრინციპებზეა ორიენტირებული. განვითარების პროცესი ადამიანებს ეკუთვნით. გარდაქმნების უმთავრესი ფაქტორია ურთიერთობები. ტრანსფორმაციის საბოლოო მიზანი მუდმივად უნდა გვახსოვდეს. ჩვენ მხარს ვუჭერთ სიმართლის განცხადებასა და სამართლიანობას. ამ პრინციპებს თემებთან მომუშავე ადამიანები ან ჯგუფები გამოხატავენ. ესენია: უფალი, ეკლესია, ჰოლისტიკური განვითარების პრაქტიკოსი და ბოროტი ძალა. აქედან სამი ადამიანების უკეთესი მომავლის მიღწევას უწყობს ხელს, ხოლო მეოთხის დანიშნულებაა ადამიანების ცდუნება, გახლეჩა და განადგურება.



დიაგრამა 6-6: ტრანსფორმაციული განვითარების ჩარჩო

ტრანსფორმაციული განვითარების ეს პრინციპები ადამიანთა საზოგადოებას ტრანსფორმაციული მიზნებისკენ მიიყვანს, რაც ფიზიკურად, სოციალურად და სულიერად მდგრადი უნდა იყოს (იხილეთ დიაგრამა 6-6).

სასარგებლო რესურსები

გარანტირებული საარსებო წყაროები

ელდისის საარსებო წყაროების ვებგვერდი. ელდისი წარმოადგენს სასექსის განვითარების კვლევების ინსტიტუტის ცოდნის გაზიარების ცენტრს. მისი მისიაა დოკუმენტების წარმოება, ინფორმაციის გაცვლის ხელშეწყობა, განვითარების პრაქტიკული მაგალითებისა და ცოდნის გაზიარება. http://www.eldis.org/go/livelihoods/

მაკ კასტონი, მ. კატერაინი, კრიტსინა ლიუთერი, ტიმოთი ფრანკენბერგერი და ჯეიმს ბეხტი, 2002. *ოჯახის საარსებო წყაროების დაცულობა: პრაქტიკოსის ინსტრუმენტების ნაკრები.* ვაშინგტონი, TANGO and CARE USA.

მდგრადი სოფლის მეურნეობა

მიგელ ალტიერი, 1995. *აგროეკოლოგია: მდგრადი სოფლის მეურნეობის მეცნიერება;* ბოულდერი, CO: Westview.

როლანდ ბანჩი, 1985. *სიმინდის ორი წელიწადი: ადამიანებზე ორიენტირებული სოფლის მეურნეობის განვითარება. მეორე გამოცემა.* ჭკლაჰომა, World Neighbors.

ჯულს პრეტი, 1995. *სოფლის მეურნეობის აღორძინება.* ლონდონი; ერტსკენ

სკუნსი, იენ და ჯონ ტომპსონი, 2009. *ფერმერებთან ვიზიტი: ინოვაციები სოფლის მეურნეობის კვლევებისა და განვითარების მიზნით.* რაგბი, გაერთიანებული სამეფო. 1994. *ფერმერების ცოდნა: სოფლის მეურნეობის კვლევები.* ლონდონი: ტექნოლოგიური პუბლიკაციები.

მიკროსაწარმოების განვითარება

ჩალმერსის ეკონომიკური განვითარების ცენტრთან არსებული ქრისტიანული ეკონომიკური განვითარების ცენტრი, კოვენანტ კოლეჯი. ონლაინ და დისტანციური სწავლების კურსები: http://chalmers.org/cedi/cedi.php

საკონსულტაციო ჯგუფი "მსოფლიოს ღარიბების დახმარება" (CGAP), მსოფლიო ბანკის მიერ დაარსებული ვებსაიტი: http:// www.cgap.org

კიმ ჰაუტრეი, 1990. "ოქსფორდის დეკლარაცია ქრისტიანული სარწმუნოებისა და ეკონომიკის საკითხებზე". *ტრანსფორმაცია* 7 (2): 1–8.

USAID-ის პროგრამა MicroLINKS (მიკროსაწარმოების ხელშეწყობა, ინფორმირება და ცოდნის გაზიარება). http://www.microlinks.org/

გლობალური განვითარების კვლევების ცენტრის ვირტუალური ბიბლიოთეკა მიკროკრედიტებსა და მიკროდაფინანსებაზე: http://www.gdrc.org

თემებზე დაფუძნებული ჯანდაცვა

ჯონ როდე და ჯონ უაიონი, 2003. *თემებზე დაფუძნებული ჯანდაცვა: ბანგლადეშიდან ბოსტონამდე არსებული გამოცდილება;* ჯანდაცვის სფეროს პუბლიკაციები.

მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაცია, 2004. "საოჯახო მედიცინის მოდელის საუკუნე" SEARO, რეგიონალური პუბლიკაცია N№40: http://www.searo.who.int/LinkFiles/Publications_Healthcaremodel.pdf

7

განვითარების პრაქტიკა: პრინციპები და პრაქტიკოსები

ჩვენ უკვე შევიმუშავეთ ჩვენი მიდგომა სიღარიბესთან დაკავშირებით და დავადგინეთ სიღარიბის მიზეზები. ამასთან ერთად, ჩამოვაყალიბეთ მიდგომები ტრანსფორმაციული განვითარების ქრისტიანულ გააზრებასთან დაკავშირებით. შემდეგი შეკითხვა, რომელზეც პასუხი უნდა გავცეთ, შემდეგია: როგორ უნდა ვიმუშაოთ ღარიბებთან და შეძლებულებთან, რათა დავეხმაროთ მათ ტრანსფორმაციული განვითარების საკუთარი ხედვის ჩამოყალიბებაში, რომლის მეშვეობითაც ისინი უკეთესი მომავლის მისაღწევად შესაბამის ზომებს გაატარებენ? ამ შეკითვაზე პასუხს საკმაო სიფრთხილით უნდა მოვეკიდოთ. თუ ჩვენ ძალიან სწრაფად გადავალთ განვითარების მეთოდოლოგიის მორგებაზე, შეიძლება საკმაოდ სერიოზული შეცდომები დავუშვათ. პირველ რიგში, გარკვეული საკითხები უფრო მკაფიოდ უნდა ჩამოვაყალიბოთ. ვისი პროექტი იგეგმება? ვინ მუშაობს გეგმის შემუშავებზე? რა სახის დაგეგმვაა ყველაზე მისაღები განვითარების პროგრამებისათვის? რა მოთხოვნები გვექნება განვითარების დაგეგმვის მეთოდოლოგიასთან მიმართებით?

დაბოლოს, ზემოხსენებული საკითხების გარდა, არანაკლებ მნიშვნელოვანია განვითარების სფეროს პრაქტიკოსის (ექსპერტის) საკითხი. ჩვენ ახლა პრაქტიკოსი ჰოლისტიკოსის მიდგომებსა და თვისებებზე უნდა ვისაუბროთ. რა თვისებებისა და როგორი სულიერების ადამიანი შეიძლება იყოს განვითარების სფეროში ცვლილებების აგენტი?

პრინციპები

თემის ისტორიის პატივისცემა

ჩვენ უკვე აღვწერეთ ტრანსფორმაციული განვითარება, როგორც სხვადასხვა ისტორიის კონვერგენციის კონტექსტში მიმდინარე პროცესი. განვითარების სფეროში მოღვაწე ადამიანები და სააგენტოები თემის, ინდივიდუალური ადამიანებისა და ჯგუფების ისტორიას უერთდებიან. უაღრესად

მნიშვნელოვანია გვესმოდეს, თუ ვისი ისტორია იქნება ტრანსფორმაციული განვითარების პროექტით. ჩვენ, ასევე, ვისაუბრეთ იმაზე, რომ ადამიანები აცხადებენ, რომ პროექტი თემს ეკუთვნის, მაგრამ ამის რეალობაში განხორციელება ასე ადვილი არ არის. ძალიან ხშირად განვითარების სპეციალისტები თავისდაუნებურად ვარაუდობენ, რომ მათი ისტორია უკეთესია. ბოლოს და ბოლოს, მათ იციან, თუ როგორი უნდა იყოს მდგრადი სოფლის მეურნეობა და გაცნობიერებულები არიან დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის საკითხებში. ძალიან ძნელია საკუთარი ისტორიის გვერდზე გადადება და ამ ისტორიით მხოლოდ იმ შემთხვევაში ხელმძღვანელობა, თუ ღარიბები გვთხოვენ ამას (იხილეთ დიაგრამა 7-1).

იმავდროულად, ისტორიების ასეთი კონვერგენცია ნიშნავს, რომ თემისა და პრაქტიკოსი ჰოლისტიკოსის ისტორიები აბსოლუტურად ერთნაირი ვერასოდეს იქნება. ყოველი ისტორია სხვა ისტორიებზე ახდენს ზეგავლენას. ღარიბებიც სწავლობენ ჩვენი ისტორიიდან. ჩვენც, თუ საკმარისად თავმდაბლები ვიქნებით, ბევრს ვისწავლით მათგან. თემში აღარ იარსებებს მხოლოდ ერთი ნარატივი. სწორედ ამიტომ ურთიერთპატივისცემა ტრანსფორმაციული განვითარების მნიშვნელოვანი ასპექტია. ყოველი ისტორია დანარჩენ ისტორიებთან უნდა იყოს დაკავშირებული და ყველას უნდა ახსოვდეს უფრო დიდი ისტორია, რომლის ნაწილიცაა ყველა დანარჩენი.



დიაგრამა 7-1: ისტორიების კონვერგენცია

თემის ისტორია

თემის ისტორია განვითარების სპეციალისტის თემში ჩასვლამდე ამ თემის ერთადერთი ისტორიაა. თემს თავისი წარსული აქვს და წარსულის ხსოვნა მისი ახალი ისტორიის ათვლის წერტილია. თემი ახერხებდა გადარჩენას, ადაპტირებასა და სიძნელეებთან გამკლავებას. იგი სიახლეების დანერგვას ცდილობდა, ზოგჯერ წარმატებით, ზოგჯერ კი წარუმატებლად. ბევრი კარგი რაღაცაც ხდებოდა. თემს გარკვეული მიღწევებიც ჰქონია, რომლებითაც იგი ამაყობს. როგორც გაცნობიერებული კვლევის ნაწილიდან გავიგეთ, წარსუ-

ლის პოზიტიური ელემენტები შეიძლება მომავლის შესახებ ხედვის ნაწილი გხდეს. ლესზეკ კოლაკოვსკი შეგვახსენებს, რომ ისტორიას მხოლოდ იმისთვის კი არ ვსწავლობთ, რომ გავიგოთ, რა მოხდა, არამედ იმისთვის, რომ გავიგოთ, თუ ვინ ვართ. ამგვარად, თემის აწმყოსა და მომავლის გაგებისათვის უაღრესად მნიშვნელოვანია დავეხმაროთ თემს, რომ საკუთარი ისტორია მოგვიყვეს. როდესაც მათი ისტორიის მოსმენას დროს დავუთმობთ, თემის წევრებს დავანახვებთ, რომ, ჩვენი აზრით, მათი ისტორია ძალიან მნიშვნელოვანია.

გარდა ამისა, თემს უნდა დავეხმაროთ, რომ საკუთარ ისტორიაში უფლის ნება დაინახოს. მიუხედავად იმისა, თემი ქრისტიანულია თუ არა, ან ზოგადად, რელიგიურია თუ არა, თეოლოგია გვასწავლის, რომ უფალი თემის ცხოვრებაში მონაწილეობს და ეხმარება მას. უფლის ღვაწლს მხოლოდ იმ შემთხვევაში დავინახავთ, თუ ამას მოვინდომებთ. თუ რაიმე კატასტროფა თავიდან იქნა აცილებული, ეს უფლის წყალობით მოხდა. სიცოცხლის სიკვდილზე გამარჯვებაც უფლის ნებაა. "მისი მონაწილეობით შეიქმნა სხვა ყველაფერი... ის არის ყველაფერზე წინ, მისი მონაწილეობით გაჩნდა ყველაფერი" (კოლოსელების მიმართ, 1:17-18). თემის ისტორიაში უფლის კვალის დანახვა არის განჭვრეტა, ანუ სულიერი მოქმედება. ეს განკურნების აქტიცაა. თემისათვის თხოვნით მიმართვა, რომ თავის ისტორიაში უფალი დაინახოს, ეხმარება თემის წევრებს გაიგონ, რომ ღმერთისაგან მივიწყებულები არ არიან.

მიუხედავად ამისა, უნდა გვახსოვდეს, რომ არსებობს ბნელი მხარეც, რომელიც ორი ფორმით გამოვლინდება. პირველ რიგში, თემის ისტორია ხშირად იმ ადამიანების მიერ გადმოიცემა, რომლებიც ძალაუფლებას ფლობენ. ისინი, უმეტესწილად, ამ ისტორიას ისეთი ფორმით გადმოსცემენ, რომელიც მათ ინტერესებსა და პოზიციას ემსახურება და თემის უფლებამოსილებას ზღუდავს, რადგანაც ისინი ვეღარ ხედავენ გამოსავალს და ცვლილებების შესაძლებლობას (ქრისტიანი, 1998ა, 15). რელიგიური ლიდერებიც ხელს უწყობენ ასეთი ფატალისტური დამოკიდებულების ჩამოყალიბებას, რადგან ისინიც ამტკიცებენ, რომ ადამიანების სიღარიბე მათი ცხოვრების წესით ან წარსულითაა განპირობებული და რომ იგი დამსახურებულია. პოლიტიკური ან ეკონომიკური ლიდერები საკუთარ პრივილეგირებულ მდგომარეობას იმით ამართლებენ, რომ ისინი უფლისგან დალოცვილები არიან, უმწიკვლოებით ან საკუთარი ღვაწლით დაიმსახურეს ასეთი მდგომარეობა. შესაბამისად, ამ ადამიანების ინტერესების დასაცავად ისტორია დამახინჯებული სახით წარმოჩნდება. წერა-კითხვის უცოდინრობა ნიშნავს, რომ ღარიბებს არასოდეს ექნებათ საკუთარი ისტორიის წერილობითი ფორმით გადმოცემის ან წაკითხვის საშუალება. ისინი ვერ შეძლებენ ალტერნატიული აზრის შესახებ ინფორმაციის მიღებას, რომელიც გააქარწყლებდა ძალა-უფლების მქონე ადამიანების მიერ შეთხზულ ისტორიას. მაგრამ წერა-კითხვის უცოდინარ ღარიბებსაც შეუძლიათ საკუთარი ისტორიის დამახსოვრება და გადასინჯვა. ნებისმიერი ტრანსფორმაციული ღონისძიება იქიდან უნდა დაიწყოს, რომ თემსა და მის სხვადასხვა ჯგუფს დაეხმაროს საკუთარი ჭეშმარიტი ისტორიის აღდგენაში. მეორე: ჩვენ უნდა გავარკვიოთ, თუ ვინ შექმნა თემის ისტორია. ჯაიაკუმარ ქრისტიანი ამბობს, რომ ზოგ ადამიანს უფრო მეტი თავისუფლება და შესაძლებლობები აქვს ისტორიის შესაქმნელად, ვიდრე სხვებს (1994, 201). ზოგიც მიიჩნევს, რომ თუ თქვენ არ ქმნით ისტორიას, მაშინ პასიური მონაწილე ხდებით იმ ადამიანების ხელში, რომლებიც ამ ისტორიას ქმნიან. ამგვარად, თავად ისტორიის შექმნის

პროცესი ღარიბების უფლებამოსილების შეზღუდვის წყაროა. იმის ცოდნა, თუ ვინ ქმნიდა ისტორიას წარსულში და რა მიზნებით, უაღრესად მნიშვნელოვანია ახალი ისტორიის შექმნისათვის.

თემის მთლიანი ისტორიის სათანადოდ მოსმენა

უნდა გვახსოვდეს, რომ ადამიანების ისტორიას სრულად უნდა მოვუსმინოთ, ანუ უნდა გავეცნოთ მათ წარმოდგენებს როგორც ხილული, ასევე უხილავი სამყაროს შესახებ. ჰიბერტი და შოუ და ტინეუ (1998) შეგვახსენებენ, რომ მსოფლმხედველობის ყოველი დონე სხვადასხვა შეკითხვაზე გვაძლევს პასუხს. უხილავი სამყაროს ზედა დონეზე ფორმალური რელიგიის სფერო მდებარეობს. ჩვენ უნდა მოვუსმინოთ ადამიანებს, რას ამბობენ ამის თაობაზე. ეს დაგვეხმარება უკეთ გავეცნოთ, როგორ გაიაზრებენ ისლამს, ქრისტიანობას ან სხვა რელიგიური მრწამსს ადამიანები. სწორედ ასეთ შემთხვევაში გავიგონებთ ისტორიებსა და ვარაუდს, რომლებიც პასუხს გაგვცემს თემის ისტორიის, წარმომავლობის, იდენტობის, მისწრაფებებისა და საკუთარი თავის შესახებაც კი (დიაგრამა 7-2).

მსოფლმხედველობის შუა დონეზე, რომელიც, ასევე, სულიერი და უხილავია, შეიძლება წარმართული მსოფლმხედველობა იყოს. ადამიანებს ყველაფრის შესახებ შეიძლება ჰქონდეთ საკუთარი, ხალხურ წარმოდგენებზე დაფუძნებული მწრამსი და სჯეროდეთ უხილავი სამყაროსი. ამგვარად, არსებობს ხალხური ისლამი, ბუდიზმი და ქრისტიანობა.



დიაგრამა 7-2: თემის განვითარების სამსაფეხურიანი ისტორია (ჰიბერტის, შოუს და ტინეუს ადაპტირებული ვერსია, 1998)

ამ დონეზე პასუხს ვიღებთ შეკითხვაზე, როგორ უნდა გადანაწილდეს ძალაუფლება ყოველდღიურ ცხოვრებაში. ვინ ფლობს ძალაუფლებას ცხოვრების ამა თუ იმ სფეროში? რას მოითხოვენ ისინი ჩვენგან? როგორ უნდა მივაღწიოთ კეთილდღეობას და ავარიდოთ თავი წარუმატებლობას? რა უნდა ვიცოდეთ ჩვენი წარსულის შესახებ? როგორ შეიძლება გავხადოთ ჩვენი მომავალი უფრო დაცული? რა არის ჩვენთვის სწორი სოციალური და მორალური წყობა? პასუხები იმაზე მიუთითებს, რომ ყველა ასპექტი ურთიერთდაკავშირებულია, ასევე, გვაჩვენებს ძალაუფლების წყაროს და დაგვანახვებს მართვის უფლებამოსილების მქონე ადამიანებსა და სტრუქტურებს.

მსოფლმხედველობის უფრო დაბალ დონეზე მატერიალური სამყაროს ბუნებრივი (მიმდინარე) წყობაა. ეს მეცნიერების სამყაროა და მოიცავს როგორც თანამედროვე მეცნიერებას, ასევე ხალხურ მეცნიერებასაც. მომთაბარე ადამიანებს ესმით, თუ როდის და რატომ უნდა დაიწყონ თავიანთი ფარის გადაადგილება. სოფლის მკურნალებს უზარმაზარი ცოდნა აქვთ ენდემური სამკურნალო მცენარეების, მერქნისა და ფოთლების შესახებ. თემს საკუთარი წესები აქვს, თუ როგორ უნდა იცხოვრონ და იმუშაონ ადამიანებმა ერთად. ეს არის მოსმენის, დანახვის, შეხებისა და შეგრძნებების მეშვეობით დაგროვილი გამოცდილება.

განვითარების სფეროს პრაქტიკოსი, უმეტესად, ყველაზე კომფორტულად მაშინ გრძნობს თავს, როდესაც მსოფლმხედველობის ყველაზე დაბალ დონეზე მუშაობს, რადგანაც ეს სამყაროს ის ნაწილია, რომელშიც ყველაზე მეტი განვითარების ღონისძიება ხორციელდება. ამ დონეზე მუშაობისას ჩვენ ვთხრით ჭებს, ვატარებთ ბავშვების ვაქცინაციას, ვაუმჯობესებთ სოფლის მეურნეობის მეთოდებს და მხარს ვუჭერთ მიკროსაწარმოების განვითარებას. პრობლემები მაშინ იწყება, თუ თემის ისტორიის მხოლოდ ამ ასპექტს ვისმენთ ყურადღებით და მხოლოდ ამ დონეზე ვმოღვაწეობთ. თემის ფორმალური და სახალხო რელიგიაც ძალიან მნიშვნელოვანია და ჩვენ ასეთი თემის მოსმენაც უნდა ვისწავლოთ. მიუხედავად იმისა, ვიზიარებთ ამ თემის აზრს თუ არა, ამ უხილავი სამყაროს სფეროებში ადამიანები ხედავენ თავიანთი პრობლემების წყაროსაც და მათი გადაწყვეტის გზებსაც. თუ არ გვინდა, რომ გავიგოთ თემის აზრი ამ საკითხებზე და აქედან დავიწყოთ მუშაობა, მაშინ კვლავ განვითარების ზემოდან ქვემოთ მიდგომის მხარდამჭერები გამოვდივართ.

მათ იციან გადარჩენის პრინციპები

თემს აქვს თავისი გადარჩენის სტრატეგია. მას კარგად აქვს ჩამოყალიბებული ამ სამყაროში გადარჩენის სისტემა. მხოლოდ განსაკუთრებული კატასტროფების შემთხვევებში აღარ არის ამ ადამიანების თვითგადარჩენის უნარი საკმარისი და ისინი ვეღარ ახერხებენ პრობლემებთან გამკლავებასა და გადარჩენას. უკვე არსებული გადარჩენის სტრატეგია თემის ისტორიის ის ნაწილია, რომელსაც ჩვენ აწმყოს ვუწოდებთ. გადარჩენის ამ სტრატეგიის სწორად გაგება უაღრესად მნიშვნელოვანია ამ ადამიანების უკეთესი მომავლის შესახებ ხედვის ჩამოსაყალიბებლად. ეს ორი მიზეზითაა განპირობებული:

პირველ რიგში, ჩვენ სამყარო იმ თვალით უნდა დავინახოთ, როგორითაც მას თემი ხედავს. თემის დახმარება გადარჩენის სტრატეგიის ჩამოყალიბებაში დაგვანახვებს, რას მიიჩნევს თემი მნიშვნელოვნად და როგორ ხსნის თავის

არსებულ მდგომარეობას, იმას, რაც მოხდა ან არ მოხდა. თემის გადარჩენის სტრატეგია მის შესაძლებლობებს, უნარებს, ცოდნასა და სუსტ მხარეებს წარმოაჩენს და იმ სფეროებს დაგვანახვებს, რომლებზეც, თემის აზრით, მათი ზეგავლენა სუსტია ან სფერო მისი კონტროლის ფარგლებს მიღმაა. თემის შესაძლებლობები აქტივია, რომლის გარშემოც განვითარების ზომები შეიძლება დაიგეგმოს. სუსტი მხარეები ის ასპექტებია, რომლებთან დაკავშირებითაც ალტერნატიული გზა ან შემარბილებელი ზომები უნდა დაისახოს.

მეორე: როდესაც თემს საშუალებას ვაძლევთ აღწეროს თავისი გადარჩენის სტრატეგია, ეს მის წევრებსაც დაანახვებს, რომ გარკვეული უნარები და ცოდნა აქვთ, რაც მათ საშუალებას აძლევს, მომავალი დაგეგმონ. თემში ყველა გაუნათლებელი და არაეფექტური არაა. ადამიანების მიერ გადარჩენის სტრატეგიის დაგეგმვა ღარიბებს შელახული ღირსების აღდგენაში ეხმარება.

რავი ჯაიკარანმა "სამყაროს ჰოლისტიკური ანალიზის" ჩარჩო შეიმუშავა, რომელიც განვითარების სფეროს ექსპერტებს დაეხმარება, უკეთ გაიგონ თემის მიერ აღწერილი გადარჩენის სტრატეგიები (2007). მატერიალური სამყარო თემის კონტროლის ფარგლებშია. ეს არის ბუნების სამყარო, სადაც მატერიალური მიზეზ-შედეგობრივი კავშირები არსებობს და ეს სამყარო ამ სისტემების შიგნითაა მოქცეული (დიგრამა 7-3). თემის წევრებს სჯერათ, რომ მათ შეუძლიათ ამ სამყაროზე ზემოქმედება იქონიონ და შეცვალონ იგი უკეთესისაკენ ან უარესისაკენ იმისდა მიხედვით, თუ რას მოიმოქმედებენ. თემის გადარჩენის სტრატეგიის ეს ნაწილი არ არის დაკავშირებული რელიგიურ მიზეზ-შედეგობრივ ასპექტებთან.

გადარჩენის სტრატეგიის კიდევ ერთი კომპონენტია ის ასპექტი, რომელიც 7-3 დიაგრამის წრის გარეთაა მოქცეული. ამ სფეროსთან დაკავშირებით თემს მიაჩნია, რომ იგი მისი კონტროლის ფარგლებს მიღმაა. ეს არის სულების, ღმერთების, დემონებისა და წინაპრების სამყარო. ეს ის სამყაროა, რომელიც ჰიბერტმა აღწერა, როგორც "გამორიცხული მესამის პრინციპი" ანუ შუალედური შესაძლებლობის გამორიცხვა. ამ სამყაროში მხოლოდ სპირიტუალური ინტერპრეტაცია არსებობს (საინტერესოა, რომ ფორმალური რელიგიების ღმერთებს აქ ვერ შევხვდებით. ვიშნუ, კრიშნა, ალაჰი, ნგაი და სხვა ღმერთები არ უნდა შევაწუხოთ ყოველდღიური ცხოვრების დეტალებით. მხოლოდ ქრისტიანების ღმერთია ამ მხრივ გამონაკლისი). ამ საკითხებს უფრო დეტალურად მე-8 ნაწილში განვიხილავთ, რომელიც სულიერების საკითხებისადმია მიძღვნილი.

იმ სფეროებს, რომლებზეც თემს კონტროლი არ გააჩნია, იგი ღმერთებს მიაკუთვნებს და იქ სალოცავებს აშენებს, ან გარკვეულ ადგილებს წმინდა ადგილებად რაცხს. რაც უფრო ნაკლებია სფეროზე კონტროლი, ან რაც უფრო ძლევამოსილად არის ღმერთი მიჩნეული, მით უფრო დიდია ხოლმე სალოცავი. ამ უხილავი სამყაროს ნაკლებად მნიშვნელოვანი ღმერთები იმ სფეროებზე მიგვანიშნებენ, რომლებთან მიმართებითაც თემს კონტროლი არ გააჩნია და, შესაბამისად, მის სუსტ მხარეებს წარმოადგენს. ადამიანთა ცხოვრების ამ ნაწილზე კონტროლის დამყარებისათვის თემი შამანებსა და გრძნეულებს მიმართავს, რომლებსაც, მათი აზრით, ამ უხილავ სამყაროზე წვდომა აქვთ და რომლებსაც ძალა შესწევთ, რომ ადამიანის ან თემის სასიკეთოდ ან მის წინააღმდეგ იმოქმედონ. ამასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ ასეთმა რელიგიურმა სისტემებმა და მსოფლმხედველობამ, შესაძლოა, გარკვეულ

ექსპლუატაციას შეუწყოს ხელი, რადგანაც ზოგჯერ შამანები და გრძნეულები თავიანთი სამსახურისათვის ანაზღაურებას ითხოვენ.

ეს უხილავი სამყარო მნიშვნელოვან გამოწვევებს უქმნის განვითარების დასავლელ სპეციალისტებს. ჩვენ უნდა ვისწავლოთ, როგორ მოვუსმინოთ ადამიანებს, როდესაც ისინი წმინდა ადგილების, სალოცავების, ტაძრებისა და შესაწირის თაობაზე ლაპარაკობენ, რადგანაც ეს ერთადერთია, რის გაკეთებაც მათ შეუძლიათ იმ შეუცნობელ და მრისხანე უხილავ სულებთან მიმართებით, რომლებსაც მათი ცხოვრების უკეთესისაკენ ან უარესისაკენ შეცვლა შეუძლიათ. თემის მიერ ღვთაებების აღწერა და მათი სახის წარმოჩენა ერთ-ერთი გზაა, რომელიც თემს ეხმარება საკუთარი სუსტი მხარეების აღწერაში (ჯაიაკარანი, 2007).

დიაგრამაზე 7-3 ნაჩვენებია, რომ ბავშვთა ჯანმრთელობა მდებარეობს თემის კონტროლის ფარგლების აღმნიშვნელი სფეროსა და მისი კონტროლის მიღმა არსებული სფეროს გადაკვეთის ადგილას. ეს ნიშნავს, რომ თემი ამით გამოხატავს თავის აზრს, რომ იგი სრულად ვერ აკონტროლებს ბავშვთა ჯანმრთელობის საკითხებს. ზოგჯერ ბავშვების ავადმყოფობის მიზეზი ვირუსები ან არასაკმარისი საკვებია. ეს ემპრიული სფეროა და ადამიანებისათვის



დიაგრამა 7-3: საზოგადოების გადარჩენის სტრატეგია
(ჯაიაკარანის ადაპტირებული ვერსია, 1997ბ, 5)

გასაგებია, რომ მათ შეუძლიათ გარკვეული ზომების გატარება და შესაბამისი ცვლილებების გამოწვევა. ასეთ შემთხვევაში ბავშვები მიჰყავთ სამედიცინო დახმარების მისაღებად ან უკეთ კვებავენ. ჯანმრთელობის ზოგი პრობლემა გათვალვას ან სულების რისხვას მიეწერება. ასეთ დროს ადამიანები მსხვერპლს სწირავენ სულებს ან გრძნეულებთან მიდიან შესალოცად. თემის აღწერის შესაბამისად, გადარჩენის სტრატეგია ასახავს თემის მიერ ხილული და უხილავი სამყაროს აღქმას. ყოველივე ზემოხსენებული შეიძლება დამაბნეველი აღმოჩნდეს. გადარჩენის სტრატეგიის ორივე ელემენტი ხშირად რელიგიური ტერმინების გამოყენებითაა აღწერილი და რელიგიურ ინსტიტუტებსაც მოიცავს. ჩვენ უნდა ვეცადოთ, განვასხვაოთ ის რელიგიური ენა, რომელიც ფიზიკური პროცესების აღწერის დროს არის გამოყენებული იმ რელიგიური ენისაგან, რომელიც უხილავ ან სპირიტუალურ სამყაროს აღწერს.

პირველთან დაკავშირებით მაგალითის სახით მინდა მოვიყვანო ბაალის წყალმომარაგების ძველი სისტემა, რომელიც დაკავშირებული იყო ტაძრებსა და ღმერთებთან. ანუ: ყოველ ტაძართან დაკავშირებული რელიგიური რიტუალი ამ ტაძრებს ისე აკავშირებდა, რომ შედეგად წყალმომარაგების მართვის სისტემა იკვრებოდა და წყლის დინების მიმართულების ქვემოთ მცხოვრები წყლით მოსარგებლეებიც საკმარისი რაოდენობით იღებდნენ წყალს (ლანსინგი, 1991, 59). ეს არის იმ რელიგიური ენისა და რიტუალის მაგალითი, რომელიც მატერიალურ ასპექტს, ანუ წყალმომარაგების სქემას, შეეხება.

ბრუს ბრედშოუმ (1997) თემების გადარჩენის სისტემების აღწერისათვის სპეციალური ჩარჩო შეიმუშავა. მისი აზრით, ნებისმიერი გადარჩენის სტრატეგია უნდა აღწერდეს იმ რესურსებს, რომლებსაც თემი მიმართავს საკვების, წყალმომარაგების, მშვიდობის, სამართლიანობის, სამედიცინო დახმარების, განათლებისა და ხსნის ძიებაში. დიაგრამაზე 7-4 ნაჩვენებია კენიის სამი ტომის მიერ იმ რესურსების აღწერა, რომლებსაც ისინი ასეთ შემთხვევებში მიმართავენ და რომლებიც მათი ტრადიციული მსოფლმხედველობის ანარეკლია. საინტერესოა აღინიშნოს, რომ ზოგი ელემენტი ზებუნებრივ სფეროს ეკუთვნის, ხოლო ზოგი ქვეყანაში დასავლური მეცნიერებისა და განათლების შეღწევის ზეგავლენის მიმანიშნებელია. პრაქტიკოსმა ჰოლისტიკოსმა თემთან ისე უნდა იმუშაოს, რომ ეს ორივე სამყარო აღწეროს და გააანალიზოს. გადარჩენის სტრატეგია განვითარების ათვლის წერტილია. იმისთვის, რომ უკეთ შევძლოთ თემის მიერ მიზეზ-შედეგობრივი კავშირების გააზრება, ჩვენ, პირველ რიგში, თემის გადარჩენის სტრატეგია უნდა შევისწავლოთ. თემი უფრო აქტიურად მიიღებს მონაწილეობას განვითარების პროცესებში და უფრო გაითავისებს მათ, თუ კი განვითარების ღონისძიებები მისი გადარჩენის სტრატეგიას ეხმიანება და მისი ხელშეწყობისაკენაა მიმართული. ამის შემდეგ შეგვიძლია დავსვათ ტრანსფორმაციული შეკითხვები: რა ბარიერები აფერხებს თემის განვითარებასა და გადარჩენას? ვის ინტერესებს ემსახურება ეს ბარიერები?



დიაგრამა 7-4: კენიური გადარჩენის სისტემის ელემენტები (ბრედშოუ, 1997)

მკვიდრი მოსახლეობის გამოცდილებისა და ცოდნის პატივისცემა

განვითარების სფეროს პროფესიონალებმა ბოლო პერიოდში საინტერესო აღმოჩენა გააკეთეს – ისინი დარწმუნდნენ, რომ სინამდვილეში ადგილობრივმა თემებმა ძალიან ბევრი იციან და კარგად ესმით, რა არის ჭეშმარიტი და ღირებული. ტრადიციული მედიცინის მთლიანად უგულებელყოფა არ შეიძლება. დასავლური ფარმაცევტული კომპანიები ზოგჯერ უარს ამბობენ მედიკამენტების აღმოჩენასთან დაკავშირებული ძვირადღირებული სამეცნიერო კვლევების ჩატარებაზე და ტრადიციულ მკურნალებს უსმენენ, რათა უფრო მეტი შეიტყონ მათგან მერქნის, ფოთლებისა და გირჩების სამკურნალო თვისებების შესახებ.

კენიაში დღესაც ყვებიან ლორდ დელამარის ისტორიას, რომელმაც ნაკურუს ჩრდილოეთით მდებარე მდიდარი მდელოები "აღმოაჩინა" და ვერაფრით გაიგო, რატომ არ აძოვებდნენ იქ პირუტყვს მასაის ტომის წარმომადგენლები. მან თავისი ქონების დიდი ნაწილი დახარჯა ინგლისიდან პირუტყვის იმპორტირებაზე სანამ გაარკვევდა, რომ ბალახი ამ მდელოზე ძალიან მნიშვნელოვან

საკვებ კომპონენტს არ შეიცავს, რის გამოც ძროხები ცოტა რძეს იწველიან და ხბოების უმეტესობა ამ მიზეზით იღუპება. ამის შესახებ ყველა მისიამ იცოდა, მაგრამ მათთვის არავის არაფერი უკითხავს.

ოლივია მუჩენა ამბობს, რომ პრობლემა დამოკიდებულია იმაზე, ვინ როგორ ხედავს მას (მუჩენა, 1996, 179). თუ განვითარების სპეციალისტი მიიჩნევს, რომ თემის ტაბუები, მითები და შესაბამისი ეთიკური ფასეულობები უაზრობაა, მას ბევრი არაფრის შეთავაზება შეუძლია ამ ადამიანებისათვის. მუჩენა ამბობს, რომ ასეთ "ცრურწმენებში" აისახება თემის ცოდნა. თუ ჩვენ ამ ცრურწმენებს სერიოზულად მოვეკიდებით, შეიძლება მკვიდრი მოსახლეობის ძალიან მნიშვნელოვანი ცოდნისა და გამოცდილების შესახებ შევიტყოთ, რაც შეიძლება სხვაგვარად მიუწვდომელი იყოს ჩვენთვის.

ინდოეთის ერთ-ერთ რეგიონში ხანდაზმული კაცი უყურებდა წყლის სპეციალისტს, რომელიც ელექტროზონდირების მოწყობილობით ცდილობდა საუკეთესო ადგილის მოძებნას ჭის გასაბურღად. მოხუცმა კაცმა უთხრა სპეციალისტს: "ეგ მოწყობილობა არ არის საჭირო. უბრალოდ, ტერმიტების ყველაზე დიდ გორაკს სადაც დაინახავ, იქ ამოთხარე ჭა, ან იმ დიდი ხეების ქვეშ, რომლებიც მწვანე რჩება ყველაზე გვალვიან პერიოდშიც კი. ყველამ იცის, რომ სწორედ მანდაა წყალი." როდესაც სპეციალისტმა თანამედროვე მეთოდებით გადაამოწმა მისი თეორია, მოხუცი მართალი გამოდგა. მკვიდრი მოსახლეობის ცოდნის მოძიება და გაგება "ადგილობრივ მოსახლეობასთან თანამშრომლობას გულისხმობს, რადგანაც ისინი უნდა გახდნენ ჩვენი პარტნიორები და დაგვეხმარონ საკუთარი თვალთახედვის ჩვენთვის გაზიარებით" (მუჩენა, 1996, 178). ჩვენ უნდა ვისწავლოთ მათი მოსმენა.

თანდათან სულ უფრო მეტი განვითარების სფეროს სპეციალისტი და ანთროპოლოგი ითვალისწინებს ადგილობრივი მოსახლეობის აზრს და გამოცდილებას. რეგიონული განვითარებისა და ჯანდაცვის განვითარების ანთროპოლოგები, მაიქლ უორენი, იოჰან პოტიერი და პოლ სილითოუ, ისეთი მეთოდების შემუშავებაზე მუშაობდნენ, რომლებშიც მკვიდრი მოსახლეობის ცოდნისა და დასავლური ტექნოლოგიური ცოდნის შერწყმა მოხდებოდა, რაც არსებითად ხელს შეუწყობდა განვითარების პროგრამების წარმატებას (ბლანტი და უორენი, 1996; პოტიერი, ბიკერი და სილითოუ, 2003).

ადგილობრივი მოსახლეობის ცოდნა ორი მიზეზითაა მნიშვნელოვანი. პირველ რიგში, როგორც ზემოთ მოყვანილი მაგალითებიდან ხდება ნათელი, ადგილობრივი მოსახლეობის ცოდნას შეუძლია ძალიან ბევრი შემატოს დასავლურს, თუ ვაღიარებთ, რომ ჩვენი ცოდნის სისტემა არასრულყოფილია. აფრიკელების აზრით, დაავადება შეიძლება მატერიალური მიზეზების შედეგი იყოს, მაგრამ შეიძლება არასწორი და არაეფექტური ურთიერთობებითაც იყოს გამოწვეული. მათი აზრით, პიროვნებაა ავად და არა მხოლოდ მისი მატერიალური სხეული. ასეთი აზროვნება თანდათანობით დასავლელებისათვისაც გასაგები ხდება. ჩვენი დამოკიდებულება მედიცინისადმი უფრო ჰუმანური გახდა და, იმავდროულად, ასეთ ურთიერთკავშირებსაც ითვალისწინებს. მეორე მიზეზი, რომლის გამოც მკვიდრი მოსახლეობის ცოდნის გათვალისწინება მნიშვნელოვანია, უფრო სერიოზულია. კოიამა ამ მიზეზზე ჩვენს ყურადღებას მიაპყრობს საინტერესო მაგალითების ჩვენებით და ტაილანდის რეგიონებში თავისი მისიონერული მოღვაწეობის გამოცდილებას გვიზიარებს. იმ დროს მას იაპონიაში სემინარია ჰქონდა ახალი დამთავრებული. იგი იხსენებს ტაილანდ-

ელი ქალის გაბრაზებას, როდესაც მას სახარებაზე დაუწყო საუბარი. "ის გაღიზიანებული იყო, რადგანაც მას ჩემი თვალსაწიერიდან ვესაუბრებოდი. იგი გრძნობდა, რომ ის ჩემთვის მხოლოდ რელიგიური გამარჯვების ობიექტს წარმოადგენდა. მე მისთვის გზავნილი მქონდა, მაგრამ ვერ ვხდებოდი, რომ შეიძლება მასაც ჰქონოდა ჩემთვის გზავნილი" (კოიამა, 1974, 90).

გვჯერა, რომ ღარიბებსაც აქვთ ჩვენთვის რაღაც სათქმელი? როდესაც ჩვენ ვერ ვუსმენთ, ვერ ვხედავთ და ვერ ვსწავლობთ, პრაქტიკულად, ამ ადამიანებს ვეუბნებით, რომ მათ არაფერი აქვთ საინტერესო, რასაც ჩვენ გაგვიზიარებდნენ. ამ ადამიანების ცოდნის იგნორირებით ჩვენ კიდევ უფრო ვლახავთ მათ თვითშეფასებას. ჩვენი კეთილი განზრახვის მიუხედავად, შეიძლება, პირიქით, გავაურესოთ ამ ადამიანების მდგომარეობა.

მაშინაც კი, როდესაც მკვიდრი მოსახლეობის ცოდნა არასწორია, სიფრთხილით უნდა მოვეკიდოთ მათ. ტანზანიის სოფელში ადგილობრივმა მოსახლეობამ უთხრა განვითარების სპეციალისტს, რომ ავტომობილით არ შეიძლებოდა მათი ერთადერთი წყაროს გარშემო შემოვლა, რადგან, მათი მტკიცებით, წყაროს სული ამ წყაროს დააშრობდა. განვითარების სპეციალისტმა იმის დასადასტურებლად, რომ წყაროს სული ვერ დააშრობდა წყალს, თავისი მანქანით შემოუარა წყაროს. წყალმა მაშინვე შეწყვიტა დინება. ამას ჰქონდა რაციონალური ახსნა, რადგანაც გარკვეული სახის ნიადაგი მცირე ფიზიკური ზემოქმედების შემთხვევაშიც დროებით კომპაქტირებას განიცდის. აშკარაა, რომ განვითარების სპეციალისტმა რამდენიმე ბარიერი შექმნა თავისი ქცევით და ადამიანებს იმედები გაუცრუა. ერთი მხრივ, მან თემისადმი უპატივცემულობა გამოხატა და, მეორე მხრივ, გაამყარა მათი ტრადიციული ცრურწმენა, რაც მათ მომავალ განვითარებას შეაფერხებს.

მონაწილეობიდან უფლებამოსილების გაზრდამდე

თუ განვითარების ისტორია თემს ეკუთვნის, მაშინ მისი მონაწილეობა განვითარების პროცესებში სავალდებულო უნდა იყოს. თუ სიღარიბე ნაწილობრივ ადამიანების შელახული ღირსებითაა განპირობებული, ამ ადამიანების პროგრამებში ჩართვა და მონაწილეობა უაღრესად მნიშვნელოვანია მათი ღირსების აღსადგენად. თუ ჩვენ შევთანხმდებით, რომ თემს უკვე აქვს გარკვეული რესურსები, მაშინ მისი პროცესებში მონაწილეობით ადგილობრივი მოსახლეობის ცოდნის გამოვლენა ხდება შესაძლებელი. თუ ჩვენ ვაღიარებთ, რომ საკმარისი არ ვიცით, რომ სხვების განვითარება მათ მაგივრად განვახორციელოთ, მაშინ მივხვდებით, რომ მკვიდრი მოსახლეობის ჩაბმა განვითარების პროცესებში ერთადერთი დამცავი მექანიზმია იმისათვის, რომ ჩვენდა უნებურად თემს ზიანი არ მივაყენოთ. ადგილობრივი მოხალეობის მონაწილეობა ტრანსფორმაციული განვითარების წარმატებისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობის მქონე ფაქტორია.

მონაწილეობის ხარისხი

მონაწილეობის ხარისხი, ასევე, არანაკლებ მნიშვნელოვანია. ნორმან უპჰოფი, კორნუელის უნივერსიტეტის განვითარების სფეროს ექსპერტი, ამტკიცებს, რომ "მონაწილეობის ხარისხი იმაზეა დამოკიდებული, თუ რა სახისაა ეს

მონაწილეობა, რა პირობებში ხდება ეს მონაწილეობა და, კიდევ, ვინ მონაწილეობს და რისთვის" (უპჰოფი, კოენი და გოლდსმითი, 1979, 281). უპჰოფი გამოთქვამს აზრს, რომ მონაწილეობის ხარისხი სამი გზით უნდა შევაფასოთ: ვინ იღებს მონაწილეობას? რა სახისაა ეს მონაწილეობა? როგორ ხდება მონაწილეობა?

თუ მონაწილეობა მხოლოდ ადგილობრივი თემის ლიდერების, მთავრობის წარმომადგენლების, სააგენტოს პერსონალის მონაწილეობით შემოიფარგლება, გამოდის, რომ ამ პროცესში, ძირითადად, არაღარიბი ადამიანები მონაწილეობენ და მათ მიერ შეტანილი წვლილი, გარკვეულწილად, მიკერძოებული იქნება, რადგანაც მათ საკუთარი პრივილეგირებული მდგომარეობის შენარჩუნება სურთ. ისინი ადვილად ნებდებიან ცდუნებას, რომ ღმერთის როლი შეასრულონ ღარიბი ადამიანების ცხოვრებაში. ეს არიან ჩემბერსისეული მაღალი კლასების წარმომადგენლები, ადამიანები, რომლებიც თავიანთი წოდების, განათლებისა და პროფესიული ტრენინგის წყალობით უპირობოდ მიიჩნევენ, რომ თვითონ უკეთესები არიან, რაც, რასაკვირველია, ზეგავლენას ახდენს მათი დანახვისა და გაგონების უნარზე (1997, 58–60). განვითარება ასეთ შემთხვევაში "ზემოდან ქვემოთ" მიმართული პროცესი იქნება და, შესაბამისად, წინასწარ განწირულია წარუმატებლობისთვის; ის ვერ შეცვლის სოციალურ ურთიერთობებსა და ძალაუფლების განაწილებას. ჩემბერსი სარკასტულად აცხადებს: "მაღალი კლასის წარმომადგენელ ძალაუფლების მქონე ყველა ადამიანს ჰგონია, რომ იცის, რა არის სწორი და მართალი მასზე უფრო ქვემოთ მდგომი ადამიანებისთვის, მაგრამ ისინი ცდებიან, რადგანაც ძალაუფლება ყოველთვის ცრუობს" (1997, 101).

მაშინაც კი, როდესაც თემის წარმომადგენლები რეალურად იღებენ მონაწილეობას განვითარების პროცესებში, ყურადღება უნდა მივაქციოთ იმას, რომ ამ პროცესში ყველა სოციალური ჯგუფის წარმომადგენლები, ანუ ქალები და კაცები, ქრისტიანები და არაქრისტიანები, ახალგაზრდები და ხანდაზმულები მონაწილეობდნენ და მათ საკუთარი აზრის გამოხატვის საშუალება ჰქონდეთ. ზოგჯერ ჩვენ ისე ვხმარობთ სიტყვას *თემი*, თითქოს ის ერთგვაროვანი რამ არის. თემი არ არის ერთგვაროვანი. აირინ გუიჯითმა და მეერა კაულ შაჰმა მონაწილეობრივი მიდგომების საკითხებისადმი მიძღვნილ ლიტერატურაში შესწორების შეტანის მიზნით დაწერეს ნაშრომი "*მითი თემის თაობაზე*" (1998). თემი და კონტექსტი რთული, დინამიკური და მერყევია. როდესაც ვამბობთ "თემის მოსმენა," ჩვენ შეიძლება მნიშვნელოვანი ინფორმაცია გამოგვრჩეს ძალაუფლებისა და კონტროლისათვის ბრძოლასთან დაკავშირებით არსებული კონფლიქტებისა და წინააღმდეგობების შესახებ, ასევე, გამარჯვებული და წაგებული მხარეების შესახებ. ერთ-ერთი ჯგუფი, რომელსაც არც თუ ისე ხშირად უსმენენ, ქალები არიან. მაშინაც კი, როდესაც მონაწილეობრივი მიდგომები და მეთოდოლოგია გარკვეული უპირატესობებისა და მიკერძოებულობის აღმოფხვრას ემსახურება, ქალების ხმა ხშირად დაკარგულია. "ქალები კვლავაც გარიყულები არიან ისეთი სიტუაციებიდან, როგორიცაა შეხვედრების დრო, ადგილი, სოციალური ჯგუფების შემადგენლობა. პირობები ისეთია, რომ საჯარო ადგილებში მხოლოდ მამაკაცები საუბრობენო (გუიჯითი სა შაჰი, 1998, xviii). ამ საკითხს კვლავაც ძალაუფლებისა და კონტროლის საკითხამდე მივყვართ, ანუ იქამდე, თუ ვისი ხმა გვესმის და ვისი – არა. იმის გამო, რომ თემის შიგნით არსებულ ამ სხვადასხვა ხმას ვერ

ვიგებთ, მომავალ უსამართლობას ვუწყობთ ხელს. ამ თემას უფრო დეტალურად მე-8 თავში განვიხილავთ.

მონაწილეობა შეიძლება არ იყოს სათანადო მონაწილეობის დონის თვალსაზრისითაც. იმის შესაძლებლობა, რომ ვიღაცამ განვითარების საკუთარი გეგმა წარადგინოს, მონაწილეობის ძალიან შეზღუდული ფორმაა. ეფექტური მონაწილეობა გულისხმობს, რომ პროცესი თემმა უნდა გაითავისოს და თვითონ უნდა ჩაუდგეს მას სათავეში. აქ ყველა პროცესი იგულისხმება: კვლევა, ანალიზი, დაგეგმვა, განხორციელება და შეფასება. დაბოლოს, ჩვენ ისიც უნდა გვაინტერესებდეს, თუ როგორ ხდება მონაწილეობა. იმისათვის, რომ მონაწილეობის შედეგები ხელშესახები იყოს, მონაწილეობის პროცესი დაფუძნებული უნდა იყოს თანასწორი პარტნიორობის პრინციპზე, ხოლო მონაწილეობის ფორმა ცენტრალური საკითხი უნდა იყოს. ეს პროცესი ეპიზოდურად და ფორმალურად კი არა, უწყვეტად და ეფექტურად უნდა წარიმართოს. მონაწილეობის შედეგი უნდა იყოს ადამიანების უფლებამოსილების გაზრდა, რადგანაც სწორედ ეს არის ტრანსფორმაციის საშუალება. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ასეთი სრული და ეფექტური მონაწილეობა ხელს უწყობს თემის დამოუკიდებლობის ზრდას და ეხმარება მას თვითგანვითარებაში. თემები აღმოაჩენენ, რომ ეს სწორედ მათი განვითარების პროცესია და რომ მათ არჩევანის გაკეთება და საკუთარი განვითარების მართვა შეუძლიათ. ქვემოთ მოყვანილია ეფექტური მონაწილეობის პრინციპები, რომლებიც სემ ვოორჰიეს მოსაზრებების გათვალისწინებითაა შემოთავაზებული (1996, 129–35):

- მონაწილეობა იწყება თემის ისტორიის გაგებითა და გაანალიზებით.
- უნდა დავიწყოთ მცირედიდან, რათა შემდეგ თემმა, ძირითადად, თავად შეძლოს პროცესის გაძღოლა.
- უნდა გამოვიყენოთ სწავლის მიდგომა და არა მზა რეცეპტის მიწოდების მიდგომა. უნდა დავეხმაროთ თემს და ვასწავლოთ, თუ როგორ ისწავლონ.
- ხელი შევუწყოთ თემს, რომ მან საკუთარი რესურსების მობილიზაცია მოახდინოს და მისმა წევრებმა თავისი რესურსები დააბანდონ ამ პროცესში.
- ხელი შევუწყოთ თემის წევრებს, რომ თავად ჩაუდგნენ პროგრამას სათავეში, საკუთარ შეცდომებზე ისწავლონ და წარმატებებით თვითშეფასება აიმაღლონ.
- განავითარონ თემის შესაძლებლობები. უნდა ვასწავლოთ ადამიანებს ისეთი მონაწილეობა, რომელიც მათ უფლებამოსილებას გაზრდის. თემის წევრებს, ასევე, უნდა ვასწავლოთ, თუ როგორ გახდნენ წარმატებულები.
- დააბანდეთ რესურსები ორგანიზებაში და დაეხმარეთ ადამიანებს, რომ ერთად მუშაობა ისწავლონ.
- წარმართეთ ძალისხმევა მშვიდობის მისაღწევად. მონაწილეობა ნიშნავს ძალაუფლებას, რომელმაც შეიძლება ადამიანები დააშორიშოროს. გაითვალისწინეთ ინკლუზიის მნიშვნელობა.
- უწყვეტი კომუნიკაცია თემთან უაღრესად მნიშვნელოვანია.

საინტერესოა, რომ ბოლო პერიოდში ჩატარებულ კვლევებზე დაყრდნობით შეიძლება ითქვას, რომ მონაწილეობის, როგორც უფლებამოსილების გაზრდის, ხელშემწყობი ინსტრუმენტის ეფექტურობა გარკვეულ კრიტიკას იმსახურებს. ზოგჯერ მონაწილეობა რიტუალის ფორმას იღებს და ამ იდეით შეპყრობილები პროგრამის გეგმას სათანადოდ/ეფექტურად არ აფასებენ (კუკი და კოთარი, 2001). ჩემმა ფილიპინელმა მეგობრებმა გამოიგონეს სიტყვა "ფასიპულირება," რომელიც კარგად აღწერს ცდუნებას, ფასილიტაციის ნაცვლად მანიპულირება მოახდინო. არსებობს გარკვეული ფაქტორები, რომელთა ზეწოლითაც განვითარების სპეციალისტები ამ ცდუნებას ვერ არიდებენ თავს. შეზღუდული დრო, სწრაფი განვითარების აუცილებლობა, რაც პროგრამის დიზაინითაა განპირობებული და სხვა ასპექტები მონაწილეობის პოტენციური შედეგების მინიმალიზაციას იწვევს. ხშირად ძლიერი ადგილობრივი ელიტა ცდილობს, თავად მართოს მონაწილეობის პროცესი საკუთარი ინტერესების დასაკმაყოფილებლად. დონორების მიერ შემუშავებული პროგრამების სახელმძღვანელო დირექტივები დითირამბებს უძღვნის ღარიბების მიერ საპროგრამო იდეების შემუშავებას, მაგრამ პრაქტიკაში ეს ასე არ ხდება. პრაქტიკოსი ჰოლისტიკოსის პროფესიული კომპეტენციის გამო ხშირად გვხვდება მიდგომა, რომ თავი უნდა დავანებოთ იდეების ძებნას და თავად მოვძებნოთ "სწორი" პასუხები პროგრამის გეგმის შესამუშავებლად. ჩვენ უნდა გავაცნობიეროთ, რომ ძალაუფლების ასიმეტრია ხშირად აფერხებს ღარიბების ეფექტურ მონაწილეობასა და უფლებამოსილების ზრდას. გარდა ამისა, ფრთხილად უნდა ვიყოთ, რომ მონაწილეობის მიმართ რომანტიკული დამოკიდებულება არ ჩამოგვიყალიბდეს. არ უნდა ვიფიქროთ, რომ ღარიბები ყოველთვის მართლები არიან და მათ მოსაზრებებს უნდა მიენიჭოს უპირატესობა და არა გარეშე ადამიანის აზრს. ასეთი დამოკიდებულება არასწორია. თუ ადგილობრივებს მიაჩნიათ, რომ გოგონების სკოლაში სწავლა არ არის პრიორიტეტული ან ქალების გენიტალიების დასახიჩრება მისაღები რიტუალია, ამ მოსაზრებებს მხარი არ უნდა დავუჭიროთ. უნდა გვესმოდეს, რომ როგორც განვითარების სპეციალისტები, ასევე ღარიბები ამ პროცესის მონაწილეები არიან და მათ თავიანთი ძლიერი მხარეები აქვთ.

ჟან პიერ ოლივიე დე სარდენმა, განვითარების ანთროპოლოგიის სფეროს ფრანგმა პროფესორმა, შემოგვთავაზა, რომ გვერდზე გადავდოთ მიდგომა "ღარიბები ყოველთვის მართლები არიან" და განვითარების ღონისძიებები მეთოდოლოგიაზე დაფუძებული გამოცდილებისა და მონაწილეობის გათვალისწინებით განვახორციელოთ (2005, 9-11). მეთოდოლოგია აქცენტს ანთროპოლოგიის ინსტრუმენტებზე უნდა ამახვილებდეს, რომელიც სცდება "ადგილობრივი – გარეშეს" პოლარიზაციას და ცდილობს გაიგოს ის რთული პროცესები, რომელთა მეშვეობითაც ადგილობრივი მოსახლეობის ცოდნა და გამოცდილება და გარეშე ადამიანების ცოდნა გაერთიანდება. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მონაწილეობითი მეთოდების გამოყენება მხოლოდ ადგილობრივი ცოდნის გამოვლენისაკენ არ უნდა იყოს მიმართული, არამედ ადგილობრივი მოსახლეობის პრობლემებთან გამკლავების მეთოდების გამოვლენას, მათთან მოლაპარაკებების წარმართვასა და ახალი გამოცდილების შერწყმას უნდა უწყობდეს ხელს, რაც ორივე მხარისთვის იქნება სასარგებლო და ღარიბების აზრის უკეთ გათვალისწინებაში დაგვეხმარება. პროცესის ასეთი აღქმა დაეხმარება განვითარების სპეციალისტს ცოდნის სხვადასხვა სისტემას

შორის ხიდის როლის შესრულებაში, ანუ მკვიდრი მოსახლეობის ცოდნისა და დასავლური ტექნიკური ცოდნის ერთმანეთთან შეჯერებაში (ლიუისი და მოსე, 2006). ამის გარეშე შუამავლის როლი ვერ შესრულდება და ყურადღების მიღმა დარჩება იმ ცოდნის მოძიება, რომელიც თემს პროგრამის დაგეგმვაში დაეხმარება.

საბედნიეროდ, ბოლო დეკადის განმავლობაში მონაწილეობითი მეთოდოლოგიების განვითარებასთან და პრაქტიკული გამოცდილების გამდიდრებასთან ერთად სულ უფრო დახვეწილი ინსტრუმენტები იქმნება, რაც მონაწილეობის ეფექტურობას ზრდის. მონაწილეობა 1990-იანი წლების შუა პერიოდისათვის სოციალური კაპიტალის ელემენტად მოიაზრებოდა, რაც შემდგომში რეალურ ღონისძიებებში გადავიდა და 1990-იანი წლების ბოლოსათვის მოქალაქეების მართვაში ჩართვა უაღრესად პოპულარული გახდა. "გვჯერა, რომ იმის გაცნობიერება, თუ როგორ მოიაზრება მონაწილეობა არსებულ პოლიტიკურ და ძალაუფლების სტრუქტურებში, დაგვეხმარება განვითარების უფრო ტრანსფორმაციული მიდგომების გავრცელებაში. ეს კი მოქალაქეობის უფრო ფართო გაგების დანერგვაში დაგვეხმარება" (ჰიკეი და მოჰანი, 2004, 5).

ადამიანების ტრანსფორმაცია ისტორიის ტრანსფორმაციას იწვევს

არსებობს კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მიზეზი, რომლის გამოც ეფექტური მონაწილეობა გადამწყვეტი მნიშვნელობისაა და შეიძლება უფრო მნიშვნელოვნად იყოს მიჩნეული, ვიდრე ადამიანის ღირსების აღდგენა ან ჩვენი ეგალიტარული ფასეულობების დამკვიდრება, რაც არ უნდა მნიშვნელოვანი იყოს ეს ორი უკანასკნელი ასპექტი. თუმცა, შეიძლება არსებობდეს მოსაზრება, რომ უფლებამოსილების გაზრდა ტრანსფორმაციის ყველაზე მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია.

ჯეიმს როსენაუმ მე-20 საუკუნეში დასავლეთში განხორციელებული ცვლილებებისა და უწყვეტობის ანალიზისას გამოთქვა აზრი, რომ საუკუნის ბოლოსკენ განვითარება განაპირობა ხუთმა ძირითადმა ფაქტორმა. ერთ-ერთი ასეთი ფაქტორი ადამიანების გარდაქმნა იყო*. ჩვეულებრივ, ანალიტიკური უნარები, რომლებიც დასავლელებს აქვთ, საშუალებას აძლევს მათ, უკეთ გაიგონ, თუ რატომ ხდება გარკვეული მოვლენები მათ ცხოვრებაში და ამჟამად უფრო მეტი უფლებამოსილებაც აქვთ. "დღეს ადამიანები, რომლებიც ქუჩაში ცხოვრობენ, აღარ არიან ისეთი უვიცები, პასიურები და ადვილად მანიპულირებადები, როგორებიც მათი წინამორბედები იყვნენ" (1990, 13). თუ ასეთი ცვლილება, ანუ უნარი, გავიაზროთ, რატომ არის რეალობა ასეთი და ჩვენი რწმენა, რომ გარკვეული ძალა და ზეგავლენა გვაქვს იმაზე, რაც ხდება, დასავლეთში სოციალური ცვლილებების წინაპირობაა, მაშინ მონაწილეობა, რომელიც ღარიბების უფლებამოსილების გაზრდას უწყობს ხელს, ტრანსფორმაციული განვითარების ძირითადი მამოძრავებელი ინსტრუმენტი უნდა

---

* როსენაუს მიერ დასახელებული ოთხი დანარჩენი ძალაა: (1) ტექნოლოგიების გარდაქმნა; (2) ისეთი ტრანსსასაზღვრო საფრთხეები, როგორებიცაა: შიდსი, გარემოს დაბინძურება, ნარკოტრეფიკინგი; (3) მთავრობების მიერ სოციალური პრობლემების გადაწყვეტის შეზღუდული შესაძლებლობები; (4) ადამიანების მიდრეკილება, წინააღმდეგობა გაუწიონ გლობალიზაციას და საკუთარი თვითმყოფადობა ეთნიკურ და რელიგიურ დაჯგუფებებში ეძებონ.

იყოს. მხოლოდ გარდაქმნილ ადამიანებს შეუძლიათ ისტორიის გარდაქმნა. თუ ადამიანები არ გარდაიქმნებიან, გრძელვადიან პერსპექტივაში არსებითი ცვლილებები ვერ მიიღწევა.

უფლებამოსილების გაზრდა ფართო გაგებით უნდა მოვიაზროთ. ამ ტერმინით ხშირად *პროცესი* აღინიშნება, მაგალითად, მოტივაციის, უფლებების გაზრდის, შესაძლებლობების განვითარების პროცესი, მაგრამ იგივე ტერმინი ნიშნავს უფლებამოსილების გაზრდის *საშუალებებს*, რაც გულისხმობს მონაწილეობას, განათლებას, თემის ორგანიზებას, პოლიტიკური გავლენის გაზრდას და სხვა. უფლებამოსილების გაზრდის არსი იმაშია, რომ სოციალური ცვლილებების გარკვეული პროცესი თავად ადამიანების მიერ იმართება, რის შედეგადაც ისინი საკუთარი ცხოვრების გაუმჯობესებას აღწევენ იმ მიმართულებით, რომელიც მათთვის მნიშვნელოვანია. უფლებამოსილების გაზრდის ასეთი ინტერპრეტაცია ჩემბერსის "ესტაფეტის გადაცემის" მიდგომას ჰგავს. იგი, ასევე, სენის მიდგომას ეხმიანება, როდესაც იგი განვითარებას აღწერს, როგორც ღარიბების თავისუფლებისა და შესაძლებლობების გაზრდას.

თემის გაძლიერება

როდესაც ჩვენი ისტორიით მივდივართ თემში, გარკვეული გამოწვევის წინაშე ვდგებით. როგორ შეიძლება ამ ისტორიების ისე შერწყმა, რომ მათ ხელი შეუწყონ ადამიანებს, რაღაც ახალი შეისწავლონ და განვითარდნენ? აქ გადამწყვეტი მნიშვნელობისაა, რომ თემის წევრები გაერთიანდნენ, ანუ თანამშრომლობდნენ ერთმანეთთან. სწორედ ამიტომაც ვცემთ პატივს თემის ისტორიას, ვიყენებთ სოციალური სწავლების მიდგომას და ხელს ვუწყობთ ეფექტურ მონაწილეობას. ეს ყველაფერი თემის გაძლიერებას და კეთილმეზობლური ურთიერთობების დამყარებას უწყობს ხელს.

საინტერესოა კოსუკე კოიამას წვლილი მისიოლოგიაში. იგი ამკვიდრებს ახალ ტერმინს, რომელსაც იგი "კეთილმეზობლოლოგიას" უწოდებს (1974, 89ff.). იგი შეგვახსენებს, რომ ადამიანებს კარგი მეზობლები უფრო სჭირდებათ, ვიდრე კარგი თეოლოგია. მე ამას დავამატებდი, რომ ადამიანებს კარგი მეზობელი უფრო სჭირდებათ, ვიდრე კარგი განვითარების თეორია და პრაქტიკა. ჩვენი სამუშაო ადამიანებზეა ორიენტირებული და არა იდეებსა და ურთიერთობებზე. განვითარების სფეროს სპეციალისტები, რომლებიც კეთილმეზობლობის კონცეფციას იყენებენ როგორც ღარიბების გვერდით მუშაობის აღმნიშვნელ მეტაფორას, ბევრად უფრო ეფექტურად მუშაობენ, ვიდრე ისინი, ვინც მიიჩნევენ, რომ მათ ნებისმიერი პრობლემის გადაწყვეტა შეუძლიათ და ნებისმიერ შეკითხვაზე აქვთ პასუხი.

ღარიბების ისტორიების მოსმენა და ჩვენი ისტორიების მათთვის გაზიარება ნიშნავს, რომ ჩვენ ერთმანეთის მეზობლები ვხდებით. იმისათვის, რომ თემი ვიყოთ, კარგი მეზობლები უნდა გავხდეთ. ამას კი დრო სჭირდება. მეზობლის სიყვარული ასე უცბად არ ყალიბდება. სიჩქარეში შეიძლება რაღაც მნიშვნელოვანი გამოვტოვოთ. "ჩვენი მეზობლების საკითხებსა და პრობლემებზე ფიქრმა შეიძლება ძალიან ბევრი ენერგია წაიღოს და ბევრად უფრო ადვილია დაივიწყო, რომ გეჩქარება. უნდა ვისწავლოთ მოთმინება. ჩვენ უნდა ვისწავლოთ ჩვენი მეზობლის ენაზე ლაპარაკი და უკეთ გავიგოთ, რომელი ქვეჯგუფების წევრია იგი. ჩვენ უნდა ვიცოდეთ, თუ რა უხარია და რა სწყინს

მას. როდესაც ვისწავლით ჩვენი მეზობლის სიყვარულს, მივხვდებით, რომ ჩვენი სიყვარული უფლის ტკივილიდან იღებს დასაბამს, იმ ტკივილიდან, რომელსაც უფალი გრძნობს, როდესაც შენ მეზობელი არ გიყვარს" (ერიკსონი, 1996, 154). თუ მეზობლის სიყვარული არ შეგვიძლია, შევძლებთ კი განვითარების წამოწყებას?

განვითარების სფეროს პრაქტიკოსები

საბოლოო ჯამში, როდესაც ტრანსფორმაციული განვითარების ეფექტურობაზე ვსაუბრობთ, ყველაზე მნიშვნელოვანია ადამიანი და არა თეორია, პრინციპები, ან ინსტრუმენტები. ტრანსფორმაცია ურთიერთობების ტრანსფორმაციას გულისხმობს, ხოლო ურთიერთობების ტრანსფორმაციას ადამიანები აღწევენ. მეთოდები და პროგრამები მხოლოდ მაშინ აღწევს დასახულ მიზნებს, როდესაც პრაქტიკოსი ჰოლისტიკოსები მათ სწორი დამოკიდებულებით, განწყობითა და პროფესიონალიზმით იყენებენ ან ახორციელებენ. როდესაც განვითარების სფეროს პრაქტიკოსებს თეორია და ფასეულობები სრულად გათავისებული აქვთ და ამ თეორიისა და ფასეულობების შესაბამისად ცხოვრობენ, მხოლოდ მაშინ არის შესაძლებელი წარმატების მიღწევა. წინამდებარე ნაწილში განვიხილავთ იმ დამოკიდებულებასა და განწყობას, რომელიც პრაქტიკოს ჰოლისტიკოსს უნდა ჰქონდეს დასახული მიზნების მისაღწევად. გარდა ამისა, რამდენიმე სიტყვით შევეხებით პრაქტიკოსი ჰოლისტიკოსის ფორმირების საკითხს.

პრაქტიკოსი ჰოლისტიკოსის დამოკიდებულება და განწყობა

პრაქტიკოსი ჰოლისტიკოსის პორტრეტი, ჩვენ მიერ აღწერილი, ტრანსფორმაციული განვითარების მიზნებისა და ტრანსფორმაციის ათი პრინციპის გათვალისწინებით გვაქვს ჩამოყალიბებული (თავი 6). ამ თეორიული ჩარჩოს გათვალისწინებით შეგვიძლია დავსვათ შეკითხვა: რა თვისებები უნდა ახასიათებდეს განვითარების ქრისტიან სპეციალისტს? რა განწყობა და დამოკიდებულება უნდა ჰქონდეს პრაქტიკოს ჰოლისტიკოსს?

იყო კარგი მეზობელი. მოცემული მოთხოვნა ეყრდნობა უფლის ათ მცნებას, კერძოდ, მცნებას, რომელიც უფლისა და მოყვასის სიყვარულზე საუბრობს. ჩემბერსი ამას ასე აყალიბებს: "ჭეშმარიტება იმაშია, რომ ადამიანების მიმართ კეთილგანწყობილები უნდა ვიყოთ" (1997, 233). მაგრამ კეთილგანწყობა მხოლოდ დასაწყისია. ჩვენ უფრო მეტი უნდა გავაკეთოთ იმისათვის, რომ კარგი მეზობელი, ანუ მოყვასი გავხდეთ. მირასლავ ვოლფს მორიგების ქრისტიანული ინტერპრეტაციის ჩამოყალიბების დროს მაგალითად 1990-იანი წლების დასაწყისის ხორვატიისა და ბოსნიის ომი მოჰყავს. ვოლფი ამბობს: "ჩვენ საკმარისი ნება უნდა გვქონდეს, რათა ჩვენი თავი სხვა ადამიანებს მივუძღვნათ და სხვა ადამიანები ჩვენიანებად მივიღოთ საკუთარი თვითაღქმის გადასინჯვისა და ამ ადამიანების საჭიროებებზე მორგების გზით" (1996, 29). კარგი მეზობლობა მოითხოვს მზადყოფნას, რომ თავად შევიცვალოთ.

გქონდეს მოთმინება: დაუთმეთ ყველაფერს იმდენი დრო, რამდენიც თქვენ წინაშე არსებული ამოცანის გადაჭრას ესაჭიროება. განვითარება გრაფიკის მიხედვით ვერ მიიღწევა. ღონისძიებების დროულად განხორციელება დო-

ნორების მოწონებას დაიმსახურებს, მაგრამ, შესაძლოა, ხელი არ შეუწყოს ტრანსფორმაციას ან მდგრადობას. გახსოვდეთ, რომ უფალი მზადაა საათში მხოლოდ სამი მილი გაიაროს, რადგანაც ამაზე ჩქარა ადამიანი ვერ იმოძრავებს (კოიამა, 1979).

იყავი თავმდაბალი. ჩვენ არ ვიცით იმდენი, რამდენიც გვინდა, რომ ვიცოდეთ. სხვა ადამიანმა ყოველთვის უფრო მეტი იცის, ვიდრე ჩვენ მოველით. გარდა ამისა, ჩვენ, ყველას, მოგვიწევს აზრის შეცვლა, როდესაც ახალ ფაქტებს მოვიძიებთ.

ყველა სწავლობს. ნათელია, რომ სწავლის გარეშე ტრანსფორმაცია არ მიიღწევა. ზოგჯერ ჩვენ გვავიწყდება, რომ ყველა — ღარიბი და შეძლებულიც, მათ შორის პრაქტიკოსი ჰოლისტიკოსიც, უნდა სწავლობდეს, წინააღმდეგ შემთხვევაში ტრანსფორმაცია არ მოხდება.

ყველა ადგილი წმინდაა. ჩვენ პატივისცემა უნდა გამოვხატოთ ღარიბებისადმი. სხვა თუ არაფერი, უფალი ჩვენამდე იყო ამ ადამიანებთან, მოღვაწეობდა მათთან ერთად და სამყაროს დასაბამიდან მათი კეთილდღეობისათვის ზრუნავდა.

ყოველი მომენტი და ყოველი ღონისძიება პოტენციურად ტრანსფორმაციულია. ჩვენ არასოდეს ვიცით წინასწარ, თუ რა გზით მოხდება ცვლილება, სანამ უფალი ამ ცვლილებას არ განახორციელებს. ყველაფერი, რასაც ჩვენ ვაკეთებთ, მნიშვნელოვანია და გზავნილს შეიცავს. გასარკვევია, თუ როგორია ეს გზავნილი. ყველა ქმედებას შეუძლია ან ავნოს, ან განკურნოს, ანუ მან შეიძლება ადამიანის ღირსება შელახოს ან აღადგინოს. ამ თვალსაზრისით, ყოველი მოქმედება შეიძლება ტრანსფორმაციული აღმოჩნდეს.

რავი ჯაიკარანმა 1997 წელს მიცემულ ინტერვიუში ინდოეთის ერთ-ერთ სოფელში მონაწილეობითი მიდგომების გამოყენების შეფასების შედეგებზე ისაუბრა. როდესაც იგი თავის კოლეგასთან ერთად ამ სოფელში ჩავიდა, სოფლის წარმომადგენლებმა მათ სკამები გამოუტანეს, ხოლო თავად ჭილოფებზე დასხდნენ. რავიმ და მისმა კოლეგამ სკამებისათვის მადლობა გადაუხადეს მოსახლეობას, მაგრამ უარი თქვეს მათზე და სოფლელებთან ერთად ჭილოფებზე დასხდნენ. ისინი ისმენდნენ ისტორიებს პროექტის ფარგლებში აშენებული ჭის, სკოლისა და სხვა ღონისძიებების შესახებ. საუბრის ბოლოს რავიმ ჰკითხა თემის წარმომადგენლებს, რა იყო ყველაზე მნიშვნელოვანი ცვლილება. მოხუცმა კაცმა უპასუხა: "შენ ჩემსავით ჭილოფზე ზიხარ, თვალებში მიყურებ და ისე გვესაუბრები, როგორც თანასწორს. ეს არის ყველაზე დიდი ცვლილება." იმავე ჭილოფზე ჯდომას, რომელზეც თემის დანარჩენი წევრები ისხდნენ, უფრო ტრანსფორმაციული ზეგავლენა ჰქონდა, ვიდრე ჭის აშენებას ან სკოლის შეკეთებას.

გიყვარდეს ადამიანები და არა პროგრამა. ყოველთვის უნდა გვახსოვდეს, თუ ვინ არის ჩვენი "კლიენტი." ჩვენ აქ იმისთვის ვართ, რომ ადამიანებს ვემსახუროთ და არა პროგრამას. დონორები ზოგჯერ ისეთ გარემოს ქმნიან, რომ ამ ფუნდამენტური მნიშვნელობის მქონე ფაქტს ვივიწყებთ.

გიყვარდეს ეკლესიები. ხშირად თემში უკვე არიან ჩვენი დები და ძმები. ისინი ღმერთმა მიავლინა ამ თემში ჩვენ იქ მისვლამდე. ეს ადამიანები ქმნიან ჩვენს ოჯახს. ჩვენ უნდა მივიდეთ მათთან და გავეცნოთ. ისინი იქ ჩვენი და თემის კეთილდღეობისათვის იმყოფებიან. მაშინაც კი, თუ ეკლესია ისეთი არ არის, როგორსაც მოველით, უნდა გვახსოვდეს, რომ ის მომავალი სულიერი მდგრა-

დობის მნიშვნელოვანი ელემენტია. უფალმა ადგილობრივ თემს რწმენა აჩუქა, ჩვენ კი ამ რწმენის პატივსაცემად შექმნილ ეკლესიებს უნდა დავეხმაროთ.

ვისწავლოთ მონანიება. ჩვენ არ ვართ დაზღვეული შეცდომებისგან. ჩვენ ვაკეთებთ ან ვამბობთ ისეთ რამეს, რასაც შემდგომში ვნანობთ. მოყვასის სიყვარულის განუყოფელი ნაწილია ჩვენი მზადყოფნა, მივიდეთ ადამიანებთან, მოვინანიოთ ჩვენი შეცდომები და ვთხოვთ მათ პატიება. არაფერი ისე არ გააქარწყლებს ჩვენს პროფესიონალიზმთან დაკავშირებულ ეჭვებს, როგორც ჩვენი სული, რომელიც მზადაა მონანიებისათვის. ეს ადამიანებს დაანახვებს, რომ ჩვენ უფლის წინაშე გვეკისრება პასუხისმგებლობა და მზად ვართ პასუხი ვაგოთ ღმერთისა და იმ ადამიანების წინაშე, რომლებსაც ვემსახურებით.

იმოქმედეთ, როგორც დამოკიდებულმა ადამიანებმა. ყოველდღიურად უნდა დავანახოთ ადამიანებს, რომ ჩვენ უფლის ნებაზე ვართ დამოკიდებულები და არა ჩვენს პროფესიულ უნარებზე, განვითარების ტექნოლოგიაზე ან ჩვენს ფინანსურ რესურსებზე. ადამიანები თავად დარწმუნდებიან, თუ ვისი უნდა გვწამს. ჩვენი მოქმედებები და ჩვენი ცხოვრება უნდა ადასტურებდეს, რომ ჩვენ უფლის გვწამს და მას ვენდობით.

ვისი რეალობაა უფრო მნიშვნელოვანი? უნდა ვაკონტროლოთ, რომ ადამიანებს თავზე არ მოვახვიოთ ჩვენი განათლება და გამოცდილება. ყოველთვის არსებობს იმის ცდუნება, ჩავთვალოთ, რომ ჩვენი აზრი და რეალობაა სწორი. ამ გზით, შესაძლოა, კიდევ უფრო გავაღრმავოთ ღარიბების სიღარიბე. ჩემბერსი ამასთან დაკავშირებით რამდენიმე მნიშვნელოვან შეკითხვას სვამს:

ვისი ცოდნაა უფრო მნიშვნელოვანი?
ვისი ფასეულობებია უფრო მნიშვნელოვანი?
ვისი კრიტერიუმები და პრეფერენციებია უფრო მნიშვნელოვანი?
ვისი შეფასება, ანალიზი და დაგეგმვაა უფრო მნიშვნელოვანი?
ვისი ღონისძიებებია ეს?
ვისი მონიტორინგი და შეფასებაა ეს?
ვის ვასწავლით?
ვისი უფლებამოსილების გაზრდას ვაპირებთ?
ვისი რეალობაა უფრო მნიშვნელოვანი? ჩვენი თუ მათი? (1997, 101).

პრაქტიკოსი ჰოლისტიკოსის დახასიათება

პრაქტიკოსი ჰოლისტიკოსის თვისებები ტრანსფორმაციული განვითარების ჩარჩოსა (მე-6 თავი) და ტრანსფორმაციული განვითარების კონტექსტში, ქრიტიანობის მქადაგებლების მოაზრების გათვალისწინებით, ჩამოვაყალიბეთ (მე-10 თავი). ეს ჩარჩო სამყაროს ფიზიკური და სულიერი ასპექტების განუყოფელ ერთიანობად მოიაზრებს. განვითარების სფეროს სპეციალისტისა და თემის ტრანსფორმაციის მიზანია საკუთარი ჭეშმარიტი იდენტობის აღდგენა და დანიშნულების განსაზღვრა. ეს მიზნები ერთდროულად მატერიალურიცაა და სულიერიც. აქედან გამომდინარე, პროგრამების შემუშავებისას საჭიროა აბსოლუტური ჰოლიზმი. ეს კი შეუძლებელია **პრაქტიკოსი ჰოლისტიკოსების** გარეშე. ჰოლიზმი განვითარების სპეციალისტისათვის ან თემის მობილიზატორისათვის უაღრესად მნიშვნელოვანია, შეიძლება ითქვას, უფრო მნიშვნე-

ლოვანი, ვიდრე პროგრამისათვის. შესაბამისად, განსაკუთრებული ყურადღება უნდა დავუთმოთ **პრაქტიკოსი ჰოლისტიკოსის** თვისებებზე საუბარს.

იყო ქრისტიანი

პრაქტიკოსი ჰოლისტიკოსი ქრისტიანი უნდა იყოს. ეს ისედაც გასაგებია, მაგრამ საკმარისი არაა. **პრაქტიკოსი ჰოლისტიკოსი** ჰოლიზმის მქადაგებელი უნდა იყოს. უფალი მთელი გულითა და სულით უნდა გვიყვარდეს. ჩვენი მოყვასი ისე უნდა გვიყვარდეს, როგორც გვიყვარს საკუთარი თავი. უნდა გვესმოდეს, რომ უფლის განგება ყველაფერზე ვრცელდება: ჩვენს ურთიერთობებზე ღმერთთან, საკუთარ თავთან, მეზობლებსა და გარემოსთან. ჩვენ უფლის მოწოდებას უნდა ვემორჩილებოდეთ და მის მიერ დადგენილი წესებით უნდა ვიცხოვროთ. უნდა გვესმოდეს, რომ სახარება ღარიბების, მივიწყებულების, დაჩაგრულებისა და ექსპლუატირებულების დახმარებისაკენ მოგვიწოდებს და მათ სწყალობს. ჩვენი ცხოვრება უნდა ადასტურებდეს, რომ ტრანსფორმაცია იესოს რწმენის გზითაა შესაძლებელი.

იყო ქრისტიანი, კიდევ უფრო მეტს ნიშნავს. **პრაქტიკოსი ჰოლისტიკოსი** გატაცებით უნდა მოღვაწეობდეს. მას ჭეშმარიტად ბიბლიური მიდგომა უნდა ჰქონდეს სამყაროს, საკუთარი თავისა და სხვების შემეცნების პროცესთან მიმართებით. ეს ნიშნავს, რომ მან თანამედროვე (ან ზოგჯერ ტრადიციული) მსოფლმხედველობა უნდა შეისწავლოს, რომლის ტყვეობაშიც ვიმყოფებით ჩვენი განათლებისა და სოციალიზაციის გამო. ეს ნიშნავს იმის შესწავლასაც, თუ რა ზეგავლენა აქვს არაბიბლიურ მსოფლმხედველობას სიღარიბის გააზრებასა და თემისა და ჩვენი უკეთესი მომავლის ხედვის ჩამოყალიბებაზე. ეს ნიშნავს, რომ ჩვენ ბევრი უნდა ვიმუშაოთ სამყაროსადმი ჭეშმარიტად ბიბლიური ხედვის გამოსამუშავებლად. ეს ხედვა ნამდვილად ჰოლისტიკური უნდა იყოს და მოიცავდეს ზებუნებრივ ასპექტებს, ისევე როგორც ყველა იმ სიკეთეს, რომლებიც თანამედროვე მეცნიერებას მოაქვს.

იყო ქრისტიანი, ასევე, ნიშნავს, რომ განვითარების სპეციალისტის პირადი მიზანი საკუთარი მეობისა და დანიშნულების ძიება უნდა იყოს. ჩვენ ისევე ვექცევით სიცრუის ხლართის ზეგავლენის ქვეშ, როგორც ღარიბები და შეძლებულები. ჩვენ მუდმივად ვდგავართ ცდუნების წინაშე, ღმერთის როლი შევასრულოთ ღარიბების ცხოვრებაში და ამით კიდევ უფრო შევბღალოთ როგორც მათი, ისე საკუთარი ღირსება და თვითაღქმა. ტრანსფორმაციის აგენტი, რომელიც თავადაც არ გარდაიქმნება, უფრო მეტი ზიანის მომტანი შეიძლება გახდეს, ვიდრე სიკეთისა. ვიყოთ ქრისტიანი, ასევე, ნიშნავს ჩვენი მისიის ნათლად გააზრებასა და იმის გაცნობიერებას, რომ ადამიანები ისეთები უნდა გვიყვარდეს, როგორებიც არიან და დავაფასოთ მათი კულტურა. ჩვენ იქიდან უნდა დავიწყოთ მუშაობა, სადაც ადამიანები იმყოფებიან იმ მომენტისთვის და არ უნდა დაგვავიწყდეს, თუ ვინ ვართ და რა დანიშნულებით ვართ იქ მისულები. ქრისტიანობის ქადაგება ყოველთვის გულისხმობს მისიის ნათელ წარმოდგენას და მოქნილად რეაგირების უნარს. იესო ნებას აძლევს ადამიანებს, თავად განსაზღვრონ თავიანთი მიზნები. ჩვენ ვიცით, რომ იესომ გამოაცხადა უფლის სასუფევლის არსებობის შესახებ და თავად, იმავდროულად, მისი ანუ, რაც იგივეა, უფლის მიერ დასახული სამყაროს ახალი წყობის რეალური განსახიერება იყო (1993).

დაბოლოს, იყო ქრისტიანი ნიშნავს, რომ შენ იესოს სამწყსოს, ანუ ადგილობრივი ეკლესიებისა და კათოლიკე ეკლესიის, ე.ი. საქრისტიანოს, ნაწილი იყო. ქრისტიანი, რომელიც ეკლესიიდან გამიჯნულია, წინააღმდეგობრიობას წარმოადგენს. იმის მიუხედავად, თუ რამდენად ერთიანები არიან ქრისტიანები და არაქრისტიანები საქველმოქმედო ორგანიზაციაში, არასამთავრობო ორგანიზაცია ვერ იქნება ეკლესია, ამ სიტყვის ბიბლიური გაგებით. ჩვენ ფრთხილად უნდა ვიყოთ, რადგან ზოგჯერ ქრისტიანები, რომლებსაც სულიერი პრობლემები აქვთ ან გულაცრუებულები არიან ეკლესიის გამო, ცდილობენ ეკლესიას დაუახლოვდნენ პარაეკლესიურ ორგანიზაციაში თავიანთი საქმიანობის მეშვეობით. ქრისტიანული დახმარებისა და განვითარების სააგენტოები ქრისტიანული რწმენის მიმდევრები არიან, მათი თანამშრომლები ერთად აღავლენენ ლოცვას და ბიბლიას კითხულობენ. მიუხედავად ამისა, სააგენტოები ვერ შეასრულებენ ეკლესიის ფუნქციას. ეკლესია არის ერთადერთი ინსტიტუტი, რომელიც უფალმა აარჩია, რომ მისი ერთგული ადამიანების სახლი, მათი ოჯახი იყოს. ადგილობრივი ეკლესია უფლის არჩევანია, მას მიაქვს ღვთის სიტყვა ადამიანებთან და იგი ასრულებს საკრალურის როლს ადგილობრივი ადამიანებისათვის. მინდა, რომ კიდევ ერთი რამ შეგახსენოთ. ტრანსფორმაციის აგენტები მორწმუნეთა წრეების გარეთაც არსებობენ. უნდა დავაფასოთ მათი წვლილი და ნიჭი და ხელი უნდა შევუწყოთ მათ საქმიანობას. ყველა ადამიანს შეუძლია წვლილის შეტანა საზოგადოების განვითარებაში, მიუხედავად იმისა, ქრისტიანია იგი თუ არა. ამის იგნორირება ნიშნავს, რომ სათანადოდ არ ვაფასებთ იმ ნიჭს, რომელიც უფალმა ამ ადამიანებს, ჩვენ და საზოგადოებას მოგვცა.

გქონდეს ქრისტიანული ხასიათი

პრაქტიკოს ჰოლისტიკოსს ქრისტიანული ხასიათი უნდა ჰქონდეს. ეს ნიშნავს, რომ მან სხვა ადამიანები და მათი ინტერესები უფრო მაღლა უნდა დააყენოს, ვიდრე საკუთარი თავი. ჩვენ უნდა გვიყვარდეს ღარიბები და მზად უნდა ვიყოთ, ვემსახუროთ საზოგადოების მიერ მარგინალიზებულ ადამიანებს. ჩვენ უნდა შეგვეძლოს დავინახოთ უფლის ხატება ყველაზე დაჩაგრულსა და საცოდავ ადამიანებში და გვწამდეს, რომ სწორედ ეს ხატებაა ამ ადამიანის ჭეშმარიტი არსი. ჩვენ უნდა გვწამდეს, რომ უფალმა ღარიბებს ნიჭი და უნარი მისცა და მათი ეს მხარე უნდა წამოვწიოთ წინ, რათა მათ ტრანსფორმაციას მივაღწიოთ. ჩვენ უნდა გვინდოდეს ადამიანების დახმარება, როგორც ღარიბების, ასევე შეძლებულების, და უნდა ვეცადოთ, რომ მათ თავიანთი ჭეშმარიტი მეობა დაიბრუნონ და საკუთარი დანიშნულება უკეთ გააცნობიერონ. გვჯერა, რომ ღარიბ ადამიანებსაც იგივე ღირსება და წონა აქვთ, რაც პრაქტიკოს ჰოლისტიკოსებს. პრაქტიკოს ჰოლისტიკოსს უნდა სჯეროდეს, რომ ღარიბებს იგივე პოტენციალი აქვთ და შეუძლიათ ისეთივე პროდუქტიულები იყვნენ, როგორებიც სხვა ადამიანები არიან.

პრაქტიკოსი ჰოლისტიკოსი ქრისტიანული წესით უნდა ცხოვრობდეს. ჩვენ პატიოსანი ადამიანები უნდა ვიყოთ, რომლებსაც ენდობიან და რომლებსაც სულიერების დემონსტრირება შეუძლიათ. ჩვენ უნდა გვჯეროდეს კარგი ურთიერთობების ტრანსფორმაციული ძალისა და ვეცადოთ იმ ადამიანების მეგობრები გავხდეთ, რომლებსაც ვემსახურებით. ყოველთვის მზად უნდა

ვიყოთ, ვისაუბროთ ჩვენს სისუსტეებსა და ძლიერ მხარეებზე, ყოველთვის უნდა ვამტკიცებდეთ, რომ უფალია ჩვენი სიძლიერის წყაროცა და ის ძალაც, რომელიც ჩვენს შეცდომებს მიგვიტევებს და დაგვაძლევინებს. ჩვენ მარტივი ცხოვრებით უნდა ვიცხოვროთ. ეს უფრო მეტია, ვიდრე ყოველგვარ სიკეთეზე უარის თქმა. ფრანცისკ ასიზელს სწამდა, რომ "ღარიბებთან უნდა მისულიყო, მათი სამყარო გაეგო, რადგანაც სწორედ ამ გზით შეძლებდა იმ მდგომარეობის მიღწევას, რომელიც უფალმა ინკარნაციის დროს განიცადა" (მოტე, 1996, 71). ჩვენ გახსნილები უნდა ვიყოთ და წინააღმდეგობა არ უნდა შევქმნათ, როცა სხვა ადამიანები ჩვენთან მოახლოებას ცდილობენ. პრაქტიკოსი ჰოლისტიკოსი პრაქტიკოსი ქრისტიანივით უნდა იქცეოდეს და ჭეშმარიტად თავმდაბალი უნდა იყოს. იმავდროულად, ჩვენი თავმდაბლობა დაბალანსებული უნდა იყოს, უნდა ადასტურებდეს იმ ღირებულებებს, რომლებიც უფალმა გვასწავლა და აღიარებდეს იმ სისუსტეებსა და ცოდვებს, რომლებიც უფლის ღვაწლს ამცირებს და მის განზრახვას ხელს უშლის. ჩვენ გვჭირდება თავმდაბლობა, რომელიც დაგვეხმარება, რომ გვერდზე გადავდოთ ყველაფერი ამპარტავნება და მოვიქცეთ ისე, რომ ჩვენს სისუსტეებში ღარიბებმა საკუთარი სიძლიერე იპოვონ (1 კორინთელთა მიმართ, 2:1-3). უნდა გავაცნობიეროთ, რომ ჩვენ ღარიბების მსახურები ვართ, თემს გარკვეული რესურსები უნდა მოვუტანოთ და იმ რესურსებს შევმატოთ, რომლებიც მას უკვე აქვს.

იყო პროფესიონალი

როდესაც ღმერთმა სამყაროს შექმნა დაასრულა, მან დააწესა, რომ სამყარო პოზიტიური უნდა ყოფილიყო. უფალს უყვარს კეთილი საქმეები და ჩვენც მის მაგალითს უნდა მივდიოთ. არ დაგვავიწყდეს, ის გარემოება, რომ ქრისტიანები ვართ, საპატიო მიზეზი არ არის ჩვენი არაპროფესიონალიზმისათვის. არ უნდა არსებობდეს დიქოტომია შენს ქრისტიანობასა და პროფესიონალიზმს შორის. სამწუხაროდ, ძალიან ბევრი ქრისტიანი, რომლებსაც ღარიბებზე შესტკივათ გული, მზად არიან მათთან დასახმარებლად მივიდნენ ისე, რომ არ ესმოდეთ, რას აკეთებენ. ქველმოქმედება ყოველთვის სასიკეთოა. ადამიანები ცდილობენ სხვას დაეხმარონ, მაგრამ ასეთმა მცდელობამ, შესაძლოა, ტრანსფორმაციულ განვითარებას ზოგჯერ ჩრდილი მიაყენოს. ის, რომ სიკეთის გაკეთება გსურთ, არ ნიშნავს, რომ თქვენ კომპეტენტური ხართ ამის კარგად გასაკეთებლად. განვითარების სფეროში მუშაობა პროფესიაა, რომელიც ტექნიკურ ტრენინგსა და უწყვეტ სწავლას მოითხოვს, რათა მუდმივად იყოთ საქმის კურსში, თუ რა სიახლეებია განვითარების საკითხებისადმი მიძღვნილ კვლევებში. ყოველწლიურად ახალ რაღაცას ვსწავლობთ იმის შესახებ, თუ რომელი მეთოდებია უფრო ეფექტური და რამ არ გაამართლა. კარგად რომ იმუშაო, უნდა იყო კარგი პროფესიონალი და მუდმივად უნდა ცდილობდე საკუთარი უნარების დახვეწას. ღარიბები ჩვენგან უფრო მეტს ელიან, ვიდრე თანაგრძნობაა. მათ ჩვენი პროფესიონალიზმი და ცოდნა სჭირდებათ.

პროფესიონალიზმი გულისხმობს, რომ ჭეშმარიტად ჰოლისტიკური მიდგომა უნდა გვქონდეს. მე უკვე აღვნიშნე, რომ უფრო მნიშვნელოვანია ჰოლიზმი პრაქტიკოსი სპეციალისტის გულსა და გონებაში იყოს, ვიდრე პროგრამაში აისახოს. ბიბლიაზე დაფუძნებით ჰოლისტიკური მსოფლმხედველობის ფორმირების გარეშე შეიძლება თქვენი მუშაობა, ქრისტიანული განვითარების

სპეციალისტის მუშაობის ნაცვლად, იმ ფუნქციონალური ათეისტის მუშაობას დაემსგავსოს, რომელიც პროფესიონალურად ასრულებს თავის სამუშაოს. სოციოლოგიური მეცნიერებები და ზოგჯერ მისიონერული თეოლოგიაც კი იმ თანამედროვე მეცნიერული მსოფლმხედველობის ასახვას წარმოადგენს, რომელიც სულიერ და მატერიალურ სფეროებს ერთმანეთისაგან მიჯნავს და ამ სფეროებს ცალკე მეცნიერებებს მიაკუთვნებს. სრულიად მიუღებელია, რომ პროფესიონალიზმის ძიებაში ნაკლებად ქრისტიანები გავხდეთ.

პრაქტიკოსმა ჰოლისტიკოსმა ღრმად უნდა შეისწავლოს სიღარიბის ყველა ასპექტი და გამოხატულება. მას უნდა შეეძლოს სოციოლოგიური მეცნიერებების შედეგები და წმინდა წერილების სწავლება გაითვალისწინოს, რათა დაადგინოს სიღარიბის მიზეზები, რომლებიც შეიძლება მატერიალური, პოლიტიკური, ფსიქოლოგიური, კულტურული და სოციალურ-პოლიტიკური იყოს. მან უნდა შეძლოს, კარგად გააცნობიეროს ადგილობრივი სოციალურ--პოლიტიკურ-ეკონომიკურ-რელიგიური კონტექსტი და შეისწავლოს, თუ მოქმედებს თუ არა ეს კონტექსტი ღარიბების კეთილდღეობის სასიკეთოდ თუ პირიქით მოქმედებს საწინააღმდგოდ. ყოველივე ზემოხსენებული იმ გარემოების გათვალისწინებასაც გულისხმობს, რომ თემმა იცის საკუთარი რეალობის შესახებ და შეიძლება მისი ცოდნა უფრო ღრმა ან უფრო ზუსტი იყოს, ვიდრე გარედან მოსული ადამიანისა. უნდა ვისწავლოთ თემისაგან და პატივი ვცეთ მისი მკვიდრი მოსახლეობის ტრადიციულ ცოდნას. ეს ყველაფერი კი უნდა დავაბალანსოთ იმ ფაქტთან, რომ პრაქტიკოს ჰოლისტიკოსს მნიშვნელოვანი ცოდნა და ინფორმაცია მოაქვს თემში და, თავის მხრივ, ბევრ გამოწვევას აყენებს თემის წინაშე, რათა ის განვითარდეს. სწორედ ამ მომენტშია მნიშვნელოვანი ჭეშმარიტად ქრისტიანული ხასიათი. ჩვენ იმ ნიჭითა და უნარებით დაჯილდოებულები მოვდივართ, რომლებსაც უფალი გვაძლევს. ჩვენი ეს უნარები და ნიჭი თემის უნარებსა და ნიჭს უნდა შეერწყას. ნუ ვიქნებით ზედმეტად თავდაჯერებულები. პრაქტიკოსმა ჰოლისტიკოსმა ისეთი უნარები უნდა განივითაროს, რომლებიც თემთან ეფექტური მუშაობის საშუალებას მისცემს და ადამიანებს თავს უფრო ძლიერებად და თავისუფლებად აგრძნობინებს. მან უნდა ისწავლოს თემისგან ის, რაც ამ ადამიანებმა უკვე იციან. მან უნდა გაიგოს, თუ როგორ მუშაობს საბაზისო ჯანდაცვა, რა არის მდგრადი სოფლის მეურნეობა, წყლის მართვა, მიკროსაწარმოების განვითარება. მას უნდა ესმოდეს მდგრადი განვითარების სისტემების არსი და ხელი შეუწყოს ადგილობრივი მთავრობის, ბიზნესის, რელიგიური ინსტიტუტებისა და ადამიანების თანამშრომლობას და ისეთი ურთიერთობების აშენებას, რომლებიც კეთილდღეობის მიღწევას უზრუნველყოფს. მას, ასევე, საბაზისო განათლების პრინციპები უნდა ესმოდეს და ჰქონდეს უნარი, ასწავლოს ადამიანებს და მოერგოს მათ ტემპს.

პრაქტიკოს ჰოლისტიკოსს კარგად უნდა ესმოდეს კულტურის მნიშვნელობა და მისი ზეგავლენა განვითარების პროცესებზე. მას უნდა ესმოდეს კულტურული ფასეულობები და ისიც, თუ როგორ ხდება მათი ფორმირება ან გარდაქმნა. მათ უნდა გაიგონ, თუ როგორ ესმის თემს მიზეზ-შედეგობრივი კავშირები და უნდა დაეხმაროს მას, რომ ტრადიციული ან თანამედროვე მსოფლმხედველობიდან უფრო ბიბლიურ მსოფლმხედველობაზე გადავიდეს. ეს რთული სამუშაოა, რადგანაც ხშირად პრაქტიკოსი ჰოლისტიკოსების მსოფლმხედველობა არ არის ბიბლიური. როდესაც ის თანამედროვე მსოფლმხედვე-

ლობის მატარებელია, როდესაც იგი ცდილობს ადამიანებს დაეხმაროს თავიანთი ტრადიციული მსოფლმხედველობის გარდაქმნაში, ხშირად სწორედ ამ უკანასკნელის თავზე მოხვევის საფრთხე ჩნდება. თემსაც და განვითარების სპეციალისტსაც სჭირდებათ ისეთი მსოფლმხედველობა, რომლის ცენტრია ბიბლიური ღმერთი. ეს გულისხმობს, რომ ორივე მხარემ უნდა ისწავლოს ერთმანეთისაგან და გარდაიქმნას.

პრაქტიკოსი ჰოლისტიკოსისათვის არ არის საკმარისი მხოლოდ თეოლოგიისა და სოციალური მეცნიერებების ცოდნა. ისინი რეალობასაც კარგად უნდა იცნობდნენ. ბოროტი ძალა მუდმივად მოქმედებს. არსებობენ ადამიანები, რომლებიც ამ ბოროტი ძალის ზეგავლენით მოქმედებენ. ჩვენი პროფესიონალიზმის განუყოფელი ნაწილია სოციალურ-ეკონომიკურ-პოლიტიკურ-რელიგიური კონტექსტის შესწავლა და სწორი პასუხების მოძებნა შემდეგ შეკითხვებზე: ვინ ვინ არის ამ სამყაროში? ვინ რას უკეთებს სხვებს? სად მიდის ფული? ჩვენი გულუბრყვილობისა და შეცდომების გამო, შესაძლოა, ღარიბებს მოუწიოთ ამ შეცდომების საკუთარ თავზე გადატანა. ჩვენ უნდა გვესმოდეს, რომ დახმარებაც კი შეიძლება არ იყოს ნეიტრალური და რომ პასუხისმგებლობა გვეკისრება, ამ ადამიანებს ზიანი არ მივაყენოთ (იხილეთ ანდერსონი, 1996ბ; სლიმი, 1997). ჩვენ მძიმე ეთიკური არჩევანის გაკეთება მოგვიწევს და ამისთვის მზად უნდა ვიყოთ. ზოგჯერ არჩევანის გაკეთება მომენტალურად მოგვიწევს.

პროფესიონალიზმისკენ მოწოდება არ ნიშნავს, რომ სიამაყისაკენ მოგიწოდებთ. ყველაფერი, რაც გვაქვს, უფლისაგანაა ბოძებული. ტრანსფორმაცია უფლის ნებაა და მისი ხელშეწყობით მიიღწევა. ეს აზრი განსაკუთრებით სწორია საკუთარ ტრანსფორმაციასთან მიმართებით. ყოველთვის უნდა გვახსოვდეს, რომ უფლის მსახურები ვართ. ჯონ ტეილორმა მისიონერებს ისეთი გაფრთხილებით მიმართა, რაც განვითარების სფეროს პროფესიონალებისთვისაც საინტერესო უნდა იყოს: "ჩვენ უნდა ჩამოვიდეთ ჩვენი ცხენიდან და დავდგეთ მიწაზე, რომელიც უფალმა შექმნა ჩვენს სასაზრდოებლად. ჩვენ გვერდზე უნდა გადავდოთ ჩვენი მისიონერული წინასწარი განწყობილებები და თავიდან დავიწყოთ, ანუ იქიდან, საიდანაც სულიწმინდამ დაიწყო. ეს ნიშნავს, რომ უნდა დავაკვირდეთ თავმდაბლად და შევიცნოთ, რისი გაკეთება უნდა უფალს ამ ადამიანებისათვის და შემდეგ მასთან ერთად უნდა ვიღვაწოთ ამ მიზნის მისაღწევად" (1972, 39).

ჩემბერსის აზრით, განვითარების სფეროს პროფესიონალმა უნდა გამოიმუშაოს ანტიდოტე, რომელიც აუცილებელია, რომ მისი პროფესიონლიზმი არ გახდეს ბარიერი ღარიბების მიერ იდენტობის აღდგენისა და ადგილის დამკვიდრების გზაზე (იხილეთ დიაგრამა 7-5).

	არსებული ტენდენცია	**საჭირო ცვლილებები**
ქცევა	დომინანტური დამოძღვრის შეზღუდვა	ხელშეწყობა, მოსმენა უფლებამოსილების გაზრდა
პროფესიონალიზმი	მთავარია მატერიალური მამაკაცი ქალზე წინ პრიორიტეტს პროფესიონალი ადგენს ტექნოლიგიების გადაცემა გამარტივება	მთავარია ადამიანი ქალი მამაკაცზე წინ პრიორიტეტს ღარიბები ადგენენ ტექნოლოგიების არჩევანი გართულება
ორგანიზაციული სტილი	ცენტრალიზაცია, სტანდარტიზაცია კონტროლი	დეცენტრალიზაცია დივერსიფიკაცია ხელშეწყობა
სწავლების მეთოდები	ზემოდან რეგიონების განვითარება ტურიზმი	ქვემოდან მონაწილეობითი, არაფორმალური შეფასება
ანალიზისა და ღონისძიებების განმახორციელებელი მხარე	გარეშე პროფესიონალები	ადგილობრივი მოსახლეობა

დიაგრამა 7—5: მიმართულების შეცვლის ძიებაში
(ჩემბერსის ადაპტირებული ვერსია, 1997, 204)

უწყვეტი განათლება

პრაქტიკოს ჰოლისტიკოსს უნდა ესმოდეს, რომ მან არ შეიძლება იცოდეს ყველაფერი, რისი ცოდნაც სჭირდება. ისინი მუდმივ თვითგანათლებაზე უნდა ზრუნავდნენ და ეძებონ ახალი სიბრძნე ბიბლიაში, ისწავლონ თემისაგან, გაეცნონ განვითარების კვლევებს. ისინი მზად უნდა იყვნენ ინფორმაციის დოკუმენტირებისათვის, შეკითხვების დასმისათვის, ადამიანების ისტორიების მოსასმენად. ისინი დროს უნდა უთმობდნენ ადამიანებთან ერთად საკითხების უკეთ შეცნობას, გატაცებით უნდა ცდილობდნენ სხვადასხვა საკითხის არსის წვდომას. მათ უნდა დასვან შეკითხვები: რა ვისწავლეთ? რამ იმუშავა კარგად? რამ არ იმუშავა? რა გამოგვრჩა? რას გვეუბნება ღმერთი ამასთან დაკავშირებით?

პრაქტიკოს ჰოლისტიკოსად ფორმირება

სად უნდა ვეძებოთ ასეთი ღირსებებით შემკული ადამიანები? ვის შეუძლია ამ სტანდარტების დაკმაყოფილება? რასაკვირველია, პასუხი ნათელია. ამას

ვერავინ შეძლებს. ზემოთ აღწერილი პრაქტიკოსი ჰოლისტიკოსი ყველაფერი საუკეთესოს ერთიანობაა, რის წარმოდგენაც შეგვიძლია და რასაც ჩვენი გამოცდილება და სახარება გვასწავლის. ვერც ერთი ადამიანი ვერ იქნება ისეთი, რომ ჩვენ მიერ აღწერილი სტანდარტი ზედმიწევნით დააკმაყოფილოს. სწორედ ამიტომ არის პრაქტიკოს ჰოლისტიკოსად ჩამოყალიბება ასე მნიშვნელოვანი. ეს პროცესი იმის კარგად გაცნობიერებით იწყება, თუ რას მოველით პრაქტიკოსი ჰოლისტიკოსებისაგან. ჩვენ მიერ მოყვანილი პრაქტიკოსი ჰოლისტიკოსის აღწერიდან ნათელი ხდება, რომ ასეთი პრაქტიკოსის ფორმირება უნდა მოვიაზროთ როგორც სწავლა, ანუ ჭეშმარიტად ქრისტიანი ადამიანის პროფესიონალად ჩამოყალიბების პროცესი. მხოლოდ ჰოლიზმის მიმდევრებს შეუძლიათ განიცადონ ჰოლისტიკური ტრანსფორმაცია. ჩვენ ამის გათვალისწინებით უნდა განვსაზღვროთ, თუ რა სახის თვალსაზრისი, დამოკიდებულება, ქცევა და უნარები უნდა ჰქონდეთ მათ. ამის შემდეგ, პირველ რიგში, ჩვენ უნდა შევარჩიოთ შესაბამისი ნიჭითა და თვისებებით დაჯილდოებული ადამიანები. ჩვენ ვერ შევქმნით რაღაცას არაფრისაგან. სულის ნაყოფია სიხარული, მშვიდობა, დიდსულოვნება, სიტკბოება, სიკეთე და რწმენა (გალატელთა მიმართ, 5:22). ეს საკმოდ ამომწურავი ჩამონათვალია იმ თვისებებისა, რომლებიც პრაქტიკოს ჰოლისტიკოსს უნდა ჰქონდეს. ეს თვისებები შერჩევის კრიტერიუმად შეიძლება გამოდგეს ტექნიკური ცოდნისა და გამოცდილების კრიტერიუმებთან ერთად.

მეორე: ამ ადამიანების პროფესიონალებად ფორმირებას სისტემური და რეგულარული ტრენინგის, პრაქტიკული გამოცდილების გაზიარებისა და მენტორობის გზით უნდა შევუწყოთ ხელი. ამას განვითარების სააგენტოების პერსონალი და ეკლესიები უნდა აკეთებდნენ. მუდმივი ფორმირების შესაბამისი მიდგომების შემუშავებისას სულიერი განვითარება და პროფესიული სწავლება არ უნდა განვიხილოთ ორ ერთმანეთისაგან განცალკევებულ სფეროდ, ორივე მათგანი პრაქტიკოსი ჰოლისტიკოსის ფორმირების განუყოფელი ნაწილია. ეს ნიშნავს, რომ სულიერი ფორმირება, რელიგიური დისციპლინების შესწავლა, საერო განათლება და მეცნიერება, მონაწილეობითი მიდგომების გაცნობა და გაცნობიერებული კვლევა პრაქტიკოსი ჰოლისტიკოსის ფორმირებისათვის აუცილებელი ასპექტები უნდა იყოს. ერთ პიროვნებაში უნდა გავაერთიანოთ ქრისტიანი და პროფესიონალი.

საკუთარი იდენტობის გაცნობიერება

სიღარიბის საკითხებისადმი მიძღვნილ თავში ვისაუბრეთ საკუთარი იდენტობის გაცნობიერების აუცილებლობასა და მნიშვნელობაზე. ყველა პრაქტიკოს სპეციალისტს საკუთარი ცოდნა და გამოცდილება აქვს, რომელიც შეიძლება დაეხმაროს მათ ან, პირიქით, ხელი შეუშალოს დაკისრებული მისიის შესრულებაში. ჩვენ კარგად უნდა გვესმოდეს, რომ შეიძლება მიკერძოებული მოსაზრებები გქონდეს ღარიბებთან, სიღარიბესა და მის გამომწვევ მიზეზებთან დაკავშირებით. ეს არ უნდა დაგვავიწყდეს და უნდა ვეცადოთ, მაშინვე გავაცნობიეროთ თანამედროვე მსოფლმხედველობის ზეგავლენა, რომელიც მატერიალურ და სულიერ სამყაროებს ერთმანეთისაგან აცალკევებს.

უპირველეს ყოვლისა, კარგად უნდა გავაანალიზოთ, თუ რატომ ვმოღვაწეობთ განვითარების სფეროში. რა არის ჩვენი მიზანი? ჩვენ თავად ვცდი-

ლობთ მივაღწიოთ იმას, რასაც ვცდილობთ, რომ ღარიბებს მივაღწევინოთ? ჩვენ ერთსა და იმავე გზას ვადგავართ, თუ, უბრალოდ, ვცდილობთ, ღარიბებს ჩვენი აზრი მოვახვიოთ თავზე? ქვამე ბედიაკო პრაქტიკოსისათვის ჰოლიზმის მნიშვნელობაზე საუბრობს და შეგვახსენებს პავლე მოციქულის აზრს (კორინთელთა მიმართ, 15:1-11). ბედიაკო წერს: "ქრისტიანული მსახურების ჭეშმარიტი მოტივაციის განუყოფილი ნაწილია თავად განვითარების სპეციალისტის სურვილი, იმავე სახარებითა და წესებით იცხოვროს, რასაც იგი სხვას ასწავლის და უზიარებს" (1996b, 189).

ჩვენი პროფესიონალიზმი შეიძლება მხოლოდ მოვალეობად იქცეს, თუ მკაცრად არ შევაფასებთ, რას ემყარება ჩვენი მოღვაწეობა. ვინეი სამუელი შეგვახსენებს, რომ ყოველი პრაქტიკოსი ჰოლისტიკოსი პროგრესის, ჯანდაცვის, ოჯახის, სოციალურ ცხოვრებაში მონაწილეობის, გადაწყვეტილებების მიღების, საბაზრო რეალობის, ეკონომიკის პრინციპების, ეთიკისა და სულიერების ზეგავლენით ფორმირდება პროფესიონალად (1995, 153). ეს ყოველივე გავლენას ახდენს პრაქტიკოსის მიერ ტრანსფორმაციული განვითარების პროცესებისა და შედეგების შესახებ წარმოდგენაზე. შესაბამისად, ამ ადამიანების წარმოდგენები, თუ როგორაა სამყარო მოწყობილი და როგორ უნდა შევცვალოთ იგი, პირველ რიგში, თემთან მუშაობის პროცესში უნდა ჩამოყალიბდეს და შეჯერდეს ბიბლიასთან.

ბოლოს კი მინდა აღვნიშნო, რომ საჭიროა ჩვენი ყველაზე მნიშვნელოვანი მოტივაცია გავაანალიზოთ. რატომ ვმოღვაწეობთ განვითარების სფეროში? ვის საჭიროებებს ვემსახურებით, როდესაც ვცდილობთ ღარიბებს ვემსახუროთ? უდავოა, რომ ამ შეკითხვებზე რამდენიმე პასუხი გვექნება. მაგრამ, მიუხედავად ამისა, კარგად უნდა გავაცნობიეროთ საკუთარი მოტივები, რათა არ ავყვეთ ცდუნებას, არ შევასრულოთ ღმერთის როლი ღარიბების ცხოვრებაში და კიდევ უფრო არ მოვამწყვდიოთ ეს ადამიანები შეძლებულთა ღმერთის კომპლექსის ტყვეობაში.

გახდე ჰოლიზმის მიმდევარი

პრაქტიკოსი ჰოლისტიკოსი თავად უნდა გახდეს ჰოლიზმის მიმდევარი. პრაქტიკოსად ფორმირების განუყოფელი ნაწილია უფალში საკუთარი იდენტობისა და დანიშნულების ძიება. ამ ჰოლისტიკური სწავლების პროცესში ჰიბერტის მიერ შემოთავაზებული მსოფლმხედველობის ჩარჩოს სამივე დონე უნდა იყოს მოცული. ჩვენ უნდა ვიცოდეთ ჭეშმარიტება უფლის შესახებ და უფლის სიტყვა. სწორედ ამიტომაა მნიშვნელოვანი, შევისწავლოთ ბიბლია და თეოლოგია. ჩვენ, ასევე, უნდა შევიცნოთ უფლის ძლევამოსილება და ის, რომ იგი უფრო ძლიერია, ვიდრე ცდუნება და ეშმაკი, რომელიც იმის წინააღმდეგ იბრძვის, რის მიღწევაც ჩვენ გვინდა. დაბოლოს, ჩვენ უნდა ვისწავლოთ უფლის სიყვარული რეალურ სამყაროსა და რეალურ დროში, თანამედროვე მეცნიერების მიღწევების, ეთიკური პრინციპებისა და მორალური არჩევანის აუცილებლობის გათვალისწინებით. უფლის შესახებ ჭეშმარიტება რეალურ სამყაროსა და ჩვენს ურთიერთობებში სამართლიანობისა და მშვიდობის საწინდარია.

ჰოლიზმის მიმდევრობის პროცესში, ასევე, უნდა გავაანალიზოთ, თუ სად მიმდინარეობს ჰოლიზმის სწავლება. თუ ასეთი სწავლება მხოლოდ სულიერ

აქტივობად მოიაზრება, მიგვაჩნია, რომ ეს ეკლესიის ფუნქციაა. მაგრამ ჰოლიზმის სწავლება მხოლოდ ამას არ მოიცავს. გახსოვდეთ, რომ იესომ საკუთარი იდენტობა დაადასტურა, როდესაც მდინარე იორდანეში მოინათლა და თავისი მისია დაასახელა, როდესაც ეშმაკთან კამათობდა. სწავლება პერიფერიაზეც ხდება. ეს სწორედ ის ადგილია, სადაც იესო მოღვაწეობდა. ჩემი ქრისტიანი მეგობრების დიდი ნაწილი დამეთანხმება, რომ მათ ბევრად მეტი ისწავლეს საკუთარი რწმენისა და სახარების შესახებ, როდესაც ღარიბებთან ერთად მუშაობდნენ მტვრიან სოფლებსა და საშინელ ჯურღმულებში, ვიდრე კომფორტულ ეკლესიებში.

ჰოლიზმის მიმდევრების ფორმირებისას უფრო წარმატებით ვიმუშავებთ, თუ დავძლევთ "ღვთის საჭურველისადმი" ტრადიციულ დამოკიდებულებას (ეფესელთა მიმართ, 6:13-18), რომელიც ამას მხოლოდ სულიერ იარაღად მოიაზრებს ადამიანთა სულების დასაცავად. ეს უაღრესად მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია ტრანსფორმაციული განვითარების რეალურ სამყაროში. გავითვალისწინოთ, რომ პავლე ღვთის საჭურველზე საუბრისას ჩვენს ბრძოლაზე საუბრობს: "რადგანაც სისხლისა და ხორცის წინააღმდეგ კი არ ვიბრძვით, არამედ მთავრობასა და ხელმწიფებათა, ამ ბნელი საწუთროს მპყრობელთა და ცისქვეშეთის უკეთურ სულთა წინააღმდეგ" (ეფესელთა მიმართ, 6:12). უოლტერ უინქი და ჯაიაკუმარ ქრისტიანი გამოთქვამენ მოსაზრებას, რომ პავლე ნაწილობრივ გულისხმობს ძალაუფლებისა და ჩაგვრის სისტემებს, რომლებიც მომაკვდინებელ ზეგავლენას ახდენს ღარიბების ცხოვრებაზე. სულიერების არენაზე ბრძოლის გაგება უაღრესად მნიშვნელოვანია იმ მატერიალური სამყაროს სწორად გაგებისთვის, სადაც სოციალური სისტემები არსებობს და სადაც ლოცვა და მარხვა ტრანსფორმაციული განვითარების ინსტრუმენტებს წარმოადგენს. რადგანაც ჰოლიზმის მიმდევრობა ჩვენი ტრანსფორმაციული საზღვრების დაძლევაა, პირველ რიგში, უნდა გავაცნობიეროთ, სად გადის ეს საზღვრები. ამ საკითხთან დაკავშირებით მნიშვნელოვანია პიტერ კრეეფის ნაშრომი. კრეეფი ჩვენს ტრანსფორმაციულ საზღვრებს შვიდი მომაკვდინებელი ცოდვის იესოს მიერ მთაზე ნაქადაგევ ნეტარებებთან შედარებით ადგენს (იხილეთ დიაგრამა 7-6).

შვიდი მომაკვდინებელი ცოდვა		**იესოს მთაზე ქადაგება**	
სიამაყე	თვითდამკვიდრება	სულის სიღარიბე	თავგანწირვა
სიხარბე	მოხვეჭა	გულმოწყალება	გაცემა
შური	სხვისი ბედნიერების შური	გლოვა	სხვისი ბედნიერების გაზიარება
მრისხანება	დესტრუქციულობა	თავმდაბლობა, მშვიდობის დამკვიდრება	გადარჩენა, ხსნა
სიზარმაცე	არ სწადია უკეთესი	სიკეთისაკენ სწრაფვა	გაუმჯობესების სურვილი
ვნება	სულს გახრწნა	გულის სიწმინდე	სულის განწმენდა
გაუმაძღრობა	მომხმარებლობა	დევნილობა	უდრტვინველობა

დიაგრამა 7-6: ტრანსფორმაციის შინაგანი საზღვრები (კრეეფი, 1986)

კიდევ ერთი მოსაზრება ჰოლიზმის მიმდევრობასთან დაკავშირებით ეკუთვნის ფილიპინელ მელბა მაგგაის, რომელიც მარკოსის დროს მოღვაწეობდა და აქტიურ მონაწილეობას იღებდა სახალხო მოძრაობაში. იგი ქრისტიანობის მიმდევრობას "სიკვდილის ცეკვას" ადარებს (1994, 79). იგი შეგვახსენებს, რომ უფლის სასუფეველში გარდაცვალება ყოველთვის პროდუქტიულია. მაგგაი ამას ორი გარემოების გამო მიიჩნევს პროდუქტიულად. პირველი: ჩვენ არ შეგვიძლია მოყვასის ჭეშმარიტი სიყვარული განვიცადოთ, თუ მზად არ ვართ, მას თავი შევწიროთ. სწორედ ამას გულისხმობს ვოლფი, როდესაც ამბობს, რომ საკუთარი თავი უნდა გარდავქმნათ, რათა ჩვენს გულში სხვებისათვისაც დავტოვოთ ადგილი. საკუთარი თავის წარმოცარიელება და გახსნა ერთადერთი გზაა ჭეშმარიტი ინკარნაციისაკენ. მეორე: გარდაცვალება ნაყოფიერებისაკენ მიმავალი გზაა. ყოველი ჩვენგანი უნდა გარდაიცვალოს საკუთარ თავში, რომ იესოში იპოვოს განსახიერება. აღდგომის კვირას წინ უსწრებს წითელი პარასკევის ტანჯვა. ტექნიკური უნარები კარგი სწავლებითა და პრაქტიკული გამოცდილებით შეიძლება შეიძინო, ხოლო სულიერი ძალა უფრო ძნელად მოიპოვება.

იმოქმედო თეოლოგიურად

მისიონერ ქრისტიანებს დახმარების ორი წყარო აქვთ, რომლებიც სხვებს არ გააჩნიათ. ეს არის სულიწმინდა და უფლის სიტყვა. სულიწმინდა მოქადაგეების შემწეა, ხოლო ბიბლია უნიკალური და სასწაულმოქმედი წიგნია, რომელიც ჩვენ გვკითხულობს და ეს მაშინაც კი, როდესაც გვგონია, რომ ჩვენ ვკითხულობთ ამ წიგნს (ვებერი, 1995). თუ ჩვენ ვამტკიცებთ, რომ ბიბლია

ადამიანთა ცხოვრების ყველა სფეროს მოიცავს და ყველაზე მნიშვნელოვანი ცოდნის წყაროა ჰოლისტიკოსი ქრისტიანისთვის სამყაროს სწორად გასააზრებლად, მაშინ უნდა ვივარაუდოთ, რომ ჰოლიზმის მიმდევრები მუდმივად "თეოლოგიურად უნდა მოქმედებდნენ." იმის სწავლება, როგორ უნდა მოიქცნენ და როგორ არ უნდა მოიქცნენ, მათი თეოლოგიური ფორმირების ნაწილია.

ყველა დამეთანხმება, რომ ჰოლიზმის მიმდევრები უნდა იცნობდნენ ბიბლიას. ისინი თეოლოგიურადაც განათლებულები უნდა იყვნენ, რომ ბიბლიის მნიშვნელოვანი თემები გაიგონ და გადასცენ სხვებს. ამ ადამიანების თეოლოგიური და ბიბლიური განათლება დაბადებიდან უნდა დაიწყოს და გამოცხადებით დასრულდეს. როგორც წინამდებარე წიგნის მესამე თავში აღვნიშნეთ, მთლიანი ბიბლიური ისტორიის გაგება და მისი ტრანსფორმაციული განვითარების თეორიასა და პრაქტიკაში ასახვა უაღრესად მნიშნელოვანია ჰოლისტიკური და ქრისტიანული პროფესიული პრაქტიკისათვის.

ჰოლიზმის მიმდევრებს, აგრეთვე, უნდა ვასწავლოთ, რომ ისინი არ უნდა ცდილობდნენ მუდმივად ბიბლიის ტექსტის შესწავლას, არამედ ბიბლიას უნდა მისცენ საშუალება, საკუთარი სიტყვა მიიტანოს მათთან. ჩვენ უნდა გვესმოდეს, რომ სახარება ამოუწურავია და მას ყოველთვის უფრო მეტის თქმა შეუძლია ჩვენთვის. ეს ტრანსფორმციული ჰერმენევტიკის საშუალებას მოგვცემს, ანუ "ეს იქნება თეოლოგიური პასუხი, რომელიც ჩვენს ტრანსფორმაციას მოახდენს მანამდე, სანამ სამყაროში ჩვენი მისიის განხორციელებას შევუდგებით" (ბოში, 1991, 189).

თეოლოგიურად მოქმედება, აგრეთვე, ნიშნავს თეოლოგიის შესწავლას იმის კვალდაკვალ, როდესაც სხვებს ვასწავლით თეოლოგიას. პრაქტიკოსი ჰოლისტიკოსი, რომელსაც თეოლოგიურად აზროვნება და მოქმედება შეუძლია, უფრო ეფექტურად დაეხმარება ადამიანებს, რომ თეოლოგიურად იცხოვრონ. ასეთი თეოლოგია პრაქტიკოსის მიერ განსაკუთრებულ წვდომას მოითხოვს. კოიამა ნერგავს ახალ ცნებას და მას "კეთილმეზობლოლოგიას" უწოდებს. იგი ამბობს: "განვითარების სპეციალისტი საკუთარ თავს უფლის სიტყვის ქადაგებას უძღვნის და იესოს რეალური გზავნილი რეალურ მეზობლებამდე მიაქვს. ამის შემდეგ იგი ელოდება, რომ მისმა მეზობელმა შეკითხვები დასვას და მან პასუხი იესოში ეძიოს" (კოიამა, 1974, 91).

თეოლოგიურად მოქმედება ბევრი საკმაოდ სეირიოზული პრობლემის გადაჭრაში გვეხმარება პრაქტიკოსი ჰოლისტიკოსის ფორმირებისას. ტექნიკური სწავლების უმეტესი ნაწილი ქრისტიანულ ინსტიტუტებშიც კი ფუნქციონალურად ათეისტურია. ჩვენ, დასავლელებმა, პრაქტიკულად დავივიწყეთ ჩვენი მეცნიერების წარმომავლობა, კერძოდ ის, რომ მეცნიერება ქრისტიანების მიერ შეიქმნა, რომლებიც ბუნების შესწავლას ცდილობდნენ და აღარ ვუფიქრდებით, როგორ გვესმის სამყარო. შედეგი ისაა, რომ ჩვენი განვითარების ტექნოლოგიები ხშირად არაქრისტიანულ გზავნილს შეიცავს. თუ პრაქტიკოსი ჰოლისტიკოსები არ აზროვნებენ თეოლოგიურად, ისინი ვერ აუხსნიან ადამიანებს, როგორ შეუძლიათ სულიერი წყლის პოვნა ან ბავშვების სულიერად გადარჩენა. მათ გაუჭირდებათ ადამიანებისთვის იმის ჩვენება, რომ ამაში უფლის სიყვარული და განგება ეხმარებათ. თუ ჩვენ სწორად ვერ გავიგებთ იმ სიტყვებს, რომლებიც ჩვენი განვითარების ტექნოლოგიის ნაწილია, უნდა ვიცოდეთ, რომ არსებობს შესაძლებლობა, რომ გავხდეთ ფუნქციონალური ათეისტები ჩვენს პროფესიასთან დაკავშირებით. ამ დროს საჭიროა ვიცოდეთ,

როგორ უნდა მოხდეს სიტყვისა და საქმის ისე შერწყმა, რომ უფლის ღვაწლი და როლი დავანახოთ ადამიანებს.

ინკარნაციული სულიერება
(ლისა მაიერსი)

"ქრისტიანული სულიერება არის გ ზა, რომელიც უფლის უხილავ გულს დაანახვებს სამყაროს."

გრუდი 2007, 241

ჩვენ უკვე ვისაუბრეთ სიღარიბისა და ურთიერთობების კავშირზე, ტრანსფორმაციულ განვითარებასა და პრაქტიკოსი ჰოლისტიკოსისათვის საჭირო პრინციპებსა და პრაქტიკაზე. ნათელია, რომ პრაქტიკოს ჰოლისტიკოსს გარკვეული სულიერება ესაჭიროება. ჩვენ უფრო მეტი გვჭირდება, ვიდრე ტექნიკური უნარები და შეფასების მეთოდოლოგიები. ჩვენი ხედვა უნდა გასცდეს ბავშვებისათვის სკოლის აშენებისა და სუფთა სასმელი წყლით მომარაგების საკითხებს. გრუდი შეგვახსენებს, რომ სულიერებამ "უნდა გარდაქმნას ადამიანების ხედვა და გულის თვალებით უნდა დავინახოთ ყველაფერი" (2007, 240). ქრისტიანობის მიმდევრობა სამართლიანობას გვასწავლის, მაგრამ თუ გვინდა, რომ ჭეშმარიტი ქრისტიანები ვიყოთ, იმ მთაზე უნდა ავიდეთ, რომელზეც უფალი ავიდა (იქვე, 241).

ღარიბების ხმას ამოცნობა სჭირდება. ჩვენ უნდა შეგვეძლოს საგნების, მოვლენების, იდეებისა და ხმების მიღმა ჭვრეტა, რათა მივხვდეთ, თუ რა არის ჭეშმარიტება. როგორც ჩანს, არსებობდა საკმარისი მიზეზი იმისათვის, რომ იესო საუბრობდა "თვალებზე, რომლებიც ხედავენ და ყურებზე, რომლებიც ისმენენ."

ჭეშმარიტად ქრისტიანული სულიერება პრაქტიკოსი ჰოლისტიკოსის ყოველდღიურ ცხოვრებასა და საქმიანობაში უნდა არსებობდეს. მხოლოდ ამ გზით შეძლებს იგი იმის ამოცნობას, თუ რა არის ჭეშმარიტი და რა არა. ჩარლზ ელიოტი, კემბრიჯის Trinity Hall-ის დეკანი და თანამედროვე სულიერების ინსტიტუტის თანადამფუძნებელი, მოგვიწოდებს ისეთი სულიერების განვითარებისაკენ, რომელიც საშუალებას მოგვცემს, სამყარო უფლის სასუფევლის პრიზმიდან დავინახოთ (1985). თუ ჩვენ იესოს თვალით დავინახავთ სამყაროს, მხოლოდ მაშინ დავინახავთ ადამიანების შელახულ იდენტობასა და მის მიზეზებს; ამოვიცნობთ ღმერთის კომპლექსს და მის წყაროებს. მხოლოდ უფლის სასუფევლის პრიზმიდან შევძლებთ დავინახოთ ჩვენი მსოფლმხედველობის ნაკლოვანებები და გავიგებთ სხვა ადამიანების მსოფლმხედველობას. მხოლოდ სულიერ ადამიანებს შეუძლიათ დიანახონ სამყარო, როგორც მატერიალური და სულიერი ასპექტების განუყოფელი ერთიანობა. მხოლოდ ასეთი თვალით შეიძლება დავინახოთ ბოროტი ძალების სიცრუე და გამოვლინება ამქვეყნად არსებულ ინსტიტუტებში. ჩვენ უნდა დავეხმაროთ პრაქტიკოს ჰოლისტიკოსებს, რომ მათ სამყაროს ისეთი ხედვა ჩამოუყალიბდეთ, რომელიც სწორ ინტერპრეტაციას მისცემს მიმდინარე სოციალურ-ეკონომიკურ-რელიგიურ რეალობას და, იმავდროულად, ადამიანებს შეახსენებს, რა მომავალს სახავს მათთვის უფალი (ბედიაკო, 1996, 183). სამყაროს ასეთი შემეცნება ძა-

ლიან მნიშვნელოვანია, მაგრამ ჩვენ კიდევ უფრო ღრმად უნდა შევისწავლოთ გარკვეული საკითხები.

სიღარიბეს განაპირობებს ურთიერთობები, რომლებიც არ მუშაობს. ტრანსფორმაცია ადასტურებს, რომ ღმერთი უკვე მოღვაწეობს ღარიბებს შორის, რომ ღარიბები უფლის ხატების მსგავსად არიან შექმნილნი და საკუთარ განვითარებაში მონაწილეობა უნდა მიიღონ. მათი სულიერი საჭიროებები ინკარნაციის მოდელით უნდა განვითარდეს. ინკარნაციული სულიერება აახლოებს ადამიანებს, უსმენს მანამდე, სანამ საკუთარ სათქმელს ამბობს ან მოქმედებს. ინკარნაციული სულიერება საკუთარი თავის გახსნაა, სხვებზე ზრუნვაა მანამდე, სანამ საკუთარ თავზე იზრუნებ (ფილიპელთა მიმართ, თავი 2). ასეთ სულიერებას სწამს, რომ უფალი ყოველთვის ადამიანებთანაა და თუ თვალი ხედავს და ყური ისმენს, ამ რეალობის დანახვა შესაძლებელია. ასეთი სულიერების მქონე ადამიანები ისმენენ და უყვართ, აინტერესებთ ღმერთისა და ღარიბების აზრი. ისინი იცდიან, უყურებენ და უსმენენ. ასეთი სულიერება დაფუძნებულია იმაზე, რომ ადამიანი იქაა, სადაც იგი უფალსა და ღარიბებს სჭირდებათ. "უფლის სასუფევლისათვის ლოცვა ნიშნავს, რომ ღარიბებისათვის ფიზიკურად და სულიერად მისაწვდომი უნდა იყო, რაც დიალექტურად დაკავშირებულია ღარიბებთან მისვლისა და მათი გაცნობის პროცესთან. ეს შინაგანი პროცესი, ანუ ღარიბებისათვის შინაგანად გახსნა, იმავდროულად, ღმერთისათვის შინაგანად გახსნას, მისი უშრეტი სიყვარულისა და ტრანსფორმაციის ძალის გაცნობიერებას გულისხმობს. ამგვარად, ჩვენ ერთდროულად ვდგავართ ღარიბებისა და უფლის წინაშე და ჩვენი სული გახსნილი გვაქვს მათ მისაღებად (ელიოტი, 1985, 30).

ყველაზე მეტად ღარიბებს სჭირდებათ პრაქტიკოსი ჰოლისტიკოსი, რომელმაც იცის, როგორ უნდა იყოს მათ გვერდით და თანაც უფალთან. სულიერი შრომა ნიშნავს ადამიანებთან ერთად ყოფნას. ადამიანებთან ყოფნა ნიშნავს უფალთან და ღარიბებთან ყოფნას და არა იზოლირებულად ცხოვრებას და მხოლოდ შენი პირადი პრობლემებითა და სამუშაოთი დაინტერესებას. ადამიანებთან ყოფნა, ასევე, ნიშნავს, გახსნილობას, მისაწვდომობას და არა თვითდარწმუნებულობასა და მაკონტროლებლის როლში ყოფნას. იყო ადამიანებთან, ნიშნავს, მოვლენებს განვითარების საშუალება მისცე და არ დააჩქარო ეს მოვლენები. ადამიანებთან ყოფნა ნიშნავს გულისხმიერებას და არა მათზე პასუხისმგებლობას. უნდა იყო მიმნდობი და არა მომთხოვნი. განვითარების სფეროს პროფესიონალისათვის ყველაზე მნიშვნელოვანია, მზად იყოს მოულოდნელისათვის, შეუცნობელისათვის და არა მხოლოდ იმისათვის, რაც მისთვის ნაცნობი და მოსალოდნელია (მაიერსი, 2002, 6-7). ადამიანებთან ყოფნა არ არის ადვილი, ამას ბევრი სწავლა და საკუთარ თავზე მუშაობა სჭირდება. სწორედ ამიტომ ჰქვია ამ პროცესს მიმდევრობა და სწავლება.

ისტორიულად, ეკლესიას დიდი გამოცდილება აქვს ისეთი ადამიანების ფორმირების სფეროში, რომლებსაც შეუძლიათ სხვებთან ერთად ყოფნა და უფლისა და ერთმანეთის მოსმენა. შემუშავებული სულიერი დისციპლინები ყოველდღიურ ცხოვრებაში გასატარებელი დისციპლინებია. ეს არის ყოველდღიური და არა მხოლოდ კვირა დღის სულიერება. ასეთი პრაქტიკა იმის განსახიერებაა, რაც ქრისტიანებმა და ეკლესიამ დროთა განმავლობაში სასარგებლოდ მიიჩნიეს განვითარების პროცესისთვის, რაც გვეხმარება, ვიყოთ ადამიანებთან, დავინახოთ და გავიგონოთ. ასეთი დისციპლინები გვეხმარება

გავხდეთ პრაქტიკოსი ჰოლისტიკოსები; დავინახოთ, შევიმეცნოთ, დიაგნოზი დავსვათ, შევამჩნიოთ უფლის კვალი, ისევე როგორც ადამიანების ყოველდღიური პრობლემები, მაგალითად ის, რომ მათ საკვები სჭირდებათ. ამ პრაქტიკის ბევრი ასპექტი ასოცირებულია რომაულ კათოლიკურ ეკლესიასთან, ფრანცისკანელებთან, იეზუიტებთან, დომინიკელებთან და სხვა. საუკუნის ბოლო მეოთხედის განმავლობაში ჩარლზ ელიოტი, რიჩარდ ფოსტერი და ჯეინ ვენარდი ცდილობენ, ასეთი პრაქტიკა პროტესტანტულ ტრადიციებთან გააერთიანონ.

სულიერებასთან დაკავშირებით საჭიროა კიდევ ერთი ფაქტორი განვიხილოთ. ინკარნაციული სულიერების შესაბამისად, ჩვენ უნდა გვესმოდეს, რომ იესოს სული ჩვენში გვერდიგვერდ ყოფნის დადასტურებაა. ჩვენ უნდა გვესმოდეს, რომ უფლის სული ჩვენთანაა. თუ ჩვენი ცხოვრებით ამას ვადასტურებთ, ამას სხვა ადამიანებიც დაინახავენ. ჩვენ ხშირად ასე არ ვცხოვრობთ და ისე ვცდილობთ პრობლემების გადაჭრასა და პროგრამების დაგეგმვას.

ფიზიკურსა და სულიერს შორის დიქოტომიის აღმოფხვრის ერთ-ერთი შედეგი ის არის, რომ ლოცვა უფრო მეტი ხდება, ვიდრე პირადი სულიერების, სიწმინდისა და ღვთისმოსაობის გამოვლინება. იგი შეიძლება სოციალური მოქმედებების ინსტრუმენტიც კი გახდეს. ეს ასეც უნდა იყოს. ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ სიღარიბის მიზეზები თავისი არსით სულიერია. ჩვენ, ასევე, ვისაუბრეთ ყოვლისმომცველი ბოროტებისა და ძალაუფლების მფლობელთა სიცრუის ხლართის შესახებ, რაც სიღარიბის ფორმირებასა და შენარჩუნებას უწყობს ხელს. უინქი შეგვახსენებს, რომ "სხვა ადამიანებისათვის ლოცვა არის ლოცვა იმისთვის, რომ უფლის დანაპირები განხორციელდეს. სხვა ადამიანებისათვის ლოცვა ალტერნატიული მომავლის ვიზუალიზაციაა. ისტორია იმ ადამიანებს ეკუთვნის, რომლებსაც ასეთი მომავლის სწამთ და მას რეალობად გადააქცევენ (უინქი, 1992, 298–99).

ჩარლზ ელიოტმა დიდი წვლილი შეიტანა, რომ ასეთი ლოცვა უკეთ გაგვეგო. თავის ნაშრომში "*სასუფევლისთვის ლოცვა*" იგი განიხილავს ლოცვის როლს ამქვეყნად უფლის სასუფევლის მიღწევაში. შემდეგ გვთავაზობს მედიტაციის სავარჯიშოების სერიას ძველი და ახალი აღთქმიდან, რომლებიც ეხმარება პრაქტიკოსებს ამ ლოცვის რეალურ სამყაროში რეალიზაციაში (ელიოტი, 1985). უფლის სასუფევლისათვის ლოცვა ადამიანების იდენტობის აღდგენასა და დანიშნულების უკეთ გაგებას უწყობს ხელს. იმავდროულად, ისინი აცნობიერებენ, რომ მხოლოდ უფლის შემწეობითაა ეს შესაძლებელი. ეს ლოცვა უფლისადმი თხოვნაა, რომ შეძლებულების ღმერთის კომპლექსი გამოააშკარავოს, რათა მათ მოინანიონ თავიანთი საქციელი – ღმერთის როლის შესრულების სურვილი. უფლის სასუფევლისათვის ლოცვა ნიშნავს, რომ ამქვეყნად მისი გადმოსვლა უფლის ნებაა და იგი მაშინ გარდამოვა დედამიწაზე, როდესაც იესო მეორედ მოვა. ჩვენ არ უნდა ვიკისროთ ისეთი ტვირთი, რისი ტარებაც ჩვენს ძალებს აღემატება. თუ ასეთ ტვირთს ვიკისრებთ, მაშინ ჩვენც ღმერთის კომპლექსი შეგვიპყრობს და გაგვანადგურებს.

სულიერება, რომელიც გვასაზრდოებს

პრაქტიკოს ჰოლისტიკოსს სულიერება ცხოვრების ყველა სფეროსთან დაკავშირბით სჭირდება. მისი სულიერება ჯანსაღი უნდა იყოს, რათა მან შე-

ძლოს მისი მძიმე და საშიშ პირობებში შენარჩუნება, ანუ ისეთ პირობებში, როგორშიც ღარიბები ცხოვრობენ. 1980-იან წლებში ლათინოამერიკელმა თეოლოგებმა უდიდესი წვლილი შეიტანეს ღარიბების სამართლიანობის აღდგენასა და მათ გათავისუფლებაში. მათ ამას მიაღწიეს იმ ასპექტებზე ყურადღების გამახვილებით, რომლებიც პრაქტიკოს ჰოლისიტკოსს ეხმარება, ამ ადამიანების დახმარების გრძელი გზა განვლონ (ბელტრანსი, 1986; გალილეა, 1984; გუტიერესი, 1984, გრინი, 1979).

უპირველეს ყოვლისა, უნდა გავაცნობიეროთ, რომ თუ უფალი არ გვეყვარება მთელი ჩვენი სულით, გულითა და გონებით, ვერ გვეყვარება მოყვასი ან საკუთარი თავი. ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ მოციქულებს, პირველ რიგში, მოეთხოვებოდათ უფალთან ყოფნა და შემდეგ სახარების ქადაგება, ავადმყოფების განკურნება და ეშმაკის განდევნა. უფალთან ყოფნა ნიშნავს შენი მოქმედებებით მასთან მიახლოებას. ჩვენ ვერ გავუზიარებთ სხვებს იმას, რაც თავად არა გვაქვს. ჩვენ ვერ ვიცხოვრებთ ისეთი ცხოვრებით, რომელიც სხვებისთვის მაგალითი იქნება, თუ ჩვენი ცხოვრება არ იქნება გასხივოსნებული უფლის სულის ჩვენთან ყოფნით.

საკუთარი მეობის დაცვა

მელბა მაგგაიმ ძალიან საინტერესო კონცეფცია შემოგვთავაზა ჩვენი შინაგანი მეობისა და ცხოვრების დასაცავად. "ყოველდღიურად სიღარიბესა და გასაჭირში ცხოვრება ადამიანებს რწმენას უკარგავს და ზოგჯერ განვითარების სპეციალისტები მსოფლიოში ყველაზე ცინიკური ადამიანები ხდებიან" (1994, 92). სიღარიბის ყოველდღიურმა ტვირთმა შეიძლება ჩვენი მეობაც შეცვალოს და დააკნინოს. მაგგაის შესაბამისად, ერთ-ერთი უმთავრესი ფაქტორია ჩვენი მოლოდინის დაბალანსება. როდესაც ზედმეტი მონდომებით ვცილობთ სამართლიანობისა და ტრანსფორმაციის მიღწევას, შეიძლება ფანატიკოსებად გადავიქცეთ და დაგვავიწყდეს, რომ ყველაზე მნიშვნელოვანი უფლის, მოყვასისა და საკუთარი თავის სიყვარულია. თუ თქვენ მხოლოდ სრული გამარჯვება გაინტერესებთ, იმედგაცრუებულები დარჩებით. ჩვენ უნდა ვასწავლოთ საკუთარ თავს და სხვა ადამიანებსაც, როგორ გავუმკლავდეთ წარუმატებლობას, როგორც ჭეშმარიტი ქრისტიანები. როდესაც პავლე წარმატებებისა და მარცხის ჩამოთვლას იწყებს, იგი იმაზეც საუბრობს, რომ ეს ეხმარება მას იესოს სული და ძალა საკუთარ თავში შეიგრძნოს (2 კორინთელთა მიმართ, 4). მაგგაი ამას ასეთ ინტერპრეტაციას უკეთებს: ჩვენ მზად უნდა ვიყოთ საკუთარ სხეულზე ვატაროთ იესოს ჯვარცმის ნიშანი და იმედი გვქონდეს იესოს ძალისა და იმისა, რომ იგი აღდგება ჩვენს ცხოვრებაში (იქვე, 93).

ჩვენი მოლოდინის დაბალანსების კიდვ ერთი ასპექტია, დავეხმაროთ პრაქტიკოს ჰოლისტიკოსს, რომ გათავისუფლდეს სხვა ადამინებისა და საკუთარი მოთხოვნებისგან, რომ აუცილებლად წარმატებული უნდა იყოს. იესოს მიმდევრობა ნიშნავს მორჩილებას და არა წარმატებულობას. საბოლოო ჯამში, მხოლოდ უფალს შეუძლია ადამიანებისა და საზოგადოების ტრანსფორმაცია. ჩვენ კი შეგვიძლია დავინახოთ და გამოვიცნოთ ის, რასაც უფალი აკეთებს და მას შევუერთდეთ. ეს იმას ნიშნავს, რომ პრაქტიკოსი ჰოლისტიკოსი, რომელიც ყველაფერზე უარს ამბობს: საკუთარ თავზე, ქორწინებასა და საკუთარი შვილების კეთილდღეობაზეც კი, რათა ღარიბებთან მუშაობაში წარმატებას

მიაღწიოს, არ იქცევა უფლის ნების შესაბამისად. ასეთი ჰოლისტიკოსები აკერპებენ ან საკუთარ სამუშაოს ან ღარიბებს. ჩვენ უნდა დავეხმაროთ ასეთ პრაქტიკოსებს, რომ საკუთარი უნარები და ნიჭი ცხოვრების ყველა ასპექტისა და ურთიერთობებისაკენ, მათ შორის საკუთარი ოჯახისაკენ, წარმართონ და ბედნიერები იყვნენ. საკუთარი თავის ამ სამუშაოსთვის მიძღვნასა და ფანატიზმს შორის ბალანსის მოძებნის აუცილებლობაზე საუბრობდა რეინოლდ ნეიბური თავის ცნობილ ლოცვაში სულიერ სიმშვიდეზე, რომელიც ყველა პრაქტიკოსმა ჰოლისტიკოსმა უნდა გაითავისოს:

"უფალო, მომეცი სულიერი სიმშვიდე,
რომ მივიღო ის, რისი შეცვლაც არ შემიძლია;
მომეცი სიმამაცე, შევცვალო ის,
რისი შეცვლაც შემიძლია
და მომეცი სიბრძნე, რომ მივხვდე
მათ შორის სხვაობას;
მომეცი სიბრძნე, რომ ვიცხოვრო ერთი დღით;
მივიღო გასაჭირი, როგორც გზა მშვიდობისაკენ,
როგორც ამას იესო აკეთებდა;
მივიღო ეს ცოდვილი სამყარო ისეთი,
როგორიც არის და არა ისეთი,
როგორიც მე მინდა, რომ იგი იყოს;
მომეცი რწმენა, რომ ვიწამო, შენ
ყოველივეს გამოასწორებ, თუ მე შენს ნებას დავყვები.
და მე ბედნიერი ვიქნები ამ ცხოვრებაში
და კიდევ უფრო ბედნიერი შემდგომ, მარადიულ ცხოვრებაში."

მაგგაი ამბობს, რომ ჩვენ შეგვიძლია ჩვენი შინაგანი სამყაროს დაცვა, თუ ვისწავლით განყენებას. მას შემდეგი ფილოსოფიური ციტატა მოჰყავს: " სამყაროზე ზრუნვის საუკეთესო გზაა, არ იზრუნო ამაზე." ის გულისხმობს, რომ დროდადრო ამ სფეროს გონებრივად და ფსიქოლოგიურად უნდა გამოვეთიშოთ, მივცეთ გასაქანი ჩვენს ფანტაზიას, რომ იგი იმ სამყაროს ეწვიოს, რომელიც, ვიმედოვნებთ, რომ ჩვენთვისაც დადგება, სადაც ურჩხული დამარცხდება და აღარ იქნება ცრემლი. ესაიას და იოანეს ხილვები ჩვენც მოგვიწოდებს გამოვიყენოთ ჩვენი ფანტაზია, როგორც სულიერი განახლების რესურსი. მაგგაი ამბობს, რომ ასეთი "გაქცევა" ნიშნავს ადამიანის ლტოლვას "შაბათისაკენ." ხანდახან უნდა დავივიწყოთ ჩვენი მოვალეობები და დავინახოთ ის, რაც კარგია. ეს საშუალებას მოგვცემს, დავინახოთ ჩვენი წარმატებები და წარუმატებლობები და გავაცნობიეროთ, რომ არსებობს ბრძოლისა და შესვენების დრო.

დაბოლოს, უნდა გვესმოდეს, რომ ჩვენი გზა სიცოცხლისათვის ლოცვიდან იწყება. უპირველეს ყოვლისა, ჩვენი ლოცვა უნდა აცხადებდეს, რომ უფალი ჩვენთანაა. უინქი წერს: "ლოცვა უფალთან დაახლოების ყველაზე ძირითადი ფორმაა." იგი აგრძელებს თავის აზრს და ამბობს: "ლოცვის დამცველი ძალის გარეშე ჩვენი სოციალური მოქმედებები, შეიძლება, უბრალოდ, კარგი სამუშაო გახდეს, ხოლო ჩვენმა შინაგანმა რესურსებმა და სულიერებამ ატროფია განიცადოს, სიყვარულის ჭა დაშრეს და თანდათანობით ადამიანობა დავკარ-

გოთ" (1992, 312, 298). ცოცხალი ლოცვის გარეშე ჩვენ ვერ შევძლებთ ბევრი რამის შეთავაზებას ადამიანებისათვის და შეიძლება ისეთებიც კი გავხდეთ, რის შეცვლასაც ვცდილობთ.

პრაქტიკოს ჰოლისტიკოსზე ზრუნვა

წიგნის მოცემული ნაწილის დასრულებამდე რამდენიმე სიტყვით უნდა შევეხოთ **პრაქტიკოს ჰოლისტიკოსზე** ზრუნვის საკითხს. ღარიბებისა და შეძლებულების ტრანსფორმაციაზე მუშაობა საკმაოდ მძიმე შრომაა და ეს თავის კვალს ტოვებს იმ ადამიანებზე, რომლებიც მოცემულ სფეროში მოღვაწეობენ. სწორედ ამიტომაც აგზავნიდა იესო თავის მოციქულებს წყვილებად ამ სამუშაოს შესასრულებლად. მან იცოდა, რომ მათ კრავებივით აგზავნიდა მგლების ხროვაში.

ორგანიზაცია, რომელიც ადამიანებს ტრანსფორმაციული განვითარების მისაღწევად ფრონტის წინა ხაზზე აგზავნის, პასუხისმგებელი უნდა იყოს ამ ადამიანებისათვის ნაყოფიერი სამუშაო გარემოს შესაქმნელად. მათ უნდა ახსოვდეთ, როგორ არიგებდა იესო პეტრეს - "აძოვე ჩემი ცხვრები" (იოანე, 21:17). მას არ უთქვამს: "მართე ჩემი ფარა," ან "მოგება ნახე ფარისაგან." ადამიანებს, რომლებიც ამ სფეროში მოღვაწეობენ, დასვენებაც სჭირდებათ. საველე პირობებში ჩატარებული პრაქტიკული მუშაობის დასრულების შემდეგ ოფისში გატარებული ერთი დღე მათთვის საკმარისი არ არის განსატვირთავად. პრაქტიკოს ჰოლისიტიკოსებს დრო სჭირდებათ, რომ ფიზიკურად, ფსიქოლოგიურად და სულიერად დაისვენონ. მათ სჭირდებათ დასასვენებლად დრო და ადგილი, სადაც მათ შეახსენებენ, რომ უფლის მიერ შექმნილი სამყარო ლამაზია. მათ უნდა შეეძლოთ მუსიკის მოსმენა, ლოცვა, სიჩუმის მიყურადება, უფლის სიტყვაში ჩაღრმავება. ჩვენი სულიერებისა და ადამიანობის შესანარჩუნებლად ძალიან მნიშვნელოვანია შეგვეძლოს ყვავილებით ტკბობა, ზღვის ნაპირზე გასეირნება და წიგნის კითხვა. ამ ადამიანებმა, ასევე, დრო უნდა დაუთმონ საკუთარი გამოცდილების გაანალიზებას. მათ დრო და ადგილი სჭირდებათ, რომ დაფიქრდნენ, თუ რა გამოიარეს, რა უნდა გააკეთონ ან კიდევ რა უნდა გაიგონ. მათ სწავლისა და განვითარების საშუალება უნდა ჰქონდეთ. ჩვენ რამდენჯერმე აღვნიშნეთ, რომ პრაქტიკოსი ჰოლისიტიკოსი მთელი თავისი ცხოვრება სწავლობს და მათი ცხოვრება ისევე მნიშვნელოვანია, როგორც სხვების დასახმარებლად მათ მიერ ჩატარებული სამუშაო. ინსტიტუტებს, რომლებიც პრაქტიკოს ჰოლისტიკოსებს აგზავნიან სამუშაოდ, სტრატეგია და რესურსები სჭირდებათ, რომ ამ ადამიანებს სათანადო დასვენების პირობები შეუქმნან. ბოლო წლების განმავლობაში ბევრი კვლევა ჩატარდა იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ რეაგირებენ ადამიანები, როდესაც მუშაობის პროცესში ტრაგიკულ მოვლენებთან უწევთ შეხება, მაგალითად, იმ ბავშვების ან ადამიანების სიკვდილი, რომლებზეც მათ ამდენი ენერგია და ძალა დახარჯეს და დაუახლოვდნენ. ასეთმა მოვლენებმა შეიძლება დიდი ზეგავლენა მოახდინოს პრაქტიკოსი ჰოლისტიკოსის პიროვნებაზე, ისევე როგორც ღარიბების ოჯახებსა და მათ თვითშეფასებაზე. დროული ფსიქოლოგიური დახმარება ამ ადამიანებისათვის უაღრესად მნიშვნელოვანია. ამის აუცილებლობა თანდათან სულ უფრო და უფრო ნათელი ხდება და განვითარების საგენტოები ცდილობენ, ფიზიკური და ფსიქოლოგიური უსაფრ-

თხოების განცდა შეუქმნან ამ ადამიანებსა. ისინი სპეციალისტებს ამზადებენ, რათა მათ დროულად გაუწიონ ასეთი დახმარება (ბრაიმერი და სხვები, 2006; გრეი და ლიტცი, 2005). პრაქტიკოს სპეციალისტებს, რომლებსაც სერიოზული ფსიქოლოგიური პრობლემები ექმნებათ და ვერ აგრძელებენ მუშაობას, შესაბამისი პროფესიონალური დახმარება უნდა აღმოუჩინონ (ბრაიანტი, 2007; მაკნალი, ბრაიანტი და ეჰლერსი, 2003). ინსტიტუტებს, რომლებიც სპეციალისტებს აგზავნიან სამუშაოდ, უნდა ესმოდეთ, რომ მათ შესაბამისი სტრატეგია და რესურსები უნდა ჰქონდეთ ამ ადამიანების დასახმარებლად, რადგანაც ეს სპეციალისტები დიდ მსხვერპლს იღებენ და თავგანწირვით მუშაობენ. პერსონალზე ზრუნვა განვითარების სააგენტოების მოვალეობაა. ჯაიაკუმარ ქრისტიანს მიაჩნია, რომ თუ განვითარების სპეციალისტი თავის მისიონერულ მოღვაწეობასთან დაკავშირებით ვერ ამბობს, რომ ამ მუშაობის შედეგად მისი რწმენა უფლისადმი გაძლიერდა და გაღრმავდა, მაშინ აქ სერიოზული პრობლემა იმალება (1998ბ). ჩვენ უნდა გავაანალიზოთ, თუ რა მდგომარეობაშია ასეთ შემთხვევაში ადამიანის სულიერება.

სასარგებლო რესურსები

მკვიდრი მოსახლეობის ცოდნა

იოჰან პოტიერი, ალან ბიკერი და პოლ სილიტოუ, 2003; *ადგილობრივი ცოდნის გათვალისწინება: უფლებამოსილების გაფართოება და იდენტობის აღმოჩენა განვითარების პროცესში.* ლონდონი, Pluto Press.

მაიქლ უორენი, ჯან სლიკერვეერი და დეივიდ ბროკენშა, 1995. *განვითარების კულტურული ქრილი: მკვიდრი მოსახლეობის ცოდნის სისტემები.* ლონდონი, ტექნოლოგიური პუბლიკაციები.

სულიერება

ბენინიო ბელტრანსი, 1986. *მოგზაურობა მარტოობაში, სახელმძღვანელო დირექტივები განმარტოებისა და რეფლექსიისათვის.* მანილა, ფილიპინები, Arnoldus Press.

უილიამ კალაჰანი, 1994. *ხმაურიანი რეფლექსირება: ლოცვა დაკავებული ადამიანებისათვის.* Hyattsville, MD: Quixote Center.

ბაიო ფამონურე, 1989. *სახელმძღვანელო დირექტივები ქრისტიანობის მიმდევრებისათვის.* ნიგერია: Capro Media Services.

სეგუნდო გალილეა, 1984. *ლოცვები: მისიონერობა, როგორც ამას იესო აკეთებდა.* მერიკნოლი, გამომცელობა Orbis Books.

ტომას გრინი, 1979. *როდესაც ჭა დაშრება.* ნოტრ დამის უნივერსიტეტი, გამომცემლობა Ave Maria Press.

გუსტავო გუტიერესი, 1984. *ჩვენ ჩვენი ჭიდან ვსვამთ წყალს; ადამიანების სულიერი მოგზაურობა.* მერიკნოლი, გამომცელობა Orbis Books.

რავი ჯაიკარანი, 2007. *ჰოლისტიკური მსოფლმხედველობის ანალიზი, თემის რეალობის გააზრება,* 56, no. 1:41–48. ასევე, მოიძიეთ ვებგვერდი: planotes.org website.

ჰენრი ნოუენი, 1986. *ადამიანებისთვის დახმარების გაწევა: სულიერი ცხოვრების სამი ასპექტი. გარდენ სითი, გამომცემლობა* Image Books

უილიამ რეისერი, 1997. *უფლის სიტყვის გაგონება: სამყაროს მოსმენა.* გამომცემლობა Paulist Press.

ჯეინ ვენარდი, 2003. *სამყაროს გულში ჩაკვრა: სამართლიანობისა და მშვიდობისათვის ლოცვა.* სან- ფრანცისკო, გამომცემლობა Jossey-Bass.

ტრავმა და პირველი ფსიქოლოგიური დახმარება

მელისა ბრაიმერი, კრისტოფერ ლეინი, ანა ჯაკობსი, რობერტ პაინოოსი, ჟოსეფ რუზეკი, ალან სტეინბერგი, პატრიცია უესტონი, 2006. *პირველი ფსიქოლოგიური დახმარება: რელიგიის პროფესიონალებისთვის საველე პირობებში მუშაობის სახელმძღვანელო დირექტივები.* ლოს-ანჯელესი. ბავშვთა ტრავმული სტრესის დახმარების ნაციონალური ქსელი და პოსტტრავმული სტრესული აშლილობის ნაციონალური ცენტრი. მასალები გამოქვეყნებულია ვებგვერდზე: nctsnet.org website.

ჰედინგტონის ინსტიტუტის ვებგვერდი: ჰუმანიტარული დახმარებისა და განვითარების სფეროს პროფესიონალების ფსიქოლოგიური და სულიერი მხარდაჭერა: www.headington- institute.org.

8

ტრანსფორმაციული პროგრამების შემუშავება

ტრანსფორმაციული განვითარების პრინციპების შემდეგ უნდა გადავიდეთ ტრანსფორმაციული განვითარების პროგრამების შემუშავებაზე. პირველ რიგში, წარმოგიდგენთ განვითარების პროგრამების შემუშავებასთან დაკავშირებით არსებულ სტანდარტულ მიდგომებს; გავაანალიზებთ მათ და სუსტ მხარეებს გამოვავლენთ. შემდეგ განვითარების პროგრამების შემუშავებისადმი პარალელურ მიდგომებზე ვისაუბრებთ, რომლის მიხედვითაც პროგრამის შემუშავების პროცესი ხშირად უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე თავად განვითარების გეგმის შემუშავება. შემდეგ ვისაუბრებთ მონაწილეობითი მიდგომების ინსტრუმენტებზე, რომლებიც დაეხმარება თემებს საკუთარი ისტორიის მოყოლასა და თავისი რეალობის შეფასებაში და, აგრეთვე, იმაში, რომ სამომავლო პროგრამის დაგეგმვაში თავისი წვლილი შეიტანოს. შემდეგ რამდენიმე კომენტარს გავაკეთებთ განვითარების პროგრამების შემუშავების საბოლოო ეტაპზე და იმ ასპექტებზე, რომლებიც უაღრესად მნიშვნელოვანია პროგრამის კარგი დაგეგმვისათვის, მათ შორისაა ქალებისა და ბავშვების როლი და სულიერების მნიშვნელობა.

განვითარების პროგრამების შემუშავება

ღონისძიებების დაგეგმვა უკეთესი მომავლის უზრუნველსაყოფად

განვითარების ყველა ორგანიზაციას პროგრამების შემუშავების, მონიტორინგისა და შეფასების (DME) საკუთარი ჩარჩო აქვს. რასაკვირველია, მათი ტერმინოლოგია და დეფინიციები შეიძლება განსხვავდებოდეს ერთმანეთისგან, მაგრამ პროგრამების სქემა ძირითადად ერთნაირია. მაგალითად, World Vision-ის პროგრამების გეგმის ვერსიას ეწოდება შემეცნება შეფასების, ანგარიშგებისა და დაგეგმვის მეშვეობით (LEAP). მოცემული მიდგომა ნაჩვენებია დიაგრამაზე 8-1. მიჩნეულია, რომ პროგრამის შემუშავების პროცესი პრობლემების გადაჭრის პროცესია.

პროგრამის შემუშავებისათვის მოსამზადებელ ეტაპზე საჭიროა თემის აქტივებისა და საჭიროებების *შეფასება*. პროგრამის გეგმა მოიცავს მისაღწევი შედეგების ინდიკატორების შემუშავებას.



დიაგრამა 8-1: სწავლა შეფასების, ანგარიშგებისა და დაგეგმვის მეშვეობით (LEAP) (World Vision International)

მიმდინარეობს *მონიტორინგი* წინასწარ განსაზღვრული ინდიკატორების გამოყენებით. პროგრამის განხორციელებისას რეგულარულად ტარდება შეფასება, რომელიც პროგრამის ყველაზე მნიშვნელოვანი მიზნების მიღწევის თვალსაზრისით არსებულ მდგომარეობაზეა ორიენტირებული. გარდა ამისა, პერიოდულად ტარდება რელფექსია, რომლის მიზანია შეაჯეროს, თუ რამდენად არის საჭირო პროგრამის საერთო მიზნებისა და ამოცანების გადასინჯვა ან კორექტივების შეტანა, რათა არ წარმოიქმნას გაუთვალისწინებელი გარემოებები. შემდეგ შეფასებისა და რეფლექსიის შედეგებისა შეჯერება ხდება, რათა პროგრამა პერიოდულად გადაისინჯოს. შეფასების, დაგეგმვის, განხორციელების, შეფასებისა და კვლავ დაგეგმვის ეს ციკლური პროცესი პროგრამის განხორციელების დასრულებამდე გრძელდება, რის შემდეგაც განმახორციელებელი სააგენტოები იმედოვნებენ, რომ თემები თავად გააგრძელებენ თავთავიანთი მიმართულებით მუშაობას და შედეგების მდგრადობა იქნება მიღწეული. ამ პროცესის შედეგად პროგრამის დიზაინი, რომელიც კარგად არის მოფიქრებული დასაწყისიდან პროგრამის დასრულებამდე, ჩამოყალიბებულ სახელ მიიღებს. ეს ანალიზი პროგრამების ლოგიკურ ჩარჩოშია ასახული.

ლოგიკური ჩარჩო

ასეთი ჩარჩო პროგრამის დაგეგმვის ინსტრუმენტია, – იმ პროგრამისა, რომლის დასრულებამდე დაახლოებით 40 წელია დარჩა. პროგრამების შემუ-

შავების, მონიტორინგისა და შეფასების (DME) შედეგები მიზნების იერარქიის შესაბამისად აისახება ლოგიკურ ჩარჩოში მიზეზ-შედეგობრივი კავშირების ლოგიკის გამოყენებით. *დაბანდებული რესურსები*, კერძოდ, ფული, ტექნიკური უნარები და ტრენინგი ლოგიკურად არის კომბინირებული ისე, რომ *მოსალოდნელი შედეგები* მივიღოთ, მაგალითად: ჭები, წყალმომარაგების სისტემების დამონტაჟება, სკოლების აშენება, ფერმერების ტრენინგი და ა. შ. *მოსალოდნელი შედეგების* კომბინირებით საბოლოო შედეგები, ანუ პროგრამის ფარგლებში დასახული მიზანი, მიიღწევა. ასეთებია, მაგალითად, წყლით გამოწვეული ავადობის შემცირება, სკოლებში აკადემიური მოსწრების გაუმჯობესება, საკვები პროდუქტების წარმოების ზრდა, შიმშილის შემცირება და სხვა. დაბოლოს, საბოლოო შედეგების კომბინირებას მივყავართ პროგრამის საბოლოო მიზნამდე. ასეთია, მაგალითად, თემის კეთილდღეობის გაზრდა და სხვა (იხილეთ დიაგრამა 8-2).

მიზნების იერარქია	ცვლადი ინდიკატორები	შეჯერების საშუალებები	რისკები და ვარაუდები
მიზანი			
შედეგი			
ზეგავლენა			
აქტივობები			

დიაგრამა 8-2: ლოგიკური ჩარჩო

მოცემული ლოგიკური ჩარჩო ეხმარება განვითარების სფეროს სპეციალისტს პროგრამის მიზეზ-შედეგობრივად დაკავშირებული ელემენტების თანმიმდევრულ განსაზღვრაში. იგი, ასევე, აღჭურვილია ინდიკატორების წყებით პროგრამის ფარგლებში მიღწეული წარმატების შესაფასებლად და ამ ინდიკატორების საზომებით. ინდიკატორები და გადამოწმების საშუალებები მონიტორინგისა და შეფასების პროცესის საფუძველია. ამ გზით პროგრამის ფარგლებში ანგარიშგებაა უზრუნველყოფილი.

ლოგიკური ჩარჩო ეხმარება განვითარების პროგრამის დაგეგმვაზე პასუხისმგებელ ადამიანებს, ნათლად ჩამოაყალიბონ ის კრიტიკული ვარაუდი, რომელიც პროგრამის აქტივობების ყოველ წყებასთანაა დაკავშირებული. მაგალითად, პროექტის ფარგლებში დაშვებულია ვარაუდი, რომ სუფთა სასმელი წყლის მიწოდების, სამედიცინო პუნქტის შექმნისა და აღჭურვის გზით შესაძლებელი გახდება ადამიანების ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესება, მაგრამ, იმავდროულად, დაშვებულია ვარაუდი, რომ ადამიანები ისარგებლებენ წყალმომარაგების ახალი სისტემით და მთავრობა გამოყოფს დაფინანსებას სამედიცინო პუნქტისა და მისი აღჭურვისათვის. ვარაუდის ასე ნათლად ჩამოყალიბება გვეხმარება, შემდგომში, საჭიროების შემთხვევაში, გადავსინჯოთ პროექტი, თუკი ვარაუდი და ღონისძიებები არ მოიტანს დაგეგმილ შედეგს.

ლოგიკური ჩარჩო უაღრესად მნიშვნელოვანი და სასარგებლოა. ძნელი წარმოსადგენია დიდი მიზნის მიღწევასთან დაკავშირებული ნებისმიერი სახის გეგმა, რომელიც არ არის დაფუძნებული მიზეზ-შედეგობრივ კავშირებზე და არ ითვალისწინებს დასაბანდებელ რესურსებს. მაგრამ გამოცდილებიდან და განვითარების პროგრამების განხორციელების შედეგების ანალიზიდან ნათელი ხდება, რომ ამ მიდგომას მთელი რიგი ნაკლოვანებები აქვს.

უპირველეს ყოვლისა, ლოგიკური ჩარჩო უაღრესად მიმზიდველია იმ ადამიანებისათვის, რომლებსაც მიაჩნიათ, რომ კარგი მენეჯმენტი ან პრობლემების კარგად გადაჭრა ეფექტურ განვითარებას მოიტანს შედეგად. მათი აზრით, საკმარისია სწრაფი შეფასების ჩატარება და საპასუხო სამოქმედო გეგმის დასახვა. ღარიბ სოფელში 30 წუთიანი ჩამოვლა, მათი აზრით, გამოცდილ სპეციალისტს საშუალებას მისცემს, ჩამოაყალიბოს გასატარებელი ზომების ჩამონათვალი, რომელთა განხორციელების შემდეგაც ადამიანების ცხოვრება გაუმჯობესდება. მაგალითად, წყალმომარაგების სისტემა უნდა გაიწმინდოს, რადგანაც წყალი დაბინძურებულია; ან ადამიანების საცხოვრებელი პირობები უნდა გაუმჯობესდეს, რადგანაც არსებული საცხოვრებელი ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების თვალსაზრისით არ არის მისაღები. ასეთი სია უპრობლემოდ დგება. მნიშვნელოვანია აღვნიშნოთ, რომ ეს ყველაფერი უნდა გაკეთდეს, მაგრამ პრობლემა ისაა, რომ რეალურ მდგომარეობას გარეშე ადამიანი სწავლობს და საპასუხო ზომებსაც ის გეგმავს. ასეთ შემთხვევაში ძალიან ძლიერია ცდუნება, ღმერთის როლი შეასრულო ღარიბების ცხოვრებაში.

მეორე პრობლემა ისაა, რომ ლოგიკური ჩარჩო, ძირითადად, განვითარების ტექნიკურ ასპექტებს მოიცავს, მაგალითად, სკოლებს, ვაქცინაციას და სხვა მატერიალურ და გაზომვად ასპექტებს. როგორც უკვე აღვნიშნეთ, განვითარების პროცესის სხვა, ანუ არამატერიალური მხარეც, ძალიან მნიშვნელოვანია.

ლოგიკური ჩარჩო ორიენტირებულია პრობლემების გადაწყვეტაზე, - ლოგიკურ დიზაინსა და ინდიკატორების გამოყენებით შეფასებაზე და საერთოდ არ ითვალისწინებს სხვა პროცესების ან ურთიერთობების მნიშვნელობას. ამ სუსტი მხარეების აღმოფხვრის წინაპირობაა ტრანსფორმაციულ მიზნებზე ყურადღების გამახვილება, კერძოდ, ეს გულისხმობს: ადამიანებისა და ურთიერთობების გარდაქმნას. შესაბამისად, უნდა დავიწყოთ ტრანსფორმაციული განვითარების პროცესის დაგეგმვიდან და შემდეგ გადავიდეთ პროგრამის დაგეგმვაზე, როგორც ეს 8-3 დიაგრამაზეა ნაჩვენები. პროცესის დაგეგმვა ხორციელდება შემდეგი ინსტრუმენტებით: მონაწილეობა, თემების ორგანიზება, უფლებამოსილების გაზრდა და თემის პროგრამის განხორციელებაში ჩართვა. პროგრამის შემუშავებაზე გადასვლა მხოლოდ მაშინ შეიძლება, როდესაც ტრანსფორმაციული პროცესის შემუშავება დასრულდება და, შესაბამისად, შეგვეძლება ყურადღება გავამახვილოთ ისეთ ასპექტებზე, როგორებიცაა: დასაბანდებელი რესურსები, მოსალოდნელი შედეგები, საბოლოო შედეგები და ზეგავლენა.



დიაგრამა 8-3: ჯერ ადამიანები, შემდეგ პროგრამის შემუშავება

მეორე გზა, რომელიც მიმართულია ზემოდან ქვემოთ და რომელიც მხოლოდ ტექნიკურ ასპექტებზე ორიენტირებული ლოგიკური ჩარჩოს გადასინჯვაში დაგვეხმარება, არის განვითარების გააზრება, როგორც პროცესისა, რომელსაც შინაგანი და გარეგანი დინამიკა აქვს (უილიამსონი, 2000). შინაგანი დინამიკა იწყება ღარიბების თვითაღქმიდან და საკუთარი მოსაზრებებისგან და ეხება ისეთ საკითხებს, როგორებიცაა ადგილობრივი უნარებისა და შესაძლებლობების განვითარება, უფრო ზუსტად, - ორგანიზაციული განვითარება. შინაგანი დინამიკის განვითარების ინსტრუმენტებია მონაწილეობა, ორგანიზება, უფლებმოსილების გაზრდა, პროცესში ჩართულობა. ჩვენი განვითარების ღონისძიებების დაგეგმვა პროგრამის ფორმატში მხოლოდ მაშინ გახდება შესაძლებელი, როდესაც დაგეგმვის ეს პროცესი დასრულდება. ლოგიკური ჩარჩო მეორე ადგილზე დგას თანმიმდევრულობის მიხედვით და იგი განვითარების პროგრამის შიდა დინამიკასთანაა მიბმული (იხილეთ დიაგრამა 8-4).



დიაგრამა 8-4: ჯერ ვალდებულებები, შემდეგ პროგრამა (უილიამსონის ადაპტირებული ვერსია, 2000)

სოციალური ცვლილებები არც სწორხაზოვანია და არც ლოგიკური

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ზემოდან ქვემოთ მიდგომისას ყურადღება გამახვილებულია ტექნიკურ, ანუ მატერიალურ ასპექტებზე, მაგრამ, გარდა ამისა, არსებობს კიდევ უფრო მნიშვნელოვანი ასპექტი — ლოგიკური ჩარჩოს რაციონალურობა. ლოგიკური ჩარჩოს ყვლაზე დიდი სისუსტე ისაა, რომ იგი დაფუძნებულია ვარაუდზე, თითქოს სიღარიბის პრობლემა თავისი არსით მექანიკურია და ამ პრობლემის გადასაწყვეტად შემოთავაზებული გზები სწორხაზოვანი, ლოგიკური, რაციონალური და პრობლემების გადაწყვეტაზე ორიენტირებული მიდგომებისაგან შედგება. ამ ვარაუდის ზეგავლენით ვიჯერებთ, რომ თემის უკეთესი მომავალი შეიძლება წინასწარ განისაზღვროს და რეალური გეგმა დაისახოს არსებული მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. ლოგიკური ჩარჩო ემყარება ასეთ თანამედროვე ვარაუდს: თუ სიღარიბეს მექანიკური მეტაფორის მოშველიებით ავხსნით, მაშინ სიღარიბის მამოძრავებელი ყველა მექანიზმიც კარგად უნდა გავიაზროთ და შემდეგ სიღარიბე აღმოვფხვრათ პრობლემების გადაწყვეტზე ორიენტირებული უნარების, ტე-

ქნოლოგიებისა და ფულის გამოყენებით. ასეთ შემთხვევაში ჩვენ პროექტებს განვიხილავთ, როგორც "დასრულებულ, კონტროლს დაქვემდებარებულ და უცვლელ მექანიკურ სისტემებს" (მოსსე, 2001). ეს აზრი მოგვაგონებს ჯეფრი საშის მოდერნისტულ ჩარჩოს, რომელიც მან შემოგვთაზა თავის ნაშრომში "*სიღარიბის დასასრული.*"

რასაკვირველია, არსებობს განვითარების სფეროს ისეთი პროექტები, რომლებთან მიმართებითაც ასეთი მიდგომა სრულიად გამართლებულია. ასეთი პროექტებია სკოლების აშენება, ვაქცინაციის კამპანიის ჩატარება, ჭების გათხრა და სხვა, რადგანაც ისინი კარგად ექვემდებარება მსგავს რაციონალიზაციას და ტექნიკური ხასიათის პრობლემების გადაჭრას გულისხმობს. ქვიშის, ცემენტისა და წყლის არევით გარკვეულ ნაზავი მიიღება. იმუნიზაცია ბავშვებს იცავს დაავადებებისაგან, მიუხედავად ადამიანების კულტურისა თუ მათი არაპროგნოზირებადი გადაწყვეტილებებისა. მაგრამ სოციალური სისტემები, მაგალითად, ღარიბების თემი, მექანიკური სისტემების მსგავსად არ ფუნქციონირებს. ატომებისაგან განსხვავებით, ადამიანებს საკუთარი ემოციები აქვთ და შეიძლება არაპროგნოზირებადი რეაქცია ჰქონდეთ. მექანიკურ და სოციალურ სისტემებს შორის არსებული ამ განსხვავების გაგება უაღრესად მნიშვნელოვანია განვითარების სფეროს პრაქტიკოსისათვის. განვითარებისათვის რომ მხოლოდ ტექნიკური ასპექტების მოგვარება ყოფილიყო საკმარისი, ლოგიკური ჩარჩო ნამდვილად სასარგებლო იქნებოდა. მაგრამ პრობლემა ისაა, რომ განვითარების სპეციალისტებმა შესანიშნავად იციან, რომ ეს არ არის მხოლოდ ტექნიკური საკითხი.

მოძღვრება უკეთესი მომავლის მიღწევის გზების მოსაძიებლად

ცხოვრებაში ძალიან ბევრი სისტემა არსებობს, რომლებიც თავისი ბუნებით მექანიკურები როდი არიან. ეს რთული და დინამიკური სისტემები არსობრივად არასწორხაზოვანია და, შესაბამისად, კონტრინტუიციური, ანუ პარადოქსული. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ეს სისტემები არ არის პროგნოზირებადი. ასეთებია: ამინდი, საფონდო ბირჟები, ბუნება, ყველა რთული ან დინამიკური სისტემა, რომლებიც არ ექვემდებარება პროგნოზირებასა და დაგეგმვას. სოციალური სისტემები ადამიანებისაგან შედგება და, შესაბამისად, მათ შეუძლიათ გადაიფიქრონ, საკუთარი მიზეზები ჰქონდეთ რაღაცის გასაკეთებლად და სხვა. შესაბამისად, ეს სისტემები არა მხოლოდ რთულია, არამედ ისინი ცვლადი გარემოებებისადმი ადაპტირებას განიცდიან. სწორედ ამიტომ არსებობს ტერმინი "რთული ადაპტაციური სისტემები" (პასკალი, მილემანი და გიოჯა, 2000, 19-20).

მაგალითად: წარმოიდგინეთ რამდენად რთული ამოცანაა ნიუ-იორკში მცხოვრები მილიონობით ადამიანის გამოკვება. ყოველ დღე მილიონობით ადამიანი ცხოვრობს და მუშაობს. მათ წარმოდგენა არა აქვთ, თუ ვინ ამარაგებს პომიდვრით, ფქვილით, რძით, ხორცითა და ათასი სხვა პროდუქტით. ათასობით ნიუ-იორკელი და ქალაქის სტუმარი ყოველ დღე მუშაობს და ცხოვრობს ყოველგვარი გენერალური გეგმის ან კოორდინირების გარეშე და ისინი ყოველდღიურად წყვეტენ ლოჯისტიკურ პრობლემებს. ადამიანები, რომლებსაც რძის მიწოდება ეხებათ, შეიძლება ავად გახდნენ. ზოგი ფერმა ვერ იღებს დაგეგმილ მოსავალს და, შესაბამისად, საკვები მარაგები არ იქნება საკმარი-

სი. სატვირთო მანქანები შეიძლება მწყობრიდან გამოვიდეს ან რესტორნები დაიკეტოს. მაგრამ, მიუხედავად ამისა, ნიუ-იორკის რესტორნებსა და ოჯახებს საკმარისი საკვები პროდუქტები აქვთ. ყოველივე ზემოხსენებულის შედეგი არ არის საუკეთესო ან სამართლიანი. ბევრი ადამიანისათვის ასეთი მდგომარეობა არ არის სასიკეთო. მაგრამ, მიუხედავად ამისა, უნდა ვაღიაროთ, რომ ასეთი უზარმაზარი ლოგიკური ჩარჩო ყოველგვარი გენერალური გეგმის ან ცენტრალური კოორდინაციის გარეშე ფუნქციონირებს. ეს არის მაგალითი, თუ როგორ ხდება შინაგანი წესრიგის ფორმირება რთული ადაპტირებადი სოციალური სისტემების ფარგლებში.

განვითარება, პრაქტიკულად, წარმოადგენს ადაპტირებად სოციალურ სისტემებში მდგრადი ცვლილებების გამოწვევისაკენ მიმართულ ძალისხმევას. ეს სოციალური სისტემები ღარიბი თემებისგან და იმ სოციალური, პოლიტიკური და ეკონომიკური სისტემებისგან შედგება, რომლებშიც ეს თემები არსებობენ. ღარიბი თემების განვითარება არ ექვემდებარება გენერალური გეგმისა და ცენტრალიზაციის გზით მართვას, ისევე როგორც ნიუ-იორკის მოსახლეობის გამოკვება.

რთული ადაპტაციური სისტემებისთვის ორი ასპექტია კრიტიკული მნიშვნელობისა: ფორმირება და თვით-ორგანიზება (პასკალი, სტერნინი და სტერნინი, 2010, 113-114). ადაპტაციური სოციალური სისტემებისათვის დამახასიათებელია გარკვეული წესრიგი, მაგრამ ეს წესრიგი თავად სისტემის შიგნით წარმოიქმნება და მისი ფორმირების ვადების პროგნოზირება შეუძლებელია. ამის ნათელი დასტურია ნიუ-იორკის საკვებით მომარაგების მაგალითი, რომელიც ზემოთ მოვიყვანეთ. ყველაზე დიდი სირთულე იმაშია, რომ ასეთი სოციალური წყობის ფორმირება მხოლოდ რეტროსპექტულად შეიძლება გავაცნობიეროთ. თუ ვინმეს საკმარისი დრო, ენერგია და ინფორმაცია აქვს, შესაძლებელია იმის დადგენა, თუ საიდან მოდის ნიუ-იორკის მრავალმილიონიანი მოსახლეობისთვის საკვები და როგორ იყო ის მიწოდებული ბოლო ერთი თვის განმავლობაში. მაგრამ ეს ანალიზი ვერ დაგვეხმარება სანდო პროგნოზების გაკეთებაში, თუ რა ვითარება იქნება მომავალ თვეს. სისტემები შეიძლება შეიცვალოს, რადგან ისინი დინამიკური და ადაპტირებადია. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ჩვენ შეგვიძლია უკან გავიხედოთ და გავაანალიზოთ, თუ რა მოხდა და როგორ მოხდა, მაგრამ ეს ნაკლებად დაგვეხმარება მომავლის პროგნოზირებაში. განვითარების პროექტებსაც ასეთივე დინამიკა აქვთ.

ანუ, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სოციალური სისტემების თვითრეგულირების პროგნოზირება შეუძლებელია. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, სოციალური სისტემები, მათ შორის ღარიბი თემები, თვითორგანიზებადი სისტემებია. ტრანსფორმაციაც არ შეიძლება ბოლომდე დაპროგრამებული იყოს, განსკუთრებით გრძელვადიან პერსპექტივაში. ერთადერთი რამ, რისი მეტ-ნაკლები სიზუსტით პროგნოზირებაც შეგვიძლია დინამიკურ სოციალურ სისტემებთან დაკავშირებით, არის ის, რომ მომავალი შეიძლება ჩვენ მიერ დაგეგმილი საბოლოო შედეგისაგან განსხვავებული იყოს. მოსალოდნელი შედეგებიც, რომლებიც ჩვენ მიერაა დაგეგმილი, შეიძლება იმ გზით იქნეს მიღწეული, რომელიც ჩვენ არ დაგვიგეგმავს ან რომელსაც ჩვენ არ მოველოდით. ასეთი გაუთვალისწინებელი შედეგები ნორმალური მოვლენაა და შეიძლება უფრო მნიშვნელოვანიც კი იყოს სოციალური ტრანსფორმაციისთვის, ვიდრე ფრთხილი დაგეგმვა (ამაზე უფრო დეტალურად მომდევნო თავში ვისაუბრებთ).

დეივიდ კორტენი პირველი იყო, ვინც განვითარების ამ არაპროგნოზირებადი და მოულოდნელი თვისებების შესახებ გაგვაფრთხილა (1980). კორტენმა თავის ნაშრომში გააანალიზა აზიაში განხორციელებული 5 წარმატებული განვითარების პროგრამა და აღმოაჩინა, რომ ეს პროგრამები იმიტომ იყო წარმატებული, რომ მათი მიმდინარეობის პროცესში პროგრამის გეგმაში მუდმივად შეჰქონდათ ცვლილებები იმისდა მიხედვით, თუ რა შედეგებს გვაჩვენებდა მონიტორინგი და დაკვირვება. პროგრამების მიზნები უცვლელი რჩებოდა, მაგრამ იმან, რაც დასაბანდებელი იყო, რესურსები, მოსალოდნელი და საბოლოო შედეგები მრავალგზის გადაისინჯა. კორტენი ურჩევს განვითარების სპეციალისტებს, გვერდზე გადადონ განვითარების მზა რეცეპტის მოდელი. იგი 1970-იან წლებში პოპულარულ სოციალური შემეცნების თეორიაზე დაყრდნობით გვთავაზობს ე. წ. "პროცესში შესწავლის მიდგომას", რომლის შესაბამისადაც განვითარების პროცესის ყველა მონაწილე მხარე სწავლის რეჟიმშია და არა პროგრამაზე დაფუძნებით მოქმედების რეჟიმში (კორტენი და კლაუსი, 1984).

1990-იანი წლების დასაწყისში კორტენი (1989) ფილიპინებზე მუშაობის გამოცდილების გათვალისწინებით და უპჰოფი (1996, 388ff.) შრი-ლანკაზე მუშაობის გათვალისწინებით ახალი მიდგომით გამოდიან და "განვითარების პროგრამების დინამიკურ, არაპროგნოზირებად და იდიოსინკრატიკულ ელემენტებს აღწერენ, ანუ იმ ასპექტებს, რომლებიც მართვასა და კონტროლს ძნელად ექვემდებარებიან, მაგრამ, მიუხედავად ამისა, უაღრესად მნიშვნელოვანი არიან პროგრამის წარმატებისთვის" (მოსსე, 2001) რთულ და დინამიკურ სისტემებში. ჩემბერსის აზრი, რომ პროცესი უფრო მეტად უნდა იყოს ადამიანებზე ორიენტირებული, "ღარიბებს უნდა მოვუსმინოთ და ესტაფეტა გადავცეთ," კიდევ უფრო გამყარდა (დიაგრამა 8-5). თავის ნაშრომებში ჩემბერსიც საუბრობს რთული და დინამიკური სისტემების თეორიაზე (1997, 194ff.).

ათვლის წერტილი	**მატერიალური ასპექტები**	**ადამიანები**
რეჟიმი	მზა რეცეპტი	პროცესი
საკვანძო სიტყვა	დაგეგმვა	მონაწილეობა
მიზნები	წინასწარ განსაზღვრული	პროცესში განვითარება
გადაწყვეტილებების მიღება	ცენტრალიზებული	დეცენტრალიზებული
ანალიტიკური ვარაუდი	რედუქციონიზმი	მთლიანი სისტემები
პროფესიონალური განწყობა	ინსტრუქტირება მოტივირება	ხელშეწყობა უფლებამოსილების გაზრდა
ადგილობრივი მოსახლეობა	ბენეფიციარები	პარტნიორები მონაწილეები

დიაგრამა 8-5: აქცენტის გადანაცვლება მატერიალური ასპექტებიდან ადამიანებისაკენ

რას ნიშნავს ეს განვითარების დაგეგმვის თვალსაზრისით? დაგეგმვის მექანიკური, სწორხაზოვანი და ლოგიკური მოდელი გარკვეული აქტივობებისათვის სრულიად მისაღებია, მაშინ როცა სხვა აქტივობებისთვის არ არის შესაფერისი ინსტრუმენტი. სკოლის ასაშენებლად ლოგიკური ჩარჩო ეფექტური ინსტრუმენტია, ღარიბი თემის ფუნქციონირების გარდასაქმნელად კი სხვა მიდგომა გვჭირდება. ლონდონის უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობისა და აფრიკული კულტურის ინსტიტუტის ანთროპოლოგი დეივიდ მოსსე ასკვნის, რომ "განვითარების მექანიზმები ხშირად პროცესის კვალდაკვალ და ექსპერიმენტული გზით იკვეთება და არა წინასწარი დაგეგმვის გზით" (2001, 6). იმისთვის, რომ თემების დინამიკური ხასიათი სათანადოდ იყოს გათვალისწინებული, პროცესთან დაკავშირებით ორი შესწორება უნდა შემოგთავაზოთ.

უპირველეს ყოვლისა, თავად პროგრამების დაგეგმვის პროცესი უნდა გადავსინჯოთ; უნდა გვახსოვდეს პროგრამის მიზანი, რომელიც თემმა ჩამოაყალიბა თავისთვის და უარი უნდა ვთქვათ ჩვენს სურვილზე, მუდმივად ვაკონტროლოთ და ვმართოთ პროგრამის მიმდინარეობა. გარდა ამისა, მოქნილი უნდა იყოს ჩვენი მიდგომა ლოგიკური ჩარჩოს ყველა სხვა ელემენტისადმი, კერძოდ, დასაბანდებელი რესურსებისადმი, მოსალოდნელი შედეგებისა და ზეგავლენისადმი, რადგანაც უნდა შეგვეძლოს ამ ასპექტების დროულად გადასინჯვა, თუ გაუთვალისწინებელი გარემოებები წარმოიშვება. ჩვენ უნდა "ვისწავლოთ" ჩვენი გზა მომავლისაკენ. მიუხედავად დონორების მიერ ლოგიკური ჩარჩოებისა და შედეგებზე ორიენტირებული მართვისადმი წარმოთქმული დითირამბებისა, პრაქტიკოსებმა იციან, რომ სოციალური განვითარებისათვის მხოლოდ სწორხაზოვანი დაგეგმვა არასაკმარისია. ქვემოთ ჩვენ ვისაუბრებთ პოზიტიური გადახვევის მეთოდზე, რაც უაღრესად კარგი მეთოდია ამ რეალობაში კორექტივების შეტანისათვის. გარდა ამ მიდგომისა, უაღრესად ეფექტური არიან PLA და შემეცნებითი კვლევის მეთოდი (AI), რომლებიც გვეხმარება პროცესის პარალელურად შევისწავლოთ არსებული მდგომარეობა და დავგეგმოთ გზა უკეთესი მომავლისაკენ.

მეორე: რადგანაც ადაპტაციური სოციალური სისტემებისათვის გაუთვალისწინებელი შედეგები ნორმაა, რეგულარულად უნდა ჩავატაროთ მონიტორინგი, რათა დროულად გამოვავლინოთ ცვლილებები და ორიენტირებულები არ ვიყოთ მხოლოდ წინასწარ განსაზღვრულ ინდიკატორებზე. პროგრამის გეგმა ხშირად უნდა გადიოდეს შეფასებას. იგივე შეიძლება ითქვას სოციალურ გარემოსთან მიმართებითაც, რომელიც საკმაოდ ცვლადია. პროგრამა შეიძლება გეგმის შესაბამისად მიმდინარეობდეს, მაგრამ სოციალური გარემო იცვლებოდეს. თუ არ ჩავატარებთ პროგრამის კონტექსტის რეგულარულ მონიტორინგს, შეიძლება გამოგვრჩეს რაღაც მნიშვნელოვანი. ჩვენ განვითარების პროცესებზე უფრო რეგულარული დაკვირვება, შეფასება და ცვლილებებზე რეაგირება გვჭირდება.

სულიერება და პროგრამების შემუშავება
(დაწერილია ლისა მეიერის მონაწილეობით)

პროგრამის დაგეგმვასთან დაკავშირებით ყოველთვის არსებობს ცდუნება, რომ ჩვენი შეფასებები და, შესაბამისად, პროგრამის დაგეგმვა მხოლოდ იმ ასპექტებით შემოვფარგლოთ, რომლებსაც ვხედავთ. ჩვენ მხოლოდ მატერია-

ლურ ასპექტებს ვხედავთ, ამიტომაც ჩვენი დასკვნები საკმაოდ შეზღუდულია და ამ მატერიალური ასპექტებით შემოიფარგლება. ჩვენ არა მხოლოდ ვუზღუდავთ თემს თავისი მოსაზრების გამოხატვის საშუალებას, არამედ, ასევე, გამოვრიცხავთ ამ პროცესებში ღმერთისა და სულიწმინდის როლს. უნდა გვახსოვდეს, რომ ჩვენ ვერ ვჭვრეტთ ისე, როგორც უფალი ჭვრეტს. ჩვენ შეიძლება ვერ შევამჩნიოთ ის, რასაც უფალი მნიშვნელობას ანიჭებს. ჩვენ ბიბლიიდან ვიცით, რომ როდესაც ისრაელის მბრძანებლები კმაყოფილები იყვნენ საკუთარი ერის წარმატებებით, სახელმწიფოს გაძლიერებითა და გავლენით, უფალი ობლიებს, ქვრივებისა და სხვა უმწეოების მძიმე მდგომარეობის გამო ხმას იმაღლებდა (ესაია, 1:4, 16–17; 2:8; 3:13; 58:6; ეზეკიელი, 22:12). ის, რომ უფალი ღარიბი ადამიანების მძიმე მდგომარეობას მოიაზრებს ისრაელის კეთილდღეობის საზომად, მრავლისმთქმელია. ჩვენ ჩვენი შეფასებებისა და გეგმების გარდა, გვჭირდება თვალები, რომ დავინახოთ, და ყურები, რომ გავიგონოთ.

ტრანსფორმაციული განვითარების პროგრამების შემუშავებისადმი ჭეშმარიტად ქრისტიანული მიდგომა, ასევე, გულისხმობს, რომ უნდა შეგვეძლოს იმის მოსმენა, რისი თქმაც უნდა უფალს ჩვენთვის და, რაც კიდევ უფრო მნიშვნელოვანია, ჩვენ უნდა მოვუწოდოთ ადამიანებს, რომ ისინიც მზად იყვნენ უფლის სიტყვის მოსასმენად. უნდა დავნშვიდდეთ და გავაანალიზოთ ინფორმაცია, რომელიც მოვიძიეთ და მოვისმინოთ, თუ რას გვეუბნება უფალი. ბიბლია უნდა აღვიქვათ, როგორც უფლის ცოცხალი სიტყვა, როგორც დაგეგმვის პროცესის ინსტრუმენტი (იხილეთ მე-10 თავი). უნდა დავსვათ კითხვები: ამ სიტყვიდან რა დაგვეხმარება იმის გარკვევაში, თუ რა სახის ცვლილებაა მოცემულ კონტექსტში მნიშვნელოვანი? რა სახის უკეთესი მომავალი სურს უფალს ჩვენთვის? რა ადასტურებს იმას, რომ უფალი უკვე იღვწის ამ მომავლის მისაღწევად? ანუ, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, პროცესი, რომელსაც თემთან სამუშაოდ ვიყენებთ, არ არის უბრალოდ პრობლემების გადაწყეტაზე ორიენტირებული მიდგომა ან შემეცნებითი კვლევა. ეს არის სულიერი მუშაობა, განჭვრეტა. განვითარების ღონისძიებებში სულიერი დისციპლინების მეთოდები უნდა ჩავრთოთ და გამოვიყენოთ, როგორც განვითარების პროცესის შემადგენელი ნაწილი. ჩვენ უნდა ვისწავლოთ, რომ ვიყოთ სულიერად გამჭრიახები, ზუსტად ისევე, როგორც ჩვენს პროფესიებში ვართ.

ამ საკითხთან დაკავშირებით დავამატებ, რომ თუ ღარიბ თემებში სოციალური სისტემები არაპოგნოზირებადია, არ ექვემდებარებიან მართვას და უფრო თვითრეგულირებისაკენ არიან მიდრეკილი, როგორც ამას კორტენი, უპჰოფი და მოსსე ამტკიცებენ, მაშინ ჩვენი უფლის სარწმუნოება და სამყაროს გაუმჯობესებაზე მიმართული მისი ძალისხმევა არ არის მხოლოდ სულიერი დადასტურება მისი არსებობისა. ჩვენ უნდა ვილოცოთ და ვიმოქმედოთ, რომ ჩვენი პროგრამის გეგმა, უფლის შეწევნით, უფლისავე ძალისხმევის ნაწილი გახდეს. ჩვენი ლოცვა მიმართული უნდა იყოს იმისკენ, რომ ჩვენი პროგრამა უფლის პროგრამა გახდეს, ანუ ტრანსფორმაციის პროგრამა, რომელზეც უფალი მუშაობს სამყაროს დასაბამიდან. ის გარემოება, რომ განვითარება აღსავსეა წინააღმდეგობებით და არაპროგნოზირებადია, კიდევ ერთხელ შეგვაგონებს, რომ ჩვენ მუდმივად უნდა ვილოცოთ, რათა ნებისმიერი ტრანსფორმაციული ძალისხმევა ამ ცოდვით დაცემულ და ქაოტურ სამყაროში ჩვენი რწმენის, იმედისა და სიყვარულის შემადგენელი ნაწილი გახდეს.

თემის დახმარება საკუთარი ისტორიის გააზრებასა და ჩამოყალიბებაში

საჭიროებების ანალიზიდან სოციალურ ანალიზამდე

განვითარების პრაქტიკა, ტრადიციულად, საზოგადოების/თემის საჭიროებების იდენტიფიცირებიდან, ანუ საჭიროებების ანალიზიდან იწყება. მოცემული მიდგომა პრობლემების გადაჭრაზე ორიენტირეული მიდგომის ნაწილია და მისი ძირითადი მიზანია იმის იდენტიფიცირება, თუ რა არ გამოდის კარგად გეგმის ფარგლებში ან არ არის გათვალისწინებული გეგმაში, რის შემდეგაც ამ ნაკლოვანებების აღმოფხვრისაკენ მიმართული ღონისძიებები იგეგმება. ამ მიდგომასაც აქვს თავისი ნაკლოვანებები.

პირველ რიგში უნდა გავითვალისწინოთ, რომ ღარიბი თემი მიჩნეულია მრავალი პრობლემის მქონე ადამიანების ჯგუფად, ანუ ათვლის წერტილი აქ ნეგატიურია. ასეთი მიდგომა გასაგებია იმ ადამიანებისათვის, რომლებიც თავს, გარკვეულწილად, მესიად მიიჩნევენ და ჰგონიათ, რომ პრობლემების გადაჭრა შეუძლიათ, მაგრამ ასეთ შემთხვევაში სათანადოდ არ არის გათვალისწინებული იმ ანალიზის მნიშვნელობა, რომელიც უნდა დაგვეხმაროს გამოვავლინოთ, თუ რა მუშაობს კარგად და რა დაგვეხმარება კეთილდღეობის მიღწევაში. ამ თემას კვლავ დავუბრუნდები, როდესაც შემეცნებით კვლევაზე ვისაუბრებთ, რომელიც უფრო პოზიტიური ათვლის წერტილიდან გულისხმობს თემთან მუშაობის დაწყებას.

მეორე: როგორც მე-4 და მე-6 თავში აღვნიშნეთ, ჩვენ მიერ სიღარიბის მიზეზების გააზრება იცვლება იმისდა მიხედვით, თუ რა დონეზე განვიხილავთ ამ პრობლემას. როდესაც ვუღრმავდებით ამ პრობლემას, ჩვენ მიერ სიღარიბის გააზრება და დაგეგმილი საპასუხო ზომები იცვლება. ეს ნიშნავს, რომ საჭიროებების ანალიზი შემდგომ უფრო რთულ სოციალურ ანალიზში უნდა გადაიზარდოს. სოციოლოგიური მეცნიერების ინსტრუმენტების გამოყენება ემპირიული დასკვნების გაკეთებაში დაგვეხმარება. თუ ამას არ გავაკეთებთ, ჩვენი საპასუხო ღონისძიებები, უბრალოდ, სოციალური დახმარება იქნება (დიაგრამა 8-6).

პრობლემა	**დონე**	**საპასუხო ზომა**
მშიერი ბავშვები	ესაჭიროებათ საკვები	სოციალური კეთილდღეობა
დიეტოლოგიის ცოდნა სოფლის მეურნეობის მართვის უანრები	პირდაპირი მიზეზი	თემის განვითარება
მიწის საკუთრება ბაზრების წვდომა	ძირითადი მიზეზი	ადვოკატირება
მე უფლება მაქვს ვისარგებლო ჩემი შრომის შედეგებით	მრწამსით გამოწვეული მიზეზი	ფასეულობების ჩანაცვლება

დიაგრამა 8-6: ანალიზის დონე გავლენას ახდენს საპასუხო ზომებზე

სოციალური ანალიზის ინსტრუმენტების გამოყენებით თემის უფლებამოსილება უნდა გავზარდოთ. სწორედ თემის წევრებში უნდა განვავითაროთ სოციალური ანალიზის უნარები, რათა ისინი ტრანსფორმაციული პროცესების აქტიური მონაწილეები გახდნენ. ეს მათი ისტორიაა და სწორედ ისინი არიან მისი მთხრობელები. გარდა ამისა, ეს მათი სოციალური სტრუქტურა და მათი კონტექსტია. ჩვენ საშუალება უნდა მივცეთ ამ ადამიანებს, რომ თვითონ აღწერონ და გააანალიზონ ეს პროცესი. დაბოლოს, ამ ადამიანებმა თავად უნდა გაარკვიონ, თუ ვინ ვის რას უკეთებს და სად მიდის ფული, ხოლო ჩვენი ამოცანაა დავეხმაროთ მათ ამის გაკეთებასა და შედეგების ინტერპრეტაციაში. მათ ესაჭიროებათ ეს უნარები და, შესაბამისად, ამ ადამიანებს უნდა მივცეთ საშუალება თავად გაარკვიონ, როგორ იმართება სამყარო, ვინ იღებს სარგებელს, ვინ არის გამორიცხული ამ პროცესებიდან, ვის აქვს ძალაუფლება და სხვა ფაქტორები, რომლებიც მნიშვნელოვანია მდგრადი ტრანსფორმაციის მისაღწევად. ძალიან ხშირად ჩვენ თვითონ ვასრულებთ ამ ანალიზს მათ მაგივრად და ვვარაუდობთ, რომ ასეთი სამუშაო ნაკლებად განათლებული ადამიანებისათვის ძალიან რთულია. ასეთი მიდგომა ამ ადამიანების უფლებამოსილებას ზღუდავს.

ადამიანებისათვის დახმარების გაწევა, რომ მათ შეიცნონ ეს სოციალური სისტემები და მათი დემისტიფიკაცია მოახდინონ, არ არის ადვილი ამოცანა, რადგან ჩვენი მსოფლმხედველობა და კულტურა ხელს გვიშლის ამ პროცესში. ჩვენ ვდგავართ ცდუნების წინაშე, რომ ამ ადამიანებს ჩვენი კულტურა და თვალსაზრისი მოვახვიოთ მათი სიტუაციის გააზრების ნაცვლად. სწორედ ამ მომენტში ვკარგავთ მხედველობის არიდან ამ ადამიანების მიერ დანახულ მიზეზ-შედეგობრივ კავშირებს. ჩვენი განათლება სამყაროში მატერიალური ასპექტების შემჩნევას გვასწავლის და მიზეზებსაც მხოლოდ მატერიალურ სამყაროში ვხედავთ. ჩვენი დასავლური ანთროპოლოგია და სოციოლოგია სავსეა ვარაუდებით, რომლებსაც არადასავლური საზოგადოება ვერ იზიარებს. ამგვარად, ეს საკითხი კვლავ გვაბრუნებს მოსაზრებამდე, რამდენად მნიშვნელოვანია ვიცნობდეთ საკუთარ თავს. ეს საკითხი სამი მიზეზითაა მნიშვნელოვანი. პირველი: ჩვენ უნდა გვესმოდეს ჩვენი კულტურის ზეგავლენით ჩამოყალიბებული აზრი სამყაროს მოწყობის თაობაზე და იმის შესახებ, თუ რა არის კარგი და რა არის ცუდი. ჩვენი ეთიკური მოსაზრებები ჩვენი კულტურის ზეგავლენით განიცდის ფორმირებას. ბერნარდ ადენეი ამ რთული დინამიკის ძალიან საინტერესო მიმოხილვას გვთავაზობს თავის ნაშრომში *"მრავალკულტურული სამყარო"* (1995).

მეორე: ჩვენ უნდა გავიგოთ, თუ რა ზეგავლენას ახდენს ქრისტიანული ტრადიციები ჩვენს მოსაზრებებზე სულიერების შესახებ და ჩვენს როლზე სამყაროში. უნდა გავაცნობიეროთ, თუ რა დამოკიდებულება გვაქვს და როგორ ვიაზრებთ უკეთეს მომავალს ან კეთილდღეობას და რა პროცესი მიგვაჩნია ყველაზე ეფექტურად იმისთვის, რომ ასეთ მომავალს მივაღწიოთ.

მესამე: ჩვენ ჩვენი განვითარების საჭიროებები უნდა გამოვავლინოთ. თუ ამას მივაღწევთ, ჩვენი მოსაზრებები სამყაროს მოწყობის თაობაზე ზეგავლენას მოახდენს ძალისხმევაზე, რომელსაც ღარიბების დახმარებისაკენ წარვმართავთ, როდესაც ისინი (ღარიბები) სოციალური ანალიზის ჩატარებას შეეცდებიან. ჩვენ, ასევე, ვერ მივხვდებით, რომ მათგან ბევრი რამ გვაქვს სასწავლი.

მინდა ბოლო კომენტარი გავაკეთო ამ თემაზე. ჩვენ უნდა გვესმოდეს, თუ როგორ ხდება სისტემების ურთიერთქმედება, რაც გულისხმობს, რომ არსებული რთული სისტემები სამი თვალსაზრისიდან უნდა გავიაზროთ. პირველი თვალსაზრისი *სტრატიგრაფიულია*. მოცემული თვალსაზრისის ფარგლებში სისტემები პარალელურ სისტემებად მოიაზრება და არა ურთიერთდაკავშირებულად. სამყაროს შესახებ აზრთა დიდი სხვადასხვაობა არსებობს: შენი, ჩემი, მათი; სოციოლოგიური, ევანგელისტური და ეკონომიკური. მაგრამ ეს თვალსაზრისები არ ფარავს ერთმანეთს და არ არიან ერთმანეთის გამომრიცხავნი. ასეთი მოსაზრება არ არის მისაღები, რადგანაც რთული სოციალური სისტემების ძირითადი მახასიათებელია სხვადასხვა აზრის ურთიერთქმედება და ურთიერთზეგავლენა. ეს მიდგომა, აგრეთვე, სულიერ და მატერიალურ ასპექტებს მიჯნავს.

მეორე თვალსაზრისი რთულ სოციალურ სისტემებს განიხილავს როგორც თანმიმდევრულ და ურთიერთგადამფარავ სისტემებს, რომლებიც ერთ მთლიანობას წარმოადგენს. ამ თვალსაზრისის შესაბამისად, ამ სისტემებისადმი ერთიანი საერთო აზრი არსებობს.

სწორედ ასეთ თვალსაზრისს წარმოაჩენს თანამედროვეობა: ყველაფერთან მიმართებით უნიფიცირებული თეორია არსებობს. ამ თვალსაზრისის ნაკლოვანება ისაა, რომ ბევრი საერთოდ ეჭვის ქვეშ აყენებს მის არსებობას, მაგრამ თუკი იგი არსებობს, მხოლოდ უფლისათვისაა მისაწვდომი და არა ადამიანებისათვის. გარდა ამისა, თუ ერთ რომელიმე სისტემაში ხარვეზები იქმნება, მთელი სისტემა ინგრევა. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ყველაფერი იცოდე ყველა სისტემის შესახებ.

მესამე, ყველაზე უფრო თანმიმდევრული მიდგომა, ყველა სისტემას *კომპლემენტარული,* ანუ ურთიერთშემავსებელი სისტემის სახით მოიაზრებს, მაგალითად, როგორც ერთ სახლს, რომელიც სანტექნიკური, ელექტრო და გათბობის სისტემების ერთიანობაა. ყოველი სისტემა განსხვავებულია, მაგრამ ისინი ურთიერთდაკავშირებულია, ისინი ერთად უნდა ფუნქციონირებდნენ, ერთი შენობის შიგნით. ყოველ სისტემას ცალკე სპეციალისტი ემსახურება, მაგრამ ყველაზე მნიშვნელოვანია არქიტექტორის აზრი, რომელმაც უნდა უზრუნველყოს, რომ ყველა ეს სისტემა ერთმანეთს მიესადაგებოდეს. როდესაც თემს ვეხმარებით საკუთარი სოციალური სისტემების გაგებაში, ეს მიდგომა უფრო გვეხმარება, ვიდრე პირველი ორი (იხილეთ დიაგრამა 8-7). თემმა სოციალური რუკები უნდა შეიმუშაოს, სადაც მისი სოციალური სისტემები აისახება. თუ ჩვენ ყველა ამ სისტემას ერთ მთლიანობაში არ გავიაზრებთ, ანუ ვერ დავინახავთ მათ როგორც სოციალური, პირადი, სულიერი და კულტურული სისტემების ერთობლიობას, მიზეზ-შედეგობრივი კავშირების შეფასება და ჩვენ მიერ დასახული საპასუხო ზომები არ იქნება ქმედითი.

ქვესისტემები	პრობლემა	მიზეზი	საპასუხო ზომები
ბიოფიზიკური	ავადმყოფობა	ბაქტერიები	იმუნიზაცია
სოციალური	მარგინალიზაცია	გარიყულობა	შერიგება
ფსიქოლოგიური	ირაციონალური ქცევა	წარსული პრობლემების ზეგავლენა	ფსიქოლოგიური რჩევა
სულიერი	იდეაფიქსი	ბოროტი სული	ეგზორციზმი
კულტურული	უარყოფითი თვითშეფასება	მსოფლმხედველობა	ფასეულობების გადასინჯვა

დიაგრამა 8-7: კავშირი პრობლემებს, მიზეზებსა და საპასუხო ზომებს შორის

შესაძლებლობებისა და სუსტი მხარეების ანალიზისათვის

განვითარების პრაქტიკის ევოლუციასთან ერთად საჭიროებებისა და სოციალური პრობლემების ანალიზი თემის უფრო მრავალმხრივი და დეტალური აღწერის ინსტრუმენტი გახდა. მარი ანდერსონმა და პიტერ ვუდროუმ, რომლებიც ჰარვარდის უნივერსიტეტის საერთაშორისო დახმარების პროექტის კოორდინატორები იყვნენ და აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ კატასტროფების შემდეგ დახმარების ეფექტურობის გაზრდაში, განვითარება აღწერეს, როგორც "პროცესი, რომელიც სუსტი მხარეების აღმოფხვრასა და შესაძლებლობების განვითარებას უწყობს ხელს" (1989, 12). მათ შემოგვთავაზეს თემის შესაძლებლობებისა და სუსტი მხარეების გაანალიზების ჩარჩო (იქვე 7-9).

სუსტი მხარეები გრძელვადიანი ფაქტორია, რომელიც თემის მიერ კატასტროფებზე რეაგირებისა და განვითარების შესაძლებლობებზე ახდენს გავლენას. ჩვენ სუსტ მხარეებს ვსწავლობთ, რათა გავიგოთ, თუ რატომ არის მიმდინარე სიტუაცია ამგვარი და რატომ ახდენს ის ასეთ ზეგავლენას ყველაზე მოწვლად სეგმენტზე. ეს ანალიზი ორი თვალსაზრისით გვეხმარება. პირველი: ეს გვეხმარება გავიგოთ, თუ რა ფუნდამენტური მიზეზებითაა განპირობებული არსებული ვითარება. მეორე: ეს გვეხმარება თავი ავარიდოთ, რომ განვითარების გეგმებმა უკუეფექტი არ გამოიღონ. მიწურში ორგანიზებული სკოლა განათლების საშუალებას აძლევს ბავშვებს, მაგრამ იმ რეგიონებში, სადაც მიწისძვრა ხშირია, მათ სიცოცხლეს საფრთხეს უქმნის. სასუქი სოფლის მეურნეობის პროდუქტიულობის ზრდას უწყობს ხელს, მაგრამ, იმავდროულად, აზიანებს ნიადაგს და ფერმერების მევახშეებსა და საკრედიტო ინსტიტუტებზე დამოკიდებულებას ზრდის.

შესაძლებლობები საზოგადოების შიგნით გრძელვადიან განვითარებას უწყობს ხელს. შესაძლებლობების იდენტიფიცირება წმინდად პრობლემების გადაჭრაზე ორიენტირებული მიდგომის ანტიდოტია და გვეხმარება გავაძლიეროთ თემი და დავანახოთ მას, რომ თავისი წვლილის შეტანა შეუძლია განვითარებაში. ანდერსონი და ვუდროუ შესაძლებლობებისა და სუსტი მხარეების ანალიზს სამ სფეროდ ყოფენ: ფიზიკურ და მატერიალურ, სოციალურ და

ორგანიზაციულ და მოტივაციურ და განწყობის სფეროებად. ფიზიკურ და მატერიალურ სფეროზე ჩვენ ყველაზე მეტ ყურადღებას ვამახვილებთ. ამ სფეროს ეკუთვნის სასმელი წყლის უქონლობა, ცუდი სასოფლო-სამეურნეო პრაქტიკა და სხვა. სოციალური და ორგანიზაციული სფერო დაგვანახებს თემის სოციალურ ორგანიზებას, შიდა კონფლიქტებსა და თემის მიერ მათი დარეგულირების მექანიზმებს. მოტივაციური და განწყობის სფერო ისეთ საკითხებს შეისწავლის, როგორებიცაა იდენტურობის შელახვა და არაადეკვატური მსოფლმხედველობა. ანდერსონისა და ვუდროუს აზრით, სუსტი და ძლიერი მხარეების ანალიზი ქალებისა და მამაკაცების, ღარიბებისა და საშუალო კლასების მიხედვით დესეგრეგირებული უნდა იყოს. გენდერული და ეკონომიკური კლასების მიხედვით ანალიზი მნიშვნელოვან ასპექტებს წარმოაჩენს, რომლებიც განზოგადების შემთხვევაში შეიძლება ჩვენი ყურადღების მიღმა დარჩეს. ამ გზით თავს ვიზღვევთ მიკერძოებული დამოკიდებულებისაგან, როდესაც მხოლოდ თემების ლიდერების აზრს ვისმენთ, რომლებიც, უმეტესწილად, მამაკაცები არიან და თანაც სხვებზე შეძლებულები.

მდგრადი საარსებო წყაროების უზრუნველყოფისათვის

სუსტი და ძლიერი მხარეების შეფასების ჩარჩო განვითარების თაობაზე დიალოგის ევოლუციასთან ერთად გადაისინჯა. 1970-იან წლებში იგი გასცდა საკვებით უზრუნველყოფაზე ზრუნვას, ხოლო 1980-იან წლებში უფრო პოპულარული გახდა მიდგომა, რომლის შესაბამისადაც ოჯახებს შეეძლოთ საკუთარი თავის საკვები პროდუქტებით უზრუნველყოფა, თუ ისინი თავად აწარმოებდნენ მეტ საკვებ პროდუქტს. იმავდროულად, მათ უფრო მეტი საარსებო წყარო ექნებათ, რათა, წარმოების გარდა, საკვები პროდუქტები შეიძინონ კიდევაც. რობერტ ჩემბერსმა და ჩგორდონ კონვეიმ საარსებო წყაროების ყველაზე ფართოდ აღიარებული დეფინიცია შემოგვთავაზეს: "საარსებო წყაროები მოიცავს შესაძლებლობებს, აქტივებს (როგორც მატერიალურ, ასევე სოციალურ რესურსებს) და მოქმედებებს, რომლებიც აუცილებელია ამ საარსებო წყაროების მოსაპოვებლად" (1992). განვითარების საკითხების ასეთი ახლებური გააზრების შედეგად 1992 წელს CARE—მა მდგრადი საარსებო წყაროების ახალი მიდგომა შემოგვთავაზა, ხოლო 2002 წელს DFID-მ ამ მიდგომის საკუთარი ინტერპრეტაცია შეიმუშავა. მოცემული ჩარჩო კაპიტალის უფრო ფართო ინტერპრეტაციას ეყრდნობა. ანთროპოლოგიური და ეკონომიკური საკითხების ერთიანი გააზრებით იდენტიფიცირებული იქნა კაპიტალის 5 ფორმა. ამ სხვადასხვა "კაპიტალის" შეფასების შედეგად უფრო მეტად წარმოჩნდება სუსტი და ძლიერი მხარეები. *ფინანსური კაპიტალის* გარდა (ფული და დანაზოგები), ღარიბებს *ადამიანური კაპიტალიც* აქვთ (ასპექტები, რომლებიც მათ პროდუქტიულობაზე მოქმედებს), მაგალითად, მათი ფიზიკური გამძლეობა და ძალა, ჯანმრთელობა და განათლების დონე. ღარიბებს *ფიზიკური კაპიტალიც* აქვთ (თუ მათ შეუძლიათ იმის დამტკიცება, რომ იგი მათ ეკუთვნით), მაგალითად, საცხოვრებელი, პირუტყვი, ველოსიპედი, საკერავი მანქანა. გარდა ამისა, არსებობს *ბუნებრივი კაპიტალი*, თუ მათთვის მისაწვდომია სახნავი ფართობები, წყალი ან თევზჭერა. *სოციალური კაპიტალი* გულისხმობს სოციალურ ერთიანობას (ან მის უქონლობას), თემის ორგანიზებასა და სოციალურ ურთიერთკავშირებს. ჩემი აზრით, ამ ჩამონათვალს უნდა

დაემატოს *სულიერი კაპიტალი*, რომელიც ლოცვისა და რწმენის ფორმითაა გამოხატული და ეკლესიებს, მეჩეთებსა და ტაძრებს მოიცავს, რომლებიც საზოგადოების არსისა და ფასეულობების გამოხატულებაა. განვითარების მიზანია ამ აქტივების გაზრდა და მათი დაცვა იმათგან, ვისაც მათი ხელყოფა შეუძლიათ.



დიაგრამა 8-8: საზოგადოების კაპიტალის ექვსი ფორმა

აქტივების ჩარჩო ბევრად უფრო ფართოდ მოიაზრებს ადამიანების შესაძლებლობებს და ის ღარიბების სხვადასხვა აქტივის შეფასებასაც გულისხმობს. გარდა ამისა, იგი კაპიტალის სხვადასხვა ფორმის ფარგლებში არსებული დეფიციტისა და საფრთხეების გამოვლენაში გვეხმარება. ამგვარად, სუსტი და ძლიერი მხარეების შეფასება ბევრად უფრო თანმიმდევრული და ყოვლისმომცველი ხდება და იგი სოციალურ კონტექსტსა და არსებულ გარემოს ითვალისწინებს.

მდგრადი საარსებო წყაროების მიდგომა მხოლოდ სხვადასხვა აქტივის შეფასებაში კი არ გვეხმარება, არამედ იმ სუსტი მხარეებისა და საფრთხეების დადგენას უწყობს ხელს, რომლებიც თემის გავლენის სფეროს ფარგლებს მიღმაა (გარეშე საფრთხეები). რა სახის ბუნებრივი კატასტროფები, მათ შორის წყალდიდობები და გვალვები, უქმნის საფრთხეს თემის აქტივებს? რა სახის სეზონურობა და მოვლენები ახდენს გავლენას საარსებო წყაროების დაცულობაზე? რა გარეშე ტენდენციებმა, მათ შორის ფასების მერყეობამ,

შეიძლება მოახდინოს უარყოფითი ზეგავლენა ამ აქტივებზე? ეს შეკითხვები საშუალებას გვაძლევს, სათანადოდ გავითვალისწინოთ გარემოსდაცვითი ასპექტები. გარდა ამისა, შესაძლებელი შოკების შეფასება საშუალებას გვაძლევს, კატასტროფების შემარბილებელი ზომები დავგეგმოთ განვითარების პროგრამების ფარგლებში.



დიაგრამა 8-9: საარსებო წყაროების მდგრადობის უზრუნველყოფა (DFID 2003)

საარსებო წყაროების მდგრადობის უზრუნველყოფის ბოლო ნაწილში თემის კაპიტალისა (შესაძლებლობები) და სუსტი მხარეების შეფასება ხორციელდება სახელმწიფო პოლიტიკის, სოციალური ინსტიტუტებისა და ინსტიტუციური პროცესების გათვალისწინებით. როგორ ეხმარება ან აფერხებს საზოგადოების კონტექსტის ეს ასპექტები თემის კაპიტალის სხვადასხვა ფორმის აკუმულირებას? ამ გზით შესაძლებელი ხდება სოციალური, ეკონომიკური და პოლიტიკური სისტემების ზეგავლენა თემის აქტივებზე. აქტივების ასეთი ფართო გააზრებისა და სოციალური კონტექსტის გათვალისწინების გზით შესაძლებელი ხდება საარსებო წყაროების გაზრდის სტრატეგიების შემუშავება და მოსალოდნელი შედეგების ნათლად გამოხატვა. სუსტი და ძლიერი მხარეების შეფასებისადმი მდგრადი საარსებო წყაროების მისადაგება გვეხმარება თემის აქტივების ბაზის დაცვასა და გაზრდაში.

თემის ორგანიზება

თემების ორგანიზების მიდგომა 1960-იან წლებში შემუშავდა და მისი ავტორია სოლ ალინსკი, რომელიც ჩიკაგოს ღარიბების უფლებამოსილების გაზრდის ინსტრუმენტებს ეძებდა, რათა მათ აქტიური მონაწილეობა მიეღოთ ტრანსფორმაციის პროცესებში. თემის ორგანიზება არის პროცესი, როდე-

საც კონკრეტულ ტერიტორიაზე მცხოვრები ადამიანთა ჯგუფი სწავლობს საკუთარი სიტუაციის გაძღოლასა და ჯგუფის სახით განვითარებას. თემების ორგანიზება ეხმარება ქალაქებში მცხოვრებ ღარიბებს ისეთი ღონისძიებების ორგანიზებულად განხორციელებაში, რომლებიც კონკრეტული საკითხის გადაჭრაზე იქნება ორიენტირებული და ადამიანთა ეს ორგანიზებული ჯგუფი საკუთარ ინტერესებს პოლიტიკური ან ეკონომიკური სტრუქტურების წინაშე ამ საკითხის ლობირებით იცავს. თემების (ადამიანთა ჯგუფების) ორგანიზების პროცესი მოქმედებების-რეფლექსიის-მოქმედებების მუდმივი ციკლია. ადამიანთა ჯგუფი თავად ახდენს პრობლემის დიაგნოსტირებას, ცდილობს მისი მიზეზების გამოვლენას, მათ შორის მიზეზებს ეძებს ადამიანებსა და სისტემებში, რომლებსაც წვლილი შეაქვთ მათ სიღარიბეში და შემდეგ ორგანიზებულ აქციებს მიმართავს იმ ადამიანებისა და სისტემების წინააღმდეგ, რომლებიც მათი პრობლემების გამომწვევ მიზეზს წარმოადგენენ.

რობერ ლინტიკუმის აზრით, თემის/საზოგადოების ორგანიზება 5 ეტაპს მოიცავს. ეს ეტაპებია:

- *ქსელების შექმნა:* ურთიერთობების ჩამოყალიბება, საკითხების იდენტიფიცირება და ნდობის მოპოვება.
- *კოალიციების შექმნა:* ადამიანების ორგანიზაციებში გაერთიანება ადამიანების ჯგუფის მიერ იდენტიფიცირებული საჭიროებების დაკმაყოფილებისა და პრობლემების გადაწყვეტის მიზნით.
- *მოქმედება-რეფლექსია-მოქმედება*: დინამიკური უწყვეტი სწავლების პროცესის გამოყენებით იმის გაანალიზება, თუ რატომ არსებობს ვითარება, რომელიც ადამიანებს პრობლემებს უქმნის და იმის გააზრება, თუ რატომ იმუშავა ან არ იმუშავა მანამდე გატარებულმა ღონისძიებებმა.
- *ლიდერობის ხელშეწყობა*: ადგილობრივ დონეზე მართული ქსელებისა და კოალიციების ჩამოყალიბება; ადგილობრივი ლიდერების ფორმირებისა და მათ მიერ საზოგადოების ნდობის მოპოვების ხელშეწყობა; ამ ლიდერების ტრენინგი.
- *თემის ფორმირება*: თანამშრომლობის გზით ნდობის ჩამოყალიბება და ერთიანობის შეგრძნების განცდა, როდესაც ადამიანთა ჯგუფი ერთი მიზნების გარშემო ერთიანდება (1991, 25–26).

თემების ორგანიზების ადრეულ ეტაპზე, ძირითადად, მარტივი პრობლემების გადაჭრა ხდება, ხოლო შემდეგ, თანდათანობით პროცესში სწავლასთან ერთად, რელფექსიის პროცესი უფრო ღრმავდება, ადამიანები უკეთ აცნობიერებენ თავიანთი სიღარიბის მიზეზებს და საჭირო ნაბიჯებს დგამენ ამ პრობლემის გადაჭრის გზების მოსაძიებლად. თავს იჩენს უფრო არსებითი პრობლემებიც და სხვადასხვა სტრუქტურა და სისტემა უფრო ღრმა ანალიზს ექვემდებარება.

თემების ორგანიზება თემების მონაწილეობის ხელშეწყობის საკმაოდ ეფექტური გზაა. იგი განსაკუთრებით კარგად მუშაობს, როდესაც პრობლემა ადგილობრივი სახელისუფლებო სტრუქტურების პასიურობითაა გამოწვეული. სათემო ორგანიზაციები ეფექტურად მუშაობენ ურბანულ კონტექსტშიც, თუმცა აქ "თემის" იდეა ცოტა უფრო ძნელად აღსაქმელია, ხოლო ზოგჯერ კი შეუძლებელიცაა გეოგრაფიული ან კულტურული თვალსაზრისით ადამია-

ნების ერთ ჯგუფად გაერთიანება. მაგრამ, მიუხედავად ამისა, გარკვეული პრობლემის გარშემო ადამიანთა ჯგუფის ორგანიზება, გარკვეული პერიოდით მაინც, შესაძლებელია.

თემების ორგანიზების მიდგომასაც აქვს ნაკლოვანებები. პირველ რიგში, თემების ორგანიზების დროსაც არსებობს ცდუნება, რომ განვითარების მიზანი მხოლოდ უფლებამოსილების გაზრდამდე იყოს დაყვანილი. რასაკვირველია, უუფლებო ადამიანების უფლებამოსილების გაზრდა აუცილებელია, მაგრამ ეს არ უნდა იყოს განვითარების ერთადერთი მიზანი. ნებისმიერ შემთხვევაში ყველა სახის ძალაუფლება უფალს ეკუთვნის. შესაბამისად, ლოზუნგი "ძალაუფლება ადამიანებს" არ არის ბიბლიური კონცეფცია და ეს არ ვრცელდება არც ღარიბებზე და არც შეძლებულებზე (ქრისტიანი, 194, 327). ძალაუფლებაზე ასეთი აქცენტირება თემების ორგანიზების მიდგომის ყველაზე სერიოზული ნაკლოვანებაა. მოცემული მიდგომა აქცენტს აკეთებს საზოგადოების ერთი ჯგუფის მეორე ჯგუფის წინააღმდეგ მოქმედებებზე. ეს კონფრონტაციას უწყობს ხელს და, მიუხედავად იმისა, რომ შესაძლოა მოკლევადიან პერსპექტივაში კარგი შედეგები მოგვიტანოს, შეიძლება უარყოფითი ზეგავლენა იქონიოს ადამიანების მორიგებასა და სამშვიდობო ინიციატივებზე.

თანამონაწილეობითი სწავლება და მოქმედება

1990-იანი წლების დასაწყისში გაჩნდა განვითარების დაგეგმვის ინსტრუმენტი, რომელიც საშუალებას აძლევდა თემებს, თავად აღეწერათ საკუთარი თავი და სოციალური სისტემების ფუნქციონირება გაეანალიზებინათ. რეგიონების სწრაფი შეფასების მეთოდოლოგია (RRA), რომელიც 1980-იან წლებში იყო პოპულარული, მიზნად ისახავდა ტექნიკური პროფესიონალების მიერ პროგრამების სწრაფად შემუშავების ხელშეწყობას. შესაბამისად, ტარდებოდა მოკლე საველე ვიზიტები, რომელთა დროს პროგრამისათვის საჭირო ინფორმაციის მოძიება ხდებოდა. შემდგომში მოცემული მიდგომა მონაწილეობითი მოქმედებებისა და რეფლექსიის მიდგომის შემდგომი ევოლუციისა და პრაქტიკული ანთროპოლოგიის, საველე კვლევებისა და სოფლის მეურნეობის განვითარების საფუძველზე კიდევ უფრო დაიხვეწა და შედეგად ჩამოყალიბდა მიდგომა, რომელსაც რეგიონების მონაწილეობითი შეფასება ეწოდა (PRA). ამ უკანსკნელმაც რამდენიმე ცვლილება განიცადა, რადგანაც იგი ქალებსა და ლტოლვილებთან მუშაობის პროცესშიც გამოიყენებოდა. დღეს ამ მიდგომას ბევრი მონაწილეობითი სწავლებისა და მოქმედებების მიდგომას უწოდებს (PLA). 8-10 დიაგრამაზე ნაჩვენებია ამ მიდგომის არსი და მონაწილეობა შეფასების ჩარჩოში ცენტრალურ ადგილს იკავებს.

RRA-ს მიდგომის დახვეწის და მის საფუძველზე PLA მიდგომის შემუშავება ინსტრუმენტების გადასინჯვა კი არ არის, არამედ ამ ინსტრუმენტების გამოყენების გზების გადახედვაა. ამ მოდელში ძალაუფლებისა და გამოცდილების ვექტორის მიმართულებაა შეცვლილი. გარეშე სპეციალისტები ეხმარებიან ადგილობრივ მოსახლეობას შეკითხვების ფორმულირებაში. შემდეგ კი ეხმარებიან მათ, თავად მოძებნონ პასუხები ამ შეკითხვებზე. შესაბამისად, ამ პროცესში ადამიანები სწავლობენ, რის შედეგადაც მათი უფლებამოსილება იზრდება. ეს 1980-იან წლებში არსებული პრაქტიკისაგან განსხვავდება, რადგანაც იმ პერიოდში ღარიბები უფრო ინფორმაციის წყაროდ მოიაზრე-

ბოდნენ და უფრო პასიური როლი ეკისრებოდათ, ხოლო, რაც შეეხება სწავლას, ეს, ძირითადად, გარეშე ექსპერტების ფუნქცია იყო. 1997 წელს თავის სატელეფონო ინტერვიუში ჯაიაკუმარ ქრისტიანმა ამაზე პირდაპირ ისაუბრა: "არასწორია, როდესაც ღარიბებს მხოლოდ ინფორმაციის წყაროდ იყენებენ."

PLA-ს ინსტრუმენტების პაკეტის ფარგლებში სხვადასხვა ინსტრუმენტის წყება შემუშავდა (იხილეთ დიაგრამა 8-11). მათი ძირითადი დანიშნულება იყო

	RRA	PLA
რეჟიმი	ინფორმაციის მოძიება	უფლებამოსილების გაზრდა, ფასილიტაცია
გარეშე ექსპერტი როლი	მოკვლევა	ფასილიტატორი
პროცესის ლიდერი	გარეშე პირები	ადგილობრივი ადამიანები
გამოყენებული მეთოდები	მეორადი მონაცემები	ესტაფეტის გადაცემა
	პირდაპირი დაკვირვება	კვლევა საკუთარი ძალებით
	ინტერვიუირება	მეორადი წყაროები ადგილობრივი ანალიზი
	ექსპერტების მოძიება	რუკის შედგენა თემის მიერ
	მიმართულების მიმცემი შეკითხვები	ვადების განსაზღვრა თემის მიერ
	პრაქტიკული მაგალითები და ისტორიები	ტენდენციების ანალიზი თემის მიერ
	შემეცნებითი გასეირნება*	მიზეზ-შედეგობრივი კავშირების ანალიზი თემის მიერ
		სიმდიდრისა და ძალაუფლების განსაზღვრა თემის მიერ
		სეზონური დიაგრამები თემის მიერ

* თემის ტერიტორიაზე გავლა და რეალობის შემეცნება და ანალიზი

დიაგრამა 8-10: RRA და PLA მიდგომების შედარება (ჩემბერსის დიაგრამაზე დაფუძნებით, 1997, 115).

ღარიბების დახმარება, რათა მათ ნათლად ჩამოეყალიბებინათ ის, რაც უკვე ისედაც იცოდნენ. ეს ისეთი ფორმით უნდა მომხდარიყო, რომ მათ შეეფასებინათ და გაეანალიზებინათ, თუ რა მუშაობს მათ სასარგებლოდ და რა არა. სწორად გამოყენების შემთხვევაში PLA უაღრესად სასარგებლოა. ეს მიდგომა ეხმარება ღარიბებს საკუთარი რეალობის, მათ შორის სოციალური სისტემების, აღწერაში საკუთარი კატეგორიებისა და ტერმინების გამოყენებით. სხვადასხვა სავარჯოშოსა და დავალების განხორციელების პროცესში თემების მოსმენის გზით შესაძლებელი ხდება მათი კონტექსტის უკეთ გაგება და იმის გააზრება, თუ როგორ იბრძვის ეს ღარიბი თემი გადარჩენისათვის, რაც კარგ საფუძველს ამზადებს შესაძლებლობებისა და სუსტი მხარეების ანალიზისათვის.

განვითარების სტრატეგია შესაძლებლობების განვითარებას და სისუსტეების აღმოფხვრას ისახავს მიზნად. მაგრამ, ამის გარდა, აუცილებელია შესაძლებლობებისა და სუსტი მხარეების ანალიზი. სწორად ჩატარებული PLA-—ს შედეგებზე დაყრდნობით ღარიბებს შეუძლიათ გაარკვიონ, რამდენი რამ იციან, რა რესურსები და უნარები აქვთ, რამდენად საზრიანები არიან და როგორ ახერხებდნენ წარსულში პრობლემებთან გამკლავებას. როდესაც ღარიბებს ვეხმარებით იმის გამოვლენაში, თუ რა იციან, ვეხმარებით მათ საკუთარი იდენტობის აღდგენაში. ერთი მოხუცი კაცი უსმენდა, თუ როგორ აღწერდა თემი საკუთარ რეალობას სამდღიანი PLA-ს სავარჯიშოების პროცესში. მოხუცი ადგა და წამოიძახა: “ჩვენ მართლაც საზრიანები ვართ, ასე არაა?” თვალსაზრისის ასეთი რადიკალური ტრანსფორმაცია (ადამიანი საკუთარ თავს უვიცად თვლის და გარეშე ექსპერტის დახმარებით აღმოაჩენს, რომ მას საკმაოდ დიდი ცოდნა აქვს) იმაზე მეტყველებს, რომ ადამიანის თვითშეფასება იზრდება. დავუბრუნდეთ ამარტია სენის ნაშრომებს. სენი თავისუფლებას მოიაზრებს, როგორც ადამიანების თავისუფლების გაზრდას. ამ მიდგომამ დასაბამი მისცა ახალ მოძრაობას, რომელიც ადამიანური განვითარებისა და შესაძლებლობების ასოციაციის ფორმით ჩამოყალიბდა. ამ ქსელმა მონაწილეობითი მიდგომების დიდი მრავალფეროვნება შემოგვთავაზა, რომლებიც ადამიანების შესაძლებლობების განვითარებაზეა ორიენტირებული (უაითი და პეტიტი, 2007; უაითი, 2009). გარდა ამისა, ჩატარდა მრავალი კვლევა ამ მეთოდების სხვადასხვა კონტექსტში გამოყენებასთან დაკავშირებით (დენულინი და შაჰანი, 2009). პრაქტიკოსი სპეციალისტებისათვის უაღრესად სასარგებლო იქნება ამ ქსელის მიერ გამოქვეყნებული ნაშრომების გაცნობა.

ბოლო პერიოდში გამოქვეყნებულმა ნაშრომებმა, ასევე, დაადასტურა, რომ PLA მეთოდოლოგია შეიძლება ეფექტურად გამოვიყენოთ თემის მიერ თავისი პოლიტიკის ანალიზისას. ეს დაეხმარება თემს, გახდეს საკუთარი ინტერესების ლობისტი და მიმართოს პოლიტიკურ და ეკონომიკურ სტრუქტურებს, რომლებსაც წვლილი შეაქვთ ამ ადამიანების სიღარიბეში (ჰოლანდი და ბლექბერნი, 1998).

ინსტრუმენტი	მიზანი	შედეგი
ვადები	თემის ისტორიაში საკვანძო მოვლენების აღწერა	თემის დახმარება საკუთარი ისტორიის შექმნაში. რა უწყობდა ხელს წარსულში ცვლილებებს?
ოჯახები	აღწერეთ, რა შეიცვალა წამყვან ოჯახებში	გადარჩენის წარსული სტრატეგიების აღწერა
ტენდენციების ანალიზი	თემში ცვლილებების ტრაექტორიის აღწერა	მიმართულების მიცემა და ცვლილებების შესაძლებლობაში ადამიანების დარწმუნება
სეზონურობის დიაგრამა	სეზონურობის გათვალისწინება	დიალოგი სხვადასხვა საკითხზე,, ეფექტურია დაგეგმვისათვის
რესურსების რუკის შექმნა	სოციალური, ეკონომიკური და დემოგრაფიული რესურსების აღწერა	ეფექტურია საჭიროებების ანალიზისა და რესურსების გადანაწილებისათვის
იდენტიფიცირება	თემის ძირითადი პობლემებისა და რესურსების რუკის შედგენა	კარგია რესურსების ინვენტარიზაციისთვის, საჭიროებების ანალიზისთვის და ასახავს რესურსების გადანაწილებას
ცხრილის შედგენა	თემის არჩევანის განსაზღვრა	თემის არჩევანის უკან მდგარი ლოგიკის გაგება
ვენის დიაგრამა (ჩაპატის დიაგრამა)	თემისთვის მნიშვნელოვანი ინსტიტუტებისა და ადამიანების აღწერა	შეძლებული ადამიანებისა და გავლენიანი ინსტიტუტების ძალაუფლებისა და ურთიერთობების შესახებ წარმოდგენების გამოვლენა; ინსტიტუტების გამოვლენა, რომლებსაც გაძლიერება ესაჭიროებათ
სიმდიდრის რანჟირება	მიზეზების შესახებ ადგილობრივების მოსაზრების აღწერა	ყველაზე ღარიბების იდენტიფიცირება, გაანალიზება, რატომ არიან შეძლებულები პრივილეგირებულები
მიზეზების დიაგრამა	ადგილობრივი ეკონომიკური სისტემებისა და მონაწილეების აღწერა	განვითარების შესაძლებლობებისა და ბარიერების იდენტიფიცირება
ტიპური დღე	ტიპური დღის აღწერა	გადარჩენის სტრატეგიის აღწერა, როლების იდენტიფიცირება, განსაკუთრებით ქალებისა და ბავშვების
კონფლიქტების ანალიზი	კონფლიქტის დინამიკის აღწერა	კონფლიქტის მიზეზების გამოვლენა ეხმარება მორიგებას
ათი თესლის ტექნიკა	დამოკიდებულების შეფასება, რანჟირება	პროცენტული მაჩვენებლების მიღება შედარებისათვის

დიაგრამა 8-11: PLA ინსტრუმენტების პაკეტი (ჯაიაკარანის ადაპტირებული ვერსია, 1996).

შემეცნებითი კვლევა

შემეცნებითი კვლევა საველე კვლევების ევოლუციის პოსტმოდერნისტული პერიოდის შედეგია. ეს იყო კვლევების უმეტესობისთვის დამახასიათებელი რაციონალისტური, მექანიკური და პრობლემების გადაჭრაზე ორიენტირებული მიდგომიდან გადახვევის მცდელობა და ისეთი ალტერნატიული მიდგომის ძიების შედეგი, რომელიც უკეთ მოერგებოდა თვით-რეგულირებად სოციალურ სისტემებს. თუ რეალობა სოციალურად კონსტრუირებადია, როგორც ამას პოსტმოდერნისტები ამტკიცებენ, მაშინ რატომ არ უნდა მივცეთ საშუალება თემს, თავად შექმნას საკუთარი რეალობა?

შემეცნებითი კვლევის ამოსავალი წერტილია ვარაუდი, რომლის შესაბამისადაც თემი, რომელიც ეფექტურად ფუნქციონირებს, სასწაულია, რომელსაც ვერასოდეს გავიგებთ. სოციალურ ორგანიზმს ყოველთვის აქვს რაღაც მახასიათებელი, რომელსაც ვერასოდეს შევიმეცნებთ მისი ანალიზისა და შესწავლის ან, თუნდაც, მისი წარსულის გაცნობის გზით. აქედან გამომდინარე, ჩვენ ვერასოდეს შევქმნით ან გავაუმჯობესებთ სოციალურ ორგანიზაციას მხოლოდ რაციონალური და სწორხაზოვანი პროცესის მისადაგებით. დეივიდ კუპერაიდერმა და სურეშ სრივასტავამ, რომელთა წვლილი განვითარების სფეროში ნოვატორული მიდგომების დანერგვაში უაღრესად მნიშვნელოვანია, ამ მიდგომას შემდეგნაირად აღწერენ: “შემეცნებითი კვლევა იმ სოციალურ ორგანიზაციებთან ცხოვრება, ყოფნა და მათ ფუნქციონირებაში მონაწილეობაა, რომელთა შესწავლა გვინდა. სიცოცხლის მარადიული საიდუმლოება მოკრძალებასა და აღფრთოვანებას იწვევს მკვლევარში. იგი ვალდებულია, ზედაპირული შესწავლის შემდეგ სიცოცხლის გენერირების უნარის მქონე ასპექტებს ჩაუღრმავდეს და სოციალური არსებობის პოტენციალი გამოავლინოს. ანუ: მოქმედებაზე ორიენტირებულმა მკვლევარმა უნდა გამოავლინოს, დაადასტუროს და შეიცნოს ის ფაქტორები და ძალები, რომლებიც ადამიანის სულს ასაზრდოებს” (1987, 129).

სოციალური ცვლილებებისადმი შემეცნებითი კვლევის მიდგომა გვთავაზობს ჯერ წარმოვიდგინოთ, თუ რა სახის სოციალური ორგანიზაციაა გვჭირდება და შემდეგ შევქმნათ იგი იმ სახით, რომ თავიდანვე ღირებულ ფასეულობებზე აიღოს ორიენტაცია. თუ ჩვენ განვსაზღვრავთ, რა შეუწყობს ხელს კონკრეტული საზოგადოების კეთილდღეობას, მაშინ შეგვიძლია ამ მიმართულებით გავაფართოოთ საქმიანობა, რათა ამ გზით ორგანიზაცია ან საზოგადოება ამავე მიმართულებით განვითარდეს. “რაც უფრო მეტად ეცდება ორგანიზაცია, მიმართოს თავისი ფიქრი მიზანდასახულ ევოლუციაზე და ამასთან დაკავშირებით პოზიტიური სახეები წარმოიდგინოს, მით უფრო სწრაფად განვითარდება იგი ამ მიმართულებით. ეს დაეხმარება მას გაძლიერებასა და თვითგანათლებაში. პოზიტიური მიმართულებებით განვითარება და ამ სისტემის შედეგების მეშვეობით აღნიშნული მიმართულების სისწორისა და საკუთარი შესაძლებლობების გარკვევა თვითორგანიზებადი სისტემების წარმატების საფუძველია” (კუპერაიდერი და სხვები, 1995, 5).

განვითარების კონტექსტში შემეცნებითი კვლევა იწყება ზოგადი მიზნის განსაზღვრით, რომელიც, უმეტესწილად, მიმართულია უკვე არსებული პოზიტიური სოციალური რეალობის გაუმჯობესებაზე. პირველ რიგში, უნდა დავსვათ შეკითხვა: როგორ განვითარდა ეს პოზიტიური ფენომენი ამ სოცია-

ლური ორგანიზაციის შიგნით? შემეცნებითი კვლევა არ ეყრდნობა პრობლემების გადაჭრაზე ორიენტირებულ მიდგომას, არც ანალიზიდან იწყებს თავისი ღონისძიებების დაგეგმვას, არამედ იგი ცდილობს ჰოლისტიკური თვალსაზრისი ჩამოაყალიბოს იმის შესახებ, რაც უკვე არსებობს და იმასაც ცდილობს, პასუხები მოძებნოს შემდეგ შეკითხვებზე: რანაირად გახდა შესაძლებელი სოციალური ორგნიზაციის ამ პირობებში ჩამოყალიბება? რა უწყობს ხელს ამ საზოგადოების ყველაზე უფრო ეფექტურად ფუნქციონირებას? რა შესაძლებლობები აქვს თემს, რომ მისი ჯანდაცვის სისტემა, საარსებო სისტემები და კეთილდღეობა გაუმჯობესდეს? შემეცნებითი კვლევა აქცენტს იმის გამოვლენაზე აკეთებს, რაც ადამიანების ცხოვრებას ამდიდრებს და ენერგიასა და ენთუზიაზმს წარმოშობს. თავისი არსით შემეცნებითი კვლევა უფრო მეტია, ვიდრე, უბრალოდ, მიდგომა, ეს არის სამყაროს გააზრების გზა. "ეს მეთოდი ცხოვრების, სიხარულის, სილამაზის, წარმატებისა და ინოვაციის გამოვლენისკენაა მიმართული" (ჯონსონი და ლადემა, 1997, 72). ეს შეგვახსენებს პავლეს მიმართვას ფილიპელთა მიმართ (4:8–9):

> "რაც ჭეშმარიტია და პატიოსანი, რაც მართალია და წმიდა, რაც სიყვარულია და საქებარი, სათნო და ქებული, იმაზე იფიქრეთ. რაც გისწავლიათ და მიგიღიათ, რაც გსმენიათ და გიხილავთ ჩემში, ის აღასრულეთ და ღმერთი მშვიდობისა იქნება თქვენთან".

ამ აზრის თეოლოგიური საფუძველი ისაა, რომ უფალმა სიკეთით სავსე სამყარო შექმნა. როდესაც რაიმე კარგთან გვაქვს შეხება, ვხედავთ, რომ ეს უფლის საჩუქარია და მისი ღვაწლითაა შექმნილი. ბიბლიური ისტორია უფლის მოღვაწეობის ისტორიაა. უფალი ცდილობს ცოდვით დაცემული ადამიანებისა და საზოგადოებების ცხოვრება უკეთესი გზით წაიყვანოს: ხელი შეუწყოს, რომ ადამიანები უკეთესები, სამართლიანები და მშვიდობიანები გახდნენ. შემეცნებითი კვლევა ხელს უწყობს ტრანსფორმაციული განვითარების სფეროში მოღვაწე ადამიანებს, დაინახონ უფლის ღვაწლი თემების ცხოვრებაში და საკუთარ თავში, და უნდა ეცადონ, რომ უფლის თანამოღვაწეები გახდნენ. შემეცნებითი კვლევა თავისი არსით ბიბლიის ინტერპრეტაციას შეესაბამება. ჩვენი ცოდვის მიუხედავად, უფალმა მიგვიტევა და იმისთვის იღვწის, რომ აღადგინოს პირვანდელი სახე ადამიანებისა, ანუ შეგვახსენოს, რომ ჩვენ მისი ხატების მსგავსად ვართ შექმნილნი.

შემეცნებითი კვლევა განსხვავდება პრობლემების გადაწყვეტაზე ორიენტირებული მიდგომისგან, რომელიც ძალიან პოპულარულია და განვითარების კვლევების უმეტესობას უდევს საფუძვლად. იმის ნაცვლად, რომ გამოვავლინოთ რაშია პრობლემა ან რისი დეფიციტი არსებობს, შემეცნებითი კვლევა პოზიტიურის, წარმატებულისა და ეფექტურის გამოვლენისკენაა მიმართული, რათა შემდგომ ეს ტენდენცია უფრო გაამყაროს. ამ მიდგომის საფუძველი ის არის, რომ ორგანიზაციები ორიენტირებული არიან მხოლოდ "პრობლემების გადაჭრაზე, რაც ზღუდავს ორგანიზაციის თვალსაწიერს და არ აძლევს საშუალებას, უფრო ეფექტურად გამოიყენოს თავისი ცოდნა" (კუპერაიდერი და სრივასტვა, 1987, 129). 8-12 დიაგრამაზე მოცემულია ამ ორი ჩარჩოს შერწყმა.

	პრობლემების გადაჭრა	**შემეცნებითი კვლევა**
ძირითადი ვარაუდი	ორგანიზება არის პრობლემა, რომელიც უნდა გადაიჭრას	ორგანიზება არის საიდუმლო, რომელსაც უნდა ჩავწვდეთ
აქცენტი	პრობლემების გამოვლენა	შესაძლებლობების გამოვლენა
დაგეგმვის ინსტრუმენტი	პრობლემების ხე	შესაძლებლობების ხე
მეთოდები	პრობლემების იდენტიფიცირება	უკვე არსებული პოზიტიურის გამოყენება
	არსებული საჭიროებები	არსებული სიძლიერეები
	მიზეზების ანალიზი	მომავლის წარმოდგენა
	პრობლემის გადაჭრის გზების ანალიზი	დიალოგი იმაზე, რაც უნდა გაკეთდეს
	ღონისძიებების დაგეგმვა	სიახლეების დანერგვა

დიაგრამა 8-12: პრობლემების გადაჭრის მიდგომების შედარება შემეცნებითი კვლევის მეთოდთან

შემეცნებითი კვლევის ფარგლებში ხედვის ჩამოყალიბება იწყება იმის გამოვლენიდან, თუ რა მუშაობს კარგად და რას შეაქვს წვლილი საზოგადოების კეთილდღეობაში. ეს გვეხმარება წარმოვიდგინოთ, თუ როგორ გავაფართოოთ დღევანდელი ან წარსულში არსებული პოზიტიური გამოცდილება და როგორ გამოვიყენოთ იგი საფუძვლად. შემდეგი ნაბიჯია დიალოგის გამართვა იმის შესახებ, თუ როგორი უნდა იყოს მომავალი. რა არის ჩვენთვის ყველაზე კარგი? სწორედ ამ მომენტში ეხმარება განვითარების სპეციალისტი ადამიანებს მომავლის ხედვის ჩამოყალიბებაში. იდეალური მომავლის შესახებ ხედვის ჩამოყალიბება ეთიკურ მოსაზრებებთანაცაა დაკავშირებული. სწორი იქნება ეს მიდგომა ჩვენთვის? ვიამაყებთ, თუ იგი წარმატებით დასრულდება? დაბოლოს, განვითარების ჩამოყალიბებული ხედვის განხორციელების პროცესში არსებობს კიდევ ერთი ეტაპი, ეს არის *შეფასება*, ანუ იმის გამოვლენა, თუ რა მუშაობს კარგად. რა იყო მოულოდნელი პოზიტიური ასპექტი განვითარებაში? როგორ შეგვიძლია ამ პოზიტიური ასპექტების გამყარება? (იხილეთ დიაგრამა 8-13). განვითარების დაგეგმვის ალტერნატიული მიდგომა ინტერვიუირების განსხვავებულ მეთოდოლოგიას იყენებს, ვიდრე ეს პრობლემების გადაჭრაზე ორიენტირებული მიდგომის შემთხვევაში ხდება. შემეცნებითი კვლევის ფარგლებში ინტერვიუირება შემდეგ ასპექტებს მოიცავს:

- ვარაუდის დაშვება კეთილდღეობის ხელშემწყობი ფაქტორების თაობაზე (ჯანმრთელობა, სიცოცხლისუნარიანობა).

- ადამიანებთან დაახლოების სურვილი, თანაგრძნობა და მათი განცდების გაზიარება.
- პირადი სიხარულისა და მღელვარების, ასევე, პრობლემების გაზიარება და ცვლილებების მხარდაჭერა.
- აქცენტი ადამიანების ყურადღებით მოსმენაზე.
- შეკითხვების დასმა, გამოსავლის ძიებაში დახმარება, პროცესის ხელმძღვანელობა.
- თემის ნდობა და მისი ისტორიის პატივისცემა (ეჭვის შეტანის საპირისპიროდ).
- ოცნებებისადმი, განზოგადებებისა და ორაზროვნებისადმი ტოლერანტული დამოკიდებულება.
- დიალოგის მხარდაჭერა მონოლოგის საპირისპიროდ (კუპერაიდერი და სხვები, 1995, 9).



დიაგრამა 8-13: შემეცნებითი კვლევის მეშვეობით კონცეპტუალური მიდგომების შემუშავება (ჯონსონი და ლუდემა, 1997, 5)

ზემოხსენებული ჩამონათვალი სრულიად საპირისპიროა პრობლემების გადაჭრაზე ორიენტირებული მიდგომის ინტერვიუირებისაგან, მაგრამ, იმავდროულად, ეს სხვაობა აბსოლუტური არ არის. შემეცნებითი კვლევის ინტერვიუირების ბოლო ოთხ პუნქტს ის სპეციალისტები მიმართავენ, რომლებიც PLA მეთოდოლოგიას იყენებენ. შესაბამისად, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ შემეცნებითი კვლევის ლოგიკა და მიმართულება თავსებადია PLA მიდგომასთან. შემეცნებითი კვლევის მეთოდები შეიძლება შეფასების პროცესშიც

გამოვიყენოთ. იმისათვის, რომ განვსაზღვროთ, რა არ მუშაობდა კარგად და შემდეგ ამ პრობლემის გადაჭრის გზები ვეძებოთ, შეფასების შეკითხვები სხვაგვარად უნდა ჩამოყალიბდეს. ანუ: რამ იმუშავა კარგად? რამ გამოიწვია ენთუზიაზმი? რა პოზიტიური ასპექტები გამოვლინდა? ასეთი სახის შეფასება გვეხმარება იმ პოზიტიურის მხარეების გამყარებაში, რომლებიც ადამიანებმა გამოავლინეს და რაც მათ ენთუზიაზმით აღავსებს. აქცენტის გადატანა იმაზე, თუ რა გამოდის კარგად, დამატებით სარგებელს გვაძლევს. ეს გვეხმარება თავიდან ავიცილოთ უკვე დაშვებული შეცდომების გამეორება და, მათი აღმოფხვრის მიზნით, პრობლემის გადაწყვეტის ახალი მიდგომები დავნერგოთ, რაც, სავარაუდოდ, უფრო ეფექტური იქნება. ამ შეცდომას დასავლელი განვითარების სპეციალისტების უმეტესობა უშვებს. ამის ნაცვლად რესურსები იმაზე უნდა წარიმართოს, რაც მუშაობს.

განმარტების სახით გთავაზობთ ორ მოსაზრებას. პირველი: შემეცნებითი კვლევა პოზიტიურ და წარმატებულ ასპექტებზე აგებს თავის მუშაობას, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ უარყოფითი ასპექტების იგნორირება ხდება და მათ "ხალიჩის ქვეშ ვხვეტთ" მისამალად. პირიქით, შემეცნებითი კვლევა გვეხმარება, გამოვავლინოთ როგორც პოზიტიური, ასევე ნეგატიური პრობლემები და არსებული პრობლემები სწორად დავინახოთ. ამგვარად, ჩვენ ამ გზით შევძლებთ თვალი გავუსწოროთ რეალობას, მაგრამ ეს ისეთ ფსიქო-სოციალურ გარემოში ხდება, რომელიც ხელს უწყობს ამ პრობლემების მაქსიმალური ენერგიითა და კეთილი ნების გაერთიანებით გადაწყვეტას.

მეორე: შემეცნებითი კვლევა დაგვეხმარება ისეთი ინფორმაციის გამოვლენაში, რომელიც, შესაძლოა, პრობლემების გადაჭრაზე ორიენტირებულმა მიდგომამ ვერ გამოავლინოს. ეს მეთოდი ეხმარება თემს თავისი იდენტობისა და დანიშნულების გააზრებაში, მაგრამ, მიუხედავად თავისი ნაკლოვანებებისა, უარი არ უნდა ვთქვათ პრობლემების გადაჭრაზე ორიენტირებულ მიდგომაზე იმის გამო, რომ რომელიმე ახალი მეთოდი უფრო პოპულარული ხდება განვითარების სპეციალისტებისათვის. პრობლემების გადაჭრაზე ორიენტირებული მიდგომა უაღრესად ეფექტური გამოდგა დასავლეთის განვითარების პროცესში და ძალიან კარგად მუშაობს განვითარების კონკრეტულ ასპექტებთან მიმართებით. განვითარების პროფესიონალმა პრაქტიკოსმა არ უნდა ჩათვალოს, რომ არჩევანი უნდა გააკეთოს რომელიმე ერთი მეთოდის სასარგებლოდ. საკმაოდ ეფექტურია შემეცნებითი კვლევისა და არსებული განვითარების ინსტრუმეტების შერწყმა და ორივე მიდგომის გამოყენება თემის განვითარების ხელშეწყობის მიზნით.

World Vision-ის ტანზანიის ოფისმა შემოქმედებითად მოახდინა შემეცნებითი კვლევის მეთოდის ადაპტირება (ბოოი დე სენა, 1999). ზოგადად არსებულ გამოცდილებაზე დაყრდნობით შეიძლება ითქვას, რომ თემი, უმეტესწილად, სტუმართმოყვარეობით ხვდება განვითარების სფეროს არასამთავრობო ორგანიზაციებს და აწვდის მათ იმ პრობლემების ჩამონათვალს, რომლებიც, მისი აზრით, გადაჭრას საჭიროებს. მთავარია, რომ თავად თემი ვაქციოთ გარდაქმნების მამოძრავებელ ძალად. თუ რამ იმუშავა კარგად წარსულში, თემის აზრით, უაღრესად სასარგებლოა. ეს ეხმარება თემს, რომ დაძლიოს შეხედულება, თითქოს ყველაფერი არასამთავრობო ორგანიზაციამ უნდა დაუგეგმოს და დაეხმაროს პრობლემების აღმოფხვრაში. თემებთან შეხვედრებითა და შემეცნებითი კვლევის მეთოდის გამოყენებით World Vision-ის ტანზანიის ოფისმა

წარმატებით მოახერხა ამ პრობლემების დაძლევა და თემის აზრის მოსმენა შემდეგ შეკითხვებზე:

- რა შესაძლებლობები აქვს თემს, რომლებიც ხელს შეუწყობს მისი კეთილდღეობის ამაღლებას? რა აძლევს თემს ენერგიასა და ძალას, რომ გარდაიქმნას და პრობლემები დაძლიოს?
- თქვენი თემის განვითარების ბოლო ასი წლის განმავლობაში რა მოხდა, რითიც ამაყობთ და წარმატების შეგრძნებას გიქმნით?
- რა საუკეთესო კულტურული და რელიგიური ტრადიციები გაქვთ? რა გიქმნით სიამაყის შეგრძნებას, როდესაც თქვენს კულტურას იხსენებთ? რა გეხმარებათ განსაცდელში?
- რას აფასებთ ყველაზე უფრო საკუთარ თავში, რაც სიამოვნებისა და სიამაყის განცდას განიჭებთ?
- თქვენს გეოგრაფიულ არეალსა და ეკონომიკურ სისტემებში რა დაგეხმარათ იმის გაკეთებაში, რითიც ამაყობთ?
- რა უნარები და რესურსები დაგეხმარათ იმის გაკეთებაში, რითიც თქვენი შვილები დაგიმახსოვრებენ?
- როგორ დაგეხმარათ თქვენი პირადი ურთიერთობები და თემთან ურთიერთობები იმის გაკეთებაში, რაც, თქვენი აზრით, კარგია თემისათვის?

შემეცნებითი კვლევის საერთო შედეგი უაღრესად შთამბეჭდავია. თემის მიერ მომზადებული პრობლემების ჩამონათვალი, რომლებიც მას არასამთავრობო ორგანიზაციამ უნდა გადაუჭრას, თანდათან უკანა პლანზე გადადის იმ ენთუზიაზმის ფონზე, რომელსაც ადამიანები განიცდიან თავიანთი ძლიერი მხარეების გმოვლენის შედეგად. თემი თავის წარსულსა და საკუთარ თავს ახალი პოზიციიდან ხედავს. მას ესმის, რომ გარკვეული ცოდნა, გამოცდილება და რესურსები აქვს. თემის წევრებს ბევრი რამ აქვთ საამაყო. ისინი უკვე ადგანან განვითარების გზას. უფალი სიკეთეს ამჟღავნებს მათ მიმართ. ადამიანებს არა აქვთ განცდა, რომ უფლისგან მივიწყებულები არიან. ეს უაღრესად დიდი წინ გადადგმული ნაბიჯია თემის ჭეშმარიტი იდენტობის აღდგენისა და დანიშნულების გააზრებისკენ. სწორედ ამ მომენტში იწყება ყველაზე ფუნდამენტური ტრანსფორმაცია.

ჩარლზ ელიოტმა თავის ნაშრომში *"გარდაქმნების ენერგიის აღმოჩენა: შესავალი შემეცნებით კვლევაში"* კიდევ უფრო განავითარა შემეცნებითი კვლევის თეორია და აღწერა ხუთი პრაქტიკული მაგალითი, თუ როგორ იყოს გამოყენებული შემეცნებითი კვლევა როგორც შეფასების, განხორციელებისა და საბოლოო შედეგების შეფასების ძირითადი ინსტრუმენტი (1999). თავის დასკვნაში იგი აღნიშნავს, რომ შემეცნებითი კვლევა იმის საშუალებას გვაძლევს, რომ დავძლიოთ ცინიზმი, რომელიც წარსული წარუმატებელი გამოცდილებითაა განპირობებული და, გარკვეულწილად, ადამიანთა შერყეული ღირსებისა და თვითშეფასების აღდგენაში გვეხმარება. ელიოტი ნაკლებად არის დარწმუნებული შემეცნებითი კვლევის საფუძველზე შემუშავებული პროგრამების მგრადობაში. რა მოხდება, როდესაც ის ახალი ენერგია და

ენთუზიაზმი, რომელიც მომავლის ახლებურად გააზრების შედეგია, იმ ადამიანების წინააღმდეგობას წააწყდება, რომლებიც დაინტერესებულნი არიან შეინარჩუნონ არსებული მდგომარეობა? შეუძლია ენერგიას, რომელიც შემეცნებითი კვლევის შედეგად წარმოიქმნა, საკუთარი თავი ასაზრდოოს ძლიერი წინააღმდეგობის შემთხვევაში? (1999, 283).

პოზიტიური გადახრა (დევიაცია)

1990-იან წლებში განვითარება დაიწყო ახალმა მიდგომამ, რომელიც თემისათვის საკუთარი ისტორიის ჩამოყალიბებასა და ამაზე დაყრდნობით პრობლემების შესაძლებელი გადაჭრის გზების მოძიების ხელშეწყობასაც ითვალისწინებდა. ეს ჯერი და მონიკ სტერნინების დამსახურებით მოხდა. ისინი იმ პერიოდში Save the Children-ში მუშაობდნენ და მათი მთავარი ძალისხმევა ვიეტნამის ბავშვების საკვებით უზრუნველყოფის გაუმჯობესება იყო. როდესაც თემებში კვების თვალსაზრისით არსებულ მდგომარეობას აფასებდნენ, სტერნინებმა გამოავლინეს, რომ თემის უკიდურესად ღარიბი ოჯახების ნაწილის ბავშვებს არ აღენიშნებოდათ საკვების ნაკლებობის ნიშნები. PLA-ს შემდეგ ეტაპზე გადასვლის ნაცვლად სპეციალისტები ესაუბრნენ თემს, თუ რა შეიძლება გაკეთდეს ბავშვთა კვების გასაუმჯობესებლად. საუბრის პროცესში მათ გადაწყვიტეს გაეგოთ, რა მდგომარეობაა ამ უაღრესად ღარიბ ოჯახებში, ანუ გაეგოთ, რატომ ხდება ეს "პოზიტიური გადახრა"; გაერკვიათ, რას აკეთებდნენ ეს ოჯახები განსხვავებულად და რამდენად შესაძლებელი იქნებოდა მათი გამოცდილების გამოყენება თემის დანარჩენი ოჯახების სასიკეთოდ. გამოირკვა, რომ ეს ღარიბი ოჯახები პაწაწინა კრევეტებსა და კიბორჩხალებს იჭერდნენ ბრინჯის პლანტაციებში და მათ ტკბილი კარტოფილის ბოლქვის ზედა ნაწილსაც (როგორც მწვანილის) ამატებდნენ ბრინჯში, რომლითაც ყოველ დღე კვებავდნენ ბავშვებს. თემმა თავიდან კამათი გამართა, რომ კრევეტები, კიბორჩხალები და ეს მწვანილი არ იყო განკუთვნილი ბავშვების საკვებად. თანდათანობით ადამიანები მიხვდნენ, რომ ამას სხვებიც აკეთებენ და მას კარგი შედეგი მოჰქონდა, და წინააღმდეგობაც განელდა. ბოლოს რამდენიმე ოჯახმა დაიწყო საკუთარი ბავშვების ამგვარად კვება. პროგრამის ბოლოსთვის ბავშვების მესამედმა წონაში მოიმატა და უფრო მეტი ადამიანი დარწმუნდა ასეთი კვების უპირატესობაში (პასკალი, სტერნინი და სტერნინი, 2010, 19-20). სტერნინებმა ამ მიდგომას პოზიტიური გადახვევა უწოდეს (PD).

სანამ პოზიტიური გადახვევის პრინციპებსა და პრაქტიკას გავაანალიზებთ, მინდა რამდენიმე სიტყვით შევეხო თემებში სიახლეების დანერგვის საკითხებს. სოციოლოგი ევერეტ როჯერსი თემებში სიახლეების დანერგვის საკითხებზე მუშაობდა (2003). 1960-იან და 1970-იან წლებში სიახლეების დანერგვის თეორია რეგიონების სოციოლოგიის მეინსტრიმი გახდა. ძირითადი აქცენტი მწვანე რევოლუციის მხარდაჭერასა და მსოფლიოში ამ ახალი ტექნოლოგიების დანერგვაზე კეთდებოდა. როჯერსმა აღმოაჩინა, რომ ყოველ თემში არსებობს ადამიანების მცირე ჯგუფი, რომელსაც იგი "სიახლეების რეციპიენტებს" უწოდებდა. ისინი მზად არიან ნებისმიერი სიახლე მოსინჯონ. მაგრამ ძირითადი გამოწვევა ამ სიახლის თემის ყველა წევრამდე მიტანაა, რათა ის მისაღები გახდეს მათთვის. როჯერსი მუშაობდა როგორც ფორმალურ, ასევე არაფორმალურ კომუნიკაციის არხებზე. გარკვეულ გამოწვევას წარმოადგენდა ისიც,

რომ საზოგადოებაში განათლებისა და შემოსავლების თვალსაზრისით დიდი სხვაობა არსებობს. როჯერსის აზრით, სიახლეების დანერგვის ტემპიც უაღრესად მნიშვნელოვანია. ტემპს, თავის მხრივ, პროცესი და თემის შიგნით არსებული რეალობა განაპირობებს. ეს, ასევე, გულისხმობს ისეთ ასპექტებს, თუ როგორ იღებს თემი გადაწყვეტილებებს და როგორია თემის ტრადიციული ფასეულობები. სიახლეების გავრცელების ტემპი S-ის ფორმის მრუდით უნდა გამოიხატებოდეს ანუ: ნელი დასაწყისი, შემდეგ სიახლის უფრო სწრაფი გავრცელება და ბოლოს ტემპის კვლავ შენელება. ეს არის ის, რასაც როჯერსი "შეფერხებას" უწოდებს (იხილეთ დიაგრამა 8-14). როჯერსი აქცენტს თემის სოციალურ სისტემებზე აკეთებს. სოციალური სტრუქტურა მნიშვნელოვანია და, უმეტესწილად, გარეშე ადამიანებს ეს სტრუქტურა კარგად არ ესმით. ასევე, არანაკლებ მნიშვნელოვანია სოციალური ნორმები და ტაბუები, წმინდა ადგილებისა და სულების შიში, თემის შიგნით ძალაუფლების გადანაწილება და სხვა. ზოგადად, ცვლილებების მართვა რთული პროცესია (2003, 11–21).



დიაგრამა 8—14: სიახლეების თემებში დანერგვა (როჯერსის ადაპტირებული ვერსია, 2003, 281).

განვითარების პრაქტიკოსებისათვის ეს კარგადაა ცნობილი: ჩვენ ვცდილობთ თემებს ვასწავლოთ, რომ წყალი უნდა აადუღონ, რათა წყლით გამოწვეული ავადობის შემთხვევები შემცირდეს. რამდენიმე ადამიანი დაუყოვნებლივ იწყებს ამ სიახლის გამოყენებას. ადამიანების უმეტესობა, რომლებსაც ასაკის, სოციალური სიტუაციის ან პიროვნული თვისებების გამო არ შეუძლია ამ სიახლის მაშინვე მიღება, აკვირდება იმ ადამიანებს, რომლებიც ხალისით უჭერენ მხარს სიახლეებს. ხშირად ისინი ნელ-ნელა ხვდებიან, რომ კარგი იქნებოდა, მათაც იგივე გაეკეთებინათ. თემის დანარჩენი წარმომადგენლები ცდილობენ, ყველა შესაძლებელი მიზეზი მოიყვანონ სხვების დასარწმუნებლად, რომ ასეთი ცვლილება ცუდია. ამ მიზნით ისინი იშველიებენ კულტურას, თავიანთ ფასეულობებს და ა. შ. გარდა ამისა, ეს ადამიანები ცვლილებებში გარკვეულ საფრთხეს ხედავენ თავიანთი ძალაუფლებისათვის, გადარჩენისათვის, რის გამოც წინააღმდეგობას უწევენ ყველაფერ გარეშესა და ახალს და სხვა. სწორედ ამიტომ, მიუხედავად იმისა, რომ იმ ადამიანების გამოცდილება, რომ-

ლებიც სიახლეებს ენთუზიაზმით იღებენ, ადასტურებს, რომ წყლის ადუღება ამცირებს ავადობას ბავშვებში, ისინი მაინც ძალიან ნელა იღებენ სიახლეებს, ძალიან ხშირად კი საერთოდ არ იღებენ მათ. ახსნა, რომ ეს მეცნიერულად დასაბუთებული ფაქტია, მათთვის ნაკლებად მნიშვნელოვანია.

პოზიტიური გადახრის მიდგომა სიახლეების დანერგვის თეორიაზე დაყრდნობით შემუშავდა და, პრაქტიკულად, ამ მიდგომის განვრცობას წარმოადგენს. პოზიტიური გადახრა სოციალური ცვლილებების სამ დამატებით პრინციპს მოიცავს. პირველი: პოზიტიური გადახრა ფსიქოლოგიური კვლევების შედეგებს ეყრდნობა, რომლის შესაბამისადაც ხშირად ადამიანების განათლება, ახსნა და დარწმუნება იმაში, რომ თავიანთი ქცევა შეცვალონ, არ არის საკმარისი. ინფორმაციის მიწოდება ან განათლება ხშირად არ იწვევს ქცევის მოდელის შეცვლას. შეიძლება პირიქითაც კი მოხდეს. ჩვენი ჩვევების შეცვლამ შეიძლება ცვლილებები გამოიწვიოს რაღაცის მიმართ ჩვენს დამოკიდებულებაში ან გრძნობებში. ბიბლია გვასწავლის, რომ უნდა გიყვარდეს მოყვასი შენი. როდესაც საქმე ჩვენს აუტანელ მეზობელს ეხება, ეს ძნელი შესასრულებელია, მაგრამ ჩვენი მეზობლისათვის რამდენიმე კეთილი საქმის გაკეთებით ჩვენ თვითონ ვიცვლით დამოკიდებულებას ამ ადამიანისადმი, რადგანაც ჩვენი შეგრძნებები საკუთარი თავისადმი იცვლება. სამწუხაროდ, ეს არანაირ გარანტიას არ გაძლევთ, რომ თქვენი მეზობელი შეცვლის თავის ქცევას ან თქვენდამი დამოკიდებულებას, მაგრამ ეს ცალკე თემაა. პოზიტიური გადახრის მეთოდი გვარწმუნებს, რომ ახალი ჩვევები და დამოკიდებულება არსებითად შეცვლის იმას, თუ ჩვენ რას ვფიქრობთ, როგორ ვფიქრობთ, ანდა განვიცდით.

მეორე: პოზიტიური გადახრა გამონაკლისებზე აკეთებს აქცენტს და არა უმრავლესობის მიერ დამკვიდრებულ ნორმაზე. პოზიტიური გადახრის მიდგომის მხარდამჭერები გვარწმუნებენ, რომ ყოველ საზოგადოებაში არსებობენ ადამიანები, რომელთა უჩვეულო ქცევა ან მიდგომები საშუალებას აძლევს, პრობლემის გადაჭრის ეფექტური გზები ვიპოვოთ. მათი მეზობლები კი, რომელთათვისაც იგივე რესურსებია მისაწვდომი, ამას ვერ ახერხებენ. შესაბამისად, იმის ნაცვლად, რომ გარედან მოვახვიოთ ადამიანებს თავზე სხვა მიდგომა ან ჩვევა, რასაც ხშირად განვითარების სფეროს სპეციალისტები აკეთებენ, უმჯობესია საზოგადოების შიგნით იმ ადამიანების მოძიება, რომლებიც ჩვეულებრივი ქცევის მოდელებს არ მისდევენ და უკვე აღმოაჩინეს განვითარების პროგრამის ფარგლებში დასახული პრობლემის გადაწყვეტის გზები.

დაბოლოს: პოზიტიური გადახრის მიდგომა ეყრდნობა აღიარებულ აზრს, რომ დინამიკური სოციალური სისტემები არ ექვემდებარება გარედან დაგეგმილ ცვლილებებს. პოზიტიური გადახრის მიდგომის ფარგლებში ნავარაუდევია, რომ თემი დინამიკური სოციალური სისტემაა და მისი ცვლილებები არასწორხაზოვანი და არაპროგნოზირებადია. შესაბამისად, სწორხაზოვანი დაგეგმვა და ლოგიკური ჩარჩოები ამ შემთხვევაში ნაკლებად ეფექტურია. პოზიტიური გადახრის მეთოდის ფარგლებში დაშვებულია, რომ სოციალური ცვლილებები თემიდან მოდის. შესაბამისად, ეს ცვლილებები უნდა გამოვავლინოთ ან დავინახოთ და არა თავს მოვახვიოთ და დავგეგმოთ (პასკალი, მილემანი და გიოჯა, 175).

რაც შეეხება პროცესს, პოზიტიური გადახრის მიდგომა PLA ინსტრუმენტების პაკეტს იყენებს ერთი არსებითი განსხვავებით. როდესაც თემის მიერ პრობლემის გამოვლენა, აღწერა და შეფასება დასრულდება, შემდეგი ეტაპი

არა პრობლემის გადაჭრა, არამედ თემის შიგნით იმ ადამიანების იდენტიფიცირებაა, რომლებსაც ეს პრობლემა არ აწუხებთ ან უკვე იციან, როგორ გაუმკლავდნენ მას. ამგვარად, ამ ადამიანების იდენტიფიცირება შემეცნებითი კვლევის მეთოდის განვრცობას წარმოადგენს. ზოგადად, შემეცნებითი კვლევა, ისევე როგორც PLA, აქცენტს თემის აზრზე, ანუ ნორმაზე აკეთებს, მაშინ როდესაც პოზიტიური გადახრის მიდგომა იმ გამონაკლისების იდენტიფიცირებაზეა ორიენტირებული, რომლებმაც პრობლემის გადაწყვეტის გზა მოძებნეს, მაგრამ ეს სხვებს შეუმჩნეველი დარჩათ. შემდეგ თემი, და არა განვითარების სპეციალისტი, უსმენს ამ ადამიანებს, ანუ ნოვატორებს, და აანალიზებს და ცდილობს გაიგოს, რატომ არ აწუხებთ ამ ადამიანებს იგივე პრობლემა. ამ პროცესში ხშირად იჩენს ხოლმე თავს ტაბუები და კულტურული ასპექტები. თემის უმეტესობის რეაქციაა "ჩვენ ასეთ რაღაცებს არ ვაკეთებთ." კულტურული და სოციალური ასპექტები ხშირად ცვლილებების ბარიერს წარმოადგენს. ასეთ შემთხვევებში საჭიროა თემის ტრადიციებისა და სოციალური სისტემების შესწავლა, დიალოგის ხელშეწყობა; იმავდროულად, თემში უკვე არსებული სიახლეების წარმოჩენა და მათი მხარდაჭერა. უმრავლესობამ, რომელიც აქამდე ცვლილებებს ეწინააღმდეგებოდა, თავად უნდა გადაწყვიტოს, უნდა თუ არა ახალი ქცევის ან მიდგომის დანერგვა. იმ ადამიანებმა, რომლებსაც ძალაუფლება ან ავტორიტეტი აქვთ, ისიც უნდა გადაწყვიტონ, უნდათ თუ არა ამ ცვლილებების მხარდაჭერა. ამ ყველაფერს დრო და სპეციალისტის ფრთხილი ხელშეწყობა სჭირდება, რაც ხშირად მორიგების უნარებსაც გულისხმობს. პოზიტიური გადახრის მიზანია ისეთი სოციალური ცვლილებების ხელშეწყობა, რომლებიც თემის შიგნიდან მოდის ან თავად ამ ადამიანების მიერ არის გამოწვეული. თანამედროვე მიდგომებისაგან განსხვავებით, ნაკლებად მნიშვნელოვანია, რომ ამ ადამიანებს ესმოდეთ ახალი ქცევის უკან არსებული ლოგიკა ან პოზიტიური განწყობა ჰქონდეთ ამ ცვლილებებისადმი. ადამიანებს, რომლებიც ადვილად იღებენ სიახლეებს, ხშირად არანაირი წარმოდგენა არ გააჩნიათ ვაქცინაციის ან უკეთესი სათესლე მასალის მიზანშეწონილობის მეცნიერულ დასაბუთებაზე. მაგრამ, პოზიტიური გადახრის მიდგომის შესაბამისად, თუ ადამიანები ქცევას შეცვლიან და ეს ეფექტურ შედეგებს მოუტანს, ისინი დარწმუნდებიან ამ სიახლის მიზანშეწონილობაში.

პოზიტიური გადახრის მიდგომის სწორად გამოსაყენებლად ფასილიტატორის უნარებს გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება. არსებობს სამი სახელმძღვანელო პრინციპი. პირველი: *დაგეგმეთ და თავს არ მოახვიოთ.* პოზიტიური გადახრის მიდგომის ფასილიტაციის დროს პროცესი უფრო "ცეკვასა და ფლირტს უნდა წააგავდეს, ვიდრე მარშირებას ან დაპყრობას." მეორე: *აღმოაჩინე და ნუ მიმართავ ჭკუის დარიგებას.* "ადამიანებს აქვთ საკმარისი სიბრძნე, რომ პრობლემა გადაჭრან, უბრალოდ, ეს სიბრძნე ზედაპირზე უნდა გამოვიტანოთ." მესამე: *განჭვრიტე და ნუ გამოთქვამ წინასწარ ვარაუდებს.* ტექნიკურად განათლებული განვითარების ფასილიტატორისათვის საკმაოდ დიდია ცდუნება, სწრაფად გამოიტანოს დასკვნები თავის ცოდნასა და გამოცდილებაზე დაყრდნობით, რომელიც მან სადღაც სხვაგან შეიძინა. შესაბამისად, ადგილობრივი ცოდნა და ინიციატივა ყურადღების მიღმა რჩება. ეს ცდუნება უნდა დავძლიოთ. "მე არაფერს არ ვმართავ. ჩემი როლია სარკის შექმნა; ადამიანებისათვის იმის დანახვება, რაც ამ სარკეში აირეკლება და

შემდეგ ამ ანარეკლის ერთ სურათში გაერთიანება. მე ვცდილობ, მოვძებნო ადამიანები, რომლებიც პოზიტიურად განსხვავებულები არიან. მე მათ აზრსა და იდეებს ვუჭერ მხარს და განვავრცობ" (პასკალი, მილემანი და გიოჯა, 2000, 175-81).

პროგრამის დაგეგმვისადმი ასეთი მიდგომა წარმატებული გამოდგა ინდონეზიაში ბავშვების დაცვის, განსაკუთრებით ახალგაზრდა ქალების სექსუალური ტრეფიკინგისაგან დაცვის სფეროში (სინგალი და დურა, 2009, 74-75), ასევე, ეგვიპტეში ქალების სასქესო ორგანოების დასახიჩრების აღმოფხვრის პროცესში (პასკალი, სტერნინი და სტერნინი, 2010, 53–54) და უგანდაში, როდესაც გოგონები, რომლებიც ჯარისკაცებად მიჰყავდათ, დაბრუნებისას საზოგადოებასთან ინტეგრაციას გადიოდნენ (სინგალი და დურა, 2009, 32–33). მოცემული მიდგომა ეფექტურად იქნა გამოყენებული საზოგადოებრივი ჯანდაცვის პროგრამების ფარგლებშიც (უფრო მეტი ინფორმაცია მოცემულ თემაზე შეგიძლიათ მოიძიოთ ტაფტის უნივერსიტეტის პოზიტიური გადახრის ინიციატივის ვებგვერდზე).

პოზიტიური გადახვევის მიდგომის ძლიერი მხარე ისაა, რომ იგი ხელს უწყობს თემის უფლებამოსილების გაზრდასა და საკუთარ თავში ნოვატორული მიდგომების ჩამოყალიბებას. მოცემული მეთოდი ადამიანების შელახული ღირსების აღდგენას უწყობს ხელს. იგი ახალი ქცევის მოდელების დანერგვის საშუალებასაც იძლევა ისეთი გზით, რომელიც უფრო მეტად ითვალისწინებს ბიჰევიორისტული ცვლილებების თემაზე ჩატარებული ფსიქოლოგიური კვლევების შედეგებს. მიდგომა, აგრეთვე, იცავს განვითარების პროცესს იმ პრობლემებისაგან, რომლებიც გარეშე ფასილიტატორებმა შეიძლება შექმნან ენობრივი და კულტურული ბარიერისა და კონტექსტუალური სპეციფიკის უცოდინრობის გამო. პრობლემის გადაწყვეტის გზები ყოველთვის ადგილზე უნდა ვეძებოთ. დაბოლოს, მინდა დავამატო, რომ პოზიტიური გადახრის მეთოდი რთული სოციალური სისტემების გარდაქმნის პროცესშიც გვეხმარება, რადგანაც იგი ძალიან ეფექტურია, როდესაც უკეთესი მომავლისაკენ გზის გაკვალვას ვცდილობთ.

იმავდროულად, გასათვალისწინებელია, რომ მოცემულ მიდგომასაც აქვს გარკვეული ნაკლოვანებები. იგი ძალიან დიდ დროს მოითხოვს, რაც თემსაც და პრაქტიკოს ჰოლისტიკოსსაც მაინც და მაინც ბევრი არა აქვთ. გარდა ამისა, ხშირად დონორებს არ უნდათ სახსრების გაღება ისეთი პროექტებისთვის, რომლებსაც ხანგრძლივი დრო სჭირდებათ განსახორციელებლად და შედეგების მისაღებად. პოზიტიური გადახრის მეთოდის გამოყენებას მომთმენი და პროფესიონალი ფასილიტატორები ესაჭიროება. ეს მიდგომა არ შეიძლება მოყვარულებმა გამოიყენონ, რაც არ უნდა კარგი განზრახვა ჰქონდეთ მათ. დიალოგმა ადამიანებში შეიძლება გარკვეული შიში, წინააღმდეგობა და ზოგჯერ ძალადობაც კი გამოიწვიოს. ფასილიტატორი პრაქტიკულად ცდილობს წაახალისოს ადგილობრივი მოსახლეობა, რომ სოციალური სისტემები და ურთიერთობები გადასინჯოს. ასევე, მინდა აღვნიშნო, რომ მოცემული მიდგომა ყველა განვითარების პროექტისათვის არ არის შესაფერისი. პოლიომიელიტისაგან ბავშვების დაცვა მხოლოდ ვაქცინითაა შესაძლებელი. შესაბამისად, ამ პრობლემის გადასაწყვეტად ადგილობრივი რესურსი არასაკმარისია და ვაქცინაც არსებობს.

პროგრამის დასრულების შემდგომ

განვითარების პრაქტიკის მიმოხილვის დასასრულს მინდა დავფიქრდეთ იმაზე, თუ რა ხდება, როდესაც ტრანსფორმაციული განვითარების პროგრამა სრულდება. რამდენიმე წლის წინ ტანზანიაში თორმეტწლიანი განვითარების პროგრამის გამოცდილებას ვეცნობოდი. პროგრამის ამოწურვამდე ორი წელი იყო დარჩენილი. ძალიან გამიხარდა, როცა გავიგე, რომ ყველა თემი, მათ შორის განვითარების სათემო კომიტეტებიც, ნათლად აცნობიერებდა, რომ პროგრამა მალე დასასრულს უახლოვდებოდა. ყოველი კომიტეტი თავის გეგმას წარადგენდა წყალმომარაგების სისტემების, დაწყებითი სკოლებისა და სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების შემდგომ მოვლა-პატრონობასა და მდგრადობასთან დაკავშირებით. თემის წარმომადგენლებთან აღვნიშნე, რომ კარგი გეგმები შეიმუშავეს. ამ დროს ერთი მოხუცი კაცი ადგა და თქვა: "პროგრამის ამოწურვა და ფუნქციების ჩვენზე გადასვლა არ არის პრობლემა, ჩვენ ამას დიდი ხანია ვგეგმავთ და მზად ვართ. როდესაც ჩემმა ვაჟმა სახლი დატოვა და ცოლი მოიყვანა, გაგვიხარდა. ეს არ ნიშნავს, რომ იგი აღარაა ჩვენი ოჯახის წევრი. გამოდის, რომ World Vision-ი წყვეტს ჩვენთან ურთიერთობებს?" ამან აიძულა World Vision-ი, უფრო ღრმად გაეაზრებინა პროგრამების დასრულებასთან დაკავშირებული ასპექტები. განვითარების პროგრამა შეიძლება და უნდა დასრულდეს კიდევაც, მაგრამ დაახლოებით 15-წლიანი ურთიერთობების დასრულება არ არის მარტივი. World Vision-მა ეთიოპიის გამოცდილებისა და კვლევების შედეგების გათვალისწინებით თავისი პროგრამების სასიცოცხლო ციკლის ვიზუალური აღწერისათვის ხის მეტაფორა გამოიყენა. პროგრამების საწყისი ეტაპი ნერგის მიწაში ჩარგვას ჰგავს, რის შემდეგაც ხე იზრდება, ანუ ეს პროგრამის განხორციელების პირველი ეტაპია. ამ ეტაპს ახალი დაემატა: ნერგების გამრავლება, ანუ გამოცდილების გაზიარება და განზოგადება. სწორედ ეს სტრატეგიული, ანუ ურთიერთობების, ეტაპი არის პასუხი იმ მოხუცი კაცის შეკითხვაზე (დიაგრამა 8-15).



დიაგრამა 8-15: განვითარების პროგრამის შეფასება

პროგრამა იწყება ურთიერთობების აგებით. ეს გულისხმობს გაცნობას, თემის ორგანიზებას, შეფასებას და აღმოჩენის ეტაპს. World Vision-მა საკუთარ გამოცდილებაზე დაყრდნობით ისწავლა თავისი ექსპერტების, დროისა და შეზღუდული ფინანსური რესურსების დაბანდება ამ პროცესში. პროგრამების დაფინანსების ეტაპზე ძალიან სწრაფად გადასვლამ შეიძლება განვითარების პროგამის საკვანძო ელემენტების არასწორად გააზრება გამოიწვიოს. ამ ეტაპის ერთ-ერთი კრიტიკული ელემენტია ის, რომ პროგრამაც და დაფინანსებაც გარკვეულ ეტაპზე ამოიწურება. პროგრამის ბოლო ეტაპის სწორად დაგეგმვა პროგრამის დასაწყისში უნდა განხორციელდეს.

პროგრამის განხორციელების ეტაპი გულისხმობს თემთან ერთად მუშაობას, ანუ სათემო ორგანიზაციების ჩამოყალიბების ხელშეწყობას, რათა მათ თავად განხორციელონ პროგრამის სხვადასხვა კომპონენტი, მაგალითად, სკოლების აშენება და მათი პერსონალით დაკომპლექტება, წყალმომარაგების სისტემის აშენება და სხვა. ამ ეტაპზე პროგრამის ფორმალური გეგმა მუშავდება ლოგიკური ჩარჩოს ფორმატში DME პროცესზე დაყრდნობით (იხილეთ შემდეგი თავი). სწორედ ამ ეტაპზე გამოიყოფა ყველაზე დიდი ფინანსური ინვესტიციები და, იმავდროულად, განისაზღვრება პროგრამისა და ინვესტიციების გამოყოფის დასრულების ვადა. ამ პერიოდში ხდება ადგილობრივი ორგანიზაციების ჩამოყალიბება, ადგილობრივი სახელისუფლებო სტრუქტურების მობილიზაცია და ადგილობრივი ან ალტერნატიული დაფინანსების წყაროების მოძიება პროგრამის მომავალი მდგრადობის უზრუნველსაყოფად.

ბოლო ეტაპი აღარ არის საპროგრამო, ეს მიმდინარე სტრატეგიული ურთიერთობაა. როდესაც ტანზანიის ერთ-ერთ თემს ჰკითხეს, თუ რომელი ასპექტები უნდა ჩართოს World Vision-მა მიმდინარე სტრატეგიული ურთიერთობების ნაწილში, თემის წევრებმა რამდენიმე საინტერესო წინადადება წამოაყენეს. თემი საუბრობდა ახალი იდეებისა და ტექნოლოგიების აუცილებლობაზე, რადგანაც გეოგრაფიული იზოლირების გამო ეს მათთვის მიუწვდომელი იყო. თემს, ასევე, დროდადრო წახალისება ან რჩევა სჭირდებოდა. თემის წევრებს უნდოდათ, რომ World Vision-ი მათი წარმატებების აღსანიშნავ ზეიმებს დასწრებოდა და წარუმატებელი მცდელობების დროსაც მათ გვერდში ყოფილიყო. თემი, ასევე, სთავაზობდა World Vision-ს მზადყოფნას, რომ სხვა თემების წარმომადგენლებისათვის საკუთარი გამოცდილება გაეზიარებინათ. გამოცდილების ასეთი გაზიარება უაღრესად მნიშვნელოვანია. ეს არის დემონსტრირება ამ ადამიანების მზადყოფნისა, ითანამშრომლონ სხვებთან და ერთმანეთს დაეხმარონ.

პროგრამების მდგრადობასთან დაკავშირებით მნიშვნელოვანი აზრები ჩამოაყალიბა ნორმან უპჰოფმა, რომელმაც შრი-ლანკაში საირიგაციო სისტემების პროექტები შეისწავლა. ეს პროექტები უაღრესად მდგრადი იყო პროგრამების ამოწურვიდან მომდევნო 7 წლის განმავლობაშიც. უპჰოფმა დასვა შეკითხვა: საიდან მოდიოდა მდგრადობის უზრუნველყოფისთვის სოციალური ენერგია? მისი კვლევების შედეგები სამ გადამწყვეტ ფაქტორზე მიუთითებს. ესენია: იდეები, იდეალები და მეგობრობა (1996, 375–78). იდეების მეშვეობით შესაძლებელი ხდება სამყაროს რეალობისადმი დამოკიდებულების ფორმირება და შესაბამისი რეაგირება. იდეალები გვეხმარება ჩვენი მოლოდინის ზღვარი გავზარდოთ და მიზანი დავსახოთ, რის შედეგადაც ვცდილობთ გავერთიანდეთ ამ მიზნის გარშემო, ანუ მეგობრული კავშირები დავამყაროთ კეთიდღეობის მისაღწევად.

იდეების, იდეალებისა და მეგობრობის (ურთიერთობების) ერთობლიობა სოციალური ენერგიის გენერირებისა და გამოთავისუფლების წყაროა. ის ცვლილებებისადმი წინააღმდეგობას დაძლევს როგორც ღარიბებში, ასევე შეძლებულებში. ეს დასკვნა ადასტურებს, რომ ურთიერთობებსა და ხედვას ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს პროგრამების წარმატებით დასრულებისათვის და პასუხისმგებლობის თემაზე გადასვლისათვის. ეს ფაქტორები განვითარების მდგრადობისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობისაა.

დაბოლოს, უკვე დასრულებულ პროგრამებზე დაყრდნობით შეგვიძლია კიდევ ერთი დასკვნა გავაკეთოთ. 1990-იან წლებში ტანზანიასა და ეთიოპიაში უკვე მიმდინარე ან დასრულებული პროგრამების გამოცდილების შესწავლის შედეგად World Vision-მა დაასკვნა, რომ პროგრამების დასრულებისა და მათზე პასუხისმგებლობის თემებზე გადასვლის პროცესში ოთხი ასპექტია კრიტიკული მნიშვნელობისა. როდესაც პროგრამა დასრულების ეტაპისკენ მიდის, ყოველ მათგანს სათანადო ყურადღება უნდა დაეთმოს. პირველი: საჭიროა განვითარების მდგრადობისათვის ადგილობრივი შესაძლებლობების განვითარების მხარდაჭერის ღონისძიებების გათვალისწინება პროგრამების გეგმებში. თემის მენტალიტეტი უნდა შეიცვალოს. ბენეფიციარების ნაცვლად თემის წევრებმა პროგრამის მფლობელებად უნდა აღიქვან თავი და პასუხისმგებლები უნდა იყვნენ მის განხორციელებაზე. უნდა შეიქმნას სათემო ორგანიზაციები, რომლებიც შეძლებენ თემის საჭიროებებისა და პრიორიტეტების გამოვლენას, შეფასებას, დაგეგმვასა და, საბოლოო ჯამში, მათ თვითდაფინანსებას. კრედიტებისა და დაზღვევის დასაფარად საჭირო იქნება მიკროსაფინანსო ინსტიტუტებისა და მიკრო-საწარმოების განვითარება. ამ საჭიროებების გათვალისწინება აუცილებელია პროგრამის დაგეგმვისას. თემმა უნდა დაგეგმოს, თუ როგორ შეარბილებს შესაძლებელი შოკებისა და კატასტროფების ზეგავლენას, რომლებმაც შეიძლება სრულიად გაანადგუროს განვითარების პროგრამების განმავლობაში და შემდგომ წლებში გაწეული ძალისხმევის შედეგები (თემის საარსებო წყაროების მდგრადობის მიდგომა). თემმა იცის, რომ ასეთი ბუნებრივი კატასტროფები გარკვეული პერიოდულობით ხდება. ბუნებრივი კატასტროფების შედეგების შერბილების გეგმები აუცილებელია ამ პრობლემასთან გამკლავებისათვის. ამიტომ შესაბამისი მექანიზმები უნდა შეიქმნას, რათა თემმა ამ ბუნებრივი მოვლენების უარყოფითი შედეგების აღმოფხვრა მოახერხოს (იხილეთ დიაგრამა 8-16).

პოტენციური პრობლემების დარეგულირების მიზნით, დაგეგმვის გარდა, აუცილებელია წარმატებული პროგრამების ზეგავლენის შედეგების დაგეგმვა. ანუ, ადამიანების ჯანმრთელობისა და კვების გაუმჯობესებას შედეგად სიკვდილიანობის შემცირება და მოსახლეობის ზრდა მოჰყვება. ცხოვრების პირველი ხუთი წლის განმავლობაში უფრო ნაკლები ბავშვი იღუპება, რაც ნიშნავს, რომ უფრო მეტი მოთხოვნა იქნება სკოლებსა და მასწავლებლებზე. უფრო ღარიბი თემების მოსახლეობა შეიძლება იმ ტერიტორიაზე გადმოვიდეს საცხოვრებლად, სადაც პროგრამები წარმატებით ხორციელდება და, შესაბამისად, გარკვეული რისკი შეუქმნან იმ თემის კეთილდღეობას, რომელმაც ბევრი იმუშავა ამ შედეგების მისაღწევად. ჭარბი სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოებამ, დანაზოგების შექმნამ ან უკეთეს საცხოვრებელ პირობებზე, თუნდაც, მითქმა-მოთქმამ შეიძლება ის ადამიანები მიიზიდოს, რომლებიც ამ გაუმჯობესების შედეგებით სარგებლობას შეეცდებიან. წარმატებამ შეიძლება

ახალი პრობლემები შექმნას და ესეც წინასწარ უნდა გავითვალისწინოთ. დაბოლოს, თემმა ისიც უნდა მიიღოს მხედველობაში, რომ მას შეიძლება ახალი სტრატეგიული შესაძლებლობები გამოუჩნდეს და წინასწარ უნდა დაგეგმოს ამ შესაძლებლობების გამოყენება. საიდან უნდა მოდიოდეს სიახლეები და ახალი იდეები? საიდან უნდა გაჩნდეს ახალი რესურსები?



დიაგრამა 8-16: პროგრამაზე პასუხიმსგებლობის თემისათვის გადაცემის სტრატეგიული ელემენტები

ადვოკატირება, მოქალაქეობა და ეფექტური მართვა

განვითარების პროგრამების უმეტესობა ყველაზე უფრო აშკარა საჭიროებების დანახვიდან და მათი დაკმაყოფილებიდან იწყება. ანუ, ესაა სკოლების აშენება, წყალმომარაგების სისტემების დამონტაჟება, სოფლის მეურნეობის პროდუქტიულობის ამაღლება, ჯანდაცვა და სხვა. როდესაც პროგრამების განხორციელების პირველი ხუთი წელი სრულდება, მათი უმეტესობის ფარგლებში დასახული ძირითადი ღონისძიებები, უმეტესწილად, განხორციელებულია და ამ მომენტისათვის ახალი საკითხები ჩნდება. მაგალითად, მთავრობა არ გამოყოფს კომპეტენტურ მასწავლებლებს ახალი სკოლებისათვის, ან ექთნების რაოდენობა არ არის საკმარისი ჯანდაცვის პუნქტებისათვის. ჭარბად მოწეული სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის სათანადო ფასად გაყიდვა შეუძლებელია, რადგანაც რეგიონალურ ბაზრებზე წვდომა არ არსებობს და

ამ პროდუქციის რეალიზაცია შესაძლებელია მხოლოდ შუამავლების მეშვეობით, რომლებიც თაღლითურად ექცევიან მწარმოებლებს. შედარებით შეძლებული ადამიანები ცდილობენ, პროგრამის შედეგები თავიანთ სასარგებლოდ გამოიყენონ და აქტიურად ეწინააღმდეგებიან ისეთ ცვლილებებს, რომელთა შედეგადაც ისინი გავლენას დაკარგავენ თემზე. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მხოლოდ განვითარების პროგრამების ღონისძიებები ამ შემთხვევაში საკმარისი არაა. ამ ეტაპზე ტრანსფორმაციული ცვლილებების ცენტრალური საკითხი იმ სოციალური სისტემების გარდაქმნა უნდა გახდეს, რომელთა პირობებშიც ღარიბები ცხოვრობენ. მაგალითად, განვიხილოთ ღარიბ სოფელში დაწყებითი სკოლის დაარსების იდეა, რომელიც, თავისთავად, შესანიშნვი ფაქტია. ითვლება, რომ ეს მნიშვნელოვანი ნაბიჯია ტრანსფორმაციული განვითარების მიმართულებით. ეს მართლაც ასე იქნებოდა, განათლების სისტემასთან დაკავშირებული სხვა ვარაუდიც ასეთივე სწორი რომ იყოს. ბავშვებს, განსაკუთრებით კი გოგონებს, გაუშვებენ სკოლაში თუ მშობლებს სხვა პრიორიტეტები აქვთ? შეუძლია ყველას სასკოლო განათლების გადასახადი გადაიხადოს? მასწავლებლები კომპეტენტურები არიან? საკმარისად უხდიან პედაგოგებს, რომ მათ ქრთამის აღება არ დასჭირდეთ და მოსწავლეებს არ მოსთხოვონ დამატებითი გადასახადების გადახდა? რას აკეთებს თემი, როდესაც მასწავლებლები გოგონებთან სექსუალური კავშირების დამყარებას ცდილობენ? სასწავლო პროგრამები და სახელმძღვანელოები შეესაბამება თანამედროვე საგანმანათლებლო საჭიროებებს? განათლების სამინისტროს საკმარისი ფული აქვს, რომ ასეთი ცვლილებების მდგრადობა უზრუნველყოს? აღწევს კი დაფინანსება სკოლებამდე და მასწავლებლებამდე? ამ საკითხების გადაწყვეტა განვითარების პროგრამების ფარგლებში შეუძლებელია. იმ სისტემური ცვლილებების მისაღწევად, რომლებიც განვითარების პროგრამების მდგრადობას უწყობს ხელს, ეფექტური პოლიტიკა და ადვოკატირებაა საჭირო. ანუ, განვითარების სფეროს ღონისძიებების პარალელურად კარგი პოლიტიკა და ადვოკატირება აუცილებელია.

მე-5 თავში, რომელიც ამარტია სენის მიდგომების განხილვას ეძღვნებოდა, აღვნიშნეთ, რომ 21-ე საუკუნის პირველ ათწლეულში განვითარებისა და ადამიანთა უფლებების საკითხების შერწყმის პროცესი დაიწყო. ამის შედეგად დაიწყო განვითარების პროცესისადმი უფლებებზე დაფუძნებული მიდგომების შემუშავებაც.

განვითარებისადმი უფლებებზე დაფუძნებული მიდგომა განვითარებას ტრადიციული ღონისძიებების ადვოკატირებასა და უფლებების დაცვასთან ინტეგრირებულად მოიაზრებს. მისი მიზანია ღარიბების დახმარება, რათა ისინი ინფორმირებულ, ეფექტურ და აქტიურ მოქალაქეებად ჩამოყალიბდნენ (Uvin 2004). განვითარების პროგრამებს სხვადასხვა გზით შეუძლიათ პროგრამის ფარგლებში უფლებებზე დაფუძნებული მიდგომების, პოლიტიკისა და ადვოკატირების ინტეგრირება. ერთ-ერთი ინსტრუმენტია ARVIN-ი, რომელიც ღარიბ თემებს ეხმარება ადგილობრივი სიტუაციის შეფასებაში იმ თვალსაზრისით, თუ რამდენად უწყობს იგი ხელს მოქალაქეების პროცესებში მონაწილეობას და მათი ატქივობის გაზრდას. მეორე ინსტრუმენტია თემებზე დაფუძნებული შესრულების მონიტორინგი (CBPM), რომელიც ეხმარება თემებს ადგილობრივი სახელისუფლებო ორგანოებისა და ინსტიტუტების მათ წინაშე ანგარიშგების ამაღლებაში. მესამე მეთოდი გვეხმარება განვსაზღვროთ,

როგორ შეიძლება ადვოკატირების გზით თემების საარსებო წყაროების დაცვა. ARVIN-ი წარმოადგენს ინსტრუმენტს, რომელიც ღარიბებსა და განვითარების სპეციალისტს იმის შეფასების საშუალებას აძლევს, თუ რამდენად უწყობს ხელს ადგილობრივი კონტექსტი მოქალაქეების ჩართვას სხვადასხვა პროცესში. მოცემული ინსტრუმენტი მსოფლიო ბანკისათვის შეიმუშავა ალან ფოულერმა. იგი ანალიტიკური ჩარჩოა, რომელიც სწავლობს გარკვეული პირობების უარყოფით ზეგავლენას ადგილობრივი სათემო ორგანიზაციების მონაწილეობაზე საჯარო დებატებსა და სოციალური ანგარიშგების სისტემებში. მოცემული აბრევიატურა შემდეგნაირად იშიფრება: (A) – მოქალაქეების მიერ ასოციაციებად გაერთიანების შესაძლებლობა; (R) – რესურსები, რომელთა მობილიზაცია მოაქალაქეებს შეუძლიათ მათ მიერ ჩამოყალიბებული განსაზღვრული მიზნების მისაღწევად; (V) – ადამიანების უნარი, ჩამოაყალიბონ და გააჟღერონ თავიანთი მოსაზრებები; (I) – განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონე ინფორმაციის მისაწვდომობა; (N) - ადამიანების უნარი, დაიცვან თავიანთი აზრი და მოლაპარაკებები გამართონ შესაბამის საკითხებზე. ზემოხსენებული ელემენტები ამ დიაგნოსტიკური ინსტრუმენტის ყველაზე მთავარი ასპექტებია. ARVIN-ი შეიძლება გამოყენებული იყოს სუსტი მხარეებისა და პრობლემების გამოვლენისათვის, ისევე როგორც არსებული რესურსებისა და ძლიერი მხარეების იდენტიფიცირებისათვის.

CBPM შემუშავდა მალავიში 2000-იანი წლების დასაწყისში, CARE-ის მიერ განხორციელებული ჯანდაცვის პროგრამის ფარგლებში (შაჰი, 2003). მოგვიანებით ეს მიდგომა მსოფლიო ბანკის სოციალური განვითარების დეპარტამენტმა კიდევ უფრო დახვეწა და იგი სიერა ლეონესა და გამბიაშიც გამოიყენეს (თიდვა, ედგერტონი და ფოსტერი, 2005). მოცემული ინსტრუმენტი ფოკუსჯგუფებსა და მონაწილეობით მეთოდოლოგიებს იყენებს, რაც საშუალებას აძლევს თემებს, რომ უკეთ გაიგონ იმ მომსახურებების არსი და ხარისხი, რომლებიც მათ ადგილობრივი მთავრობებისაგან და მომსახურებების მომწოდებლებისაგან უნდა მიიღონ. ისინი, ასევე, ამ მომსახურებების მონიტორინგის ჩატარებას სწავლობენ, რაც გამჭვირვალეობის გაზრდას უწყობს ხელს. ამ გზით გამოვლენილი ინფორმაცია საშუალებას აძლევს თემს, ინფორმაციული უკუგაცვლა მოახდინოს ადილობრივ მთავრობასა და სხვა სოციალურ ინსტიტუტებთან, რაც მათი საჭიროებებისა და პრობლემების თაობაზე კონკრეტული ინფორმაციის დროულ მიწოდებას უწყობს ხელს. მოცემული პროცესის მიზანია თემის უფლებამოსილების გაზრდა, რათა მან წარმატებით მოახერხოს მისთვის საჭირო რეფორმების გატარების ლობირება და მოლაპარაკებების გამართვა შესაბამის სამთავრობო ინსტიტუტებთან. მაგალითად, თემს თხოვნით მიმართეს, შეემუშავებინა განვითარების ინდიკატორები, რომლებიც, მათი აზრით, კარგი სკოლის მაჩვენებელია (იხილეთ დიგრამა 8-17). შემდეგ კონფიდენციალურობის დაცვის მიზნით მოსწავლეებისაგან შექმნილ ჯგუფებს პერიოდულად სთხოვენ, შეაფასონ შესრულების მიმდინარე მაჩვენებლები ამ ინდიკატორების გამოყენებით. ამ გზით მიღებულ შედეგებს მოგვიანებით თემს წარუდგენენ სათემო შეკრებაზე, რომელსაც ადგილობრივი ხელისუფლების და ზოგჯერ განათლების სექტორის წარმომადგენლებიც ესწრებიან. შეკრებაზე განიხილება შესრულების მაჩვენებლებში არსებული პრობლემები და მათი გამოსწორების გზები. ამის მერე ეს ღონისძიებები ახალი რანჟირების ბარათში ჩაიწერება.



დიაგრამა 8-17: პროგრამაზე პასუხიმსგებლობის თემისათვის გადაცემის სტრატეგიული ელემენტები

მინდა მეორე მაგალითიც მოგიყვანოთ. უგანდაში ერთ-ერთი სკოლის ეზოს წინ, გზის განაპირას დგას დაფა, რომელზეც ცარცით შეიძლება ჩანაწერების გაკეთება. თუ მასწავლებელი ადგილზეა და ასწავლის მათ, მოსწავლეები გაღიმებულ სახეს ხატავენ ამ დაფაზე, ხოლო თუ მასწავლებელი არ მოდის, ისინი დამწუხრებულ სახეს ხატავენ. თემის უმეტესობა ყოველ დღე ამ გზით დადის და მაშინვე ხვდება, თუ რამდენი დღე გააცდინა მასწავლებელმა, და შესაბამის ზომებს მიმართავს ამ მდგომარეობის გამოსასწორებლად.

ადგილობრივ დონეზე ადვოკატირებამ შეიძლება ხელი შეუწყოს საარსებო წყაროების დაცულობისაკენ მიმართული ღონისძიებების განხორციელებასაც, რაზედაც უკვე გვქონდა საუბარი. განვითარების კონტექსტში ადვოკატირება უნდა ემსახურებოდეს ადგილობრივი პროცესების ან ინსტიტუტების მხარდაჭერას, რომლებიც ადგილობრივი კაპიტალის გაზრდას უწყობს ხელს, რაც, თავის მხრივ, თემის საარსებო წყაროების მდგრადობას შეუწყობს ხელს. და, პირიქით, გეგმები უნდა შემუშავდეს იმ პროცესების, კულტურული ფასეულობების ან ინსტიტუტების უარყოფითი ზეგავლენის აღმოფხვრის ან შემცირებისთვის, რომლებიც ადგილობრივი კაპიტალის შექმნას აფერხებს. CBPM-ი ან ადვოკატირებისაკენ მიმართული ღონისძიებები ადგილობრივი პოლიტიკის შემუშავების ხარისხს აუმჯობესებს. კორუფციული პრაქტიკის ან ქალების სასქესო ორგანოების მოკვეთის პრაქტიკის წინააღმდეგ ადვოკატირება სწორედ ამის მაგალითია (იხილეთ დიაგრამა 8-18).

ძალიან ხშირად განვითარების სააგენტოები პროფესიონალებს იყენებენ პოლიტიკის კვლევისა და ანალიზის ჩასატარებლად და შემდეგ მიიჩნევენ, რომ თემის სახელით გამოდიან გარკვეული დასკვნებით. ეს გულისხმობს, რომ ღარიბებს თითქოს არ შეუძლიათ თავიანთი პრობლემების დიაგნოსტირება და თავიანთი აზრების ფორმულირება. ეს არასწორი მიდგომაა. თუ ჩვენ ამ ადამიანებს საკუთარი აზრის გამოხატვის საშუალებას მივცემთ, ეს ტრანსფორმაციის დასაწყისი იქნება. თუ ღარიბები თავად ჩაატარებენ კვლევასა და ანალიზს და საკუთარ სათქმელს იტყვიან, ეს მათ სიღარიბის დაძლევაში დაეხმარება.

ჩვენ, უბრალოდ, უნდა დავეხმაროთ მათ ამის გაკეთებაში. ჩვენ მათი სახელით საერთაშორისო სტრუქტურებს უნდა მივმართოთ, თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ მათ ნაცვლად უნდა განვახორციელოთ ადვოკატირება. საბოლოო ჯამში, პრობლემა ის კი არ არის, რომ ღარიბებს ხმა და სათქმელი არ გააჩნიათ, არამედ ის, რომ მათ არავინ უსმენს.



დიაგრამა 8-18: ადვოკატირება და საარსებო წყაროების დაცულობის უზრუნველყოფა

პროგრამების შემუშავებასთან დაკავშირებული სხვა მნიშვნელოვანი საკითხები

პროგრამების შემუშავება საკმაოდ რთული ამოცანაა, განსაკუთრებით როდესაც ღარიბ თემებთან მუშაობთ, რომლებიც რთულ ადაპტაციურ სოციალურ სისტემებს წარმოადგენენ. შედეგად პროგრამების შემუშავების პროცესი უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე თავად პროგრამა. შესაბამისად, მონაწილეობითი ინსტრუმენტები, რომლებიც როგორც პროგრამების გადაჭრაზე ორიენტირებული მეთოდის ფარგლებში, ასევე შემეცნებითი კვლევის მეთოდის ფარგლებში არსებობს, დაგვეხმარება, რომ თავად პროგრამების შემუშავების პროცესი იყოს ტრანსფორმაციული მოვლენა. ეს ინსტრუმენტები ეხმარება თემს თავისი ისტორიის მოყოლაში, იდენტურობის პოვნაში, დანიშნულების გარკვევასა და კიდევ ერთი ნაბიჯის გადადგმაში ტრანსფორმაციის

გზაზე, რის შედეგადაც ცვლილებები მიიღწევა. მაგრამ ეს ჯერ კიდევ არ არის საკმარისი. არსებობს კიდევ სხვა ასპექტებიც, რომლებზეც ყურადღება უნდა გავამახვილოთ.

რა არის "თემი"?

ჩვენი დისკურსის განმავლობაში ერთი სუსტი მხარე გამოიკვეთა. როდესაც "თემს" ვახსენებთ, ყოველთვის უნდა გვახსოვდეს, რომ ეს არ არის ერთგვაროვანი ორგანიზმი. თემზე საუბრისას ჩვენ ღარიბებსაც ვახსენებდით და შეძლებულებსაც, მაგრამ მათ გარდა თემში სხვა ჯგუფებიც არსებობს, რომლებსაც ესაჭიროებათ ჩვენი დახმარება, თუ ჩვენ მთელი ამ თემის/საზოგადოების კეთილდღეობის უზრუნველყოფას ვცდილობთ. საზოგადოება ქალებისაგან, მამაკაცებისაგან, ბავშვებისა და ხანდაზმულებისაგან შედგება. მათ სხვადასხვა პრობლემა აწუხებთ და სხვადასხვა სტატუსით სარგებლობენ. ზოგჯერ არსებობენ ჯგუფები, რომლებიც საზოგადოებაში არ ჩანან, ანუ უკანა პლანზე არიან. ასეთები არიან: უნარშეზღუდული ან ეთნიკურ ნიადაგზე იგნორირებული და გარიყული ადამიანები. თემის სხვა წევრები ცდილობენ, რომ ასეთ ადამიანებს თავი აარიდონ. თემის შიგნით შეიძლება რელიგიურ, კასტურ ან ეთნიკურ ნიადაგზე ხდებოდეს ადამიანების დაყოფა. ფიქრი, რომ ადამიანები, რომლებიც თქვენ გესაუბრებიან, პრაქტიკულად, მთელი თემის ინტერესებს წარმოადგენენ და რომ მათ მისი სახელით საუბარი შეუძლიათ, არასწორია, რადგანაც, შესაძლოა, ვერ შევამჩნიოთ ჯგუფები, რომლებსაც საკმარისი უფლებამოსილება არ გააჩნიათ და მათი ხმა არ ისმის. ეს საკითხი განსაკუთრებით აქტუალური ხდება, როდესაც მონაწილეობის ხელშეწყობისაკენ მიმართულ მეთოდებს ვიყენებთ, რათა "თემის" ხმა გავიგონოთ და ამ ადამიანებს დავანახოთ, რომ ისინი თავად უნდა გაუძღვნენ თავიანთი თემის განვითარებას. აირინ გუიჯითი და მეირა კაულ შაჰი ნაშრომში *"თემის შესახებ მითი"* შემდეგ აზრს ავითარებენ: თუ წარსულში არსებულ მიდგომებს გავაანალიზებთ, "თემი" ყოველთვის მოიაზრებოდა როგორც ჰომოგენური (ერთგვაროვანი), შინაგანად მიუკერძოებელი და სამართლიანი კოლექტივი. ძალიან ხშირად ადამიანებს არასწორი წარმოდგენა აქვთ თემის შინაგანი დინამიკისა და ადამიანების ჯგუფებს შორის არსებული განსხვავებების თაობაზე, რაც ესოდენ მნიშვნელოვანია პოზიტიური შედეგების მისაღწევად. ეს მითიური წარმოდგენა თემის ერთიანობის თაობაზე კვლავაც საფუძვლად ედება მონაწილეობითი მიდგომების განხორციელებას, რის შედეგადაც, უმეტესწილად, იმ ადამიანების აზრები და პრიორიტეტებია გათვალისწინებული, რომლებსაც უფრო მეტი ძალაუფლება და საჯაროდ გამოსვლის შესაძლებლობა აქვთ (1998, 1).

ზემოხსენებული აზრის გათვალისწინებით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ აუცილებელია მონაწილეობის ხელშეწყობისაკენ მიმართული მიდგომების გადასინჯვა და, ასევე, იმის გაანალიზება, თუ როგორ ხდება მათი პრაქტიკაში გამოყენება. ჩვენ უნდა უზრუნველვყოთ, რომ თემის შიგნით არსებულ ყველა ჯგუფს მოუსმინონ. გარდა ამისა, უაღრესად მნიშვნელოვანი გარემოებაა, რომ თემის შიგნით არსებული განსხვავებები ხშირად კონფლიქტის არსებობაზე მიუთითებს, რომელიც შეიძლება ღიად ან პასიურად აგრესიული იყოს. მონაწილეობის ხელშეწყობისაკენ მიმართული მიდგომები, რომლებიც სხვა-

დასხვა ჯგუფის მოსაზრებების გაგონების საშუალებას იძლევა, შესაძლოა კონფლიქტებისა და ძალაუფლებისათვის ბრძოლის მიზეზიც კი გახდეს და თუ მანამდე ეს კონფლიქტი დაფარული იყო, შეიძლება სააშკარაოზე გამოვიდეს და ღია კონფრონტაციაში გადაიზარდოს. ის ადამიანები, რომლებიც მონაწილეობის ხელშეწყობისაკენ მიმართულ მეთოდებს იყენებენ, მზად უნდა იყვნენ მოვლენების ასეთი განვითარებისათვის და მათ კონფლიქტის მართვისა და გადაწყვეტის სტრატეგია უნდა ჰქონდეთ შემუშავებული. შესაძლოა, საკმაოდ დიდი ზიანი გამოიწვიოს მონაწილეობისაკენ მიმართული მეთოდების "გამოუცდელი ფასილიტატორის მიერ ერთჯერადად გამოყენებამ, როგორც, უბრალოდ, მობილიზაციის ინსტრუმენტისა. ამასთან, არ იქნება განსაზღვრული ნათელი სტრატეგია ურთიერთსაწინააღმდეგო ინტერესების გასათვალისწინებლად და შესაჯერებლად" (მაიოუ, 1997).

ქალების მოსმენა

ყოველთვის არსებობს ადამიანთა ჯგუფი, რომელთა ხმა არ გვესმის. მათ შორის ქალებიც არიან. ბოლო 30 წლის განმავლობაში ძალიან ბევრი დაიწერა და ითქვა გენდერულ საკითხებზე. დღეისათვის უკვე სრულიად ნათელია, რომ მამაკაცებსა და ქალებს სხვადასხვა როლი აქვთ თემში და მათ სხვადასხვა წვლილის შეტანა შეუძლიათ მის განვითარებაში. საზოგადოდ გავრცელებული აზრის შესაბამისად, ქალებს არა მხოლოდ რეპროდუქციული როლი აქვთ, არამედ ხშირად უაღრესად მძიმე ტვირთი აწევთ პროდუქტიული სამუშაოს სახით, რომელსაც ასრულებენ როგორც ოჯახში, ასევე საზოგადოებაში. შესაბამისად, ისინი იმ სფეროებში არიან ჩართულნი, რომლებიც უაღრესად მნიშვნელოვანია განვითარების ფარგლებში ცვლილებების მისაღწევად. ცვლილებების ხელშეწყობა მხოლოდ მამაკაცების მონაწილეობით არ არის სწორი მიდგომა, რადგანაც ამ დროს თემის ძალიან დიდი ნაწილის ინტერესები საერთოდ გაუთვალისწინებელი რჩება.

ქალებს არა მხოლოდ ის ინფორმაცია აქვთ, რომელიც განვითარების პროცესში უნდა იყოს გათვალისწინებული, არამედ, როგორც ამას კვლევებიც ადასტურებს, პოზიტიური სოციალური ცვლილებების უმეტესი ნაწილი ქალების განათლების შედეგია და მათი მონაწილეობითაა განპირობებული. როდესაც ქალები წერა-კითხვას სწავლობენ, ნაყოფიერებისა და ჩვილ ბავშვთა სიკვდილიანობის მაჩვენებლები მცირდება და გოგონები უფრო გვიან თხოვდებიან. საყოველთაოდ ცნობილია, რომ მიკროსაფინანსო ინსტიტუტები სესხების გაცემისას ქალებს ანიჭებენ უპირატესობას. ქალები არიან პასუხისმგებლები, იზრუნონ ოჯახის წევრების ჯანმრთელობაზე, ბავშვების, განსაკუთრებით გოგონების, განათლებაზე. თუ ქალები არ არიან ჩართული განვითარების პროცესებში, შედეგებიც ნაკლებად შთამბეჭდავია.

ძალიან ბევრი კულტურა ქალებისაგან მოითხოვს, რომ ჩუმად იყვნენ, განსაკუთრებით მაშინ, თუ გარეშე ადამიანები ჩნდებიან სცენაზე. ასეთ ვითარებაში ქალების ხმის გაგონება უაღრესად ძნელია. ჩვენ განსაკუთრებული ძალისხმევა უნდა წარვმართოთ, რათა ქალების თვალსაზრისები და ისტორიები გავიგოთ. სწორედ ამის გამო მიაჩნიათ ანდერსონსა და ვუდროუს, რომ ქალებისა და მამაკაცებისათვის ცალკე უნდა ჩატარდეს შესაძლებლობებისა და სუსტი მხარეების ანალიზი. PLA და AI-ის პროცესებში გამოყენებული მონა-

წილეობითი ინსტრუმენტები ისე უნდა იყოს ადაპტირებული, რომ ქალებზეც იყოს მორგებული, რათა მათი აზრი გავიგოთ (უილიამსი, სიდი და მვაუ, 1994, 250). ხშირად ქალების ცოდნა და გამოცდილება სხვაგვარად ვერ გამოვლინდება.

განვითარების კონტექსტში გენდერულ საკითხთან დაკავშირებით არსებული ძირითადი გამოწვევა იმაში მდგომარეობს, რომ მოვახერხოთ ქალების უფლებამოსილების გაფართოება და, იმავდროულად, იმ გზების მოძიება, რომლებიც მამაკაცებს დაანახვებს, რომ უნდა შეცვალონ დამოკიდებულება ქალების მიმართ როგორც სახლში, ასევე საზოგადოებაში. ამ შემთხვევაში მხოლოდ მოწოდებები და ზეწოლა, ასევე დარწმუნება, რომ ქალები მამაკაცების თანსწორნი არიან, არაეფექტურია. საქმე ისაა, რომ მამაკაცებმაც, ქალების მსგავსად, თავიანთი სოციალური როლები კონკრეტულ კულტურასთან ერთად და გარკვეულ დროში და ადგილზე ცხოვრების შედეგად შეისისხლხორცეს. მხოლოდ ცალი მხარის თვალსაზრისის შეცვლა ისე, რომ მეორეზე არ ვეცადოთ ზემოქმედებას, არაეფექტურია.

ბოლო ათი წლის განმავლობაში გენდერული და განვითარების საკითხებზე ჩატარებული კვლევებიდან ნათელი ხდება, რომ მამაკაცებსაც განუცდიათ მარგინალიზაცია და უფლებამოსილების შეზღუდვა. ამას, ძირითადად, ოჯახის გარეთ აქვს ადგილი და ქალების უფლებამოსილების შეზღუდვით გამოწვეული მდგომარეობის მსგავსია (ჩანტი და გუტმანი, 2002, 271). ამჟამად გენდერულ და განვითარების საკითხებზე მიმდინარე დისკუსიები, ძირითადად, იმაზეა ორიენტირებული, რომ დავეხმაროთ ქალებსა და მამაკაცებს თავიანთი როლებისა და ძალაუფლების გადანაწილების უკეთ გაგებაში, ანუ იმის გაანალიზებაში, რომ ერთს ძალაუფლება აქვს, ხოლო მეორეს – არა, რის შემდეგაც ურთიერთობების ახალი ჩარჩო უნდა აიგოს. ეს ჩარჩო გენდერული ურთიერთობების შიგნით ჩაგვრისა და მარგინალიზაციის დაძლევაზე იქნება ორიენტირებული ანუ: ქალებმა და მამაკაცებმა ერთად უნდა ისწავლონ ახალი დამოკიდებულება გენდერული საკითხებისადმი. სამწუხაროდ, ეს, იმავდროულად, კულტურული ცვლილებების პროცესია და ასეთ ცვლილებებს ხანგრძლივი დრო სჭირდება, როგორც ამას დასავლეთის გამოცდილება გვიჩვენებს. აღსანიშნავია, რომ ძნელად წარმოსადგენი და არცთუ ისე მკაფიოდ ჩამოყალიბებულია, თუ როგორ უნდა დაეხმარონ გარეშე ადამიანები, ანუ განვითარების სააგენტოები, ასეთ კულტურულ ცვლილებებს.

ბავშვების მოსმენა

თუ ქალების ხმა ხშირად არ ისმის, ბავშვების ხმა კიდევ უფრო იშვიათად ისმის. ძირითადად, მათ შესახებ ჩვენ ვიცით, რომ ისინი იტანჯებიან და ტკივილი აწუხებთ, მაგრამ ამას საერთოდ არ აჩენენ. მიუხედავად არსებული რიტორიკისა, რომ ბავშვებსა და მათ კეთილდღეობაზე ვზრუნავთ, ჩვენი მოქმედებები საწინააღმდეგოზე მეტყველებს. "ჩვენ ბავშვების საკითხს უაღრესად ემოციურად აღვიქვამთ, მაგრამ სხვა თვალსაზრისით მათ "უსარგებლოდ" მივიჩნევთ, რადგანაც არ მიგვაჩნია, რომ მათ წვლილის შეტანა შეუძლიათ სამუშაოს შესრულებაში ან პროდუქტიულობაში, რის გამოც ისინი სტატისტიკის მიღმა რჩებიან; მათ არ ითვალისწინებენ დებატების პროცესში და პოლიტიკის განსაზღვრისას" (ედვარდსი, 1996, 814). ბავშვები განვითარების

პროექტების ფარგლებში გამოყოფილი დახმარების პასიურ რეციპიენტებად მოიაზრებიან. ღარიბთა ბავშვების შესახებ ასეთი ზოგადი წარმოდგენა არსებობს: ისინი მშივრები არიან, იტანჯებიან და გადაუდებლად ესაჭიროებათ დახმარება. ბავშვების შესახებ ასეთი წარმოდგენა დომინირებს განვითარების დაგეგმვისა და შეფასების პროცესშიც. შედეგად ბავშვებს ვკვებავთ, ვანათლებთ, მაგრამ ისინი სერიოზულად არ აღიქმებიან. ჩემბერსი ცდილობდა მოეძებნა განვითარების პროცესის კონტექსტში ათვლის წერტილი, რომელიც დაგვეხმარებოდა "უფრო ეფექტურად გვემუშავა და გრძელვადიან პერსპექტივაში უკეთესი მდგომარეობისათვის მიგვეღწია და არა უბრალოდ გვეცადა შეგვეცვალა ჩვენი დამოკიდებულება ბავშვებისადმი." მას უცნაურად მიაჩნია, რომ მშობლების მიერ ბავშვებისადმი მოპყრობა "არ არის უფრო გლობალური საზოგადოებრივი საკითხის რანგში აყვანილი და ამასთან დაკავშირებით არ ტარდება სათანადო ანალიზი, კვლევა და შედეგების გაზიარება" (1997, 233). ჩემბერსის აზრი შეგვიძლია განვავრცოთ და ის საკითხიც მოვიცვათ, თუ როგორი დამოკიდებულება აქვთ ჰუმანიტარული დახმარებისა და განვითარების ორგანიზაციებს ბავშვებისადმი.

რატომ უნდა იყოს ბავშვები და მათი როლი ჩვენთვის მნიშვნელოვანი? უპირველეს ყოვლისა, როგორც მაიკლ ედვარდსი (Save the Children-ის ინგლისის ოფისის ყოფილ წარმომადგენელი) შეგვახსენებს, რომ ბავშვები ჩვენი საზოგადოების/თემის მომავალია. ბავშვობაში ჯანმრთელობის, ძალის, გონებისა და ფასეულობების ფორმირება ხდება. გარკვეულწილად, ნებისმიერი უკეთესი მომავალი უკეთესი ბავშვობიდან იწყება. ცუდად ნაკვები და გაუნათლებელი ბავშვი უკეთესი მომავლის საწინდარი ვერ იქნება (ედვარდსი, 1996, 820). მეორე: ბავშვებისა და ახალგაზრდების საკითხი უაღრესად მნიშვნელოვანია, რადგანაც, თუ სტატისტიკას შევხედავთ, მესამე სამყაროს ქვეყნების მოსახლეობის 40%-ს ბავშვები შეადგენენ.

რავი ჯაიაკარანი ამბობს, რომ ძალიან ღარიბ თემებში უფროსებს, ზოგჯერ დედებსაც კი, ხშირად ავიწყდებათ ბავშვების ჯანმრთელობა და კეთილდღეობა, როდესაც განსაკუთრებით მძიმე პირობები უდგებათ (2003). მწვავე კრიზისისას, როდესაც ნათელია, რომ შეიძლება ადამიანებისა და ბავშვების ნაწილი დაიღუპოს, სამწუხაროდ, აქცენტი ძირითადად დიდების გადარჩენაზე კეთდება. ბავშვები, ანუ მომავალი, ხშირად ასეთ მდგომარეობას ეწირება, რადგანაც არსებულ ვითარებაში დიდების გადარჩენაა პრიორიტეტი. სწორედ ამის გამო ამბობს ჯაიაკარანი, რომ თემის ყურადღების ბავშვების კეთილდღეობაზე გადანაცვლება პოზიტიური ტრანსფორმაციის ნიშანია. ანუ, თემი საკმარისად საღია იმისათვის, რომ ბავშვებში დააბანდოს თავისი რესურსი. მაგრამ ბავშვებზე ზრუნვა კიდევ ერთი ნაბიჯით წინ უნდა წავწიოთ. ჩვენ მენტალიტეტის ცვლილება გვჭირდება იმის დასანახად, რომ ბავშვები ტრანსფორმაციის პოტენციურ მამოძრავებელ ძალას წარმოადგენენ. ქალების მსგავსად, ბავშვებსაც შეუძლიათ ოჯახის დანარჩენი წევრების პოზიციაზე გავლენის მოხდენა. ნორა ავარიენტოსი, განვითარების პრაქტიკოსი, რომელიც ფილიპინებზე მუშაობდა, 1994 წელს თავის ანგარიშში აღნიშნავდა, რომ "ღარიბ თემში ბავშვები იმედის ჩანასახს წარმოადგენენ." World Vision-ის მიერ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში განხორციელებული პროექტების ფარგლებში ბავშვების კომიტეტები შეიქმნა. ისინი მათთვის აქტუალურ საკითხებს წამოწევენ ხოლმე წინ. კომიტეტის ზოგი წევრი ეხმარება მათზე უფრო

მცირეწლოვან ბავშვებს სწავლაში. ზოგი ბავშვების უფლებების საკითხებზე მუშაობს, განსაკუთრებით კი ბავშვების ძალადობისაგან დაცვაზე. ბავშვები, რომლებიც ოჯახური ძალადობის მსხვერპლნი არიან, ბავშვთა კომიტეტებს მიმართავენ დახმარებისათვის. კოლუმბიაში, ბარანკილას რაიონში, ბავშვებმა სოფლისაკენ მიმავალ გზისპირა კედლებზე "პლაკატები" დახატეს. ყოველ მათგანზე ბავშვთა რომელიმე უფლების ილუსტრაცია იყო ასახული. ისინი ამ გზით ცდილობდნენ თავანთი მშობლების განათლებას. ფილიპინებზე ბავშვების ჯგუფებმა ალკოჰოლიზმისა და ნარკოდამოკიდებულების წინააღმდეგ კამპანიები ჩაატარეს. ზოგჯერ ბავშვები ისეთ რაღაცებს ლაპარაკობენ, რასაც მოზრდილი არ აღიარებს. ფილიპინებზე ერთ-ერთ საჯარო შეხვედრაზე ბავშვების ჯგუფი ადგა და ადგილობრივ პოლიტიკოსებსა და საპატიო სტუმრებს მიმართა, რომ მათ წერტილი უნდა დაუსვან არსებულ კორუფციულ პრაქტიკას.

სარონე ოლე სენა, ჩემი მეგობარი და კოლეგა World Vision-ის ტანზანიის ოფისიდან, ბავშვებსაც აძლევს შემეცნებით კვლევაში მონაწილეობის მიღების უფლებას (ბოოი და სენა, 1999). იგი ეხმრება მათ საკუთარი ოცნებების ნათლად ჩამოყალიბებაში, როდესაც ისინი პირველად მიდიან სკოლაში. სენა ამბობს, რომ ბავშვები თავად არიან თემის ოცნების ნაწილი. მან აღმოაჩინა, რომ ხშირად ბავშვების ოცნებები თემთან დაკავშირებით ბევრად უფრო ფართოა. ტანზანიის ერთ-ერთ მოშორებულ სოფელში ბავშვებმა ჩამოაყალიბეს თავიანთი ოცნებები, თუ როგორ ხედავენ საკუთარ თემს 2020 წლისთვის. მათ თქვეს, რომ ყველა ბავშვს სწავლის საშუალება უნდა ჰქონდეს, ბავშვები არ უნდა იხოცებოდნენ ენტეროვირუსებისაგან, წითელასა და გრიპისაგან. კაცები, ქალები და ბავშვები ერთად უნდა იღვწოდნენ თემის საკეთილდღეოდ და მომავალი თაობების ბავშვების ჯანმრთელობის უზრუნველსაყოფად.

სწორი ტემპის დასახვა

გეგმებსა და ლოგიკურ ჩარჩოებთან დაკავშირებული პრობლემა ისაა, რომ ყოველი ღონისძიება დროშია განსაზღვრული. ეს სასარგებლოა, მაგრამ მან შეიძლება გარკვეულწილად შეაფერხოს განვითარება. ზოგჯერ ვადები უფრო მნიშვნელოვანი ხდება, ვიდრე თავად ღონისძიებები, რომლებიც ამ ვადებში უნდა შესრულდეს. შესაძლებელია, ამ ასპექტში დროისადმი აფრიკული დამოკიდებულება უფრო მისაღებია, ვიდრე დასავლური. აფრიკაში დროს მაშინ ითვლიან, როდესაც რაღაცა უკვე მიღწეულია და, შესაბამისად, რაღაცის "დროზე" დამთავრება იმდენად მნიშვნელოვანი არაა. ყველაფერი კეთდება მაშინ, როდესაც კეთდება. მდგრადი განვითარების კონტექსტში შესაძლებელია დროის ასეთი გააზრება უფრო სასარგებლო იყოს, ვიდრე დროის ქრონოლოგიური აღქმა. რატომ ვფიქრობ ასე? დასაწყისში ჩვენს თავს დავუსვათ შეკითხვა: ვისი განვითარების საჭიროებებს ვაფასებთ? ძალიან ხშირად პროექტების მართვა იმ განვითარების სააგენტოს ან დონორების გრაფიკის შესაბამისად ხორციელდება, რომელიც პროექტს აფინანსებს. ეს არ არის სწორი. თემი გადის ტრანსფორმაციის გზას და მხოლოდ უფალმა იცის, როდის უნდა მოხდეს გადამწყვეტი მნიშვნელობის მოვლენები მის ცხოვრებაში. ეს კიდევ უფრო აშკარა ხდება, როდესაც ჩვენს თავს განვითარების მიზნებს შევახსენებთ. თუ განვითარების მიღწევებს იმის მიხედვით შევაფასებთ, თუ როდის

გაითხრება ჭები და როდის დაამთავრებენ ბავშვები სკოლას, მაშინ დასავლური ქრონოლოგია დაგვჭირდება. თუ განვითარების მიზანია იდენტობისა და დანიშნულების გარკვევა, მაშინ ამის მიღწევა მხოლოდ მაშინ არის შესაძლებელი, როდესაც ეს თავისთავად მოხდება. ქრონოლოგია და საბოლოო მიზნები ვერ გამოგვადგება, როდესაც პროცესი განვითარების ამ ასპექტებზეა აქცენტირებული. ამ მიზეზით განვითარების სააგენტოების დიდი რაოდენობა უფრო გრძელი ვადების დასახვას ცდილობს თავისი პროგრამებისათვის, თუმცა ამ თვალსაზრისით სახელმწიფო დაფინანსება არასოდეს არ არის საკმარისი. არსებობს კიდევ უფრო მნიშვნელოვანი ასპექტი, რის გამოც პროგრამის ტემპი სწორად უნდა დაისახოს. კოიამა შეგვახსენებს, რომ სწორხაზოვნება არ არის ბუნებრივი მდგომარეობა (1979, 30). ბუნება და სოციალური სისტემები მრუდებისაგან, შეცდომებისა და გადახვევებისაგან შედგება. მხოლოდ ტექნოლოგიებია სწორხაზოვანი და ეფექტური. როდესაც კოიამა ამბობს, რომ "ტექნოლოგიები ჩვენს აზროვნებას ძალიან სწორხაზოვანს ხდის," ის გულისხმობს, რომ ტექნოლოგიებმა შეიძლება კონფლიქტი წარმოშვას ეფექტურობასა და არსს შორის. ტექნოლოგიებს საკუთარი შინაგანი მამოძრავებელი ძალა აქვთ, რომელიც კონტროლისა და სისტემატიზაციისაკენ მიილტვის. ეს ის მომენტია, როდესაც ტექნოლოგიები და სულიერი ასპექტები წინააღმდეგობაში მოდიან ერთმანეთთან. ის, რაც კონტროლს ექვემდებარება, ვერ იქნება სულიერი. სულიერება ვერ ექვემდებარება კონტროლსა და ვადებში მოქცევას. როგორ შეგვიძლია ვისარგებლოთ ტექნოლოგიური მიღწევებით და შევინარჩუნოთ სულიერება? (კოიამა, 1985, 135). უფლებამოსილების გაზრდის პროცესიც წინ აღუდგება ტექნოლოგიებს. ადამიანების განვითარება არ შეიძლება გავაკონტროლოთ ან დავგეგმოთ. ეს პროცესი არ არის სწორხაზოვანი. როგორც ტრანსფორმაციის აგენტებმა, ჩვენი გეგმები და ვადები გვერდზე უნდა გადავდოთ და იმას მივაქციოთ ყურადღება, რაც უფრო მნიშვნელოვანია — ანუ ადამიანების მიერ საკუთარი თავის წვდომასა და აღმოჩენას. კოიამა ასკვნის: თემის გაძლიერება ვერ მიიღწევა ასეთი კონფრონტაციის პირობებში. ეს პროცესი მოთმინებით და ეფექტურად უნდა ვმართოთ, რადგანაც ის ადამიანებს ეხება და არა "მაჩვენებლებს." იმპერიალიზმის არსისათვის მიუღებელია ადამიანების არაეფექტური ცხოვრება (1985, 250).

სულიერების გამოვლინების ხელშეწყობა

განვითარების სფეროს პრაქტიკოსები სულიერი ასპექტების იგნორირების ტენდენციას ამყღავნებენ. ისინიც კი, რომლებსაც სრულიად გაცნობიერებული აქვთ, რომ ღარიბებს საკუთარი თვალსაზრისის გამოხატვის საშუალება უნდა მისცენ, არ რთავენ სულიერ საკითხებს დიალოგის პროცესში. ისინი ცრურწმენებს ან გაუნათლებლობით განპირობებულ მოსაზრებებს, უბრალოდ, იგნორირებას უკეთებენ ან ფსიქოლოგიას მიაწერენ. შედეგად, ჩვენ, ძირითადად, მატერიალური ასპექტების თაობაზე უამრავი ინფორმაცია გვიგროვდება, ხოლო რაც შეეხება ადამიანების სულიერ რეალობას, ამის შესახებ ინფორმაცია, პრაქტიკულად, არ გაგვაჩნია. ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაცია შეეხება ოჯახის ზომას, ავადობას, სოფლის მეურნეობის ნაყოფიერებას, წყლის დაბინძურებას და ასე შემდეგ. ასეთი მატერიალური ასპექტების ანალიზის შედეგად, ძირითადად, მატერიალური პრობლემების გადაწყვეტის

გზებს ვსახავთ, მაგალითად, ოჯახის დაგეგმვას, იმუნიზაციას, უკეთესი სათესლე მასალის შეტანას, ჭების გათხრას და სხვა. ფასეულობების, რელიგიური რიტუალებისა და ცხოვრების, სულიერი ჩაგვრისა და მსგავსი ასპექტების შესახებ ინფორმაციის უქონლობის გამო ჩვენ, როგორც ქრისტიანები, ამ საკითხებზე სათანადოდ არ ვრეაგირებთ. თუ სამყაროს მოვიაზრებთ, როგორც სულიერისა და მატერიალურის ერთობლიობას, მაშინ ჩვენი განვითარების კვლევა დემონების შიშს, სასმელი წყლის ხარისხს, ნიადაგის გამოფიტვასა და მაგიის რწმენასაც უნდა მოიცავდეს. მაგალითად, PLA-ში ან ლოგიკური ჩარჩოს შესახებ არსებულ ლიტერატურაში თემის ცხოვრების სულიერ ასპექტებზეცაა საუბარი. მესამე ქვეყნების უმეტესობა უაღრესად რელიგიური მსოფლმხედველობით გამოირჩევა. ზოგადად, ეს თემები თავიანთ ცხოვრებას სულიერი და რელიგიური ტერმინების მეშვეობით აღწერენ. ამასთანავე: თუ დიაგრამებს გადავხედავთ, რამდენ მათგანზე დავინახავთ სულებზე, დემონებზე, წყევლაზე, წინაპრებსა და ღმერთებზე მინიშნებებს? თემის რეალობის გასაცნობად თუ ტერიტორიაზე გავისეირნებთ, დავინახავთ, რომ საგანგებოდ მომზადებულ დიაგრამებზე ასახულია სალოცავები, წმინდა ხეები, ის ადგილები, სადაც ყველა ერიდება ღამე მოხვედრას. შეიძლება ითქვას, რომ ამ მხრივ რავი ჯაიაკარანის სამუშაო გამონაკლისს წარმოადგენს.

ზოგჯერ ეს ინფორმაცია იმიტომაც არ გვაქვს, რომ თემი მიზანდასახულად აკეთებს თავისი ისტორიის რედაქტირებას. თემის წევრებმა, შესაძლოა, გაიაზრეს, რომ გარეშე ადამიანები არ არიან დაინტერესებული ამ ასპექტებით ან კრიტიკულად არიან განწყობილები მათ მიმართ. ყველამ იცის, რომ დასავლელ ადამიანებს არ სწამთ ასეთი ცრურწმენებისა. ზოგჯერ მსგავსი ინფორმაცია არ გაგვაჩნია იმიტომ, რომ ამ ადამიანებს არც არაფერს ვეკითხებით ამ ასპექტების შესახებ. როდესაც საშუალებას ვაძლევთ ადამიანებს თავიანთი ცხოვრების ამ ასპექტებზე ისაუბრონ, ძალიან ბევრ საინტერესო რამეს ვიგებთ. რავი ჯაიკარანი ძალიან შემოქმედებითად მიუდგა ამ საკითხს და ამ ცარიელი ადგილების შევსება მოსინჯა. იგი PLA-ს ფარგლებში არსებული ინსტრუმენტებიდან ათი მარცვლის მიდგომას იყენებს და, როგორც თავად ამბობს, "მსოფლმხედველობის ჰოლისტიკურ ანალიზს" ატარებს (2007). ასე მაგალითად, ინდოეთის ერთ-ერთმა ტომმა თავისი ცხოვრების 8 ასპექტი გამოავლინა, რომელთა გაუმჯობესებაც უნდოდათ. შემდეგ თემის წევრებს სთხოვეს, რომ ათი მარცვალი გადაენაწილებინათ ძალაუფლებისა და კონტროლის შესაძლებელ წყაროებს შორის, რომლებიც ამ 8 ასპექტს შორის არსებობდა. ესენია: (1) თავად ტომი; (2) სხვები (გარეშე ადამიანები, მათ შორის მთავრობა, მეზობელ ქალაქში მცხოვრები ადამიანები, არასამთავრობო ორგანიზაციების წამომადგენლები); (3) ღმერთები და სულები. როგორც 8-19 დიაგრამაზე ვხედავთ, ტომის აზრით, მისი საკუთარი ძალაუფლება შეზღუდულია.

ტომის განცდა, რომ "ჩვენ არ შეგვიძლია ბევრი რამის გაკონტროლება," ემპირიული დადასტურებაა იმისა, რომ ადამიანების თვითშეფასება დაბალია და მათ საკუთარი შესაძლებლობებისა არ სჯერათ. თემს მიაჩნია, რომ გარეშე ადამიანებს კონტროლის ბევრად უფრო მეტი შესაძლებლობები აქვთ. რაც შეეხება გზების რეაბილიტაციას, თემის აზრით, მთავრობას ყველა უფლებამოსილება და შესაძლებლობა აქვს ამასთან დაკავშირებით და აქ ღმერთებიც ვერაფერს გააწყობენ. გარეშე ადამიანებსა და სტრუქტურებს შესაძლებლობა აქვთ, ჩაერიონ და აკონტროლონ თემის სოციალური, ეკონომიკური და პო-

ლიტიკური სისტემები. თემის წევრებს უნდა დავეხმაროთ, რომ გამოავლინონ, რუკაზე დაიტანონ და კონკრეტულად განსაზღვრონ გარეშე ადამიანებისა და სტრუქტურების ძალაუფლება. ეს დაეხმარება თემს გარეშე კონტროლის თანდათანობით საკუთარი კონტროლით ჩანაცვლებასა და, ზოგადად, იმ საზღვრების გადასინჯვაში, რომლებიც, მათი აზრით, თავიანთი კონტროლის სფეროს განსაზღვრავს. ეს ფრიდმანის აზრს გვახსენებს, როდესაც იგი განვითარებას სოციალური უფლებამოსილების საზღვრების გაფართოებასთან კავშირში მოიაზრებს. აღსანიშნავია, რომ თემა, რომელზეც ადამიანები არ საუბრობენ და ზოგჯერ განვითარების სპეციალისტებიც სათანადო ყურადღებას არ უთმობენ, არის იმ კონტროლის მოცულობა, რომელსაც ტომი უხილავ სამყაროსა და სულებს მიაწერს. მიუხედავად იმისა, რომ ადამიანები ამაზე არ საუბრობენ, როგორც ირკვევა, მათი აზრით, რვა სფეროდან შვიდ სფეროზე ღმერთებსა და სულებს ძალიან დიდი კონტროლი აქვთ. ღმერთების, წინაპრებისა და სულების ძალაუფლების შესახებ ადამიანების აზრი დაგვანახვებს, თუ რატომ არის ზოგი ტექნიკური ღონისძიებისადმი თემის დამოკიდებულება უარყოფითი – თემს ეშინია ამ სულებისა და ღმერთების რისხვის, რადგანაც ის, რაც ჩვენთვის მარტივი რეალობაა და მატერიალურია, ამ ადამიანების მიერ სხვაგვარად აღიქმება. ანუ, ის, რაც ჩვენ პროგრამის ფარგლებში დასახულ მარტივ მატერიალურ ინტერვენციად გვეჩვენება, მაგალითად, ჭის ან უკეთესი სათესლე მასალის დათესვა, თემისათვის სულებისა და ღმერთების წინააღმდეგ გამოწვევაა, რადგანაც ისინი განაგებენ მათი ცხოვრების ამ მხარეებს. ამ ადამიანების ტრადიციული კულტურა ამ უხილავ სამყაროსთანაა დაკავშირებული. ისინი შემოთავაზებული სიახლეების დანერგვას ფრთხილად ეკიდებიან და ფიქრობენ, თუ რად შეიძლება დაუჯდეთ ეს სიახლე (იხილეთ დიაგრამა 8-20).



დიაგრამა 8-19: ვინ აკონტროლებს სიტუაციას?
(ჯაიაკარანის ადაპტირებული ვერსია, 1999).

ამ საკითხთან დაკავშირებით სხვა მაგალითის მოვიყვანაც შეიძლება. ინდოეთის სოფლის მოსახლეობას სთხოვეს ბრეინშტორმინგი ჩაეტარებინათ იმ სფეროების შესახებ, რომელთა გარდაქმნა ყველაზე მეტად აინტერესებდათ. ისინი მუდმივად უბრუნდებოდნენ კარმის, ანუ ბედისწერის, საკითხს. როდესაც მათ ჰკითხეს, თუ რა სახის ასპექტები ახდენს ზეგავლენას ბედისწერაზე, მათ დაასახელეს წყალი, განათლება, მძიმე შრომა, მიწა და ფული. ჩვეულებრივ, PLA სავარჯიშო ამ ეტაპზე თავდება და საუბარი იმაზე გადადის, რომ თემმა გადაწყვეტილება უნდა მიიღოს ამასთანავე: რა გზებით უნდა გაუმჯობესდეს ეს მატერიალური სფეროები?

ადგილობრივების მსოფლმხედველობის ჰოლისტიკური ხასიათის გათვალისწინებით კიდევ ერთი შეკითხვა დაისვა: რა ახდენს გავლენას თქვენი ცხოვრების ამ სფეროებზე? პასუხებში, ძირითადად, ადგილობრივი ტაძრებისა და ღმერთების სახელები ფიგურირებდა. თემის აზრით, მატერიალური ცვლილებების უკან სულიერი სამყაროს ძალები დგას, რომლებიც ადამიანების *კარმას* ცვლიან. თუ განვითარების სპეციალისტი არ ცდილობს ადამიანების ამ თვალსაზრისის გამოვლენას, PLA სავარჯიშო ხშირად მანამდე სრულდება, სანამ თემი თავის სრულ ისტორიას მოყვება.



დიაგრამა 8-20: რა ახდენს ზეგავლენას ბედისწერაზე? მატერიალური და სულიერი მიზეზები (World Vision-ის ინდოეთის ოფისის დიაგრამის ადაპტირებული ვერსია, 1995)

მიზეზ-შედეგობრივი კავშირების თაობაზე ადგილობრივების აზრის გაგება უაღრესად მნიშვნელოვანია. ეს არის ერთადერთი გზა, რომ თემის გადარჩენის სტრატეგიას სრულყოფილად გავეცნოთ (იხილეთ მე-7 თავი). თუ ჩვენ სულიერ ასპექტებს გამოვრიცხავთ, მაშინ თემის გადარჩენის სტრატეგიის მხოლოდ იმ ნაწილის აღწერას შევძლებთ, რომელიც წრის შიგნითაა მოთავ-

სებული (იხილეთ დიაგრამა 7-3). სულიერის გამორიცხვა ნიშნავს, რომ თემის ისტორიის ძალიან მნიშვნელოვან ნაწილს არ მოვიცავთ და მას ჩვენს თანამედროვე მეცნიერულ მსოფლმხედველობას მოვახვევთ თავზე.

თემის რწმენა, რომ გარკვეული მდგომარეობის მიზეზები შეიძლება სულიერ სამყაროში იყოს, ზეგავლენას ახდენს იმაზე, თუ როგორ მონაწილეობენ ეს ადამიანები პროგრამის განხორციელების პროცესში. თუ განვითარების ღონისძიება ისეთი სფეროსკენაა მიმართული, რომელიც სულების კონტროლს ექვემდებარება, მაშინ თემის წევრები ჩათვლიან, რომ სულიერი სამუშაო სრულდება იმის მიუხედავად, თუ რას ვფიქრობთ ჩვენ, როგორც გარეშე ექსპერტები, რომლებმაც ვიცით, რომ მოცემული სამუშაო კონკრეტულ მატერიალურ, ტექნოლოგიების ან მეცნიერების სფეროს მიეკუთვნება. ეს თემისათვის სერიოზულ პრობლემას წარმოადგენს: ვინ არის უფრო ძლევამოსილი, განვითარების სპეციალისტი თუ სულების სამყარო? თემმა არ იცის ამ კითხვაზე პასუხი და ლოგიკურია, რომ ადამიანები დამკვირვებლის პოზიციას ირჩევენ, რათა თავად დარწმუნდნენ, თუ რა მოხდება. ზოგჯერ ვხედავთ, რომ კვლევისა და დაგეგმვის ეტაპზე თემი აქტიურად მონაწილეობს, ხოლო შემდეგ, განხორციელების ეტაპზე, უფრო პასიურია. შესაძლებელია, თემი ელოდება იმის გარკვევას, თუ ვინ უფრო ძლიერია - სული თუ ექსპერტი.

აღსანიშნავია, რომ ასეთი სულიერი ასპექტების წინ წამოწევა მხოლოდ დასაწყისია. თუ ჩვენ საკმარისად მგრძნობიარეები ვიქნებით და საშუალებას მივცემთ თემს, საკუთარი რწმენა და მსოფლმხედველობა წარმოაჩინოს, მისი ცხოვრების ძალიან მნიშვნელოვან ასპექტებს გავეცნობით. შესაძლებელია, პრობლემა ის იყოს, რომ ჩვენ არ ვიცით, რა უნდა ვუყოთ ამ ცოდნას. ჩვენ ვიცით, რომ ეს ცრურწმენაა, ის არარსებულია და ამის ანტიდოტად თანამედროვე მეცნიერება და განათლება მიგვაჩნია. განათლება არის თანამედროვეობის პასუხი ნებისმიერ სოციალურ პრობლემაზე, მაშინაც კი, როდესაც, მიუხედავად ჩვენი განათლებისა, სოციალური პრობლემა არ ქრება. მდგომარეობა კიდევ უფრო რთულდება, როდესაც ჩვენი პოსტმოდერნისტული "მე" ხვდება, რომ ტრადიციულ მსოფლმხედველობას პატივი უნდა ვცეთ და მას უფლება აქვს იარსებოს, ზუსტად ისე, როგორც ჩვენს მსოფლმხედველობას. დაბოლოს, ჩვენ, როგორც ქრისტიანები, მივიჩნევთ, რომ ეს ყოველივე დემონურია და ამ ადამიანებს იესოსა და სულიწმინდის ტრანსფორმაციული ძალა სჭირდებათ. ჩვენ, როგორც ქრისტიანებს, გვინდა, რომ ამ ადამიანებს ჭეშმარიტება დავანახოთ. უნდა ვაღიარო, რომ მეც იმავე შეცდომებს ვუშვებდი და გამოცდილებით ვისწავლე რამდენიმე პასუხი ამ მტკივნეულ შეკითხვებზე. ქრისტიანები, რომლებიც ტრანსფორმაციული განვითარების სფეროში მუშაობენ, სერიოზულად უნდა აღიქვამდნენ ამ ადამიანების მსოფლმხედველობას, რომელიც, იმავდროულად, რელიგიურია, მაგრამ (1) იგი არაქრისტიანულია და შესაბამის ადგილობრივ კულტურას ამკვიდრებს; (2) არ იღებს მხედველობაში თანამედროვე მეცნიერების მიღწევებს და (3) არ იღებს ქრისტიანული რწმენის დოქტრინას. როგორიც არ უნდა იყოს ჩვენი პირადი დამოკიდებულება, მაინც უნდა გვეყოს სიმამაცე და თვითდისციპლინა, რომ ადამიანებს საშუალება მივცეთ, თავიანთი ისტორია სრულად მოყვნენ. თუ განვითარების წინაპირობაა, რომ ადამიანებს საკუთარი აზრის გამოხატვისა და შემდეგ საკუთარი განვითარების პროცესის მართვის საშუალება მისცე, მაშინ ჩვენ სხვა არჩევანი არ გაგვაჩნია. პრობლემა არ არის იმ განვითარების ინსტრუ-

მენტებში, რომლებიც მოცემულ თავში აღვწერეთ, კერძოდ, შესაძლებლობებისა და სუსტი მხარეების ანალიზში, PLA და AI-ში. ეს ინსტრუმენტები არ გამორიცხავს ცხოვრების სულიერ ან რელიგიურ ასპექტებს. პრობლემა ადამიანებშია, რომლებიც ამ ინსტრუმენტებს იყენებენ. ისინი პროფესიონალები არიან, მაგრამ მათაც ახასიათებთ თანამედროვეობის მიკერძოებული დამოკიდებულება, რომლის შედეგადაც ითვლება, რომ სულიერი ასპექტები არ არის კავშირში მატერიალურ ასპექტებთან და, შესაბამისად, არ უნდა იყოს გათვალისწინებული განვითარების ღონისძიებებში. ასეთი დამოკიდებულების შედეგად ვიღებთ ამ ინსტრუმენტების არასწორ გამოყენებას და ადამიანებს თავზე ვახვეთ დასავლურ, მატერიალისტურ მსოფლმხედველობას. ეს არასწორია.

სასარგებლო რესურსები

რთული სოციალური სისტემები და განვითარება

დეივიდ მოსსე, 2001. "განვითარების პრაქტიკის, როგორც პროცესის, გააზრება და სოციალური კვლევები". *განვითარება, როგორც პროცესი: კომპლექსური მუშაობის კონცეფცია და მეთოდები;* დეივიდ მოსსე, ჯონ ფარინგტონი და ალან რიუ, ნიუ დელი: India Research Press.

ბენ რამალინგამი, ჰარი ჯოუნსი, რება ტუსონი და ჯონ იანგი, 2008. "რთული მცნიერების შესწავლა: განვითარებისა და ჰუმანიტარული დახმარების იდეები და მათი ზეგავლენა." *ანგარიში* no. 285. ლონდონი: საერთაშორისო განვითარების ინსტიტუტი.

სწავლა მონაწილეობის გზით და ღონისძიებების დაგეგმვა

კარენ ბროკი და ჯეტრო პეტიტი, 2007. "*მონაწილეობის ხელშეწყობა": მონაწილეობითი განვითარების მეთოდების შემუშავება და ევოლუცია.* Rugby, UK: პრაქტიკული დირექტივები.

საერთაშორისო განვითარებისა და გარემოსდაცვითი ცენტრი, მსოფლიო რესურსების ინსტიტუტი, 1990. *რეგიონების მონაწილეობითი შეფასების სახელმძღვანელო დირექტივები: კენიაში PRA-ს ჩატარება.* შემუშავდა ერთობლივად კენიის სახელმწიფო გარემოსდაცვით სამდივნოსთან, ეგერტონის უნივერსიტეტსა და კლარკის უნივერსიტეტთან.

რავი ჯაიაკარანი, 2008. "დამოკიდებულების, ქცევისა და ცვლილებებში მონაწილეობის შეფასების ახალი ინსტრუმენტები," *სამხრეთ აზიის შეფასება,* მ. სანკარი და ბ. უილიამსი; ნეპალი UNICEF სამხრეთ აზია.

მისივე, 2007. "ჰოლისტიკური მსოფლმხედველობის ანალიზი: თემის რეალობების გაგება" *PLA ჩანაწერები Notes* 56, no. 1:41–48. იხილეთ ვებ-გვერდი: planotes.org website.

მისივე, 2003. *სიღარიბის დაძლევა და განვითარება: სახელმძღვანელო დირექტივები განვითარების სფეროს პროფესიონალებისათვის.* ჰონ კონგი: World Vision ჩინეთი.

სომეშ კუმარა, 2002. *თემის მონაწილეობის ხელშეწყობის მეთოდი: სახელმძღვანელო დირექტივები პროფესიონალებისათვის.* ლონდონი: ITDG.

ჯულზ პრეტი, 1995. *სახელმძღვანელო დირექტივები მონაწილეობითი სწავლებისა და მოქმედებებისათვის.* ლონდონი, გარემოსდაცვითი და საერთაშორისო კვლევების ინსტიტუტი, *PLA ჩანაწერები.* იხილეთ ვებგვერდი: planotes.org website.

სარა უაითი და ჯეტრო პეტიტი, 2007. *მონაწილეობითი მიდგომები და კეთილდღეობის შეფასება. ადამიანთა კეთილდღეობა: კონცეფცია და შეფასება.* მ. მაკგილივარი, ნიუ-იორკი: პელგრეივის და გაეროს უნივერსიტეტი.

შემეცნებითი კვლევა

ჩარლზ ელიოტი, 1999. *ცვლილებების ენერგიის მოძიება: შესავალი შემეცნებითი კვლევის მეთოდისათვის.* უინიპეგი, კანადა. მდგრადი განვითარების საერთაშორისო უნივერსიტეტი.

მაიკ გრინი, ჯონ ობრაიანი, ჰენრი მური და დენ დუნკანი, 2006. *როდესაც ადამიანები საკმარისად ზრუნავენ სხვებზე, რომ იმოქმედონ: მოქმედების ანბანი.* ტორონტო: Inclusion Press.

ჯონ კრეტცმანი და ჯონ მაკნაითი, 1993. *თემების გაძლიერება: გზა თემის აქტივების მობილიზაციისაკენ.* ევანსტონი: აქტივებზე დაფუძნებით თემების განვითარების ინსტიტუტი.

პოზიტიური გადახრა

რიჩარდ პასკალი, ჯერი სტერნინი დ ამონიკ სტერნინი, 2010. *პოზიტიური გადახრის ძალა: როგორ გვეხმარება გასაოცარი გამოგონებები მსოფლიოს ყველაზე რთული პრობლემების გადაჭრაში.* ბოსტონი: Harvard Business. ბოლო ნაწილი შეიცავს საბაზისო დირექტივებს საველე სამუშაოების ჩასატარებლად.

პოზიტიური გადახრის ინიციატივა: http://www.positivedeviance.org.

არვინდ შინგალი და ლუსია დურა, 2009. *ბავშვების დაცვა ექსპლუატაციისა და ტრეფიკინგისაგან: პოზიტიური გადახრის მიდგომის გამოყენება უგანდასა და ინდონეზიაში.* ელ პასო: ტეხასის უნივერსიტეტი.

გენდერი და განვითარება

აირინ გუიჯითი და მეერა კაულ შაჰი, 1998. *მითი თემის შესახებ: გენდერული საკითხები მონაწილეობითი განვითარების კონტექსტში.* ლონდონი: ტექნოლოგიური პუბლიკაციები.

ჯანეტ მომსენი, 2009. *გენდერი და განვითარება, მეორე გამოცემა.* ნიუ-იორკი: Routledge.

სიუზან უილიამსი, ჯანეტ სიდი და ადელინა მაუ, 1994. *Oxfam-ის სახელმძღვანელო დირექტივები გენდერულ საკითხებზე, ოქსფორდი*: Oxfam.

ადამიანთა შესაძლებლობების განვითარების დინამიკა

ადამიანთა განვითარებისა და შესაძლებლობების ასოციაცია (HDCA). http://www.capabilityapproach.com/index.php. HDCA-ს ელექტრონული წერილი.

ნარაიან პარკერი, 2005. *უფლებამოსილებების გაფართოების შეფასება:* ვაშინგტონი: მსოფლიო ბანკი.

სარა უითი, 2009. "კეთილდღეობის განვითარების პრაქტიკაში გათვალისწინება," 2009. ანგარიში, ბათი, გაერთიანებული სამეფო: ბათის უნივერსიტეტი.

ადვოკატირება, მოქალაქეობა და ეფექტური მართვა

ARVIN-ის ჩარჩო: სამოქალაქო საზოგადოების ფორმირების ხელშემწყობი გარემოს შეფასება. გამოქვეყნებულია მსოფლიო ბანკის ვებგვერდზე - მონაწილეობისა და სამოქალაქო ჩართულობის შესახებ.

ჯონ გავენტა და ანა მარი გოეცი, 2001. "მოქალაქეებისა და კლიენტების ყურადღების მიპყრობა მომსახურების მიწოდებაზე." IDS დოკუმენტი no. 138. ბრინგტონი: განვითარების კვლევების ინსტიტუტი.

რავინდრა ადიკეშავალუ, 2004. "მოქალაქეების სახელმწიფო სააგენტოებთან დაკავშირებული განაცხადის ბარათების ზეგავლენის შეფასება." ECD დოკუმენტი no. 12. ვაშინგტონი: მსოფლიო ბანკის შეფასების დეპარტამენტი.

ჯეფ ტინდვა, ჯეიმს ედგერტონი და რაინერ ფორსტეი, 2005. "თემებზე დაფუძნებული შესრულების მონიტორინგი (CBPM): ადგილობრივი თემების გაძლიერება. ბრისბეინში, ავსტრალიაში 14-17 აგვისტოს გამართულ კონფერენციაზე წარდგენილი მოხსენება.

ლისა ვენეკლასენი, ვალერი მილერი, დები ბუდლენდერი და სინდი კლარკი, 2007. *ძალაუფლების, ადამიანებისა და პოლიტიკის ახალი ტალღა: მოქალაქეთა მონაწილეობის სახელმძღვანელო დირექტივები.* ბორტონი დანსმორზე, გაერთიანებული სამეფო: პოლიტიკური მოქმედებები.

9

მოძღვრება ტრანსფორმაციის მისაღწევად

წინამდებარე თავი დრ. ფრანკ ს. კუკინგემთან ერთად დაიწერა, რომელიც World Vision International-ის შეფასების უფროსი სპეციალისტია.

თუ რთულ სოციალურ სისტემებში ცვლილებები არაპროგნოზირებადია და მართვას არ ექვემდებარება, მაშინ უაღრესად მნიშვნელოვანია ზუსტად იყოს აღრიცხული, თუ რა ხდება სინამდვილეში. პროგნოზირების შეუძლებლობასთან დაკავშირებული პრობლემები შეიძლება გადაიჭრას, თუ ხშირად შევიტანთ ცვლილებებს დასახულ კურსში. შესაბამისად, მონიტორინგი, შეფასება და რეფლექსია ბევრად უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე თავად განვითარების გეგმა. წინამდებარე თავში მონიტორინგს, შეფასებასა და რეფლექსიას განვიხილავთ, როგორც უკეთესი მომავლის მიღწევის შესახებ ცოდნისა და გამოცდილების დაგროვების საკვანძო ინსტრუმენტებს.

მონიტორინგი, შეფასება და რეფლექსია

პრაქტიკული გამოცდილების შეძენა უკეთესი მომავლის ასაშენებლად

სანამ მონიტორინგზე, შეფასებასა და რეფლექსიაზე დავიწყებთ საუბარს, კიდევ ერთხელ უნდა გავიხსენოთ ღარიბი თემების სოციალურ სისტემებთან მუშაობის საკითხები, რომლებიც წინა თავში გავაშუქეთ. როგორც უკვე აღვნიშნეთ, სოციალური სისტემები არ ექვემდებარება ისეთ სწორხაზოვან დაგეგმვას ან მექანიკურ მეტაფორებს, როგორიც სახლის აშენების ან ჭის გათხრის დროს გვესაჭიროება. როგორ ვითარდება მოვლენები, როდესაც ჩვენ ამ სისტემებთან შეხება გვიწევს? 9-1 დიაგრამაზე ნაჩვენებია განსხვავებები მექანიკურ და სოციალურ სისტემებს შორის. როდესაც განვითარების კონტექსტზე ვსაუბრობთ, უპირველეს ყოვლისა, საჭიროა ერთი მნიშვნელოვანი განმარტების გაკეთება. დინამიკური და ადაპტაციური სოციალური სისტემის პირობებში უკეთესი მომავლისკენ სვლა, როდესაც ასეთი სისტემები საკუთარი აზრის მქონე ადამიანებისაგან შედგება, არ არის ადვილი, მაგრამ ეს

არ ნიშნავს, რომ ჩვენ არ ვიცით, საითკენ მივდივართ ან რის გაკეთებას ვცდილობთ. ამ პროცესში უაღრესად მნიშვნელოვანია ამ ნათელი მომავლის მკაფიოდ განსაზღვრა. მაგრამ ეს არ არის ძირითადი პრობლემა, პრობლემაა თავად ამ მომავლის მიღწევის პროცესი.



დიაგრამა 9-1: მექანიკური სისტემების დაგეგმვასა და კომპლექსური სოციალური სისტემების დაგეგმვას შორის არსებული განსხვავებები

როდესაც სოციალურ სისტემებთან ვმუშაობთ, საჭიროა მიდგომების გარკვეული ადაპტაცია, კერძოდ, ღონისძიებების დაგეგმვა მოკლე ეტაპებად და რეგულარული მონიტორინგისა და რეფლექსიის ჩატარება. მხოლოდ პროგრამის ხშირი მონიტორინგი და მისი კონტექსტი აძლევს თემს საშუალებას, გამოავლინოს არაეფექტური ასპექტები ან მოულოდნელობები და დაბრკოლებები. როდესაც თემი ნათლად განსაზღვრავს, თუ სად იმყოფება ღონისძიებების დასრულების შემდეგ, იგი შეძლებს თავისი კურსის გადასინჯვას და შემდეგ კიდევ ერთ მოკრძალებულ ნაბიჯს დაგეგმავს უკეთესი მომავლის მისაღწევად. უკეთესი მომავლისაკენ გზა არ არის მარტივი, იგი სავსეა მოულოდნელობებითა და შეფერხებებით. მაგრამ როდესაც ადამიანებს მკაფიოდ აქვთ ჩამოყალიბებული აზრი, რომ უწყვეტი შეფასებისა და კორექტივების შეტანის გზით შესაძლებელი გახდება გამოცდილების შეძენა, თემსა და განვითარების სპეციალისტს შეუძლიათ უფრო დიდი ნაბიჯი დაგეგმონ განსახორციელებლად. ანუ: ჩვენ უნდა ვისწავლოთ, თუ როგორ ვიაროთ ტრანსფორმაციის გზაზე. სოციალური სწავლის მიდგომა, ანუ იმის გაანალიზება, თუ რა მდგომარეობაა რეალურად და რატომაა ასეთი მდგომარეობა. აგრეთვე: უნდა შევძლოთ შეძენილ გამოცდილებაზე დაყრდნობით ადაპტირება და დაგეგმვა, რაც უაღრესად მნიშვნელოვანია სასურველი შედეგების მისაღწევად. ახლა, როდესაც ეს მნიშვნელოვანი განმარტება გავაკეთეთ, ჩვენი ყურადღება მონიტორინგს, შეფასებასა და რეფლექსიას შორის არსებულ განსხვავებებზე უნდა გავამახვილოთ. ჩვენ უნდა განვიხილოთ კრიტიკული მნიშვნელობის შეკითხვე-

ბი და მოვძებნოთ მათზე პასუხები, რაც დაგვეხმარება, ამ სამი ელემენტის გამოყენებით მოვძებნოთ ჩვენი გზა ტრანსფორმაციისაკენ.

მონიტორინგის, შეფასებისა და რეფლექსიის განსაზღვრა

მონიტორინგი, შეფასება და რეფლექსია ტრანსფორმაციული განვითარების პროგრამის შედეგების გააზრებისა და გაანალიზების სხვადასხვა ფორმაა. განვითარების სპეციალისტები არასაკმარისად აფასებენ მონიტორინგის მნიშვნელობას, გადაჭარბებულად დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ შეფასებას და სრულ იგნორირებას უკეთებენ რეფლექსიას.

მონიტორინგი არის ინფორმაციის რუტინული შეგროვება, რომელიც დაგვანახებს, თუ რა იქნა მიღწული (ან არ იქნა მიღწეული) დროის კონკრეტული პერიოდის განმავლობაში.

თემი და პრაქტიკოსი ჰოლისტიკოსი მონიტორინგის შედეგად მოძიებულ ინფორმაციას პროგრამის გეგმებში, ბიუჯეტსა და ვადებში კორექტივების შეტანის მიზნით იყენებს. დონორების მოთხოვნები დაკმაყოფილებულად იქნება მიჩნეული, თუ მონიტორინგის ანგარიში კუმულაციურ პროგრესზე მიუთითებს. შეფასება დაგვანახებს, არსებითი ცვლილებები მიღწეულია თუ არა (ყველაზე არსებითი ცვლილების ტექნიკაზე მოცემულ თავში ცოტა მოგვიანებით გვექნება საუბარი) და მასაც, თუ ფინანსური ანგარიში როგორ გამოიყურება.

პროგრამის ზეგავლენის *შეფასებას,* როგორც დონორების წინაშე ანგარიშგების ინსტრუმენტს, ხანდახან გადაჭარბებული მნიშვნელობა ენიჭება. დონორებს უყვართ შედეგებზე დამყარებული მართვის მიდგომა, მაგრამ ნამდვილად არარეალისტურია ელოდო მოკლევადიანი განვითარების პროგრამისაგან (2-5 წელი), რომ იგი არსებით ზეგავლენას მოახდენს ადამიანების ქცევაზე, დამოკიდებულებაზე ან არსებითად გააუმჯობესებს თემის მდგომარეობას. უმეტეს შემთხვევაში ზეგავლენის შეფასების შედეგად გამოსავლენ ცვლილებას ათწლეულები ან თაობები სჭირდება. შესაბამისად, ზეგავლენის შეფასებები ეხმარება კონსულტანტებს, მაგრამ ნაკლებად – პროგრამებს.

შეფასებების მნიშვნელობის უფრო რეალურად აღქმის მოწოდებასთან ერთად მინდა აღვნიშნო, რომ ამ შემთხვევაში გამონაკლისიც არსებობს. ანუ: განვითარების სააგენტოებს შეფასება ეხმარება პრაქტიკული გამოცდილების შეძენასა და კონტექსტიდან სწავლაში. ამისთვის საჭიროა სხვადასხვა პროგრამის შეფასებების მოძიება და დონორებისა და სააგენტოების პერსონალის მოლოდინის განსაზღვრა. სააგენტოებმა გარკვეული დაპირებები გააკეთეს პროგრამების ფარგლებში. სააგენტოს მიერ სიღარიბის მიზეზებისა და ხასიათის გააზრება და საპასუხო ზომების დასახვა ტრანსფორმაციული განვითარების პროგრამის ფორმატში ღარიბებისათვის მიცემული დაპირებაა. უაღრესად მნიშვნელოვანია იმის შეფასება, თუ რამდენად შესრულდა ეს დანაპირები და თუ არ შესრულდა, რა ცვლილებები უნდა შევიდეს პროგრამაში. სააგენტოები თავის პერსონალსაც აძლევენ გარკვეულ დაპირებებს თავიანთი მისიის, ხედვის, ფასეულობებისა და ტრანსფორმაციული განვითარების პოლიტიკისა და სტანდარტების შესახებ განაცხადში. შესაბამისად, შერჩეული პროგრამების შეფასება დონორის მიერ დაკისრებული ამ ვალდებულებების გათვალისწინებით უნდა მოხდეს.

რეფლექსია ტრანსფორმაციისაკენ ჩვენი გზის გაკვალვის ყველაზე მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია. მონიტორინგი და შეფასება ინფორმაციას გვაძლევს. რეფლექსიას ეს ინფორმაცია ცოდნასა და სიბრძნეში გადაჰყავს. რეფლექსია ნიშნავს, განყენებულად გაიაზრო, რას შეიძლება ნიშნავდეს მონიტორინგისა და შეფასების შედეგები. რეფლექსია მონიტორინგისა და შეფასების ანგარიშების ფარგლებში გაკეთებული დასკვნების განზოგადების საშუალებას იძლევა. რეფლექსია დიალოგის ფორმატში განხორციელებული აქტივობაა, რომლის მეშვეობითაც ჯგუფი ერთად მუშაობს, რათა საერთო დასკვნები გამოიტანოს მისთვის მნიშვნელოვან საკითხებზე. ტრადიციული ღონისძიების გამარტივება უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე, უბრალოდ, შეხვედრის თავმჯდომარეობა. საჭიროა ჯგუფის წევრებს შორის ურთიერთნდობა და პატივისცემა, რაც დაადასტურებს, რომ აღნიშნული ღონისძიების მონაწილეებს წარსულში პოზიტიური ურთიერთობების გამოცდილება აქვთ. ასეთ დროს უმჯობესია, რომ თავჯდომარე გარეშე ადამიანი იყოს, რომელიც არ მონაწილეობდა პროგრამის განხორციელებაში.

რეფლექსიის სავარჯიშოს პროცესში დასასმელი შეკითხვები პროგრამის გეგმას და მის შედეგებს არსებითად სცდება. რეფლექსიის მიზანია, რომ ადამიანების ჯგუფმა უფრო მაღალი დონის საკითხები განიხილოს, ანუ გაარკვიოს სიღარიბესა და განვითარებასთან დაკავშირებული პრობლემები და შესაბამისი პროგრამის საფუძვლები. რა მიანიშნებს იმაზე, რომ ადამიანების შელახული ღირსება აღდგა? დაიწყო თემმა ღმერთის კომპლექსებთან და სიცრუის მახესთან გამკლავება, რომელშიც ღარიბებიც და შეძლებულებიც ერთნაირად ხვდებიან? ავლენს ამ ადამიანების ისტორიები ბოროტი ძალების გავლენის სფეროებს? როგორ შეიძლება შეიცვალოს მსოფლმხედველობა და კულტურული ფასეულობები? მინდა აღვნიშნო, რომ ეს თეოლოგიური რეფლექსიისა და სულიერი დისციპლინების გამოყენების დროა. რას გვეუბნება ღმერთი? რა მოხდა ისეთი, რაც უფლის მოსაწონი იქნებოდა? რა მოხდა ისეთი, რასაც იგი დაგმობდა? რა შევიტყვეთ, რა დანიშნულებით შეგვქმნა უფალმა და რა უნდა ვაკეთოთ? სად მივყავართ უფალს მომავალში? რეფლექსია თავად ბევრად უფრო ტრანსფორმაციულია, ვიდრე მონიტორინგი და შეფასება. ადამიანებისადმი დამოკიდებულება აჩვენებს, რომ მათ მიიჩნევენ კომპეტენტურებად, საზრიანებად, იმ ადამიანებად, ვისაც ესმით საკუთარი ცხოვრების აზრი, აქვთ ღირსება და იდენტურობა.

რისთვისაა მონიტორინგი და შეფასება?

მონიტორინგისა და შეფასებისადმი ტრადიციული მიდგომა განვითარებისადმი სწორხაზოვან დამოკიდებულებას ეყრდნობა. მისი მიზანია იმის გარკვევა, განხორციელდა თუ არა რეალობაში ის, რაც დაგეგმილი იყო. გამოიღო მოსალოდნელი შედეგი დაბანდებულმა რესურსებმა? მოსალოდნელმა შედეგმა მოგვცა მოსალოდნელი ზეგავლენა? ღონისძიებები დროულად და დაგეგმილი ბიუჯეტის ფარგლებში განხორციელდა? მონიტორინგის მიზანია პრობლემების გამოვლენა და მათი აღმოფხვრა შემდეგი ეტაპის დაგეგმვის გზით. ეს ყველაფერი კარგია და აუცილებელია, რადგანაც ნამდვილად რთულია ღონისძიებების შემდგომი დაგეგმვა, თუ არ გვესმის, სად ვიმყოფებით მიმდინარე ეტაპზე. მაგრამ, გარდა ამისა, არსებობს მონიტორინგისა და შე-

ფასების პროცესის დახვეწის სხვა გზებიც. ჩვენ უკვე ვისაუბრეთ სოციალური სწავლისა და ადაპტაციური დაგეგმვის პროცესზე. ამის გარდა, შემეცნებითი კვლევის მეთოდის პრაქტიკოსები გვთავაზობენ ამ შემეცნებითი ჩარჩოს ჩართვას მონიტორინგის პროცესში, რადგანაც იგი დაგვეხმარება საინტერესო და სასარგებლო ინფორმაციის გამოვლენაში. რამ იმუშავა კარგად და რატომ? რამ გამოიწვია ენთუზიაზმი და ენერგია ადამიანებს შორის? შემეცნებითი კვლევა გვეხმარება გამოვავლინოთ ისეთი პოზიტიური ასპექტები, როგორებიცაა: რაღაც ახლის შექმნა, განვითარება, წყობის გარდაქმნა და ამის შესაბამისად თანხების, დროისა და ენერგიის სხვა პოზიტიურის შექმნაზე წარმართვა. შემეცნებითი კვლევის მეთოდის შეფასების ჩარჩო გვეხმარება რესურსების იქითკენ წარმართვაში, რაც ეფექტურად მუშაობს. ის გვეხმარება, აგრეთვე, რათა რესურსები უფრო ეფექტურ ასპექტებში დავაბანდოთ, ვიდრე იმ ასპექტებში, რომლებიც არ გვაძლევს ეფექტურ შედეგებს.

პოზიტიურზე აქცენტირება სხვა გზითაც შეიძლება განხორციელდეს. უილიამ ისტერლი თავის ნაშრომში *"თეთრკანიანი ადამიანის ტვირთი"* ამტკიცებს, რომ მონიტორინგი და შეფასება განვითარების ეტაპზე ცენტრალურ ადგილს უნდა იკავებდეს. როგორც მე-2 თავში აღვნიშნეთ, ისტერლი არ არის დარწმუნებული, რომ ჩვენ ნამდვილად გვესმის, თუ რა განაპირობებს განვითარების პროგრამების წარმატებას. იგი მოგვიწოდებს, რომ სტრატეგიული შეკითხვის – "როგორ განვახორციელოთ უფრო მეტი განვითარებისა და ჰუმანიტარული დახმარების პროექტი?" – ნაცვლად დავსვათ შეკითხვა – "როგორ უნდა გამოვიყენოთ ყველაზე ეფექტურად განვითარებისა და დახმარების პროექტების ფარგლებში გამოყოფილი რესურსები?" ეს შეკითხვა დაგვეხმარება, სულ უფრო მეტი და მეტი სტანდარტული განვითარების პროექტის განხორციელების ნაცვლად ყურადღება შეფასებას დავუთმოთ. ეს დაგვეხმარება გამოვავლინოთ, თუ რა მუშაობს ეფექტურად და რა არა (2006, 374-376). შემდეგ ისტერლი ჩვენს ყურადღებას ესტერ დუფლოს ნაშრომებზე ამახვილებს. ის MIT სიღარიბის დაძლევის ლაბორატორიაში მოღვაწეობის პროცესში შეძენილ გამოცდილებაზე დაყრდნობით მოუწოდებს იმ ადამიანებს, რომლებიც განვითარების პროგრამების შემუშავებაზე არიან პასუხისმგებლები, არ დაივიწყონ, რომ ნებისმიერ პრობლემას შეიძლება გადაწყვეტის რამდენიმე გზა ჰქონდეს (ისტერლი, 2008; დუფლო და კრემერი, 2008, 93; ბანერჯი და დიუფლო, 2011).

მაგალითად, თუ რამდენიმე სოფლის ღარიბები გადაწყვეტენ, რომ ბავშვებისათვის დაწყებითი სკოლები სჭირდებათ, რათა დაწყებითი განათლების მქონე ბავშვების რაოდენობის მაჩვენებელი გააუმჯობესონ, ტრადიციული განვითარების გეგმა იმაზე გააკეთებდა აქცენტს, რომ ყველა ამ სოფლისათვის რაღაც საერთო გეგმა უნდა შემუშავდეს. ალტერნატივის სახით დიუფლო გვთავაზობს ორ განსხვავებულ მიდგომას, რომლებიც პარალელურად უნდა განხორციელდეს (იხილეთ დიაგრამა 9-2), ხოლო შეფასება უნდა განიხილებოდეს, როგორც ეფექტურობის უზრუნველყოფის პირობა.

	1 სოფელი		2 სოფელი
შედეგი:	დაწყებითი სკოლების დამთავრების მაჩვენებლების გაზრდა	**შედეგი**:	დაწყებითი სკოლების დამთავრების მაჩვენებლების გაზრდა
ზეგავლენა	მასწავლებლებისთვის ხელფასის გადახდა, სკოლების შეკეთება, მთავრობა სასწავლო მასალებს უზრუნველყოფს	**ზეგავლენა**	მასწავლებლების მონიტორინგი თემის მიერ, სკოლის შეკეთება, საცხოვრებლის უზრუნველყოფა მასწავლებლებისათვის, მთავრობა სასწავლო მასალებს უზრუნველყოფს
დაბანდებული რესურსი	ფული, მასალები, სწავლება	**დაბანდებული რესურსი**	ფული, მასალები, სწავლება

დიაგრამა 9-2: ორი მიდგომის შედარება წარმატებულობის თვალსაზრისით

მოცემულ მაგალითში იგივე საბოლოო შედეგი (დაწყებითი სკოლადამთავრებულების მაჩვენებლების გაუმჯობესება) და დაბანდებული რესურსები გვაქვს, მაგრამ განსხვავება შედეგის მიღწევის მეთოდშია. სოფლების ნაწილი უხდის მასწავლებლებს ხელფასს, რომ მან გაკვეთილები არ გააცდინოს. სოფლების დანარჩენი ნაწილი მასწავლებლებისათვის ხელფასის გადახდის ნაცვლად CBPM მიდგომას იყენებს, რათა უზრუნველყოს, რომ მასწავლებლები ასრულებდნენ თავიანთ მოვალეობებს. რომელი მიდგომაა უფრო ეფექტური? – უფრო წარმატებული ის მიდგომაა, რომლის შემთხვევაშიც უფრო მაღალი მაჩვენებლები გვაქვს ბავშვების რაოდენობის მიხედვით.

შესაბამისად, პასუხი შეკითხვაზე – "რა არის მონიტორინგი და შეფასება?" – იმდენად პროგრამის ეფექტურობა კი არა, არამედ იმის ეფექტიანობაა, რაც გულისხმობს როგორც დაგეგმილ, ასევე გაუთვალისწინებელ შედეგებს. შეფასება, რომელიც ეფექტურია, ეხმარება ღარიბებს გამოცდილებაზე დაყრდნობით უკეთესი მომავლის მიღწევის გზების გამონახვაში. დონორებისათვის წარსადგენი კვარტალური ანგარიშები, რომლებიც დაბანდებული რესურსების, შედეგებისა და ზეგავლენის თაობაზე ინფორმაციას მოიცავს, უაღრესად სასარგებლო და აუცილებელია ანგარიშგებისათვის. მაგრამ ტრანსფორმაციული თვალსაზრისით სწავლა და აღმოჩენა უფრო მნიშვნელოვანია ღარიბებისათვის.

ვისთვისაა საჭირო მონიტორინგი და შეფასება?

ძალიან ხშირად მონიტორინგი და შეფასება დონორებისათვის კეთდება. დონორების წინაშე ანგარიშგება ნამდვილად მნიშვნელოვანია, მაგრამ ის შე-

ფასება, რომელიც დონორებს სჭირდებათ, შესაძლებელია არ იყოს იმ სახის, რომელიც თემს სჭირდება სწავლისა და განვითარებისათვის. ხშირად შეფასება მხოლოდ განვითარების სააგენტოს საჭიროებებისათვის მზადდება, რადგანაც, რასაკვირველია, ეს უკანასკნელი დაინტერესებულია, რომ პროფესიონალური იყოს, ხოლო პროფესიონალები თავიანთი მუშაობის ეფექტურობას ამოწმებენ. მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ, რომ სწორედ თემმა უნდა ისწავლოს და შეიძინოს პრაქტიკული გამოცდილება. ეს მათი განვითარების პროცესია. მათ უნდა ისწავლონ შეფასების ჩატარება და შესაბამისი კორექტივების შეტანა თავიანთ პროგრამებსა და მოქმედებებში. განვითარების ყველა ღონისძიება, დაწყებული მარტივი ზომებიდან და რთული და კომპლექსური ზომებით დამთავრებული, საშუალებას აძლევს თემებს, რომ რაღაც ახალი ისწავლონ.

ძალიან დიდი ძალისხმევა წარიმართა შეფასების პროცესში თემის მონაწილეობის ხელშეწყობისაკენ მიმართული ღონისძიებების შემუშავებასა და დანერგვაზე. მაგრამ მიზანშეწონილად მიმაჩნია, რომ პირველ რიგში ტრადიციული და მონაწილეობითი შეფასებები შევადაროთ ერთმანეთს, რაც 9-3 დიაგრამაზეა ასახული (ნარაიანი, 1993). დიაგრამაზე ნაჩვენები აქცენტის გადანაცვლება ჩემბერსის მიდგომებს შეგვახსენებს, როდესაც იგი "ესტაფეტის ღარიბებისათვის გადაცემის აუცილეობლობაზე" საუბრობს. ამაზე უფრო დეტალურად ქვემოთ გვექნება საუბარი.

	ტრადიციული შეფასება	**მონაწილეობითი შეფასება**
ვინ ?	გარეშე ექსპერტი	თემის წევრები, ფასილიტატორი
რა?	წინასწარ განსაზღვრული ინდიკატორები, ხარჯები და შედეგები	თემის მიერ იდენტიფიცირებული ინდიკარტორები, რომლებიც ხანდახან პროცესის ინდიკატორებსაც მოიცავენ
როგორ?	აქცენტი ობიექტურობაზე, შეფასების მონაწილეებისაგან დისტანცირებაზე. უნიფიცირებული და ხშირად რთული პროცედურები. ანგარიშების დაგვიანებით შედგენა, რომლებიც ყოველთვის მისაწვდომი არ არის თემებისათვის	თვითშეფასება, მარტივი მეთოდები, შედეგების მაშინვე გაზიარება
როდის?	პროექტის დასრულებისას	ხშირი მონიტორინგი და შეფასება არ არის მკაფიო, მრავალი მცირე ღონისძიება, რომლებიც თემს სწავლის საშუალებას აძლევს
რატომ?	დონორების წინაშე ანგარიშგება	ადგილობრივების უფლებამოსილების გაზრდა, სწავლა, ადაპტირება და მათ მიერ კონტროლი

დიაგრამა 9-3: ტრადიციული შეფასებისა და მონაწილეობითი შეფასების შედარება (ნარაიანი. 1993)

რა შეიცვალა?

ეს, ერთი შეხედვით, მარტივი კითხვა ჩანს. ეს ასე იქნებოდა, განვითარების პროგრამების შემუშავება რაციონალური და სწორხაზოვანი პროცესი რომ იყოს. მიაღწია პროგრამამ დაგეგმილ შედეგებსა და მიზნებს? ჩვენ ვიცით, რომ არც ესაა მარტივი შეკითხვა და შედეგებსა და ზეგავლენაზე პასუხის გაცემა რთულია. უნდა გავითვალისწინოთ, რომ გვექნება როგორც პროგრამის შედეგად დაგეგმილი, ასევე ამავე პროგრამით გაუთვალისწინებელი ცვლილებები. გარდა ამისა, მკაფიოდ უნდა გავმიჯნოთ ცვლილებები, რომლებიც მხოლოდ ჩვენი პროგრამის დამსახურებით ხდება და ცვლილებები, რომლებიც სხვა ფაქტორებითაა განპირობებული. მდგომარეობას ისიც ართულებს, რომ, სიღარიბის ფუნდამენტური მიზეზებისა და არსის შესახებ ჩვენი თვალსაზრისიდან გამომდინარე, უნდა ვიზრუნოთ არა მხოლოდ ადამიანების, არამედ მათი ურთიერთობების გარდაქმნაზეც. თუ ადამიანების უკეთესი მომავალი გულისხმობს, რომ უფლის სასუფეველს უნდა მივუახლოვდეთ, მაშინ ფასეულობების გარდაქმნითაც უნდა დავინტერესდეთ.

გრძელვადიანი ზეგავლენა

ძალიან დიდი ხნის განმავლობაში განვითარების სფეროს სპეციალისტები იმას ზომავდნენ და აფასებდნენ, თუ რამდენად იქნა მიღებული დაბანდებული რესურსებითა და ღონისძიებების გატარების შედეგად დაგეგმილი შედეგები. სწორედ ეს ითვლებოდა შეფასებად. რამდენი ჭა გაითხარა? რამდენმა ფერმერმა გაიარა ტრენინგი? რამდენად შემცირდა წყლის დაბინძურებით გამოწვეული ავადობა? რასაკვირველია, ზემოხსენებული მაჩვენებლები უაღრესად მნიშვნელოვანია, მაგრამ არ არის საკმარისი. ძალიან ბევრი პროგრამა არსებობს, რომელთა პორტფოლიოში წარმატებული შედეგებია ასახული, მაგრამ ეს პროგრამები ნაკლებად წარმატებულია, რადგანაც მათ ვერ მიაღწიეს პროგრამის უფრო მაღალი დონის მიზანს, ზეგავლენას ან მდგრადობას. ამჟამად ბევრი მოუწოდებს განვითარების სფეროში მოღვაწე არასამთავრობო ორგანიზაციებს, რომ უფრო კრიტიკულად გააანალიზონ თავიანთი იდეების გრძელვადიანი ზეგავლენა. ძალიან ბევრი ვარაუდია დაშვებული დაბანდებულ რესურსებსა და საბოლოო შედეგებს შორის. ეს ვარაუდი სულაც არ ნიშნავს, რომ მოვლენები სწორედ ისე განვითარდება, როგორც საწყის ეტაპზე ვვარაუდობდით. ბევრს მიაჩნია, რომ თუ სასტარტო პირობებს სწორად დავგეგმავთ და გეგმის შესაბამისად ვიმოქმედებთ, აუცილებლად დადებითი შედეგებს მივაღწევთ. დიაგრამაზე 9-4 ასახულია დაბანდებული რესურსები, საშუალედო შედეგები და საბოლოო შედეგები, რომლებიც ერთობლიობაში უნდა შეფასდეს. რასაკვირველია, ასეთი შეფასება მნიშვნელოვანია, მაგრამ ამ მიდგომის სისუსტე ისაა, რომ აქცენტი მხოლოდ პროგრამასა და მის ზეგავლენაზე კეთდება. რა ხდება, როდესაც გაუთვალისწინებელ შედეგებს ვიღებთ? როგორ ვითვალისწინებთ ჩვენი სამუშაოს დინამიკურ და არაპროგნოზირებად ხასიათს?



დიაგრამა 9-4: აქცენტის გადატანა გრძლევადიანი შედეგების შეფასებაზე (ფრენკ კუკინგემთან ერთობლივად)

ბოლო პერიოდში პროგრამების ზეგავლენის შეფასების გასაღრმავებლად სამი სიახლე დაინერგა, რომლებიც უკეთ ითვალისწინებს ღარიბი თემების დინამიკურ ადაპტაციას სოციალურ სისტემებში და განვითარების ღონისძიებების არაპროგნოზირებადობას. ამ სიახლეებს ერთობლივი (მონაწილეობითი) ზეგავლენის შეფასება, შედეგების რუკის შედგენა და ყველაზე არსებითი ცვლილების ტექნიკა ეწოდება.

ერთობლივი (მონაწილეობითი) ზეგავლენის შეფასება პროგრამის მიზნების, გეგმების, ღონისძიებებისა და შედეგების გაფართოებაში გვეხმარება. ასეთი მიდგომა იმ ადამიანებზე ზეგავლენის შესწავლასაც ითვალისწინებს, რომლებზეც პროგრამა ზეგავლენას მოახდენს (კატლეი და სხვები, 2007). ასე აქცენტი არა მხოლოდ პროგრამებზე, არამედ ადამიანებზეც კეთდება. აქცენტის ასეთ მონაცვლებას სამი მნიშვნელოვანი შედეგი მოჰყვება. პირველ რიგში, ასეთი მიდგომა საშუალებას გვაძლევს თემის შიგნით და მის ფარგლებს გარეთ არსებული გაუთვალისწინებელი გარემოებები და შედეგები გამოვავლინოთ. მეორე: მონაწილეობითი მეთოდოლოგიების გამოყენების შედეგად თავად შეფასება ხდება ტრანსფორმაციული პროცესი და ხელს უწყობს ამ ადამიანების უფლებამოსილების გაზრდას. მესამე: ზეგავლენის შეფასების პროცესში ექსპერტების ყურადღების ცენტრში ისეთი ხარისხობრივი ასპექტებიც დგება, როგორებიცაა: ადამიანების ღირსება, სოციალური სტატუსი, სამართლიანი და მშვიდობიანი ურთიერთობები, ზოგადი კეთილდღეობა და სხვა.

კანადის საერთაშორისო კვლევების ცენტრის მიერ ბოლო პერიოდში ჩატარებული კვლევების შედეგად ზეგავლენის შეფასების ახალი მეთოდი დაინერგა, რომელსაც შედეგების რუკის შედგენა ეწოდება. საბოლოო შედეგები განისაზღვრება, როგორც “ადამიანების ქცევაში, ურთიერთობებსა და მოქმედებებში მომხდარი ცვლილებები, რომლებიც პროგრამის პირდაპირი ზეგავლენითაა გამოწვეული” (ერლი, გარდენი და სმუტაილო, 2001, 1). მონაწილეობითი ზეგავლენის შეფასების მეთოდის მსგავსად, ამ შემთხვევაშიც შეფასების აქცენტი ადამიანებზეა გადანაცვლებული, ანუ მთავარი ყურადღება გამახვილებულია არა იმაზე, თუ რა გაკეთდა პროგრამის ფარგლებში, არა-

მედ იმაზე, თუ როგორ შეიცვალნენ ადამიანები. ზეგავლენის რუკის მეთოდი სცდება მხოლოდ ტრანსფორმირებული ფასეულობებისა და წარმოდგენების შეფასებას და განსაკუთრებულ აქცენტს ადამიანების ქცევისა და მოქმედებების გარდაქმნის შეფასებაზე აკეთებს. ადამიანების კეთილდღეობის გაუმჯობესება და ღირსების აღდგენა ძალიან კარგია, მაგრამ უფრო მნიშვნელოვანია, თუ როგორ ზეგავლენას მოახდენს ეს ადამიანების ქცევასა და მოქმედებებზე.

ზეგავლენის რუკის შედგენის მეთოდის ფარგლებში აქცენტის გადატანა პროგრამიდან სხვა ასპექტებზე საშუალებას გვაძლევს, ყურადღება უფრო ფართო კონტექსტზე გავამახვილოთ, კერძოდ, იმ კონტექსტზე, სადაც ეს პროგრამა ხორციელდება. პროგრამები განიხილება როგორც სოციალურ, პოლიტიკურ და ეკონომიკურ კონტექსტში არსებული რეალობა და, შესაბამისად, შეფასება გულისხმობს იმ სოციალური, პოლიტიკური და ეკონომიკური სტრუქტურების შეფასებასაც, რომელთა კონტექსტშიც პროგრამა ხორციელდება. ზეგავლენის რუკის შედგენის ძირითადი მიზანია იმის გამოვლენა, თუ როგორ შეიცვალა ადამიანების ქცევა და მოქმედებები ამ სისტემებთან მიმართებით, რომლებიც სცდებიან პროგრამის ფარგლებს. არსებობს რაიმე ნიშანი, რომ ადამიანების უფლებამოსილება გაიზარდა და ისინი საზოგადოებრივი ცხოვრების უფრო აქტიური მონაწილეები გახდნენ? გაიზარდა ადამიანების თავისუფლება და შესაძლებლობები? აქცენტის ასეთი გადანაცვლების ერთ-ერთი შედეგი ისაა, რომ ნაკლებად შესაძლებელი ხდება იმის განსაზღვრა, თუ რამდენად არის დაკავშირებული პოზიტიური ცვლილებები თავად საპროგრამო ღონისძიებებთან, რისი გაგებაც, რასაკვირველია, დონორებს ძალიან სჭირდებათ. პროგრამის ფარგლებს გარეთ არსებული კონტექსტის გათვალისწინება აუცილებელია, რათა სწორად ავსახოთ ის რეალობა, რომლის თანახმად განვითარების პროგრამები ადაპტაციური და არაპროგნოზირებადი სოციალური სისტემების კონტექსტში ხორციელდება და, ამგვარად, უფრო ძნელი ხდება იმის მტკიცება, რომ მხოლოდ პროგრამას შეუძლია სამყაროს შეცვლა.

კიდევ ერთი სიახლე, რომელსაც მონიტორინგისა და შეფასების აქცენტი ადამიანებზე გადააქვს და პროგრამას უკანა პლანზე აყენებს, არის ყველაზე მნიშვნელოვნი ცვლილების ტექნიკა (MSC). ეს არის მონაწილეობითი მონიტორინგისა და შეფასების ფორმა, რომელიც მონაცემებისა და ინფორმაციის შეგროვების ნაცვლად ისტორიების შეგროვებას ისახავს მიზნად (დავიესი და დარტი, 2005). შეფასების შეკითხვა მარტივია: როგორ ფიქრობთ, ბოლო (*თვის, კვარტალის, წლის)* განმავლობაში რა იყო ყველაზე მნიშვნელოვანი ცვლილება (*დაასახელეთ ცვლილება რომელიმე სფეროში, მაგალითად, ჯანდაცვაში, ურთიერთობებში* და *სხვა*)? ამ შეკითხვას ყველა იმ ცვლილების შესახებ მოყოლით პასუხობს, რომელიც, მათი აზრით, ყველაზე მნიშვნელოვანი იყო. შემდეგ თემი განიხილავს ამ ისტორიებს და საბოლოოდ ადგენს, თუ რომელი ცვლილება იყო ყველაზე მნიშვნელოვანი.

ამ პროცესის მონაწილეები ადამიანები არიან და ინფორმაცია მათ მიერ მოყოლილი ისტორიების ფორმატით არის გადმოცემული, ანუ ეს თემის თვალსაზრისია და, საბოლოო ჯამში, ყველაზე მნიშვნელოვანია. ეს მარტივი შეკითხვა გვეხმარება გამოვავლინოთ მოულოდნელი ცვლილებები და დავინახოთ, თუ რა ფასეულობებით ზომავს თემი ცვლილებებს. MSC ტექნიკა არ მოითხოვს რაიმე სპეციალურ პროფესიონალურ უნარებს. მისი გამოყენება ადვილია. ეს ინსტრუმენტი არ არის საჭირო მარტივი ტექნიკური პროგრა-

მებისათვის, რომლებსაც რაოდენობრივი მონაცემების მოძიება სჭირდებათ. ასეთია, მაგალითად, ვაქცინაციის კამპანია. მაგრამ მოცემული ინსტრუმენტი უაღრესად ეფექტურია კომპლექსური პროგრამებისათვის, რომელთა ფარგლებში განვითარების მრავალი სხვადასხვა შედეგი უნდა იყოს მიღებული (დავიესი და დარტი, 2005, 12).

იდენტობის აღდგენა და დანიშნულების გააზრება

როდესაც სიღარიბის არსს ვაანალიზებდით, ჩვენ დავასკვენით, რომ ყველაზე ფუნდამენტურ დონეზე ღარიბები შელახული ღირსებისა და დაბალი თვითშეფასებისაგან იტანჯებიან. შესაბამისად, განვითარების პროცესი და მის შედეგად შემუშავებული პროგრამა ისე უნდა გავიაზროთ, რომ უფალმა დახმარება გაუწიოს ღარიბებს ღირსების დაბრუნებასა და ჭეშმარიტი დანიშნულების გაგებაში. ამ საკითხზე რეფლექსიის მიზნით შერჩეული შეკითხვები დაახლოებით შემდეგი უნდა იყოს: ვხედავთ ადამიანების შელახული ღირსების აღდგენის ნიშნებს? როგორ შეიცვალა ადამიანების თვითშეფასება? გრძნობენ ისინი, რომ უფალი და მათ გარშემო არსებული სამყარო მათ უფრო პოზიტიურად აფასებს? დაინახეს თუ არა მათ, რა ნიჭი და უნარები მისცა უფალმა და რამდენად ღირებულია მათი კულტურა? იქცევიან ისინი ისე, როგორც საზოგადოების სრულფასოვანი წევრები, რომლებსაც წვლილის შეტანა შეუძლიათ საზოგადოების კეთილდღეობაში? ხედავენ ღარიბები საკუთარ თავს საკუთარი განვითარების პროცესის ლიდერებად და მამოძრავებელ ძალად?

აღსანიშნავია, რომ იდენტობისა და დანიშნულების საკითხი შეძლებულებისათვისაც აქტუალურია, მაგრამ ამ შემთხვევაში სხვა შეკითხვების დასმაა საჭირო. მოხდა ცვლილებები შეძლებულების ქცევაში? მზად არიან ისინი, სხვებსაც გაუნაწილონ თავიანთი პრივილეგიები და იზრუნონ სხვა ადამიანებზე? ნაკლებად ცდილობენ ისინი, რომ ღმერთის როლი შეასრულონ ღარიბების ცხოვრებაში? აცნობიერებენ, რომ ღარიბებიც უფლის შვილები არიან? აცნობიერებენ, რომ ღარიბებსაც აქვთ ნიჭი და უნარები და მათაც შეუძლიათ წვლილის შეტანა საზოგადოების განვითარებაში? ესმით შეძლებულებს, რომ განვითარების ძირითადი ხელშემწყობია ღარიბების ღირსებისა და თვითშეფასების აღდგენა?

დასკვნა მარტივია, უნდა შეფასდეს შემდეგი ასპექტი: ყველამ, ღარიბმაც და შეძლებულმაც, ისწავლა უფლისა და მოყვასის სიყვარული?

სამართლიანი და მშვიდობიანი ურთიერთობები

ჩვენი საუბარი სიღარიბის თემაზე დავასრულეთ იმის აღნიშვნით, რომ სიღარიბის გამომწვევი მიზეზი ყველაზე ფუნდამენტურ დონეზე არაეფექტურ და უსამართლო ურთიერთობებშია, რომელთა შედეგად ყველა ვერ სარგებლობს იმ სიკეთეებით, რომლებიც მხოლოდ ადამიანების მცირე ჯგუფისთვისაა მისაწვდომი. საკუთარ თავთან, სხვებთან, გარემოსა და უფალთან ასეთი ნაკლული ურთიერთობების შედეგია ძალადობა, კონფლიქტები, სიხარბე, რასიზმი, სიღარიბე, ჩაგვრა და მარგინალიზაცია. ეს ნიშნავს, რომ ტრანსფორმაციული რეფლექსიის საკვანძო ელემენტია ამ ურთიერთობებისა და მათი გარდაქმნის შეფასება. საბედნიეროდ, მონიტორინგისა და შეფასების უახლესი

ინსტრუმენტები, რომლებიც ზემოთ განვიხილეთ, ამ შეფასებას არსებითად აადვილებს, რადგანაც ეს ინსტრუმენტები აქცენტს სწორედ იმაზე აკეთებს, თუ როგორ უნდა გარდაიქმნან ადამიანები.

არსებობს კიდევ ერთი გზა, რომელიც გვეხმარება ასეთი სახის ცვლილებების შესახებ ინფორმაციის მოძიებაში. ურთიერთობები, რომლებიც არ მუშაობს, პოზიტიური ფასეულობების შეცვლასა და დამახინჯებას იწვევს. ადამიანებს შეიძლება სწამდეთ ისეთი ღირებულებების, როგორებიცაა ლოიალურობა და გულმოწყალეობა, მაგრამ მათ წარმოსახვაში ეს ფასეულობები სახეცვლილია და, შესაბამისად, სოციალური სიკეთე ვერ მოაქვს. შესაბამისად, ღირებულებების ცვლილება უაღრესად მნიშვნელოვანი ინდიკატორია იმისა, თუ რამდენად მოძრაობს თემი უფლის სასუფევლისაკენ.

ევანგელიზმის მიმდევრების ინდოეთის დახმარების კომიტეტმა (EFICOR) თემზე დაფუძნებული პროცესი შეიმუშავა, რომელიც იმ ღირებულებების ტრანსფორმაციის შეფასების საშუალებას იძლევა, რომლებიც უფრო მეტადაა ორიენტირებული უფლის სასუფევლის მიღწევაზე. ეს უაღრესად სასარგებლო ინსტრუმენტია ქრისტიანულ კონტექსტში (იხილეთ დიაგრამა 9-5).

ღირებულება	**დღევანდელი გარდატეხილი (შეცვლილი) წარმოდგენა**	**უფლის სასუფევლის მსგავსი ვერსია**
ლოიალურობა	მხოლოდ ჩვენი ოჯახი	თემის ყველა წევრისთვის
ადამიანის აზრი	მხოლოდ ძალაუფლების მქონე ადამიანები არიან მნიშვნელოვანი	ყველა ქალი, კაცი და ბავშვი
თანაგრძნობა	იმათ მიმართ, რომლებსაც ჩვენი დახმარება შეუძლიათ	გასაჭირში მყოფებისათვის
მონანიება	მხოლოდ თუ გამოავლენენ ტყუილს	პირადი პასუხისმგებლობა
პატიება	მხოლოდ ჩვენი თანასწორებისათვის	ყველასი, ვინც გვაწყენინა ან გვავნო
თანაგრძნობა	მხოლოდ ჩვენი ოჯახის წევრებისათვის	ყველასთვის, ვინც გასაჭირშია
თანასწორობა	მხოლოდ იმათთვის, ვისაც მიწა აქვს	ყველასთვის, ვინც გასაჭირშია
სამართლიანობა	მხოლოდ ძლიერებისათვის ოჯახში	ყველა კაცისა და ქალის, ყველაზე დაუცველისთვისაც
მშვიდობა		თემსა და მსოფლიოში

დიაგრამა 9-5: ღირებულებები, რომლებსაც უფლის სასუფევლისაკენ მივყავართ

რავი ჯაიაკარანმა ათი თესლის სავარჯიშო შეიმუშავა, რომელიც თემს საშუალებას აძლევს, ურთიერთობების თვალსაზრისით ფასულობების შეცვლა გააანალიზოს. პირველ რიგში, თემი იმ ღირებულებების იდენტიფიცირებას ახდენს, რომლებიც მათთვის მნიშვნელოვანია, ხოლო შემდეგ იგი თავის კრიტერიუმებს შეიმუშავებს ამ ღირებულებების შესაფასებლად. დაბოლოს, თემი გადაწყვეტილებას იღებს, თუ როგორ უნდა განაწილდეს ეს ათი მარცვალი იმ სფეროებზე, რომლებშიც ამავე თემს ცვლილებების გამოწვევა სურს. თუ თემი გადაწყვეტს, რომ კონკრეტული ცვლილება უკვე სახეზეა, მარცვლები უფრო დიდი წრისა და პატარა წრეების გადაკვეთის ადგილას მოთავსდება. თესლების რაოდენობა აღნიშნავს იმ მოსახლეობის პროცენტულ მაჩვენებელს, რომელსაც მიაჩნია, რომ ეს ცვლილება სახეზეა (იხილეთ დიაგრამა 9-6).



დიაგრამა 9-6: ურთიერთობებში მომხდარი ცვლილებების შეფასება (ჯაიაკარანის ადაპტირებული ვერსია, 2007, 58)

ჩვენ, ასევე, აღვნიშნეთ, რომ სიღარიბის მიზეზი წმინდად სულიერია. შესაბამისად, ტრანსფორმაციული რეფლექსია თემს თავისი მსოფლმხედველობისა და მრწამსის ტრანსფორმაციის შეფასების საშუალებას უნდა აძლევდეს. არის კი მის მსოფლმხედველობაში ისეთი ელემენტები, რომლებიც აფერხებს მათ კეთილდღეობასა და ცვლილებებს მათში? გაიაზრა თემმა, ვინ არის მისი ისტორიის რეალური ავტორი? მიმდინარეობს თემში ახალი ტრანსფორმაციული ისტორიის შექმნა? შემცირდა სულების სამყაროს მიმართ შიში? სოციალური და რელიგიური პრაქტიკა უფრო მეტად უწყობს ხელს ადამიანების გათავისუფლებასა და განვითარებას? ამოიცნობენ ადამიანები უფრო ადვილად

სიცრუეს, რომელიც მათ მდგომარეობას აუარესებს? მსოფლმხედველობის გარდაქმნაზე უფრო დეტალურად მომდევნო თავში ვისაუბრებთ.

სოციალური ინსტიტუტები

თუ შეძლებულების ღმერთის კომპლექსი იმ სისტემებისა და სტრუქტურების მეშვეობითაა გამოხატული, კერძოდ კი, ამ სისტემებში მოღვაწე ადამიანების მიერ, რომლებსაც ძალაუფლება აქვთ, მაშინ ცვლილებების მდგრადობის კიდევ ერთი ინდიკატორი უნდა იყოს სოციალური სისტემებისა და სტრუქტურების გარდაქმნის ხარისხი. შესაბამისად, რეფლექსიის პროცესში შემდეგი შეკითხვები უნდა დაისვას: სისტემები და სტრუქტურები გარეთაა მიმართული თუ თავის თავში არიან ჩაკეტილი და მხოლოდ სკუთარი პრობლემები აინტერესებთ? უწყობენ ისინი ხელს ადამიანების კეთილდღეობას? ჩანს რაიმე ნიშნები, რომ ეს სისტემები გამოდის იმ მდგომარეობიდან, რომელსაც უინქი "ილუზორულ ვარაუდს" უწოდებს? ჩანს ნიშნები, რომ შეძლებულები საშუალებას აძლევენ ღარიბებს, თავად განსაზღვრონ თავიანთი ისტორია და მომავალი? არის მონანიების ნიშნები და სურვილი, რომ შეძლებულებმა აღარ ითამაშონ ღმერთის როლი სხვა ადამიანების ცხოვრებაში?

ვინ შეიცვალა?

გარდა იმისა, რომ ჩვენ უნდა გამოვავლინოთ, თუ რა შეიცვალა, უნდა გავარკვიოთ, თუ ვინ შეიცვალა და რანაირად. ამ საკითხს ორი ასპექტი აქვს. პირველი ეხება ადამიანებსა და მათ მიერ საკუთარი თავის გააზრებას, ანუ ვინ არიან ისინი სინამდვილეში და რა ჰგონიათ მათ თავიანთი დანიშნულება. ეს არის იდენტობისა და დანიშნულების საკითხი. ჩვენ ამ საკითხს მომდევნო თავში ისევ დავუბრუნდებით. მეორე ასპექტი ეხება თემში არსებულ ჯგუფებს, ანუ რომელი ჯგუფები შეიცვალა და რანაირად. ზოგადი შეფასებები დაგვანახვებს, თუ როგორ შეიცვალა თემი, როგორც ერთი მთლიანობა. ეს, უმეტესწილად, ნიშნავს თემის იმ ნაწილის ცვლილებაზე საუბარს, რომელსაც თავისი აზრის თქმის უფლება აქვს. ესენი კი, ძირითადად, მამაკაცები და შეძლებულები არიან. შეფასების პროცესში თემის სხვა წევრებიც უნდა ჩავრთოთ, მაგალითად, ქალები და ბავშვები. შეკითხვები, რომლებიც უნდა დავსვათ, იმისდა მიხედვით შეიცვლება, თუ რომელ ჯგუფს ვესაუბრებით.

ძალაუფლების მქონე შეძლებულებისათვის რეფლექსიისმიერი შეკითხვები დაკავშირებულია ფასეულობებსა და შესაძლებლობებთან. როგორ ჰგონიათ მათ, ვინ არის მათი სიმდიდრისა და სტატუსის წყარო? რას ნიშნავს შესაძლებლობებისა და პოზიციის პროდუქტიულად გამოიყენება? ვის ეკუთვნის სოციალური, პოლიტიკური და ეკონომიკური ძალაუფლება და რისთვისაა იგი? როგორ იყენებენ ისინი თავიანთ სიმდიდრეს, პოზიციასა და პრივილეგიებს? თუ ტრანსფორმაციულ ურთიერთობებში მთლიანობა და მიუკერძოებლობა იქნება მიღწეული, პროცესის ყველა მონაწილემ უნდა იგრძნოს ტრანსფორმაციის შედეგები. ეს ნიშნავს, რომ ჩვენ უნდა მოვძებნოთ იმის შეფასების გზები, თუ როგორ იცვლება თავად განვითარების პრაქტიკოსი და სააგენტო. რა ვისწავლეთ? რა ვერ დავინახეთ იმაში, რაც თემს უნდა, რომ ჩვენამდე მოიტანოს? ამ ადამიანებს საშუალება უნდა მივცეთ, შეაფასონ ჩვენი

შესრულებული სამუშაო. ის გავაკეთეთ, რასაც ჩვენგან ელოდნენ? ამას ისე ვაკეთებდით, რომ ადამიანების უფლებამოსილებას ვზრდიდით თუ, პირიქით, ეს ადამიანები ჩვენზე უფრო დამოკიდებულები გავხადეთ? წარმოიდგინეთ შეხვედრა, რომელზეც თემს ვეუბნებით, რომ ის, რასაც ჩვენ ვაკეთებთ, მათ დაეხმარება. შემდეგ ისინი გვეუბნებიან თავიანთ აზრს, თუ რამდენად კარგად გამოგვივიდა ეს ყველაფერი. რა მოხდება, თუ ჩვენ ჩამოვაყალიბებთ ტრანსფორმაციის ჩვენეულ მოაზრებას, უკეთესი მომავლის ხედვას, ჩვენს აზრს უფლის სამეფოს ფასეულობების შესახებ და შემდეგ მივცემთ თემს იმის საშუალებას, რომ თავად განსაზღვრონ, რამდენად გამოგვივიდა ეს ყველაფერი და რას ფიქრობენ ისინი ჩვენს ხედვასა და ფასეულობებზე?

მინდა შეგახსენოთ კორტენის აზრი განვითარების სააგენტოებთან დაკავშირებით. იგი ამბობს, რომ მათ სიღარიბისა და განვითარების შესახებ თავიანთი აზრები მკაფიოდ უნდა ჩამოაყალიბონ და ისინი ადამიანებს გააგებინონ (1990). ღარიბებს უფლება აქვთ იცოდნენ, თუ რა უდევს საფუძვლად სპეციალისტების მათ თემთან მუშაობას. მე მგონია, რომ ასე ჩვენ ძალიან ბევრ რამეს გავიგებთ და ვისწავლით.

რას ვაკვირდებით და ვაფასებთ?

ის, რას ვაკვირდებით და ვაფასებთ, იმაზეა დამოკიდებული, თუ რისი გაკეთება აქვს დაგეგმილი თემს. პირველ რიგში, პროცესი უნდა დაიწყოს იმის შესწავლით, თუ როგორ ხედავს თემი უკეთეს მომავალს და რა ფასეულობებია მისთვის მნიშვნელოვანი. შესაბამისად, დისკუსიის აქცენტი ადამიანებზეა ორიენტირებული და შეფასების პროცესი თემზეა დაფუძნებული. არ უნდა დავივიწყოთ, რომ თემს ცენტრალური ადგილი უჭირავს ამ პროცესში, მაგრამ ეს არ უნდა იყოს ერთადერთი პრიზმა, საიდანაც შეფასებს ვატარებთ.

სააგენტოებს შეუძლიათ სიღარიბისა და განვითარების შეფასების თავიანთი ჩარჩო გამოიყენონ პროგრამის შეფასებისთვის. მაგალითად, ჯაიაკუმარ ქრისტიანმა სიღარიბის ინტერპრეტაციისას განაცხადა, რომ ეს არის უფლებამოსილებების შეზღუდვის სისტემა (დიაგრამა 4-6). 1990-იანი წლების ბოლოს მან ჰოლისტიკური შეფასების ჩარჩო შემოგვთავაზა, რომელიც ჩრდილოეთ ინდოეთში გამოიყენა (დიაგრამა 9-7).

განვითარების სააგენტოები ხშირად ორგანიზაციული ზეგავლენის შეფასებას საკუთარ მისიაზე, ხედვასა და ფასეულობებზე დაყრდნობით ახორციელებენ. ასეთი მიდგომა მათ მიერ განხორციელებულ ყველა პროგრამაზე ვრცელდება მუშაობის ზოგადი ეფექტურობის შესაფასებლად. ბავშვთა დახმარების ქრისტიანულმა ფონდმა, რომლის ძირითადი მიზანია ბავშვების კეთილდღეობაზე ზრუნვა, 1990-იან წლებში შეფასების შემდეგი ჩარჩო შემოგვთავაზა:

- იმუნიზაციით მოსახლეობის მოცვა.
- არასათანადო კვება (აქცენტირებულია საშუალო და მწვავე სიმძიმის შემთხვევები).
- დიარეის მართვის პროცესში ორალური რეჰიდრაციის თერაპიის შესახებ ცოდნა.

- მწვავე რესპირატორული დაავადებების მართვა.
- უსაფრთხო სასმელი წყლის მისაწვდომობა.
- უსაფრთხო სანიტარული პრაქტიკის დანერგვა.
- წერა-კითხვის სწავლება (აქცენტირებულია ქალების სწავლება).
- ფორმალურ და არაფორმალურ განათლების სექტორში მოსწავლეების რაოდენობა (აქცენტირებულია დაწყებით განათლება) (CCF 1996).

World Vision International-მა თემებისა და სააგენტოების მიზნებისა და გეგმების დაახლოების ხელშეწყობის მიზნით ტრანსფორმაციული განვითარების ინდიკატორების წყება შეიმუშავა, რომლებიც მის მიერ განხორციელებულ პროგრამებთან მიმართებით გამოიყენება. ამ ინდიკატორების მიზანია თემების დახმარება მათი განვითარების ტრაექტორიის შეფასებაში. ინდიკატორების მიზანია აგრეთვე იმ ასპექტების გაზომვა, რომლებიც ყველაზე მნიშვნელოვანია. ეს გახლავთ ცხოვრების ხარისხის შეცვლა. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, პროგრამის ზეგავლენა შეიძლება შეფასდეს იმ თვალსაწიერიდან, თუ რა შეიცვალა თემის ცხოვრებაში პროგრამის პირდაპირი ზეგავლენის შედეგად და რა შეიცვალა სხვა ფაქტორების ზეგავლენით (დიაგრამა 9-8).

ტრანსფორმაციული განვითარების პროგრამა მიმართულია შემდეგი მიზნების მიღწევაზე:

ღარიბების შელახული ღირსების აღდგენაზე?

- ღარიბებისთვის მუდმივად იმის ჩვენებაზე, რომ ისინი უფლის ხატების მსგავსად არიან შექმნილი?
- ღარიბებისთვის მათი იდენტობის გამყარებაზე, რათა მათ გააცნობიერონ, რომ უფლის შვილები არიან და მათ უნარები და ნიჭი აქვთ?
- აძლევს ღარიბებს საშუალებას, დაინახონ უფლის როლი თავიანთ ისტორიაში?
- ტარდება იმედზე დაფუძნებული მოქმედებები ცვლილებების მისაღწევად?
- საშუალებას აძლევს ღარიბებს, იმოქმედონ სტრუქტურებისა და სისტემების ზეგავლენის აღმოსაფხვრელად და შიდა პრობლემების მოსაგვარებლად?

ეხმარება პროგრამა ღარიბებს ღმერთის კომპლექსებთან ბრძოლაში, რომლებიც ღარიბებსაც და შეძლებულებსაც მახეში ამწყვდევს?

- გვაძლევს იგი საშუალებას, შევზღუდოთ ღმერთის კომპლექსების ზეგავლენა, რომელთა გამო ღარიბების მდგომარეობა უარესდება?
- გამოვლინდა ძალაუფლებაზე დამყარებული ურთიერთობების ტრანსფორმაციის ნიშნები?
- პროგრამა ამყარებს აზრს, რომ უფალი ძლევამოსილია და ძალაუფლება მას ეკუთვნის?
- ხელს უწყობს ძალაუფლებასა და ჭეშმარიტებასთან დაკავშირებული საკითხების გადასინჯვას?

აკეთებს პროგრამა აქცენტს ბოროტებისა და სიცრუის გავლენის სფეროების გამოვლენაზე და ამასთან დაკავშირებით საპასუხო მოქმედებებზე?

- ხდება უფლის როლის გამყარება და იმის განმარტება, რომ უფალია მათი ცხოვრების გამგებელი?
- სიცრუის მახე და ბოროტების გავლენის სფეროები გამოვლენილია?
- ადამიანები უკეთ აცნობიერებენ უფლის ძლევამოსილების წინაშე ბოროტი ძალების უძლურებას?

მსოფლმხედველობის რკალში შემოჭრილი არაადეკვატურობა გამოვლენილი და ტრანსფორმირებულია?

- ჩატარდა ღარიბებისა და შეძლებულების მსოფლმხედველობის ანალიზი?
- პროგრამა გამოწვევას უქმნის რეალობის სხვადასხვა ასპექტს, რომლებიც სიღარიბეს ამყარებენ?
- საშუალებას აძლევს ის ღარიბებს, უკეთესი მომავალი წარმოიდგინონ?
- ხელს უწყობს ის იმედის ჩასახვას ამ ადამიანებში?
- ხელს უწყობს ძალაუფლების ხელახალ გააზრებასა და გადანაწილებას?
- ასწავლის იგი ჭეშმარიტ სიტყვას? აკავშირებს სიტყვას კონტექსტთან? ხდება მსოფლმხედველობის გაანალიზება და კრიტიკა?

პროგრამა ხელს უწყობს სამართლიანი და მშვიდობიანი ურთიერთობების აღდეგნას?

- ახდენს სიმართლის დეკლარირებას ადამიანების ურთიერთობების თაობაზე?
- გამოავლენს სიმართლეს საჯარო სფეროსთან დაკავშირებით?
- ხელს უწყობს საზოგადოების გამთლიანებას?
- ხელს უწყობს ისეთი ურთიერთობების დამკვიდრებას, რომლებიც ყველასთვის მომგებიანია?
- ხელს უწყობს ცუდი ურთიერთობების გამოსწორებას?

პროგრამის ფარგლებში გამოიყენება ქრისტიანული განვითარების პრაქტიკა?

- მიდგომები პროფესიონალურია?
- ლოცვა და მარხვა გამოიყენება, როგორც სოციალური მოქმედებების ინსტრუმენტები?
- იყენებს სულიერ ინსტრუმენტებს განვითარების პროცესში?
- პერსონალს უფლის საჭურველს აძლევს?

დიაგრამა 9-7: ერთგვაროვანი მიდგომა ჰოლისტიკური შეფასებისადმი (ქრისტიანის დიაგრამის ადაპტირებული ვერსია, 1998ბ)

ბიჭების, გოგონებისა და მათი ოჯახების კეთილდღეობა	
კვება	6-59 თვის იმ ბიჭებისა და გოგონების პროცენტული მაჩვენებელი, რომლებიც ფიზიკური განვითარების თვალსაზრისით ჩამორჩებიან.
წყალი	ოჯახების %, რომლებსაც მთელი წლის განმავლობაში აქვთ უფრო უსაფრთხო სასმელი წყლის მისაწვდომობა.
განათლება	ბიჭების % და გოგონების %, რომლებიც 6-წლიან ფორმალურ განათლებას იღებენ ან დაასრულეს სწავლა.
დიარეის მართვა	0-დან 59 თვემდე ბავშვების რაოდენობა, რომლებსაც დიარეა ჰქონდათ ბოლო 2 კვირის განმავლობაში და რომელთა დაავადება სათანადოდ იყო მართული.
იმუნიზაცია	12-13 თვის ბავშვების პროცენტი, რომლებმასც სრული იმუნიზაცია გაიარეს.
ოჯახები	ყველაზე მოწვლადი ოჯახების %.
ოჯახების მდგრადობა	ოჯახების %, რომლებმაც გარეშე და/ან გარემოსდაცვითი რისკების მართვის სტრატეგია დანერგეს ბოლო წლის განმავლობაში.

ტრანსფორმირებული ურთიერთობები	
სხვებზე ზრუნვა	კაცები, ქალები და ბავშვები აცნობიერებენ, რომ მათ უნდა იზრუნონ სხვებზე და სხვებიც იზრუნებენ მათზე. ასევე, საჭიროა ზრუნვა თემის რესურსებზე, გენდერულ ურთიერთობებზე, ბავშვების დაცვაზე, დაუცველ ადამიანებზე; საჭიროა კონფლიქტების პრევენციაზე ზრუნვა.
იმედის ჩასახვა	კაცებს, ქალებს და ბავშვებს უკეთესი მომავლის იმედი გაუჩნდათ, ისინი წარსულს და აწმყოს ახლებურად მოიაზრებენ, მათი სულიერება და თვითშეფასება გაიზარდა.
ქრისტიანობის ზეგავლენა	პროგრამით გათვალისწინებული ჯგუფების ქრისტიანული ფასეულობები და მიზანმიმართულება.

გაძლიერებული და ერთმანეთის დახმარებისაკენ მიმართული თემები	
თემის მონაწილეობა	კაცები, ქალები, ბიჭები და გოგონები აქტიურად იღებენ მონაწილეობას განვითარების ყველა ასპექტში, აქცენტი გაკეთებულია პროგრამების დაგეგმვაზე, განხორციელებაზე, მონიტორინგსა და შეფასებაზე.
სოციალური მდგრადობა	სათემო ორგანიზაციებს განვითარების პროცესებისა და მგრადობის უზრუნველყოფის შესაძლებლობები აქვთ.
მოქალაქეობა/ მართვა	მოქალქეობრივი დამოკიდებულება ეფექტურ მართვაში თემისა და ადამიანების როლისადმი.

დიაგრამა 9-8: ტრანსფორმაციული განვითარების ინდიკატორები
(World Vision International-ის ადაპტირებული ვერსია, 2003)

რამდენად მდგრადი იქნება ცვლილებები?

მე-5 თავში განვიხილეთ მდგრადობის 4 ასპექტი: ფიზიკური, მენტალური, სოციალური და სულიერი მდგრადობა. განვითარების უწყვეტი სწავლების პროცესში პერიოდულად ამ ოთხივე ასპექტის მდგრადობა უნდა შევისწავლოთ. ძალიან ხშირად ფიზიკური მდგრადობის მაჩვენებლები ადამიანებს იმის შეგრძნებას უქმნის, რომ ყველაფერი წესრიგშია. ეს არასწორია და ამის მაჩვენებელია ის, რომ ჩვენ დანარჩენი სამი ასპექტის მდგრადობაც გვჭირდება.

მენტალიტეტის მდგრადობა

მენტალიტეტის მდგრადობის სფერო გულისხმობს პასუხებს შემდეგ კითხვებზე: შეიცვალა თუ არა ადამიანების თვითშეფასება? მოხდა თუ არა მათ მიერ თვითღირებულების გააზრება? აქვთ თუ არა მათ უნარი, რომ ცვლილებები მდგრადი იყოს? რას იგებენ ახალს ადამიანები საკუთარ თავზე? როგორ შეიცვალა მათი თვალსაზრისი საკუთარ თავთან და მომავალთან დაკავშირებით? როგორ შეიცვალა მათ მიერ საკუთარი თავის აღქმა ანუ იმის გააზრება, თუ საიდან მოდიან, ან რისთვის არიან აქ მოვლინებულნი? როგორ შეიცვალა მათი მსოფლმხედველობა? ვისი ან რისი ეშინიათ? ვისზე ლოცულობენ და ვის ეთაყვანებიან? შეიცვალა მათ მიერ მიზეზ-შედეგობრივი კავშირების ინტერპრეტაცია? რას ან ვის მიაწერენ ისინი წარმატებას? არის რაიმე ნიშანი იმისა, რომ ისინი ახლებურად იაზრებენ საკუთარ ისტორიას?

სოციალური მდგრადობა

სოციალური მდგრადობის სფეროში უნდა შევაფასოთ, თუ რამდენად ჩამოყალიბდა სოციალურად მდგრადი გარემო, მოხდა თუ არა ძალაუფლების თვალსაზრისით ურთიერთობების ტრანსფორმაცია, სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბება, ადგილობრივი ინსტიტუტების გაძლიერება და სხვა. ასეთი ცვლილებების შეფასებაში ისეთი ინსტრუმენტები დაგვეხმარება, როგორებიცაა ARVIN-ი, CBPM-ი და შედეგების რუკის შედგენა.

სულიერი მდგრადობა

დაბოლოს, მდგრადობის სულიერი მხარე ხშირად პროცესების მიღმა რჩება ან, უბრალოდ, იმ ვიწრო თვალსაწიერიდან მოიაზრება, მიიღეს ადამიანებმა ჭეშმარიტი სარწმუნოება თუ არა. რასაკვირველია, ასეთი მიდგომაც სწორია, მაგრამ აქ გარკვეული საფრთხე იმალება. მხოლოდ სულიწმინდას აქვს უფლება, მოუწოდოს ადამიანს მონანიებისა და იესოს მიღებისაკენ. ადამიანების ძალისხმევა და, მით უფრო, განვითარების პროგრამები ვერ აიძულებს ადამიანებს სარწმუნოების მიღებას და ეს არც უნდა იყოს პროგრამების მიზანი. მაგრამ თუ პროგრამებს ქრისტიანები ადგენენ, არის გარკვეული ასპექტები, რომლებიც შეიძლება შეიცვალოს და რომლებიც შეფასებას ექვემდებარება.

მაგალითად, ჩვენ შეგვიძლია მოვუსმინოთ ადამიანებს, თუ რა გავლენა მოახდინა ჩვენთან თანამშრომლობამ და პროგამამ მათ მიერ სახარების გა-

აზრებაზე (ჯაიაკარანი, 2007). ამ საკითხების შესწავლის კიდევ ერთი გზაა ათი თესლის ტექნიკა, რომელიც თემს საშუალებას აძლევს, შეაფასოს თავისი დამოკიდებულება სახარებისადმი, ანუ: როგორ შეიცვალა მათი წარმოდგენა იესოსადმი პროგრამის მიომდინარეობისას (დიაგრამა 9-9). 9-9 დიაგრამის მარცხენა მხარეს ასახულია თემის შეფასება, თუ როგორ შეიცვალა მათი დამოკიდებულება იესოსადმი. პროგრამის შედეგად თემის ნაწილს უფრო უარყოფითი დამოკიდებულება გაუჩნდა იესოსადმი, ხოლო მეორე ნაწილი ნაკლებად უარყოფითადაა განწყობილი. ასეთი შედეგი საშუალებას გვაძლევს, თემთან გავმართოთ დიალოგი, თუ როგორ ხსნის თემი ასეთ უცნაურ შედეგს. პასუხი საინტერესოა, რადგანაც, შესაძლოა, მან (პასუხმა) ქრისტიანობის ქადაგების სტრატეგია შეგვაცვლევინოს.

შეიძლება სახარების შესახებ ცოდნის შეფასებაც საინტერესო და სასარგებლო იყოს. დიაგრამის მარჯვენა მხარეს ნაჩვენებია, რომ იესოსა და სახარების შესახებ ცოდნა, გარკვეულწილად, გაუმჯობესდა. შეგვიძლია გამოვთქვათ იმედი, რომ ასეთ ცვლილებას ქრისტიანებთან რეგულარული კონტაქტი და მათი ქრისტიანული მოქმედებები განაპირობებს. თემი, რომელიც სახარებას არ იცნობს, არ უნდა განვსაჯოთ იმის გამო, რომ იგი ცვლილებას არ განიცდის. ამ შემთხვევაში სტრატეგიის შეცვლა და ლოცვა უფრო დაგვეხმარება.



დიაგრამა 9-9: სახარებისადმი დამოკიდებულება და მისი არსის შეცნობა (ათი თესლის სავარჯიშოს შედეგები)

საბოლოო ჯამში, გამოდის, რომ ეკლესია მხოლოდ ღარიბებისათვის წარმოადგენს ფასეულობას, თუ იგი მათ იმ ჭეშმარიტებას ამცნობს, რომლის შედეგადაც მათი სიღარიბე შემცირდება. ეკლესია მათ ცხოვრებაში დადებით როლს თამაშობს, რადგან იგი მათ ურთიერთობების აღდგენაში, ჭეშმარი-

ტების დადგენასა და სამართლიანობისა და მშვიდობის დამყარებაში ეხმარება. მაგრამ თუ ქრისტიანები სახარების მთელ ტექსტს არ გაითავისებენ და იესოს პიროვნებას მთლიანად არ მიიღებენ, მაშინ სახარების სული და მსოფლმხედვალობა მათთვის შეუცნობელი დარჩება. უნდა გამოვარკვიოთ, თემის ქრისტიანი წევრები არიან თუ არა ჰოლიზმის მიმდევრები, ანუ უყვართ თუ არა უფალი, მოყვასი; ქადაგებენ სახარების ჭეშმარიტებას და განიცდიან ტრანსფორმაციას?

ერთ-ერთი გზა, რომ არაპირდაპირი მინიშნება მივიღოთ, თუ როგორია თემის ან ადგილობრივი ეკლესიების დამოკიდებულება იესოსადმი და შეიცვალა თუ არა იგი პროგრამის შედეგად, არის ათი თესლის მეთოდი. თუ 9-10 დიაგრამაზე მოცემულ შედეგებს შევხედავთ, პროგრამის შედეგად ადგილობრივი ეკლესიებისა და ქრისტიანების განწყობილება, გარკვეულწილად, გაუმჯობესდა. ეს დიაგრამები საინტერესო იდეებს გვაწვდის იმის თაობაზე, თუ რა საკითხებზე უნდა გავმართოთ დიალოგი თემთან, რომ გავიგოთ, რა სახის ცვლილებები განხორციელდა. თემის აზრის გაგება ამ საკითხებზე დაგვეხმარება გავარკვიოთ, რა იყო ამ ცვლილებების განმაპირობებელი და ყველაზე მნიშვნელოვანი მიზეზი.



დიაგრამა 9-10: დამოკიდებულება ქრისტიანებისა და ეკლესიისადმი

არსებობს კიდევ სამი სფერო, რომლებშიც სულიერი მდგრადობის შეფასება ძალიან სასარგებლოა. ეს არის უფლისადმი დამოკიდებულება, მსოფლმხედველობის გარდაქმნა და იმის გარკვევა, თუ ვის დამსახურებას უნდა მიეწეროს პოზიტიური ცვლილებები. ამ მიზნით შეიძლება ფოკუს-ჯგუფების მეთოდი გამოვიყენოთ, რათა გავარკვიოთ, განიცდიან თუ არა ადამიანები გარდაქმნას უფლისადმი დამოკიდებულებასაში და ყოველდღიურ ცხოვრებაში. ისინი უკეთესად თუ უფრო ნაკლებად აცნობიერებენ უფლის მოღვაწეობას? როგორ შეიცვალა მათი დამოკიდებულება უფლისადმი? შეიცვალა ჩვენი დამოკიდებულება უფლისადმი?

ფოკუსჯგუფები და ათი თესლის მიდგომა ფასეულობებისა და მსოფლმხედველობის შეცვლის შესაფასებლადაც შეგვიძლია გამოვიყენოთ. ადგილობრივების მსოფლმხედველობა ისე შეიცვალა, რომ იგი ხელს უწყობს ადამიანების კეთილდღეობას? უარს ამბობენ ისინი ისეთ პრაქტიკაზე, რომელიც ადამიანების უფლებამოსილებას ზღუდავს? ჩნდება თუ არა სიმართლის ისეთი სისტემა, რომელიც პოზიტიური ცვლილებების გამყარებას უწყობს ხელს? (დიაგრამა 9-6). არსებობს თუ არა თემში ფასეულობების ჩამოყალიბების მექანიზმი, რომელიც მისი კეთილდღეობის გაუმჯობესებას ემსახურება?

არსის ერთობლივი ძიება

დაბოლოს, როდესაც ცვლილებები განხორციელდება, საჭიროა არსის ერთობლივად ძიება. როდესაც მანამდე უცვლელი რაღაც იცვლება, ადამიანები ცდილობენ, ამას ახსნა მოუძებნონ. მაგალითად, იმუნიზაციის კამპანიის დასრულების შემდეგ ჩვენი შეფასება არ უნდა შემოვფარგლოთ მხოლოდ იმით, თუ რა მასშტაბი ჰქონდა ამ პროცესს. ისიც უნდა გავარკვიოთ, თუ როგორ ესმით ადგილობრივებს იმუნიზაცია და მისი ეფექტურობის მიზეზები. როდესაც ბავშვები აღარ ხდებიან ავად და აღარ იხოცებიან 6 საყმაწვილო სენისაგან, რა მიაჩნიათ მათ (ადგილობრივებს) ამის მიზეზად? თუ მათი პასუხია მაგიური ძალა ან თანამედროვე მეცნიერება, მაშინ გამოდის, რომ თემმა დაავადებებისაგან ეფექტური დაცვა მიიღო და მოუძებნა ახსნა, რომელიც ან პრემოდერნისტულია, ან მოდერნისტული, მაგრამ ჭეშმარიტად ქრისტიანული არც ერთ შემთხვევაში არ არის. ასეთ შემთხვევაში ჩვენ საინტერესო შეკითხვა გვებადება. როდესაც თემი პროგრამის ზეგავლენას აფასებს, ვის ან რას მიაწერს ის ცვლილებებს? ვის დამსახურებად მიიჩნევს იგი ამ ცვლილებებს?

ათი თესლის სავარჯიშო დაგვეხმარება გავიგოთ, თუ რას ფიქრობს თემი (დიაგრამა 9-11). ამ შემთხვევაში პასუხი შერეულია. თემის ზოგი წევრი ცვლილებებს გარეშე ფაქტორებს, ანუ პროგრამას, განვითარების ექსპერტებს ან სააგენტოს ტექნოლოგიებს მიაწერს. დანარჩენები ცვლილებებს ადგილობრივი ღმერთებისა და სულების დამსახურებად მიიჩნევენ. ამ ცვლილებების გამომწვევად ბიბლიური ღმერთი არავის მიაჩნია. ამგვარად, პროგრამა ტექნიკურად ეფექტური იყო, მაგრამ, მიუხედავად ამისა, იგი ადამიანებს ვერ ანახვებს კავშირს ამ ცვლილებებსა და ბიბლიურ ღმერთს შორის, ანუ თანამედროვე მედიცინის ეფექტურობასა და ღმერთს შორის კავშირი ადამიანებისათვის ნათელი არ არის.

შეგახსენებთ, რომ ამ სახის შეფასებისას ჩვენი მიზანია უკეთ გავიგოთ, თუ როგორ გავხდეთ უფრო ეფექტურები. შეიძლება ჩვენს თავს დავუსვათ შეკითხვა, თუ რატომ არის დიაგრამაზე ასეთი შედეგები, მაგრამ ადამიანების არჩევანი კითხვის ნიშნის ქვეშ არ უნდა დავაყენოთ. თუ იმ პასუხს მივიღებთ, რომელსაც ველით, შეგვიძლია უფალს მადლობა შევწიროთ. თუ ასეთი პასუხი ვერ მივიღეთ, მაშინ კიდევ ერთხელ უნდა გავაანალიზოთ ჩვენი მოქმედებები და ის პირდაპირი თუ არაპირდაპირი გზავნილი, რომელსაც, შესაძლოა, ამ ადამიანებს ვაწვდიდით. იქნებ არ იყო ეს გზავნილი მართებული, რის გამოც ჩვენთვის არასასურველი პასუხები მივიღეთ.

ვის მიეწერება პოზიტიური ცვლილებების გამოწვევის დამსახურება?

დიაგრამა 9-11: ვისი დამსახურებაა პოზიტიური ცვლილებები?

სულიერება და პროგრამების შეფასება

(თანაავტორი ლისა მაიერსი)

მინდა მონიტორინგთან, შეფასებასა და რეფლექსიასთან დაკავშირებით ბოლო დაკვირვება გაგიზიაროთ. არსებობს ერთი ცდუნება, რომლის შესახებაც აუცილებლად უნდა ვიცოდეთ, როდესაც ისეთი სულიერი ფაქტორების მონიტორინგსა და შეფასებას ვახორციელებთ, როგორიცაა თემის დამოკიდებულება ეკლესიის ან ბიბლიისადმი. საქმე ისაა, რომ ჩვენ შეფასებისას იმ ასპექტებით შემოვიფარგლებით, რომლებსაც ვხედავთ და რომელთა თაობაზეც ინფორმაცია გვაქვს, რომ დასკვნები გავაკეთოთ. ასეთი მიდგომის შემთხვევაში სულიერი ასპექტები საერთოდ არ არის გათვალისწინებული შეფასების პროცესში.

მონიტორინგის, შეფასებისა და რეფლექსიისადმი ჭეშმარიტად ქრისტიანული მიდგომა გულისხმობს უნარს, მოისმინო ის, რასაც უფალი გვეუბნება. უნდა ვეცადოთ, რომ დავინახოთ უფლის კვალი ჩვენს ცხოვრებაში, რადგანაც იგი ჩვენ გვერდითაა. ჩვენ უნდა უზრუნველვყოთ, რომ დამსახურება იმას მიეწეროს, ვისი ღვაწლითაც მოხდა მდგომარეობის გაუმჯობესება. ჩვენ უნდა ვისწავლოთ გაჩუმება და მოსმენა, მიუხედავად მთელი იმ ინფორმაციისა, რომელიც გვაქვს, რომ გავიგოთ ყველაზე მნიშვნელოვანი, რისთვისაც უფალს ჩვენი ყურადღების მიქცევა სურს. განვითარებისა და შეფასების სამუშაოსთან ერთად, უნდა ვილოცოთ და უფალს ვთხოვოთ, რომ დაგვეხმაროს, გვქონდეს თვალები, რომ დავინახოთ და ყურები, რომ გავიგონოთ. ჩვენ უნდა მოვუსმინოთ უფალს, რომ დაგვეხმაროს სწორი დასკვნების გაკეთებაში. ჩვენ უნდა მივმართოთ ბიბლიას, როგორც ცოცხალ სიტყვას, მონიტორინგის, შეფასებისა და რეფლექსიის პროცესში. რისი გაგონება შეგვიძლია, რაც დაგვეხმარება მივხვდეთ, თუ რა ცვლილებებია ყველაზე მნიშვნელოვანი?

სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მონიტორინგი, შეფასება და რეფლექსია, გარდა ამ მიდგომების შედეგად მიღებული ღონისძიებებისა და მათი შედეგების შეფასებისა, წარმოადგენს სულიერ სამუშაოს. გარდა ამისა, ეს ჯგუფური ძალისხმევაა და არა მხოლოდ ერთი სპეციალისტის ნააზრევი. ამგვარად, პრაქტიკოსი ჰოლისტიკოსისა და ადგილობრივი ქრისტიანების სულიერების გათავისუფლება უნდა მოხდეს. ეს უნდა აისახოს მონიტორინგის, შეფასებისა და რეფლექსიის პროცესში.

სასარგებლო რესურსები

მოქალაქეობა და ეფექტური მართვა

ჯონ გავენტა და ანა მარი გოეცი, 2001. “მოქალაქეებისა და კლიენტების ყურადღების გამახვილება მომსახურების მიწოდებაზე.” IDS დოკუმენტი 138. ბრაიტონი, განვითარების კვლევების ინსტიტუტი.

რავინდრა ადიკეშავალი, 2004. “მოქალაქეების ანგარიშგების ბარათების ზეგავლენა სახელმწიფო სააგენტოების მუშაობაზე”. ECD დოკუმენტი 12. ვაშინგტონი: მსოფლიო ბანკის შეფასების დეპარტამენტი.

ჯეფ ტინდვა, ჯეიმს ედგერტონი და რაინერ ფორსტერი, 2005. “თემზე დაფუძნებული შესრულების მონიტორინგი” (CBPM): ადგილობრივი თემების გაძლიერება. მოხსენება ბრისბეინში, ავსტრალიაში 14-17 აგვისტოს გამართულ საერთაშორისო კონფერენციაზე.

ლის ა ვენეკლასენი, ვალერი მილერი, დები ბუდლენდერი და სინდი კლარკი, 2007. *ძალაუფლების, პოლიტიკისა და ადამიანების ახალი ტალღა: მოქალაქეების მონაწილეობისა და ადვოკატირების პრაქტიკული სახელმძღვანელო.* ბარტონი დანსმორზე, უორვიკშირი, გაერთიანებული სამეფო, პრაქტიკული მოქმედებები.

ARVIN-ის ჩარჩო: მოქალაქეობის მონაწილეობის ხელშეწყობა. გამოქვეყნდა მსოფლიო ბანკის მოქალაქეების მონანილეობის ვებგვერდზე.

მონიტორინგი და შეფასება

მაიქლ ბამბერგი, ჯიმ რუგი და ლინდა მარბი, 2006. *რეალურ სამყაროში შეფასება: შეზღუდული ბიუჯეტის, დროისა და პოლიტიკური გარემოებების პირობებში მუშაობა.* Thousand Oaks, CA: Sage.

ენდრიუ კატლეი, ჯონ ბერნსი, დავიტ აბებე და ომენო სუჯი, 2007. *მონაწილეობითი ზეგავლენის შეფასება: სახელმძღვანელო დირექტივები სპეციალისტებისათვის.* ფეინსტეინის საერთაშორისო ცენტრი, ტაფტის უნივერსიტეტი. გამოქვეყნებულია უნივერსიტეტის ვებგვერდზე.

დეივის რიჩი და ჯესტ დარტი, 2005. *ყველაზე არსებითი ცვლილება, (MSC) ტექნიკა, სახელმძღვანელო დირექტივები. იხილეთ ვებ-გვერდზე* mande.co.uk website.

ესტერ დიუფლო, სიღარიბის დაძლევის ლაბორატორია. იხ. მისი ვიდეოები საიტზე: TED.com

სარა ერლი, ფრედ კარდები, ტერი სმუტაილო, 2001. *შედეგების რუკის შედგენა: განვითარების პროგრამების კვლევა და რეფლექსია.* ოტავა, საერთაშორისო კვლევების ცენტრი.

დეივიდ მარსდენი, პიტერ ოუკლი, რაიან პრატი. *პროცესის შეფასება: სოციალური განვითარების შეფასების სახელმძღვანელო დირექტივები. ოქსფორდი:* UK: INTRAC.

დონა მერტენსი, 2009. *ტრანსფორმაციული კვლევები და შეფასება, ნიუ-იორკი:* Guilford Press.

10

ქრისტიანობის მქადაგებლები და ტრანსფორმაციული განვითარება

ქრისტიანობის ქადაგების აუცილებლობა და არსებული გამოწვევები

რატომ უნდა ვიყოთ ქრისტიანობის მქადაგებლები?

რადგანაც ქრისტიანული საწრმუნობა მისიონერული სარწმუნოებაა, ქრისტიანობა ქრისტიანობის ქადაგებასაც ნიშნავს. სიტყვა "სახარება" ნიშნავს გზავნილს ან კარგ ამბავს. ეს გზავნილი ადამიანებამდე უნდა მივიდეს. სიტყვა "ევანგელიზმი" ნიშნავს კარგი ამბის გამოცხადებას. როდესაც ქრისტიანები ამბობენ, რომ ისინი იღებენ იესოს, როგორც თავიანთ მბრძანებელსა და მხსნელს, ისინი, ასევე, ამბობენ, რომ აპირებენ ამ ფაქტის განცხადებასა და გამოვლინებას თავიანთი ცხოვრების ყველა სფეროში, მათ ხელთ არსებული ყველა საშუალებით: ცხოვრებით, საქმით, სიტყვითა და ნიშნით. ქრისტიანისათვის ქრისტიანობის მქადაგებელობა განუყოფელია იმისგან, თუ ვინ ვართ და რისი გვწამს. მაგრამ არსებობს სხვა მიზეზებიც, რატომაც უნდა ვიქადაგოთ იესოს არსებობა. მხედველობაში მაქვს ტრანსფორმაციული კონტექსტი.

უპირველეს ყოვლისა, იესო უნდა ვიქადაგოთ, რადგანაც იგი პირდაპირაა დაკავშირებული ტრანსფორმაციის ქრისტიანულ მოსაზრებასთან. ქრისტიანისათვის რწმენა ცოდნიდან იწყება. ათანასემ თქვა, რომ სახარებამ ახალი თვალსაწიერი გაგვიხსნა, ახალი ათვლის წერტილი მოგვცა სამყაროს გაგებასთან დაკავშირებით. ავგუსტინე ჰიპონიელს ბიბლიური ისტორია მანამდე არსებული მრწამსის რადიკალურ რეკონსტრუქციაში დაეხმარა და მან გაიზიარა სენტენცია *Credo ut intelligam* — მე მწამს იმ წყობისა, რომლისაც მესმის (ციტატა ნიუბიგინიდან, 1995, 9). ამ თვალსაზრისით ქრისტიანობის ქადაგება ტრანსფორმაციის დასაწყისია. მლბა მაგგაი შეგვახსენებს: "სოციალური ცვლილება არის ის, რასაც ადამიანები განიცდიან იმ დონეზე, რომელზეც მხოლოდ სულს აქვს წვდომა" (1994, 72).

ნიუბიგინი გვიხსნის, რომ იესოს შესახებ ქადაგებით ადამიანებს საშუალებას ვაძლევთ გაიაზრონ, თუ რას აკეთებს უფალი მათ ისტორიაში. ადამიანებისათვის უფლის შესახებ კარგი ამბის გაზიარებით ვეხმარებით მათ საკუთარი იდენტობისა და დანიშნულების გაცნობიერებაში. "როდესაც ადამიანები საკუთარი ისტორიის მიზანს შეიცნობენ, უჩნდებათ ხედვა, რომელიც მათ იმედს უსახავს და ეს მაშინაც კი, როდესაც დედამიწაზე კეთილდღეობის მოპოვების არანაირი იმედი არა აქვთ. ეს ეხმარება მათ, გზა მოძებნონ მაშინაც კი, როდესაც მათ გარშემო წყვდიადია" (1989, 129). ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ განვითარების ყველა პროგრამა ისტორიების გაერთიანებას წარმოადგენს, ანუ ეს არის ჩვენი, თემისა და უფლის ისტორიების შერწყმა. უფლის ისტორია ერთადერთია, რომელსაც შეუძლია გზა დაგვანახოს და ჩვენს ისტორიებს აზრი შესძინოს. ადამიანების საუკეთესო მომავალი ისაა, რომელიც უფლის სასუფევლისაკენ მიდის. ამგვარად, უფლის არსებობის დადასტურება და ამის შესახებ ქადაგება ახალი ისტორიისა და იმედის დასაწყისია.

გარდა ამისა, ადამიანებს უნდა გავუზიაროთ საუკეთესო, რაც ჩვენ გვაქვს. განვითარების პროცესი ადამიანების უფლებამოსილებას ზრდის. განვითარების ტექნოლოგიები გვეხმარება ისეთი პრობლემების გადაწყვეტაში, როგორებიცაა ბინძური სასმელი წყალი, პარაზიტები, არასათანადო კვება, ცუდი სასოფლო-სამეურნეო პრაქტიკა და დაბალი ნაყოფიერება, მაგრამ, რაც არ უნდა კარგი იყოს ეს ყველაფერი, მაინც არ არის საუკეთესო, რის მოტანაც ადამიანებისათვის შეგვიძლია. ჩვენი გამოცდილება გვეუბნება, რომ იესოს ჩვენი გამოხსნისა და ჩვენივე ისტორიის სწორი მიმართულებით წაყვანის ძალა აქვს და მას ჩვენთვის იმედისა და მიზნის მოცემა შეუძლია. ჩვენ სხვებს უნდა გავუზიაროთ ეს გამოცდილება. დაბოლოს, იესომ ორი ძალიან მნიშვნელოვანი მცნება გვიქადაგა. ჩვენ უნდა გვიყვარდეს უფალი და ჩვენ უნდა გვიყვარდეს მოყვასი ისე, როგორც საკუთარი თავი გვიყვარს. ეს არის ის მოტივაცია, რომლის გამოც ღარიბებთან მათ დასახმარებლად მივდივართ. როგორ შეგვიძლია ვამტკიცოთ, რომ მოყვასი გვიყვარს, თუ მხოლოდ მათი მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესებით შემოვიფარგლებით და არ გავუზიარებთ იმას, რაც მათი ცხოვრების გარდაქმნის პირობასა და იმედს იძლევა? შესაბამისად, ქრისტიანებისათვის ტრანსფორმაციული განვითარება დაკავშირებული უნდა იყოს ევანგელიზმთან, თუმცა ამასთან დაკავშირებით გარკვეული სიფრთხილე გვმართებს. ეს არ არის მოწოდება პროზელიტიზმის, მანიპულირების ან კულტურულად არამგრძნობიარე ევანგელიზმისაკენ. ჩვენ არ მოვუწოდებთ განვითარების ყველა პრაქტიკოსს, რომ ევანგელისტები გახდნენ. საბოლოო ჯამში, არავინ იცის, როდის დგება ის მომენტი, როდესაც ვინმე მზადაა ირწმუნოს. გარდა ამისა, უფლის სიტყვა ადამიანებთან მხოლოდ განვითარების სააგენტოს პერსონალს არ მიაქვს. ეს უფრო მოწოდებაა, რომ ჩვენი მოვალეობები და განვითარების ღონისძიებები ისე გავატაროთ, რომ ლოცვა არ დავივიწყოთ და ვეცადოთ ჩვენი საქმით დავანახოთ ადამიანებს, თუ რას ნიშნავს იყო ქრისტიანი და იცნობდე იესოს.

ევანგელიზაციის გაგება

მიზანშეწონილად მიმაჩნია ყურადღება შევაჩეროთ სიტყვა *ევანგელიზმის* მნიშვნელობაზე. ევანგელიზმი ნიშნავს იესო ქრისტეს შესახებ ჭეშმარიტების

ადამიანებამდე სიტყვიერი ფორმით მიტანას, ანუ იმის ახსნას, თუ რისი გაკეთება შეუძლია მას ცოდვით დაცემული ადამიანების ხსნისათვის, მაგრამ ნათლად უნდა ჩამოვაყალიბოთ, თუ რას ვგულისხმობთ ამაში. ძალიან ხშირად სახარების გზავნილის წარმოჩენა მტკიცების ფორმით ხდება, რაც არასაკმარისია. როგორც დიარბორნი მიგვითითებს, ევანგელიზმი არის კარგი ამბავი ადამიანის პიროვნების შესახებ და არა მხოლოდ მტკიცებები და დოგმები. სახარება ურთიერთობების გარდაქმნას გვთავაზობს და არა მხოლოდ იდეებზე შეთანხმებას. ამ თვალსაზრისით სახარება არ გამოდის სხვა რელიგიების წინააღმდეგ. იგი, უბრალოდ, ჭეშმარიტი სიტყვაა (1997, 37).

უილიამ აბრაჰამმა, მეთოდისტმა თეოლოგმა, ეს კიდევ უფრო ნათლად ჩამოაყალიბა, როდესაც შეგვახსენა, რომ ევანგელიზმი არ არის მხოლოდ იმაზე საუბარი, თუ რისი გვწამს ან რისი გაზიარება გვინდა. ევანგელიზმი არის იმის განცხადება, რაც მოხდა სამყაროში და რისი ცოდნის უფლება ყველას აქვს. ევანგელიზმი არ არის, უბრალოდ, რაღაცის განცხადება: ეს არის გზავნილის მიწოდება, უფლის წესის დამყარება. ასეთი განცხადების გარეშე ადამიანებმა არა იციან რა მათი ამ ქვეყნად მოსვლის შესახებ და არც ის იციან, თუ რას ნიშნავს მათთვის უფლის სასუფევლის გადმოსვლა მათ აწმყოსა და მომავალში (1989, 59).

უოლტერ ბრუგემანი, ძველი აღთქმის პრესვიტერიანელი მკვლევარი, ევანგელიზმს განსაზღვრავს, როგორც ახალი ისტორიის არჩევის საშუალებასა და ბიბლიური ისტორიის მიღებას, როგორც “ჩვენი ცხოვრების განმსაზღვრელი ისტორიისას, რომელიც საშუალებას აძლევს ადამიანებს, უარი თქვან ან დაგმონ თავიანთი წარსული ისტორია, რომელიც მათ ცხოვრებას არასწორ და ხშირად ტყუილზე დამყარებულ საფუძველს უქმნის და ზღუდავს მათ” (1993, 10). ბრუგემანი ევანგელიზმს აღწერს, როგორც დრამატულ მოქმედებას ანუ ისტორიას, რომელსაც დასაწყისი, შუა ნაწილი და დასასრული აქვს. პირველი სცენა შეეხება ორ ძალას შორის კონფლიქტსა და მომავალზე კონტროლისათვის ბრძოლას. მეორე სცენა არის მოწმე, რომელიც ამ კონფლიქტის შედეგებზე გვიყვება. მესამე სცენის განმავლობაში მსმენელმა ამ ისტორიასთან დაკავშირებით თავისი დამოკიდებულება უნდა ჩამოაყალიბოს.

სასარგებლო იქნება, თუ რამდენიმე სიტყვით შევეხებით იმას, თუ რა არ არის ევანგელიზმი. ევანგელიზმი არ არის მარკეტინგი. სახარება არ უნდა განიხილებოდეს როგორც პროდუქტი, რომელსაც მარკეტინგი სჭირდება, რათა ადამიანებმა “იყიდონ” ეს პროდუქტი. “ჩვენ პროდუქტის რეალიზატორები არა ვართ, არამედ ვართ ფასილიტატორები იმ პროცესისა, რომელიც ეხმარება თავისი წარმომავლობისა და მემკვიდრეობის გაცნობიერებაში; იმის გაცნობიერებაში, რომ ისინი აბრაამის შვილები არიან” (ბედიაკო, 1996ბ, 187). ევანგელიზმი არც მარკეტინგის ეფექტურობაა. ვინაი სამუელის აზრით, მთავარია ადამიანებთან გაზიარების სურვილი და არა შედეგების გამოცხადება. დაბოლოს, ევანგელიზმის არასწორი გააზრების ყველაზე ცუდი შედეგია ადამიანების მიერ ღმერთის როლის შესრულება სხვა ადამიანების ცხოვრებაში და იმის დაჯერება, რომ ჩვენ გვესმის მათი სულის მდგომარეობა და ის, რომ თუ ისინი უფლის არსებობას დაიჯერებენ, ახალი თვალსაწიერი მექანიკურად გაეხსნებათ.

ჩვენ მაინც გამოვდივართ იესოს მქადაგებლების როლში

ჩვენ ზოგჯერ საკმარისად არ ვუფიქრდებით, თუ რას ნიშნავს იყო ისესოს მქადაგებელი. ჩვენ გვგგონია, რომ ორი არჩევანი არსებობს: იქადაგო ან არ იქადაგო, რაც არასწორია. ჩვენ ყოველთვის ვადასტურებთ რაღაცას. ერთადერთი შეკითხვაა, ვის ან რის არსებობას ვადასტურებთ. მალავიელი თეოლოგი ავგუსტინე მუსოპოლე ამბობს, რომ რაც უფრო წარმატებულია განვითარების ღონისძიებები, მით უფრო მყარდება ტრადიციული რელიგიური რწმენა. "რაც უფრო უკეთესი განათლება (დიპლომი), სამუშაო, უფრო დიდი სახლი ან უფრო მეტი დასაკარგი გაქვს, მით უფრო მეტია ცდუნება, დაიჯერო მაგიისა" (მუსოპოლე, 1997).

საჰარის ერთ-ერთ სოფელში ჭის გათხრის დროს თემი შორიახლოს იდგა და უსმენდა ნიადაგმცოდნესა და ჰიდროლოგს, რომლებიც უაღრესად ტექნიკური ენით საუბრობდნენ, როდესაც ნიადაგის სინჯებს იღებდნენ და ჰიდროლოგიურ კვლევას ატარებდნენ. როდესაც თემს ჰკითხეს, თუ რას აკეთებდა ეს ორი სპეციალისტი, მათ თქვეს, რომ ისინი გრძნეულები იყვნენ. ერთი დედამიწის სულს ესაუბრებოდა, ხოლო მეორე – წყლისას, როგორც მათი მარაბუტები აკეთებენ ყურანის მოშველიებით. როდესაც თემს ჰკითხეს, ამ გრძნეულებმა კარგად იციან თავიანთი საქმე თუ არა, მოსახლეობამ უპასუხა, რომ ძალიან კარგად იციან რას აკეთებენ, – უკეთესად, ვიდრე ჩვენმა ადგილობრივმა გრძნეულმა, რადგან ბოლოს ყოველთვის პოულობენ წყალსო. სპეციალისტები შეწუხდნენ, რომ სოფელი მათ მოქმედებებს ასეთ ინტერპრეტაციას აძლევდა და მეორე დღეს დაბრუნდნენ სოფელში, რომ ხალხისათვის აეხსნათ, სინამდვილეში რას აკეთებდნენ და მარტივი ტერმინებით განემარტათ, თუ რა მეცნიერული საფუძველი აქვს მათ სამუშაოს. დიახ, ადამიანებისათვის იმის ახსნა, რომ უდაბნოში წყლის მოძებნა მეცნიერებაა, ქადაგებაცაა, თანაც თანამედროვე მეცნიერებისა და ტექნოლოგიის ქადაგება.

განვითარების ტექნოლოგია მუდმივად ქმნის ასეთ პრობლემას ტრადიციულ კულტურებში (ბრედშოუ, 1993; მაიერსი, 1993). იმის მიუხედვად, რომ უდაბნოში წყალი მოიძებნება და ბავშვები აღარ იხოცებიან დაავადებებისგან, გარკვეული განმარტებები აუცილებელია. განმარტების გარეშე ტრადიციული მსოფლმხედველობა მოძებნის რაიმე სპიტირუალურ განმარტებას. ანუ: განვითარების პროფესიონალის მიერ კარგი ამბის იქამდე დაყვანა, რომ ეს "უბრალოდ, მეცნიერებაა," ათეისტური განმარტებაა. ორივე შემთხვევაში ადამიანებს ისეთ განმარტებას აწვდიან, რომელიც არ არის ქრისტიანული და, შესაბამისად, ადამიანებს ამ სიახლისადმი, გარკვეულწილად, კიდევ უფრო კერპთაყვანისმცემლური დამოკიდებულება უჩნდებათ.

მინდა აღვნიშნო, რომ არ არის საკმარისი იმის გამოცხადება, რომ ქრისტიანები ვართ, რადგანაც ეს საერთოდ არ შეცვლის თემის აზრს ჩვენი მოღვაწეობის შესახებ. როდესაც ვიეტნამში სოფლის მცხოვრებლებს ჰკითხეს, თუ რატომ ეხმარებოდათ მათ ქრისტიანული არასამთავრობო ორგანიზაცია ჯებირების გამაგრებაში, მათ განაცხადეს, რომ ქრისტიანები ღარიბებზე ზრუნავენ. როდესაც მათ ჰკითხეს, თუ რატომ ზრუნავენ ქრისტიანები ღარიბებზე, უპასუხეს, რომ მათ ამასთან დაკავშირებით მომავალ ცხოვრებაში (განსხეულებაში) სიკეთე ელოდებათ, რაც ბუდისტური განმარტებაა. როდესაც მავრიტანიაში მუსულმანებს დაუსვეს იგივე შეკითხვა, ორი პასუხი დომინირებდა.

ერთი იყო, რომ ქრისტიანები ცდილობენ კეთილი საქმეებით სამოთხეში დაიმკვიდრონ ადგილი, რაც მუსულმანების წარმოდგენასაც ასახავს ქველმოქმედების თაობაზე, ხოლო მეორე პასუხი იყო, რომ ეს ადამიანები ჰუმანიტარული დახმარების პროექტებში მუშაობის გზით მდიდრდებიან, რაც საკმაოდ გავრცელებული აზრია იმ ექსპატრიანტებთან დაკავშირებით, რომლებიც მესამე ქვეყნებში მოღვაწეობენ.

დაბოლოს, რაც კიდევ უფრო ართულებს მდგომარეობას, ისაა, რომ არ არის საკმარისი ადამიანებს აუხსნა, რომ ყველა გამოგონება ქრისტიანული ღმერთის დახმარებით გახდა შესაძლებელი, რადგანაც იგი ყველაზე ძლიერი ღმერთია. ჰიბერტის აზრით, თუ ასეთი გზით წავალთ, დაახლოებით სამი თაობის შემდეგ ადამიანების სრული სეკულარიზაცია მოხდება (ჰიბერტი, 1997). ეს ოკამის სამართებლის პრინციპის შესანიშნავი მაგალითია: როგორც კი ადამიანები ხვდებიან, რომ ჩვენ, დასავლელებს, გვაქვს ტექნოლოგიები, რომლებიც ღმერთის ხელშეწყობის გარეშეც ეფექტურად ფუნქციონირებს, ღმერთისთვის ადგილი აღარ რჩება. შესაბამისად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ საკმაოდ ფრთხილად უნდა მოვეკიდოთ იმის გარკვევას, თუ ვისი დამსახურებაა განვითარების პროგრამის დასრულება: ვის მიეწერება მისი წარმატება და ვის უნდა ვცეთ ამისათვის თაყვანი. ჯაიაკუმარ ქრისტიანი შეგვახსენებს, რომ ის, რაც პროგრამის ცენტრალური საკითხია მისი განხორციელების პროცესში, სწორედ ის იქნება, რასაც თემი პროგრამის დასრულების შემდეგ სცემს თაყვანს (1998ბ). როგორც ზემოთ დავინახეთ, თუ განვითარების ტექნოლოგია ითვლება ცვლილებების წყაროდ, ადამიანები სწორედ მას სცემენ თაყვანს, როგორც ტრანსფორმაციის წყაროს. თუ პროგრამის ცენტრალური ასპექტია განვითარების სააგენტოს გამოცდილება და მისი რესურსები, ეს სააგენტო გახდება თაყვანისცემის ობიექტი. ინდოეთის ერთ-ერთ ტომში აღმოჩნდა, რომ World Vision-ი დაამატეს ტომის გურუების სიას, რადგანაც ასეთ გურუებს ყველაფერზე აქვთ პასუხი. შესაბამისად, ეს ადამიანები ლოცვას და შესაწირავს აღავლენდნენ ამ ორგანიზაციისადმი, რომ მას გაეგრძელებინა მათი ტომის დახმარება. თუ ფულია გადამწყვეტი ასპექტი, მაშინ ფული იქნება მიჩნეული ტრანსფორმაციის განმაპირობებელ ფაქტორად. პროგრამის ცენტრალურ ასპექტად ქრისტიანობა და მისი ქადაგება უნდა გავხადოთ. ყოველთვის უნდა დავუსვათ ჩვენს თავს შეკითხვა, ვიქცევით თუ არა ჭეშმარიტი ქრისტიანებივით, თუკი გვინდა, რომ ადამიანებმა შეგვხედონ და თქვან: "მათი ღმერთი ჭეშმარიტი ღმერთია!"

ორმაგი გამოწვევა

ქრისტიანობის ქადაგება საინტერესო გამოწვევებს უქმნის განვითარების სპეციალისტებს. ზემოთ უკვე აღვწერე ერთი ასეთი გამოწვევა. განვითარების სფეროს ნებისმიერი ძალისხმევა რაღაცის დამტკიცებაა. ერთადერთი კითხვა, რომელიც ამ შემთხვევაში იბადება, ისაა, თუ რას ვამტკიცებთ, ანუ რატომ ვქადაგებთ?

მეორე გამოწვევა ქრისტიანობის ქადაგებისადმი ტრადიციული მიდგომებია. ძალიან ხშირად ქრისტიანობის ქადაგება ისეთი გზით ხორციელდება, რომელიც წინააღმდეგობაშია ამ წიგნში შემოთავაზებულ, თემზე დაფუძნებულ, განვითარების პრინციპებთან. ითვლება, რომ სულიერ სფეროში თემს

პრობლემები აქვს, რომელთა შესახებაც მან არ იცის. ევანგელისტი თავის თავზე იღებს გურუს როლს, რომელსაც ყველაფერზე აქვს პასუხი. გარდა ამისა, ამას საფუძვლად უდევს ვარაუდი, რომ ევანგელისტმა იცის რაღაც ამ ადამიანების მომავლის თაობაზე, რაც მათ არ იციან, კერძოდ ის, თუ სად არის მათი საბოლოო ადგილი, თუ ქრისტიანობას არ იწამებენ. აღსანიშნავია, რომ ყველაზე ფუნდამენტურ დონეზე ეს ვარაუდი სწორია. ქრისტიანებმა ნამდვილად იციან ის ჭეშმარიტება, რაც არაქრისტიანებისათვის არ არის მისაწვდომი, და მათ უნდათ, რომ ეს ცოდნა სხვებსაც გაუზიარონ მაშინაც კი, თუ ადამიანებმა არ იციან, რომ ეს მათ სჭირდებათ. ქრისტიანებს ნამდვილად სწამთ, რომ მარადიული ცხოვრება მხოლოდ მაშინაა შესაძლებელი, თუ ადამიანებს იესო ქრისტეს გამომხსნელი ძალისა სჯერათ. მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ძალიან ვიწრო გამყოფი ხაზია იმას შორის, (1) როდესაც ადამიანს ამის რწმენა ამოძრავებს და (2) როდესაც ადამიანი ზეწოლას ახდენს სხვებზე და მათ ცხოვრებაში ღმერთის როლს თამაშობს. ყოველთვის არსებობს საფრთხე, რომ შეიძლება ვიმოქმედოთ არა როგორც ამ ძღვენის თავმდაბალმა მფლობელებმა, არამედ როგორც ადამიანებმა, რომლებსაც რაღაც უპირატესობა აქვთ სხვებთან შედარებით. კოიამას აზრით, შეიძლება "მასწავლებლის კომპლექსიც" კი დაგვემართოს, რომელიც სახარებას ადამიანებისათვის სრულიად მიუღებელს ხდის. ვეჭვობ, რომ დამოკიდებულება – "ადამიანები, რომლებსაც უფლის არ სწამთ, მისი მტრები არინ" – ქრისტიანობისათვის მისაღები იყოს. იესოს სულისკვეთება არ გულისხმობდა სახარებისა და ამპარტავნობის თანა ქადაგებას, რათა სხვების სულები დაგვეპყრო (1993, 293).

ქრისტიანობის ქადაგება, ისიც ზედმეტი ზეწოლის გარეშე და ფრთხილი მიდგომით, ეკლესიისა და ტრადიციული მისიონერული სააგენტოებისთვის მისაღებია, მაგრამ განვითარების სააგენტოსათვის – არა, რადგან განვითარების პრინციპებს ეწინააღმდეგება. ეს სრულიად ეწინააღმდეგება იდეას, რომ თემი თავადაა თავისი განვითარების მამოძრავებელი ძალა. ეს ეწინააღმდეგება იმ აზრსაც, რომ განვითარება იქიდან იწყება, სადაც თემია და ჩვენ, უბრალოდ, უნდა დავეხმაროთ მას პასუხების მოძებნაში. თუ განვითარების სპეციალისტი საკუთარ თავზე აიღებს ქრისტიანობის ქადაგებას, მაშინ იგი გახდება პროცესების ინიციატორი და კონტროლიც მის ხელში იქნება. ჩვენ განვითარებას არ აღვიქვამთ როგორც მზა რეცეპტს, ამიტომ ვერც ისეთ ევანგელისტურ საქმიანობას ვიკისრებთ, როგორიცაა "მიხვიდე და დაანახო."

ქრისტიანობის ქადაგებისას კიდევ ერთი გამოწვევა გახლავთ ის, თუ რამდენად შეგვიძლია მოვძებნოთ ალტერნატიული მიდგომა, რომ ჩვენ, როგორც ქრისტიანებმა, შევძლოთ ჩვენი მისიის შესრულება, - ადამიანებისათვის ჭეშმარიტების გაზიარება და, იმავდროულად, ტრანსფორმაციული განვითარების ღონისძიებების განხორციელება იმ გზით, რომელზეც წინა თავებში გვქონდა საუბარი. შესაძლებელია ქრისტიანობის ქადაგება განვითარების მიდგომებთან წინააღმდეგობის წარმოქმნის გარეშე? მე მჯერა, რომ ეს შესაძლებელია.

პროვოკაციული შეკითხვა: ქრისტიანობის ქადაგება როგორც ჩვენი მეორე დანიშნულება?

მოციქულთა წიგნი აღწერს ეკლესიის ევოლუციასა და ფორმირებას. ამ ისტორიის გაანალიზების შედეგად ნიუბიგინმა ერთი საინტერესო ტენდენცია აღმოაჩინა, რომელიც დაგვეხმარება იმ დილემის გადაწყვეტაში, რომელზეც ზემოთ ვისაუბრე (1989, 132-133). ევანგელიზმი ხშირად მოციქულების მეორე საქმეა. რას ვგულისხმობ ამაში?

როდესაც პეტრე მოციქულმა სახალხოდ გამოაცხადა სახარების შესახებ, მისი ქადაგების შემდეგ სამი ათასი ადამიანი შეუერთდა ქრისტეს ეკლესიას. აღსანიშნავია, რომ მისი ქადაგება სპონტანური იყო. მან შემდეგი სიტყვებით მიმართა ადამიანებს: "ნება მიბოძეთ, აგიხსნათ ეს." რა იყო "ის," რაც ახსნას საჭიროებდა? იერუსალიმის მცხოვრებლები შეიკრიბნენ და უსმენდნენ, თუ როგორ ასხამდნენ ხოტბას იესოს მოციქულები. რაღაცა სასწაულით ყველა დამსწრე თავის საკუთარ ენაზე ისმენდა ამ ქადაგებას. სულიწმინდის ამ სასწაულმა ადამიანები გააოცა და მათ თავისი განმარტება მოუძებნეს ამას: მოციქულები ნასვამები უნდა იყვნენო. პეტრეს ქადაგება ამ გაოცებას მოჰყვა პასუხად და ამ არასწორი განმარტების გაქარწყლების მცდელობა იყო. პეტრეს ევანგელისტურმა ქადაგებამ პასუხი გასცა ადამიანების შეკითხვას.

მეორე ქადაგება, რომელიც მოციქულთა საქმეების ამსახველ წიგნშია, დაახლოებით მსგავსი სცენარით ვითარდება. როდესაც უფალის მოციქული ტაძრის წინ მჯდარ ხეიბარს განკურნავს, იკრიბებიან გაოცებული ადამიანები, რომლებიც ხედავენ, რომ ხეიბარმა სიარული შეძლო და უფალს მადლობას სწირავენ დახმარებისათვის. პეტრე საჭიროდ თვლის, რომ ადამიანებს ეს ვითარება განუმარტოს: "კაცნო ისრაელიტნო, რად გიკვირთ ეს? ან რად გვიყურებთ ისე, თითქოს ჩვენი საკუთარი ძალითა და ღვთისმოსაობით აგვედგმევინებინოს მისთვის ფეხი? აბრაამის, ისააკისა და იაკობის ღმერთმა, ჩვენი მამების ღმერთმა, განადიდა ძე თვისი იესო" (მოციქულთა საქმეების წიგნი, 3:12-13). პეტრეს სიტყვა ადამიანების გაოცებამ ათქმევინა. მას მათთვის უნდა აეხსნა, რომ ეს სასწაული უფლის დამსახურებაა.

იგივე ვითარებაა სტეფანე მოციქულის შემთხვევაში. ისიც სპონტანურად ქადაგებს, როდესაც ისრაელის ისტორიას უყვება ადამიანებს და მას ცილს დასწამებენ (წიგნი მოციქულთა საქმეებისა, 6:8). სტეფანე კრების წინაშე გამოდის. მისი ქადაგება პირველად ფარისეველმა, სახელად საულმა, გაიგო.

ვფიქრობ, ტენდენცია ნათელია. ყველა ზემოხსენებულ შემთხვევაში სახარების ქადაგება ამ გეგმის ან წინასწარი განზრახვის შესაბამისად კი არ ხდება, არამედ იმ შეკითხვაზე საპასუხოდ, რომელიც საზოგადოებას უჩნდება უფლის საქმეების შედეგად. ანუ: გარკვეულ ქმედებებს განმარტება ესაჭირება და ამ განმარტებას სახარება იძლაა. "რაღაც ხდება, რაც ადამიანებს ახალ რეალობას დაანახვებს და შედეგად იბადება კითხვა: რა არის ეს რეალობა? ამ შეკითხვაზე პასუხი სახარების ქადაგებით გაიცემა" (ნიუბიგინი, 1989, 132). ეს მიუთითებს, რომ ქადაგებისადმი ტრადიციული წარმოდგენის გარდა, ქადაგება შეგვიძლია მოვიაზროთ, როგორც უფლის საქმეები, რომლებსაც იგი ქრისტიანების საზოგადოების მეშვეობით ახორციელებს და რომელთა გამოც ადამიანებს შეკითხვები უჩნდებათ, ხოლო ამ შეკითხვებზე პასუხი იესოს შესახებ ქადაგებაშია (ნიუბიგინი, 1989, 133; მეიერსი, 1992ბ).

იდეა, რომ განვითარების ღონისძიებები შეგვიძლია ისე განვახორციელოთ, რომ ადამიანებს შეკითხვები გაუჩნდეთ და ჩვენ მათ პასუხი გავცეთ სახარებიდან, არის პასუხი ჩვენ წინაშე არსებულ გამოწვევაზე, თუ როგორ შეიძლება ტრანსფორმაციული განვითარების პროცესში ქრისტიანობის მქადაგებლები ვიყოთ. როდესაც უდაბნოში წყალს მოვძებნით, ბავშვები აღარ დაიხოცებიან დაავადებებისაგან, რადგან წყალი აღარ არის დაავადებების გამომწვევი — ამასს განმარტება სჭირდება. როდესაც პროფესიონალები ღარიბებთან ერთად ცხოვრობენ სოფლებში, ყველას ესმის, რომ მათ უფრო მეტი ფულის შოვნა შეუძლიათ დიდ ქალაქებში, სადაც მათი ბავშვებიც უკეთეს სკოლებში სწავლას შეძლებდნენ, ამიტომ ეს უცნაური საქციელი გარკვეულ კითხვებს ბადებს. პასუხი სახარებაშია. პასუხი შეკითხვაზე, თუ ვინ უნდა ქადაგებდეს, არის შემდეგი: ეს შეიძლება იყოს განვითარების ფასილიტატორი, რომელიც ქადაგებს თავისი ცხოვრების წესით, იმით, თუ როგორ ეპყრობა ღარიბ ადამიანებს და როგორ ეხმარება მათ ტრანსფორმაციულ განვითარებაში.

ქადაგებისადმი ასეთი მიდგომა გამართლებულად მიმაჩნია. უპირველეს ყოვლისა, ადამიანები შეკითხვებს სვამენ, როდესაც რაღაც არ ესმით. შესაბამისად, ინიციატივა ადამიანებისაგან მოდის. უპირველეს ყოვლისა, ეს აგვარიდებს იმას, რაზეც ტილიჰი საუბრობს: "არასწორია ადამიანებისათვის პასუხის მიგდება, გეგონება ქვას ესროდე მათ, თუ ადამიანს შეკითხვაც კი არ დაუსვამს." მეორეც, მტკიცებულებათა ტვირთი, ანუ პასუხის გაცემა, ქრისტიანების მქადაგებელთა მოვალეობაა და არა მათი მსმენელებისა. თუ ადამიანები არ სვამენ შეკითხვას, რომელზეც სახარებასა აქვს პასუხი, ჩვენ არ შეგვიძლია დავასკვნათ, რომ "მათი გულები დახურულია" და თავი გავანებოთ მათ. ამის ნაცვლად ჩვენ უნდა დავიჩოქოთ და ვკითხოთ უფალს, თუ რატომ არ არის ჩვენი ცხოვრება და მოღვაწეობა იმდენად ღირსშესანიშნავი, რომ ადამიანებს დაებადოთ შეკითხვები, თუ რას ვაკეთებთ, ვისი გვწამს და რატომ.

არსებობს მიდგომა, რომლის ძირითადი კონცეფციაა, რომ სულიწმინდის საქმეები გამოიწვევს შეკითხვებს, რომლებზე პასუხიც სახარება იქნება. ეს სრულიად ლოგიკური მიდგომაა და არსებობის უფლება აქვს. განვითარების სფეროს ქრისტიანი მოღვაწე ოთხი წელი ცხოვრობდა ინდოეთის ერთ-ერთ სოფელში და თავდაუზოგავად იღვწოდა ღარიბების სასიკეთოდ. იგი მკაცრად იცავდა პირობას, რომ არ აჰყოლოდა ცდუნებას და ევანგელისტური ქადაგება არ მოეხვია თავზე ამ ადამიანებისათვის. მასთან ადგილობრივი პოლიტიკური ლიდერები მივიდნენ და სთხოვეს მას და მის ოჯახს, რომ სოფელი დაეტოვებინათ. როდესაც ამ ადამიანმა ჰკითხა, თუ რატომ უნდა წასულიყო, უპასუხეს: "თქვენი ცხოვრების წესით თქვენ ადამიანებს აწუხებთ, რადგანაც მათ ძალიან ბევრი შეკითხვა უჩნდებათ თქვენი ღმერთის შესახებ." თავის ინტერვიუში, რომელიც მან 1997 წელს მისცა, სარონე ოლე სენამ თქვა, რომ შემეცნებითი კვლევა საშუალებას აძლევს ადამიანებს ისაუბრონ იმაზე, თუ როგორ ეხმარება და აძლიერებს მათ თემს ადგილობრივი რელიგია და სულიერება, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ყოველთვის იბადება კითხვა: რისი გწამთ თქვენ? რა გაძლევთ ძალას ცხოვრებაში? მალიში მოლა ყოველდღე უყურებდა, როგორ მოდიოდა ქრისტიანი მედდა ადგილობრივ კლინიკაში. როდესაც ამ ქალმა შესთავაზა მოლას, რომ მის სოფელში მუშაობას დაიწყებდა, მან უპასუხა, რომ, როგორც მას სმენია, ქრისტიანები ჯანდაცვაზე ზრუნვის ნიღბის უკან იმალებიან და სინამდვილეში ევანგელისტურ მოღვაწეობას ეწევიან. მედდა

შეჰპირდა მოლას, რომ ამისთვის თავის პროფესიას არ გამოიყენებდა. ერთი წლის შემდეგ მოლამ უთხრა მედდას, რომ მან დანაპირები შეასრულა: ის ნამდვილად ცდილობდა ადამიანების დახმარებას და მთელი გულით ზრუნავდა მათ ფიზიკურ ჯანმრთელობაზე. შემდეგ მან სთხოვა მედდას, რომ მოეყოლა მისთვის თავის ღმერთზე — იესოზე.

ტრანსფორმაციის მოქადაგე

როდესაც ტრანსფორმაციული განვითარების კონტექსტში ქრისტიანობის ქადაგებაზე ვსაუბრობთ, უნდა გვესმოდეს, რომ ქადაგების გააზრება ისეთივე ტრანსფორმაციულია, როგორიც განვითარებისა. ჩვენ ნათლად უნდა ჩამოვაყალიბოთ ტრანსფორმაციის მქადაგებლის მიზნები და უნდა გვესმოდეს სახარების გზავნილის ორგანული ხასიათი. ჩვენ უნდა დავძლიოთ დიქოტომია ევანგელიზმსა და ქრისტიანობის მიმდევრებს შორის. დაბოლოს, ჩვენ უნდა გვესმოდეს, რომ ქრისტიანობის მოქადაგეებმა მთელი ბიბლიური ისტორია უნდა იცოდნენ და სხვებსაც უნდა გაუზიარონ.

ქრისტიანობის მოქადაგეების მიზანი

ქრისტიანობის მქადაგებლის მიზნები იგივეა, რაც ტრანსფორმაციული განვითარებისა: გარდაქმნილი ადამიანები და გარდაქმნილი ურთიერთობები. ჩვენი მიზანია, რომ ყველა ადამიანმა, ღარიბებმა, შეძლებულებმა, თავად ჩვენ, განვიცადოთ გარდაქმნა, მოვიაზროთ ჩვენი თავი, როგორც უფლის შვილებმა, აღვიდგინოთ ჩვენი იდენტობა და გავიგოთ ჩვენი დანიშნულება, როგორც უფლის მიერ შექმნილი სამყაროს შენარჩუნებასა და მის კეთილდღეობაზე პროდუქტიულად მოღვაწე ადამიანებმა. ამის მიღწევა მხოლოდ იმ ურთიერთობების გამოსწორებითა და აღდგენითაა შესაძლებელი, რომლის ნაწილიც ჩვენ თავად ვართ.

ერთადერთი განსხვავება ტრანსფორმაციულ განვითარებასა და ქრისტიანობის ქადაგებას შორის ისაა, რომ ეს უკანასკნელი უფრო აქცენტირებულია ჩვენს ურთიერთობებზე უფალთან, მაშინ როდესაც ტრანსფორმაციული განვითარების მიზანია სხვა ურთიერთობებზე ყურადღების გამახვილებაც. კერძოდ, საკუთარ თავთან, თემთან, სხვებთან და გარემოსთან. რადგანაც ქრისტიანობის ქადაგება უფრო ჩვენსა და უფალს შორის ურთიერთობებზეა ორიენტირებული, სიტყვით ქადაგებას ცენტრალური ადგილი უჭირავს იმის პარალელურად, რომ ჩვენ ჩვენი საქმითა და ცხოვრებითაც ვქადაგებთ. ის ფაქტი, რომ ქრისტიანობის ქადაგებისა და ტრანსფორმაციული განვითარების მიზნები ერთნაირია, იმედის მომცემია. მაგრამ ეს მიზნები მხოლოდ იმ შემთხვევაშია იგივე, თუ ჩვენ დავძლევთ ფიზიკურსა (განვითარებასა) და სულიერს (ქრისტიანობის ქადაგებას) შორის დიქოტომიას, ანუ თანამედროვეობის იმ პრობლემას, რაზედაც წინამდებარე წიგნში არაერთგზის ვისაუბრეთ. მინდა ბოლო კომენტარი გავაკეთო სახარების სიტყვიერად გადაცემის აუცილებლობაზე. ადამიანებისათვის საკუთარი რწმენის გაზიარება არ არის მესიური სურვილი, რომ ყველა ჩვენს თავს დავამსგავსოთ, თუმცა უნდა ვაღიაროთ, რომ ზოგი ქრისტიანი სწორედ ამ მოტივით ეწეოდა მისიონერულ საქმიანობას. მაგრამ ჩვენ, ზოგადად, ასეთი ეგოცენტრული მოტივები არ

გვამოძრავებს. ჩვენ გვინდა, რომ სხვა ადამიანებს გავუზიაროთ ჭეშმარიტი სიტყვა უფლის შესახებ. იესოს სახარება ყველაზე კარგი ამბავია, რაც ვიცით და ეს უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე თემის მობილიზაცია ან განვითარების ტექნოლოგია. როგორც ქრისტიანებმა, ჩვენ ყველაზე ფუნდამენტური აღმოჩენა გავაკეთეთ: "საბოლოოდ, ნებისმიერი სოციალური ტრანსფორმაცია ჩვენი არსების სიღრმეში ხდება, რომლის წვდომა მხოლოდ უფალს შეუძლია" (მაგგაი, 1994, 71).

სახარება როგორც ცხოვრების წესი, სიტყვა, მოქმედება და ნიშანი

პირველ თავში ჩვენ განვიხილეთ, თუ როგორ უწყობს ხელს დასავლეთის თანამედროვე მსოფლმხედველობა სახარების დანაწევრებულად გააზრებას და მის დაყოფას სიტყვად, საქმედ და ნიშნად. ქრისტიანობის მოქადაგის ჰოლისტიკური გაგება ამ სამივე ასპექტს ერთად უნდა განიხილავდეს, რადგანაც ეს არის სახარების ერთიანი გზავნილი. გარდა ამისა, არსებობს მეოთხე ასპექტიც, რომელიც ამ ერთ მთლიანობას უნდა შეერწყას. სახარება არ არის განყენებული გზავნილი. იგი ქრისტიანი ადამიანების ცხოვრებაშია ასახული. შესაბამისად, სახარების ჰოლისტიკური გაგება იწყება ცხოვრებიდან, რომელიც საქმეში, სიტყვასა და ნიშანში პოულობს გამოხატულებას.

როდესაც იესომ 12 მოციქული აარჩია, ისინი "უნდა ყოფილიყვნენ მასთან და საქადაგებლად წარეგზავნა, რათა ჰქონოდათ სნეულთა განკურნებისა და ეშმაკთა განდევნის ძალა" (მარკოზი, 3:14-15). როდესაც იესომ პირველად გააგზავნა საქადაგებლად, ისინი "წავიდნენ სინანულის საქადაგებლად და აძევებდნენ მრავალ ეშმაკს, ზეთს სცხებდნენ და ჰკურნავდნენ უამრავ სნეულს" (მარკოზი, 6:12–13). ქრისტიანობის მქადაგებელი მზად უნდა იყოს წავიდეს, იმოქმედოს და სახარების სამივე გზავნილი გაითვალისწინოს: იქადაგოს სიტყვით, განკურნოს საქმით და განდევნოს ეშმაკები ნიშნით. მაგრამ ადამიანებს ხშირად ავიწყდებათ ის მთავარი *მიზეზი*, თუ რატომ შემოიკრიბა იესომ მოციქულები: ისინი იესოსთან ერთად უნდა *იყვნენ*. იესოსთან ყოფნა ნებისმიერი ბიბლიური ქადაგების ამოსავალი წერტილი უნდა იყოს. მაგრამ იესოსთან ერთად ყოფნა ბევრად უფრო მეტს გულისხმობს, ვიდრე, უბრალოდ, ქრისტიანად ყოფნას. როგორც მოციქულებმა გაიგეს, ეს, ასევე, გულისხმობდა იესოსგან სწავლას, მისი საყვედურების მოსმენას, ანუ იესოსთან ჭეშმარიტად ყოფნას. ეს არის ქრისტიანობის ქადაგების საკვანძო ასპექტი, ანუ ის, რაც შეკითხვების პროვოცირებას ახდენს და რომლებზეც პასუხი სახარებაშია. ჩვენ სავსე ცხოვრებით მაშინ ვიცხოვრებთ, თუ იესოსთან ერთად ვიქნებით, მისი მიმდევრები გავხდებით და შევეცდებით, მისი მსგავსები ვიყოთ. მხოლოდ ამ შემთხვევაში შეიძლება ვიქადაგოთ საქმით, სიტყვითა და ნიშნით. ტრანსფორმაცია ურთიერთობებს შეეხება და, შესაბამისად, თუ ტრანსფორმაციას ვუწყობთ ხელს, მაშინ ჩვენც უნდა გარდავიქმნათ, რაც, ასევე, დაკავშირებულია უფალთან ჩვენს ურთიერთობებზე. არ უნდა დავივიწყოთ, რომ სახარების გზავნილი ორგანულ მთლიანობას წარმოადგენს. ცხოვრება, საქმე, სიტყვა და ნიშანი ერთად განგვაცდევინებს იესოს ჭეშმარიტ სიტყვას. მხოლოდ ცხოვრება არ არის საკმარისი, - სიტყვა, საქმე და ნიშანი შეიძლება ბუნდოვანი იყოს. მხოლოდ სიტყვას შეუძლია რაღაცის პოზიციონირების ან მა-

რკეტინგის გაკეთება. მხოლოდ საქმე არ აუწყებს სხვებს იდენტობას და იმას, თუ ვისი ან რისი სწამს ადამიანს. ნიშნები შეიძლება დემონებისა და სულების მიერაც იყოს ადამიანებისათვის მიცემული. ძე ღმერთის სახარება მთლიანობაში მხოლოდ მაშინ იქნება ნათელი და თანმიმდევრული, თუ ცხოვრება, საქმე, სიტყვა და ნიშანი ერთად იქნება გამოხატული გზავნილში (დიაგრამა 3-6). ცხოვრების, საქმის, სიტყვისა და ნიშნის ასეთი ორგანული ერთიანობა საშუალებას აძლევს ქრისტიანობის მოქადაგეს, რომ განვითარების ძალისხმევა იქიდან დაიწყოს, სადაც ადამიანები იმყოფებიან მოცემულ ეტაპზე. ჩვენ შეგვიძლია სახარების გზავნილის ნებისმიერი შემადგენელი ნაწილიდან დავიწყოთ ადამიანებთან საუბარი იმის მიხედვით, თუ რა საჭიროებები აქვთ მათ და რა გზავნილის მიტანა გვინდა მათთან.

> "იესოს ქადაგება გამორჩეულია თანმიმდევრულობითა და შეკითხვებზე გაცემული პასუხების მოქნილობით. ასეთი გზით იესო საშუალებას აძლევს სხვა ადამიანებს, რომ განსაზღვრონ, თუ რაზე უნდათ საუბარი. მაგრამ იესო ყოველთვის პასუხობს იმ თვალსაწიერიდან, თუ ვინ არის და რას წარმოადგენს იგი" (შენკი, 1993, 73).

იმათთვის, ვისაც სულების ეშინია, სულიწმინდამ უნდა მიავლინოს ნიშნები, რათა დაარწმუნოს ისინი, რომ უფალი ძლევამოსილია. იმათთან, რომლებსაც ინტელექტუალური სიმართლის ძიება აინტერესებთ, სიტყვით უნდა დავიწყოთ. იმათთან, ვინც ცდილობს ემპირიული ნიშნები მოიძიოს იმის შესახებ, რომ ღმერთი ზრუნავს მატერიალურ სამყაროზე, საქმით უნდა დავიწყოთ. იმათთან, ვინც თავის ურთიერთობებში არსის გარკვევას ცდილობს, უნდა დავიწყოთ ცხოვრების არსის სახარებისეული გააზრებიდან.

მუშაობის დაწყება სახარების გზავნილის ნებისმიერი ასპექტიდან შეგვიძლია, მაგრამ მხოლოდ ამაზე არასოდეს არ უნდა გავჩერდეთ. ტრანსფორმაციის ქრისტიანული გააზრება აღქმული უნდა იყოს სახარების ყველა ელემენტში და ცხოვრებასთან, საქმესთან, სიტყვით და ნიშნით მისადაგებული. სახარების გზავნილი ყველამ მთლიანობაში უნდა გაიგოს. თუ ჩვენ მხოლოდ რომელიმე ასპექტით დავკმაყოფილდებით, სახარებას არსებითად შევკვეცთ და თანმიმდევრულობას დავუკარგავთ მას.

მინდა კიდევ ერთი განმარტება მოგაწოდოთ. ცხოვრების, სიტყვის, საქმისა და ნიშნის განუყოფლობის გააზრება და ამ განუყოფლობის აღიარება უაღრესად მნიშვნელოვანია, მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს ერთი საკითხი: როგორ მიდიან ადამიანები საწრმუნოების აღიარებამდე? რომაელთა მიმართ წერილში (10) საუბარია სახარების, როგორც სიტყვის, უნიკალურობაზე. სახარება, როგორც საქმე და სიტყვა, როგორც ნიშანი, არ არის საკმარისი. ანუ, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, სახარების გზავნილი ადამიანებს მხოლოდ ეხმარება გადაწყვეტილების მიღებაში. იგი აძლევს მათ მიმართულებას და არჩევანს სთავაზობს, მიიღონ ან არ მიიღონ იესო, როგორც მხსნელი და მიუერთდნენ უფლის სამეფოს. ამგვარად, გარდა იმისა, რომ ჩვენ უნდა გვესმოდეს, რომ სახარების გზავნილი არის სიტყვის, საქმის, ცხოვრებისა და ნიშნის ერთიანობა, უნდა გავიაზროთ მისი მიზანიც – სახარება ადამიანებს სშუალებას აძლევს შეურიგდნენ უფალს იესოს მეშვეობით.

ევანგელიზაცია და ქადაგება

ქრისტიანობის ჰოლისტიკური ქადაგების დროს უნდა გვახსოვდეს, რომ ევანგელიზმი არ განსხვავდება ქადაგებისაგან. თანამედროვეობის მიერ ფიზიკური და სულიერი ასპექტების გამიჯვნის კიდევ ერთი შედეგი ისაა, რომ ხშირად იგი მხოლოდ ღმერთთან ურთიერთობების დამყარებაზეა ორიენტირებული და სათანადოდ არ ითვალისწინებს ისეთი ურთერთობების მნიშვნელობას, როგორებიცაა თემთან ან გარემოსთან ურთიერთობები. ასეთი მენტალური გამიჯვნის გამო რეალურ სამყაროში მუშაობისა და მოქმედებების მნიშვნელობას საკმარისი ყურადღება არ ეთმობა და მოქადაგეობა მხოლოდ ბიბლიის წაკითხვით, ლოცვითა და სულიერი მოღვაწეობით შემოიფარგლება. სწორედ ამიტომაც ხდება, რომ ზოგი ქრისტიანი ბიბლიას, გარკვეულწილად, პრივატულად აღიქვამს და მას მხოლოდ სულიერ ინსტრუმენტად მიიჩნევს. ამის გამო მათ არ ესმით, რომ იგი ფიზიკურ სამყაროსაც შეეხება, ანუ პოლიტიკის, ეკონომიკის, რასისა და კულტურის საკითხებსაც განიხილავს. თუ ქრისტიანების "რეალური" სამყარო მხოლოდ სულიერი სამყაროა, მაშინ მოქადაგეობა მხოლოდ სულიერ ასპექტებს უნდა შეეხებოდეს. ეს ქადაგების ხელოვნურად შეზღუდვა და მისი ვიწრო გაგებაა.

ცეზარ მოლებასტი, სამხრეთ აფრიკელი ქრისტიანი მოღვაწე, 1991 წელს ჩემთვის გამოგზავნილ წერილში აღნიშნავდა: "ჩემი ყველაზე დიდი ტკივილი ისაა, რომ ყველა კონტინენტზე, სადაც ქრისტიანული ეკლესიები არსებობს და ქრისტიანთა ოჯახი სწრაფად იზრდება და ფართოვდება, ვხედავთ, რომ რასიზმი, ეთნიკური ძალადობა, შიდსი, კორუფცია და სიღარიბეა გაბატონებული. რა სახის ქრისტიანების ფორმირებას ვუწყოთ ჩვენ ხელს?" იგივე შეკითხვა შემიძლია დავსვა ამერიკული კულტურის მიმართ, რომელიც იჩემებს, რომ ქრისტიანულია და, იმავდროულად, გარშემო რასიზმი და ძალადობა მძვინვარებს, ქალაქები ღარიბული ჯურღმულებითაა გარშემორტყმული, არსებობს პორნოგრაფია, ნარკომანია და აბორტები და საზოგადოება მომხმარებლობის სენითაა შეპყრობილი. როდესაც ევანგელიზმისა და ქადაგების გაცალკევება ხდება, ჩვენ იმითაც ვკმაყოფილდებით, რომ ვიღაცა იესოს მხსნელად აღიარებს. მაგრამ ძალიან მაღალია იმის ალბათობა, რომ ეს ადამიანი ვერასოდეს შეიცნობს მას, როგორც უფალსა და განმგებელს. კათოლიკე თეოლოგი ავერი დულესი შეგვახსენებს, რომ ევანგელიზაცია არ არის დასრულებადი სახის; არ არის საკმარისი ის, რომ, უბრალოდ, სახარებას ვაღიარებთ: ეს არის პროცესი, რომელიც მთელი ცხოვრება გრძელდება და რომელიც გულისხმობს, რომ ადამიანი სახარებას იღებს და მას თავისი ცხოვრებისა და გონების ყველა სფეროში ავლენს, ანუ მას (სახარებას) იდეებსა და დამოკიდებულებაში თავისი პოსტულატების შეღწევის საშუალებას აძლევს" (1996, 28).

უილიამ აბრაჰამმა ევაგელიზმი განსაზღვრა, როგორც "საერთაშორისო ღონისძიებების წყება, რომელთა მიზანია ადამიანების უფლის სასუფეველთან ზიარების ხელშეწყობა" (1989, 95). ევანგელიზმის ასეთი ინტერპრეტაცია ევანგელიზმსა და ქადაგებას ერთი მთლიანი სახით წარმოიდგენს. აბრაჰამი ქრისტიანობასთან ზიარებასა და ნათლობას მეტაფორად იყენებს ევანგელიზმის ასახსნელად, მაგრამ, იმავდროულად, ამატებს, რომ ევანგელიზმი სცდება ამ ფარგლებს და აღწერს ევანგელისტური მოღვაწეობის ხუთ ელემენტს:

- ქრისტიანული ტრადიციების ინტელექტუალური გააზრება და ცოდნა, რის გარეშეც უფლის სასუფევლის შესახებ სრული წარმოდგენა ვერ ჩამოყალიბდება.
- მორალური პრინციპების მიღება, რომლებიც ქრისტიანული საზოგადოების ფუნდამენტს წარმოადგენს. თავისი არსით ეს ნიშნავს უფლისა და მოყვასის სიყვარულს.
- შინაგანი რწმენა, რომელსაც მხოლოდ სულიწმინდა გავძლევს.
- ნიჭისა და უნარების განვითარება, რომლებიც უფლის სამსახურში ყოფნის საშუალებას მოგვცემს, და მათი სხვა ადამიანებისათვის გაზიარება.
- იმ სულიერი დისციპლინების შესწავლა, რომლებიც აუცილებელია, რომ შეიცნო უფლის სასუფევლის სიხარული (აბრაჰამი, 1989, 95-103).

აბრაჰამის მიერ შემოთავაზებული ინტერპრეტაცია ისეთ ასპექტს მოიცავს, რომელიც ნამდვილად ყურადღების ღირსია. ევანგელიზმი ყოველთვის გულისხმობს რწმენის განცხადებას. თუ იგი სწორი დამოკიდებულებით ხორციელდება, ხელს უწყობს სამართლიანობას, მშვიდობას, ადამიანებზე ზრუნვას, ლოცვას, მოთმინებით ახსნა-განმარტებების მიწოდებას და ზოგჯერ საყვედურსაც კი. “მოქმედებებს ევანგელისტურს ხდის მათი განხორციელების მოტივი, ანუ მიზანი, რომ ადამიანები უფლის სასუფეველს ეზიარონ” (იქვე, 104).

მთლიანი ისტორიის გადმოცემა

მინდა აღვნიშნო, რომ ქრისტიანობის ქადაგებისადმი ჰოლისტიკური დამოკიდებულება მოითხოვს, რომ ადამიანებს მთელი ისტორია გავუზიაროთ. ჭეშმარიტი სიტყვა მხოლოდ იესოს შესახებ საუბრამდე არ უნდა დავიყვანოთ. ასეთ შემთხვევაში შეიძლება ისტორიის ცენტრალური ნაწილი გაუგებარი გავხადოთ, რადგანაც ადამიანებს მთელ ბიბლიურ ისტორიას არ გავუზიარებთ. იმისთვის, რომ ადამიანებმა სახარება განვითარების პროცესთან დააკავშირონ, უნდა შეიტყონ უფლის მიერ სამყაროს შექმნის ისტორია: უფალმა შექმნა ისინი და მათი კულტურა; უფალს უნდა, რომ ადამიანები ეთაყვანებოდნენ მას და უყვარდეთ მოყვასი; რომ უფალი მისცემს მათ ძალასა და უნარს, რომ დედამიწაზე ნაყოფიერად იმოღვაწეონ. ბევრი ტრადიციულ კულტურის პირობებში ადამიანებს საკუთრი თავისა და კულტურის დაკავშირება უფრო ძველი აღთქმის ისტორიებთან შეუძლიათ. ასე მაგალითად, მასაის ტომებმა ადვილად გაითავისეს ძველი აღთქმის ისტორია მომთაბარეობის შესახებ და უფლის წარმოდგენა ცოდვაზე. მათ, ასევე, ძალიან მოეწონათ, რომ ძველ აღთქმაში ღმერთს პატიების უნარი აქვს. ჩვენ ადამიანებს მთელი ბიბლიური ისტორია უნდა გავუზიაროთ, რომ მათ მისი აზრი გაიგონ. არსებობს კიდევ ერთი მიზეზი, თუ რატომ უნდა მოვუყვეთ ადამიანებს მთელი ისტორია. ხშირად სახარება მხოლოდ ადამიანების უფალთან პირადი ურთიერთობების აღდგენის გზად მოიაზრება. ეს ასეც არის. ბიბლიის როლზე უფრო დეტალურად მოგვიანებით გვექნება საუბარი.

როგორ უნდა გავხდეთ ქრისტიანობის მოქადაგეები

იცხოვრო მრავლისმთქმელი ცხოვრებით

ქრისტიანობის ქადაგება, რომელიც ადამიანებში შეკითხვებს ბადებს, გულისხმობს განვითარების სფეროში მოღვაწე ადამიანის ცხოვრების წესს, ჩვევებს, ცხოვრების დაფასების უნარს, მის მიერ თავისი სამუშაოს განხორციელების გზებს და სხვას. ეს განვითარების პრაქტიკოსებს მნიშვნელოვნ გამოწვევებს უქმნის. ჩვენ ისეთი წესით უნდა ვიცხოვროთ და ვიმუშაოთ, რომელიც ადამიანებს დაანახვებს, რომ ჩვენში მათთვის ახალი სულიერებაა, რომელიც შინაგანად გვცვლის. ჩვენ ურთიერთობები უნდა დავამყაროთ ადამიანებთან და განვითარების ჩვენი ტექნოლოგიები გავაცნოთ, რაც ადამიანებში ყოველთვის იწვევს გარკვეულ გაოცებას. ჩვენს თავში ისეთი სულიერება უნდა აღმოვაჩინოთ, რომელიც ცხოვრებას უფრო მრავლისმთქმელს გახდის სხვა ადამიანებისათვის. დროთი დეი გვაფრთხილებდა, რომ "ისეთი საიდუმლოებით აღსავსე ცხოვრებით უნდა იცხოვროთ, რომ ერთადერთი ადეკვატური განმარტება თქვენი უფალთან ერთად ყოფნა იყოს."

ჯვარცმული გონება

საინტერესოა განვიხილოთ ქრისტიანობის მოქადაგის განწყობილების საკითხი. ჩვენ უკვე ვისაუბრეთ, რომ არსებობს ცდუნება, რომ ჩვენდა უნებურად ქედმაღლური დამოკიდებულება გაგვიჩნდეს. ეს ცდუნება შეიძლება სხვადასხვა ფორმით გამოვლინდეს. ზოგჯერ გვეჩვენება, რომ ჩვენ ყველაზე უკეთ ვიცით, რა უნდა გაკეთდეს, რადგანაც განვითარების სფეროს პროფესიონალები ვართ. ზოგჯერ ეს იმიტომ ხდება, რომ გვგონია, სხვებზე უკეთესი განათლება გვაქვს ან სრულიად სხვა და უფრო განვითარებული კულტურის წარმომადგენლები ვართ. ზოგჯერ მახეში ვებმებით და ისე, რომ სრულიად არ ვიცნობთ სხვა ადამიანების კულტურას, ვიწყებთ მის განსჯასა და დაგმობას, რადგანაც ამ კულტურას სულების შიში ან უხილავ სამყაროსთან დაკავშირებული ცრურწმენები ახასიათებს. ზოგჯერ ეს იმიტომაც ხდება, რომ ჩვენ ვამაყობთ იმ ფაქტით, რომ ქრისტიანები ვართ, ხოლო სხვები კი არა. რაც არ უნდა იყოს მიზეზი, ასეთი დამოკიდებულება ჟანგივით ჭამს ჩვენს ძალისხმევას და ამცირებს ჩვენი ღონისძიებების ეფექტურობას როგორც განვითარების, ასევე ქრისტიანობის ქადაგების სარბიელზე.

კოიამა მოუწოდებდა ქრისტიანებს, განეგდოთ საკუთარი თავისგან ჯვაროსნული განწყობილება და ამის ნაცვლად "ჯვარცმული გონებით" ემოქმედათ, ანუ ისე, როგორც ამას იესო აკეთებდა. თუ ვინმეს აქვს უფლება თავი სხვებზე უფრო უკეთესად და მაღლა მდგომად მიიჩნიოს, ეს ძე ღმერთია. მაგრამ, მიუხედავადა ამისა, ჩვენ ფილიპელთა მიმართ წერილის მე-2 თავიდან ვიცით, რომ იესომ არ ისარგებლა ამ პრეროგატივით მაშინაც კი, როდესაც მას ჯვარზე აცვამდნენ. ჩვენც ასეთი განწყობილება უნდა გვქონდეს, რადგანაც ყველაფერი, რაც გვაქვს, უფლის მიერ მოგვეცა.

არსებობს კიდევ ერთი მიზეზი, რომლის გამოც თავმდაბლობა გვმართებს. ჩვენ იესოს გზავნილის გამავრცელებლები ვართ და არავინ გვავალდებულებს,

რომ ყველა სახის და შინაარსის შეკითხვაზე გავცეთ პასუხი. ლუკა გვიყვება, რომ როდესაც პავლე მოციქული სახარებას უკითხავდა ლიდიას, "უფალმა გაუხსნა გული მას, რათა ჩაებეჭდა პავლეს სიტყვები" (მოციქულთა საქმეები, 16:14). ევალნგელისტი ამ შემთხვევაში სულიწმინდა იყო, ხოლო პავლე კი მაცნე. ნიუბიგინი შეგვახსენებს, რომ "მისიონერობა არ არის ჩვენი მოქმედება. ეს უფლის მოქმედებაა." მოგვიანებით იგი ამბობს, რომ "სახარება თვითკმარია და იგი არ არის ინსტრუმენტი ევანგელისტის ხელში" (1989, 135, 153). სახარება არ არის ჩვენი ამბავი, რომელიც სხვებს უნდა ვამცნოთ, არამედ ეს არის ამბავი უფლის შესახებ.

"ჯვარცმული გონება" ნიშნავს ყველა ადამიანის უპირობო სიყვარულს, ისევე როგორც იესოს ვუყვარვართ ყველა უპირობოდ, მიუხედავად ჩვენი ისტორიისა, ეთნიკური კუთვნილებისა, სიბრძნისა თუ უგუნურებისა, ცოდვისა თუ სიწმინდისა. იესოს ვუყვარვართ და იგი ცხოვრების მიმართულებას გვაძლევს. ჩვენ, მის მსგავსად, უნდა მივიღოთ ღარიბები სწორედ ისეთები, როგორებიც ისინი უფალმა შექმნა და გულში ჩავიკრათ. ჩვენი პროფესიონალიზმი და რწმენა იესომ გვიბოძა იმისთვის, რომ სხვებსაც გავუზიაროთ. "სწორედ ასე უყვარს უფალს ყველა ადამიანი. ადამიანმა, რომელიც ამის მახარობელია, არ უნდა დააკნინოს ეს სიყვარული. თავად უფლის მიერ ყველა ადამიანის სიყვარული და მათი მიღება არის გზავნილი" (მოტე, 1996, 81).

ღვთის კვალის დანახვა

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ჩვენ მუდმივად ვქადაგებთ და ვადასტურებთ უფლის არსებობას იმით, რასაც ვამბობთ და ვაკეთებთ. ერთადერთი შეკითხვაა, თუ რას ვქადაგებთ. ჩვენ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ თავად უფალიც ქადაგებდა. "ამქვეყნად იყო და ქვეყანა მის მიერ შეიქმნა და ქვეყანამ ვერ იცნო იგი" (იოანე, 1:10). პრობლემა ისაა, რომ ჩვენ ყოველთვის სწორად ვერ ვქადაგებთ და, ზოგადად, ადამიანები ყოველთვის ვერ ცნობენ უფალს, მაშინაც კი, როდესაც იგი გამოგვეცხადება. შესაბამისად, ჩვენ უკეთ უნდა ვისწავლოთ უფლის კვალის ამოცნობა ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებაში, თუ გვინდა, რომ სწორად ვიქადაგოთ. ჩვენი ყოველი საუბარი, პროგრამის ფარგლებში დაგეგმილი ყველა ღონისძიება უნდა გამოვიყენოთ როგორც საშუალება, რომ მივუთითოთ ადამიანებს უფლის ღვაწლსა და მის კვალზე. შემეცნებითი კვლევის ძლერი მხარე სწორედ ისაა, რომ იგი საშუალებას გვაძლევს ჩვენი ყურადღება იმ ასპექტებზე გავამახვილოთ, რომლებიც "საქებარია, სათნო და ქებული" (ფილიპელთა მიმართ, 4:8). ყველაფერი, რაც პოზიტიურია, დაკავშირებულია იმასთან, "რაც გისწავლიათ და მიგიღიათ, რაც გსმენიათ და გიხილავთ ჩემში" (ფილიპელთა მიმართ, 4:9). ჩვენ უარი უნდა ვთქვათ განვითარების ისეთ ინტერპრეტაციაზე, რომლის შესაბამისადაც უფალი პერიოდულად ჩნდება არენაზე, და ამის ნაცვლად უნდა შევიგნოთ, რომ უფალს უკვე აქვს დაწყებული განვითარების პროცესი, რომელშიც თემსა და განვითარების სააგენტოს პერიოდულად თავ-თავიანთი წვლილი შეაქვთ.

ადამიანების სიყვარულით ქრისტიანობის აღიარების ხელშეწყობა

ის, თუ როგორ ვახორციელებთ განვითარების ღონისძიებებს, შესაძლოა გახდეს ქადაგების ერთ-ერთი გზა. ის, თუ როგორ ვექცევით ღარიბებს, ასევე, არის გზა, რომ დავანახოთ ადამიანებს, რომ ჩვენში სხვა სული მოქმედებს. როდესაც ღარიბებს თანასწორებივით ვექცევით და გვჯერა, რომ მათაც აქვთ სიბრძნე და სათქმელი, რომლის მოსმენაც გვაინტერესებს, მათ საშუალებას ვაძლევთ საკუთარი იდენტობა აღიდგინონ და ჭეშმარიტი დანიშნულება შეიცნონ. მინდა კვლავაც შეგახსენოთ ის ისტორია, რომელიც მანამდე მოგიყევთ – თემის ერთ-ერთმა წარმომაგდენელმა თქვა, რომ "ყველაზე მნიშვნელოვანი ის არის, რომ ჩემსავით ჭილოფზე ზიხარ, თვალებში მიყურებ და თანასწორივით მელაპარაკებიო." ყოველთვის, როდესაც იმედი და ხედვა ჩნდება, ერთი წამით მაინც უნდა შევჩერდეთ და მადლობა ვუთხრათ ამ იმედის ჭეშმარიტ წყაროს. AI და PLA მეთოდების წორად გამოყენებთ შეგვიძლია თემს დავანახოთ უფლის როლი მათ წარსულ ისტორიაში. ყოველთვის, როდესაც ჩვენი ჭეშმარიტებით სიცრუის მახეს გამოწვევას ვუქმნით, ჩვენ ვსაუბრობთ იმაზე, ვინც თავად არის ჭეშმარიტება, რომელსაც ჩვენ ვქადაგებთ. შეფასებისა და რეფლექსიის პროცესიც საშუალებას გვაძლევს უფალზე ვისაუბროთ. ჩვენი უნარები და შესაძლებლობები ხომ სწორედ უფალმა მოგვცა, რომელიც არ ქადაგებს დეტერმინიმზს (ლეუპი, 1996, 85).

ღმერთის როლის აღიარება ისტორიის განვითარებაში

უფალი ყველა თემის ისტორიაში ფიგურირებს. იგი განსაზღვრავს ამ თემის ისტორიას და იმ ტერიტორიას, სადაც ისინი ცხოვრობენ. უფალი ამას იმისთვის იქმოდა, რომ ადამიანებს "ეძიათ ღმერთი, რათა როგორმე შეეგრძნოთ და მიეკვლიათ მისთვის" (მოციქულთა საქმეებისა, 17:27). ადამიანების ისტორია არის ნიშანი, რომელიც უფალზე მიუთითებს.

ეს სრულიად ეწინააღმდეგება ისტორიისადმი ტრადიციულ მიდგომას, ანუ ღარიბების მიერ ისტორიის აღქმას. ეს ადამიანები თავს გარიყულებად გრძნობენ და არ მიაჩნიათ, რომ რაიმე როლი ეკუთვნით ისტორიის შექმნაში. ღარიბების დახმარება თავიანთი ისტორიის შემეცნებაში და საკუთრი და უფლის როლის გააზრებაში თავისთავად არის ტრანსფორმაციული მოქმედება და ქრისტიანობის ქადაგების შესაძლებლობა. ჩვენ უნდა ვასწავლოთ მათ "საკუთარი ისტორიის ახლებურად გააზრება და უფალი უნდა გახდეს მათთვის სარეფერენციო წერტილი" (ქრისტანი, 1998 ა, 9). ქრისტიანი ამას უწოდებს "იესოს პორტრეტის შექმნას მათ ისტორიაში." ამგვარად, განვითარების პროცესები შეიძლება გამოვიყენოთ ადამიანების უფალთან უფრო მეტად დასაახლოვებლად. ამისათვის მათ უნდა გაიაზრონ და აღიარონ უფლის წვლილი თავიანთ წარსულში. შემეცნებითი კვლევისა და PLA-ს მსგავსი ინსტრუმენტების შედეგად ადამიანებს შეუძლიათ თავიანთ ისტორიაში პოზიტიური ასპექტების აღმოჩენა და ამ ასპექტებში უფლის როლის შემეცნება. ეს მეთოდები საშუალებას გვაძლევს ადამიანების ისტორია უფლის ძალისხმევასა და ზრუნვასთან დავაკავშიროთ: "ღმერთი, რომელიც მრავალგზის და მრავალგვარად ელაპარაკებოდა მამებს წინასწარმეტყველთა პირით" (ებრაელთა მიმართ, თავი 1:1).

ღმერთის როლის აღიარება სამყაროს შექმნაში

103-ე ფსალმუნი შესანიშნავ მეტაფორას წარმოადგენს, რომელიც გვეხმარება დავინახოთ უფლის ღვაწლი სამყაროს შექმნაში. უფალთან დაკავშირებული ყველა ზმნა რაღაც მოქმედებას გამოხატავს: იგი ხსნის ცის თაღს, აბობოქრებს ქარებს, წყლით ფარავს დედამიწას და საზღვრებს ადგენს. უფალი საუბრობს და ბრძანებებს იძლევა, ხოლო სამყარო ამაზე რეაგირებს. უფლის ამ მოქმედებების შედეგად იქმნება ეკოსისტემა, რომელშიც ცხოველებს სასმელი წყალი აქვთ და ფრინველებს საარსებო გარემო. ყოველივე ეს იმ მიზნით კეთდება, რომ ადამიანების მოდგმა აყვავდეს:

> "იგი აღმოაცენებს ბალახს პირუტყვისათვის და მცენარეულობას-
> ადამიანის სამსახურებლად, რათა გამოიღოს პური მიწისგან და ღვინომ
> გაამხიარულოს გული კაცისა, გააბრწყინოს სახე საცხებელზე მეტად და
> პურმა შეამტკიცოს გული კაცისა." (ფსალმუნი ფს. 103: 14-15)

სამწუხაროდ, დასავლური სამყაროს უმეტესი ნაწილი და განვითარების სპეციალისტების უმეტესობა არ უყურებენ ბუნებას და სამყაროს ამ პრიზმიდან. ჩვენ სამყაროს შექმნას ევოლუციას, ეკოსისტემასა და მეცნიერებას მივაწერთ. ჩვენც ვიცით, როგორ უნდა მოვიყვანოთ ხორბალი, გამოვაცხოთ პური და დავწუროთ ღვინო, რომ ადამიანებს სახე გაუბრწყინდეთ. შესაბამისად, ჩვენ აღარ გვესაჭიროება უფალი, როგორც აღნიშნულ სიკეთეთა მიზეზი.

ეს ასე არ უნდა იყოს. ქრისტიანებმა უნდა იმუშაონ, რომ ეს მეტაფორა გამოიყენონ, როდესაც სამყაროს არსს აანალიზებენ და სხვასაც უზიარებენ. შეიძლება ამ თვალსაზრისით ტრადიციული კულტურებისაგან ბევრი რამ უნდა ვისწავლოთ, რომ უფრო თავმდაბლები ვიყოთ. მათი მსოფლმხედველობა ძალიან ახლოსაა 103-ე ფსალმუნთან. ერთადერთი განსხვავება ღმერთის სახელშია, რადგნაც ჩვენი ღმერთი სამყაროს ქმნის და მას ძე ღმერთი ჰყავს, რომელიც პალესტინაში მთაზე ეწამა ორი ათასი წლის წინ.

პროგრამის გადასინჯვა

ერთ-ერთი მიზეზი, რის გამოც ჩვენ მიერ ქრისტიანობის ქადაგება ის ფორმები უნდა გადაისინჯოს და ახალი მიდგომები დაინერგოს, დევს განვითარების პროგრამების ყველა იმ ნაწილში, რომლებსაც, ჩვენი აზრით, სულიერი ასპექტები არ ჰქონდა სათანადოდ გათვალისწინებული. თუ ვეცდებით, რომ ყოველდღიურ ცხოვრებაში დავინახოთ ბიბლიური მეტაფორები და ფასეულობები, გავოცდებით, რამდენი გამოუყენებელი შესაძლებლობა არსებობს. მაგალითად, პროგრამების უმეტესობა ითვალისწინებს ხელშეკრულების გაფორმებას, რომელშიც ასახულია, თუ რა ვალდებულებებს იღებს განვითარების სააგენტო და რას გააკეთებს თემი. ეს განვითარების პროცესის ადმინისტრირების ნორმალური და ჩვეული ასპექტია. ლოკ ლე ჩაუმ, სენეგალში განხორციელებული პროგრამების მენეჯერმა, აღმოაჩინა, რომ ამ პროცესშიც გარკვეული პოტენციალი არსებობს. იგი მიხვდა, რომ როგორც მუსულმანებს, ასევე ქრისტიანებს აქვთ ერთნაირი გაგება ბიბლიური კოვენანტისა, - კავშირისა ღმერთსა და ადამიანებს შორის. ამის გამო პროგრამისეული ხელშეკრუ-

ლების ნაცვლად მან დანერგა კოვენანტის გაფორმების წესი ადამიანებს, საააგენტოებსა და უფალს შორის. ამ მიზნით სპეციალურად იქნა გამოყენებული ძველი აღთქმის ენა და კოვენანტში აღწერილი იყო, თუ რა წვლილს შეიტანს თემი და რა ვალდებულებები აქვს სააგენტოს. როდესაც ჭა გაიბურღება და პროგრამა წარმატებით განხორციელდება, უფლისადმი მადლიერების ლოცვა უნდა აღევლინოს. ასეთი გზით მარტივმა სტანდარტულმა დოკუმენტმა სრული ტრანსფორმაცია განიცადა. იგი კულტურულად სრულიად მისაღები გახდა ამ ადამიანებისათვის და, იმავდროულად, გამოიკვეთა, რომ პროგრამის წარმატება კარგი მიზეზია იმისთვის, რომ უფალს მადლობა ვუთხრათ. ამგვარად, მისი წვლილი ამქვეყნიურ სიკეთეში აღიარებული იქნა.

ასეთი უამრავი შესაძლებლობა არსებობს. ბერძნულად ხსნა და განკურნება ერთი სიტყვით გამოიხატება.* ამ გზით შესაძლებელი ხდება ჯანდაცვის სფეროში განხორციელებული პროგრამების ახლებურად ინტერპრეტირება. სამყაროს შექმნის თეოლოგია, სასოფლო-სამეურნეო პრაქტიკა და გარემოს დაცვა ერთმანეთთანაა დაკავშირებული. იგივე შეიძლება ითქვას მიკროსაწარმოების განვითარებასა და ბიბლიურ იდეაზე, რომელიც ადამიანებს მოუწოდებს, რომ სამყაროს პროდუქტიული მსახურები იყვნენ. მოციქულებისა და წინასწრმეტყველების შესახებ ტექსტები სოციალური პასუხისმგებლობის ელემენტებს შეიცავს, რისი მნიშვნელობაც თავისუფალი ბაზრის თაყვანისმცემლებს ხშირად არ ესმით.

არსის ერთობლივი ძიება

რატომ არის სამყარო ასე მოწყობილი? როგორ შეგვიძლია წარმატების ახსნა? წარუმატებლობისა? დაუგეგმავი შედეგებისა? რას ნიშნავს ეს? ამ შეკითხვებს ყოველთვის საკითხის არსამდე მივყავართ. ეს შეკითხვები PLA და სუსტი და ძლიერი მხარეების ანალიზზე მიმართული სავარჯიშოების შედეგებში უფრო ღრმად ჩაგვახედებს და წინ წამოსწევს ჭეშმარიტად ტრანსფორმაციულ საკითხებს არსისა და მიზნების შესახებ.

მე-9 თავში უკვე ვისაუბრეთ ათი თესლის სავარჯიშოზე. ამ სავარჯიშოს შედეგების მიხედვით გამოვლინდა, რომ, თემის აზრით, მას არანაირი ზეგავლენა და კონტროლი არ გააჩნია ისეთ ასპექტებზე, როგორებიცაა: შემოსავალი, ჯანმრთელობა, გზები და საკვები. მათი აზრით, მათი ცხოვრების ამ ასპექტებზე კონტროლი გარეშე ადამიანებსა და სულების სამყაროს ჰქონდათ. რასაკვირველია, ამის გამოვლა აუცილებელი იყო, მაგრამ უფრო მნიშვნელოვანია, თუ *რატომ* ფიქრობს თემი ასე. როგორია თემის აზრი: რატომ არ გააჩნია მას კონტროლი თავისი ცხოვრების ძალიან ბევრ ასპექტზე? საინტერესოა, რომ ამ კითხვის თემმა ეპიკური პოემით უპასუხა, რომელიც მათ წარმომავლობას აღწერდა. ისტორიის შესაბამისად, კრიშნა მედიტირებდა და ასეთი გზით ცდილობდა გათავისუფლებულიყო ყველა სურვილისაგან. მეტოქე ღმერთი შეწუხდა, რადგან თუ კრიშნას მცდელობა წარმატებული იქნებოდა, მაშინ იგი მასზე ძლიერი გახდებოდა და ხალხიც მას სცემდა თაყვანს. ამ ღმერთმა ლამაზი ქალი გაგზავნა კრიშნას ყურადღების გასაფანტად. მისმა

* ასევეა ქართულშიც: სიტყვა „ცხონება“ ნიშნავს როგორც გადარჩენას (სულიერი და ფიზიკური აზრით), ასე განკურნებას (მედიცინის აზრით) (რედ. შენ.).

ეშმაკობამ გაჭრა და გაჩნდა შავკანიანი ბიჭი სქელი ტუჩებით, ანუ ამ ტომის წარმომადგენლების მსგავსი გარეგნობის მქონე ბავშვი. კრიშნას სულიერი მარცხისა და შეცოდების ეს ნაყოფი მისსავე ოჯახში იზრდებოდა. შემდეგ ამ ცოდვის შვილმა შემთხვევით კრიშნას საყვარელი ხარი მოკლა. გაბრაზებულმა კრიშნამ ბიჭი გააძევა. თემის განმარტებით, მათ ამიტომ დატოვეს ჰიმალაები და ინდოეთში გადმოვიდნენ საცხოვრებლად. ამ ტომის აზრით, ისინი დაწყევლილები იყვნენ. ეს იყო მათი წარმომავლობის ისტორია. ამ წყევლის გამო იყვნენ მათზე განრისხებული ღმერთები და სულები. სწორედ ამიტომ არ აინტერესებდა ისინი მთავრობას და გზასაც არ უშენებდნენ. სწორედ ამიტომ იყვნენ ისინი ღარიბები, მარგინალიზებულები და დაჩაგრულები. სწორედ ამიტომ მიაჩნდათ ტომის წევრებს, რომ ისინი არ იყვნენ ღირსეული ადამიანები, რადგანაც ასეთი იყო მათი ბედისწერა მათი ტომის პირველი წარმომადგენლიდან მოყოლებული (ჯაიაკარანი, 1997ა).

ეს კიდევ ერთი მაგალითია იმისა, თუ როგორ სიღარიბეში აგდებს ადამიანებს თავიანთი ისტორიის არასწორი გააზრება. ამ ადამიანების წარმომავლობის შესახებ მითი, ანუ მათი მსოფლმხედველობის არსი, ხელს უწყობს მათი მძიმე მდგომარეობის შენარჩუნებას და კიდევ უფრო ამყარებს მათში დაჩაგრულობის შეგრძნებას. ამ ადამიანების წარმატეტებსაც კი აქარწყლებს ეს ისტორია. როდესაც მათ ჰკითხეს, თუ რატომ ხდება კარგი რაღაცები, მათ განმარტეს, რომ მათი ლოცვა და შესაწირავი ზოგჯერ ალბობს ღმერთების გულს, მაგრამ, ძირითადად, წყევლა ყოველთვის მოქმედებს.

ამგვარად, არსის შესახებ შეკითხვების დასმის შედეგად გამოვლინდა მათი ისტორია, რამაც სრულიად შეცვალა განვითარების მიდგომები. მიუხედავად იმისა, რომ ჭები, სასოფლო-სამეურნეო პრაქტიკის გაუმჯობესება, ვაქცინაცია და სკოლები კვლავაც საჭირო იყო, ეს არ იყო საკმარისი. რატომ? განვითარების ღონისძიებების დაგეგმვა ამ ადამიანების ისტორიის ცოდნის გარეშე ისეთ განვითარებას მოიტანს შედეგად, რომელიც არც მდგრადია და არც ქრისტიანული. ნებისმიერი წარმატება ეფექტურ ლოცვასა და შესაწირავს მიეწერება. ნებისმიერი წარუმატებლობა კი წყევლის ფაქტს ადასტურებს. ის გარემოება, რომ ქრისტიანები ვართ, არ არის დაკავშირებული ან არსებითი მათ მიერ მოვლენების ახსნის თვალსაზრისით. ჩვენ, უბრალოდ, ჩართულები ვართ ამ ტომის მიერ სამყაროს შესახებ წარმოდგენაში. ამ ადამიანების ტრანსფორმაცია მხოლოდ მაშინ იქნება შესაძლებელი, თუ ისინი თავიდან გაიაზრებენ თავიანთ ისტორიას საკუთარი წარმომავლობის შესახებ. როგორ ხდება ისტორიების გადასინჯვა? ეს სწორი შეკითხვაა, მაგრამ მასზე პასუხის გაცემა არ არის ადვილი. ჩვენ ისტორიის შესახებ მინიშნებებს პირადი საუბრიდან ვიღებთ. ჩემი პირადი ისტორია მაშინ გადაისინჯა, როდესაც მე ქრისტიანი გავხდი. იმ დღიდან, როდესაც იესო ჩემი უფალი გახდა, მე ჩემს ისტორიას სხვანაირად ვყვები. ფაქტები არ შეცვლილა, მე იმავე რიცხვში დავიბადე, იგივე მშობლები მყავდა და იმავე სკოლაში დავდიოდი. მაგრამ როდესაც სახარების სიტყვა შევიცანი, სრულიად შეიცვალა ჩემი დამოკიდებულება მოვლენებისადმი.

ამ ტომისათვის ერთადერთ პასუხად ყველას ისტორიის ავტორთან შეხვედრა მიმაჩნია. მხოლოდ უფლის ტრანსფორმაციულ ძალას შეუძლია ამ ტომის ადამიანების გაძლიერება და ხსნა მისი ისტორიის თავიდან შექმნით. ამ ადამიანებს თავიანთი იტორია სიმართლედ მიაჩნიათ, მაგრამ ეს ისტორია სიცრუეა. ეს ტომი მოტყუებული იყო და ეს ტყუილი ამ ადამიანების სიღარიბის

ყველაზე ფუნდამენტურ მიზეზს წარმოადგენდა. ამ ეტაპზე ტომის მატერიალურ და სულიერ სიღარიბეს იგივე მიზეზი განაპირობებდა: სიცრუე, რომელიც ეშმაკის განზრახვით შეიქმნა. სახარების ჭეშმარიტი სიტყვა და ძალა ტრანსფორმაციის ერთადერთი გზაა. ეს ადვილი სათქმელია, მაგრამ ძალიან ძნელი განსახორციელებელია. ძალიან ხშირად ევანგელიზმი და ქრისტიანობის ქადაგება იმით თავდება, რომ ქრისტიანული ისტორია რომელიმე კულტურის ტრადიციული ისტორიის ზედნადები ხდება. თუ ქრისტიანული ისტორიისა და ტრადიციული ისტორიის ასეთი სინთეზითაა შესაძლებელი ცხოვრება, მაშინ ყველაფერი კარგადაა, მაგრამ პრობლემა მაშინ წარმოიქმნება, როდსაც ეს ორი ისტორია ერთმანეთთან წინააღმდეგობაში მოდის. ძალიან ხშირად ასეთ ვითარებაში ტრადიციული ისტორია იმარჯვებს. ამერიკის შეერთებული შტატები ამ შემთხვევაში კარგი მაგალითია. ადამიანების უმეტესობა საკუთარ თავს ქრისტიანებად მიიჩნევს. 40%-ზე მეტი აცხადებს, რომ რეგულარულად დადის ეკლესიაში. მაგრამ, მიუხედავად ამისა, კვლევები აჩვენებს, რომ ქრისტიანების სოციალური ქცევის მოდელი, ანუ გადასახადებისაგან თავის არიდება, განქორწინების მაჩვენებლები და სხვა არ განსხვავდება არა-ქრისტიანების ქცევის მოდელისაგან. მანამ, სანამ ქრისტიანული ისტორია და ამერიკული ისტორია ერთმანეთს შეესაბამება, ადამიანები კარგი ქრისტიანები არიან (და კარგი ამერიკელები), მაგრამ როდესაც ისინი წინააღმდეგობაში მოდიან ერთმანეთთან, ადამიანები ივიწყებენ ქრისტიანულ ქცევას და იქცევიან, როგორც, უბრალოდ, კარგი ამერიკელები.

ისტორიების ასეთი იერარქია ფართოდაა გავრცელებული. აფრიკელი ქრისტიანების ლიდერები ჩივიან, რომ მათი მრევლის წარმომადგენლები ექიმებთანაც დადიან (თანამედროვე ისტორია) და ლოცვებსაც აღავლენენ, რომ განიკურნონ (ქრისტიანული ისტორია) და თუ ეს არ უშველით, ტრადიციულ შამანებს მიმართავენ (აფრიკული ისტორია). ბოსნიაში ეთნიკური ისტორია უფრო ძლიერია, ვიდრე მართლმადიდებლების, კათოლიკეებისა და მუსულმანების რელიგიური ისტორია. რუანდაში ტომის ისტორიამ გადასძლია ქრისტიანულ ისტორიას, როდესაც "ეთნიკური კარტი" გაათამაშეს მათ, ვინც ძალაუფლებისაკენ ილტვოდა.

ტექნოლოგიის ინტერპრეტაცია მასში ღვთის წვლილის გათვალისწინებით

განვითარების ტექნოლოგია გზავნილია ადამიანებისათვის. როდესაც ბავშვები აღარ იხოცებიან და სოფლის მეურნეობის ნაყოფიერებაც ორმაგდება, ამ "სასწაულებს" განმარტება სჭირდება. განმარტება, ძირითადად, ან ადამიანების ტრადიციულ რელიგიაში მოიძებნება, ან განვითარების ფასილიტატორის სამეცნიერო მსოფლმხედველობაში. არც ერთი მათგანი არ შეიცავს ბიბლიურ ღმერთს. მოციქულთა საქმეების წიგნის მე-14 თავი გვიამბობს, რომ პავლემ დაინახა ადამიანი, რომელიც დაბადებიდან კოჭლი იყო. იგი ეუბნება ამ კაცს, რომ ადგეს და განკურნავს მას. პავლე სიტყვიერად არ განმარტავს, თუ როგორ განკურნა მან ეს კაცი. ადამიანები საკუთარ განმარტებას პოულობენ და აცხადებენ, რომ "ღმერთებს კაცის სახე მიუღიათ და ჩვენთან ჩამოსულანო" (მოციქულთა საქმეები, 14:11). შემდეგ ამ ადამიანებმა კიდევ უფრო მეტი სასწაული მოითხოვეს, რომ ეს "ღმერთები" ერწმუნათ. მხოლოდ მაშინ

იაზრებს პავლე თავის შეცდომას, ცდილობს განმარტოს ეს ყველაფერი და ამბობს: "ჩვენ თქვენნაირი კაცნი ვართ და გახარებთ" (მოციქულთა საქმეები, 14:15). იგი უხსნის ადამიანებს, თუ ვინ ახდენს ამ სასწაულებს სინამდვილეში.

ლესლი ნიუბიგინმა ჩვენი ყურადღება მიაქცია სახარების ტექსტში არსებულ კანონზომიერებებს. იოანეს სახარებაში, ძირითადად, მოცემულია იმის განმარტებები, რაც იესომ გააკეთა: დამბლიანი განკურნა, ადამიანები დააპურა, ბრმას თვალები აუხილა, ადამიანი მკვდრეთით აღადგინა. ეს კავშირი საქმეებსა და სიტყვას შორის ნათლად ჩანს მათეს სახარებაშიც, როდესაც იესო თორმეტ მოციქულს გაგზავნის საქადაგებლად, ეშმაკების განსადევნად და ადამიანთა განსაკურნად. ადამიანებისათვის უფლის სასუფევლის შესახებ სიტყვის მიტანა მხოლოდ ამის შემდეგ უნდა მომხდარიყო. ეს აღნიშნული სასწაულების განმატებაა. ნიუბიგინი აცხადებს, რომ თავად სასწაულები და განკურნება ჯერ კიდევ არ არის განმარტება. შეიძლება ადამიანებმა არასწორად გაიგონ იგი, რაგანაც სინამდვილეში ეს ხალხი იესოს მტერია და მის ძალას სატანურად მიიჩნევს. "განკურნება, რაც არ უნდა შესანიშნავი იყოს, არ აყენებს არსებულ წყობას კითხვის ნიშნის ქვეშ, მაშინ როდესაც სახარება აკეთებს ამას და, ამდენად, განმარტებას საჭიროებს" (ნიუბიგინი, 1989, 132).

კრიტიკული მნიშვნელობისაა შეკითხვა, თუ როგორ მოვახდინოთ განვითარების ტექნოლოგიების ისეთი სახით ინტერპრეტაცია, რომ ადამიანებმა დაინახონ უფლის მონაწილეობა და ზრუნვა და თავად არ მოუგონონ მათ განმარტება. ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად უნდა გავიგოთ, თუ რისთვისაა ეს ტექნოლოგია და საიდან ჩნდება. ტექნოლოგია კარგია, მაგრამ მისი შესაძლებლობებიც შეზღუდულია. ტექნოლოგია გვეხმარება გავხადოთ ჩვენი შრომა უფრო ეფექტური. მან არსებითად შეცვალა მატერიალური სამყარო, მაგრამ არსებობს ბევრი რამ, რისი შეცვლაც ტექნლოგიას არ შეუძლია. უოლტერსტორფი "შალომზე" საუბრისას მიგვითითებს, რომ ტექნლოგია გვეხმარება 'შალომის მიღწევაში, თუ ჩვენი და ბუნების ურთიერთობების ჭრილში განვიხილავთ ამ საკითხს, მაგრამ იგი ვერ გვეხმარება შალომის მიღწევაში ჩვენს თავში, უფალთან და მოყვასთან ურთიერთობებში. მაშინაც კი, როდესაც ტექნოლოგია ბუნებასთან ურთიერთობებში გვეხმარება, ეს ორლესული ხმალია. მან შეიძლება გაგვიადვილოს ცხოვრება, მაგრამ შეიძლება ზიანიც მოუტანოს ადამიანებს (უოლტერსტორფი, 1983, 71). მეცნიერება ვერ ქმნის უკეთესი სამყაროს ხედვას და ვერ მიგვიყვანს იქ (შენკი, 1993, 67). ამგვარად, რისთვისაა ტექნოლოგია? ლინ უაითი მიგვითითებს, რომ ჰიუ სენ ვიქტორელმა მე-12 საუკუნეში აღწერა მეცნიერება, როგორც ინსტრუმენტი, რომელიც პრობლემის გადაწყვეტის საშუალებაა და რომელიც გვეხმარება შევარბილოთ ცოდვის შედეგი — სიცივე, შიმშილი და სისუსტე (უაითი, 1978, 13). შუა საუკუნეებისათვის ტექნოლოგიების ეს განმარტება კიდევ უფრო გაფართოვდა: "გვიანი შუა საუკუნეების ყველაზე დიდი მიღწევაა არა ტაძრები, ეპიკა ან სქოლასტიკა, არამედ კომპლექსური ცივილიზაციის შექმნა პირველად კაცობრიობის ისტორიაში, რომელიც მონებისა და მუშების ზურგზე იდგა და არაჰუმანური იყო თავისი არსით" (იქვე, 22).

ფრენსის ბეკონი მე-17 საუკუნეში მოღვაწეობდა. იგი არ აღიარებდა სქოლასტიკას, რადგანაც, მისი აზრით, სქოლასტიკა არ იყო დაინტერესებული ჩვეულებრივი ადამიანების ცხოვრების გაუმჯობესებით. მეცნიერება და ტექნოლოგია იმ პერიოდში მოიაზრებოდა როგორც ადამიანების განვითარებასა

და მათ ინტერესებზე ორიენტირებული მეცნიერება (ანდერსონი, 1960, 23, 78). მაგრამ, აღსანიშნავია, რომ მხოლოდ ბოლო პერიოდში მოხდა ტექნოლოგიის არასწორი გაგება და იგი ამჟამად სიცრუის ხაფანგს ქმნის. ტექნოლოგია თვითმიზანი და პანაცეა გახდა. დღეს ტექნოლოგია მხოლოდ ძალაუფლება, კომფორტი, ეფექტურობა და მატერიალური კეთილდღეობაა, მაგრამ ტექნოლოგია ღმერთთან თავსებადი არაა. მისმა მიმდევრებმა თავიანთი საჭიროებები და სურვილები ტექნოლოგიის შესაძლებლობებს უნდა მოარგონ (პოსტმენი, 1997, 31). თანამედროვე ტექნოლოგიური ღმერთი ცრუ ღმერთია და კერპთაყვნისმცემლობას უწყობს ხელს. "კერპის შექმნა აყალბებს მცნებებს და უფალს ართმევს იმას, რაც მას რეალურად ეკუთვნის და სხვას აწერს მის დამსახურებას" (კოიამა, 1985, 48). სწორედ ამის მოწმეები ვხდებით, როდესაც განვითარების ტექნოლოგია ახდენს "სასწაულებს" ღარიბ თემებში. შესაბამისად, როდესაც ადამიანებს განვითარების ტექნოლოგიას ვუზიარებთ, ჩვენს თავს უნდა დავუსვათ შეკითხვა, ჩვენდა უნებურად კერპების შექმნას ხომ არ ვუწყობთ ხელს. ხომ არ ვეხმარებით ადამიანებს, "გაცვალონ თავიანთი დიდება ბალახის მძოველ ხარის გამოსახულებაში"? (ფსალმუნი, 106:20).

ქრისტიანების მიერ ტექნოლოგიის სიკეთეების ინტერპრეტაციის ამოსავალი წერტილი ნათელია: "რა გაქვს ისეთი, რაც არ მიგიღია? ხოლო თუ მიიღე, რაღას იქადი, თითქოს არ მიგეღოს?" (კორინთელთა მიმართ, 4:7). ადამიანის მიერ ინსტრუმენტებისა და ტექნოლოგიების აღმოჩენა პირდაპირ არის ნაბოძები უფლის მიერ, რომელმაც სამყარო შექმნა და ფიზიკური და მორალური ფასეულობები დააწესა. უფალმა ადამიანები თავისი ხატების მსგავსად შექმნა და, შესაბამისად, მისცა მათ უნარი, აღმოეჩინათ, თუ როგორ შექმნა მან სამყარო. მან მოგვცა უნარი, ვიყოთ შემოქმედები, ისევე როგორც თვითონ არის.

აუხსნა ადამიანებს უფლის, როგორც სამყაროზე აქტიურად მზრუნველი ძალის, როლი საკმაოდ რთულია. ინტელექტუალური გამოწვევაა, რომ აუხსნა ადამიანებს უფლის ყოვლისშემძლეობა და დააბალანსო ეს იმ ფაქტთან, რომ საგანი დედამიწისკენ მიიზიდება და დავარდება, თუ მას რაიმე ძალა არ შეაფერხებს. უფალი უფალია და მიზიდულობის ძალა – მიზიდულობის ძალა. ორივე სიმართლეა და პარალელურად არსებობს. ეს ორ გამოწვევას გვიქმნის. პირველ რიგში, თუ მეცნიერული კანონები კანონებია, მაშინ უფალი უნდა მართავდეს მათ, წინააღმდეგ შემთხვევაში მისი სასწაულმოქმედი ძალა ამ კანონებით შეიზღუდება. ამგვარი გააზრებით უფალი სამყაროს შექმნის პროცესის მიღმა რჩება და მისი როლი სამყაროს განვითარებაში არ გამოიკვეთება. მეორე, არანაკლებად სერიოზული, გამოწვევა ისაა, რომ ჩვენ პოსტულატის რანგში ვერ ავიყვანთ აზრს, რომ უფალი აკონტროლებს ყველა შედეგს, რადგანაც ეს (1) ზღუდავს ადამიანის თავისუფლებას; (2) არ შეიცავს განმარტებას შემთხვევით შედეგებზე; (3) უფალს პასუხისმგებელს ხდის ბოროტებაზე, ტკივილსა და უსამართლობაზე.

ფულერის თეოლოგიური სემინარიის თეოლოგი ნენსი მერფი ცდილობდა სამყაროში უფლის ღვთიური ძალის ისეთ გააზრებას, რომელიც შესაბამისობაშია ქრისტიანულ დოქტრინებთან და, იმავდროულად, მეცნიერების მიღწევებთან (მერფი, 1995). იგი ცდილობს მოძებნოს ზემოდან ქვემოთ მიმართული კაუზატიური კავშირები (უფალი და ადამიანები, როგორც მოქმედი პირები), რომლებიც არ ეწინააღმდეგება ქვემოდან ზემოთ კაუზატიურობას (მიზიდუ-

ლობის ძალა, ნაწილაკები და სხვა) (მერფი და ბრაუნი, 2009). თუ როგორ არის სამყარო მოწყობილი, ბუნებისმეტყველებიდან ვსწავლობთ. მაგრამ ღმერთი ასაზრდოებს სამყაროს და მართავს ბუნებას, თუმცა ის ამას ადამიანებს თავზე არ ახვევს და აძლევს მათ თავისუფლებას, თუნდაც იგი უფლის უარყოფას ნიშნავდეს.

მერფი ამის ასახსნელად მიგვანიშნებს იმ განსხვავებებზე, რაც არსებობს ადამიანების ცხოვრებასა თუ კვანტურ ფიზიკაში. მაკროდონეზე ფიზიკა დეტერმინისტული კანონებით იმართება. თუ ბურთს დააგდებთ, იგი ყოველთვის მიწაზე დავარდება. კვანტურ დონეზე ფიზიკა სხვანაირად მუშაობს. აქ ყველაფერს ალბათობა მართავს. ეს აინშტაინს ისე აღიზიანებდა, რომ იგი წლების განმავლობაში ებრძოდა კვანტურ ფიზიკას. "ღმერთი არ თამაშობს კამათელს" — განაცხადა მან. აინშტაინი მართალიც იყო და ცდებოდა კიდევაც. დეტერმინიზმის არარსებობა კვანტურ დონეზე არ ნიშნავს, რომ ეს პროცესი სრულიად შემთხვევითია, ან რომ ეს პროცესი არ ექვემდებარება მათემატიკურ ფორმულებში მოქცევას. ამ დილემიდან გამოსავალი დინამიკური სისტემების შესახებ ახალი ნაშრომები გახდა. ამ თეორიას პოპულარულ ენაზე ქაოსის თეორიას უწოდებენ. ეს თეორია ამტკიცებს, რომ არსებობს შინაგანი წყობა, რომელსაც არ ახასიათებს დეტერმინიზმი. მე-8 თავში ჩვენ განვიხილეთ დინამიკური სისტემების ზეგავლენა სოციალურ ტრანსფორმაციაზე. სწორედ ამ კვანტურ დონესთან დაკავშირებით ავითარებს მერფი პოსტულატს, რომ ჩვენ შეგვიძლია ვამტკიცოთ, რომ "ყველა მოვლენა ღმერთის გავლენის შედეგია"(1995, 354). კვანტურ დონეზე ღვთიური ნება და ბუნების მიზეზ-შედეგობრიობა არ ეწინააღმდეგება ერთმანეთს.

ამ ლოგიკის მსგავსად, იგივე შეიძლება ვამტკიცოთ ადამიანების რეალურ სამყაროსთან მიმართებითაც. იოსებს ესმის უფლის განზრახვა, როდესაც იგი თავის იდენტობას ამცნობს თავის ძმებს. ეს ისტორიული ანგარიშია, ანუ ისტორია იმაზე, თუ როგორ ცდილობდნენ მისი ძმები მის თავიდან მოშორებას. იგი, ასევე, უფლის განგებას ახმოვანებს, როდესაც მოგვითხრობს, რომ უფალმა სასიკეთოდ შემოატრიალა მისი ძმების ბოროტი განზრახვა, რათა „სიცოცხლე შეენარჩუნებინა უამრავი ხალხისათვის." (დაბადება, 50:20).

ისაუბრო იმაზე, რისიც გწამს

ვინსენტ დონოვანი საინტერესოდ აღწერს თავის მუშაობას მასაის ტომთან კათოლიკური მისიის ფარგლებში მოღვაწეობისას ტანზანიაში. მისიამ სკოლა და ჰოსპიტალი გახსნა და მასაის ტომს ასწავლიდა მესაქონლეობას. მისია იმედოვნებდა, რომ ამ ადამიანების მატერიალურ ასპექტებზე ზრუნვით, ანუ საქმით მაგალითის მიცემით, ტომის წევრები მათ რწმენას გაიზიარებდნენ. მაგრამ მასაის წარმომადგენლები წინააღმდეგობას უწევდნენ სახარების სიტყვიერ გადმოცემას, ისინი არ იყვნენ მზად სიტყვით ქადაგების მოსმენისათვის. რამდენიმე წელი გავიდა ისე, რომ მისიას შედეგები არ გამოუღია. დონოვანმა მისწერა თავის ეპისკოპოსს, რომ იგი აპირებდა სოფლებში წასვლას და ადამიანებთან საუბარს თავის რწმენაზე. როდესაც იგი პირველ სოფელში ჩავიდა, მასაის ერთ- ერთმა უხუცესმა ჰკითხა, თუ რატომ უნდოდა მას ტომის უხუცესებთან საუბარი. "თქვენ იცით, რომ ჩვენ სკოლებს და საავადმყოფოებს გიშენებთ, მაგრამ მე არ მინდა სკოლებსა და საავადმყოფოებზე ლაპარაკი,

არამედ მინდა გელაპარაკოთ ღმერთზე მასაის ცხოვრებაში.” დონოვანმა პასუხად მიიღო: “თუ ამისთვის მოხვედი, ამდენ ხანს რატომ არ ამბობდი?” (დონოვანი, 1978, 22).

ზოგჯერ ტრანსფორმაციული განვითარების პროცესში ქრისტიანები ცდილობენ არ ისაუბრონ თავიანთ რწმენაზე, მათ შორის არიან ევანგელიზმის მიმდევრებიც. მნიშვნელოვანია განვითარების პროცესისადმი პატივისცემა. მათ არ უნდათ ქრისტიანობის ისეთი გზით ქადაგება, რომელიც ამ პროცესის მნიშვნელოვან ფასეულობებს შეეწინააღმდეგება. გარდა ამისა, არსებობს საფრთხე, რომ ჩვენი ძლიერი პოზიციით ვისარგებლოთ ამ ადამიანებთან ურთიერთობებში. სენსიტიურობა კარგია, მაგრამ ჩვენ არ უნდა გავჩუმდეთ. დასავლეთ აფრიკაში ადგილობრივი მუსულმანები აკრიტიკებდნენ ქრისტიან ფასილიტატორებს იმის გამო, რომ მათ სულიერება აკლდათ და არ საუბრობდნენ თავიანთ სარწმუნოებაზე. 1997 წელს ნორა ავარიენტოსმა ერთ-ერთ პირად საუბარში განაცხადა: “არ შექმნა საკუთარი მოჩვენებები და ისაუბრე იმაზე, რისიც გწამს.” ეს არის მოწოდება საუბრისაკენ და არა მონოლოგისაკენ. იოანეს სახარების მე-4 თავში აღწერილია იესოსა და ერთი სამარიელი ქალის შეხვედრის ამბავი, რაც მიგვანიშნებს, რომ ადამიანებს ისე უნდა მოვეპყროთ, როგორც თანასწორებს და მათთან პრობლემატური, საინტერესო საუბარი უნდა გავმართოთ ღირებულ და ტრანსფორმაციულ თემებზე.

ბიბლია და ტრანსფორმაციული განვითარება

რატომ არის ბიბლია მნიშვნელოვანი?

მე უკვე აღვნიშნე, რომ ტრანსფორმაციული განვითარების კონტექსტი და მისი ნარატივი სხვადასხვა ისტორიის შერწყმას წარმოადგენს. თემის ისტორიას განვითარების ფასილიტატორის ისტორია ერწყმის და პროგრამის განხორციელების განმავლობაში ეს მათი საერთო ისტორია ხდება. ორივე ისტორიაში უფალს გარკვეული როლი აქვს, იგი ორივეს უკეთესი მომავლისთვის იღვწის. ეს ნიშნავს, რომ ბიბლიური ისტორია ტრანსფორმაციული განვითარების პროცესის განუყოფელი ნაწილი უნდა გახდეს. ტრანსფორმაციის მიზნები, ანუ ადამიანების ჭეშმარიტი იდენტობისა და დანიშნულების წარმოჩენა, ბიბლიურ ისტორიაზე დაყრდნობითაა განსაზღვრული და თემისა და განვითარების ფასილიტატორის საერთი მიზანია. ბიბლიური ისტორიიდან სიმართლის ძიება წარმოადგენს ტრანსფორმაციისა და ურთიერთობების გაუმჯობესების საფუძველს. შესაბამისად, ბიბლიური ისტორიის გაცნობა და წარმოჩენა ქრისტიანების მიერ მართული ტრანსფორმაციული განვითარების ცენტრალური ასპექტია. ამასთან დაკავშირებით მინდა რამდენიმე განმარტება მოგაწოდოთ. უპირველეს ყოვლისა, რადგანაც ბიბლიური ღმერთის სიტყვა ერთადერთი ჭეშმარიტი და მიუკერძოებელი სიტყვაა, ის მიმართულებას გვაძლევს, თუ როგორ უნდა გავიაზროთ ტრანსფორმაციული განვითარება. ბიბლია ადამიანის არსებობის ყველა მხარეს აერთიანებს – ჩვენს ისტორიას, იდეოლოგიას, მეცნიერებას, თანამედროვეობასა და კულტურას. ბიბლია არის ნორმების ის წყარო, რომელიც თვითკმარი და მრავლისმთქმელია, თუ მის მოსმენას ვისწა-

ვლით. არ არის სავალდებულო, რომ ადამიანებმა ქრისტიანებს დაუჯერონ. უფალმა თავისი სიტყვა გვითხრა და იგი ყველასთვის მისაწვდომია. მეორე: ბიბლია არ არის, უბრალოდ, წიგნი. ეს ცოცხალი სიტყვაა. ბიბლიის გაცნობა საშუალებას აძლევს ადამიანებს, შეხვდნენ იმას, ვინც გვიცნობს, ვინც იცის ჩვენი წარსული, აწმყო და მომავალი. ბიბლიის შესწავლა ძალიან ბევრ ასპექტს ჰფენს ნათელს, იგი სიცოცხლეს ზეიმობს და ებრძვის იმას, რაც სიცოცხლის წინააღმდეგია. ენდრიუ უოლსი შეგვახსენებს, რომ ბიბლია "დინამიკური, განვითარებადი და შემოქმედებითი ფაქტორი უნდა იყოს ადამიანის ცხოვრებაში. იგი ყოველთვის გვანახვებს რაღაც ახალს, არასოდეს არ არის მხოლოდ წარსულზე ორიენტირებული და ამიტომაც ვერ იქნება მოძველებული ან დრომოჭმული" (1996, 50). ბიბლია არის ერთადერთი წიგნი, რომლისაც ქრისტიანებს სწამთ და რომელსაც პრივილეგირებული პოზიცია ენიჭება. ჰანს რუედი გვიყვება ქალზე, რომელიც აღმოსავლეთ აფრიკის ერთ-ერთ სოფელში ცხოვრობდა და სოფელში ბიბლიით ხელში დადიოდა. მას მეზობლები ღიმილით ეკითხებოდნენ, ყოველთვის რატომ ეჭირა ხელში მხოლოდ ბიბლია. "ბევრი სხვა წიგნიც არსებობს, რომელთა წაკითხვაც შეგიძლია." ქალი სრულიად დარწმუნებით პასუხობდა: "კი, რასაკვირველია, ბევრი სხვა წიგნი არსებობს, მაგრამ მხოლოდ ეს ერთი წიგნია, რომელიც მე მკითხულობს" (ვებერი. 1995, ix).

მესამე: უფლის სიტყვა შემოქმედებითია. დაბადების შესაბამისად, უფლის სიტყვამ ქაოსიდან წესრიგი შექმნა. ამიტომ ჩვენ უფლის შემქმნელი ძალის მქონე სიტყვა იმისთვის უნდა გამოვიყენოთ, რომ ჩვენს ცხოვრებას წესრიგი შევმატოთ. იმედის მომცემია ის ფაქტი, რომ უფლის სიტყვა არ არის შემოფარგლული რაიმე კონკრეტული კონტექსტით და ყველგან ქმედითია, სადაც კი მას გაიგონებენ. მეოთხე: უფლის სიტყვა ჩვენი იდენტობის ათვლის წერტილია. ჩვენ შეგვიძლია უფლის შვილები გავხდეთ "ღვთის ცოცხალი და წარუვალი სიტყვის" მეშვეობით (1 პეტრეს, 1:23) და უფლის სიტყვა ჩვენს ადგილს დაგვანახებს საზოგადოებაში (იქვე, 2:10).

დაბოლოს, ქრისტიანებისთვის ბიბლია უნივერსალური ისტორიაა (ნიუბიგინი, 1989, 89). განსხვავებით სხვა წმინდა წიგნებისგან, ბიბლია ადამიანების ცხოვრებას სამყაროს შექმნის კოსმიური პერსპექტივიდან უყურებს და მის დასასრულამდე ისტორიას მოიცავს. ბიბლია არის ყველას წარსულისა და მომავლის ისტორია. იმ ადამიანებისთვის, რომლებიც ამ ისტორიის ფარგლებში რწმენით ცხოვრობენ, ბიბლია ქმნის იმას, რასაც პიტერ ბერგერი "დამაჯერებელ სტრუქტურას" უწოდებს, ანუ ეს არის ბიბლიური ჩარჩო, რომელიც თანმიმდევრული, მდგრადია და განმარტებებს გვაძლევს იმ სამყაროს შესახებ, რომელშიც ვცხოვრობთ.

როგორ ვისარგებლოთ ბიბლიით?

იმისთვის, რომ ბიბლიურმა ისტორიამ ის როლი შეასრულოს, რომელზედაც ზემოთ ვისაუბრეთ, იმაზეც უნდა გავამახვილოთ ყურადღება, თუ როგორ გამივიყენოთ ეს ისტორია. აქ იმავე გამოწვევის წინაშე ვდგავართ, როგორც ქრისტიანობის ქადაგების პრინციპების ტრანსფორმაციული განვითარების პრინციპებთან შეჯერების შემთხვევაში. "წადით და იქადაგეთ"-ის ტიპის ევანგელიზმი და მონაწილეობითი, ქვემოდან ზემოთ მიმართული განვითარება ერთმანეთან შეუსაბამო მეთოდოლოგიებია. სწორედ ამის გამო

შემოგთავაზეთ "შეკითხვის პროვოცირების" მეთოდი, როგორც ქრისტიანობის ქადაგების ერთ-ერთი გზა. იგივე შეეხება ბიბლიის გამოყენებასაც. "ისაწვლო, იქადაგო და ასწავლოს" მეთოდოლოგია და თეოლოგი მასწავლების განმარტებითი ქადაგება "გარედან შიგნით მიმართული" მეთოდოლოგიებია, რომელთა მეშვეობით ექსპერტები თავიანთ ცოდნას უზიარებენ ადამიანებს. "წახვიდე და უთხრას" ქრისტიანული ქადაგების მსგავსად, ბიბლიისადმი "წადი და იქადაგე"-ს მიდგომა ეწინააღმდეგება განვითარების ადგილობრივი თემის მიერ გაძღოლის იდეას, მათ შორის სულიერ განვითარებას, რომელიც თავად ადამიანების მიერ მართული პროცესია და არა ჩვენი ინიციატივა. კითხვების პროვოცირებისას უნდა მოვძებნოთ ბიბლიის ადამიანთა ტრანსფორმაციული განვითარების პროცესებში გამოყენების ეფექტური გზა და პასუხებიც ასევე ბიბლიაში უნდა მოვძებნოთ. იმავდროულად, მინდა დავამატო, რომ მე არ ვგულისხმობ, თითქოს თეოლოგიის მასწავლებლები ან განმარტებების მქადაგებლები მიუღებელ მეთოდებს იყენებენ. პირიქით, ექსპოზიციური (განმარტებითი) და ფორმალური სწავლების მეთოდები იდეალურია ეკლესიისა და საკლასო ოთახის პირობებში, მაგრამ თემის განვითარება სრულიად სხვა სფეროა და ამ შემთხვევაში ბიბლია სხვაგვარად უნდა გამოვიყენოთ. ტრანსფორმაციული განვითარების კონტექსტში, როდესაც ძირითადი მიდგომა ქვემოდან ზემოთაა, ბიბლია შეიძლება ორი მეთოდით გამოვიყენოთ. პირველი მიდგომა ითვალისწინებს, რომ განვითარება თემის მიერ მართული პროცესია, ხოლო მეორე მიდგომა რეაქციაა იმაზე, რომ ზოგი ქრისტიანი არასწორად იაზრებს ბიბლიურ ისტორიას.

პირველ რიგში, მინდა შევეხო განვითარების პროცესის გაძღოლის საკითხებს. რადგანაც განვითარება საკმაოდ ხანგრძლივი პროცესია და მას ის ადამიანები უნდა მართავდნენ, რომლებიც ტრანსფორმაციით არიან დაინტერესებული, ეს ნიშნავს, რომ სწორედ ამ ადამიანებმა უნდა მოიძიონ პასუხები ბილიური ისტორიიდან. მათ თავად უნდა აღმოაჩინონ, რომ უფალმა ისინი თავისი ხატების მსგავსად შექმნა და უბოძა ნიჭი და უნარი, რომ პროდუქტიულად მოღვაწეობდნენ ადამიანების საკეთილდღეოდ. მათ თავად უნდა აღმოაჩინონ ისტორია, რომელიც მათ დაანახებს, თუ რატომ არ მუშაობენ მათი ურთიერთობები და შეიტყონ, რომ უფალი მათ ამ ურთიერთობების გამოსწორების გზას ასწავლის. საბოლოო ჯამში, ბიბლია მათი ისტორიაც უნდა გახდეს.

მეორე: უნდა განვიხილოთ, თუ როგორ იყენებს ბიბლიას ზოგი ქრისტიანი. უნდა გვესმოდეს, თუ რა ნაკლოვანებები შეიძლება არსებობდეს ამ თვალსაზრისით. ზოგი ქრისტიანის აზრით, რადგან ბიბლია სულიერ ასპექტებს შეეხება, ის მხოლოდ სულიერ სფეროს უნდა მივაკუთვნოთ. ასეთი მიდგომის შედეგად ბიბლია მხოლოდ პირადი სულიერების განვითარების საშუალებად მოიაზრება. ეს ასეცაა, მაგრამ, იმავდროულად, თუ ამ დებულების აბსოლუტიზაციას მოვახდენთ, ჩვენ გამოვრიცხავთ ბიბლიის კავშირს მატერიალურ სამყაროსთან, მეცნიერებასა და განვითარებასთან. ასეთ შემთხვევაში ბიბლიას, როგორც ქრისტიანების სულიერი განვითარების ინსტრუმენტს, მხოლოდ საკვირაო სკოლები, ეკლესიები, ბიბლიის შესწავლის ჯგუფები გამოიყენებენ. ჩვენი უპირველესი ამოცანაა ბიბლიის გათავისუფლება ასეთი სულიერი ტყვეობიდან და იმის ხელშეწყობა, რომ ადამიანებმა გაიაზრონ, რომ იგი მათი ცხოვრების ყველა ასპექტთანაა დაკავშირებული. მეორე პრობლე-

მა დაკავშირებულია იმასთან, თუ როგორ იყენებენ ქრისტიანები ბიბლიას. გავითვალისწინოთ, რომ ზოგჯერ ბიბლიის არასწორი ინტერპრეტაცია ხდება, რის გამოც იგი, უბრალოდ, ლიტონ სიტყვად გადაიქცევა, იმის მაგივრად, რომ უფლის სიტყვა იყოს. თანამედროვე სამყაროში არსებობს ტენდენცია, რომ ყველაფერზე შეფასების პრიზმიდან ვისაუბროთ. ჩვენ ძალიან ხშირად თავად ვსაუბრობთ ბიბლიის სახელით იმის მაგივრად, რომ თავად მას მივცეთ საშუალება, ადამიანებს ესაუბროს. ჩვენს თავს უნდა ვკითხოთ, თუ რამდენად ვემსახურებით უფლის წმინდა წერილებს.

მესამე პრობლემა ისაა, რომ ჩვენ ზოგჯერ ბიბლიას ისეთ ტექსტად მოვიაზრებთ, რომელსაც უზარმაზარი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს. ასეთი დამოკიდებულება ტექსტის სუბიექტური გაგებაა და ეწინააღმდეგება აზრს, რომ ბიბლია უფლის ცოცხალი სიტყვაა, რომ უფალს, შესაძლოა, ჩვენთან საუბარი სურს მისი მეშვეობით. უფლის სიტყვის სწორად გაგება და გამოყენება საშუალებას მისცემს ადამიანებს, უკეთ შეიცნონ უფალი. ამ შეცდომის თავიდან არიდება შეიძლება იმის ნათლად გაცნობიერებით, რომ ბიბლია არ უნდა აღვიქვათ სახელმძღვანელოდ. ჩვენ უნდა უარვყოთ აზრი, რომ ბიბლიის შესწავლა მხოლოდ იმისთვისაა საჭირო, რომ სხვებსაც გავუზიაროთ ის, რაც შევიმეცნეთ. ასეთ შემთხვევაში ჩვენ ბიბლიური ტექსტის ნაცვლად ვსაუბრობთ. თავი უნდა ავარიდოთ მიდგომას, რომლის თანახმად ჩვენ შერჩევითად ვიყენებთ ბიბლიას, რადგან მიგვაჩნია, რომ ეს ჩვენს სამუშაოს მიესადაგება. ამ შემთხვევაში ჩვენ მხოლოდ გარკვეული ტექსტებით შემოვიფარგლებით. თუ ბიბლიას განვიხილავთ როგორც რესურსს, საიდანაც ნაწილების შერჩევა შეგვიძლია, მაშინ ჩვენს თავს ბიბლიაზე მაღლა ვაყენებთ. ასეთი პოზიცია ნათლად ჩანს გარკვეულ ისტორიულ კრიტიკაში და იმ ადამიანების მიდგომაში, რომლებიც ბიბლიურ ტექსტებს იშველიებენ, როგორც დარწმუნების ინსტრუმენტს. აღმოსავლეთ აფრიკელი ქალი სწორია. ჩვენ ტექსტის შიგნით უნდა ვისწავლოთ წვდომა, საშუალება მივცეთ ბიბლიას, რომ წაგვიკითხოს თავისი თავი. ჩვენ უნდა ვისწავლოთ ბიბლია, ხოლო იმ ადამიანებმა, ვისთანაც ვმუშაობთ, თავად უნდა ისწავლონ ის. ბიბლიური ტექსტი უნდა გამოიყენონ ინტერპრეტაციის ინსტრუმენტად და უფალთან შეხვედრის საშუალებად.

ნიუბიგინი ბიბლიური ისტორიის შიგნით "დასახლებას" გვთავაზობს. როდესაც ჩვენ ისტორიის შიგნით ვცხოვრობთ, ისტორიის მთხრობელი გადაწყვეტს, თუ როგორ დასრულდება ისტორია. ამ ისტორიაში "დასახლება" ნიშნავს ტექსტთან ერთად ცხოვრებას ისე, რომ ჩვენც და ის ადამიანებიც, რომლებთან ერთადაც ვმუშაობთ, ისე განვიცდით ამ ისტორიას, როგორც საკუთარს, ანუ ღარიბებისა და შეძლებულების შესახებ ისტორიას. "*ჩვენ* ვართ ის ადამიანები, რომლებიც უფალმა გაათავისუფლა ეგვიპტის მმართველობისგან და წითელი ზღვა გადააცურინა.

> *ჩვენ* ვართ ის ხალხი, რომელსაც სიღარიბესა და განდევნილობაში გვიწევდა ცხოვრება და გათავისუფლებას ვნატრობდით; *ჩვენ* ვართ იესოს მოციქულები, რომლებსაც იგი საყვედურობდა იმისთვის, რომ არასწორად გაიგეს მისი მისია და რომლებსაც იგი გამოეცხადა მკვდრეთით აღდგომის შემდეგ. *ჩვენ* ვართ ახლად ჩამოყალიბებული ეკლესია, რომელზეც ორმოცდამეათე დღეს სულიწმინდა გადმოედინა (მიდელტონი და უოლში, 1995, 175).

ბიბლიურ ისტორიაში ცხოვრება და ამ ისტორიით ცხოვრება ბიბლიის, როგორც ყველა ისტორიისთვის არსის მიმცემის, ტრანსფორმაციული ძალის გამოთავისუფლების საშუალებას იძლევა. ბევრი ჩვენგანისათვის ეს, გარკვეულწილად, ახალი ბიბლიაა. ჩვენ გვერდზე უნდა გადავდოთ საღმრთო წერილების ჩვენეული გაგება და საშუალება მივცეთ უფლის სიტყვას, რომ მან თავისი სათქმელი გვითხრას. ბრუგემანი ამბობს, რომ "ჩვენი მდგომარეობა ბიბლიის ტექსტში უნდა გავატაროთ მისი ახლებურად დანახვისთვის. ყველა თაობაში ეს ტექსტი მის ადრინდელ ინტერპრეტაციას ეწინააღმდეგება და გვაიძულებს, რომ იგი ახლებურად მოვიაზროთ" (1993ბ, 18-25). სწორედ ამ თვალსაზრისს ვგულისხმობთ, როდესაც ვამბობთ, რომ უფლის სიტყვას საშუალება უნდა მივცეთ, თავისი სთქმელი თქვას ტრანსფორმაციის სფეროში. მე ღრმად მწამს, რომ ტრანსფორმაციული გნვითარების პროცესში ბიბლია უნდა გამოვიყენოთ.

ბიბლია და ტრანსფორმაციული განვითარება

ბიბლიის ტრანსფორმაციის ინსტრუმენტის სახით გამოყენება პროტესტანტებისათვის საკმაოდ ახალი მიმდინარეობაა. რიგითი რელიგიური ადამიანების მიერ ბიბლიური ისტორიის შესწავლა და მისი ჩვენი ცხოვრების რეალურ ასპექტებთან შეჯერება ჩვენთვისაც ახალია. ჩვენ ხშირად ბევრად უფრო კომფორტულად ვგრძნობთ თავს, როდესაც ექსპერტი გვეუბნება, თუ რას ამბობს ან გულისხმობს ბიბლია. ზოგადად, გავრცელებული მოსაზრების თანახმად, ფრაზა *ბიბლიის შესწავლა* გულისხმობს, რომ პროფესიონალი, რომელმაც შესაბამისი ტრენინგი გაიარა, გვასწავლის ბიბლიას და გვეხმარება მისი გაგების პროცესში. ჩვენ ჩვენი პასუხისმგებლობა მღვდლებსა და თეოლოგებს გადავეცით და, ამგვარად, მათი აზრისა და თვალსაზრისის პასიური რეციპიენტები გავხდით.

კათოლიკე სოციალური აქტივისტები, ჯო ჰოლანდი და პიტერ ჰენრიოტი, სოციალური მოქმედებების ისეთ მიდგომას გვთავაზობენ, რომელიც ღარიბებისთვის სოციალური აქტივობის სწავლების პროცესში საღმრთო წერილების ჩართვას გულისხმობს (1983). ისინი ამას პასტორალურ წრეს უწოდებენ. ეს წრე ოთხი ელემენტისგან შედგება: ჩართვა, სოციალური ანალიზი, თეოლოგიური რეფლექსია და მოქმედებები.

ჩართვა გულისხმობს, რომ უნდა გახდე თემის ნაწილი და მასთან ურთიერთობები დაამყარო. *სოციალური ანალიზი* გულისხმობს, რომ თემი თავის რეალობას აანალიზებს და შეისწავლის. *თეოლოგიური რეფლექსია* გულისხმობს თემის მიერ თავისი სოციალური, პოლიტიკური და ეკონომიკური სიტუაციის თეოლოგიურ გააზრებას. *მოქმედებები* გულისხმობს თემის მიერ თეოლოგიური მოქმედებების განხორციელებას (იხილეთ დიაგრამა 10-1).

პასტორალურ წრეში ბიბლიასთან მუშაობა ეხმარება ადამიანებს, უკეთ შეიცნონ თავიანთი წარსული და დაინახონ მომავალი. ბიბლია გამოიყენება რესურსად თემთან დიალოგის გასამართად მისი ვალდებულებების, ფასეულობების, რწმენის, ტრადიციების შესახებ, რადგანაც ეს ყველაფერი გავლენას ახდენს განვითარების პროგრამაზე როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი თვალსაზრისით. ამ პროცესის მიზანია ღონისძიებების გატარება და შემდეგ იმის შეფასება, თუ რა შედეგები იქნა მიღებული რეალურად. შემდეგ

ეს წრე გრძელდება. მომდევნო ეტაპებია: რეაქცია, თეოლოგიური რეფლექსია და კვლავ მოქმედებები.

ტრანსფორმაციული განვითარების პროცესში ბიბლიის ახლებურად გამოყენება საშუალებას გვაძლევს, რომ ბიბლიას და ღმერთს დავუგდოთ ყური. ამის საილუსტრაციოდ შემიძლია მოვიყვანო საღმრთო წერილების შესწავლის მეთოდოლოგია, რომელიც World Vision-ის ფილიპინების ოფისმა შეიმუშავა, და შვიდი ნაბიჯის მეთოდი, რომელიც ლუმკოს ინსტიტუტში (სამხრეთ აფრიკის რომაულ-კათოლიკური ინსტიტუტი) შეიქმნა.



დიაგრამა 10-1: პასტორალური წრე
(ჰოლანდისა და ჰენრიოტის ადაპტირებული ვერსია, 1983)

მოცემული მეთოდი გამოყენებული იყო World Vision-ის პროგრამების ფარგლებში ლათინურ ამერიკაში. საუბარს დავასრულებ იმ საკითხის განხილვით, რომელიც შეეხება საღვთო წერილის ისტორიის გადმოცემას. მოცემული მიდგომა „ახალი ტომების“ მისიამ შემოგვთავაზა. იგი ძალიან საინტერესოა, თუ მას უფრო ჰოლისტიკური სახით გამოვიყენებთ, და უაღრესად ეფექტური იქნება ტრანსფორმაციული განვითარებისას ქრისტიანობის ქადაგების პროცესში.

საღმრთო წერილების შესწავლა

ბიბლიის შესწავლა ტრანსფორმაციული განვითარების პროცესში მალკოლმ ბრედშოუმ შემოგვთავაზა, რომელიც World Vision-ის ფილიპინების ოფისში ხანგრძლივი დროის განმავლობაში მუშაობდა. მან სხვადასხვა მეთოდოლოგია

შეიმუშავა ბიბლიის გამოყენებასთან დაკავშირებით და წარმატებით გამოიყენა ეს მიდგომები კათოლიკური განახლების მოძრაობის ფარგლებში ფილიპინებზე. შემდეგ ბრედშოუმ მოცემული მეთოდების ადაპტირებული ვარიანტი შეიმუშავა განვითარების პროგრამებში გამოსაყენებლად. საღმრთო წერილების შესწავლის მეთოდი ბიბლიის გამოყენებას გულისხმობს თემთან მუშაობის პირობებში (დიაგრამა 10-2). საღმრთო წერილების შესწავლის მიდგომა ეფუძნება დაშვებას, რომ ბიბლია იმდენად ნორმების წყარო ან კონცეპტუალური საფუძველი კი არა, უფალთან შეხვედრის საშუალებაა, რადგანაც იგი ისტორიაა, რომლის ჩვენთან გაზიარებაც ღმერთმა ისურვა. თუ ჩვენ მას მოვუსმენთ, იგი "იმედს ჩაგვინერგავს, შთაგონებას მოგვცემს და ისეთ შესაძლებლობებს დაგვანახვებს, რომლებსაც ადამიანის გონება ვერც კი წარმოიდგენდა" (ალვარესი, ავარიენტოსი და მაკალპაინი, 1999). საღმრთო წერილების შესწავლის პროცესი დაგვეხმარება გამოვიდეთ სულიერი ტყვეობიდან, რაზედაც ადრე გვქონდა საუბარი. იგი ბიბლიას საშუალებას აძლევს გვესაუბროს პირად და საზოგადოების მორალზე. იგი დაგვეხმარება გავიგონოთ ღვთის სიტყვა არა მხოლოდ კვირა დღეს, არამედ ორშაბათიდან შაბათის ჩათვლით; იგი საუბრობს ეკლესიებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების როლზეც.

პროტესტანტების მიერ ბიბლიის ტრადიციული გამოყენება	**ბიბლიის შესწავლა**
ძირითადად მიმართულია ინდივიდუალურ პიროვნებაზე	ძირითადად მიმართულია თემზე
ძირითადად მიმართულია სულიერ ასპექტებზე	შეეხება ცხოვრების ყველა სფეროს, მათ შორის სულიერს
ძირითადად ეხება მომავალ ცხოვრებას	ძირითადად შეეხება ამქვეყნიურ სამყაროს და, ასევე, მომავალს
ძირითადად დაწერილია ღვთიური თვალსაწიერიდან	ძირითადად დაწერილია ღვთიური თვალსაწიერიდან, მაგრამ სხვა მოსაზრებებსაც შეიცავს

დიაგრამა 10-2: ბიბლიის შესწავლა (ალვარესის, ავარიენტოსისა და მპაინის ადაპტირებული ვარიანტი)

თემებთან მუშაობისას ბიბლიის გამოყენების პროცესში World Vision-ის ფილიპინების ოფისი შემდეგი ვარაუდებით ხელმძღვანელობს:

- უფალი უკვე მოღვაწეობს თემის დასახმარებლად.
- თემის წევრებს დიდი გამოცდილება აქვთ ცხოვრების სხვადასხვა სფეროში და მათ შორის სულიერშიც.
- თემი პასუხისმგებელია თავის სულიერ განვითარებაზე.

- თემის წევრებს თავად შეუძლიათ სულიერი ჭეშმარიტების თავის კონტექსტთან მიმართებით გამოყენება.
- ადგილობრივ ეკლესიებს მნიშვნელოვანი როლი ეკისრებათ თემის სულიერების განვითარებაში და ბიბლიის შესწავლა პროზელიტისტურია თავისი არსით.

ბიბლიის შესწავლა მოქმედება-რელფექსია-მოქმედების პროცესის ნაწილია, რომელიც ჰოლანდმა და ჰენრიოტმა შემოგვთავაზეს და რომლის შესაბამისად თემი თავად უნდა გაუძღვეს თავისი განვითარების პროცესს. ბიბლიის შესწავლის მეთოდოლოგია მარტივი ორ-ეტაპიანი პროცესია. პირველ ეტაპზე ფასილიტატორი თემის შეკრებაზე მიდის წინასწარ შერჩეული ბიბლიური ტექსტის წასაკითხად. ამ ტექსტის წაკითხვის შემდეგ მისი განხილვა და რეფლექსია იწყება (რეფლექსიისათვის გამოსაყენებელი ბიბლიური ტექსტების ჩამონათვალი I დანართშია მოყვანილი). ტექსტი იმისდა მიხედვით შეირჩევა, თუ რა პრობლემა დგას თემის წინაშე. ბიბლიური ტექსტები განიხილება როგორც პრაქტიკული მაგალითი და დაისმის შესაბამისი შეკითხვები დისკუსიის ხელშესაწყობად. ტექსტთან დაკავშირებით ქადაგება არ არის სასურველი.

მეორე ეტაპზე ადამიანებმა თავად უნდა განსაზღვრონ ამ ტექსტის აქტუალურობა და ის საკითხები გამოავლინონ, რომლებიც გამოწვევებს ქმნის ცხოვრებაში. ფასილიტატორები სხვადასხვა მეთოდს იყენებენ, რათა ადამიანები დისკუსიის პროცესში ჩართონ, მაგრამ ეს მეთოდები არ ატარებს პირდაპირი ინსტრუქტირების ან მართვის ხასიათს. როგორც წესი, აქტუალურია შემდეგი სამი შეკითხვა:

- რა მსგავსებაა იმ სიტუაციას შორის, რომელიც ბიბლიურ ტექსტშია აღწერილი და თქვენს რეალურ გამოცდილებას შორის? (ეს ხელს უწყობს კონტექსტუალიზაციას).
- რას იგებთ ამ ტექსტიდან და მასში აღწერილი ადამიანების გამოცდილებიდან ისეთს, რაც უფრო ნათლად დაგანახებთ თქვენს სიტუაციას? (ეს ეხმარება რეფლექსიის პროცესს).
- როგორ ფიქრობთ, რა უნდა გააკეთოთ ამ დასკვნების მიხედვით როგორც პირად, ასევე საზოგადოებრივ ცხოვრებაში? (ეს გვეხმარება აქტუალიზაციასა და სამომავლო გეგმის დასახვაში, რაც, თავის მხრივ, კვლავ მისცემს დასაბამს მოქმედება-რეფლექსია-მოქმედების პროცესს).

World Vision-ის ფილიპინების ოფისის შედეგებიდან ნათელი ხდება, რომ ამ მიდგომის დანერგვის შედეგად როგორც პირად, ასევე სოციალურ დონეზე პოზიტიური ცვლილებები მოხდა. ადამიანების თქმით, მათი ურთიერთობები უფალთან გაღრმავდა, მეუღლეებსა და ბავშვებთან ურთიერთობები გაუმჯობესდა და ისინი უფრო მზადყოფნით ემსახურებიან თემის ინტერესებს, ვიდრე მანამდე. თემის ლიდერები ამბობენ, რომ მათ უფრო უკეთ ისწავლეს თემის გაძღოლა. რადგანაც თემში ამ პროცესში ჩვეულებრივი ადამიანები იღებენ მონაწილეობას და არა რელიგიური მოღვაწეები, ეს საშუალებას აძლევს პროტესტანტებსა და კათოლიკეებს, რომ უფრო ეფექტურად ითანამშრომლონ და ხელი შეუწყონ თემების განვითარებას. გარდა ამისა, პროტეს-

ტანტულ ორგანიზაციას World Vision-სა და კათოლიკურ ინსტიტუტებს შორის ოფიციალური თანამშრომლობა დამყარდა სულიერი ასპექტების ფორმირების სფეროში. ბიბლიის შესწავლის მეთოდის დანერგვის შედეგად World Vision-ის ფილიპინების ოფისი და თემები, რომლებშიც ასეთი მუშაობა ჩატარდა, აღნიშნავენ, რომ ბიბლია სრულიად ახალი კუთხით დაინახეს. "ჩვენ თავიდან აღმოვაჩინეთ ბიბლია, როგორც ისტორია, რომელიც განმარტავს ცხოვრების აზრს, მიზანს; მოჰყავს შერიგების, მიტევების; ადამიანების, თემების, ერებისა და თავად ბუნების ტრანსფორმაციის მაგალითები" (ალვარესი, ავარიენტოსი და მაკალპაინი, 1999).

შვიდი ნაბიჯი

შვიდი ნაბიჯის მიდგომა ლუმკოს ინსტიტუტის მიერ შემუშავდა (სამხრეთ აფრიკის კათოლიკე ეპისკოპოსთა კონფერენციის პასტორთა ინსტიტუტი), რომელიც პასტორებისათვის ბიბლიის ინტერპრეტაციის მსგავს ინსტრუმენტებს 1960-იანი წლებიდან ამუშავებს. შვიდი ნაბიჯის მიდგომა ბიბლიის ცხოვრებასთან დაახლოებას ემსახურება და ბიბლიური ლოცვის საკმაოდ ძველი მიდგომის ადაპტირებულ ვერსიას წარმოადგენს, რომელსაც *Lectio Divina* ეწოდება. ქრისტიანული ეკლესიის არსებობის პირველი საუკუნეების განმავლობაში ბიბლია სიტყვიერი ფორმით გადაიცემოდა, რაც ოთხი სახით ხდებოდა: ხმამაღლა წაკითხვა, მედიტაცია (რეფლექსია), ლოცვა და განჭვრეტა (განხილვა).

შვიდი ნაბიჯი უფრო ბიბლიის წაკითხვის მეთოდია, ვიდრე ბიბლიის შესწავლისა (ალვარესი, ავარიენტოსი, მაკალპაინი, 1999). აქცენტი კეთდება ჯგუფურ მოსმენასა და გაცნობიერებაზე და არა ბიბლიური ტექსტის სიღრმისეული შრეების მნიშვნელობის წვდომაზე. აქცენტი იმაზე კეთდება, თუ რას მეუბნება მე (ან ჩვენ) უფალი. აქ იგულისხმება გამოცდილების გაზიარება და მოსმენა და არა დისკუსიის გამართვა. შესაძლოა, ეს ძალიან ექსტრემალურად გამოიყურებოდეს, მაგრამ მოთმინებით მოსმენა ეხმარება ადამიანების შესაძლებლობების განვითარებას და, შესაბამისად, პროგრამის უფრო ეფექტურად განხორციელებას მშვიდობიან და კეთილგანწყობილ გარემოში. შვიდი ნაბიჯის მიდგომა ბიბლიის შესწავლის მეთოდის უბრალო ვარიაცია კი არა, დამოუკიდებელი მეთოდია. მოცემული მიდგომა ადამიანების მცირე ჯგუფთან მუშაობის გზით გამოიყენება. ამ ჯგუფებში, ძირითადად, ის ადამიანები შედიან, რომლებიც განვითარების პროცესში იღებენ მონაწილეობას. მისი ეფექტურობა იზრდება, როდესაც იგივე ადამიანები ესწრებიან ყოველ შეხვედრას. რადგანაც მოცემული მეთოდი ტექსტის მოსმენას ეფუძნება, იგი შეიძლება იმ ადამიანებთანაც გამოვიყენოთ, რომლებმაც წერა-კითხვა არ იციან. გამოცდილებაზე დაყრდნობით შეგვიძლია აღვნიშნოთ, რომ ასეთ შემთხვევაში ყველაზე ეფექტურად სახარებისა და ფსალმუნების ტექსტები მუშაობს. ფასილიტატორი მე-10-3 დიაგრამაზე ნაჩვენებ გეგმას მიჰყვება. ტექსტის ხმამაღლა წაკითხვის შემდეგ ფასილიტატორი იცდის, სანამ ადამიანები ამ ტექსტს მოძებნიან, რადგანაც ყოველი ადამიანის აქტიური ჩართულობა უაღრესად მნიშვნელოვანია. *განჭვრეტა* გულისხმობს მისცე სიტყვას ან ფრაზას საშუალება, რომ მოვიდეს ჩვენამდე. ჩვენ ვუსმენთ უფლის სიტყვას, რომელიც ჩვენთვისაა განკუთვილი. მოსმენა ნიშნავს ჩუმად მოსმენასა და სიამოვნების მიღებას. ეს არ არის აქტიური ლოცვისათვის განკუთვნილი დრო.

შვიდი ნაბიჯი

1.მონაწილეების დისკუსიაში ჩართვა
ჩვენ უნდა გვახსოვდეს, რომ უფალი ჩვენთანაა. ვინმეს ხომ არ სურს ლოცვა აღავლინოს იესოსადმი?

2. წაკითხვა
მოდით, გადავშალოთ ჩვენი „ბიბლიები“...

3. განჭვრეტა
ვარჩევთ სიტყვას ან მოკლე ფრაზებს, ვკითხულობთ ხმამაღლა და საკმარის დროს ვაძლევთ ადამიანებს, რომ სამჯერ ჩუმად, თავის გონებაში გაიმეორონ ეს სიტყვა, სანამ გულთან არ მიიტანენ.

4. მოსმენა
რამდენიმე წუთი ჩუმად ვართ, რომ უფალს საშუალება მივცეთ, დაგველაპარაკოს.

5. გაზიარება
რომელმა სიტყვამ ან ფრაზამ იმოქმედა თქვენზე ყველაზე მეტად?

6. ჯგუფური დავალება
განვიხილავთ იმ დავალებას, რომელიც ჯგუფურად უნდა შესრულდეს. შემდეგ ჯგუფი დავალებასთან დაკავშირებით მოკლე ანგარიშს აკეთებს. რა ახალი დავალება უნდა შევასრულოთ? ვინ შეასრულებს მას და როდის?

7. ლოცვა
ვისაც სურს, სპონტანურად ლოცულობს. ვასრულებთ გალობით ან ლოცვით, რომელიც ყველამ იცის.

დიაგრამა 10-3: შვიდი ნაბიჯი

გაზიარება გულისხმობს, რომ ადამიანები ერთმანეთს უზიარებენ სიტყვებს ან ფრაზებს, რომლებიც მათთვის ყველაზე მნიშვნელოვნი აღმოჩნდა და განმარტავენ, თუ როგორ დაანახვეს ამ სიტყვებმა მათ ახლებურად საკუთარი ცხოვრება. ჯგუფი უსმენს, მაგრამ არ აკეთებს კომენტარებს. ეს არ არის დისკუსიის ან ლოცვის დრო. *ჯგუფური დავალების* შესრულებისას ადამიანები უკვე უზიარებენ ერთმანეთს აზრებს და ბიბლიიდან რეალური ცხოვრების შესახებ საუბარზე გადადიან. ამ მომენტში განიხილება ნებისმიერი საკითხი, რომელიც შეიძლება პროგრამის განხორციელებასთან იყოს დაკავშირებული. ეს არის მოქმედება-რეფლექსია-მოქმედების ციკლის რეფლექსიის ეტაპი. ამ დროს განხორციელებულთან დაკავშირებით ინფორმაციული უკუგაცვლა ხდება და სამომავლო ღონისძიებები იგეგმება. შესაძლოა, ხმამაღლა წაკითხული ტექსტი თემატურად არ იყოს დაკავშირებული მათ სამუშაოსთან, მა-

გრამ "წინა ეტაპების განმავლობაში გულდასმით მოსმენის შედაგად შეძენილი გამოცდილება ზეგავლენას ახდენს იმაზე, თუ როგორ განიხილავენ ჯგუფის წევრები მათ წინაშე დასმულ ამოცანებსა და ერთმანეთთან ურთიერთობებს" (ალვარესი, ავარიენტოსი და მაკალპაინი 1999).

ამ მიდგომის გამოყენების შედეგები საკმაოდ კარგი იყო. გუნდური მუშაობა გაუმჯობესდა, პროექტის განხორციელების პროცესში ჩართულობა გაიზარდა, კათოლიკეებსა და პროტესტანტებს შორის თანამშრომლობა გაუმჯობესდა. ბევრმა ადამიანმა აღნიშნა, რომ მათი უფალთან ურთიერთობა გაღრმავდა და ადგილობრივი ეკლესიების ჩართულობაც გაიზარდა. იმავდროულად, აღსანიშნავია, რომ მოცემული მეთოდის გამოყენებასთან დაკავშირებით გარკვეული გამოწვევებიც არსებობს, რადგანაც ტექსტის მოსმენა მისი ღრმა ანალიზის ნაცვლად ბევრი პროტესტანტისათვის ახალი მიდგომაა. ბევრ კონტექსტში ადამიანები მიჩვეულები არიან ბიბლიის ტრადიციული გზით გამოყენებას. ანუ: პასტორი ან განვითარების სპეციალისტი უნდა აკეთებდეს ბიბლიური ტექსტის ინტერპრეტაციას. ამის შედეგად ჯგუფები დავალების მე-5, ანუ განხილვის ეტაპზე, გადადიან (რაც შეიძლება სწრაფად), რასაც მე-6 ეტაპი მოჰყვება, როდესაც ანგარიშის მიწოდება და სამომავლო გეგმების დასახვა ხდება. აღსანიშნავია, რომ მოცემული მეთოდის ეფექტურობა ფასილიტატორის უნარებსა და გამოცდილებაზეა დამოკიდებული, ისევე როგორც ჯგუფის მზადყოფნაზე, ისწავლოს რაღაც ახალი. ძალიან ძნელია სკუთარი მოლოდინის გადაწყობა იმ რეჟიმიდან, როდესაც ჩვენ ბიბლიას ვსწავლობთ, იმ რეჟიმზე, როდესაც ბიბლია შეგვისწავლის ჩვენ. ანა ჰოუფმა და შალი ტიმელმა, რომლებიც ზიმბაბვეში მუშაობდნენ ხანგრძლივი დროის განმავლობაში, *ტრანსფორმაციული განვითარების ინსტრუმენტების* მთელი წყება შეიმუშავეს პაოლო ფრიერეს განათლების პრინციპებზე დაყრდნობით, რომლებიც ბიბლიის შესწავლის მეთოდის მსგავს მიდგომებს წარმოადგენენ. მოცემული თავის ბოლოს ბიბლიური ამონარიდების ჩამონათვალია მოცემული, რომლებიც ამ მიზნით გამოიყენება.

სახარების ისტორიის სახით გადმოცემა

ბიბლიის შესწავლა და ამ მიზნით აღნიშნული შვიდი ნაბიჯის გამოყენება უაღრესად ეფექტური ინსტრუმენტებია ბიბლიის ცხოვრებასთან მიახლოებისა და პრიორიტეტების, საკითხებისა და ურთიერთობების ამ პრიზმიდან შეფასებისათვის. მაგრამ რადგანაც ეს მიდგომები მხოლოდ ბიბლიური ტექსტის რომელიმე ნაწილზე აკეთებს აქცენტს, ისინი ნაკლებად ეფექტურია, როდესაც მთლიანი ბიბლიური ისტორიის გადმოცემა გვინდა. იმავდროულად, როგორც უკვე არაერთგზის მქონდა საუბარი ამ წიგნში, მთლიანი ბიბლიური ისტორიის გადმოცემა უაღრესად მნიშვნელოვანია ჩვენი და თემის ისტორიის შეწრყმისათვის უფლის ისტორიასთან. ტრანსფორმაციული განვითარების კონტექსტს სახარების ისტორიის სახით გადაცემა უფრო მიესადაგება. მოცემული მიდგომა „ახალი ტომების" მისიის წარმომადგენელმა ტრევორ მაკილვაინმა შეიმუშავა. ეს ინსტრუმენტი იმ ადამიანებისთვისაა განკუთვნილი, რომლებმაც წერა-კითხვა არ იციან, ანუ მათ არ გააჩნიათ დამწერლობა. მაკილვაინმა გამოიკვლია, რომ იმ ტრადიციულ კულტურებში, რომლებშიც ისტორია ეპიკური სახითაა წარმოდგენილი, განათლება და ფასეულობები

თაობიდან თაობაში ზეპირი გზით გადადის. სხვა ფორმა, რომელიც მათი კულტურისთვის არაა დამახასიათებელი, ნაკლებად მისაღებია. ეს ადამიანები თავიანთ ისტორიაზე უაღრესად დამოკიდებულები არიან. ის ეხმარება მათ დღევანდელი დღით ცხოვრებაში. იესოს ისტორიის ბიბლიური ხალხების ისტორიისაგან განცალკევებულად მოყოლა მათთვის ნაკლებად გასაგებია. ასეთ შემთხვევებში იესოს ისტორიის გაგება მისი წარმომავლობის, ფესვებისა და მომავალი განვითარების გარეშე ნაკლებად ეფექტურია. მთლიანი ბიბლიური ისტორიის მოსმენის გარეშე მსმენელი შეიძლება ვერ მიხვდეს, რომ მხოლოდ ერთი ღმერთი არსებობს ან მის არსს ვერ ჩასწვდეს. მთლიანი ისტორიის გარეშე როგორ უნდა გაიგონ ადამიანებმა, რა განზრახვა აქვს უფალს ან როგორ შეიქმნა სამყარო ისეთი სახით, როგორიც ის დღეს არის? მორჩილება, ცოდვა, ღვთისმოსაობა და რწმენა ძნელი გასაგებია, თუ ეს ცნებები იმ კონტექსტიდანაა ამოღებული, რომელიც მათი სწორად ინტერპრეტაციის საშუალებას იძლევა. მაკილვაინმა მიზნად დაისახა ბიბლიის ქრონოლოგიური თანმიმდევრობის მიხედვით დალაგება, რათა მისი ეპიკური ისტორიის მსგავსად მოყოლა გამხდარიყო შესაძლებელი, დაწყებული სამყაროს შექმნის ისტორიიდან იესოს მეორედ მოსვლით დასრულებული. შედეგად მან მიიღო ქრონოლოგიურად გამართული ისტორია, რომელიც საშუალებას აძლევს იმ ადამიანებს, რომლებსაც იესოს ან ისრაელის შესახებ მანამდე არასოდეს სმენიათ, გაიგონ ეს ისტორია და დარწმუნებით თქვან: "მე მწამს!" მაკილვაინმა სწორად გააცნობიერა, რომ მხოლოდ მთლიანი ისტორიის ადამიანებამდე მიტანის გზითაა შესაძლებელი მათთვის ბიბლიური ღმერთის ისტორიის, ანუ ჩვენი ქრისტიანული ისტორიის, ახსნა. "იესოს ისტორია დაბადების პირველი თავიდან იწყება" (მაკილვაინი, 1991, 32). თუ მთლიანი ისტორიის მოსმენა და გააზრება იესოს ისტორიის გაგების წინაპირობაა, მაშინ არ უნდა მოვთხოვოთ ადამიანებს, რომ სარწმუნოებასთან დაკავშირებული გადაწყვეტილება მიიღონ მანამ, სანამ ამ სარწმუნოების წყაროს, იესოს, მთელ ისტორიას არ გაეცნობიან. ამ თვალსაზრისით ევანგელისტურ აქტს მოწაფეობა უნდა უსწრებდეს წინ. მოცემული მიდგომა ტრანსფორმაციული განვითარების პროცესთან შესაბამისია. PLA და AI ტექნიკა თემს საშუალებას აძლევს, თავისი ისტორია გაგვიზიაროს და ნათლად ჩამოაყალიბოს, რა არის მისთვის მნიშვნელოვანი ამ ცხოვრებაში. მაგრამ ყოველთვის იბადება შეკითხვა: "თქვენ რისი გწამთ? რა ხდის თქვენს ცხოვრებას სისხლსავსეს?" მაკილვაინის მიერ შემოთავაზებული მიდგომა სხვა პასუხის გაცემის შესაძლებლობასაც იძლევა გარდა იმისა, რომ, უბრალოდ, ვუპასუხოთ: ჩვენ ქრისტიანები ანუ იესოს მიმდევრები ვართ. მისი მიდგომის გამოყენების შედეგად შეგვიძლია ადამიანებს ვუამბოთ ჩვენი ეპიკური ისტორია, რომელიც სინამდვილეში, უკვე ბიბლიური ისტორია. მთლიანი ისტორიის გადაცემა საშუალებას გვაძლევს ის საკითხებიც განვიხილოთ, რომლებიც ადამიანების სიღარიბეში ყოფნას უწყობს ხელს და რომელთა ტრანსფორმირებაც საჭიროა. ასეთებია, მაგალითად, ადამიანების შელახული ღირსება, არასწორი მსოფლმხედველობა, ჩაგვრის გამომწვევი ურთიერთობები, სულების შიში, ღმერთის კომპლექსი და სხვა. ჩვენი მთლიანი ისტორიის მოყოლის გზით ჩვენ ყველა ადამიანის წინაშე არსებულ შეკითხვებზე ვპოულობთ პასუხს: ვინ ვართ? რისთვის ვართ?

როდესაც სახარების ისტორიის ფორმით გადმოცემის მეთოდი წარმოგიდგინეთ, მე ვისაუბრე ამ მიდგომის მოდიფიკაციის საჭიროებაზეც. მეთოდი

ისეთი სახით, როგორითაც იგი სახელმძღვანელოებსა და სასწავლო მასალებშია წარმოდგენილი, მხოლოდ პირად ხსნასა და ბიბლიაზეა ორიენტირებული და, ძირითადად, აქცენტი კეთდება უფლის მხსნელ ძალაზე. რასაკვირველია, ეს ასეც არის, მაგრამ არასაკმარისია. აქ ისტორიის ნაწილი გამოტოვებულია. იესოს შესახებ ისტორია ბევრად უფრო მეტს საუბრობს, ვიდრე სახარების ის მონაკვეთები, სადაც იესოს მიერ ადამიანების სულების გადარჩენაზეა საუბარი.

ბიბლიური ისტორია უფრო ჰოლისტიკურად უდგება ხსნას და უფალთან, ერთმანეთთან და სამყაროსთან ურთიერთობების აღდგენასაც გულისხმობს. ადამიანების ხსნა უფლის რწმენის მიღების გზით იესოს მთავარი ამოცანაა, მაგრამ იგი არ შემოიფარგლება მხოლოდ ამით. ბიბლიის ქრონოლოგიური გადმოცემა ნაკლებად ვიწრო ხასიათის უნდა იყოს და ისიც უნდა გაშუქდეს, რომ უფალი ცდილობს გააგებინოს ადამიანებს, რომ ისინი ნაყოფიერად უნდა მოღვაწეობდნენ სამყაროსა და საზოგადოების სასიკეთოდ და რომ მათ ურთიერთობები უნდა აღადგინონ უფალთან და ერთმანეთთან. ამ შემთხვევაში ჩვენს ისტორიას ადამიანებამდე სრული სახით მივიტანთ.

ქრისტიანობის მოქადაგეების შეფასება

ქრისტიანობის მოქადაგეობის ტრანსფორმაციული განვითარების კონტექსტში განხილვისას უნდა გავითვალისწინოთ, თუ რას გულისხმობს ქრისტიანობის ქადაგება. როდესაც ქრისტიანობას ვქადაგებთ, ტრანსფორმაციული განვითარების მიზნები ნათლად უნდა გვქონდეს ჩამოყალიბებული. როდესაც ბიბლიას მოცემულ კონტექსტში ვიყენებთ, ისიც განვითარების მიზნებს უნდა ემსახურებოდეს. არანაკლებ მნიშვნელოვანია, თუ რა მეთოდებით ვახორციელებთ შეფასებას. ეს მიდგომებიც ჰოლისტიკური უნდა იყოს. მე-9 თავში აღვნიშნეთ, რომ ქრისტიანობის ქადაგების მიზნებში ჩვენ გადავსინჯეთ პროგრამების ინდიკატორები, რათა ისინი მხოლოდ მატერიალურ ასპექტებზე არ ყოფილიყვნენ აქცენტირებული და სულიერი ასპექტებიც მოეცვათ. მე-3 დანართში ასახული სტანდარტები და ინდიკატორები, რომლებიც მე და ფრენკ კიკინგემმა შევიმუშავეთ, მე-9 თავში აღწერილი ინდიკატორების გარდა, მთელ რიგ ახალ ინდიკატორებსაც შეიცავს, რომლებიც პრაქტიკოსი ჰოლისტიკოსის დამოკიდებულებასა და გამოცდილებას შეეხება (იხ. მე-7 თავი). როდესაც ქრისტიანობის მოქადაგეების შეფასებაზე ვსაუბრობთ, კიდევ ერთხელ უნდა დავუბრუნდეთ ჩვენ მიერ სიღარიბის არსის გააზრებას, ანუ ადამიანების შელახული ღირსებისა და იდენტობის დაკარგვის საკითხს. გარდა ამისა, უნდა გავითვალისწინოთ სიღარიბის მიზეზები — ანუ ურთიერთობები, რომლებიც არ უწყობს ხელს ყველა ადამიანის კეთილდღეობას. უნდა გავითვალისწინოთ ფასეულობებისა და მსოფლმხედველობის ტრანსფორმაციის აუცილებლობაც.

იდენტობისა და დანიშნულების გააზრება

ადამიანების მიერ თავიანთი იდენტობისა და დანიშნულების სწორად გააზრება ტრანსფორმაციული განვითარების ორი ძირითადი მიზანია. ყველა დანარჩენი მიზანი ამ ორი მიზნიდან გამომდინარეობს. შესაბამისად, ქრისტიანობის ქადაგება ისეთ საკითხებს უნდა შეეხებოდეს, როგორებიცაა იდენტობა

და დანიშნულება. ეს ყოველთვის ადვილი არ არის, რადგანაც სიღარიბის ერთ-ერთი შედეგია ადამიანების ღირსებისა და იდენტობის იმ დონემდე შელახვა, რომ, როდესაც ამ ადამიანს ეუბნები, ღმერთის შვილი ხარო, ამას ისე აღიქვამს, თითქოს ეკითხები: ფრენა შეგიძლია? პირველ რიგში, ღარიბ ადამიანებს ისე უნდა მოვექცეთ, როგორც ღვთის ხატების მსგავსად შექმნილ არსებებს. ისინი ისევე იმსახურებენ პატივისცემას, როგორც ყველა სხვა. ის, თუ როგორ ვუსმენთ და ვექცევით ღარიბებს, მათი იდენტობის აღდგენის დასაწყისი შეიძლება გახდეს. არსებობს კიდევ ერთი გზა, რომ ადამიანებს დავეხმაროთ საკუთარი იდენტობის აღდდგენასა და დანიშნულების გაგებაში. ადამიანები უნდა წავახალისოთ, რომ ბიბლიური ისტორია თავად შეისწავლონ. მათ საშუალება უნდა მივცეთ, რომ თავად გაეცნონ ამ ისტორიას და გაიგონ, რომ მათი ამჟამინდელი ისტორია არ არის მთლად მართალი და რომ არსებობს ბოროტი ძალა, რომელიც ცდილობს დააჯეროს ისინი, რომ უფლისგან მივიწყებულები არიან. ცენტრალურ ამერიკაში ბიბლიურ სკოლაში პატარა ბიჭს შეკითხვა დაუსვეს, თუ რა მოსწონდა მას სასკოლო განრიგში ყველზე მეტად. "ბიბლიის გაკვეთილები" – უპასუხა მან. გაოცებულმა უფროსმა ჰკითხა, თუ რა ხდებოდა კვების, სპორტის, შრომის გაკვეთილებზე და რატომ არ მოსწონდა ბიჭს ისინი. ბავშვმა კვლავ უპასუხა, რომ ყველაზე მეტად ბიბლიის გაკვეთილები მოსწონდა. "მე ამ გაკვეთილებმა დამანახა, რომ აღარ ვარ ქურდბაცაცა ან ქუჩის მათხოვარი, მე ღვთის შვილი ვარ" (დაირნესი, 1998, 39).

ჩვენ შეგვიძლია დავეხმაროთ ადამიანებს, რომ მათ საკუთარი ისტორია ახლებურად გაიაზრონ და სხვებს გაუზიარონ, თუ როგორ შეიცნეს თავიანთი ჭეშმარიტი მეობა. PLA და AI მეთოდი ეხმარება ადამიანებს დაასახელონ, რა იყო მათ წარსულში წარმატებული და ღირებული. ამ ადამიანების ისტორიის პოზიტიური ასპექტების გამოვლენა და პარალელურად ბიბლიის შესწავლა დაეხმარება ადამიანებს, დაუკავშირონ თავიანთი ისტორია ბიბლიურ ისტორიას. ისინი უკეთ გააცნობიერებენ, თუ რა არის მათ ისტორიაში მართალი და რა – ტყუილი. ამ გზით მათი ქრონოლოგიური წარსული მათი "ონტოლოგიური" წარსული ხდება (ბედიაკო, 1992, 4). გახსოვთ იმ ტომის ისტორია, რომელსაც სწამდა, რომ ღვთისგან დაწყევლილი იყო? მათ უნდა გაიაზრონ, რომ მათი ისტორია, ერთი მხრივ, ჭეშმარიტია, რადგანაც ყველა ადამიანი ცოდვის გამოა დაწყევლილი, მაგრამ, იმავდროულად, ტყუილიც არის, რადგანაც ეს წყევლა არ არის სამუდამო. იესოს მეშვეობით უფალმა ადამიანებს წყეველისაგან გათავისუფლების საშუალება მისცა. მტკიცება, რომ ისინი სამუდამოდ დაწყევლილები არიან, არასწორია.

ჩვენ შეძლებულებსაც უნდა დავეხმაროთ იდენტობის აღდეგნასა და დანიშნულების გაგებაში. ჩვენ უნდა დავეხმაროთ შეძლებულებს, თავად შეიცნონ თავიანთი რეალური სიღარიბე; გაიგონ, თუ რა ხდება, როდესაც ადამიანს მატერიალურის ფლობა, ძალაუფლება ან კონტროლი ჰგონია სიცოცხლის არსი. შეძლებულებმაც უნდა შეაჯერონ თავიანთი ისტორია ბიბლიურ ისტორიასთან. ბიბლიას მათთვისაც კარგი ამბავი აქვს სათქმელი, მიუხედავად იმისა, რომ მათ, შესაძლოა, ამისი არ სჯეროდეთ. შეძლებულებთან დაკავშირებით პრობლემა ისაა, რომ მათ საკმაოდ ძვირი დაუჯებათ თავიანთი ჭეშმარიტი დანიშნულების შეცნობა და იმის გაკეთება, რაც მათ მოეთხოვებათ, და არა იმისა, რაც მათ უნდათ. ღმერთის კომპლექსისგან გათავისუფლება, საკუთარი უნარების, ძალაუფლების, მდგომარეობისა და ფინანსური რესურსების

უფლის მსახურივით გამოყენება, - სხვა ადამიანების სასიკეთოდ, - ნამდვილად არ არის ადვილი. სწორედ ამიტომ განეშორა ქრისტეს მდიდარი ახალგაზრდა, როდესაც მიხვდა, რომ იგი ამას ვერ გააკეთებდა (მათე, 19:16–22).

სამართლიანი და მშვიდობიანი ურთიერთობები

ჭეშმარიტი ტრანსფორმაცია მაშინ ხდება, როდესაც ადამიანებმა თავიანთი იდენტობა და დანიშნულება იციან და სამართლიან და მშვიდობიან ურთიერთობებს ამყარებენ. მე უკვე ვისაუბრე ამ ურთიერთობებზე ხუთ ასპექტში. ესენია: უფალთან, საკუთარ თავთან, საზოგადოებასთან, "სხვებთან" და გარემოსთან ურთიერთობები. ტრანსფორმაციული განვითარების კონტექსტში ქრისტიანობის ქადაგება გულისხმობს ადამიანებისათვის იმის დანახვებას, რომ უფალი განაგებს ყველა ამ ურთიერთობას. იყო ქრისტეს მიმდევარი, ნიშნავს სამართლიანობისა და მშვიდობის ძიებას. ქრისტიანობის ქადაგება, ასევე, ნიშნავს, რომ უნდა დაეხმარო ღარიბებს, თავიანთი ადგილი დაიმკვიდრონ საზოგადოებაში. როდესაც ღარიბი თავის ჭეშმარიტ იდენტობასა და დანიშნულებას შეიცნობს, მას ამის გამოხატვის საშუალებაც უნდა მიეცეს. ეს ცვლილება რამდენიმე დონეზე უნდა მოხდეს, პირველ რიგში, ოჯახის დონეზე. საყოველთაოდ ცნობილია, რომ ლათინურ ამერიკაში სულიერი გარდაქმნის შედეგად ადამიანების ცხოვრება არსებითად იცვლება და ალკოჰოლის მოხმარება და ნარკოდამოკიდებულება მცირდება, საპყრობილეებიდან გათავისუფლებული ადამიანები უკეთესობისაკენ იცვლებიან, სტუდენტები უფრო წარჩინებით სწავლობენ და ასე შემდეგ (მალოდნადო, 1993, 196). როდესაც კოლუმბიაში ქალები იღებენ ქრისტიანობას, მათი ქცევა და ქადაგება ხელს უწყობს კოლუმბიელ მამაკაცებში მექალთანეობის შემცირებას. კაცები ნაკლებ ალკოჰოლს მოიხმარენ და ქალებს აღარ დასდევენ, რაც ნიშნავს, რომ მათ ოჯახში უფრო მეტი ფული რჩება. ქალები ამ გზით გამოთავისუფლებულ დამატებით თანხებს მიკრობიზნესებში აბანდებენ და ოჯახის შემოსავალი კიდევ უფრო იზრდება (ბრუსკო, 1986). ეს არის ტრანსფორმაციული განვითარების პოზიტიური შედეგები. ძალიან ძნელი სათქმელია, სად თავდება სულიერი გარდაქმნა და სად იწყება მატერიალური.

მეორე დონეა სოციალური სისტემა. ადამიანებმა, რომლებმაც აღმოაჩინეს, რომ ღვთის შვილები და საზოგადოების ღირსეული წევრები არიან, ნაკლებად სავარაუდოა, რომ პასიური პოზიცია დაიკავონ პოლიტიკურ სტრუქტურებთან მიმართებით, რომლებსაც მიაჩნიათ, რომ ღარიბი ადამიანი, უბრალოდ, კიდევ ერთი ხმაა მათ სასარგებლოდ. ტანზანიის, ინდოეთისა და ბევრი სხვა ქვეყნის მაგალითიდან ნათელი ხდება, რომ იქ, სადაც განვითარების პროგრამები ხორციელდებოდა, ადამიანები სოციალურად უფრო აქტიურები ხდებოდნენ და მოითხოვდნენ კუთვნილი მომსახურებებს და იმას, რომ მათი პოლიტიკური მოსაზრებებისათვის პოლიტიკოსებს ყური დაეგდოთ. როდესაც ადამიანები იცვლებიან, მათ უნდათ, რომ მათ გარშემო სხვა რაღაცებიც შეიცვალოს (როსენაუ, 1990). ამგვარად, ჰოლისტიკური ქადაგება სოციალური, პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურული საკითხების გადაჭრას უწყობს ხელს და ზრდის იმ ადამიანების ანგარიშვალდებულებას, რომლებიც ღარიბების უფლებებს ზღუდავენ.

შეძლებულების შემთხვევაში ქრისტიანობის ქადაგება ნიშნავს, რომ უნდა მოუწოდო მათ, უარი თქვან ღმერთის კომპლექსებზე და ეს როლი ღმერთს

მიანდონ. ქრისტიანობის ქადაგება ნიშნავს მოუწოდო ადამიანებს, იყვნენ უფლისა და სხვა ადამიანების სამსახურში, ისწავლონ სხვა ადამიანების დაფასება და მათი საკუთარ თავზე მაღლა დაყენება. ბიბლიური მსოფლმხედველობის მქონე ლიდერებმა იციან, რომ უფალს ეკუთვნის მთელი ძალაუფლება და რომ ისინი, უბრალოდ, მსახურები არიან და არა ძალაუფლების მფლობელები ან მბრძანებლები. მათ, ვისაც მეტი აქვთ, მეტი მოეთხოვებათ.

მსოფლმხედველობის ტრანსფორმაცია

სიცრუის ხლართის ერთ-ერთი წყარო, რომელიც ღარიბების უფლებამოსილების შეზღუდვას იწვევს, ხოლო შეძლებულებს უბიძგებს, რომ ღმერთის როლი შეასრულონ ღარიბების ცხოვრებაში, მსოფლმხედველობაა (იხილეთ დიაგრამა 4-14). შესაბამისად, ქრისტიანობის მქადაგებლის ძირითადი მიზანი მსოფლმხედველობის შეცვლა უნდა იყოს. მსოფლმხედველობის შეცვლა ძალიან რთული ამოცანაა. ძალიან რთულია იმის მიღწევა, რომ ბიბლიურმა ისტორიამ შეძლოს ნებისმიერი კულტურის ისტორიის ტრანსფორმაცია ან მისი ჩანაცვლება. ყველაზე რთული ამოცანაა დაანახო ტომს, რომელსაც სწამს, რომ დაწყევლილია, რომ უფალს მისი დალოცვა სურს. მსოფლმხედველობის გარდაქმნა უფრო მეტს ნიშნავს, ვიდრე ადამიანების ქცევის შეცვლაა. ეს კიდევ უფრო მეტია, ვიდრე რწმენის ან ფასეულობების შეცვლა. მსოფლმხედველობის შეცვლა ნიშნავს ადამიანების მთელი ისტორიის ისე შეცვლას, რომ მათ ახალი ისტორია მიიღონ და გაითავისონ. ეს მხოლოდ ერთობლივი ძალისხმევითაა შესაძლებელი. ქრისტიანობის მოქადაგეების მიზანია ადამიანების მსოფლმხედველობის შეცვლა, მაგრამ ეს მხოლოდ სულიწმინდის დახმარებითაა შესაძლებელი. ბევრს მიაჩნია, რომ არც ერთ კულტურას არ შეუძლია თავისი ისტორიის შეცვლა ან მისი ევანგელიზაცია. ადამიანთა საზოგადოება ვერ ამჩნევს თავის სუსტ მხარეებს, კერძოდ - კერპთაყვანისმცემლობას. ეს ჩვენთან მიმართებითაც ასეა. ჩვენ, ყველას, გვჭირდება ჩვენს მსოფლმხედველობაში არსებული ნაკლოვანებების დანახვა და მისი გადასინჯვა. ეს ჩვენი საერთო ამოცანაა. ანუ, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, როდესაც საქმე მსოფლმხედველობას ეხება, ამ თვალსაზრისით არანაირი განსხვავება არაა ევანგელისტსა და მის მოწაფეებს შორის. ყველა მათგანი სახარებას სწავლობს (კოიამა, 1985, 245).

სწორედ ამიტომაცაა მნიშვნელოვანი, რომ განვითარების ფასილიტატორი მზად იყოს ტრანსფორმაციისთვისაც (დიაგრამა 10-4). მსოფლმხედველობის შეცვლა ორ კულტურას შორის ორმხრივ დიალოგს მოითხოვს და ორივე ღია უნდა იყოს სულიწმინდის ხმის შესმენისა და ბიბლიური მსოფლმხედველობის მიღებისათვის. ის გარემოება, რომ ბიბლია ნათარგმნია როგორც ფასილიტატორის, ასევე თემის ენაზე, უაღრესად მნიშვნელოვანია. ის, რომ ბიბლია ითარგმნება, ნიშნავს, რომ უფლის სიტყვა ყველა კულტურას შეუძლია გაიგოს. სანეჰი მიგვითითებს, რომ "თარგმანი კულტურის რელატივიზაციას ახდენს იმის უარყოფით, რომ მხოლოდ ერთი ნორმატიული სახარება შეიძლება არსებობდეს. იგი კულტურის გახსნას უწყობს ხელს და მისი გარდაქმნის საჭიროებას დაგვანახვებს." (1987, 332). ასეთი მიდგომა ტრანსფორმაციის პროცესში კულტურათაშორისი დიალოგის საშუალებას გვაძლევს, ანუ ჩვენს კულტურასა და თემის კულტურას შორის დიალოგს უწყობს ხელს. სხვადასხვა

კულტურის მატარებელ ორ მხარეს საშუალება აქვს, ზემოქმედება მოახდინოს ერთმანეთის კულტურაზე. ამასთანავე, ორივე მხარის კულტურაში არის რაღაც ისეთი, რაც ცვლილებას საჭიროებს.



დიაგრამა 10-4: ერთმანეთის დახმარება მსოფლმხედველობის ტრანსფორმაციის მისაღწევად

ქრისტიანობის ქადაგება და მსოფლმხედველობის გარდაქმნა კვლავ გვაბრუნებს იმ ფუნდამენტურ საკითხებთან, რომლებიც განმარტავს, თუ რატომ არის სამყარო ისეთი, როგორიცაა. ჩვენ უნდა განვსაზღვროთ, რომელ ღმერთზე ვლაპარაკობთ. ვის ეთაყვანებიან? ეს უაღრესად მნიშვნელოვანი შეკითხვაა. ბიბლია იმ ღმერთის ისტორიას აღწერს, რომელიც თავის მიმდევრებთან ერთად მოღვაწეობს საუკუნეების განმავლობაში ადამიანების სასიკეთოდ (ჰიბერტი, 1998). აბრაამი თავიდან ელის, ტრადიციული კულტურების ღმერთს, ეთაყვანებოდა, მაგრამ შემდეგ მას ჭეშმარიტი ღმერთი გამოეცხადა. რამდენიმე საუკუნის შემდეგ იმავე ღმერთმა უთხრა მოსეს თავისი სახელი და ასწავლა ისრაელს, რომ მათი ღმერთი განსაკუთრებულია და იგი აბრაამის, ისააკისა და იაკობის შთამომავლების ღმერთია. დღეს იესოს მიმდევრებმა იციან, რომ ღმერთი ერთია — მამა ღმერთი, ძე ღმერთი და სულიწმინდა. მსოფლმხედველობის შეცვლა გულისხმობს ჭეშმარიტი ღმერთის სახელის ცოდნას, ანუ იმის ცოდნას, თუ ვის უნდა ვცემდეთ თაყვანს, რომ ჭეშმარიტად ადამიანები ვიყოთ.

მსოფლმხედველობა, ასევე, გვეხმარება, პასუხები მოვძებნოთ, თუ ვინ არიან ადამიანები და რისთვის არიან ისინი შექმნილნი. ამ წიგნიდან ნათელია, თუ რამდენად დიდ მნიშვნელობას ვანიჭებ იდენტობისა და დანიშნულების საკითხს. ამასთან მჭიდროდაა დაკავშირებული ბიბლიური მსოფლმხედველობა, რომელიც ადამიანებამდე უნდა მივიტანოთ. კიდევ ერთი მნიშვნელოვანი საკითხი, რომელიც ქრისტიანობის ქადაგებასთანაა დაკავშირებული, არის ის, თუ რა ემართება ტრადიციულ კულტურებს, თუ ჩვენი ქადაგება არ არის ჰოლისტიკური. სახარების მხოლოდ სულიერი ასპექტების შესახებ ქადაგება მისი არასრული სახით ქადაგებაა. როდესაც ადამიანებს სახარებას ვაცნობთ როგორც სიტყვას, რომელიც მხოლოდ მათ სულიერ საჭიროებებს შეეხება, მათ შეიძლება მხოლოდ ფორმალური რელიგიის დონეზე განიცადონ გარდაქმნა, ეკლესიაში სიარული და ბილიის კითხვა დაიწყონ და თავი ქრისტიანებად მიიჩნიონ, მაგრამ მათი მსოფლმხედველობის ორი დანარჩენი ასპექტი ხელშეუხებელი დარჩება და შეიძლება ვერც კი გააცნობიერონ, რომ მათი ცხოვრების ამ ასპექტებთან დაკავშირებითაც შეიძლება სასიკეთო ცვლილებები მოხდეს. ამის შედეგები შეიძლება საკმაოდ სერიოზული იყოს (იხილეთ დიაგრამა 10-5). მეორე მხრივ, თუ ადამიანების მსოფლმხედველობის რელიგიური ნაწილი არ გარდაიქმნა, ისინი კვლავ სპირიტუალური სამყაროს ტყვეობაში დარჩებიან ან ქრისტიანობის ეგრეთ წოდებულ "ხალხურ" ფორმას განავითარებენ, ანუ ეს იქნება ქრისტიანობისა და მაგიური სამყაროს შერწყმის პროდუქტი. თუ ქრისტიანობის ქადაგების შედეგად ადამიანების მსოფლმხედველობის ეს სპირიტუალური ასპექტი არ გარდაიქმნება, მაშინ განვითარებამ, შესაძლოა, მათი რელიგიური რწმენა მეცნიერებისა და ტექნოლოგიის მიღწევებით ჩაანაცვლოს მსგავსად იმისა, როგორც დასავლელებს გვწამს თანამედროვე მეცნიერებისა და ტექნოლოგიებისა. მსოფლმხედველობის ასეთი ფრაგმენტაცია, ანუ როდესაც მსოფლმხედველობის ორი ნაწილი სხვადასხვა ისტორიასთანაა მიბმული, ფსიქოლოგიურ და ინტელექტუალურ გახლეჩას იწვევს, რაც, საბოლოოდ, პიროვნების გახლეჩასაც განაპირობებს. ადამიანები ცდილობენ იცხოვრონ, როგორც ქრისტიანებმა და თავიანთ ყოველდღიურ მატერიალურ ცხოვრებაშიც ამ პრინციპებით იხელმძღვანელონ, მაგრამ ისინი მაინც ინარჩუნებენ სპირიტუალური სამყაროს რწმენას. სწორედ ამით შეიძლება აიხსნას ზოგი ქრისტიანის ქცევა, რომელზეც ჩვენ უკვე ვისაუბრეთ – ისინი ექიმთან მიდიან ავადმყოფობის შემთხვევაში, ეკლესიას მიმართავენ, რომ გამოჯანმრთელებისათვის ილოცონ; ღამით კი შამანებთან მიდიან, რომ სულებსაც სთხოვონ დახმარება. ამგვარად, ჩვენ მიერ ქრისტიანობის ქადაგება ადამიანების მსოფლმხედველობის ყველა დონეს უნდა მოიცავდეს.

ქრისტიანობის მოქადაგეების ყურადღება კიდევ ერთ ასპექტზე უნდა გამახვილდეს. კულტურული სისტემა და მის მიერ სიცრუის ხლართის ხელშეწყობა ღარიბების უფლებამოსილების შეზღუდვას იწვევს, ხოლო შეძლებულებში ღმერთის კომპლექსს ამყარებს. კულტურული სისტემების გარდაქმნა უაღრესად რთულია, მაგრამ ეს ტრანსფორმაციის ძალიან მნიშვნელოვანი ასპექტია და მისი უყურადღებოდ დატოვება არ შეიძლება. ეკონომიკური და პოლიტიკური სტრუქტურები, რომლებსაც, თავის მხრივ, კულტურული სისტემები ამყარებს, ვერ გარდაიქმნება, თუ ის ფუნდამენტი არ შეიცვლა, რომელზეც ისინი დგას.



დიაგრამა 10-5: მსოფლმხედველობის სრული კონვერსია

მაგალითად, კასტები თავიანთი არსით სიღარიბის ფორმირებას უწყობს ხელს. ამ პრობლემის გადაჭრა შეუძლებელი იქნება, თუ ჩვენ იმ რელიგიურ რწმენას არ გარდავქმნით, რომელიც კასტების საფუძველს წარმოადგენს. მზითვის ტრადიციის შეცვლა, რომლის გამოც ბავშვებს სამუშაო ძალად აქირავებენ, ასევე - წმინდანების ან ანგელოზების დღესასწაულების აღნიშვნის შეცვლა, რომელთა გამოც ადამიანები იმ დროს კარგავენ, რომლის პროდუქტიულად გამოყენებაც შესაძლებელია და რომელთა გამოც ღარიბები თავის მცირე დანაზოგებს ალკოჰოლზე ხარჯავენ, ხოლო შემდეგ საკვებზე არ ჰყოფნით ფული, შეუძლებელია, თუ ადამიანების მსოფლმხედველობა არ შეიცვლება.

მსოფლმხედველობის შეცვლასთან დაკავშირებით ორი სახის ღონისძიებები უნდა გატარდეს. პირველ რიგში, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ბიბლიური ისტორიის როლზე უნდა გავამახვილოთ ყურადღება. ეს ყველა კულტურისათვის შესაფერისი ისტორიაა, რადგანაც იგი უფლის ცოცხალი სიტყვა და მსოფლმხედველობის შეცვლის ძირითადი წყაროა. ენდრიუ უოლსი ამ ცოცხალი სიტყვის ტრანსფორმაციულ ძალაზე საუბრობს: “ამ სიტყვამ ყველა აზრში, მოქმედებასა და სისტემებში უნდა შეაღწიოს, რომლებიც ერის ხასიათსა და იდენტობას განსაზღვრავს. ამ სიტყვამ უნდა შეაღწიოს საზოგადოების საერთო მენტალურ და მორალურ პროცესებში და ამ საზოგადოების მიერ გადაწყვეტილებების მიღების პროცესზე იმოქმედოს” (1996, 50).

ღონისძიებების მეორე წყება ქრისტიანული განვითარების ფასილიტატორს ეხება. მსოფლმხედველობის გარდაქმნის მიმართულებით მუშაობას სენსიტიურობა და შესაბამისი უნარები ესაჭიროება, რაც ორივე მხარის ცვლილებებისა და სწავლისათვის მზაობას მოითხოვს. ერთი მხრივ, მსოფლმხედველობის გარდაქმნისაკენ მიმართული მუშაობა სულიერი განჭვრეტის ფორმაა. ლოცვა და მარხვა მნიშვნელოვანი მოსამზადებელი ინსტრუმენტებია. მსოფლმხედველობის შესაცვლელად აუცილებელია ნდობაზე დამყარებული ურთიერთობების ჩამოყალიბება, როდესაც ამ ურთიერთობებში მონაწილე ყველა მხარეს მიაჩნია, რომ უკვე მზად არიან სხვებსაც გაუზიარონ თავიანთი აღმოჩენები და მზად არიან იმისთვისაც, რომ სულიწმინდის მოტანილი ჭეშმარიტი სიტყვა შეიმეცნონ. პირველი ნაბიჯი მიმართულია ადგლობრივი ფასეულობებისა და იდენტობის გამოვლენისაკენ, რომელიც ხელს უწყობს სასიკეთო ცვლილებებს. ამ გზით ხდება კულტურაში არსებული ღირებულისა და პოზიტიურის დაფასება და აღიარება, რაც ადამიანების კეთილდღეობას უწყობს ხელს. ამ მომენტში შესაძლებელია დიალოგის ხელშეწყობის მიზნით რელიგიასთან დაკავშირებული შეკითხვების დასმა, კერძოდ კი, იმ რელიგიურ პრაქტიკაზე საუბარი, რომელიც, შესაძლოა, ადამიანების კეთილდღეობას უქმნის დაბრკოლებებს: ეს კონკრეტული ფასეულობა სიამაყის გრძნობას განგაცდევინებთ? ეს ფასეულობა გეხმარებათ თემის კეთილდღეობის გაუმჯობესებაში? ეს ის ფასეულობაა, რომელიც გინდათ, რომ თქვენს შვილებს მემკვიდრეობით გადასცეთ? მიზანშეწონილად მიმაჩნია ამასთან დაკავშირებით მაგალითის მოყვანა.

ტანზანიაში ერთ-ერთი ტომის ტრადიციული რწმენის შესაბამისად, ახალგაზრდა, თუ იგი ნამდვილი მეომარია, სხვა ტომში უნდა წასულიყო და ვინმეს თავი უნდა მოეტანა თავისი სიმამაცის დასამტკიცებლად. ამ გმირობას შემდეგ მთელი სოფელი ზეიმობდა. ამ ტრადიციის აღმოფხვრის მიზნით სათემო კრება მოიწვიეს, რომელსაც ტომის მამაკაცები, ქალები, ბავშვები და ხანდაზმულები ესწრებოდენენ. ძირითადი მიზანი იყო იმის გაგება, თუ რატომ ზეიმობდნენ ადამიანები ამ ადათ-წესს. რატომ იყო ეს მათთვის მნიშვნელოვანი? რატომ ამაყობდა ამით სოფელი? "ეს ჩვენი ტრადიციაა" – პასუხობდნენ ტომის წარმომადგენლები. შემდეგ ძალიან მნიშვნელოვანი შეკითხვა დაისვა: "როგორ ფიქრობთ, რას გრძნობს მეორე ტომი? რა რეაქცია ექნებოდათ მათ?" ტომმა ამაზე უპასუხა, რომ "მათი მოწინააღმდეგე თემი, ალბათ, ომისათვის ემზადება." შემდეგ თემს ჰკითხეს: "ომის გაჩაღება სხვა ტომთან განიჭებთ სიამოვნებას ან თავდაჯერებულობასა და სიამაყეს გმატებთ? გინდათ, რომ თქვენს ბავშვებს გადასცეთ ეს ტრადიცია?" ხანგრძლივი დისკუსიების ბოლოს ტომმა გამოაცხადა, რომ ამ ტრადიციის შეცვლა უნდათ. მათ ტრადიციის გადასინჯვა დაიწყეს, რომ უკეთესი მომავლისაკენ მოეძებნათ გზა. საკვანძო მომენტი იყო დიალოგის გადაყვანა წარსულიდან მომავალზე, რომელიც მათ შვილებისათვის სურთ.

მსოფლმხედველობის ტრანსფორმაციის დასაწყისია ადამიანების ისტორიის მოთმინებით მოსმენა და არა ამ ისტორიის ან ამ ადამიანების განსჯა. ხშირად ისეთ ტრადიციებს, რომლებიც ცხოვრებაში წესრიგის წინააღმდეგაა მიმართული, თავისი მიზეზი აქვს და, პირველ რიგში, ამ მიზეზის გამოვლენა და აღმოფხვრაა საჭირო, სანამ ამ ტრადიციის მიმდევარი ადამიანები რაიმეს სხვანაირად გააკეთებენ. სამხრეთ ინდოეთის რამდენიმე სოფელში ჩვილი გო-

გონების მოკვლის ტრადიცია არსებობდა. ამ ტრადიციის სისასტიკის თაობაზე საუბრის ნაცვლად განვითარების ფასილიტატორმა წყნარად დაიწყო საუბარი და ცდილობდა გაერკვია, თუ როგორ გაჩნდა ეს ტრადიცია. აღმოჩნდა, რომ ეს ადამიანები ბოშები იყვნენ და ინდუიზმი არ იყო მათი სარწმუნოება. რადგანაც ბოშები, ძირითადად, ქურდობასა და ძარცვასთან იყვნენ ასოცირებული, პოლიცია მოითხოვდა, რომ ამ ტომის მამაკაცები ყოველ საღამოს მისულიყვნენ პოლიციაში და ღამღამობით მათ ციხეში ამწყვდევდნენ. სანამ მამაკაცები ციხეში ჰყავდათ დამწყვდეული, პოლიციელები მათ სოფელში ქალებს აუპატიურებდნენ. სოფლის წარმომადგენლების განმარტებით, ჩვილი გოგონების დახოცვა იმიტომ დაიწყეს, რომ ყველა ახალშობილი გოგონა მათ ამ დამცირებას ახსენებდა. მინდა კვლავ შეგახსენოთ ჯაიაკარანის პოზიცია ადამიანების განვითარების შემაფერხებელ ფაქტორებთან დაკავშირებით. ყოველი ასეთი ფაქტორის გამოვლენის შემთხვევაში ჩვენ უნდა გავაანალიზოთ, თუ ვის ინტერესებს ემსახურება ეს ფაქტორი და ვინ ან რა ასაზროდებს მას. მანამ, სანამ არ გადაიჭრება პოლიციის მიერ ქალების გაუპატიურებისა და შეურაცხყოფის პრობლემა, ჩვილი გოგონების დახოცვის ტრადიციას ვერ დავამარცხებთ.

ვინ უნდა შეიცვალოს?

ყველა

უკვე რამდენჯერმე აღვნიშნე, რომ ყველა, ვინც ტრანსფორმაციის პროცესის მონაწილეა, ღია უნდა იყოს ამ გარდაქმნებისათვის. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ქრისტიანობის ქადაგებასთან მიმართებით. მიუხედავად იმისა, რომ ბიბლიის გვჯერა, არ უნდა ვიფიქროთ, რომ ყველაფერი სწორად გვესმის ან მისი სრული სისავსით გადაცემა შეგვიძლია. ჩვენ ყოველთვის უნდა ვუსმინოთ სულიწმინდას, მაშინაც კი, როდესაც იმ ადამიანების ხმებით ვართ გარშემორტყმულნი, რომელთა წინაშეც ქრისტიანობას ვქადაგებთ.

ვინსენტ დონოვანი მოგვითხრობს ისტორიას, რომელიც ამის შესანიშნავი ილუსტრაციაა. როდესაც მან გაარკვია, რომ მასაის ტომს სწამს ღმერთის, რომლის სახელია ენგაი, ტომის წარმომადგენლებს უთხრა, რომ თავისდა უნებურად ისინი ამ ღმერთის ძალაუფლებას ზღუდავენ იმით, რომ იგი ტომის ღმერთად გამოაცხადეს. მან მოუწოდა ტომს, რომ გაეთავისუფლებინათ ანგაი და საშუალება მიეცათ მისთვის, რომ ყველა ტომის მაღალი ღმერთი გამხდარიყო. ამ წინადადებას საკმაოდ ხანგრძლივი პაუზა მოჰყვა. დონოვანმა იფიქრა, რომ ზედმეტი მოუვიდა. ბოლოს სიჩუმე შეკითხვამ დაარღვია: "აბრაამის ღმერთის ისტორია მხოლოდ მასაისთვისაა განკუთვნილი? თუ შენთვისაც? შენმა ტომმა მოძებნა თავისი მაღალი ღმერთი?" დონოვანი აღიარებს, რომ მან თავიდან კინაღამ ენაკვიმატი პასუხი გასცა მათ, მაგრამ შემდეგ უეცრად ჟანა დარკი გაახსენდა და დაფიქრდა, რომ ფრანგებისათვის, ზოგადად, უფალი საფრანგეთის დიდებასთან ასოცირდება. შემდეგ იგი დაფიქრდა ამერიკელებზე და გაახსენდა მათი რწმენა, რომ უფალი მათი გამარჯვებისთვის ლოცულობს, როდესაც ისინი ომში მიდიან. შემდეგ მას ჰიტლერი გაახსენდა, რომელიც ყოველთვის ყოვლისშემძლე ღმერთს ახსენებდა თავის გამოსვლე-

ბში. ფიქრებში გართული ვინსენტი ცოტა ხნით დადუმდა და ბოლოს თქვა: “არა, ჩვენ არ გვიპოვია ჩვენი მაღალი ღმერთი. ჩემი ტომი მას არ იცნობდა. იგი ჩვენთვისაც უცნობი ღმერთია. მაგრამ ჩვენ მას ვეძებთ. მე ძალიან შორიდან მოვედი თქვენთან, რომ გთხოვოთ, თქვენც ჩვენთან ერთად ეძიოთ ეს ღმერთი. მოდით, ერთად მოვძებნოთ იგი” (დონოვანი, 1978, 46).

ტრანსფორმაციული განვითარების კონტექსტში ქრისტიანობის ქადაგება ორმხრივი, ანუ ფასილიტატორის კულტურასა და თემის კულტურას შორის დიალოგია და ორივე ღია უნდა იყოს უფლის სიტყვის გასაგონად ბიბლიის მეშვეობითა და სულიწმინდის დახმარებით, რომელიც ორივე კულტურაშია განსახიერებული. ქრისტიანობის ქადაგება არ არის სხვების კულტურისა და რწმენის უარყოფაზე ორიენტირებული კამპანია. ჩვენ არ უნდა ვილაპარაკოთ პოზიტიურად მხოლოდ ჩვენს რწმენაზე და ნეგატიურად სხვა ადამიანებისაზე. ჩვენ არ უნდა ვიქცეოდეთ ჯვაროსნებივით, რომლებიც ცდილობენ “ნიღაბი ახადონ უწმინდურ სულებს და მხოლოდ მათი წმინდა სული დაამკვიდრონ” (კოიამა, 1993, 292).

ჯონ ტეილორმა ეს აზრი ძალიან საინტერესოდ გამოხატა: “ულმობლობა აფრიკაში ძალიან დიდი ხნის განმავლობაში ბატონობდა. მანამ, სანამ მისიონერული მოღვაწეობა დიალოგად მოიაზრება, ეს ორმხრივი პროცესი იქნება, რომელიც ურთიერთგაზიარებას გულისხმობს. მაგრამ, შესაძლებელია, უფრო სწორი იყოს, რომ მისიონერობა სამი მხარის შეხვედრად განვიხილოთ. წარმოვიდგინოთ, რომ იესომ მოიწვია ქრისტიანობის მქადაგებელი, რომელიც მას უჭერს მხარს და მის არსებობას ამოწმებს. ამ შეხვედრაში კიდევ ერთი მხარე მონაწილეობს, ანუ ის, ვინც არ იცის იესოს სახელი. ეს სამი მხარე თანდათანობით შეიცნობს ერთმანეთს და უფალს უფრო ღრმად განჭვრეტს” (1963, 34–35).

მთავრობები

არსებობს კიდევ ერთი სფერო, რომელიც ხშირად ადამიანებს მხედველობიდან გამორჩებათ და რომელთან დაკავშირებითაც მუშაობა გვმართებს. დასავლეთის ქვეყნების მთავრობების უმეტესობა ცალსახად აცხადებს, რომ სულიერი საკითხები და რელიგია არ უნდა იყოს განვითარების პროცესის ნაწილი. ეს უაღრესად არაბიბლიური პოზიციაა. დასავლეთის ქვეყნების მთავრობებს არ მოსწონთ, რომ ქრისტიანები განვითარების პროცესებში არიან ჩართულნი. ისინი შიშობენ, რომ ქრისტიანები ამას, დახმარებას, ინსტრუმენტად გამოიყენებენ, რათა ადამიანებს ქრისტიანობა მიაღებინონ. მათი აზრით, დახმარების გამოყენება რაიმე კონკრეტული რელიგიის მხარდასაჭერად არ არის მისაღები. რასაკვირველია, ისინი არ ცდებიან. ნებისმიერი ქრისტიანი დაეთანხმება ამ აზრს, მაგრამ დასავლეთის ქვეყნების მთავრობები კიდევ უფრო ექსტრემალურ პოზიციას იკავებენ და ამაში ნამდვილად ცდებიან. ეკლესიისა და სახელმწიფოს გამიჯვნის მიზნით, რაც თანამედროვეობის მიერ მატერიალური და სულიერი სამყაროების ურთიერთგამიჯვნის სრულიად ლოგიკური შედეგია, მთავრობები მოითხოვენ, რომ პროგრამები, რომლებსაც ისინი აფინანსებენ, არ უნდა შეიცავდნენ არანაირ რელიგიურ კომპონენტს. მათი ასეთი აქცენტი, რაც წმინდა მატერიალურ ასპექტებზეა ორიენტირებული, სრულიად ეწინააღმდეგება იმ ადამიანების ჰოლისიტიკურ მსოფლმხედველობას, რომ-

ლებიც განვითარების პროექტების ფარგლებში გამოყოფილი დახმარების რეციპიენტები არიან. ღარიბ ადამიანებს, იმის მიუხედავად, ისინი ანიმისტები არიან თუ მუსულმანები, ბუდისტები, ინდუიზმისა თუ ქრისტიანობის მიმდევრები, ისეთი ინტეგრირებული სამყაროს არსებობა სწამთ, რომელშიც მატერიალური და სულიერი ასპექტები შერწყმული, დასავლური ქვეყნების მთავრობებიც ხშირად ისევე სცოდავენ, როგორც, შესაძლოა, ქრისტიანული განვითარების სააგენტოები სცოდავდნენ. კერძოდ, იმის მკაცრად განსაზღვრით, თუ რას დააფინანსებენ პროგრამების ფარგლებში, ისინი თავად ამკვიდრებენ რწმენის სისტემებს, რომლებიც რადიკალურად განსხვავდება იმ ადამიანების რწმენის სისტემებისაგან, რომელთა დახმარებასაც ცდილობენ. დასავლეთის მთავრობები მხოლოდ ერთ კონკრეტულ მსოფლმხედველობას აღიარებენ — ლიბერალურ-დემოკრატიულს – და ამ მსოფლმხედველობას ახვევენ თავზე სხვა ადამიანებს თავიანთი დაფინანსებისა და კონსულტანტების მეშვეობით. ეს ნეოიმპერიალიზმია.

განვითარების კონტექსტში მთავრობების დამოკიდებულება რელიგიისადმი სხვა თვალსაზრისითაც არასწორია. უილიამ ვან გიისტმა (1993) კანადის ეკლესიების განვითარების პროცესებში მონაწილეობის შესახებ დისკურსის ფარგლებში დამაჯერებლად დაგვანახა, რომ არ არსებობს განვითარება ფასეულობების ცვლილების გარეშე და რომ ფასეულობების ცვლილება ყოველთვის რელიგიასთანაა დაკავშირებული. ამის საწინააღმდეგო არგუმენტის მოძებნა ძალიან ძნელია. როდესაც თემს ვასწავლით, რომ სუფთა სასმელი წყალი, რომელიც მილებში მოედინება, უკეთესია, ვიდრე ნაკადულიდან მომდინარე ტალახიანი წყალი, ჩვენ გამოწვევას ვუქმნით ამ ადამიანების რწმენას, რომ წყალი ნაკადულში წყლის სულის ნება-სურვილით მოდის ან არ მოდის. როდესაც ვცდილობთ ადამიანებს დავანახოთ, რომ ქალის სასქესო ორგანოების მოკვეთა არ არის მისაღები, ან მამაკაცები დავარწმუნოთ, რომ ქალებმა მონაწილეობა უნდა მიიღონ განვითარების საკითხების შესახებ დიალოგში, ჩვენ ამ ადამიანების ფასეულობების გარდაქმნას ვცდილობთ. ჩვენ უკვე ბევრი ვისაუბრეთ, რომ სიღარიბის მიზეზები არსით სულიერი ხასიათისაა. განვითარება თავისი დეფინიციით კულტურის გარდაქმნას გულისხმობს, ხოლო კულტურის გარდაქმნა ფასეულობებისა და მსოფლმხედველობის გადასინჯვაა. განვითარების პროცესში რელიგიის როლის უარყოფით დასავლეთის ქვეყნების მთავრობები უგულებელყოფენ ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან ფაქტორს, რომელიც განვითარების ინიციატივების წარმატების წინაპრობაა. სწორედ ამასთან დაკავშირებით უნდა იმუშაონ ქრისტიანულმა არასამთავრობო ორგანიზაციებმა სახელმწიფო სექტორთან. მთავრობების ასეთი პოზიცია არასწორია და საზიანოა. ჩვენ ვერ ვიქნებით ის, ვინც ვართ და ვერ გავაკეთებთ იმას, რასაც ვაკეთებთ, თუ მხარს არ დავუჭერთ გარდაქმნებს.

შეჯამება

კოლუმბიაში, აგუა ლანკაში, კალის მახლობლად, ქრისტიანი სოციოლოგი და განვითარების ექსპერტი დიდი ხნის განმავლობაში მუშაობდნენ განვითარების ერთ-ერთი პროგრამის ფარგლებში. ისინი ქალებთან მუშაობდნენ და სთხოვდნენ მათ, გაეზიარებინათ თავიანთი აზრი, თუ რა იყო ყველაზე

ეფექტური პროგრამის ფარგლებში სულიერების თვალსაზრისით და რატომ. ამ ქალების უმეტესობა კათოლიკე იყო და თავიდან ისინი საკმაოდ ეჭვის თვალით უყურებდნენ World Vision-ის მსგავსი ევანგელისტური სააგენტოების მოღვაწეობას მათ ტერიტორიაზე. როდესაც ისინი თავად დარწმუნდნენ, რომ ძირითადი მიზანი რწმენის გაღრმავება იყო და არა რომელიმე ეკლესიის წინააღმდეგ გამოსვლა, ქალები ბევრად უფრო ენთუზიაზმით იღებდნენ მონაწილეობას დისკუსიებში. ლათინურ ამერიკაში განათლების ინიციატივის ფარგლებში შემუშავებული სხვადასხვა ინსტრუმენტის გამოყენებით და ინტერვიუირების გზით კვლევის ფარგლებში რამდენიმე ინდიკატორი შემუშავდა, რომლებიც სულიერი ხასიათის ზეგავლენის შეფასების მიზნით გამოიყენებოდა. ეს ინდიკატორებია:

- მსოფლმხედველობის გარდაქმნა, მათ შორის ცხოვრების, სიკვდილის, სიღარიბის, სამართლიანობისა და წარსულის, აწმყოსა და მომავლის ახლებური გააზრება.
- ღვთისმოსავი ცხოვრების წესით ცხოვრება, ლოცვა, ბიბლიური წესების დაცვა და უკეთესი მომავლის იმედი.
- თემის სამსახურში ყოფნა, თემის ორგანიზება და სოლიდარობა.
- უფლის შესახებ წარმოდგენა შეიცვალა და იგი უფრო მოსიყვარულე, კეთილ და სამართლიან ღმერთად მოიაზრება.
- ცხოვრების ახალი ეთიკური მხარის დანახვა, როგორც ინდივიდუალურ, ასევე საზოგადოებრივ ცხოვრებაში.
- ჰოლისტიკური განვითარება, მათ შორის ხასიათის ფორმირება, უკეთესი თვითშეფასება, ოჯახსა და თემში ურთიერთობების გაუმჯობესება.

მოცემული კვლევა უაღრესად საინტერესოა ქრისტიანული ქადაგების იმ კონტექსტთან დაკავშირებით, რომელიც ამავე თავში განვიხილეთ. ზემოხსენებული კვლევის ფარგლებში გამოვლინდა, რომ აგუა ბანკას ტრანსფორმაციაში შემდეგმა საკვანძო ელემენტებმა ითამაშა დიდი როლი:

- ფასილიტატორების ცხოვრების სტილი.
- ბიბლიის ცენტრალური როლი ფასილიტატორების ცხოვრებაში და ბიბლიის, როგორც "ტრენინგის ინსტრუმენტის" როლი თემის ცხოვრებაში.
- ღვთისმოსავი ცხოვრება და დამოკიდებულება ყოველდღიურ ინსტიტუციონალურ მუშაობაში. "ყველა ღონისძიება და კონტაქტი სულიერებით იყო აღსავსე და ამ აქტივობებში ცენტრალური ადგილი უფალს ეკავა. სულიერება მდგრადი ტრანსფორმაციული განვითარების საფუძველი იყო."
- სახარების სიტყვიერი გადმოცემა (ატიენცია და გუზმანი, 1997, 12).

საბოლოო ჯამში, ტრანსფორმაციული განვითარების ფარგლებში განხორციელებული საუკეთესო საქმეებიც არაერთგვაროვანი ხასიათისაა. ბუდისტები, მუსულმანები და ათეისტები ყოველდღე ისე მოქმედებენ, რომ ხელს

უწყობენ განვითარებას. ქრისტიანობის მოქადაგეების ძირითადი მიზანია იმის უზრუნველყოფა, რომ სწორედ იმას დაუფასდეს ამ განვითარებაში წვლილი, ვისი დამსახურებაცაა ეს განვითარება. ჩვენ უნდა უზრუნველვყოთ, რომ პოზიტიური მიღწევები, რომლებიც ადამიანების ცხოვრებას აუმჯობესებს და კეთილდღეობას უზრუნველყოფს, ჩვენს თავდადებას, პროფესიონალიზმს ან ჩვენს ეფექტური განვითარების ტექნოლოგიას არ მივაწეროთ. ის ბიბლიური ღმერთის ღვაწლი და დამსახურებაა, - იმ ღმერთისა, რომლის ძე მუდმივად გვეხმარება ახალი ცხოვრების დაწყებაში და რომლის სული ყოველდღე იღვწის ჩვენი სამყაროს სასიკეთოდ.

დანართი 1:
ბიბლიური რეფერენციები ტრანსფორმაციული რეფლექსიისა და ლიტურგიისთვის

(ჰოუფი და ტიმელი, 1999)

ძველი აღთქმა

დაბადება	1:26-29	სამყაროს შექმნა და ადამიანები, როგორც თანაშემმოქმედები
	4:9-10	სად არის შენი ძმა, აბელ?
გამოსვლა	3:1-15	უფალი დაჩაგრულებს ეხმარება
	22:25-27	არ წაართვა ღარიბს მოსასხამი
ლევიტელნი	25:8-10	ზეიმის წელი
	25:35-28	უცხოს მიერ გაკეთებული სიკეთე
	19:9-11	ღარიბებთან თანაზიარება
	19:13-15	ღარიბებთან თანაზიარება
მეორე რჯული	24:17-11	მოსავლის გადანახვა
ფსალმუნნი	71:1-4	იესოს ზრუნვა სამართლანობის აღდგენისათვის
	71:11-17	იესოს ზრუნვა სამართლანობის აღდგენისათვის
	104:22-27	ეგვიპტიდან გამოსვლის ზეიმი
ესაია	1:11-17	არ მინდა ჰოლოკოსტი
	3:13-15	ვენახი
	11:1-9	ისინი ზიანს არ მოგვიტანენ
	58:1-12	თაყვანისცემა, სიღარიბე და ჩაგვრა
	65:17-25	ახალი სამოთხე და ახალი დედამიწა
იერემია	22:16	რას ნიშნავს შემიცნო მე?
ამოსი	5:14-24	გარდაადგინე ჩემგან, ვინც დაცულად გრძნობს თავს
	6:1-6	გარდაადგინე ჩემგან, ვინც დაცულად გრძნობს თავს
	8:4-7	გარდაადგინე ჩემგან, ვინც დაცულად გრძნობს თავს
მიკა	2:1-2	ჩაეცით მახვილი სახნისს
	4:1-4	ჩაეცით მახვილი სახნისს
რუთი	1-4	სიყვარული და ერთგულება

ახალი აღთქმა

ლუკა 3:2-11	იოანე ნათლისმცემელი
4:16-21	მან გამომაგზავნა ღარიბთა მახარობლად
6:20-25	მშვენიერება
19:1-10	ზაქემ თავისი სიმდიდრე გასცა
10:25-37	კეთილი სამარიტელი
16:19-31	მდიდარი და ლაზარე
მათე 25:31-45	მე მშიოდა და შენ დამაპურე
იოანე 4:5-42	ქალი ჭასთან
8:3-11	იესომ ქალი ქვებით ჩაქოლვისაგან გადაარჩინა
20:11-18	იესომ მიავლინა ქალი, რომ მას მისი მკვდრეთით აღდგომა ემცნო
საქმე მოციქულთა 2:42-47	ქრისტიანებს შორის თანაზიარება
4:32-35	ქრისტიანებს შორის თანაზიარება
გალატელთა 3:26-28	არც ებრაელი, არც ბერძენი
ფილიპელთა 2:3-11	მან წარმოიცარიელა საკუთარი თავი
იაკობი 2:14-17, 26	რწმენა საქმის გარეშე
1 იოანე 3:14-18	თუ ვინმეს ამქვეყნიური სიმდიდრე აქვს, თავის ძმას უნდა მისცეს
გამოცხადება 21:1-5	მერე ვიხილე ახალი ცა და ახალი მიწა
13:1-17	მხეცის ძალა

დანართი 2:
ქრისტიანობის მოქადაგის სტანდარტები და ინდიკატორები

(შემუშავებულია ბრაიან მაიერსისა და ფრენკ კუკინგამის მიერ)

სტანდარტები	ინდიკატორები
კულტურული და რელიგიური ცვლილებები პროექტის განხორციელების ტერიტორიაზე	
პროექტის ტერიტორიაზე არსებული ეკლესიები აქტიურად მოღვაწეობენ თემის პოლიტიკურ, სოციალურ და კულტურულ ცხოვრებაში	პასტორებთან და ეკლესიის სხვა ლიდერებთან ინტერვიუების ჩატარების შედეგად გამოვლენილი აქტიური მონაწილეობის მაგალითები ეკლესიის აქტიურობის აღწერა თემის წევრების მიერ; თემისთვის გაწეული მომსახურების მაგალითები პროექტის პერსონალისა და პროექტის კომიტეტის წევრების მიერ მოწოდებული განმარტებები
განვითარების ტექნოლოგიას თან ახლავს განმარტება, რომელიც უფლის როლზე მიუთითებს	თემთან ბიბლიის განხილვის შედეგების პრაქტიკაში გამოყენება
ბიბლია მართებულად გამოიყენება თემის მიერ ღონისძიებების დაგეგმვის, გადაწყვეტილებების მიღებისა და პრობლემების გადაწყვეტის დროს	პროექტის პერსონალთან და კომიტეტის წევრებთან საუბრის შედეგად გამოვლენილი მაგალითები; პერსონალსა და თემს შორის სახარების გარკვეული ასპექტების განხილვა
სულების სამყაროს ძალა	
	იმის აღწერა, თუ რა აკონტროლებს ადამიანების ცხოვრებას, თემის წევრების აზრით იმის აღწერა, თუ რას აკეთებენ ადამიანები, ან ვის მიმართავენ ისინი, როდესაც მათ რაღაცის ეშინიათ; თემის წევრების, პასტორებისა და იმ ადამიანების შესახებ, რომლებსაც მიმართავენ დახმარებისთვის თემის წევრების წარმოდგენა იმაზე, თუ ვინ ან რა აკონტროლებს World Vision—ის პერსონალს

ქრისტიანობის ქადაგების ხარისხი	
პერსონალი სწავლობს ადგილობრივ ენას, კულტურულად სენსიტიურია და ინტერესსა და პატივისცემას იჩენს ადგილობრივი ადათ-წესებისადმი	დაკვირვება, თუ რა ენაზე ესაუბრება პერსონალი თემის წევრებს იმ პერსონალის გარეგნობაზე დაკვირვება, რომლებიც თემის ტიპურ საცხოვრებელ პირობებში ცხოვრობენ
პესონალი აღიქმება მზრუნველ ადამიანებად, რომლებსაც უფალი და მოყვასი უყვართ	ადგილობრივი რელიგიისა და ადათ-წესების ცოდნა თემის მიერ პერსონალის აღწერის დროს გამოყენებული ტერმინები
პერსონალი სანდო ადამიანებადაა მიჩნეული, რომლებიც რელიგიური წესით ცხოვრობენ	თემის მიერ პერსონალთან ერთად ლოცვის დროს განცდილის აღწერა პერსონალის თემზე დაკვირვების შედეგად გამოტანილი დასკვნები პერსონალი მხარს უჭერს მათ ლოცვაში და საუბრით

ბრაიან ლ. მაიერსი

ღარიბების მსახურება

ISBN 978-9941-0-5130-2

World Vision